მნათობი

1-2

2003

მნათობი

წელიწადი 79-ე № 1-2 2003 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია

შინაარსი

პოეზია, პროზა

ოთარ ჭილაძე – ახალი ლექსები 3
ლია მოლარიშვილი – მოთხრობები 7
ანდრო გუაჩიძე – თეთრი ზეწარი. ლექსი 28
აკო გავაშელი – მოთხრობები 32
თენგიზ გოშაძე – წამებული დედოფალი. მოთხრობა. 43
ნუნუ ქადაგიძე – ორი მოთხრობა 63
გულო კობიაშვილი – შემთხვევით. მოთხრობა 81

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შალვა ჩიჩუა – ქართული დრამატურგია მეოცე საუკუნის ბოლოს 85
ლევან ფრუიძე – ეთნოგრაფიული წერილები 122
ლავრენტი ჯანიაშვილი – ისტორიის გაყალბების ნაცადი გზა 130

თარიღები

ნათელა ურუშაძე – მედეა ჩახავა 135
ვასილ კიკნაძე – ქართული თეატრის რაინდი 140

იხ. მე-2 გვ.

შინაარსი

(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანები

კამილ სენ-სანსი – ერთი კომიკური ოპერის ისტორია. თარგმნა **მანანა** მიქელაძემ 144
ნიკოლაი ბერდიაევი – ფილოსოფია და რელიგია. თარგმნა **თამაზ ბუაჩიძემ** 148

ბიბლიოგრაფია

მაკა ჯოხაძე – უკანასკნელი თავშესაფარი 156
ჯემალ სტეფნაძე – კავკასიისმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენი 158

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
გურამ გვერდწითელი
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი

თბილისი, რუსთაველის გამზ. № 38
ტელეფონი: მთ. რედაქტორის – 99-51-61
განყოფილებების – 99-91-00
გადაეცა ასაწყობად 9.01.2003 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.03.2003 წ.

ტირაჟი 300

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. № 42

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

ახალი ლექსები

•

წვიმებიანი მიყვარს ზაფხული,
მიყვარს ხეებში ქარის ფაფხური,
მოულოდნელი შენი წერილი,
ცით გავსებული და გაბერილი...
მიყვარს ქუხილის ხმა შორეული,
ელვა – ბოლო წამს ძლივს დანახული –
ღიმილში სევდაგამორეული,
წვიმებიანი მიყვარს ზაფხული.

•

შენ დამედები მტლად ჭრილობაზე, როცა დაკარგავს ძალას წამალი, როცა ჩაქრება ბოლო სანთელიც და ყველა კარი ჩაირაზება – შენ ჩამიდგები თვალში სინათლედ, გულში იმედად და გამომიყვან წყვდიადის ტყიდან, რომ დავინახო, რისი დანახვაც არ ძალუძს მოკვდავს, არ ძალუძს არცერთ სულიერს ცისქვეშ... ის ან არსებობს, ან არ არსებობს, რადგან ამქვეყნად ჯერ არ შობილა ამის დამდგენი, და ამიტომაც, თანაბრად ვწვალობთ და ვიტანჯებით ურწმუნოებიც და მორწმუნენიც...

•

მატარებელი წარსულს გამოსცდა.
ჩადგნენ ქარები, დამშვიდდნენ ზღვები.
გადავრჩი, მაგრამ ნელ-ნელა ვკვდები...
ეს იყო ჩემთვის დიდი გამოცდა,
რაც ძილშიც ვერ ვთქვი, ცხადში წამომცდა,
ჩემს ჩასაქოლად მზად ჰქონდათ ქვები,
უკან გვირაბი მომდევდა ყეფით,
მაგრამ გადავრჩი განგების ნებით
და ახლა, ჩემთვის, ნელ-ნელა ვკვდები...
მატარებელი წარსულს გამოსცდა!

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ჩემო
აუხდენელო ნატვრავ, იმედო...
როგორც არ უნდა მტანჯოს და მგვემოს,
მაინც შენს აჩრდილს უნდა მივენდო.

უკვე ყველაფერს მოვწყდი, მოვეშვი,
დავწყნარდი, როგორც წარღვნის წინა დღე...
და მომწყვდეული ქუთუთოებში,
შენი გულივით ფეთქავს სინათლე.

●

იყო დრო, როცა სხვები გარბოდნენ,
მე კი კვლავ ვზელდი მონობის თიხას...
დღეს ძილში ვიღა წამოაბოდებს
ჩემს სახელს... ფიქრი გავანდო ვიღას.

და აი, ჩემი ფოთოლიც ცვივა,
ჩემს ნაკვალევსაც შლის ზამთრის ქარი.
იმქვეყნიური სიცივით მცივა,
ისევ შენ უნდა გამიღო კარი.

არც თავში ცემით და არც კივილით
არ შეიცვლება ქვეყნის იერი,
ხელში შეგრჩება სიცარიელე
და კიდევ უფრო დიდი ტკივილი.

ჩემს გულში უკვე მკვდარი ზღვა ღელავს,
ჩემს ფიქრში ყალბი გრუხუნებს მეხი...
ახია? მაგრამ ასეა ყველა,
ვისაც ამქვეყნად მოუცდა ფეხი.

●

ვიდრე მიცქერდა ღმერთი ზევიდან,
ეშმაკმა დამცა და განმადიდა,
მაგრამ ყველა გზა ჩიხში შევიდა,
გველმა დამგესლა ყველა ვარდიდან.

ჩხაოდა შაშვი, გალობდა ყვავი,
ყველა ტყუილი სიმართლეს გავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც დავბერდი უაზრო დავით
ღმერთთან, ეშმაკთან, საკუთარ თავთან.

კვლავ ვერ გავართვი თავი არჩევანს,
კვლავ არსაითკენ მივემგზავრები
და ჩემი სულის გადასარჩენად,
ენაშეხსნილი რეკენ ზარები.

●

შენი სახელი, როგორც ლოლუა
შუა ზაფხულში... ან როგორც ხვატი
შუა ზამთარში... საბოლოოა!
დაწდა სათქმელი, დაიმსხვრა ხატი.

მოიგრაგნება ალვების მწკრივი,
ვით წარღვნის ტალღა უზარმაზარი,
მიწა მყიფეა, ჰაერი მკვრივი,
საგანთა შორის არ დევს საზღვარი...

და მეორდება ისევ ის დილა,
ისევ იმგვარად ცივი და მკაცრი,
რომ შენი სული, ვით ღრუბლის ფთილა,
ჩამოატაროს ალვების გასწვრივ.

ბედკრული

(თავისუფალი თარგმანი ესპანელი პოეტის
ედვარდო კარრანსას ამავე სახელწოდების ლექსისა)

ჩვენ არაფერი გვაბადია, ამ მიწის გარდა,
ამ მშვენიერი და მწუხარე მიწის ბადალი...
ამ ერთადერთი სიცოცხლის გარდა,
ამ მშვენიერი და მწუხარე სიცოცხლის ფასი...
ჩვენ არაფერი გვაბადია, ამ გულის გარდა,
გულის, რომელშიც დაძრწის აჩრდილი –
ხან ჰაერივით გამჭვირვალე, ან შავზე შავი...
სულის შემძვრელი მუსიკისა
და ამ ბანგივით ღვინის გარდა,
ჩვენ არაფერი არ გვაბადია...
მხოლოდ ეს პური მიწიერი, გადაზელილი
მიმწუხრის შხამში და დილის თაფლში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ეს პური სიყვარულისა,
მოლოდინისა და სიკვდილისა...
სხვა არაფერი არ გვქონია,
მხოლოდ სამრეკლო,
ახლაც რომ გვიხმობს, მაგრამ არავის
არ ეყურება მისი ძახილი,
და გასაღები, ზღაპრულ ქვეყნის კარს რომ გვიღებდა,
დიდი ხნის წინათ, ოდესღაც, უწინ...
დღეს არც ის კარი აღარ არსებობს.
სხვა არაფერი გვაბადია დღეს ამის მეტი.
ეს კი, თავის მხრივ, არაფერია.
ამდენ ლაპარაკს აჯობებდა, რომ თავიდანვე
მეთქვა, ამქვეყნად არაფერი მაბადიაო...

თუ შეეხები დაწერილ სიტყვებს,
ხელები სისხლში ამოგესვრება.

მოთხრობები

ნადირობა გომისმთის ტყეში

აი, ეს ვერცხლისფერი ტყე — მთვარის სხივებით დაქსოვილი, იდუმალი ჩრდილები კიდით კიდემდე რომ უწევს... სწორედ ასეთი — ხშირად დამსიზმრებია.

გივლიათ ოდესმე ზამთრის ტყეში? და ღამით, ღამით?

მონადირეებო, თქვენ კი, ალბათ... ოღონდ, ვინ იცის, ნადირის დევნით ქანცგაწყვეტილთ, შეციებულებს, ღამის გასათევის სამზადისში, შეუმჩნეველი დაგრჩათ, როგორ სუნთქავს ამ დროს ტყე თუ იმის სული... შემკრთალი, ფრთხილად...

ხოლო, თუ თოვდა, სულ არ უგდებდით ყურს სიბნელეში, ხმელ, ყინვით დამზრალ ფოთლებზე ფიფქების ფენას. და ცეცხლს ანთებდით.

ცეცხლი მართლა გაგიფანტავდათ შიშს და სიცივეს.

ყველაფერი ის, რაზედაც მინდა ახლა გიამბოთ: როგორ ვიხილე, ზმანებასავით, შუაღამის თეთრად გაცისკროვნება — მარტოდმარტომ, გზააბნეულმა, უდაბურ ტევრში — უბრალოდ დაიწყო...

●

ნოემბერი მიიწურა თუ არა, ჩემმა ახალგაზრდა ბიძამ სულ ექვსიოდე წლით იყო ჩემზე უფროსი, მეტად არა, გამოიტანა თავისი საამაყო თოფ-იარაღი და დაიწყო წმენდა. კარგად ვიცოდი, აწი ხშირად გადაიკარგებოდა, გაასწორებდა კლდე-ღრეს. დადიოდა იხვზე, ტყის ქათამზე, დათვზედაც კი. თუმცა, დათვი — მადლი ღმერთს — არასოდეს მოუკლავს.

არც კი ვიცი, ჰქონდა თუ არა სხვა რამ, უფრო სასიამოვნო მისწრაფება? ცოლის მოყვანასაც არ ეშურებოდა მაინცდამაინც. მართალია, ჯერ საჩქაროც არაფერი იყო, მაგრამ მაინც...

ის ოცდასამისა, მე ჩვიდმეტის — მშვენივრად ვეგუებოდით ერთმანეთს. ისიც თითქოს უფრო მოყვარული იყო მარტოობისა: ხანდახან ორივეს შეგვიპყრობდა ხეტიალის, სახლიდან შორს წასვლის წყურვილი. ეს არის, მე არსად მიშვებდნენ.

გვამსგავსებდნენ ერთიმეორეს. მაგრამ, უეჭველია, ის ბევრად მიმზიდველი იყო და ღონიერი, დიდი. თანაც, აუჩქარებელი, მშვიდი, მორცხვღიმილიანი. მე კი — ფიცხი, მოუთმენელი, ჯიუტი...

კიდევ რა? ჰო, მე ხმამაღლა კითხვა მიყვარდა, იმას — მოსმენა. ძალიან მალავდა, მაგრამ გულჩვილიც იყო. ერთხელ „ადამიანთა სევდა" წავუკითხე და ვითომ მუნდშტუკის გამოთლაში გართული, თავდახრილი ჩაჰკირკიტებდა მზის პატარა ნაფოტს, მარიდებდა ცრემლით ავსებულ თვალებს.

გასაკვირიც კია, რად არ ებრალებოდა იმოდენა დახოცილი ნადირ-ფრინველი.

დეკემბერიც განახევრდა და თოვლი არ ჩანდა. ბიძაჩემს გომისმთისკენ ეჭირა თვალი — გათოვებას ნატრობდა. იყო პალიასტომზე. იმდენი იხვი ჩამოიტანა, ბებიამ შესაბოლად დაჰკიდა შუაცეცხლთან, სამზადში. შაშვი და ჩხარტა ისე ბევრი იყო ჩვენს ეზოშიაც, ვერ დაითვლიდით, მაგრამ მგალობელ ფრინველს ბიძაჩემი არ ესროდა, სხვა მონადირეებს კი მე ვუშლიდი იმათ დახოცვას.

გუნდ-გუნდად მოედვნენ ბებერ კაკლებსა და წაბლებს ბოლოშავები. დამიზნება არც გჭირდებოდა: თვალდახუჭულს, გვერდზე თავმიბრუნებულს, ალალბედზე რომ გაგესროლა თოფი, რამდენიმე დაცვივდებოდა. მაინც გომისმთას გასცქეროდა ბიძაჩემი.

აცივდა, აცივდა... თოვლი კი არ ჩანდა.

ერთ მოღრუბლულ დილას, გავიხედე, თ — ბიძაჩემი დგას ეზოში, შეიარაღებული ისე, რომ ძველ ფირალს შეშურდებოდა. ნელზე ორ რიგად შემორტყმული გატენილი სავაზნეებით. მხარზევით თოფის ლულა ლაპლაპებდა. ძაღლი, ტურიკა, მოუთმენლად წრიალებდა მის ახლოს, ფეხებში ებლანდებოდა და კუდს ურტყამდა ჩექმებზე.

— ოჰო! საით გაგიწევია? — ვკითხე მეც მოუთმენლად.

— ცოტას გავივლი, აგერ ახლოს... ტყისკენ... ეგება, შემხვდეს რამე. — მითხრა ღიმილით.

საჩქაროდ გადავიცვი ჩემი ძველი, დალიანდაგებული ქურთუკი, დავიხურე ყურებიანი თბილი ქუდი და მერეღა დავუწყე ხვეწნა: მეც თან წამიყვანე-მეთქი.

ცოტა ყოყმანის მერე დამთანხმდა.

ფრთხილად მივაბიჯებდით. გზა თანდათან უვალი ხდებოდა. ნელ-ნელა ვიწრო

ბილიკად გადაიქცა, მერე კი ეს ბილიკიც მიიკარგა, მიილია და ნამდვილი ტყე დაიწყო — რუხი, ფოთლებშემოცლილი ხეებით დახაზული. დაბურულს ვერ იტყოდი: აქ ჯერ არსად ჩანდა არც ნაძვი, არც სხვა რომელიმე ნიწვოვანი და ეს შავად გათლილი, ტანმაღალი ხეები კი იდგნენ მლოცველებივით — ზოგი თითქოს ხელებაწვდილი ცისკენ, ზოგიც მხრებდაშვებული, მოწყენილი.

გარეთ ტალახი დავტოვეთ და შიგ ტყეში სიმშრალე იყო, ფეხი არსად ეფლობოდა. ოღონდ, ფოთლები ზოგან იმდენი ეყარა, დათვი ბუნაგს გაიკეთებდა. ჯერად გაუხრწნელი, სინოტივე შეპარული, ისევ შარიშურობდნენ ჩვენი ნაბიჯის ქვეშ.

რაც უფრო შევდიოდით ტყის სიღრმეში, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა სიჩუმე — ისეთი მეტყველი... მხოლოდ ჩვენი ლაპარაკის ხმა არღვევდა მყუდროებას.

— აუუუ! — უცებ ისე წამომივლიდა ყვირილის სურვილი... არავითარი ექო...

ასე ჩვენ ვერაფერს მოვინადირებთ, — შემახსენებდა ბიძაჩემი.

— რაც ფრინველი იყო ტყეში, ყველა სოფელში ჩამორეკა სიცივემ და რაღა უნდა შეგვხვდეს, ნეტავი? — ვეუბნებოდი მეც.

სულ არ მინდოდა, რომელიმე ჩიტს ან საცოდავ გზააბნეულ კურდღელს გადავყროდით. დიდ სიამოვნებას მგვრიდა, ასე უბრალოდ, უსაქმოდ რომ დავდიოდი ზამთრის ყუჩ, ტილოზე დახატულივით გარინდებულ ტყეში.

ბოლოს მივუახლოვდით პატარა მდინარეს. აქ ტყე თითქოს ორად იყოფოდა და ერთი ნაწილი საგრძნობლად შემაღლებულ, ხის ფესვებივით დაძარღვულ ფერდობზე იყო შეფენილი.

— ამ გორის გადაღმა, ასე, ერთი საათის სავალზე, მონადირეების ქოხია. — მითხრა ბიძაჩემმა. — რამდენჯერ გამითევია შიგ ღამე.

ცნობისმოყვარეობა მკლავდა, ისე მინდოდა მენახა ეს ქოხი. თუ ღამეს არ გავათევდი, უბრალოდ, ახლოს მივსულიყავი და რიგიანად შემეთვალიერებინა მაინც.

დაიღლებიო, — მარწმუნებდა ბიძია, მაგრამ ეტყობა, მასაც ეხალისებოდა ნადირობით შენილბული ასეთი უცნაური ლაშქრობა. თოფი წალდივით გაედო მხარზე და უჩვეულოდ განათებული სახით მიყვებოდა რაღაც ძალიან სასაცილო ამბავს — როგორ ჩავარდნენ იხვებზე ნადირობის დროს ჭაობში ისა და ჩვენი მეზობელი სოლიკო, მერე როგორ დაანთეს ცეცხლი, ძლივს მოსულიერდნენ. გაშრნენ, ხოლო ღამით კი ტურები შემოესიათ და კარავს ნამდვილი ალყა დაარტყეს... ასე, რომ, იხვებისთვის განკუთვნილი ასოცი [illegible] ტურების დასაფრთხობად [illegible].

კარგა დიდი მანძილი გავიარეთ, სანამ ქოხი გამოჩნდებოდა. თანაც, ასე მეგონა, თითქოს ჩვენამდე აქ არავის დაედგა ფეხი, რადგან მართლა ძნელად გადასალახი ადგილები გვხვდებოდა — ხან ღრანტე, ხან ციცაბო, გასიპული აღმართი. ერთგან პირდაპირ ღელეში გავტოპეთ და კიდევ კარგი, რეზინის წყალგაუვალი ჩექმები გვეცვა. როგორც იქნა, გავედით პატარა, ტრიალ ადგილზე (ეტყობა, ცოტაზე გაეკაფათ ტყე).

ქოხი დიდი იყო, ფერმასავით ნაგრძელებული და გაჭირვების დროს ცოტა ხალხი როდი დაეტეოდა. კარი ღია აღმოჩნდა. ეს წესიაო. — ამიხსნა ბიძაჩემმა.

შიგნით იდგა თუნუქის ვეებერთელა ღუმელი და გარდიგარდმო საწოლები ჩაემწკრივებინათ. იქვე — მაგიდა, ძელსკამებით. ერთი სიტყვით, მშვენივრად მოეწყობოდა კაცი. საწოლებზე ლეიბებიც კი ეგო. მაშინვე წამოვწექი და თავქვეშ ამოვიდე ხელები.

— ცოტა დავისვენოთ და მერე დავბრუნდეთ, თორემ მოკლე დღეა და მართლა მოგიწევს მაგ ჩალის ლეიბზე დაძინება. — ღიმილით მითხრა ბიძაჩემმა, თან გადახსნილი თოფის ლულებში იჭვრიტებოდა.

— მერე რა მოხდა? — ვუპასუხე გაკვირვებით. — დიდი ამბავი?

— გადაირევიან სახლში. — თქვა მან. — რომელი მონადირე შენ მყავხარ.

მერე სული ჩაბერა ლულებს, დატენილი თოფი მიაყუდა კედელზე და თვითონ გარეთ გავიდა.

წუთში შემობრუნდა.

— შეხედე, ერთი, შეხედე! — მითხრა აღელვებით, თვალები უბრწყინავდა. — ნახე, რას თოვს!

მაშინვე წამოვფრინდი საწოლიდან, მაგრამ გარეთ არ გავქცეულვარ, პირთამდე მოლიავებულ კარში გავშეშდი — ისე თოვდა...

ბიძაჩემმა მხარზე გადამხვია ხელი. ვიდექით და ვუყურებდით.

ხშირი, მსხვილი ფიფქები მშრალ მინაზე არ დნებოდა და თანდათანობით, თვალდათვალ გადათეთრდა მიწაც და ნაღვლიანად ჩამუქებული ხეების ტევრიც თითქოს გამოაცოცხლა ფაფუკმა, ნაზმა მოსართავმა.

მომეჩვენა, რომ ჩვენ ვიყავით სათამაშო ბროლის ბურთულის შუაგულში, რომელსაც, შეარხევ თუ არა, ძირს დაფენილი თოვლი ზევით აიჭრება და დაუცხრომლად ცვივა და ცვივა...

ანაზდად ხმაური გაისმა. თითქოს სადღაც ხმელი ტოტები დაცვივდა. ცოტა ხა-

ნში კი ქოხისკენ მომავალი მონადირეები დავინახეთ. თოვლის ფარდიდან გამოვიდნენო — სწორედ ასე იყო. ნელ-ნელა მოაბიჯებდნენ. ერთი კოჭლობდა კიდევაც და ჯოხს ეყრდნობოდა.

ძაღლი ამათაც ახლდა. ნამდვილი ინგლისური სეტერი — თეთრი, ოდნავ დალაქული.

ძაღლიცა და მონადირეებიც დაღლილები ჩანდნენ. ეტყობა, ტყუილად ევლოთ — ხელში არაფერი ეჭირათ. გვერდზე ჩამოკიდებული ჩანთებიც ძალიან მსუბუქად მოჰქონდათ.

ოთხნი იყვნენ. აქედან ერთს კარგად ვიცნობდით. ეს იყო ჩვენი სოფლის ამბულატორიაში მომუშავე ავთო ექიმი — დინჯი, დაუზარელი ახალგაზრდა კაცი. ყველა ემადლიერებოდა, თუმცა ჭორაობდნენ: ახლანდელი ცოლი მაგისთვის მესამეაო.

ავთო ექიმი ბიძაჩემს გულღიად მიესალმა, მე გაკვირვებით გადმომავლო თვალი. სხვები აღმოჩნდნენ ქალაქელი სტუმრები. ის ჯოხდაბჯენილი, სულაც, ექიმის ცოლისძმად გაგვეცნო. ოცი-ოცდაორი წლის თუ იქნებოდა, გამხდარი, გაჩხიკული. ქოხში შემოსვლისთანავე საწოლზე წავარდა ოხვრა-კვნესით, თან წყევლა-კრულვით იკლებდა ნადირობის მომგონს.

დანარჩენი ორნი ასაკოვანი კაცები იყვნენ, ნამდვილი სწავლულების შესახედაობით. ისინი თითქოს რაღაც უცნაურ შემთხვევას გადმოეგდო შუაგულ ტყეში. მიუხედავად ამისა, მცონარები არ ჩანდნენ. ხელად გააჩაღეს ცეცხლი.

ექიმი ზურგით მიეფიცხა გავარვარებულ ღუმელს და ისეთი ოხშივარი ავარდა, ორთქლის აბანოში გეგონებოდათ. თურმე, მდინარეზე გადასვლის დროს ფეხი დაცურებია და მთელი ტანით გაშხლართულა წყალში.

ერთმა „სწავლულმა" არაყი მიაწოდა და მანაც სწრაფად გადაჰკრა, თუმცა დასძინა: არა მგონია, ამან ანთებისგან მიხსნასო.

მე ჩუმად ვიჯექი კუთხეში, თან ყურს ვუგდებდი საუბარს.

— აი, შენ, ჩემო ლადო, გამოცდილი მონადირე ხარ, — ეუბნებოდა ექიმი ბიძაჩემს. — ძალიან დავაშავე, რომ არ შეგითანხმდი... თორემ რა გამოვიდა, ვერაფერს წავაწყდით...

— იფ-იფ-იფ! — ხელებს იფშვნეტდა ცეცხლით დიდად ნასიამოვნები, ჭაღარაწვერიანი ცოცხალთვალება მონადირე. — გავიყინეთ, გავითოშეთ. დილის შვიდ საათს მერე გვატარებს ავთო ბატონი ასე უმისამართოდ... კარგი ადგილები ვიციო და ესაა კარგი ადგილები?

— ადგილები მართლაც არაა ცუდი. — ნელა ჩაილაპარაკა ბიძაჩემმა. — ეს ახლოს მეგულება ერთი ლარტაფი, კურდღელი იცის ბლომად.

მაშინვე პირში სნვდნენ: სადა, აბა, სადაო?

გაჩაღდა მეტად ცხარე საუბარი. გული ელეოდათ, ისე განიცდიდნენ, რომ ჯერ ვერაფერი მოინადირეს.

ექიმი გაშრა, გათბა, სახე აუღაჟღაჟდა. სიდინჯისა და აუღელვებლობის აღარაფერი ემჩნეოდა. თქვენ ისე მაინც არ გაგიშვებთ აქედან, ტახი რომ არ მოგაკვლევინოთ, — გაიძახოდა.

— არ გვინდა, ბატონო, ტახი, შინაური ღორის მწვადსაც კარგად გეახლებითო. — პასუხობდნენ ეშმაკურად „სწავლულები".

ამაზე ექიმი მთლად ფიცხდებოდა.

ბოლოს შეთანხმდნენ: გასულიყვნენ და შეეთვალიერებინათ ის კურდღლებიანი ლარტაფი.

ბიძაჩემი შეყოყმანდა. ისეთი საცოდავი თვალით გადმომხედა, მივხვდი — ჩემს გამო იკავებდა თავს და უარის თქმა კი ეძნელებოდა.

— დარჩები აქ ერთი-ორი საათი? — მიჩურჩულა ხვეწნით. — სახლში დაბრუნებას კი მოვასწრებთ დაღამებამდე... ხომ არ შეგეშინდება?

— საშიში რაა? — გაიკვირვა ექიმმა, რომელმაც ყური მოჰკრა ბიძაჩემის ნათქვამს. — აგერ, პეტრეც რჩება. საჭმელსაც მოამზადებენ ჩვენს მოსვლამდე.

თურმე, ექიმის ცოლისძმას ერქვა პეტრე.

სულ არ მიზიდავდა რამდენიმე საათი ამ ლაქლაქა და მოწუწუნე ბიჭთან ერთად ყოფნა, მაგრამ რაღას ვიზამდი...

პეტრე, ეტყობა, მგელივით იყო მოშიებული. დახმარება არც უთხოვია, ხელად შემოდგა ქვაბი ცეცხლზე და ბუზღუნ-ბუზღუნით ჩაუძახა შიგ მთელი კარტოფილები.

მე შევნიშნე: მაგას გარეცხვა უნდოდა-მეთქი.

— მართლა? — იკითხა შეეჭვებით, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია. მერე ზურგჩანთიდან კონსერვები და ძეხვიც წამოყარა, სახეზე მოუთმენლობა ეხატა, თვალებს კი უკმაყოფილოდ წკურავდა.

კონსერვის გახსნისას იმდენი იცოდვილა, ხელში იჩხვლიტა დანა, ამასობაში შეუჩერებლივ აძაგებდა ხორციანი კონსერვების გამომშვებ ყველა ქარხანას.

ისე იქცეოდა, მივხვდი, საერთოდ არ ვახდენდი მასზე რაიმე ზემოქმედებას. ხომ უბრალო ამბავია: ამგვარი დაუდევრობით

მაშინ გიჭირავს თავი უცხო ადამიანის თანდასწრებით, როცა იგი სრულ არარაობად და ყოვლად უმნიშვნელო არსებად გეჩვენება.

„ანდა... — გავიფიქრე, — როცა დიდი უზრდელი ხარ..."

პეტრემ უცებ ისე შემომხედა, მგონი მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი მასზე და დაბნეულმა რატომღაც ასაკი მკითხა.

— ჩვიდმეტი შევასრულე. — მივუგე ამრეზით.

— რას მეუბნები! — გაიკვირვა მან. — ვიფიქრე, ცამეტ-თოთხმეტ წელზე მეტის არ იქნება-მეთქი.

მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი შთაბეჭდილება ამანაც ვერ მოახდინა მასზე. იმის ნაცვლად, რომ წყნარად დამჯდარიყო და რაიმე ჭკვიანური, გულითადი საუბარი გაება, წამდაუწუმ მიმოდიოდა ქოხის ერთი ბოლოდან მეორეში, ხან გარეთ იყურებოდა, თანაც, გაუთავებლად ახრამუნებდა პურის ქერქს და ზედ ძეხვის ნაჭრებს ატანდა.

თოვა კარგა ხანია შეწყდა. ვიწრო სარკმელში ჩანდა მოწმენდილი, მკრთალი ლურჯი ცა.

ძალიან მშიოდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, თუნდაც ლუკმა პურისთვის მეხლო ხელი, თუმცა პეტრე ძალიან მეპატიჟებოდა თავის მომზადებულ უცნაურ, ღომივით აზელილ კერძზე, რომელსაც, ბოლოს, მადიანად შეექცა თვითონ.

დრო ნელა გადიოდა. ისიც კი ვიფიქრე: უკვე მრავალი საათია, რაც ამ ქოხში ვზივარ და აღარასოდეს მეღირსება აქედან გასვლა-მეთქი, რომ უეცრად პეტრემ დაიყვირა: — მოვიდნენ! მოვიდნენო! და გავარდა გარეთ.

მეც მივედი ღიად დარჩენილ კართან. ყველაზე წინ ბიძაჩემი მოდიოდა. სხვებს კი, დავინახე, რაღაც მოჰქონდათ. რა — აქედან ვერ გავარჩიე.

ჯერ კიდევ არ იყო ბინდი, მაგრამ ზამთრის მოკლე დღე ილეოდა. ვიფიქრე: ნეტა თუ მოვასწრებთ საღამომდე სახლში დაბრუნებას-მეთქი. ჩქარა თუ ვიელიდით, ალბათ, მოვასწრებდით...

პეტრემ თოფები შემოიტანა.

— აბა, შენი ბიძია ყოფილა ჩუბინი. — მითხრა გაოცებული სახით. — ეს ტყე კიდე — ნამდვილი ტანზანია...

ქოხში მთლად ამოლუმპული ძაღლები შემოცვივდნენ და ღუმელთან გაიშოტნენ.

გავედი, რომ დამენახა, რას დასტრიალებდნენ მონადირეები ასეთი ფორიაქით. უსათუოდ, რომელიმე მარტოხელა მგელს წაანყდნენ-მეთქი, ვფიქრობდი. ამიტომ, ჯერ ვერც კი მივხვდი, რა იყო ეს მოკლული ცხოველი... მაგრამ გული ცუდად გადაეჭიანდა, ცუდი წინათგრძნობა — [illegible]

სულ ახლოს მივედი, ხელით გავწიე ბიძაჩემი (ძალიან შემჭიდროებულნი იდგნენ) და დავხედე...

— ეს არ არის?! — ვიკითხე გაოგნებულმა.

თოვლზე უნუგეშოდ ყელგადაგდებული, სისხლში მოსვრილი შველი ეგდო.

— რა არის ეს? — გავიმეორე ჩამწყდარი ხმით.

— შველია, ვერ ხედავ? — მომიგო პეტრემ, რომელიც გვერდით ამომდგომოდა.

ჩავიმუხლე შველთან. შველი იყო თუ ნუკრი? ალბათ, სულ ახლახანს მიანება, ან იქნებ, კიდევ წოვდა ძუძუს. მქრქალ მოყავისფრო ბენვზე ჯერაც კარგად ემჩნეოდა ხალები, ხოლო თავზე ოდნავ ამოწვერილ თეთრ რქებს სიმაგრე არ მისცემოდა. უკვე დანისლული ღია თვალებიდან თითქოს ისევ სდიოდა ცრემლი... ფერდი ჰქონდა გაგლეჯილი. დალეკერტებული მუქი სისხლი ღებავდა თოვლს.

ხელი შიშით გავწიე და შევახე გაყინულ თვალებზე, რომელსაც, ვინ იცის, სულ ცოტა ხნის წინ ლაღად მონავარდე უმწეო და გულუბრყვილო პატარა ცხოველის სუნთქვით ამონაორთქლი ოხშივარი ნისლავდა მხოლოდ...

მე უკვე ვიცოდი — ეს ბიძაჩემის ნამოქმედარი იყო და ახლა კიდევ მესმოდა ამის დამადასტურებელი ლაპარაკი; მთლად ატაცებულები ჩანდნენ... თითქოს რაღაც გასაოცარი, საძნელო რამ გადახდათ და ბედის წყალობით ძალიან გაუმართლათ, რომ ყოველივე ასე დასრულდა.

უკვე აღარ ვფიქრობდი იმაზე, როგორ დავბრუნდებოდით შინ, გავასწრებდით თუ არა დაღამებას... მშვიდად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით შევედი ქოხში, ჩამოვხსენი კედლიდან ერთ-ერთი თოფი — რომელიც პირველი მომხვდა ხელში, ქურთუკში გამოვახვიე და ქურდივით (თუმცა, ეს კიდევაც იყო ქურდობა) გამოვიძურწე გარეთ.

არავის შევუმჩნევივარ, ისევ შველს დასტრიალებდნენ და თუნდაც ედევნებინათ თვალი: უცნაურს ვერაფერს დაინახავდნენ იმაში, რომ ცოტაზე გავიარ-გამოვიარე და გადაჭრილი წიფლის სიახლოვეს შევჩერდი... აქედან იწყებოდა გზა — კარგად მახსოვდა, საიდანაც მოვედით. ბოლოს, ერთიც მივიხედე უკან და ჩქარი ნაბიჯით შევყევი მაღალი ნაძვებით გადმოხურულ ტყეს. ჯერ სულ პირდაპირ უნდა მევლო ხეივანივით სწორად გაწყობილ ნაძვნარში, სანამ იგი არ შეიცვლებოდა ველური მაყ-

ვლისა და ასკილის ბუჩქებით გაბარდული პატარა ტაფობით. ამის შემდეგ მოდიოდა ცოტა სახიფათო, მაგრამ არა გადაულახავი კბოდე... და კვლავაც შეუსვენებლად უნდა გამეგრძელებინა გზა ქვევითკენ, ვიდრე მდინარის პირზე შემომხვდებოდა წითლად აღუდღუდებული ცირცელი – უტყეარი გეზის მაჩვენებელი. მერე კი იმ მდინარეზედაც გადავიდოდი და რაღა რჩებოდა... როგორც ვფიქრობდი: მართალია, პირველად ვარ ამ ადგილებში, მაგრამ რა დამკარგავს, ადვილად გადავივლი ფერდობს და მეჩხერი ტყით სოფელში გავალ-მეთქი...

მართლაც, ჩქარა მივაღწიე ბარდნარს. თოვლს დაეფარა აქაურობა. მშრალი, ხოროში თოვლი კოჭებზევით მიწევდა და ნელი შრაშუნით თითქოს დამაიმედებლად მეხმიანებოდა ამ შემაშფოთებელ სიჩუმეში. თოფი, როგორც გამოცდილ მსროლელს, ისე მეკიდა მხარზე. მარტოოდენ გაქცევის ჯიუტ სურვილს ვყავდი ატანილი და მეჩვენებოდა, რომ სულ იოლად, ერთი ამოსუნთქვით გადავლახავდი მანძილს სახლამდე. სწრაფ სიარულში დამთბა და სახეზედაც წამოვხურდი, თითქოს ცეცხლი მეკიდა ლოყებზე.

აქა-იქ, პატარა გულნითელა ჩიტები მხვდებოდნენ. ისინი სკუპ-სკუპით დახტოდნენ თოვლზე და რომ მივუახლოვდებოდი, მსუბუქი წრიალით აიჭრებოდნენ მაღლა, ხის კენწეროებისაკენ. ერთხელაც კოდალამ გადამიფრინა სულ ახლოს. მე კი მივდიოდი და მივდიოდი... ღრანტეებში ფეხი მიცურავდა, ხოლო მეტისმეტად დაქანებულ თავდაღმართზე თავი ვეღარ შევიკავე და ჩავვარდი ნამქერში. მაგრამ ეს არაფრად მიმაჩნდა: ჯერ კიდევ დიდი მღელვარების ტყვეობაში ვიყავი და რაღაც ძალა შეუპოვრად მეწეოდა წინ. მხოლოდ, მაშინ კი გამინელდა ცოტა მგზნებარება, როცა მდინარეს მივადექი, მაგრამ ეს ადგდილი სრულიად არ ჰგავდა იმას, რაც გამოვიარეთ დილით.

„მდინარეს ნაპირ-ნაპირ რომ გავყვე, – შევჩერდი და ვფიქრობდი გამალებული. – უსათუოდ სოფელში ჩავალ... მაგრამ იქნებ შევცდე და ზევით, მთაში ამიტყუოს ამ გზამ?!"

სადღაც ბუმ თუ ჭოტმა დაიკივლა. ეს ხმა იყო უსიამოვნო, მოულოდნელი და გამახსენდა, რომ დაღამებასაც ბევრი არაფერი უკლდა. მართლაც, ნისლივით სქელი ბინდი ნელ-ნელა, შეპარვით, თან კი გულმოდგინედ იკავებდა თავის საბრძანებელს. ჯერ კიდევ მქონდა აქედან მშვიდობიანად გაღწევის იმედი, მაგრამ დრო აღარ უნდა დამეკარგა და ვინანე, რომ შევყოვნდი. თითქმის სირბილით ნავედინარევ [illegible] მდინარეზე ჭყაპა-ჭყუპიდ [illegible] მეგონა, იმაზე ღრმა აღმოჩნდა: ცოტაზე ჩამივიდა ჩექმებში და სისველე ყინვასავით მომხვდა. ახლაღა ვიგრძენი შეციებაც. მთლად აკანკალებული შორს შევყევი ჯუჯა ნაძვებით მოფენილ შემეჩხერებულ ტყეს. ეს რაღაც უცნაური ადგილი იყო: ჭონჭყო ნიადაგით, კოლბოხებიანი. ერთგან ჯგუფად იდგა მაღალი ხეები, რომლებსაც – თოვლის ქვეშაც ჩანდა – აბლაბუდასავით მოსდებოდა ნაცრისფერი ძენძი.

ისევ წამოთოვა. ამჯერად ძალიან ნელა, ფარფატით მოცვიოდა ფიფქები. უარესად ამიტანა სიცივემ. შიშს კი როგორღაც, მაინც არ ვეჯაბნინებოდი; არ მინდოდა მეფიქრა, რამდენი ფათერაკია ჩასაფრებული ირგვლივ...

თოვა მატულობდა, ხოლო მე მივდიოდი შეუსვენებლივ... ხან მეგონა, რომ ეს სწორედ ის ფერდობია, რომელთანაც შევჩერდით დილით; ფართოდ დატოტვილი წიფლებითა და კუნელით გადაპენტილი ხრამისპირიც – ყველაფერი ნაცნობია. უბრალოდ თოვლმა უცვალა იერი და სადაცაა გამოჩნდება სოფლისკენ მიმავალი ბილიკი...

რა სიამოვნებით ჩამოვჯდებოდი რომელიმე ხნიერი ნაძვის ძირში, სადაც სიმშრალე და სიმყუდროვე ჩანდა, ხოლო მისი ძირს ჩამონეული ტოტები საიმედოდ დამიფარავდა... მაგრამ ვიცოდი, ეს არ შეიძლებოდა და კვლავ წინ მივიწევდი, თუმცა უწინდებური სისწრაფით ვეღარა...

სიცივე უკვე ძვალსა და რბილში ატანდა. ნეტა, რა უფრო უარესი იყო – სიცივე თუ დაღლილობა... მაგრამ, მგონი, ნელ-ნელა გულში შემოპარებული შიში აჭარბებდა ამათ. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ ტყე დამთავრდა: ხეებს მილმა რაღაცა ნათელი, ღია ადგილი ილანდებოდა, მაგრამ გავიდოდი იქ და აღმოჩნდებოდა, რომ ეს არის თოვლით დაფარული მდუმარე ველი, ოთხივე მხრივ გარშემორტყმული ისეთივე უსიერი ტევრით, როგორიც ახლა დავტოვე და უეცრად გაჩენილი პატარა იმედიც მიქარწყლდებოდა.

ტყე ხდებოდა უფრო საშიში, უფრო იდუმალი... დასასრული აღარ უჩანდა ერთმანეთზე მიჯრილი ხეების უღრანს. ბოლოს, კვლავ გამოვედი მდინარესთან. ახლა უფრო დავიწროებულიყო, მაგრამ მეტი ხმაურით მოჩქეფდა ლოდებზე და შორს რომ გავხედე, ქარაფებში იკარგებოდა. თითქოს, ერთბაშად, ტყე შემოტრიალდა და წინ დამიდგა თავისი კლდიანი მხარით, როგორც ზღაპარში.

მდინარეზე გადასვლა აღარ მიფიქრია. ნელა გავყევი გაშიშვლებული, დაბალი, ხვიარა მცენარეების მწკრივს. შორიახლოს, ხეთა განაპირას, რაღაც დავლანდე: მორუხო-ოქროსფრად ბზინავდა ბინდბუნდში.

დავაკვირდი ამ მოჩვენებას და ყვირილი აღმომხდა. ფოცხვერი!.. იგი გაუნძრევლად, როგორც ქანდაკი, ისე იდგა და ათვალთვალებდა. მე რომ შევკივლე, ოდნავ შეატოკა ფუნჯიანი ყურები. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს შევცქეროდით ერთმანეთს. მშვიდ, მაგრამ შეკავებული რისხვით სავსე მრგვალ ყვითელ თვალებს არ მაშორებდა. ბოლოს, ნელა შეტრიალდა და დინჯი, მოზომილი მოძრაობით, მსუბუქი ნაბიჯით შეერია ტყეს.

ახლა სულ აღარ მციოდა. ქურთუკის საყელო გადავიღელე. ხელთათმანებიც მოვიხსენი, მოვიწმინდე ოფლით დანამული შუბლი. ხელები მითრთოდა. ზევით ავხედე ხის კენწეროებს: აქედან ხომ არ დამესხა თავს!.. მგლისა უფრო არ შემეშინდებოდა, ვიდრე მაღლიდან, თან ზურგიდან წამოპარული ამ მოქნილი მტაცებლის.

ახლალა გამახსენდა მგლებიც და გადავდგი ნაბიჯი. საით, აღარც ვიცოდი. გზას უკვე, სულ ერთია, ვერ გავიგნებდი და ასე ალალბედზე უნდა მევლო, როგორმე დაღამებამდე გამესწრო ტყიდან (ამაზე ფიქრიკი, ცხადია, გულუბრყვილობა იყო... მოგვიანებით, ეს ამბავი რომ ვუამბე, გამოცდილი ხალხი მეუბნებოდა, რომ ბედმა გამიღიმა. გადავრჩი, თორემ გომისმთა იმოდენაა, სახიფათო ადგილებით სავსე... დათვები — შიმშილით გაავებული — ხან სოფელში ჩამოდიოდნენ და ტყეში რომ გადამყროდნენ... მერე, მგლები).

თოფი მაინც დიდ იმედად მქონდა. ახლა მამძიმებდა, მხარს მწყვეტდა, მაგრამ ეს სიმძიმეც მამხნევებდა.

თოვდა... უკვე მუხლამდე ვეფლობოდი ფაფუკ თოვლში და მაინც შეუჩერებლივ თოვდა. თითქოს ყველამ პირი შეკრა ჩემს საწინააღმდეგოდ: ცამაც და ახლა სიბნელეც შეუბრალებელი სისწრაფით იკიდებდა ფეხს. მალე ზამთრის დღის უკანასკნელი, უნიათო სხივიც ჩაქრა და პირისპირ შევრჩი წყვდიადს.

●

ბუკიოტმა დაფეთებული თვალების კაშკაშით ჩამიქროლა ზედ სახესთან. თოფი მოვიხსენი და გათოშილი ხელებით მაგრად ჩავბღუჯე... ასეთი რამ სიზმრადაც რომ მენახა ადრე, სისხლი გამეყინებოდა ძარღვებში.

მხოლოდ თოვლით დაფარული მიწა და დაფუმფლული ტოტები ირჩეოდა ბაცად ამ ულმობელ, კუნაპეტ ღამეში. ხელის ცეცებით მივედი ნაძვთან და დავჯექი მის ძირში — ახლა უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რამდენ ხანს გასტანდა ეს შესვენება... იქნება საუკუნოც გამოდგეს-მეთქი, — გამიელვა. თოფი კვლავ გულში მქონდა ჩაკრული. ვიორთქლავდი ხელებს, რომ როგორმე ცოტაოდენი სითბო მეგრძნო. ამაოდ...

ნაძვის ტანს საამო სურნელი ასდიოდა. ლოყა მივადე ხის ქერქს. ახლა ეს ხე მფარველად მესახებოდა.

„ეგება, მართლა სიზმარი იყოს, — გავიფიქრე თვალდახუჭულმა. — დღეს დილით არსად წავსულვართ სახლიდან მე და ბიძაჩემი..."

მაგრამ ყოველივე ისეთი ცხადი იყო, რომ ერთი წამითაც ვერ მოვიტყუებდი თავს და ვერ შევეფარებოდი ტკბილ ოცნებას (ან, რა საჭიროა ოცნებას მიეცე, თუკი იქედან გამოფხიზლებულს ათასჯერ უფრო მტანჯველი გეჩვენება სინამდვილე).

არ მინდოდა, ხის ძირას გავყინულიყავ; ხოლო ვგრძნობდი, როგორ ვიყინებოდი. მეძინებოდა... სიცივის, შიშის, მთელი ჩემი საცოდავი მდგომარეობის მიუხედავად — მეძინებოდა.

უკანასკნელი ძალების დაძაბვით მაინც წამოვდექი და შევეცადე, ფეხები დამებაკუნებინა — რაკი გაგონილი მქონდა, რომ დიდ სიცივეში უნდა იხტუნო, იმოძრაო — მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი და ფეხებსაც ისეთი ტკივილი მიღრღნიდა, მაშინვე ჩავიკეცე მიწაზე.

მესმოდა, როგორ ჩუმი შრიალით ეფინებოდა თოვლი ნაძვს, მთელ მიდამოს... ხის განიერი ტოტები თოვლს არ უშვებდა; მხოლოდ ზოგჯერ ბუმბულის ნაწეწებივით შემოქრიალდებოდა სუსტი ფანტელი.

მე ყურს ვუგდებდი სულ უმცირეს გაფაჩუნებას. თითქოს ადამიანი კი არ ვიყავი — მარტო კივილსღა რომ ათხოვებს ყურს — არამედ ყველაზე მგრძნობიარე, სიფრიფანა მწერად გადავიქეცი და ზედ გულზე გადამივლიდა ტყის სუნთქვა თუ ოდნავი ამოოხვრა.

ბოლოს თოვა შეწყდა. სუსტად მქროლავი ქარიც ჩადგა და ნამდვილი მდუმარება ჩამოვარდა. შავ ცაზე უფრო შავ სილუეტებად ირჩეოდა ხეები. ახლოს კი თოვლი მაინც სანუგეშოდ ხვდებოდა თვალს: ნაცრისფერ-მოვერცხლისფრო ქაღალდში იდო.

მგლების შეყმუვლება რომ გავიგონე, მხოლოდ სახეზე ავიფარე ხელები. ყმუილი შორიდან მოდიოდა, მაგრამ რა იმედი იყო — ვისაც ტყის სიახლოვეს უცხოვრია, უსათუოდ ერთხელ მაინც მოისმენდა ამ ხმას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება, მერე ოდესმე სასიამოვნოდ მოჰგონებოდა იგი... მე კი აქ ვერაფერი დამიფარავდა – ხეზე ასვლაც არ შემეძლო.

სწორედ ამ დროს მკრთალი სინათლის წრეები დაეცა ჩემს პირდაპირ თოვლს და ნელ-ნელა გადიდდა, გაფართოვდა. ბოლოს, იმდენად გაიფანტა სიბნელე, რომ ამ ტოტებდაბარდნილი ნაძვის ქვეშაც შემოაღწია ცეცხლის ალივით მოცახცახე შუქმა: მიწაზე დაცვენილი გირჩებიც გავარჩიე და მუხლებზე დადებული თოფის ლულაც პლატინასავით გაბზინდა.

ჯერ მეგონა, რომ მთვარე გამოვიდა ცაზე; მაგრამ არა, მთვარე არსად ჩანდა, ხოლო წყვდიადი, რაღაც სასწაულით, თანდათან ილეოდა, ქრებოდა... ცის ერთი მხარე, რომელიც გუმბათივით ებჯინებოდა ტყიანი ქარაფის წვერს, ვარდისფრად შეიღება, გაცისკროვნდა და ტევრად წამოსული სხივები მოეფინა თოვლში შებურულ მიდამოს.

თვალს არ ვუჯერებდი. ვიფიქრე, რომ ეს ყველაფერი ჩემს წარმოდგენაში ხდებოდა...

„ნუთუ უკვე გავიყინე და მოვკვდი?! მხოლოდ ჭკუიდან ნუ შევცდები... მხოლოდ ძალიან ნუ შემეშინდება, თორემ გონებას სულ დავკარგავ!..“

არ ვიცი, რა ძალამ გამომიყვანა ჩემი თავშესაფრიდან (რომელიც, სინამდვილეში, არც ისე უშიშარი იყო), თოვლი თითქმის წელამდე მომწვდა, მაგრამ ახლა აღარაფერს ვუკვირდებოდი, გარდა თითქოს გაღიმებული, პირგაბადრული ცისა. მაშინ გამიელვა ფიქრმა – რაც დღესაც მტკიცედ მწამს – რომ მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული მარტოობისა, ადამიანი მაინც არასდროს რჩება მარტო... ვილაცის თვალი მუდამ დაგვყურებს, ვილაც გვმფარველობს...

შევცქეროდი ჩემს წინ გადაშლილ სანახაობას. ჩრდილოური ნათების თვით ყველაზე თეთრი ღამეც ვერ შეედრებოდა ამ ღამეს – იდუმალსა და სინაზით გასხივოსნებულს.... და კვლავ მეჩვენებოდა: „ეს ჩემს გამოა! მთელი სამყარო ძალიან პატარაა... დედამიწა სულ ერთი ბეწოა... როგორ შეიძლება აქ დავიკარგო? აჰა, სანთელი ჩამოანათეს, რათა მიპოვონ...“

ბოლოს, რძესავით რბილი შუქი გაიცრიცა, გაბუნდოვანდა, ნელი ციალით იხევდა უკან და იმალებოდა ტყის სიღრმეში. მივხვდი, ისევ თავიდან უნდა შევბმოდი წყვდიადს, მდუმარებას, ოღონდ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო...

სადღაც, ძალიან შორს გავარდა თოფი. ერთხელ, მეორედ, მესამედ... არ მჯეროდა, რომ ეს რაიმეს მიშველიდა, მაგრამ სულ ერთია, მე მაინც, მთლად გათოშილი ხელებით, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ავწიე თოფი და გავისროლე.

●

– ეეი!... ცოცხალი ხარო? – მეუბნებოდა პეტრე და ფარნის შუქს მიბრჭყვიალებდა სახეში. მე თვალებს ვხუჭავდი, ხმის ამოღება კი არ შემეძლო, ძაღლებიც დაჩუმებული, თოვლში ჩაცუცქულები ისხდნენ.

პეტრემ ხელთათმანები მომხსნა და დასიებული თითები დამისრისა. ტკივილისაგან შევყვირე. უცებ შემიშვა ხელი.

– ჰოო, – ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა. – ცეცხლის გარეშე ვერ გამოვალთ... მაგრამ მანამდე, სულ ერთია, უნდა გაუძლო, თოვლით უნდა დაგიზილო ხელები. დიდი არაფერი, გადარჩები... აქაურობა ალიასკა მაინც არ არის, ერთ ღამეში რომ გაიყინო. – თან კბილს კბილზე ურტყამდა სიცივით.

კიდევ შევძელი გაღიმება: რაღაც გამახსენდა და ალბათ – ძველი ლაპარაკი გომისტყის აფრიკულ წარმოშობაზე...

მერე ორივე ვისხედით ცეცხლთან. კარგა ხანს არ გამიარა ხელების მწვავე ტკივილმა, მაგრამ ეს რა იყო იმ გრძნობასთან შედარებით, რითაც ახლა ვიყავი შეპყრობილი – როცა მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, მართლა სიზმარივით ჩაიარა ნამდვილმა განსაცდელმა და ახლა, აგერ, მეყურებოდა ადამიანის ხმა.

თვალმოუცილებლად მივჩერებოდი პეტრეს. რა ვიცი, იქნება კიდეც მეშინოდა: თვალს რომ დავხუჭავ, არ გაქრეს-მეთქი... ხან თავზე ვეფერებოდი ორივე ძაღლს – დარწმუნებული ვიყავი, ყველა ესენი მხსნელებად მომივლინა თეთრმა ღამემ.

პეტრე კი შეუჩერებლივ ლაქლაქებდა. პირველად რომ მენახა, ვიფიქრებდი, რომ გადატანილი შიში ალაპარაკებს ამდენს, მაგრამ მე ხომ მას ვიცნობდი; და რა უცნაურია – ეს ყბედობა ახლა აღარ მეჩვენებოდა მომაბეზრებელი... მან ხომ ამოდენა სახიფათო გზა გამოიარა, რომ მოვეძებნე... თუმცა, მარწმუნებდა: ჩემი თოფის გულისთვის გადავდე თავი – ვერც წარმოიდგენ, რა ძვირი ღირს – და ისე, რაღა მაგას სტაცე ხელი, თოფების მეტი რა იყოო იქ...

ბოლოს მკითხა: არა, მაინც რა მოგარბენინებდა, რა არის შენი გამოქცევის მიზეზიო.

არც ამაზე მითქვამს არაფერი. ნამდვილი მუნჯივით, გაყუჩებული ვიჯექი და ოდნავ გაღიმებული შევყურებდი.

– მგონი ვიცი. – თვითონვე უპასუხა თავის თავს. – ვხვდები, რატომ გამოიპარე. მარტო მე კი არა, ყველამ ასე იფიქრა. – და პატარა ხნის შეყოვნების მერე დასძინა: –

იცი, მე მაშინ ბიჭი მეგონე... შენ კი თურმე... მაინც, როგორი გამბედავი ყოფილხარ. შენს ადგილას სხვა, არ ვიცი, რა ჭკუაზე დამხვდებოდა, გულგახეთქილი.

მერე მიუბრუნდა ძაღლებს. ახლა ამათ აქებდა: მეძებრებს უმადლოდე, რომ გადაგარჩინეს, თორემ, ტყუილია, ვერავინ გიპოვიდაო.

ვდუმდი. ისევე მიძნელდებოდა თუნდ ერთი სიტყვის წარმოთქმა, როგორც სიზმარშია: ფეხის გადადგმა რომ გინდა და ვერაფრით ახერხებ — თითქოს უხილავი ბორკილები გიჭერს...

მხოლოდ, როცა პეტრე თვითონაც გაყუჩდა და ჩაფიქრებული შესცქეროდა ცეცხლს დანარჩენი მაშველების მოლოდინში — გავბედე და ვკითხე:

— შენ... როცა ტყეში მოდიოდი ჩემს საძებრად, რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავს?

— რას შევნიშნავდი ამ უმთვარო, ბნელ ღამეში... ვითომ რა უნდა ყოფილიყო...

— არა, არაფერი... ალბათ, მომეჩვენა...

●

რაღა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩამიარა თავს გადახდენილმა ამბავმა — ყოველდღე ხომ არ ვიკარგებით ტყეში — მომცა სიცხე, თითქმის მთელი კვირა ვიწექი გამოუნელებელი დაღლილობით და მეგონა, რომ, ალბათ, ველარასდროს შევძლებდი ძველებურად ცხოვრებას, სულ უნდა ვწოლილიყავ უცნაურ, მტანჯველ ძილ-ბურანში წასული, აზუზუნებული თავითა და ტყვიასავით დამძიმებული კიდურებით — ჭიქა წყალიც ვერ მიმქონდა პირთან.

ბოლოს, რასაკვირველია (ყველაფერს აქვს დასასრული), ამანაც განვლო. ოღონდ, რატომღაც, გადავწყვიტე: სახეზე უსათუოდ შევიცვლებოდი-მეთქი და მიკვირდა, რომ სარკეში არც გამხდარი ვჩანდი, არც ფერდაკარგული. ჩვეულებრივი გამომეტყველება მქონდა, არაფერი გასაოცარი...

კარგა ხანს კრინტიც ვერ დამაძვრევინეს მომხდარზე და ერთადერთი ბიძაჩემი იყო, ვინც არაფერს მეკითხებოდა. ძალიან ვერიდებოდით ერთმანეთს. თან, თითქოს ვემდუროდით. ამას გარეშე თვალი ვერც შეატყობდა — მხოლოდ ჩვენ ორს გვესმოდა...

არც მე, არც იმას ერთი სიტყვითაც არ გვიხსენებია გომისმთა, არ დაგვიდანაშაულებია ერთმანეთი დაუფიქრებელ საქციელში... მაგრამ ერთხელ (უკვე თებერვალი ილეოდა), მარტონი რომ ვიყავით სახლში — ბიძაჩემი მთლად დაშლილი ძველი რადიოს ამუშავებას ცდილობდა — რაღაცაზე უბრალოდ გამოველაპარაკე და მერე ვკითხე: არ გინდა, რომ ეგზეკიცითხო-მეთქი?

— კი, რატომაც არაო, — შეევატყვე, ძალიან გაუხარდა, ჩვენი ძველი ჩვეულება რომ გავიხსენე და ამით ბოლო მოვუღე ჩუმ მომდურაობას.

მაშინ გადავშალე „შვლის ნუკრის ნაამბობის" მთლად დაფურცლული, საჟურნალო გამოცემა და დავიწყე კითხვა...

მხოლოდ საათი წიკწიკებდა. ნელი, მკაფიო ხმით ვკითხულობდი, თავი არ ამიწევია, მაგრამ ამ ადგილზე რომ მივედი: „ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ბალახი, გადავდგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!" — მაშინ კი მალვით გავხედე ბიძაჩემს და დავინახე, რომ ხელში უძრავად გაშეშებოდა გადაჭრილი გრძელი შნური.

ხმის კანკალით მაინც გავაგრძელე: „ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვცილდე — მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთიქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი რას?.."

ბიძაჩემმა თავი ასწია და მუდარით შემომხედა. არაფერი უთქვამს. არც ერთი სიტყვა და მეც უხმოდ დავხურე წიგნი. მერეც დიდხანს არ ამოგვიღია ხმა...

ალბათ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო (და გულის სიღრმეში კიდეც მქონდა იმედი), რომ ამის შემდეგ ბიძაჩემი საერთოდ ხელს აიღებდა ნადირობაზე, მაგრამ ასე არ მომხდარა: მწყერობა იყო თუ იხვების სეზონი — ისევ გადაიკარგებოდა სამ-სამ დღეობით, ოღონდ ახლა მარტო; თანაც, უფრო ხშირად, ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ.

მალე სხვა საქმეებიც გამოუჩნდა — სამუშაოდ მოეწყო უცხოელებთან რკინიგზის მშენებლობაზე და ძველებურად ველარ იცლიდა, რომ თავისუფლად ევლო, სადაც მოეგუნებებოდა.

თოფი კი — დიდებული, ძველი ფრანგულივით მოვერცხლილი თოფი — უსაქმოდ ეკიდა მის ოთახში (რადგან ეს იმზომ ლამაზი იარაღი იყო, ჩვეულებრივ დაშლილს ვერ შეინახავდი, დაგენანებოდა).

ერთხელ ბიძაჩემს სტუმრად მოჰყვა რამდენიმე გერმანელი მშენებლობიდან.

ერთმა კარგა ხანს ატრიალა ხელში დიდი ოსტატობით ნაკეთები თოფი, აღტაცებული

ათვალიერებდა და მერე ბიძაჩემს შესთავაზა: მომყიდეო.

იმდენი ფული შეაძლია, რამდენსაც მთელი წლის მუშაობით ვერ მოუყრიდა თავს, მაგრამ ბიძაჩემი უარს ეუბნებოდა, წყნარად, ღიმილით.

გაოცებულ გერმანელს ვერ გაეგო, რა იყო ამგვარი სიჯიუტის მიზეზი, მით უფრო, რომ ჩვენი ძველი ხის სახლი პირდაპირ ოაღადებდა ხელმოკლეობაზე.

– Ich fershtene nicht warum? – იმეორებდა მხრების აჩეჩვით გერმანელი, რაც ნიშნავს: „ვერ გამიგია, რატომ?"

ლიზა, ელიზა, ელისაბედი

ხუთი საათის ავტობუსს ჩამოჰყვა... ეს ერთი ავტობუსი დადიოდა მის სოფელში – ძველებური, გვერდებშეჭყლეტილი. სასაცილო ყვითელ ფერზე გადაელებათ.

ჯერ ერთიანად გადატენილი იყო მგზავრებით, მაგრამ ბოლოს ოთხი ქალიღა შემორჩა. ერთს კალთაში მძინარე, გვერდზე უხერხულად თავგადაგდებული პატარა ბიჭი ეჯდა.

ლიზას სოფელი ბოლო გაჩერება იყო. ამის იქით სადღა უნდა წასულიყავი – სამყაროსგან ვეებერთელა ნისლშემოვლებული ლურჯი მთები გყოფდა...

ქალები ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ ლიზას.

„ვერ მიცნეს, – მიხვდა ის. – გასაკვირი კია... ნუთუ მართლა ძალიან შევიცვალე?"

შეიცვალა, როგორ არა...

გზა ისეთი იყო, საოცნებოდ გინვევდა: უფრო და უფრო მაღლდებოდა მთებში. ხან, უცებ, მკვეთრად უხვევდა და მნვანით ამობურული თვალუნვდენელი უფსკრულები ჩნდებოდა დაბლა.

ლიზაც ფიქრით შორს იყო. იქ არა, სადაც ახლა მიდიოდა და მით უფრო, არც იქ, საიდანაც წამოვიდა... რაღაც გაურკვეველი ტკბილი ოცნება თვლემასავით მოერია. ოდნავ გახელილი თვალებით შესცქეროდა ავტობუსის ღია ფანჯრიდან ფერდობებზე შეკიდულ ტყეებს და მათ მიღმა ულიმოდა იმ რაღაცას... ხან ქარი შემოუბერავდა და თმას შოლტებივით აწნავდა სახეში.

რომ შეიძლებოდესო, – გაიფიქრა, – სულ ასე ვივლიდი. რა დამღლიდა...

მაგრამ გზა გათავდა.

მძღოლმა, ვეებერთელა, მსუქანმა კაცმა, რატომღაც გაკვირვებით გამოხედა ზურგსუკან. აქაო? აქ გაგიჩეროთო?

კი, აქაო.

დახმარება ხომ არ გინდათო.

მადლობა გადაუხადა. ერთი ჩანთა ჰქონდა. მართალია, მოზრდილი კი იყო, მაგრამ რა დიდი გზა რჩებოდა...

„ამანაც ვერ მიცნო, – მიდიოდა და ეღიმებოდა. – არადა, ყოველდღე არ დავყავდი რაიონში ამ ავტობუსით? მუსიკის მასწავლებელთან რომ დავდიოდი..."

ლიზას სახლი ცოტა განაპირას იდგა სხვა სახლებისაგან. ესეც ძალიან მოსწონდა ახლა. გული კი ეტკინა წუთით – ძალიან გაუდაბურებული ჩანდა აქაურობა. თუმცა, ამასაც არა უშავდა. მალე მიხედავდა ყველაფერს. ასეთი იყო მისი მტკიცე გადაწყვეტილება.

ჩაჟანგებული ანჯამები ჭრიალით გაიღო.

ეზო სულ წაეღო შამბნარს. ვაითუ, გველები იყოსო – ქვაფენილიან ბილიკზე ჯერ არ გადაევლო ბალახს და იმას მიჰყვა კარამდე.

წინაოთახში ბნელოდა. ნესტისა და კიდევ რაღაც უცნაური სუნი იდგა... მძიმე არა, მაგრამ დამასევდიანებელი...

რაღა ესა და რაღა აკლდამაო – სწრაფად გამოაღო ყველა ფანჯარა.

ხის ვიწრო, მაგარ ტახტზე ჩამოჯდა და წარბებშეჭმუხნულმა მოათვალიერა აქაურობა: დღის სინათლე მოხვდა და თითქოს გაცოცხლდა ძველი შპალერით გაკრული კედლები. მრგვალჩარჩოიან სარკეს სქლად ედო მტვერი. განჯინაში დაწყობილი ჭურჭელიც ერთიანად აბლაბუდაში იყო გახვეული. კუთხეში ძველი ტაშტი იდგა, ნანვიმარი წყლით პირთამდე სავსე.

ლიზა სარკესთან მივიდა, ხელი გადაუსვა და ყურადღებით დააკვირდა. იქედან თითქმის ბავშვური სახე შემოსცქეროდა. ოდნავ აუთრთოლდა ტუჩები... მაგრამ არა... მოაგონდა, რომ არ უნდა ეტირა.

– ეჰ, ლიზა, შე საწყალო, – უთხრა თავის გამოსახულებას. – რამდენი საქმე დაგხვდა აქ... და სულ მარტო რას შესძლებ?

მთავარი იყო, ცეცხლი გაეჩაღებინა. სახლის კედლებს უნდა ეგრძნოთ, რომ ცხოვრება ისევ გრძელდება... ფარდულისკენ გასწია, გულში მბჟუტავი იმედით: იქნებ ფიჩხის ნამტვრევები მაინც ვიპოვოო, მაგრამ ფიჩხი კი არადა, მშვენიერი შეშა დახვდა აქ. ცოტა რამ კიდევ გადარჩენილიყო საბრალო ბებიას მარაგიდან.

ხმელ ნაფოტებს აბედვით ავარდა ალი.

ახლა არა უშავდა. ცეცხლი, ეს თითქმის მეგობარს ნიშნავდა.

თუკი რაიმე მართლა აკლდა ქალაქში — ცეცხლი იყო. აი, რატომ გრძნობდა თავს ასე ობლად ზამთრის ღამეებში. სადღაც, მეთერთმეტე სართულზე... ქვევით გათენებამდე ხმაურობენ მანქანები, შენ კი ზიხარ ნავთქურასთან. თბები, ვერც თბები... უუჰ, გახსენებაც არ ღირს.

„ეს ზაფხული, — გაიფიქრა ლიზამ. — ეს ზაფხული... ჩემი არდადეგები — ნამდვილ სიმშვიდეში უნდა გავატარო".

ის საძინებელ ოთახში გავიდა, სადაც წლების წინათ იძინებდა ბებიასთან ერთად. ახლაც ისევე იდგა ორი საწოლი. ერთი, უფრო ფართო, ხისა. მეორე, რკინისთავიანი — ცოტა ვიწრო. ბებია ტანად პატარა იყო, გამხდარი, ცულის ტარზეც ტკბილად დამეძინებაო, იცოდა თქმა. და მართლაც, მოიკუნტებოდა თავის ვიწრო საწოლში, შემოიფუთნიდა საბანს და მთელი ღამე ისე გასნაპულს ეძინა, ლიზა ზოგჯერ შეშფოთებული მიაყურადებდა, სუნთქავს თუ არაო.

ამ მოგონებაზე გაეღიმა და ბავშვური სურვილით ატაცებულმა გამოაღო კარი, რომელიც უკანა ეზოში გადიოდა. ადრე აქეთ პატარა შემოღობილი ადგილი ჰქონდათ საბოსტნედ. ღობე ნახევრად წაქცეულიყო, მაგრამ ერთ მარგილზე ძველებურად ეკიდა თიხის გაბზარული, ყურიანი ქოთანი.

— ბებო! — ხმადაბლა გასძახა უდაბურებას ლიზამ და გული ისე შეუჩქროლდა, თითქოს სადაცაა, დაინახავდა მწვანილის კვლებთან ჩახრილ ბებიას.

სიცოცხლის არავითარი ნიშან-წყალი... მხოლოდ აბუსუსებული ჭინჭარი შეარხია ნიავმა.

მერე იგი დიდხანს იჯდა სახლის წინ და გასცქეროდა სოფელს. აქედან, რაკი ლიზას სახლი შედარებით მაღლა იდგა, მშვენივრად ხედავდა ბავშვობიდან ასე კარგად ნაცნობ სურათს: მთების ჩარჩოში მოქცეულ პატარა დასახლებას... ფარდაგივით გაშლილი ეზოები. სახლები — უმეტესად ხისა — დამრეცი მაღალი სახურავებით (აქ იმხელა ზამთარი იცოდა და მერე რა თოვლს დებდა). ყველგან მწვანედ ღაღანებდა კარტოფილის ნათესები. ტყის დამრეც კალთებზე ბალახს წინკნიდნენ ცხენები. ერთი თეთრი კვიცი დროდადრო აიღებდა თავს და გაირინდებოდა ყურებდაცქვეტილი.

„უსათუოდ, ესეც თავის იდუმალ მუსიკას ისმენს". — გაიფიქრა ლიზამ.

ვიღაცეები მიმოდიოდნენ შარაგზაზეც. ჩანდა კლუბი, კარ-ფანჯრები რომ არ შეერჩინათ. ნაომარ, ა[illegible] ნააგავდა. ადრე კი აქ [illegible] ქონდათ (უმეტესად ვესტერნები). სხვა დროსაც, სოფლის ახალგაზრდობა იყრიდა თავს საღამოობით. ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ...

იქვე, გვერდით, ბიბლიოთეკა იდგა. ის კი — აქედან მაინც — უცვლელად გამოიყურებოდა. ღია იყო? არა, არ იყო ღია.

ნელ-ნელა საღამოვდებოდა. სადაცაა მოდენიდნენ ნახირს.

რაღაც უცნაური მოიისფრო შუქი გამოსცრა ზეცამ. ლიზამ ხელი ასწია და ამ შუქში დააკვირდა თავის თითებს. თითქმის გამჭვირვალე უჩანდა. თითქმის უნათებდა. წინ გაწვდილი ხელი ოდნავ აუკანკალდა, მაგრამ მაინც არ დაუშვა.

შეუმჩნევლად მოჯარდა საავდრო ღრუბლები... უცნაური კი იყო: ერთი მხარე, ტყისკენ, მთლად მოკრიალებული ჩანდა. მარტო სოფლის დასაწყისში ჩამუქდა ცა. იქუხა და მსხვილი წვიმა წამოვიდა.

ლიზა სახლში შევარდა სიცილ-სიცილით. ნამდვილი მთა იყო — ათასჯერ შეიცვლიდა გუნებას. მართლაც, მალე გადაიდარა, მაგრამ ამასობაში, გვარიანად ჩამობნელდა კიდევაც.

ლიზამ კარები ჰაიჰარად ჩაიკეტა. არავითარ შიშს არ გრძნობდა მარტოობაში და ამან ცოტათი შეაეჭვა: იქნებ, მართლა ისეთი უცნაური ვარ, როგორც მეუბნებიანო. აბა, რატომ უნდა ყოფილიყო ასე მშვიდად გამოცარიელებულ სახლში, სადაც ათ წელზე მეტია, კაციშვილს არ გაუთევია ღამე. აი, ეს ღირდა დასაფიქრებლად...

●

— თქვენ თითქოს სხვა პლანეტიდან ხართ, — უთხრა ლიზას მუსიკალური კოლეჯის დირექტორმა. — მართლა ვერაფერს გაგიგებთ ადამიანი.

დირექტორი მაღალი კაცი იყო. ძალიან მაღალიც. რქისჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა და ისე დააკვირდა ზევიდან ლიზას.

— არა, ასე არაფერი გამოგვივა მე და თქვენ, — დაუმატა უფრო მკაცრად. — გაკვეთილებზე სისტემატურად აგვიანებთ. მსგავსი უდისციპლინობა...

ლიზა თავჩაღუნული დასცქეროდა დირექტორის ლაპლაპა ფეხსაცმელებს და ცდილობდა გამოეცნო: თავად აპრიალებდა ასე გულდაგულ თუ ცოლი ჰყავდა ერთგული ძალიან... უსათუოდ, ძვირფასი ფუმფულა კატაც უნდა ჰყოლოდათ სახლში, მაგრამ რა ჯიშის ნეტავ?

ღმერთმანი, ასეთ დროს ძალიან შველოდა შერლოკ ჰოლმსი...

●

ლიზა გაღიმებული იწვა სიბნელეში. ვერანაირი მოგონება ვერ აუმღვრევდა გუნებას.

სადღაც ძაღლი ღაღავებდა თავგადადებით. სულ ახლოს, სახლთან, სიმღერით ჩაიარეს მთვრალებმა... მათ, ალბათ, არ იცოდნენ, რომ ამ ჭერქვეშ ახალგაზრდა ქალს ედო ბინა, თორემ, უეჭველია, მოერიდებოდათ ამხელაზე ღრიალი.

ლიზამ დახუჭა თვალები და ვიდრე ძილი ნაართმევდა თავს, კიდევ მოასწრო გაფიქრება: „ხვალიდან ასე აღარ იქნება... ხვალ მივხედავ ყველაფერს... სულ შევცვალი აქაურობას..."

●

ზაფხული თანდათან შედიოდა ძალაში. მთელი დღეები აცხუნებდა მზე. ცხელოდა ჩვეულებრივ, როგორც ყველგან: ბარში, ქალაქში... ეს არის, ჰაერი იყო მსუბუქი, არასოდეს არ ჩაიხუთებოდა სინესტით. ხან საღამოობით ატყდებოდა ქუხილი, წამოუშენდა წვიმა, მაგრამ მალევე გადაიკარებდა და იშვიათი არ იყო — ულამაზესი ცისარტყელა გადაიჭიმებოდა ხეობის თავზე.

ორ კვირაზე მეტი შესრულდა, რაც ლიზა ჩამოვიდა დედისეულ სოფელში და მაინც, ჯერ არ მოკიდებოდა მთის ღონიერი მზე. თუ გავიდოდა, უმეტესად ახლოს, ტყის განაპირას. გაშლიდა ხის ქვეშ ძველ შალს და საათობით ინვა ფიქრებში წასული, ან გაჰყურებდა ქვევით სოფელს. აქვე ედო სიგარეტი, რაიმე წიგნი... ხან ფანქარი და ქაღალდი. გაუწაფავი ხელით ჩანახატების გაკეთებას ცდილობდა ვითომ. არა და არ გამოსდიოდა — ხატვა არასოდეს შეეძლო. აი, სანოტო რვეული კი გადააჭრელა: უამრავი პატარა მარტივი მელოდია ჩნდებოდა მწერების ზუზუნსა და ფრინველების ყივყივში შეზავებულ ამ სიმშვიდეში. ეს უეცრად გაელვებული მუსიკალური ფრაზა ასევე ჩქარა უნდა გადაეტანა ქაღალდზე...

საღამოობით ლიზასთან გადმოდიოდნენ ბავშვობის მეგობრები. უფრო ხშირად — სკოლის ამხანაგი თამილა, პატარა შვილებთან ერთად. ისხდნენ და იგონებდნენ თავიანთი მოსწავლეობის ამბებს.

მაშინ კლასში სულ ათნი იყვნენ: ხუთი გოგო და ხუთი ბიჭი. მერხებზედაც ადვილად დასხა მასწავლებელმა — გოგო-ბიჭი...

ის ბიჭი, რომელიც ლიზას გვერდით მოხვდა — გამხდარი, ხუჭუჭთმიანი, ნამდვილი პატარა ბოშა, ანტრაციტას რომ ეძახდნენ — უცებ ატირდა, მაგრამ სანყლად კი არა, ბრაზიანად. ოო, მტრისას, ისეთი გაჯავრებული ჩანდა.

— მასწავლებელო, მე ამასთან არ ვიჯდები! — ზლუქუნებდა და თან გაოცებული ლიზასკენ იშვერდა ხელს. — ამ წითელთმიან გოგოსთან არ დავჯდები!..

— გახსოვს? — სიცილით კვდებოდა თამილა. — ის მართლა ანტრაციტა, ისა...

რაღა თქმა უნდა, ახსოვდა პირველი დღეების სირთულეები.

რვა წლის ლიზა, ის-ის იყო, ჩამოუყვანა დედამ ბებიას.

ყველას უკვირდა, ამტყუნებდნენ: ბავშვი რად მოიშორა, ან ქალაქის სკოლას რად ამჯობინა ღვთისგან მივიწყებული მთის სოფელიო. და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი, რატომაც...

დედა ერთ რამეს სთხოვდა ლიზას მკაცრად. ათასგზის უბარებდა ბებიასაც: ბავშვს მუსიკის მასწავლებელთან უნდა ევლო (მასწავლებელიც უკვე შერჩეული ჰყავდა), უნდა ემეცადინა მთელი სერიოზულობით. გამოუგზავნიდა პიანინოსაც.

საავადმყოფოში, დედასთან ბოლო ძეხვედრისას ეს დაამახსოვრდა ლიზას:

— იცოდე, მე შენ პიანისტად გაგაჩინე — ასე ჩავიფიქრე... არასოდეს იზარმაცო, თორემ ამით მეც მიღალატებ და შენს თავსაც, გესმის?!

ლიზას უბრალოდ ნიჭი კი არა, განსაცვიფრებელი მონაცემები ჰქონდა და დედაზე კარგად ვის უნდა სცოდნოდა ეს, — თვითონაც მუსიკოსი არ იყო? სახელმწიფო ორკესტრში უკრავდა ვიოლინოზე. მოსწავლეებიც დაუდიოდნენ სახლში.

— გამოჩენილი პიანისტი ვერ გავხდი, დე... — სევდის გარეშე გაიფიქრა ლიზამ და მაინც, ჩუმად ამოიოხრა. — მარტო ჩემი ბრალიც არ ყოფილა, ხომ იცი...

ახლა იჯდა და ისმენდა თამილას რატრატს. ის ისევ ძველ ამბებს იხსენებდა: მაინც, როგორ გაგამწარა იმ ბიჭმა, იმ არგასაშვებმა ანტრაციტამ, პირველივე დღიდან რას გადაგეკიდაო?

— კი, — უგულისყუროდ დაეთანხმა ლიზა, — ნეტა მართლა, რას გადამეკიდა... აუტანელი ვინმე იყო.

— აბა, ერთი, ახლა ნახე. — რატომღაც ძალიან დანაღვლიანდა თამილა. — ჩემს ლაყე ქმარს კი არ ჰგავს, სასმელზე რომაა მიციცინებული... ჩამოვიდა და გამოალვიძა აქაურობა. ტყუილად დამჯდარსაც არ აჩერებს ბიჭებს. მაშინვე ზეზე წამოჰყრის: ადექით, თქვე უქნარა ზაზუნებო, მხრებში მაინც გაიშლებითო... რა ვიცი, სამუშაოც ბევრს უშოვა და ფულითაც ყველას უმართავს

ხელს. ახლაც, აგერ, ეკლესიას რომ აშენებენ, ვისი მოფიქრებულია? მუშების გვერდით დგანან და თავი არავის ეზოგება.

— და... ცოლი არ შეურთავს? — გულგრილად ჰკითხა ლიზამ.

— ცოლი კი, ცოლი შეირთო, მაგრამ ის აქ არ გაუჩერდა, ეს ქალაქში არ გაჰყვა და დაშორდნენ. შვილიც, რა თქმა უნდა, იმ გოგომ წაიყვანა.

— შვილი?

— ჰო, ბიჭი ჰყავთ. იქნება, ასე, რვა-ცხრა წლის.

●

ბიჭს გურამი ერქვა, მაგრამ ყველანი ანტრაციტას ეძახდნენ. მამამისის მეტსახელი ძალიან ბუნებრივად გადმოვიდა მასზე. ისედაც, მართლა შავგვრემანი იყო, მართლა ნახშირივით თმა და თვალწარბი ჰქონდა.

კლასში ყოველთვის პირველობას იჩემებდა (ოღონდ სნავლაში კი არა), მუდამაც ის გამოდიოდა ყოველგვარი ცელქობის წამომწყები და თუ რაიმე ჩანაფიქრს უმალვე არ აისრულებდა, ცეცხლმოკიდებულ, შიშინა დენთის კასრს ემსგავსებოდა. — ფიცხი იყო ძალიან.

ლიზა — წყნარი, დინჯი, ქალაქელი — თავიდანვე აითვალწუნა.

არ მოსწონდა და რა ექნა. რომ მოგეკლათ, ვერ მოაშლევინებდით მის წვალებას.

— ნუ გაამწარე გოგო, შე სასიკვდილევ! — წყევლით მიწაში სდებდა დედამისი. ბევრჯერ აუწინწკნია ის მურივით თმაც. სულ ამაოდ...

— აბა, მე რა გიყოთ, მართლა ხომ არ მოვკლავ ამ არგასაზრდელსო. — ბოდიშს უხდიდა ბებია ელისაბედს.

ცოტა წამოიზარდნენ და ბიჭი მაინც კრიჭაში ედგა. სახელიც გამოუთქვა: მელა ელიზა.

— რატომ, რატომაო, — რომ ჰკითხავდნენ, — რას გიშავებს მაინცო: — ჩუმჩუმელააო, პრანჭიაო. მელაა, აბა რა ჯანდაბაა.

მეოთხე კლასში — აღდგომის მეორე დღე იყო, ორშაბათი — პირველი გაკვეთილი გაუცდათ (რუსულის მასწავლებელს გრიპი დამართოდა). „შატალო" მოაწყვეს. ადგნენ და სასაფლაოზე გაიპარნენ. ყველას წითელი კვერცხებით სავსე ჰქონდა ჩანთა.

ლიზაც მათ გვერდით მიცუნცულებდა ჩუმად. სადაც ანტრაციტა იყო, იქ ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა.

წინა დღეებში ხომ შეიკლა იმ სულელმა: ელიზავ, ერთი თმის ბღუჯა გამოიმეტე, ქვაბში ჩავყრი და კვერცხი მაგით უფრო კარგად შეიღებებაო. — ახლაც ამრეზილად იყურებოდა მისკენ, თან რაღაც საშინელ ამბავს უყვებოდა ბავშვებს. ტყუოდა, ცხადია: ამ ჩვენს სასაფლაოზე... ისაო, ესაო... ერთი მოჩვენება გამოდის ღამ-ღამობითო...

ლიზამ კარგად იცოდა, რომ მოჩვენებები არ არსებობენ და ვეღარ მოითმინა:

— ტყუის, ტყუის! აბა, თუ თვითონ უნახია!..

იმან კი, იმ მსახიობმა ბიჭმა, ერთი გამოჰხედა უკან და ვითომ დიდად გაოცდა: უი, ესეც აქ ყოფილა? ეს სადღა მოგვდევს, ეს თავწითელაო?

ბავშვებმა სიცილი ატეხეს.

ლიზა აზუზუნებული დაბრუნდა შინ. მაკრატელი აიღო და შეუბრალებლად, პირწმინდად გაიკორტნა თმა.

ბებიამ რომ ალისფერ ფუმფლებში კოჭებამდე ჩამდგარი დაინახა, კინაღამ გადაირია. რაც მაშინ ლიზას მოხვდა...

●

ღამ-ღამობით, როცა მთლად მარტო რჩებოდა, ლიზას აფიქრებდა თავისი გაურკვეველი მომავალი. ასეთ დროს კიდევაც შენატროდა იმ პატარა, სასაცილო გოგოს: მელია ელიზას... ცოტათი — ისე, მსუბუქად. — ნაღვლობდა თავის პიანინოზედაც. ამას უფრო აგრძნობინებდნენ ხელები, როგორც ორი დამოუკიდებელი, თავნება არსება. ხშირად შეკუმშავდა და გაშლიდა ათრთოლებულ თითებს. ან, თუ მაგიდასთან იჯდა, უნებურად ცალი ხელით ზედ „უკრავდა" რაიმეს...

დღეები მაინც, როგორღაც, ისე გადიოდა... უზრუნველობით. ზოგჯერ გამოუვლიდნენ ძველი თუ ახალი ნაცნობები, ეპატიჟებოდნენ ხან სად, ხან სად... ამიტომ, მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია, როცა, ერთ დღესაც, ტბაზე ნავით გასეირნება შესთავაზეს. მხოლოდ, მერე კი, გზაში მიმავალი, დაუფიქრდა ამ ამბავს და კითხულობდა: როგორ, ტბაც გაქვთო? ტბა აქ საიდან გააჩინეთო.

აგერ, სადაცაა, ივლისიც მიიწურებოდა და მას არაფერი გაუგია, აქ თუ ტბაც იყო.

ხელოვნური ტბორი გაეკეთებინათ სამიოდე წლის წინათ... ისევ ბიჭებს, ახალგაზრდებს, თავიანთი ხელებით. ერთი ნავიც უყიდიათ და თამილას ქმარი იყო იმისი ზედამხედველი, როგორც ძველი მოცურავე (ტყუილად ხომ არ ეძახდნენ მედუზას).

— აგერ, როგორც იქნა, დავითანხმე ვაუბატონი. — ამბობდა თამილა, — ბავშვებიც, რა ხანია ეხვეწებიან. გვიგდია სახლში ეს ნავი. როცა შუა წყალში მოუნდებათ ქეიფი,

მარტო მაშინ ახსენდებათ... ერთხელაც იქნება, ამოუბრუნდებათ მთვრალებს და სამუდამოდ მოისვენებენ.

მივიდნენ ტბასთანაც. შეაღეს პატარა, დაბალი ჭიშკარი. მასზე აბრა მიემაგრებინათ მკაცრი წარწერით: „თევზაობა აკრძალულია!!!"

ტბა არც დიდი ჩანდა, არც ძალიან პატარა. ირგვლივ სულ ტირიფები ჩაერიგებინათ, წყალში ჩაკიდებული ტოტებით. მშვენიერი ადგილი იყო. მესერით შემოლობილი. ნაპირებში ამოსული ხშირი ბალახი გაეთიბათ და ორი ოქროსფერი ბულულიც უხდებოდა აქაურობას. ვიღაც ბიჭებს (ლიზა არ იცნობდა იმათ) ანკესები ჩაეგდოთ მომწვანო ღამიან წყალში.

ტბის შუაგულში, ორფრად შეღებილი გრძელი ნავი სავსე იყო. ის, ვინც ნიჩბებს უსვამდა, დიდად თავგამოდებული ადგაფუნებდა წყალს და მოანკესეები ამაზე ედავებოდნენ, უყვიროდნენ: ნუ დაგვიფრთხე თევზიო. გოგოები (ნავში გოგოებიც ისხდნენ) თან წიოდნენ, თან იცინოდნენ.

ლიზამ ნაპირთან, ბალახში ჩაიმუხლა და გაღიმებული ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს.

— ეგენიც ჩამოსულები არიან, შენსავით. — უხსნიდა თამილა. — ბლიაძეების უფროს გოგოსთან სტუმრობენ. კურსელებია, მგონი... ეს ჩემი ბედოვლათი ქმარი კიდევ, რა დღეშია, ვერ უყურებ? რას აფათქუნებს ნიჩბებს...

მედუზამ დაინახა ისინი და ხელი დაუქნია, მერე ზიგზაგებით წამოვიდა აქეთა ნაპირისაკენ. გოგოები წიოკობით და სიცილ-კისკისით გადმოხტნენ მიწაზე. ისეთი ფართხა-ფურთხი ასტეხეს, რომ ნავი კინაღამ აყირავდა.

— აბა, შემდეგები! — დაიძახა თამილას ქმარმა.

ნავის ცხვირთან, საზურგეზე მკლავებგადაშლილი იჯდა თეთრი ტილოს ქუდიანი ახალგაზრდა ბიჭი. ის არ განძრეულა, მხოლოდ ქუდი გადაიწია შუბლზე და ქვევიდან ახედა „შემდეგებს". ესენი იყვნენ: თამილა, ლიზა და თამილას პატარა გოგო-ბიჭი.

ბავშვები მაშინვე მამის წინ ჩაცუცქდნენ.

ლიზამ რამდენჯერმე გადაჰკრა თვალი ნავის ცხვირთან, პირისპირ მჯდომს... ერთის შეხედვითაც ძალიან მიმზიდველი მოეჩვენა.

მედუზამ ახლა კი ნელა შეაცურა ნავი ტბის შუაგულში. ბავშვებს უხაროდათ, ხელებს აჭყაპუნებდნენ წყალში. ტბის ზედაპირი ერთიანად მოფარული იყო ტირიფის წვრილი ფოთლებით და ამ ფოთლებს იჭერდნენ, ალაგებდნენ ნავის ფსკერზე დიდი სიფრთხილით, როგორც ძვირფას ნადავლს.

ყველანი ხარობდნენ, იცინოდნენ ამაზე, და მხოლოდ თეთრქუდიანი იჯდა უცნაურად გაყუჩებული, სანამ თამილა არ შეეხეინა: გურამ, რა ენა გადაგიყლაპავსო?

მან დაუყოვნებლივ უპასუხა: ხომ იცი, უცხოებთან დარცხვენით ვარ. რატომ ეს ადამიანი არ გამაცანიო.

— აბა რა, ეს ძალიან უცნობია, — დაიწყო თამილამ. — სულ პირველად არის ჩვენთან სტუმრად და... — უცებ ველარ მოითმინა, — ბიჭო, ლიზა ვერ იცანი?

გურამმა ქუდი უფრო უკან გადაიწია თითით. გაოცებული იყო და ამის დამალვა არც უცდია. გამომეტყველება უცნაურად შეეცვალა.

„ეტყობა, გაახსენდა, რა დღეშიაც მაგდებდა და ახლა აღარ იცის, გაიცინოს თუ რა ქნას," — გაუელვა ლიზას.

თვითონაც არანაკლებ იყო გაკვირვებული — ანტრაციტა ანტრაციტას აღარ ჰგავდა. გაკვირვება ერთია და გული ძველებურად პატარა ბავშვივით გადაუქანდა: სულელურად ისევ რაიმე არ წამომაძახოს ამდენი ხნის მერეო...

მაგრამ, ამ დროს, გურამი წამოდგა და მედუზას შეენაცვლა. უფრო ღონივრად, უფრო დინჯად მოუსვა ნიჩბები, თან თვალებმოჭუტული, ღიმილით შესცქეროდა ლიზას. ის სცნობდა და ველარც სცნობდა ამ ახალგაზრდა ქალს.

თითქოს ძალიან არ გამოცვლილა... თითქოს ისეთი არაფერია: იგივე ფერმკრთალი სახე, ირიბად გაჭრილი მომწვანო თვალები, რომ ვერც მიხვდები, მართლა მწვანეა თუ... ეს... ტბა და ტირიფის ფოთლები ირეკლება შიგ... სრულიად იგივე, შუაზე გადაყოფილი აბრდღვიალებული თმა...

მაინც რაღაც ძალა შეიძინა, ამ წლებში დამანგრეველი უპირატესობა მოიპოვა მასზე.

„ეტყობა, ეს შინაგანი ძალაა, — გაიფიქრა მან. — ყველაფერი შიგნიდან მოდის. რასაც კი ჩვენი გაოგნება შეუძლია..."

იგი გამოელაპარაკა ლიზას, რომელიც ხალისით აჰყვა და მართალია, ბავშვობაც კი მოიგონეს, მაგრამ არც ერთს კრინტიც არ დაუძრავს ძველ ქიშპობაზე. არადა, ლიზას ენაზე უტრიალებდა ეს სიტყვები: „დაგავიწყდა არა, როგორ მამწარებდი?"

ეტყობა, რაღაც-რაღაცეები მაინც ახსოვდა გურამს, რადგან უცებ უთხრა:

— შენ ყველაზე წინდახედული იყავი ჩვენში... ყოველთვის იცოდი, რაც გინდოდა.

— წინდახედული? — გაუკვირდა ლიზას. — წინდახედული ახლაც კი არ ვარ... რას ამბობ... არა, სულაც არა...

— არ ვიცი, — გულღიად გაულიმა გურამმა. — მაგრამ დარწმუნებული ვარ მუსიკას გაჰყვებოდი.

— კი, კონსერვატორია დავამთავრე. მასწავლებლად ვმუშაობ.

— აი, ხომ ხედავ.

— არა, არა. — შეეპასუხა ლიზა. — ეს სულ სხვაა. ნამდვილი მუსიკოსი რომ ვიყო, მაშინ... მაშინ...

მას გაახსენდა, ძალების რა დაძაბვად დაუჯდა რამდენიმე წლის წინ კონკურსისთვის მზადება. ნამდვილი ციებ-ცხელებით იყო ავად. მერე ის კონცერტი... წარუმატებლობა... და სიტყვები დასამშვიდებლად: „თქვენ ტალანტი გაქვთ, მაგრამ ამ ტალანტს კალაპოტში სჭირდება ჩაგდება...“ გაუთავებელი ლაპარაკი. პროფესიონალიზმზე...

მაშინ ლიზას ეჩვენებოდა, რომ საშინელი დამნაშავეა და სწორედ ნიჭია მისი საბედისწერო შეცდომა და დანაშაული.

მაგრამ ახლა, ამ სიმშვიდეში, ეს ყველაფერი ისეთი შორეული და ბუნდოვანი ჩანდა, როგორც სიზმარი და ოდნავადაც არ გვრიდა ტკივილს.

ტბიდან, კარგა შებინდებული იყო, რომ წამოვიდნენ, იმ სტუმარ გოგოებს გზაზედაც დიდი ფორიაქი და სიცილ-ხარხარი შეუდგათ.

ლიზა ჩუმად მიაბიჯებდა. „იქ, სადაც ანტრაციტაა...“ — ახსენდებოდა და ელიმებოდა თავისთვის.

გურამზე კი, როგორც ეტყობა, მზარდი მოთხოვნილება იყო — ყველა უნებურად იმას ეხმიანებოდა და თვითონაც ძალდაუტანებლად ყურადღებიანი ჩანდა. გულისხმიერება თითქოს მარტო ლაპარაკსა და ქცევაში კი არა, უბრალო მოძრაობებშიაც ეხატებოდა: როგორ მიაბრუნებდა თავს მოსაუბრისკენ, როგორ უწვდიდა ხელს კბოდეებზე გადახტომის დროს გოგოებს. ბოლოს, როგორ გადახვია მკლავი ერთ ყველაზე საწყალ ბიჭს...

მიდიოდნენ ლაპარაკ-ლაპარაკით. სიცილით.

— დაძინებამდე დიდი დროა. იქნება კოცონი დაგვენთო სადმეო, — თქვა ვიღაცამ და მაშინვე აიტაცეს ეს ნათქვამი. ეჭვი არ იყო, იქ სასმელსაც გააჩენდნენ — წესი ასე იყო — და შუაღამის გადასვლამდე შეჰყვებოდნენ ქეიფს.

ეპატიჟებოდნენ ლიზასაც, მაგრამ მან უარი თქვა: დიდი მადლობა, როგორმე სხვა დროსო.

დაღლილი არ იყო, მაინც დასვენება ერჩია.

ლიზას სახლი უნდა გაევლოთ. მიაცილეს ჭიშკრამდე. ყველა გამოეთხოვა სათითაოდ. ლიზა თითქოს დაძაბული ელოდა, ანტრაციტა ახლა მაინც რაღაცას მეტყვისო, მაგრამ არა... ღამე-მშვიდობისა უსურვა. შეიძლება, ცოტა უცნაურად შემოხედა, მეტი არაფერი.

წავიდნენ ისევ ხმაურით, ლაზღანდარობით... მათი სიცილი ნელ-ნელა მიწყდა, მიიკარგა ქვევით, სათიბებისკენ.

ლიზა ცოტა ხანს იდგა ეზოში, ყურს უგდებდა ოდნავლა მოღწეულ ხმებს. აძაგძაგებული შევიდა სახლში. გადაიცვა სვიტერი (აქ საღამოობით ყოველთვის გრილოდა) და ჩაიდანი შემოდგა გასაცხელებლად.

უკვე ყველგან, ყველა სახლში ენთო შუქი. ვილაც გადარეული მოტოციკლეტით წრეს უვლიდა სოფელს და ბღუილით აყრუებდა.

ლიზამ ფანჯარა მიხურა. ასე უფრო მყუდროვდებოდა შინ, თუნდაც ხმაური არ ყოფილიყო. მერე მოუკიდა სიგარეტს. გადმოიღო სურათების ძველი ალბომი, გადაშალა და დიდხანს უყურებდა პირველსავე გვერდზე ჩაწებებულ ბებია ელისაბედის სურათს. ბებია ზუსტად ასეთი ახსოვდა — კეთილი და გამწყრალი. თუმცა, აქ, ალბათ მზე ადგა თვალებში, იმიტომ ჰქონდა შეჭმუხნული წარბები. ან, იქნებ, მართლა უბრაზდებოდა ვინმეს და მაშინ გადაუღეს.

ლიზას კი რაღაც ახარებდა...

— მორჩა, ეს ბოლო სიგარეტია, ბე! — უთხრა სურათს.

ჩაიდანი აშიშინდა.

ლიზამ დაისხა ჩაი. ორივე ხელით ეჭირა ყურმოტეხილი ცისფერი ქაშანურის ჭიქა და ისე სვამდა. უცებ თვალი ჰკიდა მაგიდაზე, წიგნებს შორის მიგდებულ პატარა კალენდარს. აიღო და დახედა. ივლისის ოცდაორი იყო. თურმე ორშაბათი. მას კი სულაც პარასკევი ეგონა — აქ მაინცდამაინც არ აკვირდებოდა კვირის დღეებს.

წითლად იყო გახაზული ოცი აგვისტო. ოც აგვისტოს უნდა დაბრუნებულიყო უკან.

იქამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა. მაინც წაუხდა გუნება და კალენდარი ფრიალით შეუძახა ცეცხლში. ანალვლიანებდა, ესიკვდილებოდა ათვალწუნებული სამსახურისა და უბადრუკი ხელფასის გახსენება. თვალწინ გაურბინეს თავისი მოსწავლეების გაბეზრებულმა სახეებმა... არა, არავითარი იმედი არ იყო, რომ ოდესმე მისგან პასუხისმგებლობით შეპყრობილი პედაგოგი დადგებოდა.

გარედან ისევ შემოიჭრა მოტოციკლეტის ღმუილი. სულ ახლოს ჩაიქროლეს სახლთან.

ლიზას ახლა კიდევაც ესიამოვნებოდა ეს ხმაური. ინანა, რომ დანარჩენებს არ გაჰყვა. ჯერაც არ იყო გვიანი — თბილად ჩაიცვამდა და ჩავიდოდა ქვევითა უბანში, შეუერთდებოდა კოცონთან შეკრებილებს.

ლიზამ თავზე ჩითის სამკუთხა თავსაფარი წაიკრა, აიღო ქურთუკი და კარი რომ მიიხურა, გაიფიქრა: „იქნება, [illegible] დავრჩე... მართლაცდა, რა [illegible] ოსაც გადმოვაგზავნინებ და დავრჩები...“

სასიყვარულო ბარათები გუშინ და დღეს

ცივი წვიმა ცრიდა და ვაჟამ კოფოზე მიგდებული რეზინის საწვიმარი წამოისხა, თუმცა, მუშაობაში გახურებულს, დასცხა კიდევაც.

ცხენი მოთმინებით იდგა. ელოდა, როდის დაუდებდნენ ფორანზე უკანასკნელ მორსაც.

პატრონზე მეტად ჭკვიანია ეს მამაძაღლიო, გაიფიქრა ვაჟამ და თვალწინ წარმოუდგა უჟმური ვასილა, ბოთელ ქვეყნიერებაზე დაბოღმილს რომ ჰგავდა, ხოლო თუ რაიმეზე ცხარობდა, ნამოჭარხლების მაგიერ ერთიანად გალურჯდებოდა — შაბიამნით შეწამლულივით.

ისე კი, რას ერჩოდა — ეგერ, ცხენი უსიტყვოდ გამოატანა. არ დაუწყია: დეკემბერში გაახსენდებათ შეშაო და ამგვარი ჭკუის სწავლებანი, ძალიან რომ გამცირებს კაცს.

კარგი დღეც შეხვდა. აქამდე მოწმენდილი იყო ცა. ახლაღა დაიწყო ჟინჟღლი. ეგერსაც არ გადაჰყრია. მართალია, ვაჟამ სანახევროდ ხმელი ხე ამოარჩია მოსაჭრელად, მაგრამ შარის მოდებას დიდი მიზეზი არ უნდოდა.

წვრილი ტოტებიც შემოაწყო აკოკოლავებულ მორებზე და ცოტა შორიდან შეხედა, კმაყოფილი დარჩა — ერთ თვეს, ალბათ, ეყოფოდათ... მერე კიდევ წამოვიდოდა ტყეში. გულზე მაინც გაჰკენწლა: „უვარგისი ვარ, აბა, რა, სულ შუა ზამთარში მითავდება შეშა...“

თვითონ აღარ დამჯდარა ორთვალაზე. აღვირში ჩაავლო ხელი ცხენს, რომელიც ნელა მიჰყვა. ეს ღონიერი, ნაპატიები ცხენი ადვილად გაუმკლავდებოდა ამაზე სამჯერ მეტ ტვირთსაც. არა, ვასილა უჟმური კი იყო, მაგრამ პირუტყვის მოვლა მართლაც კარგი იცოდა...

წვიმა გახშირდა. ვაჟამ მაღლა ამოიწია საწვიმრის საყელო. ცივი თქორი ხედვას უშლიდა.

სოფლის შარაზე ძმაკაცები შემოხვდნენ — ილო და ბესიკი. ძალიან მიიჩქაროდნენ, თავწაღუნულები, ამ წვიმაში. ილომ ქურთუკში გამოხვეული სამლიტრიანი ბოცა დაანახვა: ჩამო, ჩვენსას დაგელოდებითო.

არაო, — უარი უთხრა ვაჟამ.

თვეზე მეტი გავიდა, სასმელს არ გაჰკარებია და შეზარხოშების ერთი ბენო სურვილსაც არ გრძნობდა. აკვირვებდა კი ეს ამბავი, აღარ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებული უნდა ყოფილიყო. ერთიც არის — ამ ბოლოს, უწინდებური ნაღველი იშვიათად ულრღნიდა გულს. ხანდახან, ღამ-ღამობით, უძილოდ რომ წრიალებდა საწოლში, ჩვეულებრივ ფიქრობდა: რა ჯანდაბად ვცხოვრობ, ნეტა, რა აზრი აქვს ჩემს ამ ქვეყნად ყოფნასო, მაგრამ ამასაც, ისე, ცივი გონებით სწონიდა, გულგრილად.

შვილისთვის, შვილისთვის ცხოვრობო, — ეტყოდა ხან ვიღაცა უხილავი.

ახლაც, სახლისკენ მიმავალი, თანდათან ილუშებოდა: გაწიე, გამოწიე — უმუშევარი, ხელმოცარული, სასმელს გადაყოლილი მამა ჰყავდა მის შვილს. რცხვენოდა კაცს...

ჭიშკარს რომ მიადგა, უარესად მოექუფრა სახე. თითქოს ახლა შეამჩნია, რა გასაცოდავებული სახლი ედგა — ძველი, ძველებურ აივნიანი და ისიც კარგა ხნის შესაკეთებელი, კიბე მორყეული, სახურავი სულ გამოსაცვლელი...

ნატოს შეასწრო თვალი. იდგა ფანჯარასთან და მოწყენილი უყურებდა მამას.

ცხენმა დაიფრთხვინა. რაღაც აბურდული გორგალივით გაებლანდა ფეხებში.

— კენტი! — დაიყვირა ვაჟამ.

წითური, გაქუცული მეძებარი გიჟივით მივარდა, გახარებული, რა ხანია, სანადიროდ არ წაუყვანიათ. ძაღლსაც გადავიწყებოდა ძველი დრო. მთელი დღეები იწვა ზარმაცად და ყეფითაც აღარ ყეფდა. ქათმები ხან ზედ თავზე გადაუვლიდნენ, ძაღლად არ აგდებდნენ... მხოლოდ, ერთი ეს იყო — პატრონისადმი უსაზღვრო სიყვარული და მოწინება არ განელებოდა. ახლაც, ზედ მკერდზე მიაბჯინა თათები პატრონს და ძალიან ეწყინა, როცა იმან მოალერსების მაგიერ ხელი ჰკრა და განზე მიაგდო გაჯავრებულმა, მერე კი, სრულიად უმიზეზოდ, წკნელიც უთავაზა გვერდებში...

ვაჟა რომ სახლში შევიდა, ნატო უკვე თავის ამოჩემებულ კუთხეში იჯდა, ღუმელს

უკან შეყუჟული და ნიგნს კითხულობდა. თავიც არ აუწევია – ემდუროდა მამას.

„აჰა, ესეც ვერ შემოვირიგე, მესამე დღეა... ყველა მე მეჯიბრება!"

გაგულისებული ვაჟა ერთი წუთით შედგა ცეცხლთან. ხელები წაუშვირა სითბოს. მერე კი თავის ოთახში გავიდა უსიტყვოდ. მართლა შეციებული იყო. აძაგძაგებდა. სველი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა და რაიმე თბილი, ძალიან თბილი მოეძებნა.

ხელში ღუნღულა შალის სვიტერი მოჰყვა. გაშალა და დააკვირდა. ზედ, უბრალო ორნამენტებში, აქა-იქ ირმებიც იყო ამოქსოვილი, თეთრი და ხასხასა ნითელი ძაფით.

ეს სვიტერი, სანამ ნატო დაიბადებოდა, მანამდე უყიდა ცოლმა. აი, ახლა ყველაფერი მოაგონდა: თავისი სტიპენდიით გაუკეთა საჩუქარი (მაშინ ორივე სწავლობდა).

ფუმფულა, სასიამოვნო შალში ჩარგო სახე. წლებია, აღარ ჩაუცვამს – მას მერე, რაც ცოლი მოუკვდა. იმ დღიდან კი, აგერ, რამდენმა დრომ განვლო...

– ნატო!.. ნატოო!.. – ისმოდა ჭიშკრიდან.

ვაჟა გვიან გამოერკვა.

– გახედე, ერთი, ვინაა! – გასძახა შვილს.

იმას ჩამი-ჩუმი არ გაულია.

ვაჟამ საჩქაროდ გადაიცვა სვიტერი, გამოვიდა და ნახა, რომ ნატო შეშინებული ატუზულიყო ფანჯარასთან. ოდნავ გაწეული ფარდა ხელით ეჭირა.

– ჩემი დამრიგებელია, – თქვა ნაღვლიანად. – მე ვერ გავალ.

დამრიგებელი აღმოჩნდა სულ ახალგაზრდა გოგო, მეტისმეტად ფერმკრთალი, სიცივით გადატკეცილი სახით. თავზე ეხურა უბრალო ნაქსოვი ქუდი. კართან ტალახიანი ფეხსაცმელები გაიწმინდა (ვაჟამ წინ გამოატარა) და ეს ქუდი რომ მოიხადა, ოთახში უცაბედად ზაფხულის ველური ყვავილების სურნელი დატრიალდა, ხოლო თმა ნამდვილი თაფლის ფერი ჰქონდა. აი, რა აცოცხლებდა. სხვა, იქნებ, არც არაფრით იყო მიმზიდველი.

ნატო თავჩაღუნული იდგა, იკვნეტდა ტუჩებს და ნელ-ნელა კარგავდა ფერს – თითქოს დამრიგებლის სასარგებლოდ, რომელსაც პირიქით, ჩქარა აუვარდისფერდა სახე ცეცხლთან.

– მეორე კვირაა, სკოლაში არ უვლია, – აღელვებით ეუბნებოდა იგი ვაჟას, – როგორც გავიგე, ავად არ არის... და აბა, რაშია საქმე? არდადეგები ხომ ჯერ არ დაწყებულა...

ვაჟა გაჩუმებული უსმენდა. ან, რა უნდა ეთქვა – დილით გადიოდა სახლიდან და საღამოს ბრუნდებოდა – საიდანღა უნდა გაეგო, თუ ნატო სკოლაში [illegible]? ყველაზე უცნაური კი ის იყო, [illegible] (ეს [illegible]ელიც), რომ შვილს თვითონვე ვერ უსწორებდა თვალს.

ამან ცოტათი დამრიგებელიც დააბნია.

– რა ხდება? – მიუბრუნდა ახლა ნატოს. – იმედია, ორშაბათიდან ივლი... ჰა, ხომ მოხვალ?

ნატოს, ისე ემჩნეოდა, წამების მუქარითაც ვერ ამოადგმევინებდნენ ენას, მაგრამ ბოლოს მაინც უპასუხა ძლივსგასაგონი ხმით: მოვალო.

– ასე იყოს, გენდობი. – წამოდგა დამრიგებელი. – მხოლოდ, არ მომატყუო. შენ ხომ იცი – ტყუილს ვერ ვიტან... და სკოლაში უფრო დანვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, რაც განუხებს, კარგი?

– კარგი. – ცოტა გამოცოცხლდა ნატო და ხელი ჩაავლო ხელში (ახლა ორივე თითქმის ერთი სიმაღლისა ჩანდა). – დარჩით... ცოტა ხანს დარჩით, ქეთი მასწ... ცხელ ჩაის მოგართმევთ. აი, ალუბლის მურაბით. თქვენ ხომ გიყვართ...

მასწავლებელი ჯერ უარობდა: გვიანია, სადაცაა დაღამდებაო, მაგრამ ცოტა ყოყმანის მერე დათანხმდა. რაღაცნაირი იყო – პატარა ბავშვივით. მის თვალებში თანაბრად წაიკითხავდით სიჯიუტესა და დამყოლ ბუნებას. თვალები კი წრფელი ჰქონდა...

დიდი სიამოვნებით ხვრეპდა ჩაის და ერთი ცალი დილანდელი, გაციებული შაქრიანი ბლინიც შეატანა (ეს კი ძალიან მორიდებით).

ვაჟას გაგონილი ჰქონდა, რომ იგი მდგმურად იდგა მარტოხელა მოხუც აღათისთან და ახლა იფიქრა: ვინ იცის, ეგება, ხშირად სანახევროდ მშიერიც იძინებდესო.

თითებიც ისეთი თხელი ჰქონდა, თითქოს ლანდი გასდიოდა.

ის კი არ შეუმჩნევია, რომ მასწავლებელმაც თავის მხრივ რამდენჯერმე შეავლო ყურადღებიანი და სწრაფი მზერა და ყოველ ჯერზე უფრო გაოცებული უხდებოდა თვალები.

და არც ერთს არ შეუმჩნევია, როგორ ჩამობნელდა...

(მართლაც, ძალიან მალე ღამდება დეკემბერში)

– ოი! – წამოიძახა ბოლოს მასწავლებელმა. – კიდევაც დაღამებულა!

– ნუ გეშინიათ, გაგაცილებთ. – კარებამდე მიჰყვა ნატო.

მასწავლებელმა შორს დაიჭირა: – არა, არა რას ამბობ! გაცივდები, წვიმს... – და საჩქაროდ ისევ ჩამოართვა სკოლაში მის-

ვლის პირობა. მერე მოიხვია შარფი, ქუდი კი რატომღაც ჯიბეში შეინახა. აქ მიუახლოვდათ ვაჟა. უკვე ჩაეცვა ლაბადა. რეზინისა ალარა. სხვა. საგარეო...

მასწავლებელი უხერხულად გაჩერდა. ნუ შეწუხდებით, — ერთი კი ჩაილაპარაკა, მაგრამ ვაჟა უკვე გამოვიდა გარეთ, წვიმაში.

წვიმით კი ისევ უნიათოდ წვიმდა — შეპარვით, სრულიად უხმაუროდ...

დამრიგებელმა ერთიც მოიხედა უკან. მოეჩვენა, რომ ნატო ულიმოდა. განათებული კარის ღიობში სახე არც უჩანდა, მაგრამ ნამდვილად დაინახა მისი ღიმილი... ხოლო წინ ეს უცხო კაცი მიაბიჯებდა, რომელიც ისე აუწერეს, ცოტა შეაშინეს კიდევაც. აი, იგი მობრუნდა, გაულო ჭიშკარი და დაელოდა, რათა შემდეგ ფრთხილად გაჰყოლოდა გვერდით.

სრულებითაც არ ჩანდა საშიში, პირიქით, ასე გულმშვიდად, ნეტავი, ვის სიახლოვეს უნდა ეგრძნო თავი... და მერე რა, რომ ძალიან ბნელოდა, ხოლო ისინი დუმდნენ. ახსოვდა მისი სახეც — გაუპარსავი, დაქანცული, შეშუპებული უპეებით, ჯავრიანად გამომეტყველი თვალებით, ოღონდ, ძალიანაც გულმისასვლელი, ლამაზიც კი...

როცა გავიდნენ წყვილი მოცისფრო ლამპიონით განათებულ შარაზე, დამრიგებელმა თავი ასწია და კიდევ ერთხელ ცნობისმოყვარედ შეათვალიერა თავისი უენო გამცილებელი, მაგრამ აქ მოულოდნელად შეხვდა საპასუხო მზერას და ამან ისე შეაშფოთა, რომ უარესი რაღა შეიძლება...

— ნატო ყველაზე ნიჭიერია! — წამოიძახა სასწრაფოდ, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებდა. — ვიცი, მასწავლებელი ამას არ უნდა ამბობდეს, მაგრამ ნამდვილად ასეა... და თუ სკოლაში არ ივლის, საშინელება იქნება... მართლა, მართლა! — და მაშინვე გაიფიქრა: „რა სისულელეებს ვლაპარაკობ... ამაზე მეტი საშინელება რაღა იქნება!"

ვაჟამ მხოლოდ ოდნავ შეარხია მხრები. ის დააკვირდა ამ უცნაურ მასწავლებელს, ტუჩებდაბუსხული რომ აწვალებდა ყელზე ორ რიგად შემოვლებული გრძელი კაშნეს ბოლოებს (ისეთი პატარა ჩანდა და ერთდროულად სერიოზულიცა და სასაცილოც) და რაკი არ იცოდა, მაინც რანაირად უნდა მოქცეოდა, ამიტომ გაულიმა — როგორც გაულიმებ კაცი ხელისგულზე დასმულ აბუზულ ჩიტს — და მერეღა უთხრა ის სიტყვები (სრულიად არაშესაფერი... თუმცა, ვინ იცის):

— ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი კარგი მასწავლებელი... მართლა, მართლა...

აღარ წვიმდა. თითქოს, არც ძალიან ცოდა.

ვაჟა დაემშვიდობა დამრიგებელს, მოხუცი აღათის სახლთან და დაელოდა, სანამ იგი არ აირბენდა კიბეს, მერე კი ნელა გამოუყვა გზას. დაღლილობამ სულ გაუარა. ნაბახუსევივით უვლიდა სასიამოვნო ჟრუანტელი.

ერთბაშად იგრძნო, რომ ვიღაც მოსდევდა. ჩუმად ედგა კვალში... მოიხედა და ძაღლი შერჩა ხელთ.

— კენტი!

ძაღლი შეჩერდა. ველარ ბედავდა მიახლოებას. სიბნელეში მხოლოდ მისი თვალები ბჟუტავდა ნაკვერცხლებივით. სარივით დაესო ერთ ადგილას, ვიდრე პატრონმა არ დაუყვავა და ალერსით არ მიიხმო.

— ასე შეუმჩნევლად როგორ გამომყევი სახლიდან... გეგონა დავიკარგებოდი? — ეუბნებოდა ვაჟა. — იფიქრე, ისევ დათვრა და წავიდა, გაეტიაო, არა?

ძაღლს მთელი ტანი უთრთოდა.

— სანადიროდ უნდა წაგიყვანო, შე ბებერო, — კვლავ უთხრა ვაჟამ და იქვე გაიფიქრა გაოცებით: „მაინც, რა არის. საკმარისია, შეგხვდეს ვინმე, ცოტათი რომ განსხვავდება ამ ერთფეროვანი სახეებისგან და ცხოვრება უცებ აღარ გეჩვენება ისეთი უაზრო... მერე ეს უცნაური ადამიანი ორ სიტყვას გეტყვის — დიდი არაფერი — ზოგჯერ მთლად გულუბრყვილოდ და ეს სიტყვებიც გათბობს ცივ ღამეში..."

აივანზე, ტალახიანი ბათინკები რომ მიჰყარა, ვაჟამ თვალი შეასწრო ფეხსაცმელების კუთხეს. დარეცხილ-დაწმენდილებს აქ ალაგებდა ნატო. არადა, სულ ძველმანები კი იყო. ყველაზე წინ ეწყო გოგონას ყავისფერი ჩექმები — გვარიანად გაცვეთილი, ძირგადალეული. ერთს მთლად ამძვრალი ჰქონდა ლანჩა. აბა, ამითი, როგორ ივლიდა სკოლაში...

ნატოს ეძინა. ბალიშზე ედო სქელი წიგნი და ამ წიგნს ეხუტებოდა ლოყით. მამამ ფრთხილად გამოაცალა, დახედა. მთლად შემოფლეთილ ყდაზე სათაური არ ირჩეოდა. მერე ჩააქრო სინათლე და სანამ გავიდოდა, კართან შედგა, რათა დარწმუნებულიყო ბავშვის გულიან, მშვიდ ძილში.

●

ხოლო მასწავლებელი იჯდა საწერ მაგიდასთან. ღამის პირველი საათი ხდებოდა უკვე, ის კი ასწორებდა რვეულებს. თავისუფალ თემას, რომელიც დაწერეს მეთერთმეტე კლასელებმა, ერქვა „სასიყვარულო ბარათები გუშინ და დღეს". აი, ასე — პრეტენზიული, გრძელი და ცოტა

მოულოდნელიც... მაგრამ მასწავლებელს მტკიცედ სწამდა, — ბავშვებს სიყვარულზედაც უნდა ვესაუბროთ და თუ მაინც ვინმე შეედავებოდა, თავისი რწმენის საფუძვლიანობის ყველაზე საუკეთესო დადასტურებად მოიტანდა იმ უბრალო ამბავს, რომ მეთერთმეტე კლასელებს უკვე გავლილი ჰქონდათ ვეფხისტყაოსანი (და ეს ხომ, ნამდვილად, არც ისე უბრალო ამბავი იყო).

ოღონდ ახლა, როცა კითხულობდა ერთიმეორეზე უფრო გაუგებარ, თან კი მაინც ერთფეროვან თხზულებებს, ფიქრობდა: ეგებ სჯობდა, სხვა თემა მიმეცა დასაწერად, ვთქვათ — სამშობლოზე, მეგობრობაზე, ან სულაც, რომელიმე ცნობილი ნაწარმოების გმირთა შედარებითი დახასიათებაო.

არც ერთი არ იყო თავისუფალი მსჯელობის მაგალითი, არც ერთ მათგანში არ ჩანდა თუნდაც მონახაზი მისი ავტორის ხასიათისა და გულწრფელი გრძნობებისა. ისინი არასოდეს გასცემდნენ თავს, არასოდეს...

„მე კი, — გაიფიქრა მასწავლებელმა, — ხელად დამემჩნეოდა სახეზე, რას ვანვიცდი... აი, თუგინდ დღეს... — აქ ის შეკრთა. — ღმერთო ჩემო, მგონი, არ ტყუიან ბავშვები. ისინი უბრალოდ არ ისვრიან სიტყვებს და... ალბათ, არც ისე უმნიშვნელო ნიჭია, ვინმეს უფრო ძლიერად მოაჩვენო თავი, ვიდრე სინამდვილეში ხარ".

მან გადაფურცლა თხელი რვეული და უკმაყოფილოდ შეჰყარა წარბები, როცა თვალი გადაავლო ფრაზას, უკვე მეოთხედ რომ ხვდებოდა თხზულების დასაწყისში: „მეცხრამეტე საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული სასიყვარულო მიმოწერა, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები ერთმანეთს აგებინებდნენ თავიანთ გულის საწადელს..."

შემლოცველი

ზაფხულის ცხელ დღეს ახალგაზრდა ქალმა წყაროსთან ჭურჭელი გამოიტანა დასარეცხად. ეს კამკამა, ცივი წყალი მუხის ჩრდილში, წითელი ნიადაგიდან ამოსჩქეფდა, ზიგზაგებით მიედინებოდა თიხნარ მიწაზე და მერე ნელა იკარგებოდა იქვე ახლოს ჩამავალი ღელისკენ.

თურმე ხის ტოტზე ვეებერთელა უხსენებელი იყო განაბული. უეცრად ტოტს მოსწყდა და პირდაპირ სპილენძის ქვაბში მოადინა ტყაპანი.

ქალმა კივილით მიჰყარა ჭურჭელი ხელიდან. უხსენებელს არ უკბენია, მშვიდად გასრიალდა და მიიმალა შეყვითლებულ დაბალ ბალახში, მაგრამ საწყალი ქალი კი გონს ვერაფრით ვერ მოიყვანეს. დარჩა გაშეშებული.

ღამით საშინელი ხურვება დაეწყო. გაფართოებული შეშლილი თვალებით რომელიმე წერტილს მიაჩერდებოდა და ყვიროდა. ეტყობა, გველი ხან სად ელანდებოდა, ხან სად.

ასე გავიდა თითქმის ერთი კვირა. სოფლის ექიმის დამამშვიდებელმა ნემსებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. იმანაც ხელი ჩაიქნია — ეს უკვე სიგიჟის ნიშნებს ჰგავდა...

და აი, მაშინ ვიღაცამ თქვა: ლასიონს დავუძახოთო.

გამშრალ, ხმაგაკმენდილ ქალის მშობლებს გამოცოცხლება დაეტყოთ.

მოიყვანეს მოხუცი ქალი. ოთხმოცს გადაცილებული იქნებოდა უკვე. თალხი, გახუნებული, მაგრამ ძალიან სუფთა ტანსაცმლით, ფაქიზად თავწაკრული. არც ძალიან გამხდარი ეთქმოდა, არც მსუქანი. რაღაცნაირი, ღირსეული მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ოდნავადაც არ ემჩნეოდა დედაბრული სისუსტე.

მონაცრისფრო-რუხი თვალების კეთილ და ჭკვიანურ მზერაზე მიხვდებოდით, რომ ამ თვალების პატრონს ბევრი რამ ეხილა, ბევრი გამოეცადა — ვერაფრით გააკვირვებდი...

მოითხოვა: ვერცხლის თასით სუფთა წყალი, თეთრი ტილო, ნახშირი, ხისტარიანი დანა... ჩამოაფარებინა ოთახში ბნელი ფარდები.

ნემსებით გათიშულ ავადმყოფს ჯერ კიდევ ეძინა. ჩამოუჯდა სასთუმალთან. პატარა შუშიდან რაღაც ნვეთები შეურია წყალს. შიგ მალი-მალ ასველებდა ტილოს და აფენდა თვალებზე, შუბლზე...

ჩანდა უაღრესად დინჯი. არა, დინჯი კი არა... ხომ გინახავთ ქალები — მარდი, ხელგამოსული — ყველაფერს მაინც დარბაისლურად რომ აკეთებენ.

ხოლო, როცა საწოლში უძრავად მწოლი შეირხა და თვალები კვლავაც დაფეთებულმა გაახილა, ლასიონმა გრილი ხელები მოავლო საფეთქლებთან, წამოაყენა და მკერდზე მიიხუტა მისი თავი.

ოთახში ერთი პატარა თაფლის სანთელი ენთო. სანთელი სუსტი ალით იწვოდა და ნაზი შუქით ანათებდა აქაურობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახელითა ღვთისა — მამისა, ძისა, სულისა წმინდისა!

ლოცვა შეშინებულისა...

ათასფერი კაცისაგან, ათასფერი ქალისაგან... ბავშვისაგან, მამლისაგან, ძაღლისაგან, ურჩხულისაგან...

გულო, მოდი შინა-შინა...

გულო, რამაც შეგაშინა...

გულო — მამლის ყივილმა შეგაშინა, ძაღლის ყეფამ შეგაშინა, გველმა შეგაშინა, კაცმა შეგაშინა, თოფმა შეგაშინა, რამაც შეგაშინა — მოდი, გულო, შინა-შინა... ჩადექ, გულო, შინა-შინა...

გარეთ, აივანზე, ჩამრთველები ააჩხაკუნეს. მერე ლამფა შემოდგეს. სალამოვდებოდა...

ავადმყოფი ნელა მიესვენა ბალიშებს.

— დაწექი, დაწექი. — ალერსით უთხრა ლასიონმა. — ავი სიზმარი ნახე... რა უჭირს მერე, წყალმა წაილო. — და ნახშირით ჯვარი გამოსახა შუბლზე. — ახლა კი დაიძინე. უკეთეს სიზმარს ნახავ.

ქალმა შვებით ამოიოხრა. მორჩილად დახუჭა თვალები და ძილ-ბურანში თითქოს ძალიან შორიდან ესმოდა:

„სახელითა ღვთისა — მამისა, ძისა, სულისა წმინდისა!..“

კიდევ ერთი ლოცვა შეშინებულისა, მომდევნო დღეს და ქალი სავსებით განიკურნა, ისე, რომ კვალიც აღარ დარჩა უწინდელი შიშისაგან.

ახლობლები ცას ეწეოდნენ სიხარულით.

ქალის დედა ხელებს უკოცნიდა ლასიონს.

ის კი: სამადლობელი ამაში რაა? — ნელი ღიმილით აქნევდა თავს.

სუფრა გაუშალეს. ცოტას ჭამდა. ბევრს ეწეოდა. უფილტრო, მაგარ პაპიროსს, მოვერცხლილი ძველებური მუნდშტუკით...

მერე საათი იკითხა — ბადიშები უჩემოდ არ ივახშმებენო.

და წავიდა. გაჰყვა ბინდში გამოხვეულ შარაგზას. გაცილებაც არავის დაანება.

— უკვე ბნელდება, ლასიონ ბებია!

— რა უჭირს მერე, ნენა...

●

ცხრისა თუ ათისა დაობლდა. სამადლოდ ხან წვრილშვილიან მამიდასთან იყო შეკედლებული, ხან ბიძები შემოისვამდნენ ცხენზე და ორი-სამი კვირით მიჰყავდათ თავისთან. იქვე, მეზობელ სოფელში ცხოვრობდნენ.

რა ვიცით ბიცოლების შეფარული ათვალწუნების შესახებ?

ბევრი არაფერი.

თვითონ მხოლოდ იმას იგონებდა, როგორ ისმენდა შუაღამისას ცოლ-ქმრის წალაპარაკებას:

— დისშვილია ჩემი, შე დმერთგამწყრალო... აბა, რა ვუყო?

— ოთხი მოშიებული შვილი ... კიდევ სარჩენი გვინდოდა? და-ძმებიანად მოგეყვანა ბარემ!..

წყვდიადს მიჩერებული თვალების დახამხამებასაც ვერ ბედავდა. მერე, ხმები რომ მინყდებოდა, ჩუმად ღვრიდა ცრემლებს, დაკონკილ ქვეშაგებში სახეჩარგული.

ბოლოს, ბედმა გაუღიმა თითქოს — უშვილო შორმა ნათესავმა მოკიდა ხელი და ქალაქში ნაიყვანა: გავზრდი, ვუპატრონებო.

მოსამსახურედ დაიყენეს...

ერთხელ, ქუჩაში, კოხტად ჩაცმული რუსი სამხედრო გამოელაპარაკა.

რუსული არ იცოდა. თავი დაღუნა და რაც შეეძლო, აუჩქარა ფეხს.

ის კი სახლამდე მიჰყვა. დადგა ჩუმად სადარბაზოში და იყო... იდგა იმ დღეს. მეორე დღესაც...

ვინაა ეს აფიცერი, რა უნდაო, — ჰკვირობდნენ.

ოფიცერმა კი დღის ბოლოს წკიპურტით გაისროლა სანაგვეში უკანასკნელი პაპიროსის ნამწვი, აუყვა კიბეს და მტკიცედ მიუკაკუნა რკინის მოჩუქურთმებულ კარს.

ლასიონი ნამონითლდა ამ კაცის დანახვაზე. ცოტა ხანს დაბნეული იდგა, მერე კი სამზარეულოს მიაშურა — აქ იყო მისი ადგილი.

მალე დაუძახეს. არანაკლებ დაბნეულები ჩანდნენ.

შენს თავს თხოულობსო, — გადაუთარგმნეს რუსის ნათქვამი — თანახმა ხარო?

როგორც იქნა, გაბედა: თვალებში შეხედა ამ მაღალ, ძალიან მაღალ, სრულიად უცხო ადამიანს და აცრემლებულმა, ღიმილით დაუქნია თავი.

მაშინ თოთხმეტი წლის იყო.

ხუთი შვილი შეეძინათ.

ცხოვრობდნენ ხარკოვში.

ეს იყო ოციანი წლები. პანკრატოვები — ნათავადარები — გვარიანად გაღარიბებულიყვნენ უკვე, მაგრამ ლასიონისთვის ამათი ცოტა მაინც ბევრს ნიშნავდა.

ჯერ ქალი გაუჩნდათ, მერე ორი ვაჟი — ერთმანეთის მიყოლებით. ბოლოს, კვლავ ქალები.

ძალიან შეხმატკბილებით ცხოვრობდნენ. ბავშვები ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ ქართულს.

კარგა ათი წელიც იყო გასული, რაც დაქორწინდნენ და რაკი შეატყო, რომ ქალს თხოვნისა ერიდებოდა, ვიქტორმა თვითონ ჩამოუგდო ლაპარაკი: ამდენი ხნის უნახაობის მერე, ნუთუ გული და-ძმისა და მოკეთეებისკენ არ გეწევაო. ჩასხა ცოლ-შვილი მატარებელში და ხუთდღიანი დამქანცველი მგზავრობის მერე ჩამოვიდნენ თბილისში.

ქარიანი დილა დახვდათ. იქედან ახლა სხვა მატარებელში ჩასხდნენ.

გაიტანჯნენ გზაში, მაგრამ ბავშვებს მაინც ყოჩაღად ეჭირათ თავი. მოსწონდათ ეს ახალი სამშობლოც. ფანჯრებს მიღმა მიმქროლავი ოქროსფერ-რუხი სანახები მართლა გულისამაჩუყებლად ლამაზი ჩანდა.

სოფელი გამოცვლილი ეჩვენა ლასიონს. ველარ გარკვეულიყო, კარგი იყო ეს ცვლილება თუ ცუდი.

უმცროს ძმას პატარა ოდა გაემართა. ცხოვრობდნენ ხელმოკლედ, მაგრამ არა ღატაკურად. რაც გაეწყობოდა უმასპინძლეს ამ მოულოდნელსა და ძვირფას სტუმრებს.

საერთოდ გულლია ვიქტორი ხელად გაშინაურდა აქაურებში. იმათაც, მაშინვე ბიქტორად მონათლეს — ყოველივეს გარდაქმნის მოყვარე გურულებმა.

სამი კვირის თავზე — საღამოსპირი იყო — ახლო მეზობლებში ჩხუბი ატყდა. ამათ (ბიძაშვილებად ერგებოდნენ ერთმანეთს) გაუთავებელი დავა ჰქონდათ მოსაზღვრე მიწის თაობაზე.

ხმაურზე ვიქტორი იქით გაიქცა, თან გზადაგზა იკრავდა ტყაპუჭს. ქარი ეკლებივით წვიმის წვეთებს ასხეპავდა სახეში.

მოჩხუბრები უკვე მოსაკლავად ინევდნენ ერთმანეთზე. სხვებთან ერთად ვიქტორიც ჩადგა შუაში და ის იყო — გამეტებით მოქნეული ნალდი მოხვდა თავში.

შუაღამისას, გონსმოუსვლელად დალია სული.

მეორე დღეს დაიწყო თოვა. ითოვა და ითოვა შეუჩერებლივ.

თოვლის ქვეშ ძლივს გაჭრეს სამარე.

მიცვალებულს შეხვეულ შუბლზე აცვიოდა გაუთავებელი თოვლი...

●

ის ზამთარი რა... იმ ზამთარს იყვნენ სხვისას შეხიზნულები. ადრე გაზაფხულზე კი, პატარა ნაკვეთი რომ გამოუყო სოფლის საბჭომ, იმ ადგილში შემოლობა ფაცხა.

სულ უმცროსი გოგო — ძუძუთა — ყელჭირვებით გაუხდა ავად და გიჟს ჰგავდა: „აღარ ვიგლოვებ იმას, რაც იყო... მხოლოდ შვილები მყავდეს კარგად!..."

ვერ ნახავდით უბრალოდ გაჩერებულს. მოაშენა ეზოში ყოველნაირი ხეხილი. ბარავდა, თესავდა, რგავდა... ოღონდ ბავშვებს არ მოშიებოდათ, ოღონდ იმათ არ შეციებოდათ.

მეორე წელს ვერ იცნობდით აქაურობას.

დაისვა აბრეშუმის ჭიაც. ბუოლის ფურცლისთვის სად აღარ გადადიოდა. ბავშვები უფროს გოგოს ჰყავდა დატოვებული.

იმ ზაფხულს ჩამოვიდნენ მულები. მათ ნირი ეცვალათ ლასიონის დანახვაზე: ვიღაც უცნობი, მკაცრი სახის ქალი ედგათ წინ.

უკან დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. იცოდნენ, ლასიონის ახლა ალაფსად არ იყო ნამსვლელი. [illegible] ... მხოლოდ უფროსი ბავშვის წაყვანა კი მოინდომეს — „უკვე თორმეტი წლის იყო, გაძლებდა უდედოდ (ან იქნებ, იმიტომაც, რომ ეს ყველაზე მეტად ჰგავდა მათ ძმას). იქ მიაღებინებდნენ განათლებას. მერე კი ჩამოვიდოდა ისევ უკან, რაღა თქმა უნდა...

წუთით არ შეყოყმანებულა. მონატრებას როგორ ვერ გაუძლებდა, თუკი ეცოდინებოდა, რომ შვილი კარგად ჰყავდა.

— ასე სჯობია შენთვის, შვილო. — იმ ღამით უმცროსები სხვაგან გადაიყვანა და ეს ეწვა თავის საწოლში.

— ჰო, დედი, ჰო!.. — ყველაფერი უთქმელადაც ესმოდა. ჭკვიანს, დამჯერს...

გამოთხოვებისას დედის მარჯვენა ტუჩებთან მიიტანა და ხელისგულზე აკოცა.

მერე მუდამ ახსოვდა ეს კოცნა. გვიან, ძალიან გვიან, წლების შემდეგაც, მძიმე ჯაფით გადაღლილი, დაბუჟებულ ხელს გაშლიდა და ეჩვენებოდა, თითქოს აქ, ხელისგულზე გადიოდა ყველა ნერვი, ყველა ტკივილი აქ იყო თავმოყრილი და ნელა ფეთქავდა...

რა წლები იყო მაინც... უნდოდათ თუ არა... შეეძლოთ თუ არა — ქალები გამთენიიდან დაბინდებამდე კოლექტივის მინდვრებში იყვნენ გასული თავაუღებლივ სამუშაოდ.

ახლა ლასიონის უმცროსი გოგოები ჩაის ბუჩქებთან გაშლილ ჭრელა-ჭრელა საბანზე თამაშობდნენ წყნარად. ბიჭები კი დედის გვერდით, პატარა ხელებით კრეფდნენ ფოთოლს. ხან ცივი წყალი მოჰქონდათ სიცხით გასავათებული ქალებისთვის...

ერთ ღამეს, დაქანცულს, მკვდარივით ეძინა, მაგრამ მაინც გამოაღვიძა რაღაც უცნაურმა ხმებმა. გულმა რეჩხი უყო: ბიჭებმა ძილში ლაპარაკი არ იცოდნენ.

თერთმეტი წლის ვანო სიცხით იწვოდა...

ძმრით ზელდა და თან საყვედურობდა: — ალბათ, გაოფლილმა გაყინულ მდინარეში იბანავე... დაუდევარი ხარ, შვილო, დაუჯერებელი...

რამდენიმე დღე ისე გავიდა, ბავშვს გამოკეთების არაფერი ეტყობოდა. მთლად მიგდებული, გონება-დაბინდულივით იწვა და რაღაც ვერცხლისფერ ჩიტებსა და ჰაერში აფრენილ ბურთზე ლაპარაკობდა. ფერშალმა მუცლის ტიფი დაუდგინა.

ვერაფერი უშველეს...

მამის გვერდით გაუჭრეს სამარე.

სასაფლაოდან დაბრუნებულმა ლასიონმა ხელის შეშველება არავის დაანება. მარტო მიდიოდა, გამართული. ჩქარობდა კიდევაც სახლისკენ, რადგან უფროსი ბიჭი წინა დღეებში ჩაწვა. იგივე ნიშნები... იგივე

სისუსტე და ჩივილები... იგივე საზარელი წინათგრძნობა, რომელიც ელვის სისწრაფით — ორიოდე დღეში ასრულდა.

შოთა ცამეტისა იყო...

ამჯერად თითქმის უგრძნობლად გადმოიტანეს სასაფლაოდან.

„მომეცით რამე!.. ნუთუ არაფერი არ არსებობს ამ საშინელი ტკივილის გასაყუჩებლად?"

პატარა გოგოები, შეშინებულები ეკიდნენ კალთაზე.

სახლის ღია კარს ვერ გადააბიჯა. აღარ შეეძლო იქ შესვლა და სამსაფეხურიან კიბეზე მისვენებულს, კაცებმა (როგორც კაცს) გაზეთის ქაღალდში გახვეული თუთუნი მიაწოდეს.

რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ...

ოცდაჩვიდმეტდტში, ლასიონის ძმა რომ წაიყვანეს, მართლა ხუმრობას ჰგავდა — ერთი უთქმელი, საწყალი გლეხი იყო... მერე მისი ცოლიც გადაასახლეს და მოდი, ნუ შეგეპარებოდა ეჭვი — ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა თუ ცხადში?

ძმის სამი ობოლი შერჩა ხელზე ლასიონს.

ზოგჯერ ხედავდნენ, ბავშვებთან ერთად რომ მიუყვებოდა რკინიგზის ლიანდაგებს. გარდი-გარდმო მეჩხერი ტყე იყო. რაღაც ბალახებს კრეფდა, ახმობდა...

მალე გაითქვა სახელი თავისი ნამლობით. მარტო შეშინებულსა და გათვალულს კი არა, ცოფიანი ძაღლის დაკბენილსაც კურნავდა — ერთი და ორი კი არ გადაარჩინა საშინელ აღსასრულს.

უებარი იყო მისი მალამო დამწვრობისათვის. არჩენდა ყოველგვარ დაჟეჟილობას...

სწორედ, იმ დღესაც პატარა ბიჭი ჰყავდათ მიყვანილი — ნაღრძობ, საშინლად გასიებულ მკლავს უსინჯავდა — რომ დაუძახეს. ფოსტალიონი იყო. თორმეტი წლის უნახავი ქალიშვილის წერილი მიუტანა.

ყოველთვის მოუთმენლად ელოდა მის ამბავს, მაგრამ რასაც ახლა ატყობინებდა, ვინ წარმოიდგენდა: სწერდა, რომ დანიშნული იყო, სადაცაა, გამოცდებს მორჩებოდა, ექიმის დიპლომს აიღებდა და ახალშერთულ ქმართან ერთად ეწვეოდა — შენი სასიძოც ექიმია და ნუღარ გეშინია, აწი არაფერს გაგიჭირვებთ, დედიო...

ამდენი წლის მერე, პირველად გამოუშუქდა გული ნამდვილი სიხარულით. ის ერთი კვირა ფრთებგამოსხმულივით იყო. იერი მთლად უცვალა სახლს. კედლებიც ჩამორეცხა. წმენდდა, ფერთხავდა, აკრიალებდა ყველაფერს.

კვირის თავზე კი...

კვირის თავზე, საღამოთი, მეზობლები ფრთხილად, თითო-ოროლად მოგროვდნენ მის ეზოში. დეპეშის გადაცემა კვირის გასულიყო.

მიხვდა.

ბავშვები ატირებულები მოეხვივნენ, რადგან ერთ წუთში გაუთეთრდა თმა.

— ნუ გეშინიათ, მე არაფერი მომივა, — დაუყვავა ამათ. მეზობლებს კი სთხოვა:

— ნურაფერს მეტყვით... თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ახლა არაფერი არ მითხრათ...

ისინი დაემორჩილნენ. ნელ-ნელა, უხმოდ გავიდნენ ჭიშკრიდან.

მხოლოდ მოგვიანებით მოსწერეს მულებმა, რაც მოხდა. წერილთან ერთად გამოუგზავნეს ქალიშვილის ნაწნავი და ერთი აბრეშუმის კაბა — თეთრი საყელოთი გაწყობილი. კაბას სუნამოს მიმქრალი, ნაზი სურნელი სდიოდა.

წერილი ცეცხლს მისცა, მაგრამ წაკითხული მეხსიერებიდან ვერ ამოშალა დასულ აფორიაქებდა ის სიტყვები...

●

„სახელითა ღვთისა — მამისა, ძისა და სულისა წმინდისა!..

ლოცვა ნათვალევისა...

ამის ავი თვალით შემხედვარეს — სულსა ნაცარი, გულსა ლახვარი..."

ასე სწერია გასანთლული კოჭის ძაფით აკინძულ ძველ რვეულში.

ლასიონი უკვე ოც წელზე მეტია რაც აღარ არის.

ახლა აღარავის სჯერა შელოცვაც.

ცოფს ვაქცინებით კურნავენ, შიშსაც წამლებით ხსნიან კაცს. ნათვალევს კი... განა სასაცილო არ არის ჩვენს დროში, ავ თვალზე ლაპარაკი?

მაგრამ რა ვუყო ამ ძველ ჩანაწერს... ოდნავ გვერდზე გადახრილ, გაკრული ხელით თითქოს დაბეჭდილ სიტყვებს?

„არგე, ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

არგე ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

არგე ღმერთო, ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

ეს მეორდება უსათუოდ სამჯერ...

და კიდევ — ამ ამბავში არც სახელებია შეცვლილი, არც ვითარების ადგილი თუ დრო... უცნაური სურვილის გამო, ყოველივეს შეულამაზებლად ვყვები. ხოლო თქვენ, ვინც ხშირად მსაყვედურობთ მოთხრობების მწუხარე ბოლოს, გავბედავ და გკითხავთ: განა შემიძლია ვიყო თვით ცხოვრებაზე უფრო სამართლიანი და მოწყალე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი ზეწარი

ბებიას

რად მოგვიწია ასე მე და შენ
საძინებელში ჩაძინებულებს
ყოფნა. რად იყო მაინც ასეთი
დაბოლოება შენი ცხოვრების.
შენს თავთან იდგა კედლის რადიო,
რომელსაც უკვე აღარ უსმენდი,
ამქვეყნიური ხმებისთვის უკვე
შენ ყურისგდება აღარც კი გსურდა,
და არც შეგეძლო. ეგ ვიღამ იცის
ან ვინ იცოდა, ვისღა უნდოდა
სცოდნოდა რამე შენს ჯერარწვეულ
სიკვდილზე... ნუთუ შეიძლებოდა,
რომ ის საერთოდ არ მოსულიყო?
ნუთუ მე მართლა არ მოველოდი?

ოთახში იდგა შენი ავეჯი
ძველი ბინიდან გადმოყოლილი —
კარადა, ტუმბო, სარკე, საწოლი...
გადაცრეცილი და დამტვერილი
და ზაფხულის დღის კრიალა სხივი
პარკეტს ეფინა მალამოსავით.
შენი სიცოცხლეც იცრიცებოდა
მზისსხივებიან მტვრიან ნათელში...
მე კი უჩუმრად თვალს ვადევნებდი
შენი ფანჯრიდან კორპუსებს მიღმა
შრიალა ნაძვებს და იმათ შორის,
იქვე სულ ახლოს, სულ ერთ მტკაველზე
უეცრად ჩავლილ ადამიანებს.
მათ არ იცოდნენ, რომ სიახლოვეს
შენ უკვე უხმოდ ეთხოვებოდი
კარადას, ტუმბოს, საწოლს და სარკეს,
თვალგახელილი ეთხოვებოდი.

იმავე ჭერქვეშ, დაძინების წინ
მე და შენ ხშირად გვისაუბრია
ჩვენს მიტოვებულ სახლის ეზოზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც იდგა ხე ალუბლისა
და ხეიბარი მეწაღე კაცის
მწვანე „მოსკვიჩი“. ის ეზო ჰგავდა
გუმბათმორღვეულ ცარიელ ტაძარს,
გუმბათმორღვეულ ცარიელ ტაძრის
შიგნით ეყარა ხმელი კუნძები,
ხმელი ფოთლები და ნარჩენები,
ეგდო ზარდახშა გადაქლესილი.
შენ იხსენებდი უკლებლივ ყველას,
ვინც ამ ეზოში ადრე ცხოვრობდა,
შენ იხსენებდი და არ ჩიოდი,
ნეტავ ისინი სად წავიდნენო,
რადგან იცოდი, სადაც წავიდნენ.

რა ვიცი აბა, რა უნდა გითხრა,
მაგ სამლოცველოს, პატარა ოთახს
გასაოცარი იერი ჰქონდა.
შენ თავთან გედო პურის ნატეხი
ქილა მაწონი და სავარცხელი,
მაგრამ ამ ნივთებს შენს სიცოცხლესთან
აღარაფერი ესაქმებოდათ.
თვალებს ახელდი და შენი მზერა
სულ სხვანაირი მეჩვენებოდა,
თითქოს შორიდან იყურებოდი
და ახლოს მოსვლა აღარ შეგეძლო.
თითქოს ვიღაცამ აღმართა ზღურბლი,
რომელსაც ვეღარ გადმოლახავდი.
ხანგამოშვებით მოულოდნელად
თვალს ვუსწორებდით წამით ერთმანეთს
და იმავე წამს ვეკრძალებოდით,
რადგან სიკვდილი იდგა ჩვენს შორის
და უხერხულად იშმუშნებოდა.

ბროსეს ქუჩაზე სტამბის კაკუნი –
სტუმრად წვევა და უკან წამოსვლა,
ჩემი ნაბიჯი იყო ბავშვური,
ვიხსენებ ქუჩებს, რომელთაც უკვე
ერთად არასდროს აღარ გავივლით.
ზაფხული იწვა ქვაფენილებზე
უმოძრაო და გვერდმორღვეული.
სად მიდიოდა და სად ეწერა
ამ გზას შეწყვეტა ან დასრულება?
მე მგონი მანდვე, მაგ შენს ოთახში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ შენს პატარა სამლოცველოში,
სადაც ცხოვრების გზაგასაყარზე
ჩვენ ისევ შევხვდით უკანასკნელად.
აბა რა ვიცი, რა უნდა გითხრა,
ღამე, როდესაც უკვე ვწვებოდი,
შევნიშნე მთვარე და არ მჯეროდა,
რომ რეალობა ჩანდა ფანჯრიდან,
როგორც უბრალო ანაქრონიზმი.
შენ კი ხმაწასულს შეგეძლო გმინვით
ჩემი მოხმობა, გადმოძახება.
და შენც გმინავდი შუაღამისას –
ეს გმინვა იყო მდურვაც, ალერსიც,
ჯერარწვეული სიკვდილის წყევლა, –
ხვეწნაც, ვედრებაც, რისხვაც, დათმობაც, –
მგლის ყმუილივით მრავალნაირი.
შენ მე მეძახდი, მე კი სიზმრებში
ვაბამდი ქსელებს ობობასავით,
მერე კი უკვე გამოღვიძებულს
მესმოდა კვლავაც საზარი კვნესა.

რად მოგვიწია ასე მე და შენ
საძინებელში ჩაძინებულებს
ყოფნა. რად იყო მაინც ასეთი
დაბოლოება შენი ცხოვრების.
შენს თავთან ენთო ღამის ნათურა,
რომ სიკვდილი არ წამოგპარვოდა,
ხმაჩავარდნილი რადიოც ზოგჯერ
ღამეში სუსტად არხევდა ჰაერს,
და სიკვდილს ერთად ექიშპებოდნენ
ღამის ნათურა, რადიო, მთვარე.
შიშველ კედლებზე და გობელენზე
თალხი ლანდები იღვენთებოდა.
ახლაც კი მიკვირს, რატომ მეძახდი,
რატომ მიხმობდი ნაშუალამევს,
ვაითუ, შენთვის სულერთი იყო
სისხამი დღე და უკუნი ღამე?

სურაში იდო ერთი მიხაკი,
რომელიც ცისკრის ვარსკვლავს ელოდა,
თვალმიბჯენილი მთვარიან წყვდიადს,
ძაღლების ყეფას ყურმიგდებული,
აბა რა ვიცი, იქ რა ხდებოდა,
ჩვენი პატარა ოთახის მიღმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ვიღაცას ტვინს უბურღავდნენ,
გულს უამებდნენ ან აწამებდნენ,
აბა რა ვიცი, იქ რა ხდებოდა,
როცა მე და შენ ჩაძინებულებს
სიკვდილიც აღარ გვეტევებოდა.
ისევ ისეთი იყო ცხოვრება –
გულსასტიკიც და გულარხეინიც.
ბენზინგასამართ სადგურებისკენ
მიქროდნენ შავი „მერსედესები“.
აბა რა ვიცი, იქ რა ხდებოდა –
უკუნ ღამეში, გზაჯვარედინზე.

მხოლოდ ეს მახსოვს – ელნათურები
კვლავ ციმციმებდნენ თრიალეთისკენ,
როგორც ყოველთვის ახლაც წვეთიწვეთ
თვალებს მიმღვრევდა ცივი სინათლე.
შენ არ გიგრძვნია და არც იცოდი,
რადგან ძალიან შორს იყვნენ შენგან.
და უკვე მათი შუქის ხვეული
მე მაგონებდა ზეწრის ნაკეცებს
შენთვის რომ ჰქონდათ გადანახული
ჩამქრალ სახეზე წასაფარებლად.

ის დღეც ხომ დადგა მრავალტანჯული.

რად მოგვიწია ასე მე და შენ
საძინებელში ჩაძინებულებს
ყოფნა. რად იყო მაინც ასეთი
დაბოლოება შენი ცხოვრების.

ერროვნული
ბიბლიოთეკა

აკო გავაშელი

მოთხრობები

ჰიპოდროომი

(ცხენოსნობის გაკვეთილები მოყვარულთათვის)

I

აბდულა (ხუჭუჭა, შავგვრემანი თათრის ბიჭი) შორიდანვე დავინახეთ. როცა მე და იაჩო მივუახლოვდით, წამოდგა და საჯინიბოსკენ წავიდა. შევყევით.

- რა იცით? - გვკითხა.

- რაღაც-რაღაცეები, - უთხრა იაჩომ.

ბოლო თავლასთან მიგვიყვანა, სადაც დიდრონ-წაბლისფერთვალება ცხენი იყო.

- რა ჰქვია? - ვკითხე.

- ყურძენა.

აღვირი გაუკეთა და გამოიყვანა. მერე აღვირი მე მომცა ხელში, თვითონ კი ცხენს ჯაგრისით დაუწყო ნმენდა. ცხენი დანახვისთანავე ინტერესით გვათვალიერებდა, ახლაც მომჩერებოდა დიდი, ყურძენივით წყლიანი, თბილი თვალებით. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, სულ ახლოს მოვიდა (ამ დროს აბდულა უნაგირს ადგამდა, თასმებს უჭიმავდა). ისევ შემხედა, მერე კისერი წაიგრძელა და კბილები გადმოყარა. „თურმე კბენა სდომებია"-მეთქი, გავიფიქრე და თვალებში შევხედე, ვანიშნე, „შენი სულაც არ მეშინია"-მეთქი. ყურძენა აღებდა და კეტავდა პირს, თითქოს ცარიელ ჰაერს კბენდა და მომეჩვენა, რომ მეთამაშებოდა.

რამდენი ხანია, არ ვმჯდარვარ ცხენზე - იმის მერე, რომ გადმოვვარდი - ჯერ კარგად არ ვიცოდი, მხოლოდ ჩორთით დამყავდა და ხელებით უნაგირს ვეჭიდებოდი. ვიმეტიჩრე და ვილაცის 3 წლის გაუხედავ ულაყზე დავჯექი. ის კი გავარდა! აღვირს ვქაჩავდი, გაჩერების მაგივრად სიჩქარეს უმატებდა. ფიქრის დროც არ იყო, მხოლოდ იმან გამიელვა თავში, გადმოვარდნისას ფეხი უზანგში არ უნდა დამრჩეს-მეთქი, ამიტომ ორივე ფეხი უზანგიდან გამოვიღე, მეგონა, გადმოვვარდებოდი და კარგადაც დავეცემოდი (გულის სიღრმეში სულ მაინტერესებდა, ცხენიდან გადმოვარდნა როგორი იყო), მაგრამ არ ვვარდებოდი (რატომღაც შემეშინდა, ვინმეს არ შევეჯახო-მეთქი), გადმოვხტი და თავით ჩავერჭე მინაში (ჩემმა მეგობარმა ელენემ როცა გაიგო, გაუკვირდა, „თავით როგორ მოახერხე, მე სულ უკანალით ვეცემოდიო"... რა გასაკვირია, ვისაც რა აქვს მძიმე, იმით დაეცემა!).

ამის მერე, ცოტა არ იყოს, დავშინდი. თან რაღაც საქმეებიც გამომიჩნდა და ცხენებისთვის აღარ მეცალა. იაჩო და ლელი კი დადიოდნენ, მწვრთნელიც ყავდათ, რა თქმა უნდა, იაჩო მაჯობებს...

- მე ჟოკეი ვარ, - თქვა აბდულამ, - მოკლე დისტანციაზე გიასაც (მთავარ მწვრთნელს) ვაჯობებ, შორ მანძილებზე კი გია მაგარია!

ყურძენა მანეჟში გავიყვანეთ. „მესერის გასწვრივ ატარე", მითხრა აბდულამ, „ჯერ ნაბიჯით, მერე ჩორთზე გადაიყვანე". ცხენი ადვილად დამემორჩილა, გადავიყვანე ჩორთზე და ვარტყამდი წრეებს. ყველა შიში და კომპლექსი ერთბაშად მომეხსნა, გავთავისუფლდი... გავლაღდი, სწრაფი ჩორთით დამყავდა (უნაგირს თითსაც არ ვაკარებდი). წარმოვიდგინე, რომ კარგი ცხენოსანი ვარ, გურამი ვარ! (შემთხვევით არ იყო 4 ივლისი, გურამის დაბადების დღე). შემხვედრი ქარი მიბერავდა და თითქოს ჰაერში ვეკიდე, ვიხსენებდი, რას განიცდიდა ასეთ დროს გურამი და მეჩვენებოდა, ახლა გურამიც ჩემთან იყო და იგივეს გრძნობდა, რასაც მე!

ადრე სულ მეგონა, ცხენზე რომ თავისუფლად, დაუძაბავად მჯდარიყავი, პროფესიონალიზმი იყო საჭირო. ამ დროს ჩვეულებრივი განწყობილებაც საკმარისი ყოფილა! აღარაფერზე ვფიქრობდი, მხოლოდ „აღტყინებას" განვიცდიდი - თავისუფალი და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი!

აბდულაც მაქებდა, იაჩოზე მეტადაც (ჩემს მერე იაჩო დაჯდა). როცა ვუთხარი, „იაჩომ ჩემზე კარგად იცის"-მეთქი, „არა, რას ამბობო!"

•

მეორე დღეს, გადავაბიჯე თუ არა საჯინიბოს ზღურბლს, ჩემსკენ დიდმა როტვეილერმა ისკუპა. მანამდეც მყავდა ნანახი, ოღონდ შორიდან. ვიცოდი, რომ აქ „მუშაობდა". ჩემს ფეხებთან დახტა და გამაჩერა. იაჩო შემოვიდა, ახლა იმისკენ გაიქცა. ვხედავთ, აბდულა და გია მოდიან.

- გია თქვენ ბრძანდებით? - ვეკითხები. საშუალო ასაკის, გამხდარი, ტანმორჩილი კაცია.

- მე ვარ. აბა მითხარით, რა გინდათ, რა იცით...

- არაფერი არ ვიცით, - თქვა იაჩომ.

- ჩორთით დაგვყავს, - ვუთხარი, - მორჩილი, მგრძნობიარე ცხენი გვინდა...

- ეგ მე ვიცი! - შემაწყვეტინა, - რომელ ცხენზე მჯდარხართ?

- ყუნძენაზე.

- მაშინ ისევ ყურძენა გამოვიყვანოთ.

მეც ყურძენა მინდოდა. იაჩოსაც ვუთხარი, ყურძენა შემიყვარდა-მეთქი, საერთოდაც, ყველაფრის მიმართ შეჩვევა ვიცი. რომელ ცხენსაც კარგად გაატარებ, ყველა შეგიყვარდებაო, მითხრა.

ყურძენას სტაფილო ვაჭამეთ, ხელისგულზე ვიდებდით და ის კი ტუჩებით იღებდა. „უნდა ასიამოვნო, რომ გასიამოვნოს," თქვა იაჩომ და გაიცინა, „რატომ ჭამს ცხენი სტაფილოს, კურდღელია?"

ნაწვიმარი იყო და ასფალტიანი გზით გავიყვანეთ ყურძენა მანეჟთან.

გიამ სწავლა თავიდან დაგვაწყებინა - აღვირი, უზანგი, ლაგამი... რა როგორ უკეთდება ცხენს, დაჯდომის დროს ხელი სად უნდა მოვკიდოთ, აღვირი როგორ უნდა გვეჭიროს, ტერფებით როგორ უნდა დავებჯინოთ უზანგებს...

როგორც პირველად, წკეპლის გარეშე გადავიყვანე ყურძენა ჩორთზე, მაგრამ ახლოს დედალი ცხენები იყვნენ, მანეჟის გვერდით ძოვდნენ. ყურძენამ ჯერ კიდევ შორიდან ჰკიდა თვალი - აღელდა, აფორიაქდა...

- ასე შორიდან გრძნობს? - გამიკვირდა.

გია და როი წავიდნენ მათ გასარეკად. მაგრამ მერე დედალი ცხენები თავისი კვიცებით ისევ მოვიდნენ. ყურძენამ დაქაჩა თვალები და გაჭენდა. გია მეძახოდა, აღვირი კარგად დაიჭირეო. ყურძენა ძნელი მოსაჭაჩი იყო, ამბობდნენ, მძიმე ტოტი აქვსო.. გია და როი ისევ წავიდნენ მათ გასარეკად. ყურძენა ღელავდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. მაგრად დაიჭირეო, ისევ დამიძახა გიამ. ფაშატები თავლისკენ გარბოდნენ, ყურძენას ძლივს ვაკავებდი - შექანდა, გავარდა, მაგრამ პირი ცხენების საწინააღმდეგოდ შევატრიალებინე, აღვირიც ისე მოვქაჩე, გიამ როგორც მასწავლა და შევაჩერე. აღვირი მოკლეზე მეჭირა, ის კი შფოთავდა, მეწინააღმდეგებოდა, მე მაგრად ვუჭერდი თავს და ცხენებისკენ არ ვახედებდი. ამასობაში გარეკეს ცხენები და გამიკვირდა, ყურძენა რომ დავიმორჩილე. თავიდან ხომ არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა, როგორ გაგიჟდებოდა, შეიძლებოდა გავარდნილიყო, „სვეჩკებზე" დამდგარიყო, არ დაეჯერებინა ჩემთვის, მაგრამ ყურძენამ დამიჯერა.

იაჩოს ისევ წკეპლა დასჭირდა ჩორთზე გადასაყვანად.

- ცხენი ჭკვიანი ცხოველია? - ეკითხებიან გიას.

- არც ისე, ცხოველებში სადღაც მეშვიდე ადგილზეა...

(ეს მეც მახსოვს, გაზეთში იყო, საზრიანობის თუ მოხერხებულობის მხრივ, ღორი ცხენზე წინ იყო).

- ბეთანიაში როცა მიგვყავს ცხენები, - გააგრძელა გიამ, - გზაში ყოველთვის დაჯგუფდებიან ხოლმე. სამ-სამი, ოთხ-ოთხი, ერთად დადიან. თუმცა, არიან ცხენები, ვერავის რომ ვერ უმეგობრდებიან. ერთი ჭკვიანი, კარგი ცხენი იყო, მაგრამ „პახოდში" როცა წავიყვანე, სულ ცალკე დადიოდა, ბალახსაც ცალკე, ყველასაგან განმარტოებით ძოვდა. არ ვიცი, ასე რატომ იყო. ყურძენას ხომ ხედავ, დედალი ცხენების დანახვაზე რა დღეშია, მაგრამ დედლებთან ერთად მამალიც თუ დაინახა, მაშინ უნდა ნახო მაგისი გადარევა!

- ისე, თუ მეგობრობს ვინმესთან?

- არავისთან. ერთ ცხენს განსაკუთრებით ვერ იტანს, „საქმროს"... ჩვენთან ერთი ახალგაზრდა ქალი დადიოდა, ირა. კარგად იცოდა ცხენზე ჯდომა, ხანდახან შვილიც მოყავდა.. ერთხელ მანეჟში ერთად იყვნენ, ირა „საქმროზე" იჯდა, მისი ბიჭი კი ყურძენაზე. ირას ქმარიც იქვე იყო. უცებ ვხედავ - ყურძენა მისდევს „საქმროს", გიჟივით მირბის მისკენ, ბიჭს კი აღვირი ხელში აღარ უჭირავს... მივხვდი, ვერაფერს მოვასწრებდი. „საქმრომ" მოუხვია, მოუხვია ყურძენამაც მკვეთრად და ბიჭი ჰაერში გაფრინდა, სახით გასრიალდა ხრეშზე. კანი გადაუსკდა, სისხლი მოსდის... სანამ მე და მამამისი ბავშვისკენ გავიქეცით, ყურძენამ საქმრო მიიმწყვდია და თუმცა ბევრს ვერაფერს დააკლებდა, რადგან „საქმრო" ჯიშიანი, წმინდა სისხლის ცხენია... ყურძენა კი ჭკუიდან იყო გადასული, აღარ იცოდა რას სჩადიოდა, გადმოაგდო ირა ცხენიდან და კბენდა გამეტებით...

- ირას რატომ?!

- უკვე ჭკუაზე აღარ იყო! დღემდე შრამები აქვს ირას ფეხზე, მოკლე კაბას ველარ იცმევს... როი, მოდი აქ! - გასძახა ძაღლს, რომელიც ყურძენას დევნით ირთობდა თავს.

ცხენი, ძაღლი... ჩემს საყვარელ ცხოველებთან ერთად თავს იდეალურ სიტუაციაში ვგრძნობდი.

როი ხან შეჩერდებოდა, მერე ისევ გაიქცეოდა, გამოეკიდებოდა ყურძენას, ახტებოდა, ერთი-ორჯერ კუდზე კბილებითაც ჩამოეკიდა და გაათრია ცხენმა.

- არ ეშინია, წიხლი რომ მოარტყას?

- ჰო, ერთხელ მოხვდა კიდეც, მარგამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობს... როი, მოდი აქ, შე თავგასიებულო!

როი მოპანტურობს, „გასიებული" თავი და დიდი ტორები სასაცილოდ მოაქვს. ჩვენთან დგება, თავს ფეხზე მაყრდნობს.

●

უიღბლო დღე გვქონდა - არც გია იყო, არც როი, არც ყურძენა. აბდულამ ერთი ცხენი გამოგვაყვანინა, ნაბიჯიც ვერ გადავადგმევინეთ. იაჩო იცინოდა და „ყრუჩუნა" ცხენს ეძახოდა.

აბდულამ დაიჩემა, იაჩო აქ დარჩეს, შენ კი ცხენით ბილიკებზე გაგასეირნებო (იპოდრომის ზემოთ რომ პატარა მთებია, იქ).

— ან ორივე წამოვალთ, ან არც ერთი, - ვუთხარი.

— აბა, ერთი ცხენით ორივე როგორ წაგიყვანოთ?

— უყურე შენ, თათარი მაიმუნი! - გაბრაზდა იაჩო.

— რიგ-რიგობით დავჯდებით.

აბდულას აღვირით მიყავდა ცხენი. მე ცხენზე ვიჯექი, იაჩო ფეხით მოგვყვებოდა. აღმართი გვქონდა ასავლელი. აბდულას სირბილით აყავდა ცხენი, როგორც შეეძლო, „აწვებოდა". იაჩო ვერ ეწეოდა, თანდათან უკან რჩებოდა, მაინც მორბოდა. „მაგარი გოგოა და მაგარი მეგობარი!" - გავიფიქრე, დიდი ხანი არ იყო, რაც ვიცნობდი.

— ანი! - დამიძახა, - უთხარი, გააჩეროს... თუ არ გააჩერებს, გადმოხტი!

— გააჩერე, - ვუთხარი აბდულას. აბდულამ შეაჩერა ცხენი, თვითონაც მაგრად იყო დაღლილი. მერე იაჩო დაჯდა ცხენზე, მე ფეხით მივყვებოდი.. უკანა გზაზე კი ორივე ვიჯექით ერთად, ცხენი სასაცილოდ ჩადიოდა დაგრეხილ, ვიწრო ბილიკებზე.

მანეჟში „საშკა" დაგვხვდა, დიდი ტანის, ასაკში შესული, ჯიუტი ცხენი - ორი კაცი ამაოდ ცდილობდა მის ადგილიდან დაძვრას. აბა სცადე, შენ თუ დაგიჯერებსო... ვცადე, ნკეპლაც ვატრიალე... „საშკა", გოგოს მაინც ეცი პატივიო... მაგრამ „საშკამ" პატივი არ მცა!

იაჩოსთან ავედით. რაღაც ლაპარაკი დავიწყეთ ენერგეტიკულ მდგომარეობებზე, დღეზე და ღამეზე... ღამით ხატვა დავიწყეო, თავისი ნახატები მომიტანა. ზოგჯერ დღისით ფარდებს გადავწევ და ბნელ ოთახში ვზივარო, დედაჩემი შემოდის - „კუბოში ხომ არ ზიხარო!"- იცინის. მერე დატრიალდა, ჩაი გამიკეთა, პურზე კარაქი წამისვა და ზედ დიდი ყველის ნაჭერი დამიდო. რა კარგი ჩაია-მეთქი, ვუთხარი. ჩემი გაკეთებულია და იმიტომო, თვითონ ყავას სვამდა, მთელი დღე ყავას ვსვამო. სიგარეტიც მოწია, იშვიათად ვეწევიო. ვიცი-მეთქი.

●

გია, როი და ყურძენა შორიდანვე დავინახეთ - გიას თავისი თეთრი ჩაჩით ვცნობ ხოლმე და მის დანახვაზე სულ მიკა ალექსიძის პოემა მახსენდება, „თეთრჩაჩიანო პატარა კაცო"... მანეჟში გამოსულიყვნენ.

ჯერ იაჩო დაჯდა ცხენზე, მე კი ისევ გიას ვესაუბრებოდი.

ვეკითხებოდი - რა სიგრძეზე უნდა გეჭიროს აღვირი ჩორთისა თუ ჭენების დროს, ჭენების დროს როგორ უნდა იჯდე... ცხენი უნდა შეაჩვიო შენს ნებაზე სიარულს, თავის ნებაზე არ უნდა ატარო, ჭენებაზე როცა გადავა, უნდა შეანელო, მერე ისევ მიუშვაო. განსაკუთრებით ის მაღიზიანებს, ნებისმიერი ცხენის დაძვრა რომ არ შეგვიძლია-მეთქი. კაცი ცხენზე ძლიერია და ყოველთვის დაიმორჩილებს, მთავარია, არ მოეშვა, ყველაფერი უნდა სცადოო...

მომიყვა, როგორ გადმოაგდო ყურძენამ ერთი გოგო - აგიჟებდა, ხან ასვალტზე აჭენა, ხან მანეჟში, ჯოხსაც ურტყამდა... ესეც გაგიჟდა (ყურძენას გაგიჟება კი!..) და გადმოაგდო! ველარ დაიმორჩილა... ცხენის ქვეშ ჩავარდა, კინალამ ჩლიქი მოხვდა.

ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ამბავი მომხდარა - ფრანგები ყოფილან ჩამოსულები, ერთი გოგო ცხენს წარა-მარა გავაზე უტყაპუნებდა ხელს, თავისი ჭკუით, ეფერებოდა. რამდენჯერ ვუთხარი, უკან ნუ უდგეხარო... ერთხელაც, ცხენი ბალახის მოსანინკნად გაჩერებულა, გოგო კი უკნიდან მისულა, ცხენს წიხლები აუყრია, ხელის მტევანში მოურტყამს... გაუსივდა, ექიმთან წაიყვანესო.

როი ისევ დასდევდა ყურძენას.

გზაში იაჩო თავის აზრებს მიზიარებდა - ცხენზე ისე უნდა იგრძნო თავი, როგორც ერთი მთლიანიო... მამშვიდებდა, ყველაფერი თავისით მოხდება, როგორც პიანინოზე დაკვრისას ხელი იმახსოვრებსო... აი, ნახავ, შენ თვითონ გაგიკვირდებაო!..

●

იაჩო ზღვაზე წავიდა, მარტო დავრჩი. ყურძენაც ავად არის, ფეხი სტკივა. აბდულამ თქვა: საშას და ნიშას ვერ მოერევი, არ ვიცი, იქნებ გიამ სხვა ცხენი გაგაყვანინოსო.

თავლაში შევედი და კვიცს ვეთამაშებოდი - ერთი საყვარელი კვიცია, თან ისეთი

უშიშარი, ერთხელ თავლიდან გამოიპარა, გვერდით მეორე ცხენის თავლაში შევიდა და იქიდან კბენას უპირებდა „მეზობელ“ ცხენს... ჩვენც გვაფერებინებს ხოლმე, ისეთი ფუმფულაა, ხელი გეფლობა მის ბენვში!

ამასობაში გიაც მოვიდა - ყურძენას გარდა კიდევ ერთი ცხენია, პირინი, რომელზეც შეიძლება დაჯდომა და ისიც დაშავდა, გუშინ დიდი წონის უვიცი შეაჯდა და ზურგი გადაუტყავდაო. რჩებოდა ისევ საშა, ნიშა და აზიმუტი. მე ვუთხარი - საშა და ნიშა ვიცი, აზიმუტი არ ვიცი-მეთქი.

- მაშინ აზიმუტი გავიყვანოთ. შეკაზმე აბდულა, აზიმუტი!

აზიმუტი 19 წლის ჩალისფერი ულაყი აღმოჩნდა.

- გადაიყვანე ჩორთზე, - მითხრა გიამ.

- ვერ გადამყავს, - ვეუბნები, - ჯოხი ხომ არ ავიღო?

- არა.

ვაცოდვილებ, მოკლედ ამ ცხენს, სადაც ბალახს დაინახავს, ყველგან ჩერდება და ძლივს გამომყავს.

- არ მინდა, - ვეუბნები, - ასე სიარულს რა აზრი აქვს?

- ატარე, - მეუბნება, - შენი ბრალია, რომ ვერ დაგყავს!

წკეპლის თლა დაიწყო. დაიჭიო, დამიძახა და მესროლა. ამ ცხენმა კიდევ ხტუნაობა დაიწყო. წკეპლა, რა თქმა უნდა, ვერ დავიჭირე. ასე გაიმეორა რამდენჯერმე. მერე წკეპლის დაჭერა კი შევძელი, ეს ცხენი კი სულ დახტოდა. ერთი-ორჯერ პატარა მანეჟის გარშემო ჩორთით მიმავალ ცხენსაც გამოეკიდა, ცოტაზე გაყვებოდა და ჩერდებოდა. მერე ბალახი ნახა და ისევ გაჯიუტდა, ვეღარ მოვაშორეთ, დახტოდა ერთ ადგილას, ტლინკებს ისროდა. აიწეოდა წინა ფეხებით ჰაერში, თითქოს ყალყზე („სვეჩკაზე“) დგებაო, მერე დაენერცხებოდა წინა ფეხებით მიწას, ამავე დროს უკანა ტლინკებს აისროდა და დახტოდა ასე. გიამ წკეპლით და შეძახილებით რომ ვერ გააგდო, როის მოუხმო. გამოენთო როი ღრენით, მაგრამ ცხენი შემოუტრიალდა და გაინია მისკენ. როის შეეშინდა, უკან დახევა დააპირა... როგორც იქნა, წავედით ჩორთით.

შევიყვანეთ დიდ მანეჟში და ის ცხენიც იქ იყო, პატარა მანეჟთან რომ შეგვხვდა. მივაყოლებდი ხოლმე იმას და აზიმუტიც მისდევდა. უკან მიყევი და ძალიან ახლოს არ მიხვიდეო, მითხრა გიამ. ჩემი ცხენი კი გასწრებას ცდილობდა, გვერდში ამოუდგებოდა ხოლმე, მაგრამ აღვირით ვთოკავდი, რომ წინ არ გამეშვა - ალბათ ძველი დროება გაახსენდა, ძველი დროი (ადრე კარგი ცხენი იქნებოდა-მეთქი, გიას ვუთხარი - ახლაც ლამაზი ტანი ჰქონდა, გამხდარი და მოყვანილი იყო). გადავიდოდა ჭენებაზე და მეც მეტი რა მინდოდა! ძალიან მოუბეჭავი ცხენი იყო, თავს ბუმბულივით ვგრძნობდი! მერე უკეთესად დავიწყე მართვა, იმ ცხენს პატარა დისტანციაზე მივაყოლებდი, აღვირით ვიჭერდი.

მერე ის ცხენი გავიდა მანეჟიდან, აზიმუტი უკვე მემორჩილებოდა, ჩორთით ვატარებდი, მაგრამ საშინელი აუტანელი ცხენი იყო - თავლის მიმართულებით გარბოდა, საწინააღმდეგო მიმართულებით კი ძლივს გადაადგმევინებდი ნაბიჯს. უცებ სწრაფი ჩორთით წავიდა, შევხედე და მანეჟის კარები ღია იყო. დროზე ვერ მოვთოკე და გამივარდა გარეთ. თუმცა, ყურძენასავით ძნელი მოსახვევი არ იყო. სახლისკენ რომ არ წასულიყო, მოვახვევინე გვერდზე, საწინააღმდეგო მიმართულებით და ისევ სწრაფად მიდიოდა, რომ მიმეშვა, გაჭენდებოდა კიდეც. გიამ დამიძახა, ფრთხილად, ხეს არ დაეჯახოო - ხეებში მივდიოდი. ისევ მოვახვევინე, შევიყვანე მანეჟში. ერთი-ორჯერ გამიჭენდა მანეჟის დიაგონალზე (გიამ მითხრა, რატომ არ აკავებო), ერთი-ორჯერ გამიგიჟდა კიდევ - ხტუნაობას დაიწყებდა ხოლმე (ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ცხენს ვხედნიდი) და ერთხელ მაგრად დამახეთქა უნაგირის ცხვირზე.

ხვალ ნახე, უკეთესად დაგემორჩილებაო, გიამ მითხრა.

მაგრამ მეორე დღეს უფრო ბუინობდა, თან გიაც არ იყო, ლისის ტბაზე წაეყვანა ცხენები. ცოტა ვაბალახე აზიმუტი და ვავიყვანე თავლაში.

ბილიკებით ფიჭვიან გორაზე ავედი, იმ ადგილას, სადაც ერთხელ მე და იაჩოც ვიყავით ერთად - იაჩოს მოგროვებული ფიჩხიც ისევ იქ იყო... ფიჩხი მოაგროვა, ვითომ კოცონი უნდა დაენთო და მწვადი შეეწვა... თან უცნაურ რაღაცეებზე ვლაპარაკობდით - კასტანედათი დავიწყეთ... და მერე იაჩომ მომიყვა, როგორ გამოდიოდა-ხოლმე სხეულიდან - „ისეთი შეგრძნებაა, თითქოს გადმოტრიალდი (ზურგზე წოლისას) და საკუთარ თავს დახედე ზემოდან. თავიდან ძალიან შემეშინდა...“ „როგორი იყო?“ „ეძინა!“... იაჩომ დაიწყო მოძრაობა ოთახებში, თავისუფლად ფრენდა, შორ მანძილებზეც... მერე და მერე ხშირად ემართებოდა... თუმცა, ზოგჯერ უკან დაბრუნება უჭირდა, ვეღარ აიძულებდა თავის ასტრალურ სხეულს, მძინარე სხეულს შეერთებოდა - რაც ჩვეულებრივ თავისით ხდებოდა-ხოლმე. „დაახლოებით იგივეა, წყალი მოგწყურდეს და წყაროზე ჩახვიდე წყლის დასალევად“...

ასეთ მდგომარეობაში შეიძლება დაინახო, როგორ დარბიან შენს გარშემო უცნაური არსებები... უცნაურ ხმებს გამოსცემენ... მთავარია, არ შეგეშინდეს. „ერთხელ ავდექი და ხელი მოვკიდე ერთ-ერთს. ამავე დროს დავინახე, რომ იგივე ხელი მუხლზე მედო... არსებები კი გაქრნენ“...

მე ვუყვებოდი ჩემს „მთვარეულის მოგზაურობაზე“, როგორ დავხეტიალობდი მძინარე ოთახებში, ერთხელ ქუჩაშიც რომ გავედი... და კიდევ ერთ შეგრძნებაზე, ძილღვიძილის საზღვარზე რომ ხარ - „ვერც იქით მიდიხარ, ვერც აქეთ გამოდიხარ... თითქოს გონება იღვიძებს, სხეულს ჯერ კიდევ სძინავს (ცდილობ და ვერ აღვიძებ!) და გრძნობის ორგანოებსაც - ამ დროს შეიძლება ისეთი ხმები გესმოდეს და ისეთ საგნებს ხედავდე, რაც იცი, რომ რეალური არ არის, რადგან გონებას არ ძინავს და აცნობიერებს, რომ ნაცნობ ოთახშია, მაგრამ სიზმრისეული ხილვებისგან თავს ვერ იხსნის“...

მერე სხვა მხრიდან დავეშვი, ბილიკებზე აბდულას რომ არ გადავყროდი, კლდეების მხრიდან ჩამოვედი.

●

ყურძენა გამოკეთდა, მაგრამ ვიღაც ბავშვებს ყავდათ გაყვანილი. მე პირინი მომცეს. მაგარი ცხენიაო, აბდულამ მითხრა და მართალიც გამოდგა, ძალიან მგრძნობიარე ცხენი იყო, ფაქტიურად კვიცი, 4 წლის.

- დედალ ცხენებზე არ იწევს? - ვკითხე აბდულას.

- არა.

- რატომ?

- ჯერ არ იცის.

ღია ყავისფერი, არცთუ მაღალი, ნაზი აღნაგობის ცხენი იყო. ყურძენასთან შედარებით ბევრად წვრილკისერა (ისე, ძასიურ ცხენებზე თითქოს უფრო მყარად ზიხარ). ფაფარი ჯორივით ჰქონდა გადაპარსული, მოკლედ, საყვარელი რამე იყო. ნახევარ საათს ვივარჯიშეთ, აღვირი მოკლეზე მქონდა, ძლივს ვიჭერდი, თორემ გაფრინდებოდა! ჩამოვედი თუ არა ცხენიდან, აღვირი მოწყდა - ხელში შემრჩა.

საღამოზე ისევ მივედი პირინის გამოსაყვანად, ერთი ქერა გოგო იჯდა ინდიელივით, მასაც პირინი მოსწონდა. მანეჟში კიდევ რამდენიმე ცხენი იყო, თეთრი ცხენი სულ „სვეჩკებზე“ დგებოდა და კიდევ ერთი, ყავისფერი, შავფეხება ცხენი, სულ პატრონის გადმოგდებას ცდილობდა - გავარდებოდა, კისერს გაჭიმავდა და თავს ისე გადაიქნევდა, რამდენჯერმე კინაღამ ხელიდან გააგდებინა აღვირი, კისრისტეხით დარბოდა, კბილებს კრეჭდა და ჭიხვინებდა.

მერე მე დავჯექი პირინზე - „კატად“ ვიქეცი. სწრაფი ჩორთით დარბოდა და შიგადაშიგ ჭენებაზეც გადამყავდა (თვითონ კი სულ ჭენება უნდოდა). ხრეშზე მისი ფლოქვების თქარათქურს ვაყოლებდი სხეულის მოძრაობას, სრულიად დაუძაბავად ვიჯექი. ბინდდებოდა, მხოლოდ ფლოქვების თქარათქურის ხმა ჩამესმოდა და ამ ხმას მინდობილი, თითქოს მართლაც ცხენის ნაწილად ვქცეულიყავი... აღარ იყო ჩვენს შორის განსხვავება.

ბნელდებოდა. ცაზე ნახევარმთვარე ეკიდა... ხვალ მეც მივდივარ თბილისიდან, უკვე ძალიან ცხელა.

რესტორანში

(3 წლის მერე)

ხაკისფერი შარვლით და ბოტასებით გამოვეხეტე უნივერსიტეტის წინ. იქ გია და ზაზა შემხვდნენ. კარგა ხანი იყო, არ მენახა არც ერთი და გამიკვირდა, ერთად რომ იყვნენ. ჩვენთან ერთად არ წამოხვალ, რესტორანში მივდივართ საქეიფოდო. რატომაც არ წამოვალ-მეთქი.

ქუჩას ფეხით გავუყევით. ისე ჩავიარე „ნიკალას“ კიბეები, თითქოს ყოველდღე რესტორანში დავდიოდე - წინ მე მივდიოდი, ისინი უკან მომყვებოდნენ. ოფიციანტი მოგვეახლა, მისი შემოთავაზებული კერძები ავირჩიეთ. გიამ მწვ-დიც შეუკვეთა.

ათას რამეზე ვლაპარაკობთ...

გიას გვერდით ვზივარ და ვეუბნები - პირველად როცა გაგიცანით, ზაზა უფრო მომეწონა-მეთქი. სამი წლის წინანდელ ამბავს ვიხსენებ:

თუმცა, გია ლექციაზევე შევნიშნე - უკან როცა მივიხედავდი, რატომღაც სულ მის სახეს ვხედავდი, ოდნავ გრძელი, დატალღული თმებით და რაინდული იერით.

- რატომ არ გიცნობდი? - ვკითხე, გარეთ როცა გამოვედით.

- რა ვიცი, ალბათ არ შეგიმჩნევივარ, - (მთელი წელი იყო გასული, რაც ჟურნალისტიკის მეორად ფაკულტეტზე ვსწავლობდით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადონამ მითხრა, გუშინ ლექციიდან ერთად წამოვედითო. ახლა კი გია ამხანაგ ბიჭთან ერთად იყო.

- კინოში წავიდეთ? - გვკითხა.
- არა...
- ნაყინი ვიყიდოთ?
- მთელი დღე ნაყინს ვჭამთ!
- ფუნიკულიორზე ავიდეთ?
- ავიდეთ!

თანდათან ღვინო მეკიდება. მივჩერებივარ კედელზე დახატულ მოქეიფე ყარაჩოღელებს. გიამ მითხრა, თვალი ჩამიკრაო და ველოდები, იქნებ მეც ჩამიკრას-მეთქი.

- ტყუილად ელოდები.
- რატომ?
- შენ ხომ არც გიცნობს!
- მერე რა?

გია იცინის.

- მე ზაზასთან დავჯდები, - მეჩვენება, რომ ზაზას უფრო ესმის ჩემი. თანაც იმ პირველ დღეს უფრო მახსენებს. გიას ხომ მერე ისედაც ხშირად ვხედავდი, ზაზასთან კი მხოლოდ იმ ერთი დღის შთაბეჭდილება მაკავშირებს.

5 წუთში ფუნიკულიორზე ვართ.

- მე ჩამოტეხილი ქვა მაღელვებს ყველაზე მეტად, - ამბობს გია, - ის აღარ გამთელდება! რკინა გადნება, მიწა უკან ჩაიყრება, ქვა კი...

- ჰოო...

- მამაკაცების ფინანსებს თუ აქცევთ ყურადღებას?

- რა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც მათხოვარი იყოს!

- ჩვენ ხომ ერთმანეთის სახელებიც არ ვიცით... იცით, მე რა მქვია?

- გია, არა?

- ახლა მოისმინეთ? მე კი არ ვიცი თქვენი სახელები.

- ირა და მადონა.

- მადონას ვიცნობ. ეს კი ზაზაა.

- ბებიას სახელი გქვია? - მეკითხება ზაზა. აქამდეხმა არ ამოულია, სერიოზული ბიჭი ჩანს.

კიდევ უფრო ვთვრებით. გია ლექსებს გვიკითხავს. ზაზა მოწონებას თუ სიყვარულს მიხსნის, ყურში მეჩურჩულება. გია ალმაცერად გვიყურებს.

„ალბათ როგორ გამოვიყურები" - ვფიქრობ, - „ახლა ნაცნობები რომ მხედავდნენ!" აქეთ-იქით ვიყურები. გვერდით, ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებთან გამოპრანჭული - კოსტუმიანი და ჰალსტუხიანი მამაკაცები სხედან. ერთი ფეხზე დგას, ხელში ჭიქა უჭირავს, სადღეგრძელოს ამბობს.

ნაყინი მაინც იყიდეს. ვზივართ ბაგამზე, მუსიკას ვისმენთ და ჭიქიან ნაყინს მივირთმევთ.

- მცივა, - ვამბობ.
- წავიდეთ?..

საბაგიროში ვსხდებით. საბაგირო თანდათან ქვემოთ ეშვება. ფანჯარასთან ვდგავარ, თავი გარეთ მაქვს გაყოფილი, სახეზე ნიავი მელამუნება. მწვანე, ბინდისაგან შემუქებულ ფერდობს გადავყურებ - რა სილამაზეა, ბუნების ყურებას არაფერი შეედრება!

- არა გაქვთ სურვილი, კიდევ ერთხელ წავიდეთ და წამოვიდეთ?

- რა უფრო მოგწონს, ნიავი რომ გიბერავს, თუ რომ ვმოძრაობთ?

- ორივე.

გამცილებელი ულტიმატუმს გვიყენებს, იქიდან ისევ რიგში დადგებითო.

ავდივართ. მშვენიერი სიბნელეა. გადასახედთან მივდივართ - ქვემოთ თბილისი გადაშლილა.

- გგონია ახლა აღარ სცივა? - თავხედურად ეკითხება გია ზაზას.

ზაზა მაშინვე იხდის კურტკას და მაწვდის.

- არ მინდა, - ვეუბნები, - მინდა, რომ მციოდეს... კარგია, რომ მცივა!

გია ცდილობს ჩამაცვას, მაგრამ ვერ მაცმევს. მერე თვითონაც იხდის პიჯაკს. მგონია, მასაც უნდა, რომ სციოდეს, მაგრამ მე მახურავს მხრებზე. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, პიჯაკი თუ ასეთი თბილი იქნებოდა! გახდა აღარ მინდოდა, მაგრამ ზაზას არ ეწყინოს-მეთქი, ვიფიქრე და პიჯაკი მოვიძრე. აღარც გიამ ჩაიცვა, იქვე დადო.

ქალების ფეხბურთზე დაიწყეს ლაპარაკი, წასვლას ხომ არ აპირებთო.

- იცით, რა მაინტერესებს? - თქვა გიამ.
- რა?
- აბა, თუ მიხვდებით!
- არც მაინტერესებს, - თქვა მადონამ.
- იმიტომ, რომ მიხვდი...
- რა-ა? - ვეკითხები.
- როგორ აიღებენ ბურთს მკერდით. საკმაოდ მძიმე ბურთია! - იცინის.
- ალბათ... არ აიღებენ!

გია ისევ იცინის.

ჯიბიდან პინგ-პონგის ბურთი ამომივარდა და ასფალტზე დაიწყო ხტუნაობა.

- ეგ რა არის?

ჯიბიდან მეორე ბურთიც ამოვიღე და ასფალტზე დავაგდე.

- მოდი, ვითამაშოთ! - გია ბურთებს მისდევს. მეც. ბურთები ხტიან ასფალტზე.

ზაზა საბაგიროს რიგს იკავებს და ჩვენთან ბრუნდება. მე ახლა ზაზას ვესაუბრები,

გია და მადონა წინ მიდიან. ფართო, ბნელ ბილიკს ავუყევით. ზაზა კარგი ბიჭია, გიასი ალბათ შემეშინდებოდა.

- ვენდო ახლა ამას? - გია ჩვენსკენ იყურება.

- მადონა, სად მიყვები?! - სიცილით ვეკითხები.

ზაზა მოკლე ფრაზებით ლაპარაკობს - „ადამიანი უნდა იყოს კეთილი...“ მას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი - „ვინც ბევრს ლაპარაკობს, მან ცოტა იცის...“ არც მე მიყვარს ბევრი ლაპარაკი. თურმე ნერვიულია, თუმცა გარეგნულად არ ეტყობა, მაგრამ კეთილი რომ არის, ნამდვილად ეტყობა - მას ძალიან უხდება ღიმილი! მაღალია, წაბლისფერთმიანი... რომელილაც მსახიობს მაგონებს, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რომელს. მიზანსწრაფულია, ვერ იტანს ნარუმატებლობას, დაჟინებით ილტვის წინ... ხუთოსანი სტუდენტია და ა. შ...

გიამ და მადონამ ჩაგვიარეს.

- ჩვენც იქამდე ავალთ და მოვბრუნდებით, - დავუძახე.

... მე ასტრონომია და პოეზია მაინტერესებს...

მერე ისევ ყველანი ერთად აღმოვჩნდით. მადონას არ სჯერა, რომ გია 26 წლის არის, უფრო პატარა ჰგონია. მართლა 26-ის არის, მეუბნება ზაზა.

- რა მოასწარი შენი 26 წლის მანძილზე?!

- ცხოვრება შევისწავლე, - მპასუხობს.

- ან იქნებ მაშინ უფრო მეტი იცოდი, სანამ დაიბადებოდი?

- მე არ ვიცნობ ასეთ ფოლოსოფიას.

- ბავშვებს ჰგონიათ, ყოველთვის არსებობდნენ, ხნიერებს კი რომ ჰკითხო, უცებ გაირბინა 70-მა წელმა - ახლა მე და გია მივდივართ ერთად - ... რაც მეტს ვკითხულობთ, მეტი ვიცით; რაც მეტი ვიცით, მეტი გვავიწყდება...

- მერე?

- სისულელეა, ესეც იგივეა - რაც მეტს ვჭამთ, მეტი გვძინავს, რაც მეტი გვძინავს, ნაკლებს ვცოდავთ, რაც ნაკლებს ვცოდავთ, უფრო წმინდანი ვართ...

- ე. ი. რაც მეტს ვჭამთ, უფრო წმინდა ვართ?

- ასე გამოდის.

- ის როგორლა არის, რომ არ დაამთავრე, მე ის მინდა!

- რად გინდა?

- მინდა!

- არ მახსოვს.

- მითხარი, თორემ გავბრაზდები!

- როგორი გაბრაზება იცი?

- ფეხებს ვაბაკუნებ-ხოლმე, - ფეხებს აბაკუნებს სასაცილოდ.

- იცი ვის გავხარ, პეტერბურგელ სტუდენტს, პუშკინის და ლერმონტოვის დროის.

- ჩამომარჩინე?

- რატომ, ცუდი ეპოქა იყო?!

გიას რუხი ფერის შარვალ-კოსტუმი აცვია და ასეთივე ჟილეტი თეთრ პერანგზე.

მადონა და ზაზა გვენევიან. ზაზა ყვავილებიან დიდ ტოტს მიწვდის.

- რა კარგია! .. შენც დაყნოსე! რატომ მოტეხეთ?.. რისია ბიოლოგო?

- ალბათ, ნუშის.

მადონასაც აქვს მასეთივე.

საბაგიროს ველოდებით.

- დღეს ჩემს ჯგუფელს რაღაც წვრილფოთლებიანი ტოტი ეჭირა, გვიმრის მსგავსი... - მრავალმნიშვნელოვნად ვამბობ.

ზაზა ცდილობს დაადგინოს ზუსტად, რა მცენარე იყო.

- არა, მაგისთვის არ ვამბობ... მოიტანა და თქვა, ვიღაც კაცმა მაჩუქაო ქუჩაში... და იცით, მეც როგორ მომინდა! ჰოდა, აი! - ყვავილებიან ტოტს მაღლა ვწევ.

- რა კარგია, როცა ადამიანს ასეთი პატარა რამე უხარია!

- საქმე ისაა, რომ შეიძლება პატარა რამე უხაროდეს და დიდი, არა.

- მართლაც ასეა, - მეთანხმება გია, - მე კი, არაფერი მაკმაყოფილებს!

- ყველა ასეა, - თქვა მადონამ.

- მეტნაკლებად.

რიგში ორი შავგვრემანი ბიჭი იდგა, რაღაცნაირად, აღტაცებით მიყურებდნენ. ქართველებს არ გავდნენ, უფრო შუაზიელებს.

- შენ რამდენი წლის ხარ? - გია მეკითხება.

- 17-ის.

- შენ რომ პირველ კლასში იყავი, მე უკვე ვბიჭობდი! - იცინის, - წამო, რა გაჩვენო! - ზემოთ ადის, - ირკა, მოდი!

საბაგიროს მოტორში იჭყიტება.

- ნახე, როგორ მუშაობს... საექსკურსიოდ მეტი ვერაფერი მოვიფიქრე!

ტოტი ისევ ხელში მიჭირავს.

- ამით რას თამაშობენ? - ფურცლებს აცლის ყვავილს, - რა უნდა ვთქვა? ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ?.. - მიღიმის.

ყვავილის ფურცლები ერთმანეთს მიყვებიან, ფარფატით ეშვებიან მინისკენ.

ერთი ყვავილი მთლიანად მოწყდა, ფურცლით უჭირავს და ყუნწი ქანაობს.

- მოკიდე ხელი!..

ყუნწზე ხელს ვკიდებ. ის კი ჩემს თითებს კიდებს თავისას და მეორე ხელით სათითაოდ აცლის ფურცლებს, ერთი თავისით ვარდება...

- ეს „არ ვუყვარვარ" არის, - ამბობს, მერე ისევ აგრძელებს ფურცლების ცლას - ეს, „ვუყვარვარ"!.. გაბრწყინებული სახით მიყურებს.

საბაგიროსთან ვბრუნდებით. ორი ერთნაირი ბიჭი ისევ ჩვენსკენ იყურება. გია ცდილობს, ტოტს წვერი მოაწყვიტოს, მაგრამ არ გამოსდის.

- მე მოვაწყვეტ.

- როგორ?

- ნახავ, თუ არა! - ვაწყვეტ.

- მაჩვენე!

- გადავაგდე.

- არა, ხელი მაჩვენე.

ჩემს ხელს იღებს ხელში და ფრჩხილებს მისინჯავს.

- შენ უფრო ბასრი ფრჩხილები გაქვს!

- ფრჩხილი რა შუაშია, - ამბობს ზაზა.

- საბაგირო გვიახლოვდება, ალბათ უკვე მოგვიწევს რიგი. მაგრამ ჩვენზე წინ სხვები მიდიან.

- ირკა! ირინკა! - მეძახის გია - ჩქარა, მოდი!

ფანჯარასთან ის ბიჭები დგანან.

- გაახედეთ, რა! - გია ეუბნება.

ისინი იწევიან, ადგილს მითმობენ. მათი ლაპარაკი მესმის - ქართულად ლაპარაკობენ.

- ქართველები ყოფილხართ, მე კი უცხოელები მეგონეთ! - ვეუბნები.

- რატომ, რატომ... - იმათ სიცილი დაიწყეს.

გიამ მომაბრუნა.

- მაგათ რას ეუბნები, თუ რამე გაინტერესებს, მე მკითხე!

- მე კი მაღლობის გადახდა მინდოდა და ვიფიქრე, ვერ გაიგებენ-მეთქი - გავაგრძელე მათთან საუბარი.

გია ისევ ჩემს მოტრიალებას ცდილობს - „მე მკითხეო!" - ხელზე მექაჩება, მტკენს.

- შენ რა გინდა, - ვეუბნები, - იქნებ მე ეს ბიჭი მაინტერესებს!

ახლა თუნდაც მომტეხოს ხელი, ჩემთვის სულ ერთია... მაგრამ მისი ხელი იდაყვიდან მკლავზე ინაცვლებს, მისი თითები ნაზად მოძრაობენ. ხელის აქნევით ვიშორებ საბაგირო ჩერდება, გადმოვდივართ. ერთმანეთის შეხედვაც აღარ გვინდა! გია წინ მიდის. პინგ-პონგის ბურთებს ჭეჭყავს და დაბლა ყრის. არც კი ვემშვიდობებით ერთმანეთს. მადონა და ზაზა მადლობას იხდიან სასიამოვნოდ გატარებული საღამოსათვის...

- თუ გინდა, გიამ გააფრინოს, ტუჩებში მაკოცე, - მეუბნება ზაზა. ხელი აქვს მოხვეული, მის სუნთქვას საფეთქელთან ვგრძნობ. გრძნობებს ვარ აყოლილი - ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა გააკეთო რამე, თუკი გსიამოვნებს. გიას უაზრო მზერა უხდება. თავს ძალას ვატან და ვუღიმი.

ნუთუ ეს ბუნებრივია, რასაც ვაკეთებ? თუ ძალიან ცუდად ვიქცევი? ცუდად რატომ? რაკი მიღებული არ არის?

- თუ გინდა, შენც ვინმე მოიყვანე, - ვეუბნები.

გია მიდის.

ზაზა მკოცნის. მსიამოვნებს...

თვალებს ვახელ, რეალობას ვუბრუნდები. გია ჩამოდის ვიღაც გოგოსთან ერთად, მაგიდასთან მოჰყავს, - „ეს თამრიკოა", - გვაცნობს. ჩვენც ვეცნობით. თეატრალურის სტუდენტია. აშკარაა, თვითონ გიაც ამ გოგოს პირველად ხედავს.

მერე მე გიას დეგენერატს ვეძახი, თან ვაქებ და ვეთამაშები - ხელს ვიწვდი, მინდა თმაზე შევახო, მაგრამ ის თავს უკან სწევს და ვერ ვწვდები... თამრიკო მიყვარსო! - ამბობს.

- მე წავედი.

- ცოტა ხანს დამიცადე და მეც ნამოვალ, - გია მეუბნება.

- მე წავალ, - თქვა თამრიკომ.

- არა, თქვენ დარჩით, - ვდგები, გასასვლელისკენ მივდივარ.

ქუჩის ჰაერი სასიამოვნოდ მიგრილებს სახეს. ზაზაც გამოდის. მომყვება.

- ხვალ პირველ საათზე შევხვდეთ, - მეუბნება.

- არ ვიცი, ხვალ რა ხასიათზე ვიქნები...

გასეირნება

გია გაჩერებასთან იდგა და ირინას ელოდებოდა. აი, ირინაც გამოჩნდა - – ფარფატა, ცისფერი კაბით ჩამოირბინა კიბეები, ამხანაგ გოგოსთან ერთად იყო.

გია ღიმილით წავიდა მისკენ.

- აბა, თითზე დაიხვიე... - პატარა ძაფი გაუწოდა.

ირინამ თვალით გაზომა ძაფი და ნეკა თითზე დაიხვია. მაინც „გ" გამოვიდა. გიას შეხედა - მისი სახე მზესავით ანათებდა. ცოტა ხანს თვალი ვერ მოაშორა, ულიმოდნენ ერთმანეთს. მერე ამხანაგი გაახსენდა და აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება.

- ვის ეძებ? - ჰკითხა გიამ.

- ქეთის, ჩემთან ერთად იყო.

- ალბათ, წავიდა.

მარმარილოს ფილებზე ჩამოსხდნენ.

- ხომ არ იცი, ირინა, თეატრებში რა გადის?

- მარჯანიშვილში, მგონი, „კალიგულა“, ნანახი გაქვს?

- იყო დრო, როცა დღეში ორ სპექტაკლს ვესწრებოდი.

- როგორ?

- კინომსახიობთა თეატრში ვმუშაობდი.

- რას აკეთებდი?

- სცენას ვანათებდი...

- როლებს არ გაძლევდნენ?

- არა. არც არასდროს მდომებია.

- მე კი მეგონა, მსახიობობა ყველას უნდა-მეთქი.

- სადმე ხომ არ წავიდეთ?

- სამეცადინო რომ მაქვს?..

- მაშინ ცოტა ხანს ბაღში ჩავიდეთ.

- კარგი... - მერე შეყოყმანდა, - არა, მეჩქარება და ჯობია, შენც სახლში წახვიდე.

- ასე რატომ მეუბნები, იქნებ მე მინდა, შენთან ვიყო?.. მოდი, ზოოპარკში წავიდეთ.

- ასეთ რამეს თუ შემომთავაზებდი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, ამიტომ უარს ვეღარ გეტყვი!

- მე კიდევ ბევრი სიახლე შემიძლია შემოგთავაზო, - გიამ გაუღიმა, - ახლა შენ ფიქრობ, რა იგულისხმაო...

გზად პატარა სკვერში გადაუხვიეს. სკვერიც არ ეთქმოდა, მხოლოდ რამდენიმე გრძელი სკამი იდგა.

„შეყვარებულთა ქუჩაზე“...- ჩაიმღერა გიამ და ირინას რატომღაც მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა. გიამ მორს გადააბიჯა. ირინა გადაახტა. ხის ქვეშ მდგარი სკამისკენ წავიდნენ.

- ნახე, ხეს ფისი აქვს გამოსული, - თქვა ირინამ და ფიჭა თითით ალოკა.

- ზოგჯერ ძალიან ბავშვური ხარ, - თქვა გიამ, - ზოგჯერ კი თითქოს ცხოვრებაში უკვე ყველაფერი გინახავს.

ირინა დასერიოზულდა.

- რატომ მოიწყინე?

- რა ვიცი... სახლში უნდა წავიდე.

- გეწყინა?

- არა.

- დარჩი და თუ გინდა, ლექსს დაგიწერ.

- კარგი.

გია მოუყვა ერთ თავის ჯგუფელზე, ძალიან საყვარელი ბიჭიაო, სულ აჩაჩულ-დაჩაჩული დადისო, გასწორება კი არ შეუძლიაო. მაინც რა კარგია უშუალობა, შეუძლია, დაჯდეს დერეფანში იატაკზე, ადგეს, მიესალმოს ლექტორს და ისევ დაჯდეს!

გიამ წერა დაიწყო ბლოკნოტში, რომელიც ცოტა ხნის წინ ირინას აჩუქა. ირინას გაახსენდა, ჩანთაში კამფეტები რომ ჰქონდა, ერთი გაფცქვნა და პირში ჩაიდო.

- კამფეტი გინდა? - გიასაც შესთავაზა.

- კი.

გია კამფეტს ფცქვნიდა, ... ეარ მოუშორებია ფურცლისთვის, მთლიანად ლექსში იყო ჩაძირული.

- ჩავიჭყიტო? - ჰკითხა ირინამ. გიას არ გაუგია.

ლექსის წერა დაამთავრა და ირინას გაუწოდა.

ირინამ ჩუმად დაიწყო კითხვა:

მაინც, როგორ მინდა, გიმღერო თბილად,
გითხრა ართქმული ამ ქვეყანაზე,
შენა ხარ ჩემი ბავშვობის კბილა,
პეპელასავით, მღელვარ ყანაზე.
ეჰ, როგორ მინდა, თბილად მოგმართო,
**

ცოტაზე ავიდნენ, ხესთან დადგნენ.

- ახლა იმ ხესთან გადავიდეთ, - თქვა გიამ - ხელი მომკიდე!

- რომ ჩავვარდეთ?

- ნუ გეშინია.

- მაშინ ჯერ შენ გადადი.

გია ხესთან გადავიდა, მერე ხელი ჩაკიდეს ერთმანეთს და უფრო მაღლა ავიდნენ.

- ახლა მე თვითონ, - თქვა ირინამ და ბოლოს ოთხ ფეხზეც მოუწია ფორთხვა, ასე ააღწიეს ბოლოში. და ავიდნენ თუ არა, ირინამ მიწიდან ამომჩქეფარი, ჩუხჩუხა წყალი დაინახა. უცნაურ ადგილას მოხვდნენ - ბრტყელი ბილიკი იყო, გარშემო მაღალი ხეებით. მარცხნივ, შემოლობილი თეთრი შენობა, რომლისკენაც ბილიკი ფართოვდებოდა, მეორე მხარეს კი ვიწროვდებოდა და სამკუთხედის წვეროს ჰქმნიდა. ბილიკის უკან კი ისევ დაღმართი იყო.

ირინა წყალთან მივიდა და ხელები შეუშვირა.

- გინდა, დაგალევინო? - გიამ მუჭები წყლით გაივსო.

- არა.

- დალიე, შენ ამდენს ვერ აიღებ, მე დიდი ხელები მაქვს.

- გასდის, თუ ისე მომაწვდი, რომ არ გაუვიდეს, დავლევ.

- კარგი, - თქვა გიამ და სერიოზულად გააგრძელა თავისი მცდელობა.

- მაინც გასდის! მოდი, ამით ხელებს დავიბან, - ირინამ ხელები შეუშვირა. გიამ მთელი მუჭა წყალი დააცალა და ისევ აივსო.

- მე რატომ გისხამ?! თქვა და მაინც აგრძელებდა წყლის დასხმას.

- მადლობთ.

- ხელების გამშრალება ხომ გინდა, ცხვირსახოცს მოგცემ.

- იყოს, თავისით გაშრება, - ხელების ფერთხვით გაიარ-გამოიარა.

გია ბილიკის ნაპირზე იდგა და ქვემოთ იყურებოდა. ხელში ცხვირსახოცი ეჭირა. როცა ირინა მიუახლოვდა, გაშალა და ხელებზე დააფარა. გია ახლა ისევ წყალთან იდგა, ირინამ ცხვირსახოცი ორი თითით გაუწოდა და შენობისკენ წავიდა, იგრძნო, გიაც მიყვებოდა და მოტრიალდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს გიამ ხელები მოხვია მხრებზე. ირინას თითქოს დენმა დაარტყა, შეკრთა და უკან გადახტა. გიამ საწინააღმდეგო მხარეს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

- რას მეუბნებოდი? - ჰკითხა ცოტა ხნის მერე.

- დამავიწყდა!

გია ბილიკის გასწვრივ დადიოდა.

- ფეხში რაღაცა მჩხვლეტს! - თქვა ირინამ და მაშინვე ინანა, რადგან გიას მეტიც არ უნდოდა, მაჩვენე, ამოგიღებო!

- უკვე გადამიარა, კენჭი შეონდა ჩავარდნილი და ამომივარდა... ჩასვლა უფრო ძნელია თუ ამოსვლა? - ჩასვლა დაიწყო.

გია მაშინვე დაბლა ჩახტა და ქვემოდან ორივე ხელს უწვდიდა - ცალი ფეხი მუხლში მოხრილი, მეორე უკან გადადგმული. ირინას გაიცინა.

- მასე არ მინდა, ხელი მომკიდე.

ცოტათი ქვემოთ ჩავიდნენ, გია თავისი ტერფებით უკეთებდა საფეხურებს. მერე ერთ ხეს მიეყრდნო ზურგით, ფეხები განზე გადგა.

- ახლა აქ დადექი.

- მერე შენ სად წახვალ?

- არსად, აქ კარგად ვდგავარ... ჩამოდი, - ისევ ჯიუტად სთავაზობდა, - თუ გინდა, ხეზე ავალ! - თქვა უცბად.

- ადი, ადი!

- სიგარეტის მოწევას მაინც ჯობია! - ხელებით ჩამოეკიდა ტოტს.

- არ ჩამოვარდე!

გია ხეზე ავიდა, - რომელი ყვავილი მოგიწყვიტო?

- ყოჩაღ! - ირინამ ტაში შემოკრა, - ნამდვილი ტარზანი ხარ!

როცა ჩამოხტა, ირინამ ლოყაზე აკოცა.

გია ახლა ნამდვილი ბავშვი იყო, რაღაცნაირად მორცხვი და საყვარელი!

- ჩავიდეთ, უკვე ბნელდება, - თქვა ირინამ.

- ქვემოთ რომ მითხარი, ბევრ რამეს გეტყოდიო, მაინც რას მეტყოდი?

- არ ვიცი, არ მახსოვს.

- სანამ არ მეტყვი, არ ჩამოვალ.

- კარგი, რამდენ გოგოს დაახვიე თითზე ის ძაფი, სანამ მე მომცემდი?

- არც ერთს, იმ წუთას მოვიწყვიტე.

- ახლა ჩავიდეთ?

ქვედა ხესთან გადავიდნენ.

- ეგ რატომ მითხარი, თავი რომ დამენებებინა, არა?

- კი.

- სიგარეტი მოგიწევია?

- კი.

- რატომ?

- მომდომებია. ინტერესის გულისთვის კი არა, უბრალოდ მქონია შემთხვევა, რომ ძალიან მომდომებია.

- ასე არ ხდება.

ირინამ აღმოაჩინა, რომ ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან. მისი კაბა გვერდიდან ეხებოდა გიას ოდნავ წინ წამონეულ ფეხს. მაგრამ პოზის შეცვლა არ უნდოდა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მოსწონდა. თავი ასე თავისუფლად არასდროს უგრძვნია.

- უკან მიიხედე, - უკვე მერამდენედ ეუბნებოდა გია.

ირინამ მიიხედა. ზემოთ ჰორიზონტი ჩანდა და ცა, მეტი არაფერი. „ეს რა თქმა უნდა, ლამაზია, მაგრამ გია ნამდვილად ამის გულისთვის არ მიმახედებდაო," - გაიფიქრა და ისევ გიას შეხედა. გია თავჩაქინდრული იდგა.

- ჩავიდეთ, რა... დაგვაგვიანდება!

გია ჩუმად იყო.

- ჩავიდეთ, რა!

გიამ გაულიმა.

ირინასაც სიამოვნებდა, ასე რომ ეხვეწებოდა.

- ჩავიდეთ, რა! - გიას საყელო ისე ჰქონდა შეხსნილი, ირინას ძალიან მოუნდა, მოექაჩა, ხელებს ძლივს იმორჩილებდა, მაგრამ თითქოს ვიღაც კარნახობდა, საშიშიაო. თუ რატომ იყო საშიში, ირინამ არ იცოდა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა.

- იცოდე, მარტო ჩავალ! - ზვერავდა, რომელი მხრიდან ჯობდა ჩასვლა.

გიამ ხელი მოხვია.

- რომ გაკოცო, გაბრაზდებიო?

- არა, - თქვა მშვიდად.

- საერთოდ არ ბრაზდები?

- საერთოდ როგორ არა, მაგრამ ახლა მარტო ჩასვლაზე ვფიქრობ და ორ რამეზე ერთდროულად ვერ ვიფიქრებ!

გიას მისი პასუხი დამაჯერებლად მოეჩვენა და ჩასვლა განაგრძეს.

ცოტაღა უკლდათ.

- მხარზე დამაყრდენი ხელი, - უთხრა გიამ.

ირინა დაეყრდნო. გიამ ხელში აიტაცა.

- დამსვი! - დაიყვირა ირინამ, მაგრამ გიამ ბოლომდე ჩამოიყვანა, მერე დასვა და დიდი ნაბიჯებით წავიდა სკამისკენ. ირინა ცოტა ხანს გაოგნებული იდგა. მერე სკამს გვერდით ჩაუარა და პირდაპირ გაჩერებისკენ წავიდა.

- არ მელოდები? - დაუძახა გიამ.

ირინა მოტრიალდა.

- გელოდები, - უთხრა და ხელი გაუწოდა.

თენგიზ გოშაძე
ერეკლეული
ბიბლიოთეკა

წამებული დედოფალი

მოთხრობა

ვახტანგ ტაბლიაშვილის ხსოვნას

„ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუძთ. უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც".

მათე

სარკმელთან იდგა შაჰი და ცას გაჰყურებდა. იმ მხარეს იმზირებოდა, სადაც თითქოს მთავრდებოდა მისი საუფლო და იწყებოდა ოსმანთ სასულთანო, რომელსაც საზღვრები აღარც კი გააჩნდა, მცირე აზია რომ არ იკმარა და ევროპაში რომ გაიჭრა, შავ ზღვას ერთიანად რომ მიეპატრონა და ხმელთაშუა ზღვაზეც რომ გაბატონდა ისე, ძეხორციელს არ აჭაჭანებდა, თუკი საამისოდ მისი ნება არ იქნებოდა, ჩინეთიდან წამოსულ ქარავნებს განუკითხავად რომ არბევდა და ვაჭარ-სოვდაგრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, სამხედრო ხომალდებს ხომ უტიფრად ესხმოდა თავს და თუ რომელიმე მათგანი ოდნავ მაინც შეეწინააღმდეგებოდა, უპირობოდ ისტუმრებდა ზღვის ფსკერზე. „ის გონიერება მაინც მოეხმარა ამ უმეცარ ქვეყანას", გაიფიქრა, შაჰმა, „ადამიანები ტყვედ აეყვანა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მაგრამ ბოლმით სავსეს, გონება ერთიანად დაუბნელდა, მხოლოდ სიკვდილში ხედავს გამარჯვებას... ვეუფლე სპარსთა ქვეყანას", მძიმე ფიქრებისგან ვერ თავისუფლდებოდა შაჰი, „ვარ მბრძანებელი უძლეველი ქვეყნისა. გადაეგნენ სასანები, კიდეც უნდა წასულიყვნენ, რამეთუ დაბერდა მათი მოდგმა. როგორც ცალკეული ადამიანი ბერდება, ისე მოდგმა და ჯიში, თუნდაც ეს ჯიში შაჰისა იყოს. გადაეგნენ სასანები და მოვედით სეფიანები. მოსვლით კი მოვედით, მაგრამ სამეფო სისხლს ჩვენ ძარღვებში ხომ არ უჩქეფია. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მეფობის წეს-ჩვეულებების შესისხლხორცებას დრო უნდა, მოთმინება და ცოდნის შეძენა. კი მაგრამ ვინ შეიძენს თვისებებს ქვეყნის სამართავად რომ გამოდგება? ყიზილბაშები, ღრმად რომ გაიდგეს ფესვები ამ მძლავრ ქვეყანაში და ბროლის სასახლეებში რომ მოკალათდნენ, მოკალათდნენ ქვეყანაში, ვინც ოდესღაც მთელ დუნიას თავის პირობებს კარნახობდა. კიროსისა და დარიუსის ქვეყანა ველ-მინდვრებიდან გამოსულმა ხალხმა უნდა მართოს? მაგრამ ბიზანტიასაც რომ ეგენი მოეპატრონნენ...

„ვინ, ყიზილბაშები?" შორით მოტანილი ხმა გაიგონა, აბას შაჰმა.

„არა სელჩუკები", უპასუხა იდუმალ ხმას შაჰმა და იქვე განმარტა, „დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სელჩუკნი და ყიზილბაშნი"... რატომ იფიქრა სელიმ ფაშამ, მერე სულთანობასაც მიაღწია, ირანი უდრტვინველად წაუხრიდა ქედს და ყოველს, რასაც კი მოისურვებდა – მოისურვებდა კი სრულ ბატონობას ზღვასა თუ ხმელეთზე ინდოეთიდან ეგვიპტემდე – სინზე დადებულს მიართმევდა. კი დააქუცმაცა ყიზილბაშმა კიროსისა და დარიუსის ქვეყანა, სეფიანთა ქვეყანა, სიბეცემ იმძლავრა უბირ ხალხში, მაგრამ ცხოვრებას მაინც გააჩნია კანონზომიერება და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლეველი ქვეყანა დაიბრუნებს თავის ადგილს, იტყვის თავის მრისხანე სიტყვას, არავის მისცემს უფლებას ღირსების გაჯეგვისა, დამცირებისა. ასეთი კანონზომიერებანი, რომელნიც უზენაესმა გაიღო მის წილ. მაგრამ რომ იცვლება დღეს ყოველი, ევროპამ ფრთა გაშალა, ინდოეთსა და ჩინეთს ზღვით დაუკავშირდა, ახალი მიწებიც იპოვნა. ეს ყოველი ხომ სულ სხვა, ადამიანისთვის დღემდე უცნობ წეს-ჩვეულებებს მოიტანს. რატომ ეზიარება ამ ჩვევებს ევროპა და არა ჩვენ? ჩვენი დოვლათი – ინდოეთისა, ხვარაზმისა, ირანისა ხომ ნახევარ დუნიას გამოკვებავდა. ვარ შაჰი და ვარ კაცი, ვინც ძალა უნდა მოიკრიბოს, მაგრამ რომელია ის ძალა, რასაც მართლა ძალა ჰქვია? გლეხკაცის ნაოფლარი, ხელოსნისა?.. არა მგონია ამ ძალამ ძლიერება მოუტანოს ქვეყანას. მაშ რა? გზები, ვაჭრობა, აღებ-მიმცემობა, სესხების გაცემა, აი ძალა! ძალა გავლენის მოპოვებაშია. მაგრამ რომ არც სულთანსა სძინავს, ისიც რომ ასე ფიქრობს, ფიქრობს და იბრძვის. სად არის ძალა, რომელ წერტილში? ერაყს იოლად არ დათმობს სულთანი, ხმელთაშუა ზღვა ძალზე შორსაა ჩემგან, დარდანელსა და ბოსფორს როცა მოისურვებს მაშინ ჩაკეტავს. მაშ რა, მაშ სად უნდა დაიწყოს სულთანის ძალის მსხვრევა? კავკასიაში!.." დაასკვნა ბოლოს და ამჯერად უკვე მტკიცე ხმით გამოთქვა, „კავკასია!.. ვაი თქვენ უმეცარნო, ვაი თქვენ უმეცარნო"... ანგარიშმიუცემლად იმეორებდა ერთხელ აკვიატებულ სიტყვას და ამ აკვიატებული სიტყვისგან ვერ თავისუფლდებოდა. ალბათ ვერც გათავისუფლდებოდა შირაზის ტარუღა რომ არ მოახლოვებოდა ფრთხილი ნაბიჯით და კიდევ მეტი სიფრთხილით არ ეთქვა, – შაჰინ შაჰო, ალი მუჰამედი შეწყალებას გთხოვს, ნანობს ყოველსს...

– კატის კნუტივით უმწეო ხარ და უსუსური.

– ასე ამბობს, გამაბრიყვეს უკეთურებმაო.

– იმისი თქმა რატომ დაავიწყდა, რომ თურქის მიერაა მოსყიდულ-დაქრთამული და თავისივე ხალხის საზიანოდ ირჯებოდა, – გამომცდელად ჩააშტერდა შაჰი ტარუღას და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ისევ გამომცდელად იკითხა, – ხმალი გივარგა?

– დასაწუნი არაფერი აქვს...

– მაჩვენე.

ტარუღამ ხმალი ამოიღო ტიხარიდან და ხაზგასმული მორიდებით გადასცა მბრძანებელს.

სარკმელში შემოჭრილი, ჩამავალი მზის სხივი ისეთი ელვარებით დაეცა გაპრიალებულ მახვილს, რომ წამით შემკრთალ ტარუღას თვალი მოსჭრა, შიშის ზარიც კი დასცა, მაგრამ უმალვე დამშვიდდა, რადგან მბრძანებლის მოძრაობაში საგანგაშო ვერაფერი დაინახა, მეტიც, დაკვირვება და დაფიქრება იხილებოდა შაჰის ქცევაში. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, მბრძანებელმა ყრუდ ჩაილაპარაკა, – მგონი ნათესავები უნდა იყოთ.

ტარუღამ, გაიფიქრა:

„ამ ცბიერ კაცს ვერაფერს გამოაპარებ. რამე რომ დავფიცო, ეს მახვილი ჩემ თავზე დაეშვება".

– ქვისლები ვართ, – ურყევი ხმით განაცხადა, ტარუღამ.

– ბეგლარბეგად მინდოდა ეგ კაცი, – თქვა შაჰმა და მახვილი პატრონს დაუბრუნა, დაუბრუნა კი ისეთი მოძრაობით, რომ ლითონმა კიდევ ერთხელ აირეკლა ჩამავალი მზის შიშის მომგვრელი სხივი.

ტარუღამ გაიფიქრა:

„ან ბეგლარბეგობა იმამ ყული ხანო, შენი ქვისლის მოკვეთილი თავის ფასად, ან შენი საკუთარი თავი აბას შაჰის ფეხთან დაგორებული"...

იმამ ყული ხანი, შირაზის ტარუღა, მტკიცე ნაბიჯით იმ მხარეს გაემართა, სადაც საკნები იყო განთავსებული, საკნები, რომლებშიაც სახელმწიფო დამნაშავენი ისხდნენ და ყოველი მათგანი სიკვდილის მოლოდინში მორჩილად გარინდულიყო. დამნაშავეებად კი ის ადამიანები იყვნენ მონათლულნი, ვინც აბას შაჰის-უზენაესობას საკუთარ საუფლოზე არ სცნობდა, შაჰს ეურჩებოდა და საუფლოს დასაცავად თუ მის შესანარჩუნებლად ქომაგს თუ მფარველს მეზობელ სახანოებთანაც ეძებდა, ქვეყნის შიგნითაც ეძებდა.

„სად უნდა დაიწყოს სულთნის ძალის მსხვრევა?" კიდევ ერთხელ ჰკითხა თავის თავს ირანის მბრძანებელმა და კვლავ გაიგონა იდუმალი ხმა, „კავკასიაში!" ნამეტანი უტეხი ხალხია კავკასიაში!" ხმამაღლა გამოთქვა შაჰმა სიტყვა, სიტყვა, რომელიც სულსაც ულრღნიდა, გონებასაც.

უმალ მოსწყვიტა შაჰმა მზერა უკიდეგანო სივრცეს, სარკმლის მიღმა რომ იხილებოდა, სივრცეს კი იმიტომ მოსწყდა, რომ ფრთხილი ნაბიჯები გაიგონა ზურგს უკან.

შაჰის ზურგს უკან, შირაზის ტარუღა იდგა, იმამ ყული ხანი.

იმამ ყული ხანის დგომაში სრული მორჩილება ისახებოდა შაჰისადმი, მისი ყოველგვარი სურვილის უპირობო შესრულების წადილი. იმამ ყული ხანს, ხმა არც ამოუღია, მხოლოდ დგომით ამცნო ბატონს ალი მუჰამედის თავის მოკვეთის ამბავი.

არც შაჰს უთქვამს რამე მორჩილი ყმისთვის, ხმის ამოუღებლივ გაემართა იმ დერეფნით, რომელიც საკნებს გასდევდა.

იმამ ყული ხანი მანძილზე აედევნა ბატონს.

„ამათაც ეს დღე ელით" – გაიფიქრა დერეფნით მიმავალმა იმამ ყული ხანმა, საკნებში გამომწყვდეულ ტუსაღებს გულისხმობდა.

შაჰი ეზოში ჩავიდა, სადაც მცირე ამალა ელოდა, მცირე ამალა და სპარსული ჯიშის დარაბტული ულაყი, პატრონის მოლოდინში ერთ ადგილზე რომ ვერ ისვენებდა, ტოკავდა და ფრუტუნებდა.

შაჰი ულაყს მოაჯდა, ტარუღას არც დამშვიდობებია, ისე გავიდა ალაყაფში.

– უნდილაძეკ, – ქართულად მიმართა ირანის მბრძანებელმა საკუთარ დიდვაზირს, ალავერდი ხანს, – ნამეტანი უტეხი ხალხი ხართ კავკასიელნი. მე უფრო სისუსტეს ვიტყოდი. რომ არა თქვენი უტეხი სული, დღეს აღარც იქნებოდით. მტერი იმდენი გყავდათ და ისეთი, ერთიანად გაგჯეგავდათ ან სულაც ათქვეფდა თქვენ სისხლს თავისაში, მაგრამ სნორედაც უტეხმა სულმა გიშველათ.

– შენ ძარღვებშიაც ხომ დგას ორიოდ წვეთი ჩვენი სისხლისა.

– დგას და კიდეც მეამაყება, რომ ვარ ნაწილი განათლებული ერისა.

– სისუსტე სადღაა მბრძანებელო?

– რა აზრი აქვს იმ სიჯიუტეს, მე გაჯიქებას ვიტყოდი, რომელსაც მომავალი არ გააჩნია. სად გაიხარებდა თქვენი ჯიში, გრემში, გორში? რა პირობა არსებობდა საამისოდ? თუნდაც შენ, რომ დარჩენილიყავი იმ შენ უნდილაანთ კარში, გინდაც დასახლებულიყავი ოთელოში, ვინ იქნებოდი, რა იქნებოდი? აქ, იმ მძლავრ ქვეყანაში კი ბაზარზე მონად გაყიდული ბიჭი, დიდვაზირი გახდი. მთელი ირანი მემორჩილება მე, მე კი მბრძანებელი შენი, – ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე შაჰს, – გემორჩილები შენ, ოდესღაც მონად გაყიდულ ბიჭს...

შაჰმა მისკენ მომავალი დედოფალი შენიშნა, ორი მსახურის თანხლებით რომ მოაბიჯებდა მტკიცე ნაბიჯით.

– მობრძანდება დედოფალი, – დიდვაზირს გადაულაპარაკა შაჰმა, – და მოაქვს თან ბაგრატოვანთა ღირსება, ღირსება და უმწიკვლობა, მუდამ რომ ახლავს თქვენს ქალს.

დედოფალი შაჰსა და დიდვაზირს მიუახლოვდა და ჩვეული კდემამოსილებით შეჩერდა მანძილზე.

შაჰიცა და დიდვაზირიც ფეხზე წამოდგომით მიეგებნენ დედოფალს.

შაჰმა ვარდის ფანჩატურში მიიპატიჟა დედოფალი, იმ ფანჩატურში, ნაირფერი ყვავილით რომ იყო გაწყობილი. ერთ კუთხეში აბრეშუმისებრი ვარდის სამკუთხედი ელავდა, სამკუთხედის ქიმზე კი ნაზი ჩითისებრ-ჩალისფერი ასკილის ყვავილის ნახევარმთვარე, მეორე კუთხეში მუქი ლურჯი ხავერდისებრი ვარდის წრე ისახებოდა, წრის შუაგულში კი ბაცი ლურჯი ვარდისავე ვეება წერტილი მზერის მაამებელ ლაქად იჯდა. შემდეგ მწვანე ფოთლებს დაფლეთილი ღრუბლის მსგავსი ვარდის რიგები გასდევდა ხეივნის ბოლომდე.

– ვარდის წინაპარი, – ასკილის ყვავილზე მიანიშნა შაჰმა და ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით სკამზე მიუთითა.

მადლობა თავის დახრით გამოთქვა დედოფალმა.

– თქვენებური კაცის ხელითაა გაკეთებული. მებალე არ არის, მხატვარია, სიაუშ გურჯს ვეტყვით. ისე გრძნობს ფერს, ისე იცის საგნების დალაგება, როგორც არავინ სხვამ.

დედოფალი სკამზე ჩამოჯდა.

ჩამოსხდნენ შაჰიც, დიდვაზირიც.

– თურმე ცხოვრების უკულმართობას შენი შვილიც უჩივის, მის ლექსებში იმედგაცრუება იკითხებაო. სადღაა სიმ-

ღერა თუ აღარ არის იმედი? არ ჰყვარებია თურმე ჩვენი სარწმუნოება. რატომ და რისთვის? – დინჯი ხმით ესაუბრებოდა ირანის მბრძანებელი დედოფალს და მის ხმაში თანაგრძნობაც ისმოდა ოსმალებისგან შევიწროებული ირანისადმი, სათნოებაც და ზრუნვაც ქართლ-კახეთისადმი, თანაგრძნობა, რადგან ამ ავმა ძალამ ქვეყნიერებას რომ მოედო არც ერაყი დატოვა დაულაშქრავი და არც ბალკანები, გაბატონდა ბალკანებზე და ვინ მოთვლის კიდევ სად? არც კავკასია დაუტოვებია ყურადღების მიღმა, ყველა საქარავნო გზა გადაკეტა და ისეთი მდიდარი ქვეყნებიც კი, როგორიცაა ზვარაზმი თუ ინდოეთი, მთლად გამორიცხა ნამდვილი ცხოვრებიდან, – სიხარბესაც ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული? – დაიჩივლა და განაგრძო, – კავკასია პატარაა და უქომაგო, ვაი მას, თუკი ოსმალომ იქაც მოიკიდა ფეხი.

დედოფალმა მძიმედ ამოიხვნეშა, თუმცა რამის თქმის უფლება თავისი თავისთვის არ მიუცია.

შაჰი ოდნავ შეყოვნდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, ადრინდელი სიდინჯით მიუბრუნდა ოსმალეთს. დოვლათზე ჩამოაგდო სიტყვა, მის უყაირათო ფანტვაზე, უყაირათო, რადგან უმეცარი ქვეყანა გარჯით კი არ აგროვებს სიმდიდრეს, არამედ ნაყაჩაღარით. და რადგან ნაყაჩაღარია, არცა სცემს პატივს შრომას. სხვისი ნაოფლარი ქარით მოტანილი ჰგონია, გონებაჩლუნგია და იმიტომ. მისი გარჯით რომ იყოს შექმნილი, სიმდიდრეს კეთილ საქმეს მოახმარდა, თავადაც აყვავდებოდა, სხვასაც გაახარებდა, მაგრამ მოუქნელი გონება დღევანდელი დღით კმაყოფილდება, ხვალინდელი დღისკენ... შაჰს სიტყვა გაუწყდა.

სწრაფი ნაბიჯით მოემართებოდა შაჰისკენ ისა ხან ყორჩი ბაში, შეშფოთებული სახე ჰქონდა, ტანსაცმელი დამტვერილი.

შაჰმა, ნამიერი მზერა შეაჩერა დედოფალზე და ისა ხან ყორჩი ბაშს მიეგება...

მას შემდეგ, რაც ორმა ათასმა ოსმალომ, ქართლის რამდენიმე სოფელი ერთიანად გადაწვა, ხოლო სოფლის მკვიდრნი დედაწულიანად გაწყვიტა, თავი მშვიდად იგრძნო და მტკვარს აღმა აუყვა. მაგრამ ვერ იქნებოდა ბიმშვიდე იქ, სადაც ჯერ ისევ [illegible] ადამიანები, მათი პატრონები [illegible] ორლობეებში ეყარნენ, ზოგიც მტკვარს მიჰქონდა გაურკვეველში.

გვიანი საღამო იყო, როცა სერზე შემომდგარმა ხერხეულიძემ და მაჩაბელმა სამცხისკენ მიმავალი ოსმალთ ლაშქარი შენიშნეს, ცხენები შეაყენეს და თვალი გაადევნეს გამარჯვებულის ნაბიჯით მიმავალ ლაშქარს.

კარგა ხანს უმზირეს ხერხეულიძემ და მაჩაბელმა მშვიდი ნაბიჯით მიმავალ მტერს, მოგვიანებით კი მცირე თათბირი გამართეს. თათბირის არსი ის იყო, რომ ქართველებს მოახლოებული ღამე თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინათ, ე. ი. მაჩაბელს, ღამით, მტრისთვის გვერდი უნდა აევლო და მას ზურგში მოქცეოდა. ხერხეულიძე კი, გამთენიას, როცა ოსმალთ სახელდახელოდ გამართული ბანაკი ძილ-ღვიძილში იქნებოდა, თავს უნდა დასხმოდა. ბრძოლის მთავარი სიმძიმე ხერხეულიძის წილ მოდიოდა და რადგან მტრის მთელი ყურადღება ხერხეულიძის რაზმზე იქნებოდა გადატანილი, მაჩაბელი ზურგიდან დასცხებდა მტერს.

შეთანხმდნენ.

ხერხეულიძემ ოთხასი მხედარი დაიტოვა, მაჩაბელს კი ასი გაატანა.

ირიჟრაჟა თუ არა, სერიდან ზვავივით დაშვებული, რამდენიმე გუნდად დაყოფილი ქართველობა ისეთი გაშმაგებით დააცხრა ჯერ ისევ მძინარე თურქთა ბანაკს, რომ მახვილის ხელში აღების საშუალება კი არა, ამოსუნთქვის შესაძლებლობაც არ დაუტოვა.

კაფავდნენ და კაფავდნენ ხერხეულიძის ბიჭები მტერს, იბრძოდნენ გახელებით და გაავებით, რამეთუ უწყალოდ დახოცილი ადამიანების მნახველთ, სიბრალულის გრძნობა ერთიანად მოსპობოდათ, დანდობა თუ შებრალება მათთვის არ არსებობდა.

ბიჭები, მტრის ბანაკის შუაგულში შეიჭრნენ. ეს კი – ბანაკის შუაგულში შეჭრა, – მტრის ზურგში ჩასაფრებული მაჩაბლისთვის ბრძოლაში ჩაბმის ნიშანი იყო.

კიდეც ჩაება ჩხუბში მაჩაბელი და ჩაება ისეთი ძალით, რომ გაოგნებული მტერი მთლად დაიბნა და ვეღარაფერს ახერხებდა, გარდა იმისა, რომ მუდარით გაიძახოდა „ისირამ"-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თავში ვიხლი შენ დატყვევებას?! — შესძახა ერთ-ერთმა მეომარმა და მახვილი დასცხო ხელებაპყრობილ ოსმალოს, დასცხო კი ისეთი ძალით, რომ შუა გააპო იგი.

ავიწროებდნენ ქართველები ოსმალებს და ავიწროებდნენ იმ რკალს, რომელშიაც მოექცა მტერი.

ოსმალოს, მტკვრისკენ ერეკებოდნენ, იქით, სადაც საძრაობა აღარ იყო. განწირული ოსმალო ან უნდა დანებებოდა გაშმაგებულ ქართველს, ან მტკვრისთვის მიეცა თავი.

— აჰმედ ფაშა, აჰმედ ფაშა! — გაიძახოდა ხერხეულიძე, მაგრამ ოსმალთ თავკაცი, ვილაცის ზურგს ამოფარებული, სიკვდილს ემალებოდა.

ბრძოლა ფიცხელი გამოდგა, გახელებულიც კი. ქართველები სისწრაფითაც ჯობნიდნენ ოსმალებს და გაავებაც მეტი ჰქონდათ, რადგან ოსმალო, მომხვდური იყო მათთვის, ის ავაზაკი თუ ყაჩაღი, ვინც განუკითხავად სპობდა, რასაც კი გზად გადაეყრებოდა ქართველთ მიწაზე.

ოსმალო სპარსს ებრძოდა, სპარსი — ოსმალოს, ქართველი კი ამ ორი ვეშაპის პირველობისთვის ბრძოლაში ჩაბმული, უმოწყალოდ იჩაგრებოდა.

აჰმედ ფაშას დაეძებდა მაჩაბელიც, მაგრამ ვერ პოულობდა.

აჰმედ ფაშა, ერთ-ერთმა ბიჭმა იპოვა, იპოვა კი ისე, რომ არც იცოდა, ვის მოუქნია მახვილი.

აჰმედ ფაშას თავი ხერხეულიძის ცხენის ფეხთან დაგორდა.

— რა ჩაიდინე?! — შესძახა ხერხეულიძემ.

ბიჭი, სახტად დარჩა.

— ცოცხლად უნდა შეგვეპყრო.

ეს ყოველი მაშინ მოხდა, როცა ქართველებმა, მტერი ერთიანად მიდრიკეს მტკვართან.

დატყვევებული და ძალადაკარგული ოსმალო, ვინც იარაღს აღარ ანველარ ხმარობდა, შეწყალებას იხვეწებოდა, ზოგიც უკვე გონებადაბნელებული, გადარჩენას მტკვარში ეძებდა, მაგრამ არც მტკვარი იყო დიდად შემნდობი. ისეთი ძალით მიაქანებდა კაცსა თუ პირუტყვს, რომ გადარჩენის პირობა არც აოსებობდა.

— ჩააგდე გუდაში, — აჰმედ ფაშას თავზე მიანიშნა, ხერხეულიძემ.

მაჩაბლის ბიჭმა მართლაც ჩატენა აჰმედ ფაშას თავი გუდაში, — ნეტა, სად უნდა ვათრიო? — ჩაიბუბღუნა უკმაყოფილომ.

ბოლთას სცემდა გაჯავრებული, თუმცაღა დამსწრეთ არაფერს ეუბნებოდა, უფრო თავის თავს ეხმიანებოდა ფიქრში წასული, ფიქრი კი მძიმე ჰქონდა, მძიმე და რისხვით სავსე. ოსმანთ ქვეყანა არ ასვენებდა, ვინც ეუფლა არაბთა და ბერძენთა ქვეყნებს, ეგვიპტესა თუ რუმინეთს, დონი, დუნაი ერთიანად დაიმორჩილა, პონტო კი ჩაკეტილ ტბად აქცია.

„მრისხანე ძალა კარსაა მომდგარი", უკაკუნებდა ამ სიტყვებს გონებაში უხილავი ადამიანი, ადამიანი თუ სატანა — თავადაც ვერ გარკვეულიყო, „საკუთარ ხალხსაც ისე ძარცვავს, როგორც დაპყრობილ მტერს. დაფიტა ქვეყანა ამ უსასრულო ომებმა და დაპყრობებმა. რატომ არ მოუწყობენ ამბოხს?" — გაიელვა ამ აზრმაც მბრძანებლის გონებაში, მაგრამ ვის უნდა მოეწყო ამბოხი, იყო კი ვინმე, ვინც თავს დაადგამდა ამბოხის საქმეს?

„რატომ არ შემეგზავნა მსტოვრები? მსტოვრები!.." გაიმეორა ფიქრში, „გაჩნდება ბზარი".

მსტოვრები თითქოს ჭეშმარიტ საქმედ მოეჩვენა, მაგრამ სად? გლეხობასა თუ ქალაქებში, იქნებ ფაშებსა თუ სოვდაგრებთან? ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობდა.

„იანიჩარები", წამოიძახა ხმამაღლა.

დამსწრენი მოულოდნელმა წამოძახილმა შეაკრთო და მბრძანებელს მიაჩერდნენ შეკითხვის მზერით.

— იანიჩარები სულ კავკასიელი ხალხია, — მშვიდი ხმით გამოთქვა შაჰმა და კვლავ მოძალებულ ფიქრს მიეცა.

„რომის პაპი რაღას გაჩერებულა", ჰკითხა თავის თავს, „რად არ დარაზმავს ქრისტიანებს. ხომ გამოუგზავნია ოდესღაც ვინმე ლუდოვიკო. დღევანდელი პაპი რაღას გაჩერებულა? ოსმანთა ძალის მსხვრევა უნდა დაიწყოს აქ, ამ მიწაზე!.."

ცბიერება ისახებოდა შაჰის თვალებში, ნაბიჯი შემპარავი გაუხდა. ჩასაფრებული ფოცხვერის ნაბიჯი იყო, რბილი და მზაკვარი.

„ქრისტიანები, ქრისტიანობა"... აკვიატებულ აზრს იმეორებდა, „მაჰმადი-

ანნი?.. მაჰმადის სახელით ატყუებს სულთანი მაჰმადიანთ, მაგრამ აქაურ ხალხს — თუ ინამებენ ესენი ისლამს, ვერ მოატყუებს. დაუთმობელია კავკასიელი"...

ფიქრი გაუწყდა, ფიქრი მჭახე ხმაურმა გაუწყვიტა.

ოთახში აბდულა ბეგი შემოვიდა, მხნე ნაბიჯი ჰქონდა.

გამჭოლი მზერა მიაპყრო შაჰმა თბილისის ციხის თავს.

— გაუტეხიათ ქართველებს ოსმალო. ორი ათასი კაცი ერთიანად გაუწყვეტიათ ხერხეულიძეს და მაჩაბელს.

მოულოდნელობამ დაადუმა ყველა.

დუმდნენ მეფენიც.

დუმილი იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე არ შემოვიდა ოთახში მსახური და არ ითხოვა ნებართვა გამოგზავნილი კაცის შემოშვებისა, ვინც დანაბარები მოიტანა, ხერხეულიძის დანაბარები და სისხლით მოსვრილი გუდა.

შაჰმა თანხმობა ბრძანა.

მოვიდა გზირი, დაღლილ სახეზე გზის სიმძიმე ეტყობოდა.

მანძილზე შეჩერდა გზირი და შაჰის ნებართვას დაელოდა სიტყვის თქმის შესახებ.

შაჰი არ აჩქარებულა, კარგა ხანს უმზირა გზირს გამომცდელი თვალით, მოგვიანებით კი მშვიდად იკითხა, — რა გაქვს გუდაში?

გზირმა გუდიდან აჰმედ ფაშას თავი გადმოაგორა.

კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა შაჰს, მოგვიანებით კი მოკვეთილ თავზე მზერაშეჩერებულმა, ნიშნის მოგებით გამოთქვა, — აქ დაიმსხვრევა თქვენი ძალა, — გზირს მიუბრუნდა, მას შემდეგ, რაც მზერა მოსწყვიტა აჰმედ ფაშას თავს, — რას იტყვი?

გზირმა ბარათი გადასცა შაჰს, თან მოკრძალებით დაატანა, — ბარათი, მბრძანებელო.

შაჰმა ბარათი ჩამოართვა გზირს, თუმცაღა არ წაუკითხავს იგი, კვლავ იკითხა, — რამდენი იყავით?

— ხუთასი.

— თურქნი?

— ორი ათასი.

— ხუთასმა კაცმა სძლიეთ ორი ათასს?

— ვძლიეთ.

კვლავ მოკვეთილ თავზე გადაიტანა მზერა შაჰმა და კვლავ ფიქრში გაიმეორა სიტყვა მრავალჯერ ნათქვამი: „თქვენი ძალა აქ დაიმსხვრევა". გამოერკვა ფიქრებიდან და დამსხვრეთ მიუბრუნდა, — დამიტოვეთ მეფენი.

ყველა გავიდა.

დარჩნენ მეფენი.

დიდხანს იყუჩა შაჰმა, დუმილი კი გამომცდელი იყო. დუმდა შაჰი და მის თვალსაწიერში ხან ერთი მეფე იყო მოქცეული, ხანაც მეორე, თუმცა მათ მხარეს არც იცქირებოდა.

დუმდნენ მეფენიც შაჰის სიტყვის მოლოდინში, ან თუნდაც იმ გამოხედვისა, რომელიც მბრძანებლის აზრის ამოკითხვის საშუალებას თუ არ მისცემდათ, იმას მაინც მიახვედრებდათ, რას მოითხოვდა მათგან მრისხანე ადამიანი, ვისი აზრის განჭვრეტაც წინასწარ შეუძლებელი იყო.

— თეიმურაზ, ფიცხი კაცი ხარ, ლაღი და თავისუფალი, — ქართულად გამოთქვა შაჰმა, — მეფეს გავაზურისთვის არ უნდა ეცალოს.

თეიმურაზ მეფემ დაირცხვინა.

ლუარსაბ მეფეს მიუბრუნდა ირანის მბრძანებელი, — შენ გვამში, რაინდის სული დგას...

ლუარსაბ მეფე მოთმინებით დაელოდა შაჰის აზრის გაგრძელებას. შაჰი კი არ ჩქარობდა.

— რუსის მეფესთან განგიზრახავთ კავშირი, — სიფრთხილით წარმოთქვა შაჰმა და კვლავ შეყოვნდა, — მერე რას გპირდებათ? — გააგრძელა მოგვიანებით, — ქრისტიანები კი ხართ, მაგრამ შორსაა მიხაილ მეფე თქვენგან...

ლუარსაბ მეფემ, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაუბედავი იყო, თუმცალა არც შაჰმა ადროვა სიტყვა, თავად განაგრძო, — ძილი გამიკრთა, როცა ისა ხან ყორჩი ბაშიმ ოსმალთაგან შენი სახანოს სოფლების დალაშქვრის ამბავი მამცნო. იმავ წამს გამოვქანდი, მაგრამ ჩემი ძალა არც დაგჭირვებია, — შაჰმა, აჰმედ ფაშას კბილებდაკრეჭილ თავზე მიანიშნა, — დაგიფასდება ირანის ერთგულება.

კვლავ დააპირა ლუარსაბ მეფემ სიტყვის თქმა და კვლავ არ ადროვა შაჰმა.

— რატომ გავიწყდებათ მეფენო, რომ რუსი კავკასიისკენ მოიწევს, რატომ გგონიათ არ მიიტაცებს თქვენს მიწებს, როგორც მიუტაცია სხვათა მიწები. რუსის ელჩებს მასპინძლობთ, თქვენებს მიხაილ მეფესთან გზავნით. ჩრდილოეთიდან რუსი, სამხრეთიდან ოსმალო

და სპარსი, თქვენ კი შუაში. რა მოგივათ ამ პატარა ერს, მეფენო? თეიმურაზ, დედაშენი ჩემთან დარჩება, შენი ბიჭებიც. დარდი ნუ გექნება, სიმშვიდეში იქნებიან, – ლუარსაბ მეფეზე გადაიტანა მზერა შაჰმა, – გამომყევი, საქმე ბევრია ირანში... – დაასრულა სიტყვა და გასასვლელისკენ გაემართა, ლუარსაბ მეფეც თან გაიყოლა.

ერთადერთი კუნძული გააჩნდა ქეთევან დედოფალს, ავგუსტინელი პადრე ამბროზიოს თავშესაფარი, სადაც ქრისტეს აღმსარებელი ადამიანი სულის სიმშვიდეს პოულობდა სამაჰმადიანოში, სადაც ესმოდა სიტყვა იმის თაობაზე, რომ ღმერთი არის მზე, რომელიც ანათებს ადამიანის შინაგან სამყაროს, რომ ზნეობრიობის უმაღლესი პირობა სიყვარულია, რომ მზისკენ უნდა იყოს მიპყრობილი კაცთა მოდგმის მზერა, რამეთუ მზერით და ფიქრით მზესთან უნდა ეძიოს კავშირი და მიისწრაფოდეს ღვთაებრივ სიცხადემდე, ყოველთა ამაღლებამდე, იმ მდგომარეობამდე, როცა ღმერთი ჩასახლდება ადამიანში. ჩასახლდება ღმერთი ადამიანში და ჩასახლდება მასში ჭეშმარიტება.

უსმენდა დედოფალი მამა ამბროზიოს და ზოგჯერ უჩნდებოდა სურვილი სიტყვის ჩადგმისა, იქნებ მამა ამბროზიოს აზრის გაგრძელებისთვის, ან იქნებ რომელიმე აზრის დაზუსტებისთვის, მაგრამ საამისო უფლებას თავს არ აძლევდა, მეტიც, გულისყურით მისდევდა ავგუსტინე ნეტარის სიბრძნეს პადრე ამბროზიოს ბაგეთაგან კაცობრიობის საყოველთაო მიზნის შესახებ. ეს კი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა მამა ზეციერი, ძე მისი და სულიწმიდა ჩასახლდებოდა ადამიანში. სამებას, ერთარსად აცხადებდა პადრე ამბროზიო, ღვთის ქალაქს კი ოცნებად, ქალაქს, სადაც იქნებოდა მეუფება სიკეთისა, სადაც იქნებოდა სამართლიანობა, ხოლო ანგარება ყოველგვარი დაგმობილი.

მაინც ვერ მოითმინა დედოფალმა და ჩადგა თავისი სიტყვა, რამეთუ ერის საკითხი აღელვებდა ზომაზე მეტად, მისი არსებობა თუ არარსებობა. შთამაგონებლად გამოთქვა – ვის აქვს უფლება მისი გაჯეგვისა, ან ვის მიუტევებს მამა ზეციერი ასეთ ცოდვას?

გაძლიერებას და აღმატებას სხვათა ზედა მახვილის ძალით დიდ ცოდვად მიიჩნევდა, ფიქრისკენ მოუწოდებდა, უფლის მიერ ბოძებული სულის აღმატებისკენ. ყიზილბაშებად ქართველთ გარდაქმნას დაუშვებლად მიიჩნევდა, ღულამებად, სპარსელებად. ქართველები, ქართველებად უნდა დარჩენილიყვნენ, იმ მიწის შვილებად, ვისაც გადააფარა თავისი კალთა ღვთისმშობელმა. სენეკასაც მიმართავდა იმაზე, რომ არ ეფიქრა ადამიანს თუ რაოდენნი არიან მასზე აღმატებულნი, ეფიქრა იმაზე, თუ რაოდენს აღემატებოდა თვითონ, იმაზეც, ვისაც მასზე მეტად უჭირდა.

სამების მეშვეობით გამოხატავდა დედოფალი ერის შესაძლებლობას და კიცხავდა ადამიანთ, ვინც თრგუნავდა ყოველს, სულსაც სპობდა ერების ათქვეფის გზით, ქართველთა გადასახლების გზით სპარსეთში, ხოლო კახეთში, ყიზილბაშთა ჩამოსახლების გზით, – რას მიიღებო სანაცვლოდ? – გაჯავრებით გამოთქვამდა, – ქართველი, სპარსულ ჯიშზე დამყნილი ხომ აღარც ქართველი იქნება და არც სპარსი. მაშ ვინ, მაშ რა? – არარაობა, სულდგმული და სხვა არაფერი.

– ბოროტების ჩამდენი ადამიანი უნდა გვებრალებოდეს, – ურვით გამოთქვა მამა ამბროზიომ, – ვილოცოთ მისი სულის ხსნისათვის.

პადრე ამბროზიომ მგალობლებს მიაყურა, სულიწმიდის სადიდებელს რომ გამოთქვამდნენ სიმღერით, სიმღერითა და ვედრებით მამა ზეციერის მიმართ.

აყურადებდა ქრისტეს აღმსარებელი ადამიანი სმენის მაამებელ ჰანგს, ფიქრით კი იმ სამყაროში იყო გადასული, რომელსაც სინათლე უნდა მოეტანა დედამიწაზე განსწავლულობის განფენით.

პადრე ამბროზიოს პატარა ქვეყანამ – პორტუგალიამ უდიდესი ტვირთი აზიდა, ტვირთი, რომელსაც მრავალი დიდი ქვეყანა იქნებ ვერც მოერეოდა. ამ პატარა ერმა კაცობრიობას თვალი აუხილა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზების პოვნით, რითაც უხილავი ძალით დანაწევრებული, ერთ არსად ქმნილი სამყარო, მთლიან სხეულად აქცია, ამ ქვეყნის მკვიდრნი ერთმანეთს დააკავშირა, რათა გონი ადამიანთა შემოქმედების გზით წარეძა-

რთა, რამეთუ სპარსი, არაბი, ყოვლად სამაჰმადიანო იმ ამაღლების მთაზე ასულიყო, რისი ძალაც მას სრულად შესწევდა, რამეთუ შეძლო არაბთა სამყარომ და შექმნა ახალი და დიდი სარწმუნოება, შექმნა საკუთარი დამწერლობა, ციფრები შექმნა, ნატიფი და დახვეწილი ხუროთმოძღვრება, რაითაც განუზომლად გაამდიდრა ადამიანი სულიერად და ზნეობრივად. ეს სამყარო – მაჰმადიანთა სამყარო, მძლავრი და ძლიერი, კვლავაც მრავალ სიკეთეს შექმნის, – ევროპის ვალია უდიდესი შესაძლებლობების მქონე ერთობა შეკრას და შეაკავშიროს, – დაასკვნა ბოლოს.

კვლავ ფიქრმა წარიტანა ავგუსტინელი სულიერი მამა, ფიქრმა იმის თაობაზე, რომ ეროვნულობის არსმა მკვეთრად რომ სპარსთა და თურქთა ბუნება, თითქმის მთელ აზიას მოედო ყოვლისმომცველი და ყოველთა გამანადგურებელი ომით. ევროპასაც მისწვდა იგი, მისწვდა კავკასიასაც. მართებდა ევროპას დიდი დაკვირვება, რათა არ ჩართულიყო ნივთიერი განუყოფლობის უთანხმოებაში, რამეთუ დააქცევდა იგი ყოველს, რაც კი დღემდე მოუპოვებია ადამის მოდგმას, – ერთნიცა და მეორენიც მსოფლიო სივრცეში გაჭრას ლამობენ, – დაიჩივლა სულიერმა მოძღვარმა, – საყოველთაო ბატონობას ესწრაფიან ერთნიცა და მეორენიც. კაცობრიობის მახვილით გაერთიანება მაშინ, როცა ერთნი ქრისტეს აღმსარებელნი ვართ, მეორენი ისლამს ადიდებენ, მესამენი ბუდას, შეუძლებელია! განა რომს არ სურდა გამხდარიყო მსოფლიო სული? სურდა, მაგრამ ვერ გახდა, მეტიც, დაინგრა და დაიშალა!

– ძალადობრივი ეროვნულობა სათავეა სხვათა დაპყრობა-დაჩაგვრისთვის, – შეეხმიანა მამა ამბროზიოს ფიქრს დედოფალი, – გებრალებოდეს ვარდის კოკორი და არ გებრალებოდეს ადამიანი, განა ამის გაგება შეიძლება?

კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა დედოფალს, მაგრამ კარის გაღების ხმაურმა შეაჩერა.

ღია კარში, ახოვანი ღულამი იდგა, ვინც მზერა შეაჩერა დედოფალსა და სულიერ მამაზე.

დედოფალმაც და პადრემაც შეკითხვის მზერა მიაპყრეს ღულამის მკაფიოდ გამოსახულ ქართულ სახეს, თითქოს მისგან სიტყვას ელოდნენ, მაგრამ ღულამი დუმდა, მოკრძალებით დუმდა, ალბათ თავად ელოდა დედოფლის სიტყვას ან ვერ კადნიერდებოდა.

„რამ მოგიყვანა?" გაიფიქრა დედოფალმა ღულამის სახეზე მზერაშეჩერებულმა და თავადვე გასცა პასუხი საკუთარ კითხვას – „ბედისწერამ"...

როგორც იქნა გაბედა სიტყვა ღულამმა, – დამთავრდა დედოფალო, შენი პაემანი. გამცილებლები გელოდებით.

– რა გამცილებლები მჭირდება, ჩემით ვარ მოსული.

– ავაზაკს რა გამოლევს, წამობრძანდით, ამალა გელოდებათ.

დარჩეული ბიჭებისგან შემდგარი ამალა მოთმინებით ელოდა დედოფალს.

ცხენებზე ამხედრებულმა ღულამებმა შუაში ჩაიყენეს დედოფალი და მისი სადგომისკენ გასწიეს.

– რამ ჩაგაყენათ სხვის სამსახურში? – ბიჭების გასაგონად წარმოთქვა დედოფალმა.

– გამოგვრეკეს და მორჩა...

– გამოჰყევით შოლტის ძალას?..

– რა ჩარა გვქონდა? სახლ-კარი გადაგვიბუგეს, ყანა არ დაგვიტოვეს და ვენახი. ერთადერთი, რაც შეგვრჩა, სული. არ წამოვიდოდით და იმასაც ამოგვართმევდნენ. ამორთმევით კი არ ამოურთმევიათ, მაგრამ წაგვართვეს...

– სული წაგართვეს?

– წაგვართვეს დედოფალო, თავის რჯულზე დაგვნათლეს.

– სადაურები ხართ, რომელი სოფლიდან?

– ზოგი რომელი და ზოგიც რომელი...

ღულამებმა, დედოფალი სადგომამდე მიაცილეს და თავზიანად დაემშვიდობნენ.

აბას შაჰს უსაზღვროდ აღელვებდა, კიდეც აშფოთებდა ქეთევან დედოფლის ხშირი სტუმრობა ავგუსტინელი მამის, ამბროზიო დოს ანჟეს თავშესაფარში, რამეთუ მის კარზე მყოფი ეს ორი ქრისტიანი, ისლამის სასარგებლოდ არაფერს გააკეთებდა, არც არაფერს იტყოდა მის სასარგებლოდ. ეს ორი ჩვეულებრივი და რიგითი ადამიანი, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ არც რამით წაადგებოდა ირანს, ვინც კახეთის გამაჰმადიანებას ისახავდა მიზნად ქეთ-

ევან დედოფლის გამოყენებით — იწამებდა კახეთი ისლამს და იგი, კახეთი გახდებოდა ირანის ერთი ნაწილი, ნაწილი, სადაც იბატონებდა ყიზილბაში, კიდეც იბოგინებდა, კახელ კაცს დაიბრიყვებდა და თავის ნებაზე წარმართავდა, დააკნინებდა და ისე გამოიყენებდა, როგორც თავად დასჭირდებოდა ან როგორც ამას საჭიროდ ჩათვლიდა თავად ირანი.

გრძნობდა აბას შაჰი, რომ ვერც ტკბილი სიტყვით და ვერც მით უფრო სიმკაცრით, ქეთევან დედოფალზე გავლენას ვერ მოახდენდა, ხოლო თუ ვინმე შეძლებდა მასზე ზემოქმედების მოპოვებას, იყო მხოლოდღა ალავერდი ხან უნდილაძე, მისივე მიწის შვილი, ქრისტიანად დაბადებული, მაგრამ შემდგომში, ბედის განგებით ისლამის რჯულზე მოქცეული.

არც მზარდი ევროპა აძლევდა მოსვენებას აბას შაჰს, ვინც ზღვით გაიჭრა ინდოეთს და ეზიდებოდა ამ მდიდარი ქვეყნიდან აურაცხელ ქონებას. ოსმალეთი კიდევ მეტად აღელვებდა ირანის მბრძანებელს.

ევროპელებს კიდევ მოუვლიდა აბას შაჰი, კიდეც წაართვა პორტუგალიელებს ჯორჯუნი, ბაჰრეინი და კვლავ ირანს დაუბრუნა ეს ორი დიდი მნიშვნელობის სანავსადგურო კუნძული, მაგრამ ოსმალეთი, ეს ვეშაპი, ვინც ყველა გზა გადაკეტა და ირანს ან ვინმე სხვას საძრაობას არ აძლევდა? ოსმალეთი არ აძლევდა მოსვენებას ირანის მბრძანებელს!..

— სად უნდა გატყდეს ოსმანთა ძალა თუ არა გურჯისტანში? — ეუბნებოდა ალავერდი ხანს, შაჰი, — ხომ არ გგონია სიმცირე სწყვეტდეს საკითხს?

— როგორ არ მგონია, — გაუბედავად წარმოთქვა დიდვაზირმა.

— ათჯერ მეტი ლაშქარი ჰყავდა თურქ-არაბთა სარდალ ილლაზის, როცა შეება თქვენ მეფეს დიდგორს, მაგრამ დამარცხდა, დამარცხდა ისე, რომ ბაღდადის თემში მისი მიმდგომი არ დარჩენილა არც ერთი ადამიანი, შვილი რომ შვილია, ისიც განუდგა. არაბთა და თურქთა მძვინვარე ძალა გურჯისტანში დაიმსხვრა, იცი! ოსმანთა ძალა გურჯისტანში უნდა დაიმსხვრეს, შესწევს უნარი ამ პატარა ერს დიდი საქმის განსრულებისა, ესეც იცი!

აბას შაჰი ალავერდი'ხანისგან ქეთევან დედოფალზე გავლენის მოპოვებას მოითხოვდა რჯულის შეცვლის თაობაზე, მოითხოვდა მკაცრად და უპირობოდ, რამეთუ იყო დარმწუნებული დედოფლის გამაჰმადიანება მთელი კახეთის ისლამის რჯულზე მოქცევის საწინდარი იყო, ხოლო შემდგომ კახეთისა, ქართლი მოექცეოდა ისლამის რჯულზე.

მაჰმადიანი ქართლი, მაჰმადიანი კახეთი, ეს ის ძალაა, დიდი ძალა, ვინც შეძლებს ოსმანთა გაძევებას კავკასიიდან, შეძლებს მათ გაძევებას და მოერყევა ოსმანთ ძლიერებას საფუძველი მთელ დუნიაზე. რუმინეთი დაიდრეკს ქედს მის წინაშე თუ უნგრეთი, ავსტრია თუ საბერძნეთი? არავინ, არც ერთი ადამიანი! გზა აღარ რჩება თურქეთს, თუ არა მყარი კავშირის შეკვრა ერთმორწმუნე ირანთან და ამ კავშირის მბრძანებელი თუ არა წარმმართველი მაინც იქნება ირანი, ირანი და მისი მბრძანებელი აბას შაჰი, მაგრამ დასაწყისისთვის, დასაწყისისთვის გონიერი დედოფლის მაჰმადის რჯულზე დაყოლიებაა საჭირო.

— არა მგონია შაჰინ შაჰო, — მოკრძალებით გამოთქვა ალავერდი ხანმა, დედოფალი ვინმემ დაიყოლიოს ამ რთულ საქმეზე. ძალა მის უკან დიდი დგას.

— რა ძალა, მძევალია ჩემი.

— ქრისტიანობას ვამბობ მბრძანებელო, ქრისტიანობას და გურჯისტანს, იმ გურჯისტანს, რაც ვერ გატეხა იმ ხანად მრისხანე ძალამ, ბაღდადმა, აკი თავადაც ბრძანე. გეცოდინება ცოტნე დადიანის ამბავიც ანისს რომ მივიდა და მზის გულზე რომ დაჯდა თანამზრახველების გვერდით...

— ვაჟკაცები იყვნენ, რაინდები, დედოფალი დედაკაცია...

— ქართველია ქეთევან დედოფალი, ბაგრატოვანთა გვარისა...

ის ნაპერწკალი აკიაფდა შაჰის თვალებში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რისხვას გამოხატავდა, ხოლო რას მოასწავებდა შაჰის რისხვა ალავერდი ხანმა ძალზე კარგად უწყოდა.

— ვიფიქრებ მბრძანებელო მაგ საქმეზე, მაგრამ შენც გეფიქრა რომელიმე სხვა მიდგომაზე დედოფალთანაც, თეიმურაზთანაც, ლუარსაბთანაც.

— იფიქრე! — კვლავ სიმკაცრით გამოთქვა შაჰმა და ამ სიმკაცრეში ისიც იყო ნათქვამი, რომ მან დიდვაზირთან სიტყვა დაამთავრა და ახლა უკვე, ამ წუთიდან მისგან მხოლოდღა საქმეს ელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდვაზირი შაჰს დაეთხოვა და გასასვლელისკენ გაემართა მძიმე ნაბიჯით.

გვიანი ღამე იყო, როცა გუნებადამძიმებული ალავერდი ხანი ბინაზე მივიდა, სადაც იმამ ყული ხანი და დაუდ ხანი მოუთმენლად ელოდნენ მამას.

სიტყვა არ უთქვამს იმამ ყული ხანს, მამისთვის არაფერი უკითხავს, თავად მიხვდა, რომ ვერ იყო კარგი ამბავი მათ თავს, მიხვდა, რადგან მამის სახეზე მხოლოდღა ურვა იკითხებოდა, დაუდ ხანს კი მაინც არ ეყო მოთმინება და მაინც იკითხა, – რა ამბავი მოიტანე?

ალავერდი ხანმა, უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

– სხვას არც ველოდი, – ჩაიბუტბუტა დაუდ ხანმა.

მეორე დილით მამა მკვდარი დახვდათ შვილებს. ტანსაცმელი არც გაეხადა, ისევ ზედ ეცვა ბერიკაცს იგი.

და ოცდამერვე წელს დღიდან გამეფებისა, მპყრობელი ყოვლისა ირანისა, ერაყისა, ხივიისა სრულად თუ არა, დიდწილად მაინც, კავკასიისა, ზარის დამცემი ოსმანთ სულთნისა, მაინც ვერ არის მოსვენებით, რამეთუ ვერა დგას კავკასიაში მყარად, იმ კავკასიაში, სადაც მისი ფიქრით უნდა დაწყებულიყო ოსმანთა ძალის მსხვრევა. ასე ეგონა აბას შაჰს, ამაზე ოცნებობდა კაცი, ვინც ბოლო მოუღო ყიზილბაშის მეუფებას თავად სპარსეთში, ბოლო მოუღო ოსმანთ გავლენას თავად სპარსეთზე და დიდი ხნითაც დაუკარგა აჰმედ სულთანს ირანზე მახვილის შემართვის წადილი.

ქართლი, კახეთი, შირვანი თუ უკვე ხერხემალგადამტვრეული ერევნის სახანო უკვე იმ საყრდენად დაიგულა, რომელსაც აჰმედ სულთანის წინაალმდეგ გამოიყენებდა, დაიგულა საყრდენად მხარე, რომელიც დღეს თვალსა და ხელს შუა ეცლებოდა.

ოსმანთ ძლიერების მსხვრევა შაჰის ფიქრით ქართლ-კახეთში უნდა დაწყებულიყო, დაიწყო კი ამ ქვეყანაში თავად შაჰის ძლიერების რყევა.

ალავერდობა დღეს დაიწყო უძლეველი ირანის ძლიერების რყევა წმიდა გიორგის ტაძრის გალავანში, იმ ტაძრისა, არაბობის ჟამს რომ ააგო ქართველმა ერმა, შემდგომ კი აბას შაჰმა, ერის სალოცავი ყიზილბაში ლაშქრის სადგომად აქცია, რაითაც დაამცირა ერი, შეუგინა სარწმუნოება, გაუთელა ... ოყვარეობა.

თითქოს დაამთავრა აბას შაჰმა ომი აჰმედ სულთანთან, ზავითაც განამტკიცა მშვიდობა და ის ძალზე საჭირო ამოსუნთქვაც მიიღო, რომელიც კავკასიაში განამტკიცებდა მის ძალას, ქართლ-კახეთის ირანისთვის სრული მორჩილების პირობას მისცემდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ალავერდობა დღეს ქართველობა ტაძარში ამბოხებისთვის მივიდა, სამებას სული თვისი შეავედრა და წმიდა გიორგის – ქომაგს ქართველთა ქვეყნისა, მფარველობა მოსთხოვა, მტარვალზე გამარჯვება მოსთხოვა.

მოათავა ლოცვა მლოცველმა, ტაძრიდან კარში გაიჭრა და ყიზილბაშ მცველს, გალავანში რომ იდგა ან გალავნის გარეთ, დაუოკებელი ძალით ეკვეთა. დედამიწაზე არ არსებობდა ძალა, რომელიც ამბოხებულის გონიდან თუ სულიდან ამოხეთქილ ამ ქარიშხალს შეაჩერებდა.

არ ერიდებოდა კახელი კაცი, თუში თუ ვინმე სხვა აკრძალულ ილეთს, მაჰმადიანი ქისტიც კი არ ერიდებოდა ზურგში მახვილის ძგერებას მტარვალისათვის. მას მოძალადე უნდა მოეკლა, აუცილებლად უნდა მოეკლა, რამეთუ გადამთიელი ბოგანო ლუკმას ართმევდა, ცოლს გაუბახებდა, შვილს მოსტაცებდა და ხვადაგივით გაუყიდდა ბაზარზე, სიტყვასაც არ ეტყოდა ისე გაუყიდდა, კიდეც დასცინებდა, არარად აქცევდა. ასეთი კაცი უნდა მოეკლა კახელს, თუშსა თუ ვინმე სხვას, ეს სხვა თუნდაც ყოფილიყო მაჰმადიანი ქისტი ერთმორწმუნე ყიზილბაშისა, იმ ყიზილბაშისა, ვისაც სპარსეთში არ აჩერებდა აბას შაჰი და კახეთის მიწაზე ამკვიდრებდა. კიდეც იყენებდა ამბოხებული სული ყველა ხერხს, რამეთუ იყო იგი განწირული.

ამბოხება, გალავნიდან ტაძრის მილმა ტაფობზე გაიჭრა.

არ დააყენა ამბოხმა სულმა არც ერთი კაცი, ვისაც კი თავზე ჩალმა ჰქონდა შემოხვეული, ბრძოლა გაჩაღდა დაუნდობელი, მთელ სოფელს მოედო იგი, სოფლიდან სოფელში გადავიდა, დაბიდან დაბაში, მთელ კახეთს მოედო უკვე ომი, ომი და არა ამბოხი დაუოკებელი. ბერი და ერი ყველა ჩაერთო ამ დაუნდობელ

ჩხუბში, ბალღი რომ ბალღია, იმანაც იარაღს დასტაცა ხელი, მაგრამ ბალღს ან დედაკაცს იარაღს ვინ დაუტოვებდა, ამიტომაც ფინაღს დასტაცა ხელი, თოხსა თუ ნიჩაბს, ნიჩაბს და ჭიგოს, ჭიგოს და კიდევ ვინ იცის რას, ოღონდ კი ყიზილბაშისთვის მოექნია იგი ჩხუბის ჟინით გონებადაბნელებულ ადამიანს.

სამ დღე-ღამეს გაგრძელდა გახელებული ომი, ომი რისი მსგავსიც არ ენახა არც კახელსა თუ ვინმე სხვას, ომი, რომელსაც ყიზილბაშის ფესვი უნდა ამოეგდო წაბილწული კახეთიდან, ოდესღაც ბარაქიანი, დღეს კი იავარქმნილი მინიდან, სადაც ვაზი აღარ ხარობდა სპარსეთიდან გადმოხვეწილი ბოგანოს წყალობით, ბაღი თუ ყანა აღარ ხარობდა, საძოვარიც კი გააპარტახა ბოგანომ, გადაძოვა ისე, რომ პირუტყვს ბალახი არ დაუტოვა.

კახეთიდან შირვანს გადავიდა ომი, იქაც, შირვანშიც ქუდზე კაცი გამოვიდა, ყიზილბაშს შეუტია და ერთიანად განყვიტა მომხვდური თუ მოძალადე ყულის ლაშქრად მონათლული ყოველი ადამიანი.

ხუთი ჯოჯოხეთური დღე-ღამე დაჭირდა კახეთიდან გაქცეულ სპარსს, ვიდრე ისპაჰანს მოაღწევდა და აბას შაჰს შემზარავ ამბავს ამცნობდა.

შაჰი აღელდა, უკიდურესად აღელდა, მაგრამ აღელვება არ შეიმჩნია, თავი ღირსეულად დაიჭირა. ხმაც არ ამოუღია, ცივი გონებით და ცივი სახით მოისმინა ყოველი და თავის თავში ჩაღრმავებულმა ყველა გეგმა თუ ღონისძიება სულ რამდენიმე წამში დასახა. გეგმის პირველი ნაწილი კი ის იყო, რომ ლუარსაბ მეფე უნდა ენახა, ქეთევან დედოფალი უნდა ენახა და მისი შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე.

კვლავ სიმშვიდეს იბრუნებდა შაჰი და კვლავ სათნოების განწყობით მიდიოდა მეფესთან, მიდიოდა, რათა დაერწმუნებინა კეთილშობილი კაცი ირანისა და მისი მმართველის კეთილგანწყობაში პატარა და უქმობაგო გურჯისტანისადმი, კეთილგანწყობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ გურჯისტანი ისლამის რჯულზე უნდა მოქცეულიყო.

რაღა თქმა უნდა, მთელი ქვეყნის სარწმუნოების შეცვლა ერთი ხელის დაკვრით არ მოხდებოდა, მაგრამ თუ მეფე მათი და ისიც როგორი მეფე, რაგორი კაცი, რჯულს შეიცვლიდა, ხალხიც მცირე დროთა განმავლობაში მეფეს გაჰყებოდა, გაჰყვებოდა, რადგან მორჩილია სპარსი კაცი ისლამისა და რადგან მორჩილია იგი ისლამისა, კიდეც ყოფილა ყველაზე დიდი ადამიანი მთელი დუნიაზე, რამეთუ ქადაგებს სპარსი, მაჰმადის სწავლებას, დიდმა ალაჰმა რომ ჩააგონა. თორმეტი იმამის ჭეშმარიტება ჩააგონა, ალიდების ნება, ფატიმასგან მომდინარე, მაჰმადის ქალიშვილისგან.

ამ ფიქრებით მივიდა აბას შაჰი ლუარსაბ მეფესთან და ბინაში შესვლისთანავე მხარზე აკოცა, რამაც უზომოდ გააოცა მეფე, კიდეც შეაცბუნა თითქოს სტუმრად მყოფი, სინამდვილეში კი ტყვედქმნილი კაცი.

— თუ სულიერად არ იქენი ძლიერი, — დინჯად წარმოთქვა შაჰმა, — ვერ იქნები ძლიერი ნივთიერად. არც შენი ნება იქნება დამაჯერებელი და არავინ იწამებს შენსას, არავინ გამოგყვება, ჭეშმარიტებას შენსას არავინ დაიჯერებს, ჭეშმარიტება კი თორმეტი იმამის შთამომავალთაგან მოდის — ალიდებისგან. სპარსეთია ის ქვეყანა, ვინც უნდა იხსნას ყოვლისა განსაცდელისგან მთელი დუნია. სპარსეთი მთელი დუნიას სულია! თვით ალაჰისგანაა ჩადებული მსოფლიოს სული სპარს კაცში.

— ქართველი კაცის სული, დიდო მბრძანებელო, ქრისტესმიერი სიყვარულით იყო გამთბარი მუდამ. ქრისტეს მოძღვრებით არსებობდა ქართველი და ქრისტეს გარეშე ქართველი, ვისაც შენ ასეთი სათნოებით ეკიდები და პატივისცემით, არასოდეს იქნება ქართველი, იგი ვინმე სხვა იქნება, — გაბედა მეფემ და მოახსენა შაჰს ის, რასაც ფიქრობდა. სხვა დროს იქნებ ვერც გაკადნიერდებოდა, მაგრამ ახლა მეფეს წამიერი გაბედულება ეწვია, სწორედაც რომ წამიერი. ეგებ თეიმურაზის სამეფოს მიერ მოწყობილმა ამბოხებამ მოუვლინა ეს გაბედულება, ეგებ რაიმე სხვამ, ამაში თავადაც ვერ გარკვეულიყო, რამეთუ შემდგომ, როცა მარტოდ დარჩებოდა კიდეც ჰკითხავდა თავის თავს „რამ მათქმევინაო ასეთი სიტყვა?" — რაღად გჭირდება ის ვინმე სხვა, — გააგრძელა წამით შეწყვეტილი აზრი მეფემ, — თუკი იგი აღარ იქნება ქართველი და იქნება ღმერთმა უწყის ვინ?.. არავინ! — დაასკვნა ბოლოს და ფინჯან

ყავაზე მიანიშნა, მსახურმა რომ დადგა მაგიდაზე დიდის მოწიწებით.

შაჰმა, ფინჯანი გვერდზე გასწია, და გასწია ისეთი მოძრაობით, რომელშიაც უარი კი არ იყო ნათქვამი ყავაზე, არამედ იყო გაჯავრება იმის გამო, რომ ლუარსაბ მეფემ, წინადადება რჯულის შეცვლაზე არ მიიღო.

დიდად დარწმუნებული არც ადრე ყოფილა შაჰი იმაში, რომ ლუარსაბ მეფეს რჯულის შეცვლაზე დაითანხმებდა, მაგრამ მაინც სცადა, მაინც მოსინჯა, რამეთუ მისცა დრო ფიქრისთვის, პირობაც შეუქმნა ისეთი, რომელიც მიიყვანდა მეფეს აზრამდე რჯულის შეცვლის თაობაზე, მაგრამ მოტყუვდა, უარი მიიღო, რამაც გააჯავრა უკიდურესად და გააჯავრა ისე, რომ ვერც დაფარა იგი, ან იქნებ გაჯავრებამ თავად ამოხეთქა ისე, რომ შაჰისთვის არაფერი უკითხავს. და ამ გაჯავრებული მოძრაობით ის ათქმევინა ალი ყული ხანისთვის, რომ მას ლუარსაბ მეფე, ვინც ირანში შაჰის ნებით იყო მოყვანილი და დიდის პატივითაც დაბინავებული წარჩინებულთა სახლში, ციხეში გადაეყვანა.

შაჰი ისე გაეცალა იქაურობას, მეფეს არც დამშვიდობებია.

რჩებოდა დედოფალი ქეთევანი, დედოფალი და სხვა არავინ, სხვა ყველა და ყველაფერი ქართველთა მოდრეკის გზაზე შაჰისთვის არ არსებობდა, არადა ქართველთა გამაჰმადიანება აბას შაჰს ჰაერივით სჭირდებოდა, სხვაგვარად კავკასიაში ფეხს ვერ მოიკიდებდა, იმ კავკასიაში, რომელიც ოსმანთა წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა, იმ ოსმანთა წინააღმდეგ, ვისი ლაშქარიც უკვე იდგა ირანის საზღვარზე, იდგა და ხელსაყრელ დროს ელოდა, ელოდა თეიმურაზ მეფისგან პირველ დარტყმებს კახეთის ამბოხების სასწაულებრივი გამარჯვების შემდეგ.

მაგრამ ვიდრე ქეთევან დედოფალს შეხვდებოდა შაჰი, კახეთის საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, „კახეთი, კახეთი"... ღრმა ფიქრში ჩაფლული ბუტბუტებდა შაჰი და დაჟინებულ მზერას არ აცილებდა ალი ყული ხანს, ვისაც ვერ გაეგო რას მოითხოვდა მისგან მბრძანებელი.

— ლაშქარს მე შეგიკრებ, მოემზადე კახეთისთვის... — უთხრა ალი ყული ხანს შაჰმა...

●

ალი ყული ხანს, დიდად ნაცადს და შაჰის დიდად ერთგულ სარდალს ეიდევ ერთხელ მიეცა საშუალება მხედრული ნიჭიერების გამოჩენისა. ნიჭიერებას კი ალი ყული ხანი მისი ღრმა რწმენით, უცილობლად გამოიჩენდა, რამეთუ მწყალობელმა ბატონმა თხუთმეტი ათასი რჩეული მეომარი გაატანა გურჯისტანის დასასჯელად, იმ გურჯისტანისა, ვინც თავხედური ჯანყი გაუბედა ქვეყანას, შიშის ზარს რომ სცემდა დიდსა თუ მცირეს, ყველას, ვინც კი მისი ნების დარღვევას გაბედავდა, დარღვევას კი არა, მრისხანე სპარსეთი, მისი ნების გვერდის ავლას არავის აპატიებდა.

თხუთმეტი ათასი მეომრით შევიდა ალი ყული ხანი ქართლს. ჯერ გორის ციხე უნდა დაეჭირა, შემდგომ კი თბილისი ყოველწამიერი დარტყმის ქვეშ ყოლოდა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მყარად იგრძნობდა თავს ქართლის საზღვრებში, კახეთს კი მონადირის მიერ ჩიხში შეგდებულ ნადირს დაამსგავსებდა, ვისაც გზა აღარ ექნებოდა თავის საშველად, მაშინ დასცხებდა. ასეთი გეგმა დაუსახა აბას შაჰმა თავის სარდალს, ამ გეგმას ასრულებდა გორისკენ მიმავალი ალი ყული ხანი, თავისი თხუთმეტი ათასი მოლაშქრით.

მაგრამ არც კახეთი ყოფილა გულხელდაკრეფით და სულაც არ უფიქრია ულონო ცხვარივით კისრის გადაგდება შაჰისთვის ყელში დანის გამოსასმელად.

არ ეძინა თეიმურაზ მეფეს, ამ მშფოთვარე და დაუდეგარ ადამიანს, ადამიანს, ვინც მონის მდგომარეობას არასდროს შერიგებია. გორს მიმავალ ალი ყული ხანს, თავს დაუარა, არაგვი გადალახა და ისეთი გაშმაგებით შეიჭრა მტრის შუაგულში, რომ ყიზილბაშს გონს მოსვლის საშუალება არ მისცა, შუა გაწყვიტა სპარსთა ლაშქარი და ჰკაფა იგი იმ დრომდე, ვიდრე თავზარდაცემული არ აოტა, აოტა კი შერცხვენილი და ლაფდასხმული. ხუთი ათასი კაცით სძლია თეიმურაზ მეფემ შაჰ აბასის თხუთმეტ ათასიანი ლაშქარი, სძლია ისე, რომ არც გორს მისვლის საშუალება მისცა და არც თბილისის შემოგარენში დადგომის უფლება.

გაქცეულ-აოტებული ალი ყული ხანი იმასღა ფიქრობდა, როგორმე თავისთვის

ეშველა. დაფანტული ჯარის შველაზე მას ფიქრი აღარ შეეძლო, ფიქრი შეეძლო მხოლოდღა იმ მცირე ნაწილზე ჯარისა, რომელიც გარს ერტყა, რომელიც მას იცავდა.

ნაცადი და მუდამ ერთგული სარდალი შაჰ აბასისა, ალი ყული ხანი ბატონის წინაშე თავჩაქინდრული იდგა.

ცნობამ თხუთმეტათასიანი ლაშქრის განადგურების თაობაზე თავზარი დასცა შაჰს. თხუთმეტი ათასი კაცის დაკარგვა დაჭრილ-მოკლულის სახით პატარა საქმე როდი იყო, ის კი, ვინც გაქცევით შეძლო თავის გადარჩენა, მეომრად აღარც გამოდგებოდა, რამეთუ სულიერად გატეხილი, მტერს ველარ გაუძლებდა. ხილული თუ უხილავი ძალით დევნილის გონება მხოლოდღა იმით იქნებოდა შეურვებულ-შეჭირვებული, როგორმე სული თვისი გადაერჩინა. მაგრამ შველა გაქცეული კაცისა, რომ არსად და არასდროს არსებულა, ეს ჭეშმარიტებაც მტკიცედ უწყოდა შაჰმა. შაჰს, იმაზელა შეეძლო ფიქრი, სასწრაფოდ შეეკრიბა ახალი ლაშქარი და ეს ხალხი საქართველოზე ხელახალი ლაშქრობისთვის მოემზადებინა, მოემზადებინა მხნე და ამტანი ხალხი, რამეთუ ბრძოლა კავკასიელებთან ძალზე ძნელ საქმედ ესახებოდა.

სიმრავლით კი ჯობნიდა შაჰი თეიმურაზს, მაგრამ სულიერად არ იქნა და ვერ გატეხა ეს უჯიათი ადამიანი.

დედა წარსტაცა თეიმურაზ მეფეს შაჰმა, მძევლად დაიტოვა, მძევლებად ჰყავდა უფლისწულებიც, მაგრამ თეიმურაზი, თავად თეიმურაზი სჭირდებოდა ირანის მბრძანებელს ახლა, რადგან ოსმალთ ურიცხვი ლაშქარი ირანის სამფლობელოს კარს იყო მომდგარი. ყარსი, არზრუმი, ერევნის სახანო ყოველ წამს ელოდნენ დარტყმას. და თუ ეს დარტყმა მოხდებოდა, მოხდებოდა აბას შაჰის დიდების რყევა, ისიც კარგად იცოდა შაჰმა, რომ თეიმურაზ მეფე ოსმანთ სულთნისგან იყო გამხნევებული, უწყოდა ისიც, რომ სულთანსა და ქართველ მეფეთა შორის ფარული კავშირი არსებობდა, რომ თეიმურაზი, ოსმალთ ლაშქრის შეჭრას ელოდა სპარსეთში, რომ სულთანი თეიმურაზისგან შაჰზე ახალ დარტყმებს ელოდა.

ორ ცეცხლს შუა იყო-მოქცეული შაჰი: ცალკერძ თურქეთი, ცალკერძ კი გაუტეხავი კახეთი, თუმცა არც უმეფოდ დარჩენილი ქართლი იყო ადვილად ჩამოსაგდები.

გაეგზავნა შაჰს დიდი ლაშქარი კახეთს და ოსმალთ პირისპირ დამდგარ ირანის ლაშქარს დაასუსტებდა, არ გაეგზავნა და კახეთი, ქართლი, შირვანი ხელიდან ეცლებოდა, კავკასია ეცლებოდა ხელიდან, სადაც მისი ფიქრით ოსმალთ ძლიერების რყევა უნდა დაწყებულიყო, ოსმალთ ძლიერებისა, მაგრამ არა ირანისა, არადა სწორედ ირანის ძლიერებას მოერყა ძირი კავკასიაში.

– ასწიე თავი! – გაავებით შესძახა ნის წინაშე თავჩაქინდრით მყოფ ალი ყული ხანს შაჰმა.

ალი ყული ხანმა, გაუბედავად ასწია თავი, მაგრამ თვალი მაინც ვერ გაუსწორა მრისხანე ბატონს.

– როგორ გაჯობა ხუთი ათასი კაცით? – კიდევ მეტი გაავებით წამოიძახა შაჰმა, – თხუთმეტი ათასი გაგატანე.

– უგრძნეულად დაგვესხა თავს, – დამნაშავედ ჩაიბუტბუტა ალი ყული ხანმა, – რას ვიფიქრებდი გადარეულ მთის მდინარეს თუ გადმოლახავდა.

შაჰი მიხვდა, ალი ყული ხანისგან ვეღარაფერს მიიღებდა, თუ შეძლებდა ეს სულიერად გატეხილი ადამიანი დაფანტული ლაშქრის ნარჩენების შეკრებას ისიც ბევრი იყო მისგან. ამიტომაც ისა ხან ყორჩი ბაშის მიუბრუნდა, – გურჯისტანს ვერ დათმობს ირანი!.. – მბრძანებლის კილოთი გამოთქვა.

ისა ხან ყორჩი ბაშიმ გაუბედავად, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოახსენა:

– დედოფალი მბრძანებელო, ლუარსაბ მეფე მბრძანებელო, ეგებ უსისხლოდ გავიდეთ ფონს კახეთში.

შაჰი მცირედ ჩაფიქრდა, მოგვიანებით კი მსახურს ლუარსაბ მეფის მოყვანა უბრძანა.

სულ მოკლე დროში მოჰგვარეს შაჰს მეფე ლუარსაბი, ის მეფე, ვინც კახეთის ამბოხების გამარჯვების შემდგომ თავს ამაყად გრძნობდა, თუმცაღა იმასაც ფიქრობდა, სიამაყის გრძნობა მისდაუნებურად არ გაემჟღავნებინა, რაითაც უცილობლად განარისხებდა ისედაც გახელებულ მბრძანებელს, იმ მბრძანებელს, ვისთვისაც დამარცხება უცხო რამ იყო და ვინც დამარცხებას არაოდეს შეურიგდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა ლუარსაბ მეფე შაჰის წინაშე, უტყვად იდგა და სიტყვას ელოდა მისგან.

შაჰი კი, მშფოთვარე ფიქრებით შემოჯარული, სულ სხვა დუმილით დუმდა. მეფისგან სიტყვას იგი არ ელოდა, სიტყვისთვის თავად ემზადებოდა, უფრო კი იმ წუთს ელოდა, როცა მეფე გატყდებოდა და თავს დამნაშავედ იგრძნობდა. როგორც კი ეს წამი დადგებოდა, შაჰი მაშინვე მიიტანდა გამანადგურებელ იერიშს მეფეზე, მის გატეხილ და დათრგუნულ სულზე. როგორ, რა სახით: მრისხანე შეძახილით, მუქარით თუ კვლავინდებურად გამომცდელი დუმილით ეს ჯერ თავადაც არ იცოდა, იცოდა მხოლოდ ის, რომ ამოუცნობი და ხანგრძლივი დუმილით ქართლის მეფე უნდა გაეტეხა.

მეფე კი სიმტკიცით დუმდა, დუმდა მხოლოდ ერთი განწყობით, შაჰისგან ნამოსული სიტყვის მოლოდინით დუმდა.

მაინც შაჰმა დათმო.

— უსტარი გაგიგზავნიათ მუსტაფა სულთნისთვის.

— არაფერი ვუწყი...

— შენ და თეიმურაზს...

— არა ვუწყი რა.

— კავშირი განგიზრახავთ გურჯებს თურქებთან.

— არა ვუწყი რა.

— თეიმურაზი სტამბულს მისულა, სულთანთან კავშირის საძებნელად.

— არა ვუწყი რა.

— დაგმე ქრისტე და აღიარე ისლამი!.. — მრისხანედ დასჭყივლა მოთმინებადაკარგულმა აბას შაჰმა.

ქართლის მეფემ კი დუმილი შეაგება შაჰის მრისხანებას, დუმილი მტკიცე და ურყევი. ისიც გაბედა ლუარსაბ მეფემ, რომ თვალი თვალში გაუყარა უძლეველ მბრძანებელს.

— დაგმე ქრისტე, — გაიმეორა შაჰმა კვლავინდებური მრისხანებით.

მეფე ჯიუტად დუმდა.

შაჰიც დადუმდა. შემდგომ ხანგრძლივი დუმილისა ხელი აიქნია, და ეს ხელის გაჯავრებული აქნევა იყო ნიშანი იმისა, რომ მეფე ლუარსაბი, კვლავ გულაბის საპყრობილეში უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ როგორ დაებრუნებინათ ეს მხოლოდ იმ მსახურმა იცოდა, ვინც მოიყვანა მეფე გალავანში.

სამი კაცისგან იყო შემდგარი ბადრაგი, სამი მხნე და კუნთმაგარი კაცისგან, შუაში რომ ჩაიყენეს მეფე და ისე გაატარეს ქალაქის ქუჩები.

ერთი ახოვანი კაცი, ძლიერად განვითარებული ქვედა ყბით და ამოცვენილი ყვრიმალის ძვლებით, მისი სახის ძლიერებას რომ გამოხატავდა, წინ მიუძღვოდა მეფეს, ორნი კი, ესენიც დაკუნთულნი და შემართებულნი უკან მისდევდნენ მეფეს, მისდევდნენ უტყვად და ამ დუმილში უცილობელი ბატონობა იგრძნობოდა მეფეზე, თუმცაღა მათ ბატონობას მეფე აინუნშიაც არ აგდებდა, გამოზომილი ნაბიჯით მიდიოდა, იმ ნაბიჯით, რომელსაც ბადრაგი სრულად ემორჩილებოდა.

გალიეს ქალაქი და მეფემ შეჩერება ისურვა.

შეჩერდა ბადრაგიც.

დუმდა მეფე.

დუმდა ბადრაგი, დუმილი კი შემზარავი იყო, შემზარავი და ამოუცნობი, მაგრამ ამოუცნობი ბადრაგის ორი წევრისთვის, პირველი კი ძალზე კარგად უწყოდა, რასაც ნიშნავდა ეს დუმილი.

მეფემაც კარგად უწყოდა, რასაც მოასწავებდა მკაცრი და იდუმალებით მოცული დუმილი, ისიც უწყოდა, რომ საკანში მისულს დუმილის უფლებას აღარავინ მისცემდა.

მეფე იმ მხარეს შებრუნდა, საითაც თავისი ქვეყანა ეგულებოდა, ხელები ცისკენ აღაპყრო, ლოცვა მაცხოვრისადმი მცირედ ჩაიბუტბუტა და პირჯვარი გადაისახა. გადაისახა პირჯვარი მეფე ლუარსაბმა და გზა გააგრძელა ციხისკენ.

საკანში შესულთ, ბადრაგის უფროსმა, იმან, ვისაც ძლიერი სახე ჰქონდა ორ თანაშემწეს მზერით, მხოლოდღა მზერით საკნიდან გასვლა უბრძანა, მეფეს კი უთხრა:

— ილოცე, აღა!

მეფე ლოცვაზე დადგა, სული თვისი ღვთისმშობელს შეავედრა — ლოცვა არ ჰქონდა მოთავებული მეფეს, რომ ბადრაგის უფროსმა, თვალებში მრისხანება რომ ჰქონდა ჩაგუბებული, რაც ადამიანის განწირვის საქმეში უნდა მიხმარებოდა, საბელი შეიხსნა წელიდან, ყულფი გამოსკვნა და მეფეს თავზე ჩამოაცვა, ჩამოაცვა და ორივე ბოლო ისეთი ძალით გაქაჩა, რომ მეფემ უმალ დაკარგა გონი.

რა დარწმუნდა ბადრაგის უფროსი, მეფე ამ ქვეყნად აღარ იყო, საბელი შე-

ხსნა კისრიდან და მშვიდი ნაბიჯით კარში გავიდა.

საკანში ციხის მსახური შემოვიდა, მეფის ცხედარი გაიტანა.

— გუშინ ყაფანზე ათი კახელისთვის თავები დაუცლიათ, — ბებიას შესჩივლა ლევან უფლისწულმა, — რა უნდათ ჩვენგან?

— მაგის გაგება სულაც არ არის ძნელი, — თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაიბუტბუტა დედოფალმა, თუმცაღა ამ ბუტბუტში გულიდან ამოხეთქილი სევდა გაისმა.

— ჰასანას ბიჭმა მითხრა, — ალექსანდრე უფლისწულმა ჩადგა სიტყვა, — ყველას ეგრე მოგივათ ჭკუაზე თუ არ მოხვალთო. რა ბედნიერებას მისცემს შაჰს ჩვენი ჭკუაზე მოსვლა?

— შენ კიდე რა ბალღივით ლაპარაკობ, — ლევანმა გაუსწორა ძმას, — ბედნიერება ის იქნება, რომ მუსლიმი გახდები და ისაზრდოებ ამათი წესით. რა ვერ გაიგე?

— მერე, ბედნიერება სად არის?

— ეს კიდე...

— კარგით, ბალღებო, გეყოფათ, — გაჩუმა ბავშვები ბებიამ.

ბავშვები დადუმდნენ, იყუჩეს დიდხანს, თუმც ამ დუმილში შეშფოთება და განგაში იგრძნობოდა.

— ბებო, რო საქმე საქმეზე მიდგეს, ვერ გავიპარებოდით აქედან?

დედოფალს მწარედ გაეღიმა და სევდიანი ხმით წარმოთქვა, — სად დაემალები ამ კაცს, ათასი თვალი და ათასი ყური აქვს გამოსხმული. საფლავიდან მკვდარს ამოიღებს და ახლად მოკლავს.

— მერე რა ხეირია მკვდრის ახლად მოკვლა?

— ქვეყნიერებას კიდევ ერთხელ დაანახებს, რომ არის ყოვლის შემძლე. იმ ჭინკასაც დააოკებს, სულში რომ უზის და უსასრულოდ რომ მოითხოვს მისგან ავ საქმეს.

ბინაში შაჰი შემოვიდა მცირე ამალით და მოსვლისთანავე ზარატუსტრას სიტყვები მიაგება დედოფალს, — „ჭეშმარიტად, ადამიანი ბინძური მდინარეა. ჭეშმარიტად ზღვა უნდა იყო, ბინძური მდინარე შეიერთო და არ წაიბილწო"...

დედოფალი მოულოდნელობამ ისე დააბნია, რომ არა თუ პასუხი ვერ მოძებნა შაჰის სიტყვისა, სკამზეც კი ვერ მიანიშნა.

— დედოფალო, — ლმობიერი ხმით წარმოთქვა შაჰმა, — შენი შვილი [illegible] სულთანთან მისულა. რა [illegible] მეფეს ოსმალეთში? რატომ ეძებს თეიმურაზ ბატონი მშვიდობას სულთნის სახლში, ვისთვის მოუტანია მშვიდობა სელჩუკთა მოდგმას სპარსეთისთვის, ბერძენი კაცისთვის, ქართველისთვის? აავსებს დაპირებებით სულთანი შენ შვილს, გამოსძალავს მისთვის საჭირო სიტყვას და მოეპატრონება თქვენ ქვეყანას ისე, როგორც მოეპატრონა რუმინეთს, ბულგარეთს თუ კიდევ ვინ მოთვლის რას...

წარმოთქვამდა შაჰი დედოფლის გასაგონად მისთვის საჭირო აზრს და თვალებში, დედოფლის თვალებში საკუთარი აზრის გამოძახილს ეძებდა, მაგრამ გამოძახილი არ იყო და არა.

დედოფალი საკუთარ ფიქრთა დენას მისდევდა, შეპასუხებას შაჰთან კი ვერ ბედავდა, ან იქნებ ბალღების ბედი აფიქრებდა, შვილიშვილებისა, კუთხეში რომ ისხდნენ უტყვად და მორჩილად.

— ირანის იქით კახეთს გზა არა აქვს, — გააგრძელა შაჰმა სიტყვა, — ეს ის ჭეშმარიტებაა, რისი უარყოფაც არ შეიძლება. იქნება ირანი გურჯისტანში და იქნება სიმშვიდე, არადა გამუდმებული შფოთი. გონიერი დედაკაცი ბრძანდები, განათლებული ერის შვილი, არ გაგიჭირდება ამ სინამდვილის გაგება. გეკითხები დედოფალო და მიპასუხე, სულთნის იმედად დადგომა იქნება? ვეშაპია! ვინ არ უნდა იჯდეს ტახტზე ოსმალეთში, სიხარბეს ეს ქვეყანა არ დაიშლის...

„კი მაგრამ, შენ?" — თავისთვის გაიფიქრა დედოფალმა.

მცირე შეყოვნების შემდგომ შაჰმა კვლავ გააგრძელა:

— თავისივე ხალხი მოითხოვს ახალ და ახალ დაპყრობებს. ასეთია ხარბის ბუნება. არ გჭირდება სისხლი დედოფალო, პატარა ერის პატრონს. შენცა ხედავ, რა სათნოებით გეკიდებით, გვიყვარხართ გურჯები და გვიყვარს გურჯისტანი.

„სიყვარულმა მოგაკვლევინა ლუარსაბ მეფე", გაიფიქრა დედოფალმა.

დაჟინებით მისჩერებოდა ისა ხან ყორჩი ბაში ქეთევან დედოფალს, მზერას ერთი წამითაც არ აცილებდა ყოველ მის მოძრაობას, ყოველ მის გამოხედვას, ყოველ წამს მოელოდა დედოფლის სუ-

ლის გამოძახილში – რაც მის ქცევაში უნდა გამოსახულიყო, შაჰის აზრის მიღება ამოეკითხა, მაგრამ შაჰის აზრის მიღება დედოფლის არც ერთ თუნდაც უმნიშვნელო გამოხედვაში არ ისახებოდა, არადა ისა ხან ყორჩი ბაშის კახეთის საკითხის მოგვარება, სწორედაც უსისხლოდ ეწადა, დედოფლის თანხმობით ეწადა.

– გეფიქრა ამათ ანმყოსა და მომავალზე, – პატარა უფლისწულებზე მიანიშნა შაჰმა, კუთხეში რომ იყვნენ მიყუჟულები და ბებიას რომ მისჩერებოდნენ იმედის თვალით, – ხან ვალდებული გვარის გაგრძელებაზე ფიქრისა, ზრუნვისა. ამათმა მამამ შენ მოგიყარა ბალღები, – განრისხებით გამოთქვა, – ჰოდა შენა ყოფილხარ ამათ ბედზე პასუხისმგებელი.

დედოფალი გაკერპებული იდგა შუაგულ ოთახში, არც ერთი ნაკვთი არ ირხეოდა მის ლამაზ სახეზე, მაგრამ ამ მძიმე წუთებში გაქვავებულ სახეზე სილამაზე არ ისახებოდა, მხოლოდღა რისხვა, მაგრამ ის რისხვა, რომელიც განსხეულებას ვერ პოულობდა, თავისავე თავში ითქვიფებოდა, ქრებოდა, თუმცაღა მალევე იბრუნებდა თავის თავს და კვლავ რისხვად ისახებოდა.

შირაზის ტარუღა, ახლა უკვე ბეგლარბეგი იმამ ყული ხანი, როგორც ისა ხან ყორჩი ბაში, თვალს არ აცილებდა ქეთევან დედოფალს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბეგლარბეგს დედოფლის თანხმობა ისლამის მიღების თაობაზე არ სჭირდებოდა, პირიქით, მთელი არსებით ეწადა დედოფლისგან უარის სიტყვის გაგონება შაჰის სიტყვაზე. თუ დედოფალი უარს განუცხადებდა აბას შაჰს, შაჰი იმავ წამს მისი დასჯის ბრძანებას გასცემდა, ხოლო ბრძანების აღმსრულებელი შირაზში რაღა თქმა უნდა იქნებოდა თავად ბეგლარბეგი. აღასრულებდა ბეგლარბეგი ბრძანებას და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებდა შაჰს ერთგულებას, რაც უცილობლად შეუქმნიდა თუნდაც მცირედ პირობას წინ წაწევისა.

ბეგლარბეგი ჯერჯერობით უარს კითხულობდა დედოფლის ქცევაში.

დედოფლის სახეზე მტკიცე უარი ისახებოდა.

მისჩერებოდა ბეგლარბეგი დედოფალს, მისჩერებოდა ბალღებს და წამით წამს უახლოვდებოდა საწადელს.

– შეუთვალე შენ შვილს, – მოთმინება დაკარგა აბას შაჰმა, [illegible] ოცნება, მეახლოს და [illegible] მორჩილება!

დედოფალი გაკერპებული იდგა შუაგულ ოთახში, ერთი ნაკვთიც არ ირხეოდა მის გაქვავებულ სახეზე.

აბას შაჰმა ზურგი შეაქცია დედოფალს, ალბათ იმიტომ, რომ არ ეჩვენებინა დედაკაცისთვის სახე თვისი, სახე, რომელზეც მოთმინების და თავდაჭერის ნიშანწყალიც აღარ იხილებოდა.

ერთხანს იდგა შაჰი უძრავად, იდგა, იმ წუთს ელოდა, როცა ნება კვლავ დაბრუნდებოდა მასთან, როცა კვლავ დაუბრუნდებოდა ამპარტავანი, როცა დაბრუნდებოდა მბრძანებლისა და ყოვლისმპყრობელის ღირსება.

ეს წამიც დადგა.

შაჰი მტკიცე ნაბიჯით დაიძრა გასასვლელისკენ.

ამალა ფეხდაფეხ აედევნა მბრძანებელს.

დარჩა შუაგულ ოთახში ამაყად მდგარი, გაკერპებული დედოფალი, დედოფალი და განგაშით მოცული მდუმარება.

ქალაქის ვიწრო ქუჩებით მიდიოდა შაჰი, ამალის თანხლებით. დუმდა შაჰი, დუმდა ამალა, დუმდნენ თავდახრილი შემხვედრნიც, ვინც გზად მიმავალნი, კედელს იყვნენ ატუზულნი იმ დრომდე, ვიდრე ამალა კარგა დიდ მანძილზე არ გასცდა მათ.

ისმოდა ცხენების ფლოქვების ერთფეროვანი თქარა-თქური ქვაფენილზე და სხვა არაფერი, არც ერთი ჩქამი, არც ერთი კრინტი.

კარგა დიდი მანძილი ჰქონდა ამალას გავლილი დედოფლის სადგომიდან, როცა შაჰმა ბეგლარბეგი იხმო.

იმამ ყული ხანი, შირაზის ბეგლარბეგი, უმალ ეახლა მბრძანებელს.

– უნდა ამოვარდეს მაგ კაცის ძირი და ფესვი, – გესლით გამოთქვა აბას შაჰმა.

ბეგლარბეგმა სიტყვა ვერ შეაგება შაჰს, მას მკაფიო ბრძანება სჭირდებოდა დავალების აღსასრულებლად, ამიტომაც ამჯობინა დუმილი.

– დაასაჭურისე ბიჭები, – მკაცრად გამოთქვა შაჰმა, – უნდა ამოვარდეს მაგ კაცის ჯიში!

კვლავ განაგრძო დუმილი ბეგლარბეგმა, კვლავაც დაელოდა შაჰისგან დასრულებული აზრის გაგონებას.

– დედაკაცი აწამე და ისე გაისტუმრე საიქიო სასუფეველში, – დაასრულა აზრი შაჰმა.

იმამ ყული ხანმა, ცხენი შეაბრუნა, ხუთიოდე მხედარიც თან გაიყოლა.

კვვლავაც ოთახის შუაგულში იდგა დედოფალი, იდგა მძიმე ფიქრებით შემოჯარული, იდგა ადამიანი გაურკვევლობაში მყოფი და ყოველთა ბოროტთა ზრახვისგან დაუცველი. თუ რამე იცავდა დედოფალს, მხოლოდღა ღვთით ნაბოძები სიმტკიცე, მაგრამ რაა იგი სიმტკიცე ან ნება, თუკი არ არის ღვთით მოვლენილი სიყვარული და არის მხოლოდღა კაცთსიძულვილი.

დუმდა დედოფალი იმ ანგელოზის მოლოდინში, რომელიც მფარველის კალთას გადააფარებდა მის ღირსებას და მის სათნოებას.

კარის მჭახე ხმაური გაისმა.

ოთახში ოთხი ჩაფარი შემოვიდა, ოთხი უხეში ჩაფარი და შირაზის ბეგლარბეგი, იმამ ყული ხანი.

გააევებულმა კაცებმა, უხეშმა და მოუქნელმა, ხელი დასტაცეს კუთხეში უტყვად მიყუჟულ უფლისწულთ და ისე გაიტაცეს ოთახიდან, სიტყვა არ უთქვამთ არც ერთი.

– სად მიგყავთ ბალღები?! – შეჰკივლა დედოფალმა, მაგრამ პასუხად ვერ გაიგონა ვერაფერი, გარდა ცხენების ფლოქვების თქარა-თქურისა, ჭენებით რომ მიჰყავდათ გაურკვეველში უმწეო და უქმაგო უფლისწულები.

დედოფლის ბინაში შემოვიდა კაცი ხმელ-ხმელი და კუნთმაგარი, უცნაური ჩაჩი ეხურა თავზე, – დედოფალო, მოემზადე, – მტკიცე ხმით განაცხადა, ახლადმოსულმა და სხვებს მიუბრუნდა, ვისაც სხვადასხვა საგნები ეკავათ ხელში: მაყალი, მარწუხ-მაშები, საკვნეტები, ნახშირი და საბერველები.

ზორბა კაცებმა, ვეება სპილენძის ტაშტი შემოათრიეს, ოთახის შუაგულში დააგდეს იგი შემზარავი ხმაურით და შიგ მაყალი ჩადგეს, შემდგომ კი დედოფლის მსახურ-მოახლეთ მიუბრუნდნენ უხეში შეძახილებით.

ხარება ჯავახიშვილი, მაყრად რომ გაატანა ქალიშვილს აშოთან მუხრანბატონმა, შემდგომ კი ხარება, [illegible] ან რომ დარჩა მისი საქმეების გამგებლად, წინ გადაუდგა ჯალათებს.

ჯალათები არც აღშფოთებულან ხარებას საქციელით, არც გაჯავრებულან, ხელი ჰკრეს და მუჯლუგუნის ცემით კარში გააგდეს. კარში გარეკეს სხვა დანარჩენი მსახურ-მოახლენიც, ხარებას ცოლიც, გულქანა.

ხარებამ მყის აფრინა კაცი გოის ავგუსტინელთა კოლეგიის ბერებთან.

დედოფალი კი, დინჯი, აუღელვებელი თვალით მისჩერებოდა ადამიანებს, ვინც მის საწამებლად იყო მოსული. დედოფლის გაკერპებულ სახეზე ერთი ნაკვთიც არ ირხეოდა, თითქოსდა ყოველი, რაც კი ხდებოდა, იყო მხოლოდღა წარმოსახვა, ანდა სიზმარი ვინმეს მიერ ნანახი.

– მოემზადე დედოფალო, – კიდევ ერთხელ გაიმეორა სიტყვა მთავარმა ჯალათმა, ვისაც უცნაური ჩაჩი ეხურა.

დედოფალმა, მკაცრი ხმით წარმოთქვა, – მომეცით მცირე დრო თავისუფალი.

დედოფლის ხმაში, თხოვნა რაიმეს გამო არ გაჟღერებულა, არც სინანული რაიმეს გამო, მხოლოდ მოთხოვნა მტკიცე, ურყევი.

მთავარმა პასუხად მხოლოდ ხელი აიქნია, რაც თანხმობის ნიშანი იყო დედოფლის სიტყვაზე.

დედოფალმა კარი მიიგდო, მაცხოვრის ხატის წინაშე დაემხო და წარმოთქვა, – მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა... ო, მაცხოვარო, ვერ შეგიცნეს ფარისეველთა, რამეთუ სულის თავისუფლებას ელოდნენ შენგან, ელოდნენ შენგან სულიერ განწმენდას. ვით ნივთიერი სიკეთის მოპოვებას სჭირდება გარჯა ბეჯითი, ეგრეთცა სულის განწმენდისათვისაა იგი საჭირო. განათავისუფლე კაცნი უმეცარნი ამპარტავნისგან, რამეთუ წარმოშობს იგი დაცინვას კაცთა მიმართ. მოიხსენიე უფალო, იესო ქრისტეე, ღმერთო ჩვენო, წყალობითა შენითა საუკუნეთაგან მყოფნი, რომელთათვის ჯვარცმა და სიკვდილი თავს იდევ ცხოვრებისათვის მართლმორწმუნეთა, აღზდეგ და ამაღლდი ზეცად.

მომეც ძალა მაცხოვარო, ჭირთა თმენისა, რაითაც შევძლებ ამაღლებას და ძლევას ბოროტთა ზრახვათა ზედა.

დედოფალმა ლითონის ხმაური გაიგონა მეზობელი ოთახიდან, სადაც მისი საწამებელი ნივთების გაწყობა ხდებოდა, ლითონის ხმაური და ადამიანების ჩუმი გადაძახილი, თითქოსდა ის ადამიანები, ვინც მის სახლში მოვიდნენ, მოვიდნენ ვინმეს უჩუმრად და თავისთა ზრახვათა აღსასრულებლად ვინმესგან მალულად.

ოდნავ შეყოვნდა დედოფალი და კვლავ განაგრძო, — მომეც ძალა იესო ქრისტევ, რათა გავუძლო ყოველთა გასაჭირთა, როგორცა ხორციელთა, ეგრეთცა სულიერთა. დაიფარე ქვეყანა ჩემი ყოვლისა განსაცდელისგან, ერი ჩემი ზნეკეთილი და მრავალგზის ტანჯული. წმიდაო ღმერთო, ძლიერო და უკვდავო, ძალითა შენითა განათავისუფლენ კაცნი ბოროტისაგან, რამეთუ გარეშე სიყვარულისა არა არს ცხოვრება ამქვეყნიური, გინა ცხოვრება ზეციერი...

კიდევ ერთხელ გაისმა ლითონის მჭახე ხმაური, რომელმაც სიღრმით გაკაწრა სული.

კვლავ შეყოვნდა დედოფალი, მაგრამ არ შედრკა, წამოდგა და კარს მიაჩერდა მცირე ხნით, შემდგომ კი მტკიცე ნაბიჯით წავიდა იქით, სადაც ელოდა აბას შაჰის მიერ გამოგზავნილი მაშა-მარწუხი, საკვნეტ-სატეხი და გახურებული მაყალი.

კარის მკვეთრმა ხმაურმა მცირედ შეაჩერა შაჰის კაცები.

შაჰის კაცებს შორის შირაზის ბეგლარბეგიც იყო, ვინც მაშინ მოსულიყო, როცა დედოფალი ლოცვაზე იდგა.

— აღასრულე ბრძანება შენი ბატონის, — მტკიცე ხმით განუცხადა ბეგლარბეგს დედოფალმა.

იმამ ყული ხანმა ბრძანება გასცა.

დედოფალს კაბა გახადეს და ხელები შეუკრეს.

დედოფალმა ჩაიბუტბუტა, — ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს...

ტახტზე დააგდეს დედოფალი.

დედოფალმა სიტყვა გააგრძელა, — სულის მოკვლა კი არ ძალუძთ...

მთავარ ჯალათს, ხმელ-ხმელსა და კუნთმაგარს, ვისაც უცნაური ჩაჩი ეხურა, გავარვარებული მარწუხი მიაწოდეს.

— ძალზე ცხელია, — თქვა მთავარმა და მარწუხი გააქანა-გამოაქანა.

გაგრილდა რა ოდნავ ლითონის ხმაურმა, მთავარმა ახლა დედოფლის სახესთან გააქანა-გამოაქანა მარწუხი.

დედოფალმა სიტყვა განაგრძო, — უფრო მეტად გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვა შეუძლია გეენაში და სხეულისაც...

მთავარმა ჯალათმა, გახურებული მარწუხით ცალი ძუძუ მოგლიჯა დედოფალს.

დედოფალმა ამოიგმინა, — ო, ღმერთო ჩემო, იესო ქრისტევ, ყოველივე ეს მხოლოდ შენი არსებობისთვის...

ვერ გაუძლო ნანახს იმამ ყული ხანმა და ზურგით შებრუნდა დედოფლისკენ, ზურგით კი შებრუნდა, მაგრამ დამწვარი ხორცის სუნს ვეღარსად გაექცა და სარკმელი გამოაღო, თუმცა არც ეს ყოფილა დიდი შვება მისთვის, არ ყოფილა, რადგან მთავარ ჯალათს მეორე გახურებული მარწუხიც მიაწოდეს.

არ აჩქარებულა მთავარი არც ამჯერად, — მცირედ ვადროვოთ, — ჩაილაპარაკა სიმშვიდით, — ჯერ პირველი ტკივილი განიცადოს.

ბეგლარბეგს კი, ვინც ზურგით იდგა დედოფლისკენ, გონებაში შემზარავმა აზრმა გაუელვა, აზრმა იმის თაობაზე, რომ ვინმე უცილობლად მიიტანდა ამბავს შაჰის ყურამდე, რომ იმამ ყული ხან, შირაზის ბეგლარბეგი, ზურგით იდგა მსხვერპლის წინაშე, ურჯულო დედაკაცის წამების მზერა არ ისურვა. ეს კი შაჰს განარისხებდა. ბეგლარბეგი მხდალ ადამიანად ჩაითვლებოდა.

ბეგლარბეგი მაშინ შებრუნდა დედოფლისკენ, როცა მას მეორე ძუძუც მოგლიჯეს.

დედოფალმა ამოიგმინა, — იესო ქრისტევ, შენ ჯვარს გაგაკრეს, მხოლოდღა ჩვენი არსებობისთვის...

ვერც ამჯერად გაუძლო ბეგლარბეგმა ნანახს და ამჯერადაც ზურგით შებრუნდა დედოფლისკენ.

დედოფალმა გონი დაკარგა.

მთავარმა ჯალათმა ბრძანება გასცა, — წყალი!

წყალი მიასხეს დედოფალს და გონს მოიყვანეს.

მთავარი ჯალათი თავიდან შეუდგა საქმეს, ჯერ ერთი ბარძაყი დაუწვა დედოფალს, შემდეგ მეორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ დაკარგა გრძნობა დედოფალმა და კვლავ ასხურეს წყალი გონდაკარგულს, წყალი კი ასხურეს, მაგრამ გონზე ველარ მოიყვანეს ნანამები ადამიანი.

– სუნთქავს? – იკითხა ბეგლარბეგმა.

– კი.

– გადაუშვით ხრამში, იქ დალიოს სული თვისი.

ჯალათებმა მუცელიც გაუგლიჯეს დედოფალს, შემდეგ ხელი დასტაცეს, კარში გაიტანეს გვამი და ხრამისკენ გაემართნენ, ასიოდე მხარის დაცილებით რომ ეგულებოდათ.

დედოფლის მსახურ-მოახლენი იქვე, სახლთან რომ იდგნენ, გოის ავგუსტინელთა კოლეგიის ბერებთან ერთად ფეხდაფეხ აედევნენ ჯალათებს, ვისაც ისე მიჰქონდა უგონო დედოფალი, თითქოს მორი ყოფილიყო და არა ადამიანი. პატივისცემა ან სიბრალული ადამიანისადმი მათ ქცევაში არც ოდენ არ ისახებოდა.

მრევლი უჩუმრად მისდევდა ჯალათებს.

– ღმერთმა დაგწყევლოთ ქვესკნელით მოვლენილო ტარტაროზებო! – უცებ წამოიძახა გულქანამ.

ხარება ჯავახიშვილის თვალებში წამით რაღაც აზრმა გაიელვა, შემდგომ კი სასოწარკვეთის, სასოწარკვეთის თუ ამბოხის კილოთი ამოიძახა:

მუმლი მუხასაო...

მრევლმა ხარებას ამოძახილი აიტაცა და სიმღერით გამოთქვა:

გარს ეხვეოდაო.
მუმლი ჰქრებოდაო,
მუმლი წყდებოდა,
ხე არ ხმებოდაო...

ძუნძულით მიჰქონდათ ჯალათებს დედოფლის თითქმის უსულო გვამი და ძუნძულით მისდევდა მათ მრევლი, ვის სახეებზეც სასოწარკვეთა აღარც იკითხებოდა, მხოლოდღა სიძულვილი გაპირუტყვებული ადამიანების მიმართ, ადამიანებისა, ვისაც ადამიანობისა არ გააჩნდა არავითარი.

მისდევდა მრევლი ჯალათებს და სიმღერით ადიდებდა მუხას, მუმლი რომ ეხვეოდა, იმ მუხას, რომ დამძიმდა, წყალში ჩავარდა, წყალი კი შეგუბდა, ნაპირს გადავიდა, მუმლი შეწუხდა, კიდეც დაიღრჩვა, მუხა კი... მუხა კი გადარჩა!

ჯალათებმა ადგილს მიაღწიეს, დედოფლის გვამი გააქან-გამოაქანეს და ხრამში მოისროლეს.

მრევლი სიმღერით, ომახიანი სიმღერით გაიძახოდა:

მუმლი შეწუხდაო
მალე დაიღრჩვაო,
მუხა გადარჩაო...

გადააგდეს ჯალათებმა დედოფალი ხრამში და უკან შემოექცნენ.

ერთ-ერთმა ჯალათმა მრევლის მისამართით დამცინავად გამოთქვა, – დედოფალი მოუკვდათ, ესენი კი მღერიან...

– ველური ხალხია, რას ელოდები მათგან? – ამხანაგს შეეხმიანა მეორე ჯალათი.

ჯალათებმა გზა გააგრძელეს.

მრევლი ხრამთან დარჩა, სიმღერით დარჩა.

დაბინდებამდე იდგა მრევლი ხრამის პირას.

კარგა გვარიანად რომ დაღამდა, გოის ავგუსტინელთა კოლეგიის ბერები: მამა ამბროზიო დოს ანჟესი, მამა ანტონიო, სხვები, მრევლის ხალხი, ხევში ჩავიდა და დედოფლის ნანამები ნეშთი გაიტაცა გაურკვეველში.

ზღვის პირას იდგა აბას შაჰი, მშვიდ ტალღებს ადევნებდა თვალს ჩრდილოეთიდან რომ მოგორავდნენ, შირვანიდან, შირვანს იქით კი გურჯისტანი იყო, ქვეყანა, რომელიც სულაც არ იყო მშვიდი, იყო მშფოთვარე და უდრეკი, შაჰიც მშფოთვარე იყო, ვისაც ვერა და ვერ გაეგო, რატომ არ სურდათ ან შირვანს, ანდა გურჯისტანს ირანის ძალა, ძალა, რომელსაც მრავალი ქვეყანა პატივსა სცემდა, ძალა, რომლის წინაშეც მრავალი ქვეყანა ქედს იდრეკდა, ძალა, რომელსაც ხვალინდელი დღე უღიმოდა, რომლისაც ეშინოდა ოსმანთ ქვეყანას.

ყოველი ქვეყანა პატივსა სცემდა ირანს, გურჯისტანი კი, პატარა გურჯისტანი, არადა არ სცნობდა ირანის ძალას.

„ხუთი ათასი კაცით დამიმარცხა თხუთმეტათასიანი ლაშქარი თეიმურაზმა არაგვზე, ხერხეულიძემ და მაჩაბელმა ხუთასი კაცით სძლიეს ორი ათასი თურქი... მაინც რა უხილავი ძალაა ჩადებული ამ ხალხში?" ჰკითხა თავის თავს შაჰმა, „ავყარე კახნი და აქ დავასახლე, მათ ადგილზე კი ყიზილბაშნი დავსხი. სამ დღეში გამინადგურეს ეს ხალხი! რა იმედია, აქაც არ მომინყობენ შფოთსა

და ამბოხს... მოვაშთე ლუარსაბ მეფე. რას მივაღწიე? გავისტუმრე ამ ქვეყნიდან გონიერი დედოფალიც, რას მივაღწიე? გატყდა ეს ხალხი თუ კიდევ მეტად დაიძაბა მისი უხილავი ძალა? ვიფიქრე, ვაჯობე-მეთქი ამ ხალხს. რითი ვაჯობე? კიდეც დამცინეს ქრისტიანებმა, დედოფლის ცხედარი მომპარეს. თურმე დაუნანევრებიათ და ნაწილ-ნაწილ დაუგზავნიათ საქრისტიანოში, ზოგი რომში, ზოგი ბელგიას, ზოგი გურჯისტანს, ინდოეთშიც კი გაუგზავნიათ მისი ნაწილები. რითი ვაჯობე ამ ხალხს? არადა სჭირდება ირანს გურჯისტანი, ის გურჯისტანი, სხვაგან რომ ეძებს ქომაგს, ხან ოსმალეთში, ხანაც რუსეთში, ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს, რამეთუ ყველა პატივს სცემს ირანს. გურჯისტანი კი, პატარა ქვეყანა, ქომაგის გარეშეც მებრძვის. არადა სჭირდება გურჯისტანი ირანს. რატომ? პასუხი ამ კითხვაზე მრავალია, პირველი კი ისაა, რომ ისლამის ძალამ უნდა იზეიმოს კავკასიაში, ირანის მიერ დანერგილმა ისლამის ძალამ.

ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ყარჩიხა ხანი შაჰს.

— გადაეგო ამ ქვეყნიდან ქეთევან დედოფალიც. თეიმურაზის ბიჭები დავასაჭურისე, ერთი მაშინვე მოკვდა, მეორე ჭკუიდან გადავიდა. თეიმურაზის ძალა გატყდა...

— ვიცი, მბრძანებელო.

— გურჯისტანს ვერ დათმობს ირანი, ესეც იცი...

— დიახ, მბრძანებელო.

— შეკრიბე ლაშქარი, ლაშქარს კი რა შეკრება უნდა, არის, არსებობს, მაგრამ წინამძღოლობა შენი იქნება. მარტყოფის ველზე დადგები, იქ გაუმართავ ბრძოლას ქართველობას. თეიმურაზის ძალა აკი გითხარი გატეხილია მეთქი. ლუარსაბ მეფე აღარ არის. სააკაძე ჩვენს ლაშქარს გააძლიერებს. რაც შეიძლება მეტი ქართველი იგულე ჯარში, ქართველი ქართველს რომ დასცხებს, ერი გაიხლიჩება და ჩვენი საქმეც გაიოლდება. სააკაძის სიტყვა ყურად იღე, მაგრამ ბოლომდე არ ენდო, მზაკვარია და ვერაგი...

ყარჩიხა ხანი მბრძანებელს დაემშვიდობა.

დარჩა ნაპირთან ირანის მბრძანებელი აბას შაჰი და ზღვა, ზღვა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოაგორებდა მშვიდ ტალღებს, ადამიანის სულს ალერსით რომ უნდა დაჰფენოდა, მაგრამ შაჰის სულში სიმშვიდე არ მეუფებდა, შაჰის თვალებში რისხვის ნაპერწკალი ელავდა, შაჰის სულს გურჯისტანი არ ასვენებდა.

ჰქონდა იმედი გურჯისტანის გატეხისა შაჰს? ალბათ ჰქონდა, მაგრამ მაინც უღრღნიდა გონებას ქართველების გაუტეხავი სული. „ასეთი პატარა ქვეყანა და ასეთი უტეხი!..“ — წამოიძახა შაჰმა, თუმცაღა მისი ხმა ნაპირზე დამსხვრეული ტალღის შრიალმა შთანთქა.

შთანთქა შაჰის ხმა ზღვის ტალღამ, მაგრამ მომდევნო ტალღამ შაჰს სხვა სიტყვაც გააგონა: „მოეშვი გურჯისტანს, უტეხი ხალხია კავკასიაში, მედგარი და ქედდაუდრეკელი“...

აბას შაჰი ზღვას გაეცალა, რამეთუ არ ისურვა ზღვის ტალღით მოტანილი რომელიმე სხვა სიტყვის გაგონება, იმ სიტყვისა, რაც მის აზრს არ პასუხობდა...

ნუნუ ქადაგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მოთხრობა

სასწაულების კვირა

ტელეფონის ზარმა დილაადრიან დაუფრთხო ძილი. თვალგაუხელელად დაწვდა ყურმილს. ვიღაცამ ბოხი ხმით აუწყა: ძალუა ლულუ ავად არის და შენს უნახავად არაფრით არ უნდა მოკვდესო. სოლოს დიდი ხანია არაფერი სმენოდა ძალუა ლულუს შესახებ; აღარც კი ახსოვდა მისი არსებობა და ახლა გრძნობების გამომჟღავნება იჩქარა: „რას მეუბნები, საწყალი ძალუა ლულუ... რა დაემართა?.. წნევა?.. ნულარ იტყვით, ვის აღარ აქვს ახლა წნევა?.. აგერ, მეც წამალი საწოლის გვერდით მიდევს... რომელ პალატაში?.. აჰა, გასაგებია... კარგად მენახეთ... ჰო, მართლა, ვინ მელაპარაკება?

ეს იყო პირველი სასწაული. თითქმის მთელი ხუთი წუთი ელაპარაკა ვიღაცას ტელეფონით ისე, რომ არც კი დაინტერესებულა მისი ვინაობით. მაშინლა გაახსენდა, როცა იმ ვიღაცამ უკვე ყურმილი დაკიდა. ეს მართლაცდა უჩვეულო ამბავი იყო სოლოსთვის. სოლო, იგივე სოლომონი, საყოველთაოდ იყო ცნობილი წინასწარგამიზნული, წინდახედული საქციელით. ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი; ეს იყო მისი დევიზი, ოღონდ ერთი პატარა შესწორებით. ასჯერ გაზომვა მანამდე უნდა მოასწრო, სანამ სხვა ერთხელ გაზომავდეს. არც ისე ადვილია ასეთი დევიზით მოქმედება, მაგრამ სოლო წარმატებით ართმევდა თავს და ამიტომაც დამსახურებულად უწოდებდნენ ნაცნობ-მეგობრები სოლომონ-ბრძენს.

თუმცა თვითონ სოლოს არ მოსჩვენებია საკუთარი უყურადღებობა დიდ შეცდომად, ნამძინარეობას გადააბრალა. ვინმე საერთო ნაცნობი იქნებოდაო, გაიფიქრა. მერე გავიგებო. წინასწარ რომ ცოდნოდა, რამდენ დავიდარაბას გადაჰკიდებდა ეს ტელეფონის ზარი... რამდენ უცნაურ ამბავს შეამთხვევდა. მაგრამ ვინ რა იცის, რა მოელის ხვალ, ანდა თუნდაც ერთი საათის შემდეგ? ალბათ, არცაა საჭირო ამის ცოდნა. მაშინ ცხოვრება მთელ ინტერესს დაკარგავდა.

სოლომ სრულიად არხეინად გაიპარსა პირი, ისაუზმა, ხუმრობით ჩაუკრა თვალი საკუთარ ანარეკლს ძვირფას სარკეში; ეს ჩვეულებად ჰქონდა, საკუთარი თავით კმაყოფილებას ასეთნაირად გამოხატავდა ხოლმე. საამისო მიზეზი კი დიაღაც ჰქონდა. სახლში მუზეუმი აქვსო, ასე ამბობდნენ მასზე მეზობლები და სოლომ შესანიშნავად უწყოდა ეს... და ბინის კარები გამოიკეტა.

ძალუა ლულუ საკმაოდ მიკნავებული ჩანდა. სოლომ შოკოლადის კამფეტები მიართვა, გულიანად მოიკითხა და ძალუა ლულუც თვალისდახამხამებაში მოცოცხლდა. სოლო გაჰკვირდა კიდეც, ისე შეუწყვეტლად გადმოუშვა პირიდან სიტყვების ნიაღვარი: „... როცა ბიძაშენი ცოცხალი იყო, ფრჩხილიც კი არ წამომტკენია, ახლა არ ვიცი, რა დამემართა, მისი გარდაცვალების შემდეგ სულ ავად ვარ... ეს იმათი ბრალია, იმათი..." და აქ საშინელმა წყევლა-კრულვამ ამოხეთქა მიხრწნილი დედაბრის პირიდან. თავის მაზლიშვილებს წყევლიდა, ჩემი სიკვდილი უნდათო, ცის მანანასავით ელოდებიანო... „ეს იმათ მომწამლეს... ახლა სულ თავზე დამტრიალებენ, ვითომ ჩემი პატივისცემა უნდათ. ნახე, რამდენი შოკოლადები მომიტანეს, აქაურობა სულ გაავსეს, კარგად იციან, შოკოლადის ჭამა არ შეიძლება ჩემთვის, თანაც ძალიან მიყვარს, განგებ მაღიზიანებენ..." სოლომ მიიხედ-მოიხედა, მართლაც, უამრავი შოკოლადის კოლოფი ეწყო ირგვლივ, ფანჯრის რაფაზეც დაელაგებინათ. თვითონ რომ მიუტანა, ისეთი კოლოფი ხუთი მაინც იქნებოდა, თუ მეტი არა... „...მე ვიცი, მაგათ რა უნდათ."... — კრიახობდა ძალუა ლულუ, თან ბეჭდებით დახუნძლულ თითებს მაგრად კუსშავდა. სოლოს თავის დღეში არ ახსოვდა ძალუა ლულუ გაშლილი თითებით ენახა, სულ ასე ჰქონდა დაკრუნჩხული, ალბათ

ძვირფას ბეჭდებს უფრთხილდებოდა... ძალუა ლულუ, ძალუა ლულუ, რომ მოკვდები, თითები მაინც ასე გექნება შეკუმშული?

— მე კარგად ვიცი, რა მუცლის გვრემაც აქვთ. — ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა ძალუა ლულუ. — ვერ მივართვი, ვერა, ვერაფერსაც ვერ ნახავენ, ვერ იპოვნიან... არ იფიქროს ვინმემ, ლულუს რაიმე მოვპარეო, არავინ დაიკვეხოს...

სოლოს ახლა გაახსენდა, მისი ბიძა და ძალუა ლულუ უშვილოები რომ იყვნენ. იმიტომაც ჩასაფრებულან მაზლიშვილები. თვითონ სოლოს არაფერში გამოადგებოდა მათი უშვილძირობა, აფსუსი კი იყო, მთელი სიცოცხლე ფულის დაგროვების მეტი არაფერი უკეთებიათ. ვინ იცის, რამდენი ექნებოდათ სადღაც დასაკარგავში დამალული. ღვიძლი ბიძა რომ ყოფილიყო... სამწუხაროდ, ბიძაშვილად ერგებოდა სოლოს მამას...

— ... რამდენი შოკოლადიც უნდა მომიტანონ, თუნდაც მთელი მაღაზია მოზიდონ აქ... — ხრიალებდა ძალუა ლულუ. — არაფერი გამოუვათ, ვერაფერს ვერ ეღირსებიან. ენას მოვიკვნიტავ, ენას. — დედაბერმა კბილებშუა მოიქცია ენის წვერი და გამეტებით უკბინა. სიმწრისგან სახე უარესად დაეღმიჭა, პროტეზიც სანახევროდ გამოუვარდა პირიდან. დაკრუნჩხული მუშტი მაგრად დაირტყა პირზე და პროტეზი ისევ თავის ადგილას ჩასვა. — ... რომ არაფერი წამომცდეს...

„... ძალუა ლულუ, ნეტავი ვიცოდე, მკვდარსაც ასე გექნება თითები დაკრუნჩხული?"

— ... არავის არაფრის იმედი არ ჰქონდეს. ჯერ არ მომხდარა, ვინმე რაიმეს გამომრჩენოდა. ვინმეს რაიმე მოეპარა ჩემთვის... ჯერ არავის დაუკვეხია...

„... სულ ერთია, ძალუა ლულუ, მაგ ბეჭდებს მაინც დაგაძრობენ თითებიდან"...

— არაფერი გამოუვათ, არავის არაფერი ერგება ჩემგან, ვერ მიაგნებენ...

აღარ წყდებოდა წყევლა-კრულვის ნიაღვარი, სოლოს მოსწყინდა. აღარც ბეჭდების დათვალიერება უნდოდა. უგულისყუროდ ათვალიერებდა პალატას და იმაზე ფიქრობდა, ზრდილობიანად როგორ დაეღწია თავი ძალუა ლულუს ჭარტალისაგან.

პალატაში სანიტარი შემოვიდა, სრულიად უხმაუროდ მოაბიჯებდა თუმანძირიანი ჩუსტებით. [illegible] პირდაპირ სოლოსკენ აიღო გეზი და ყოველად უვარგისი, ალბათ საკუთარი ხელით მოჯღანული ფოსტლები შესთავაზა; ხომ არ გინდათ, კარგი რამეაო. სოლომ პასუხი არ აღირსა, ირონიული ღიმილით გასწია ცხვირი განზე. სანიტარი მიხვდა, ამისგან არაფერი გამოდნებაო და ხმისამოუღებლად გატრიალდა, სხვას მიადგა თავისი ფოსტლებით. მისმა ყურებამ ძალუა ლულუს ჭარტლისგან თავმობეზრეპული სოლო გაართო და თან საღერღელი აუშალა. „ერთი უყურეთ ამ პატარა ვაჭრუკანას, ერთ წამსაც არ აცდენს, ერთ შემთხვევასაც არ უშვებს ხელიდან. საკმაოდ მარჯვეა და ყოჩაღი, ცხადია, თავის მასშტაბებში. კოჭებზე ეტყობა, რაც არის. იმწამსვე ხვდება, ვისთან როგორ უნდა ივაჭროს. ღირს თუ არა, იცის, სად უნდა შეჩერდეს"...

ჩაფიქრებული სოლო ჩუმჩუმად უთვალთვალებდა სანიტარს. ერთი წყვილი უკვე გაასაღა და ახლა სხვას მიადგა, ვერცხლისფერკოსტუმიან მაღაც კაცს. სოლომ შეამჩნია, ვერცხლისფერკოსტუმიანმა შეუვაჭრებლად იყიდა ის ფოსტლები და მგონი რაღაც საეჭვოდ დიდი თანხა გადაიხადა. მისი მიწოდებული ფული სანიტარმა სასწრაფოდ იკრა ჯიბეში და პალატიდან უკანმოუხედავად გავარდა.

სოლო დაინტერესდა, უფრო ყურადღებით შეხედა ვერცხლისფერკოსტუმიანს. ტანსაცმელი წუნდაუდებელი აცვია, ძვირფასი და უზადო. ძვირფასი ბეჭედი უკეთია. მგონი, აქაური არ უნდა იყოს. მგონი კი არა, ნაღდად ასეა. არც ისე გამოქექილი ვინმე ჩანს. მთვარეულივით იქცევა... აჰა, ნახეთ, მართლა მთვარეულივით არ დადის? დამშვიდობებაც კი დაავიწყდა, ვის სანახავადაც იყო მოსული.

ავადმყოფებს გადაავლო თვალი. არც ერთს არავითარი რეაქცია არ გამოუმჟღავნებია ვერცხლისფერკოსტუმიანის პალატიდან გაბრძანების დროს. გაუგებარი დარჩა, ვისთან უნდა ყოფილიყო ეს უცნაური მნახველი, არც იყო აუცილებელი ამის გარკვევა. სოლო სასწრაფოდ დაემშვიდობა ძალუა ლულუს და და თვითონაც კარებს მიაშურა. მიდიოდა და გზადაგზა ჩაესმოდა

ძალუა ლულუს სიტყვები: „ვერ ელირსებით... არაფერი გამოგივათ... არაფერი..."

დერეფნის ბოლოში დაეწია სოლო იმ ვერცხლისფერკოსტუმიანს და წუთით შეჩერდით, საქმე მაქვსო, თავაზიანად უთხრა. უცნობი შეჩერდა და შემოხედა. ახლოდან ძალიან უფერული მოეჩვენა იგი სოლოს, თვალებიც რაღაც უცნაურად, უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ. მაგრამ ეს წუნდაუდებელი კოსტუმი ახლოდან კიდევ უფრო ძვირფასი ჩანდა. ძვირფასმა ბეჭედმაც თვალისმომჭრელად გაიბრჭყვიალა.

— ვიღაცას მაგონებთ, აქაური არა ხართ?

— არა, მე მთვარიდან ვარ, — იყო პასუხი.

— როგორ თქვით? მთვარიდან?

— დიახ, მთვარიდან, მთვარიდან, — გაიმეორა უცნობმა. ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცის გაღვიძებას უფრთხისო.

სოლო ორიოდე წამს ჩუმად შეჰყურებდა. „ნაღდად გიჟია", გაივლო გულში, თუმცა სახეზე არაფერი დასტყობოდა და ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

— განა არიან მთვარეზე ადამიანები?

— მთვარეზე ადამიანები კი არა, მთვარეულები არიან. — შეუსწორა უცნობმა საკმაოდ მკვეთრი კილოთი.

— უკაცრავად, — წაილულღლულა სოლომ, — თქვენი შეურაცხყოფა არ მიფიქრია. მე, უბრალოდ მიკვირს... ჰო, რატომ არ ჩანდით ამდენ ხანს? რატომ ვერავინ დაგინახათ? მთვარე ხომ უსიცოცხლო უდაბნოდ მოჩანს დედამიწიდან.

— ეს ყველაფერი თვალის ცდომილებაა, — განმარტა უცნობმა, — ადამიანებს მთვარე უსიცოცხლო უდაბნოდ ეჩვენებათ. ვერც ჩვენ გვამჩნევენ, ვერც ჩვენს ქალაქებს და ბაღებს.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა სოლომ, თუმცა ერთმა ღმერთმა იცოდა, რა იყო მისთვის გასაგები. ოღონდ თვალის ცდომილება კი კარგად მოეხსენებოდა რაც იყო, მისი საკუთარი პროფესიის კვალობაზე. კინორეჟისორი გახლდათ. იცოდა სალომ, რა ადვილად შეიძლება მოტყუვდეს ადამიანის თვალი. თვითონ კინოფილმი მთლიანად ხომ ადამიანის თვალის არასრულფასოვნებაზე არის აგებული. თვალი ვერ აღიქვამს კადრებს შორის გამყოლ ჩარჩოებს... — გასაგებია, მაგრამ თქვენ თვითონვე რატომ არ ამჟღავნებთ საკუთარ თავს? თქვით საჯაროდ, მთვარიდან ვარ!

— ვინ დამიჯერებს? ან ვინ ... ვლიან, ანდა რობოტად...

მართალია, აკი მეც ასე ვფიქრობო, გაივლო გულში სოლომ. ალბათ ასედაც იქნება. ერთი ის მიკვირს, რატომ ვდგავარ და ველაპარაკები ამ გიჟს თუ მთვარეულსო.

ალბათ ჭკუასთან უფრო ახლოს იქნებოდა, დროზე გასცლოდა ამ საეჭვო სუბიექტს, მაგრამ სოლომ ფეხი ვერ მოიცვალა ადგილიდან. ჯერ ერთი, რა ძვირფასი კოსტუმი აცვია. ჩაცმულობა ყოველთვის ახდენს უცვლელ ეფექტს, მიუხედავად იმისა, მთვარეულს აცვია თუ გიჟს. თანაც ის ფოსტლები, რომელშიც ამ მართლა მთვარეულმა იმდენი ფული გადაიხადა. ვინ რა იცის, იქნებ მართლა არსებობენ მთვარეულები, ხანდახან დედამიწასაც ესტუმრებიან, ადვილად მოსატყუებელ, მიამიტ ადამიანს მთვარეულს უწოდებენ ხოლმე. იქნებ ეს სულაც არაა შემთხვევითი ამბავი. ყოველ შემთხვევაში, არაფერს დავკარგავ მასთან მუსაიფით...

და სოლომ კიდევ დაუსვა კითხვა მთვარეულს.

— რისთვის გინებებიათ დედამიწაზე ჩამობრძანება?

— სუვენირებისთვის.

— კოლექციონერი იქნებით ალბათ.

უცნობმა ხელები მკერდზე დაიჭდო და თვალები ზეცას აღაპყრო.

— მე ორი დიდი გატაცება მაქვს, კოლექციონერობა და ტურიზმი. რომ მკითხოთ, ვერც კი გეტყვით, რომელი უფრო მეტად მიტაცებს. როცა სამოგზაუროდ მივდივარ სამყაროს ირგვლივ, მაშინ მეჩვენება, თითქოს ტურიზმი უფრო უნდა მაინტერესებდეს, მაგრამ, როცა მთვარეზე ჩემს კოლექციას ვათვალიერებ, ეჭვიც არ მეპარება, რომ კოლექციონერობა ჩემი მთავარი გატაცებაა. მე თვითონაც ვერ გავრკვეულვარ ამაში.

— წარმომიდგენია, რა მდიდარი იქნება თქვენი კოლექცია, — ხმაში ირონია გაურია სოლომ, ფოსტლები მოაგონდა, სანიტრის მოჯღანული.

— თავისთავად ცხადია. მთელ მზის სისტემაში მე მაქვს უმდიდრესი კოლექცია, იუპიტერზე მყავს ერთი მეტოქე, მაგრამ ჩემთან ვერ მოვა. ყოველ

შემთხვევაში, მიწიერი სუვენირები ძალზე ცოტა მაქვს. მისი კოლექცია უმეტესად არამიწიერი წარმოშობისაა, მზის სისტემაში კი მიწიერი სუვენირები ფასობს ყველაზე მეტად.

სოლო ცალყბად უგდებდა ყურს და გუნებაში მკითხაობდა, რა შეიძლება მივასალო ამ გიჟს თუ მთვარეულსო. აფსუს, თან არაფერი წამომიღია ისეთი! მაინც ვცდი... ხომ არაფერს ვაგებ...

— ამას ხომ არ შეიძენდით სუვენირის სახით? — ავტოკალამი დააძრო ჯიბიდან.

უცნობმა გამოართვა, ყურადღებით დაათვალიერა და ერთ-ერთი ჯიბიდან ზუსტად ისეთივე ავტოკალამი ამოიღო.

— არა, ასეთი უკვე მქონია.

— მაშინ ეს ნახეთ. — სოლომ საათი მოიხსნა მაჯიდან.

საათსაც იგივე ბედი ეწია.

ბეჭედი წაიძრო სოლომ თითიდან, უცნობმა ზუსტად ორი ისეთივე ბეჭედი ამოიღო უკანა ჯიბიდან. იმანაც გააოცა სოლო, მთვარეულს უზადოდ შეკერილ კოსტუმზე უამრავი ჯიბე ჰქონდა დაკერებული, მაგრამ სრულიად შეუმჩნეველი იყო ის ჯიბეები, მხოლოდ მაშინ ხდებოდნენ შესამჩნევნი, როცა უცნობი რაიმეს ამოიღებდა რომელიმე მათგანიდან.

კოსტუმიც შესთავაზა სოლომ. კოსტუმმა უცნობი დააინტერესა, — ყურადღებით დაუწყო თვალიერება. მაგრამ ისიც დაუბრუნა, ნახვრეტი აღმოუჩინა პაპიროსით გამომწვარი.

— მე უკვე მაქვს ერთნახვრეტიანი კოსტუმი. მეორეც რომ ჰქონდეს...

— ახლავე გამოვწვავ მეორესაც...

— არა, ეგ არ შეიძლება, აღარ ითვლება...

— რაღა არ სცადა სოლომ: პატარა ტყავის პორტფელი, ფეხსაცმელები, უცნობი ყველაფერს იწუნებდა. მაინც ცდილობდა სოლო, გაბრაზებულს ის უვარგისი ფოსტლები უტრიალებდა თვალწინ, ისე იღბლიანად რომ გაყიდა სანიტარმა. მოზაიკის ის ფილაც კი შესთავაზა, რაზედაც იდგნენ იმ წუთში.

— თუ გინდათ, მთელ დედამიწას მოგყიდით. — შესძახა ბოლოს გამწარებულმა, ფულის სუნი ისე გამაღიზიანებლად უღიტინებდა ცხვირში... მთვარეულმა სევდიანად გადააქნია თავი, ლამის ცრემლები მოადგა თვალებზე.

— სამწუხაროდ, ეს თქვენ არ შეგიძლიათ. მთელ დედამიწას ვერ მომყიდით. არც მე მაქვს მაგდენი ფული, დედამიწა ძვირი ღირს, ძალიან ძვირი.

მიიხედ-მოიხედა [illegible] რა შევთავაზოო, საკუთარი ანარეკლი ეცა თვალში დერეფნის კედელზე ჩამოკიდებულ, გაცრეცილ სარკეში არეკლილი.

— გინდათ, ჩემს ანარეკლს მოგყიდით.

უცნობი მგონი დაინტერესდა. ისეთი ყურადღებით დააშტერდა სოლოს ანარეკლს, რითაც თვითონ სოლოსთვის არც ერთხელ არ შეუხედავს.

— შეხედეთ, რა მშვენიერებაა, — შეაქო სოლომ თავისი საქონელი, თან გულში ფიქრობდა, მართლა თუ მივასაღე, რა სეირი იქნებაო. საქმეც სწორედ იმაშია, არაფერი გაყიდო და ფული აიღო. არაფრიდან ფულის კეთება, — ესაა მოგების მთავარი ქვაკუთხედი. მე თუ ეს შევძელი, მთელი სიცოცხლე სატრაბახოდ მექნება. ასეთი რამ მგონი ჯერ არავის მოუხერხებია... რაში მენაღვლება, გიჟია თუ მთვარეული. მთავარია, ფული გადაიხადოს...

— ამისთანა ანარეკლი არავის არ ექნება მთელი დედამიწის ზურგზე, — აქებდა სოლო თავის საქონელს. თუმცა ეს სრულიად ზედმეტი იყო, უცნობმა ჯიბიდან უკვე ამოიღო ფულის მოზრდილი დასტა.

— ცოტაა, — შეეეჭვა სოლო, თან წინ ჩამოეფარა.

უცნობმა კიდევ დააძრო მოზრდილი დასტა.

— არც ესაა საკმარისი...

მაშინღა დაეთანხმა სოლო, როცა ტყავის მომცრო პორტფელი პირთამდე გატენა ფულის დასტებით... ჯიბეებშიაც ბლომად ჩაილაგა.

— წაიღეთ, თქვენი იყოს... თქვენი ხათრით, თორემ სხვას ასე იაფად...

აქ სიტყვა გაუწყდა სოლოს. უცნობი სარკეს მიუახლოვდა და თითქოს მეორე ოთახში შეაბიჯაო, ისე არხეინად გადააღაჯა სარკის ჩარჩოს. ხელმკლავი გაუყარა სოლოს ანარეკლს და სარკის მიღმა კარებისკენ წაიყვანა. ანარეკლმა ერთი ნაღვლიანად მოხედა სოლოს, გააბიჯა კარებში და თვალს მიეფარა.

სოლომ შუბლზე მოისვა ხელი, თვალებიც მოისრისა. დავღლილვარო, ჩაილაპარაკა. მართლაც საშინელ დაღლილობას გრძნობდა. ფეხები ეკეცებოდა. ახლაღა შეამჩნია, თურმე დაღამებულიყო.

მთელი დღე იმ მთვარეულთან ვაჭრობაში დაუღამებია. საოცარია, როგორ გავიდა ამდენი დრო ასე შეუმჩნევლად? დავიღლებოდი, აბა რა იქნებოდა, იმიტომაც მეჩვენება რაღაცეები... მაგრამ ეს ფული, მოჩვენება არ უნდა იყოს, მე მგონი. ყოველ შემთხვევაში, არაფერი გამიყიდია, წაგებით არაფერს ვაგებ, თუ არ მოვიგებ.

ფული მართლაც არ აღმოჩნდა მოჩვენება... სახლში მისვლისას, როცა კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა და პირდაპირ ნოხზე მოაპირქვავა ფულით გატენილი პორტფელი, ლამის თვალები გადმოუცვივდა სოლოს. ამდენს არც კი ელოდა... სულ ერთიანად მსხვილი კუპიურები, დასტებად შეკრული, მომცრო მთად აღიმართა ნოხის შუაგულში. ფულის ნამდვილი მთა... და ეს ყველაფერი არაფერში. სოლომ ხომ ანარეკლი გაყიდა, ესე იგი, არაფერი. ამდენი მოგება არაფრიდან... ეს ჯერ ალბათ არავის მოუხერხებია მთელი დედამიწის ზურგზე.

სამიოდე საათი მაინც გავიდა, სანამ სოლო დაძინებას შეძლებდა. მანამდე კი... თუმცა არც ისე ადვილია იმის აღწერა, თუ როგორ გამოიყურებოდა მანამდე სოლო იმ სამი საათის განმავლობაში. უფრო ზუსტი შედარება იქნება თუ ვიტყვით, რომ სოლო პატარა მხიარულ მაიმუნად იქცა. დახტოდა, ფეხებს აბარტყუნებდა და ყირაზე გადადიოდა ფულის დასტებით მოფენილ ნოხზე.

მერე პირდაპირ ნოხზე მიეძინა დაღლილ-დაქანცულს, გაშლილ ხელებში ფულებჩაბღუჯულს.

დილით გაუკვირდა, როცა ნოხზე აღმოაჩინა თავისი თავი, მაგრამ როცა ცხვირში ფულების სუნმა შეუღიტინა, მაშინვე გაახსენდა წინა დღის თავგადასავალი და ფრთაშესხმულობის გრძნობა ტალღასავით მოაწვა მთელ სხეულში. ბუმბულივით მსუბუქად წამოხტა. რა ყოჩაღად გააცურა ის მართლაცდა მთვარეული, ასეთი რამისთვის ჯერ არავის მიუღწევია, ამდენი ფული არაფერში. მართლაც ჭკვიანი ბიჭი ხარ. ჰა, რას იტყვი, შე ძველო...

ეს სიტყვები სოლომ სარკის წინ წარმოთქვა, თანაც თვალი ჩაუკრა სარკეს, თავისი ჩვეულების მიხედვით. მაგრამ სარკეში საკუთარი გამოსახულება ვერ დაინახა. ალბათ სარკის ფოკუსში ვერ ვხვდებიო, მიიწ-მოიწია სოლო, სარკეც შეასწორა, მაგრამ მაინც ვერ დაინახა ნაცნობი ფიზიონომია. იდგა პირდაპირ სარკის წინ და საკუთარ თავს მეკუთხეებდა მის მიღმა, ნაცნობ ნივთებს. რაშია საქმე? გაჰკვირდა სოლო და უცბად გაახსენდა: ჰო, მე ხომ ანარეკლი გავყიდე.

ჯერ გაოცება არც ეთქმოდა იმ გრძნობას, რაც სოლოს გაუჩნდა ამის აღმოჩენისას. ანარეკლის გაყიდვა! არა, ეს რაღაც მეტად უცნაური და დაუჯერებელი რამეა. ანარეკლი იმიტომ შესთავაზა იმ მთვარეულს, რომ ეს წარმოუდგენლ-ად მიაჩნდა. ეს სრულიად ჩვეულებრივი ფანდი იყო, რასაც ალბათ ყველა გამოიყენებდა ჩემს ადგილას. მაგრამ გამოდის, თურმე შეუძლებელი არაფერია ამქვეყნად, ყველაფრის გაყიდვა შეიძლება. მათ შორის ანარეკლისაც.

შეიძლება და ძალიანაც კარგი. მე გავყიდე ანარეკლი, თანაც არც ისე იაფად, მე მგონი. რაც არ უნდა იყოს, ანარეკლი მაინც ანარეკლია...

თითქოს დაიმშვიდა ამ სიტყვებით თავი, მოსცილდა სარკეს, მაგრამ შფოთვარების ბუნდოვანი გრძნობა ერთი წამითაც არ სცილდებოდა. რაც არ უნდა გაეკეთებინა, ყოველთვის სარკისკენ გაურბოდა თვალი. რატომღაც მეტად არასასიამოვნო იყო ის სიცარილე, რაც ყოველი მხრიდან შემოსცქეროდა, ყველა სარკიდან, ყველა გაპრიალებული ნივთიდან. ჩაის დალევის დროსაც, ჭიქა იქნებოდა, დანა-ჩანგალი თუ კოვზი, ყველგან საკუთარ ანარეკლს ეძებდა და ვერ პოულობდა.

აშკარა იყო, ანარეკლი სამუდამოდ გაქრა მისი ბინის სარკეებიდან. სოლო მაინც რაღაცის ბუნდოვან მოლოდინში იყო, ბოლომდე ვერ გაეცნობიერებინა თავს დამტყდარი ამბავი. „ანარეკლის გაყიდვა ვის გაუგია". — უმტკიცებდა თავის თავს. „ეს რაღაც მეტისმეტად დაუჯერებელია. ალბათ მეჩვენება, გადავიღალე... ხვალ ყველაფერი გაირკვევა..."

მანამდე კი სოლომ ფული საიმედო ადგილას შეინახა და სამუშაოზე გაეშურა. ქუჩაში მიმავალიც, მაღაზიის ვიტრინა იქნებოდა თუ ავტობუსის მინა, ყველგან საკუთარ ანარეკლს ეძებდა. თავისი ერთ-ერთი თანამშრომელიც, ვინც პირველი შემოხვდა წინ სამსახურში მისულს, კინაღამ შეაშინა, ისე დაჟინებით

ჩააშტერდა თვალებში, იქაც საკუთარ ფიზიონომიას ეძებდა.

— რა მოგვიდა, რას მიყურებ, თვალში რაიმე ხომ არ ჩამვარდია, — ჰკითხა გაოცებულმა.

— არაფერი... ჰო, მგონი ბეწვი უნდა გქონდეს. უკვე ამოვარდა. — გამოერკვა სოლო.

მერე გული გადააყოლა სამუშაოს და ცოტათი გაერთო. გადაიღო ასისტენტის მიერ გულმოდგინედ დამუშავებული სცენა, თავისი შესწორებებიც ბლომად შეიტანა მასში, რაც მეტად მიზანშეწონილი აღმოჩნდა და კმაყოფილს სრულიად გადაავინყდა ანარეკლის ამბავი. ხმამაღლა იძლეოდა განკარგულებებს, მსახიობები პლასტილინისგან გამოძერწილებივით ემორჩილებოდნენ მის ყოველ სიტყვას. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. გადაღების დამთავრების შემდეგ კორესპოდენტი ეწვიათ და სურათი გადაიღეს ქალაქის გაზეთისათვის. სოლო შუაში ჩაიყენეს, მთავარი როლების შემსრულებლებმა გადახვიეს ხელი. სოლო ბავშვურად იღიმებოდა. ხვალ ამ სურათს მთელი ქალაქი ნახავს.

მაგრამ ამ ამბავს სავალალო დასასრული მოჰყვა. ერთი საათის შემდეგ ისევ მოირბინა იმ კორესპონდენტმა და სოლო საყვედურებით აავსო:

— ასე რანაირად გაიპარე, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო. თვით ფოტოგრაფსაც არაფერი შეუმჩნევია. არც იმ მსახიობებს, ხელები მხარზე რომ გადაგხვიეს. ახლა ორივე ხელები ჰაერში აქვთ გამოკიდებული. სურათი არაფრად არ ვარგა, ხელახლა უნდა გადავიღოთ. ჰეი, აქეთ! — გასძახა კორესპონდენტმა ფოტოგრაფს, თავი ერთი წამით მიატრიალა და როცა ისევ სოლოსკენ მობრუნდა, მისი კვალიც კი აღარსად ჩანდა.

ფოტოგრაფი მოვიდა, კორესპონდენტი დაბნეულად იჩეჩდა მხრებს.

— რა უცნაური ვინმეა. ახლაც ისე გაქრა, თვალიც ვერ მოვკარი.

ამ დროს კი სოლო თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სახლში. მიირბინა გულამოვარდნილმა, შევარდა ბინაში. გამოალო უჯრები, სადაც მისი ფოტოსურათები ინახებოდა, ყველა ერთად მოაქუჩა... და საოცრება, არცერთ სურათზე აღარ ჩანდა სოლო. არც მისი ბავშვობა, არც შემდგომი წლები.

— სურათი რაღა შუაშია, — ეკმოხდა გამწარებულს.

თუმცა სურათიც ხომ ანარეკლია... იგივე ანარეკლი, ობიექტივში მოხვედრილი.

სურათები ხელიდან დაუცვივდა, ღონეგამოლეული ჩამოჯდა სკამზე. პირველად აქ გაიფიქრა სოლომ, მგონი არც ისე სარფიანად მივაჭრია, როგორც აქამდე მეგონაო. მგონი, მართლა გამიყიდია რაღაც...

იმ დღეს სხვა არაფერი უკეთებია სოლოს. იქექებოდა ჟურნალებში, ძველისძველ საბუთებში, ქაღალდებში. ეძებდა, იქნებ ერთი პატარა სურათი მაინც გადარჩენილიყო იმ სარფიან გარიგებას. ვერსად ვერაფერი იპოვა, თითქოს არც არასოდეს არსებულიყო ამქვეყნად. არც ბავშვობა, არც შემდგომი წლები...

საღამოს დაღლილ-დაქანცული და ამდენი ძებნისგან თვალებაჭრელებული დაწვა დასაძინებლად იმ ბუნდოვანი იმედით, რომ იქნებ ხვალ დილით რაიმე შეიცვალოსო. დილით, როგორც კი თვალი გაახილა, მაშინვე უსიამოვნოდ გაახსენდა წინასაღამოს ამბავი და სარკეს მივარდა. ისევ არაფერი... არაფერმა შემოხედა სარკიდან...

სოლომ სამსახურში დარეკა, შეუძლოდ ვარ და ვერ მოვალო. მერე ღალილას მოუხმო ტელეფონით. ისეთი ხმით შეჰკივლა დალილამ ამ მიპატიჟების საპასუხოდ, სოლომ თავი ვერ შეიკავა და გაეღიმა, ასე გუნებაწამხდარმა.

ოცი წუთიც არ იქნებოდა გასული, ერთი ფართი-ფურთით შემოიჭრა დალილა მის ბინაში. თავისი საუკეთესო ტანსაცმელი, წითელ-მწვანედ აჭრელებული შარვალი ეცვა. სუნამოც მგონი მთელი შუშა გადაესხა, მაგრამ მაინც ფეთხუმივით გამოიყურებოდა. ალბათ გაშლილი თმები აძლევდა ასეთ იერს, აქაოდა ტყის ფერიას ვგავარო.

— ვიცი, რისთვისაც მეძახი. — კარებშივე შესჭყივლა დალილამ, — როლი უნდა გავაკეთოთ, ხომ?

— რაო? როლი? ჰო, როლი უნდა გავაკეთოთ, — მოწყალედ დაეთანხმა სოლო.

დალილამ სიხარულით შეჰკივლა და სოლოს კისერზე ჩამოეკიდა.

ცოტა შვებით ამოისუნთქა სოლომ, ახლაღა იგრძნო, თურმე რამდენად და-

ჭიმული ჰქონდა ნერვები ამ ანარეკლის გადამკიდეს. დალილამ მთელი ბინა ჭყივილით და კისკისით აავსო. თავბრუდამხვევ ვარჯიშებს აკეთებდა, ნაირ-ნაირ პოზებში დგებოდა: „აჰა, შემომხედე, რომელი როლიც გინდა, შეგისრულებ". სოლო შეჰყურებდა და მტვერსასრუტი აგონდებოდა. როგორც რეზინის მოქნილ შლანგს შეეძლო ნებისმიერი ფორმის მიღება და განურჩევლად ნთქავდა ყველაფერს, რასაც კი მიწვდებოდა, ასევე დალილაც, ყოველდღიური ვარჯიშით გამოქნილი სხეულით ნებისმიერ პოზას მიიღებდა, ნებისმიერ როლს ჩანთქავდა და მოინელებდა, ოღონდ მიწვდენოდა როგორმე: „ჩემზე ნიჭიერს ვის გადაიღებ? აბა, კარგად შემომხედე".

დალილამ ყავა ააადუღა. სოლომ კონიაკი გადმოიღო ბუფეტიდან, თან ცდილობდა გაპრიალებულ ზედაპირისთვის არ შეეხედა. დასხდნენ, დალიეს, იჭუკჭუკეს, დალილა ენას არ აჩერებდა.

—კარგია, ოღონდ ილაპარაკოს. — შვებით ფიქრობდა სოლო.

— ჩვენ ახალ როლს გაუმარჯოს, — ჟღურტულებდა დალილა.

— გაუმარჯოს.

— სად იყურები? — უკვირდა დალილას. თავისი თავისთვისვე შეუმჩნევლად გამუდმებით კისერს იღრეცდა სოლო, თავის ანარეკლს ეძებდა სარკეში.

— შენ გეძებ.

— მე აგერ, შენს ცხვირწინ ვზივარ...

დალილამ მაინც მოახერხა მისი გამხიარულება. სოლოს ერთი წუთით დაავიწყდა საკუთარი ანარეკლის ძებნა. დალილა ხელში აიტაცა. კმაყოფილი დალილა ხმამაღლა კისკისებდა.

უცბად ზარდაცემულივით იკივლა, ხელი გამიშვიო.

შეშინებულმა სოლომ მაშინვე გაუშვა ხელი. როგორც კი ფეხქვეშ იატაკი იგრძნო, დალილამ დაფეთებული თვალებით შემოხედა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა სოლომ.

დალილამ უხმოდ მიუთითა სარკეზე. თურმე თავისი თავი ჰაერში გამოკიდებული დაუნახავს, როცა სოლომ ხელში აიტაცა. შეშინებულა, ეგონა ეს-ესაა ძირს დავებერტყებიო. ახლაც შეშფოთებით ეძებდა სარკეში სოლოს ანარეკლს.

— მოგჩვენებია რაღაცა, — ცალყბად უთხრა სოლომ და სარკეს თავი აარიდა. თან გუნებაში შეუკურთხა საკუთარ თავს, ასე რამ გამომაშტერა.

თითქოს დამშვიდდა დალილა, ყოველ შემთხვევაში თავს მონდომებით აჩვენებდა დამშვიდებულად. მაგრამ მდგომარეობა ვერა და ვერ გამოსწორდა. ახლა ორივეს ყოველ წუთში მოჯადოებულივით სარკისკენ გაურბოდა თვალი. ლაპარაკობდნენ და არც კი იცოდნენ, რაზე...

უცებ წამოხტა დალილა, მეჩქარებაო და უკან მოუხედავად გაიქცა. როლი არც კი გახსენებია.

მარტო დარჩენილი სოლო სარკეს შეაჩერდა, ცარიელ სარკეს, რომელშიც მისი ბინა ირეკლებოდა და უცბად შიში იგრძნო, ლამის მთელი სხეული დაუდამბლავა ამ საზიზღარმა გრძნობამ. იმ სიცარიელემ შეაშინა, სარკიდან რომ შემოჰყურებდა.

— თითქოს ვარსებობ ამქვეყნად, ვარსებობ მგონი, არა? — თავის თავს შეეკითხა და სხეულზე ხელები მიისვმოისვა. — სარკეში კი არაფერი არ ჩანს. ვარსებობ და არც ვარსებობ, ეეჰ, მგონი არც ისე იღბლიანად მივაჭრია, როგორც აქამდე მეგონა. ვინ რა იცის, როდის რას მოიგებ. მართალია, არაფერი გავყიდე, მაგრამ... ჰოდა, სწორედ ეგ არაფერი მიყურებს ახლა სარკიდან... ალბათ, ასე არ შემაშინებდა, რა სახეც უნდა მქონოდა; როგორც უნდა შემცვლოდა სახე; ეს არაფერი ყოველგვარ სიმახინჯეზე უარესია...

ბოთლი ბოლომდე გამოწრუპა სოლომ და მერე მაგიდაზე თავჩამოდებულმა დაიძინა.

რაღაც უნდა ვიღონო, გადაწყვიტა მეორე დილით, როცა ისევ არაფერმა შემოხედა სარკიდან უჩინო ხედვით. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, თორემ ჭკუაზე შემშლის.

საგულდაგულოდ გამოეწყო და პროფესორ ვარსკვლავთმრიცხველს მიაკითხა. რეჟისორი ვარო, რომ თქვა, პროფესორს სახე გაუბრწყინდა. „დაბრძანდით, მოხარული ვარ, მოხარული".

— ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე გეახელით. — დაიწყო სოლომ. — ფილმი გვინდა გადავიღოთ მეცნიერულ-პოპულარულ თემაზე. რამდენადაც ვიცი, თქვენი ბოლოდროინდელი აღმოჩენები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (პროფესორი სიამოვნებით შეი-

შმუშნა), – უმეტესად მის ირგვლივ უნდა შევკრიბოთ მასალა. ძირითადი ბირთვი თქვენი აღმოჩენა იქნება, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ...

– რას ამბობთ, პირიქით...

– მაგრამ ისეთი ფაქტებიც უნდა გამიმხილოთ, რაც თქვენს გარდა ჯერ არავინ არ იცის, არც პრესაში გამოქვეყნებულა. შეიძლება არც კი გამოვიყენო ეს საიდუმლო მასალა. ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მეტყვით. მაგრამ მაინც უნდა ვიცოდე იგი. ეს იქნება მთელი მასალის ფარული, წყალქვეშა ნაწილი, რაც მიწას და მდგრადობას ანიჭებს წყალზედას. ძალიან დამეხმარება, რათა კარგი ფილმი შევქმნა... თქვენს შესახებ.

– გასაგებია, სულ ახლახანს მივიღე პულსარის ნეიტრონული გამოსხივების მეტად საინტერესო...

– მე უფრო მთვარის შესახებ მაინტერესებს.

– მთვარის შესახებ? მთვარეზე რა უნდა იყოს ისეთი...

– მთვარე ხომ ძალიან იდუმალი ობიექტია.

– ეს პოეტებისათვის. – გაეღიმა პროფესორს. – ჩვენთვის, მეცნიერებისათვის კი მთვარე უსიცოცხლო უდაბნოა, მტვრის პატარა გუნდა...

– მთვარეზე სიცოცხლე არ არსებობს?

– რა თქმა უნდა, არა.

– რაიმე ეჭვი ამ მხრივ...

– გამორიცხულია.

– იქნებ არსებობს და ვერ ვამჩნევთ.

პროფესორს გაეღიმა.

– ჩვენ ისეთი ტელესკოპები გვაქვს, რომ...

– თვალის ცდომილების შესახებ რას იტყვით?

– თვალის ცდომილება რა შუაშია.

– რა შუაშია და მთვარეზეც შეიძლება იყოს სიცოცხლე, იყვნენ მოაზროვნე არსებები, ჩვენზე ჭკვიანებიც კი. ჩვენ კი ვერ ვამჩნევდეთ.

– ეს დაუშვებელია.

– ასე რატომ ხართ დარწმუნებული?

– ჩვენი ტელესკოპი...

– იქნებ ყველაფერი გეჩვენებათ, იქნებ ყველაფერი სულ სხვანაირადაა... მთვარეზე არიან მთვარეულები, ნამდვილი მთვარეულები. ხანდახან დედამიწაზეც ჩამოდიან.

– რაო, რას ამბობთ?

– თქვენ თუ იმათ ვერ ამჩნევთ, ნამდვილი ბრმა ყოფილხართ.

– მიბრძანდით აქედან...

ერთი-ორჯერ კიდევ სცადა სოლომ ბედი მეცნიერული აზროვნების ხალხთან, შედეგი ყოველთვის სავალალო აღმოჩნდა. იქამდეც კი მივიდა, ექსპერიმენტის სახით დაუმტკიცა ერთ-ერთ სწავლულს თავისი სასწაულებრივი ფათერაკი; სარკის წინ დადგა, ნახეთ და დარწმუნდით, ანარეკლი აღარ მაქვსო. ფოკუსებისთვის არ მცალიაო, უთხრა სწავლულმა და გარეთ გამოისტუმრა. ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდა სოლო, ხმასაც ველარ ამოიღებდა ვინმესთან ამის თაობაზე, თორემ შეიძლება საგიჟეთში ეკრათ მისთვის თავი.

რაკი საშველი აღარ ჩანდა, როგორმე უნდა შევეგუო ჩემს ამბავსო, გადაწყვიტა სოლომ. ცდილობდა არ ეფიქრა ანარეკლზე. ამ მიზნით ფარდებიც კი ჩამოაფარა სახლში სარკეებზე, მაგრამ ამან უარესად დააფრთხო. სარკეზე ფარდებს მაშინ აფარებენ, როცა სახლში მიცვალებულია, მე ხომ ჯერ არ მოვმკვდარვარო, თქვა და ისევ ჩამოხსნა ფარდები.

არა, როგორმე სხვა გზით უნდა უშველოს თავს. უნდა დაივიწყოს საერთოდ სარკის არსებობა. არსად არ უნდა ეძებოს თავისი ანარეკლი. რაც უნდა იყოს, ანარეკლი მაინც არაფერია, არავითარი ფასი არ აქვს. გინდა ყოფილა და გინდა არა.

ასე ფიქრობდა, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, ქუჩაში, სახლში თუ ბაღში, ყველგან საკუთარ ანარეკლს ეძებდა, სარკე იქნებოდა, მაღაზიის ვიტრინა თუ ქუჩაში წვიმის შედეგად გაჩენილი წუმპე. თან ყოველთვის უკვირდა გულში: ეს რა საოცარი ამბავი დამემართაო, ნეტავი ვიცოდე, მსგავსი რაიმე კიდევ თუ შემთხვევია ვინმეს. ჩემსავით სარფიანად თუ გაუყიდია არაფერი...

კვირა დილით ტელეფონის ზარმა ისევ დაუფრთხო ძილი. თვალგაუხელელად დაწვდა ყურმილს. ვილაცამ ბოხი ხმით აუწყა, ძალუა ლულუ გარდაიცვალაო. „რას მეუბნებით", – შეიცხადა სოლომ. თან გუნებაში შეუკურთხა იმ ვილაცას. მხოლოდ ძილში ვისვენებ და იმასაც არ მაცდიანო. „დღეს ასაფლავებენ". – უთხრა ბოხი ხმის პატრონმა და ყურმილი დაკიდა. ვინ მელაპარაკება? უნდოდა ეკითხა სოლოს, მაგრამ ვერც ახლა მოასწრო.

წვიმიანი დღე იყო. სოლოს ჭირივით ეზარებოდა სახლიდან გასვლა, მაგრამ გუნებაში გაუელვა, იქნება ის მთვარეულიც იქ იყოსო. ის მთვარეული თითქოს რაღაც გამოუცნობი გზებით იყო დაკავშირებული ძალუა ლულუსთან. თუ მისი ავადმყოფობის დროს გამოჩნდა, ხომ შეიძლება დასაფლავების დღესაც ინებოს მიწაზე დაშვება? ოჰ, ერთი თვალი მოვკრა როგორმე, მეტი არაფერი მინდა. ცხვირ-პირში მივაყრი იმ ფულს. წაიღოს და დამიბრუნოს ჩემი ანარეკლი.

სოლომ პირი გაიპარსა, საგულდაგულოდ გამოეწყო. გზად ყვავილების მაღაზიაში შეიარა და მოზრდილი გვირგვინი იყიდა. გვირგვინი ფრთხილად დადო ძალუა ლულუს ფერთხით.

„ეეჰ, ძალუა ლულუ, მაინც დაუძვრიათ შენთვის ბეჭდები თითებიდან...“

თავზე დაადგა მიცვალებულს და ფეხი არ მოიცვალა. შეფარვით უთვალთვალებდა ხალხს, იქნებ ის მთვარეულიც გამოჩნდესო. ისეთი მოჟამული სახე ჰქონდა, მომსვლელები პირველ რიგში მას უცხადებდნენ თანაგრძნობას.

გასვენების დროს წვიმამ გადაიღო. მიაბიჯებდა სოლო და თავისი ბოლოდროინდელი ჩვეულების მიხედვით საკუთარ ანარეკლს ეძებდა ნაწვიმარ გუბეებში. სასაფლაოზეც ტალახი იყო, ყოველ ნაბიჯზე წუმპეები იდგა. ამ წუმპეებშიც საკუთარ ანარეკლს ეძებდა. ყველაზე ბოლოს გამობრუნდა სასაფლაოდან. უკან მიჩანჩალებლდა ხალხს და უთავბოლოდ აცეცებდა თვალებს. „როგორც ჩანს, ვერასოდეს ველარ ვნახავ იმ მთვარეულს“. — მწუხარედ ფიქრობდა გულში. „მთელი ცხოვრება ანარეკლის გარეშე უნდა გავატარო. მინდა თუ არ მინდა, უნდა შევეგუო ამ ამბავს. სხვა გზა არაა. ის მაინც მაცოდინა, ჩემს გარდა სხვასაც თუ შეემთხვა ასეთი რაიმე ამ ქალაქში. სხვებმაც თუ გაყიდეს ანარეკლი ჩემსავით“.

უცებ კინაღამ თავდაყირა გადაეშვა ახლადგათხრილ საფლავში, რომლის ფსკერზე ნაწვიმარი წყალი დამდგარიყო მღვრიე გუბედ. თავი შეიკავა სოლომ, არ ჩავარდნილა, მაგრამ ერთი ისეთი რაღაცა შენიშნა, გაუნძრევლად დაერჭო იმ საფლავის პირას... სამარეს ჩააშტერა გადმოცვენამდე მისული თვალები. საფლავის ფსკერზე მღვრიე გუბეში რაღაც ლანდი ირხეოდა. სოლოს ნაბორძიკების დროს რამდენიმე გორღი ჩავარდა წყალში, ამიტომ ახლა მისი ზედაპირი თრთოდა და ცახცახებდა. მასთან ერთად თრთოდა მისი ლანდიც. სოლო ისე გაფაციცდა, როგორც მონადირე გაფაციცდება ნადირის შემჩნევისას. ჩაიჩოქა ტალახში, სახე დაუახლოვა საფლავის ფსკერზე მოძიგძიგე მღვრიე სარკეს. სულწასული ელოდა, როდის დამშვიდდებოდა მისი ზედაპირი, როდის დაინახავდა საკუთარ ფიზიონომიას. რა ბედნიერებაა, დამიბრუნდა ანარეკლი... და ის ფულიც შემრჩა, დაუმატა გუნებაში უფრო ხმადაბლა. ეს იყო ჩუმი ფიქრი, ანუ ფიქრის ფიქრი.

გაბადრული სახით ელოდა წყლის სარკის დაწყნარებას, ალბათ ჯერ არავის არ გადაუხედავს ახლადგათხრილ სამარეში ასეთი ბედნიერი სახით. ბოლოს, დამშვიდდა წყლის მოცახცახე ჭავლი, სარკესავით გასწორდა. „სადა ხარ ამდენ ხანს, — ნეტარებით წაიჩურჩულა სოლომ — რა ხანია...“ — და ველარ გააგრძელა, ბედნიერი, მომღიმარე სახე სულელურად გაღრეჭილ ნიღბად ექცა: მღვრიე სარკიდან სულ სხვა, სრულიად უცხო სახე შემოჰყურებდა.

— ეს ვინღაა... — უნებურად წამოიძახა. მიიხედ-მოიხედა, იქნებ ვინმე ამომიდგა მხარშიო. კაციშვილი არ ჭაჭანებდა ახლო-მახლო. დაცარიელებული სასაფლაოს მიღმა ქალაქის ხედი გაშლილიყო.

ისევ სამარეს ჩააშტერდა სოლო... ვისი სახეაო, ცდილობდა ამოეცნო... იქნებ სხვამაც გაყიდა ჩემსავით ანარეკლი... ანდა... იქნებ ჩემი სახეა და მე ველარ ვცნობ... რა ხანია აღარ მინახავს ჩემი ფიზიონომია, არც სარკეში, აღარც ფოტოსურათში.

ამის გაფიქრებამ სოლო შეაძრწუნა, უფრო მეტად გადაიხარა სამარისკენ, დაკვირვებით ჩააშტერდა მოცახცახე ლანდს. და ამ დროს კიდევ ერთი ლანდი შეამჩნია... ის იყო... მთვარეული... მისი უფერული სახე და ვერცხლისფერი კოსტუმი ძალიან მქრქალად მოჩანდა მღვრიე წყალში. ხელმკლავი გამოსდო იმ უცხო ანარეკლს და საფლავის კიდისკენ წაიყვანა წყლის სარკის მიღმა. სოლოს ისევ სიცარიელემ, მღვრიე, უძირო სიცარიელემ შემოხედა საფლავის ფსკერზე დამდგარი გუბიდან.

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ჩემი ალერსიანი მზე

ცაზე არაჩვეულებრივად დიდი ზომის ალისფერი ბურთი გადმოკიდებულა, შეჰყურებ და ასე გგონია, საცაა ძირს დაეშვება...

ასეთნაირად წარმოუდგა ჩემს თვალს პირველი უცხო მზე, რაც კი ჩემს სიცოცხლეში მეხილა. ჯერჯერობით არასოდეს გავცილებოდი მიწიერი მზის ფარგლებს, ამიტომაც მზე-გიგანტი, მიწიერ მზეზე ლამის ათჯერ აღმატებული, ძალზე უჩვეულო სანახაობა იყო, ბავშვობისდროინდელი ერთი შორეული მოგონება გამახსენა: ერთხელ, მახსოვს, დილაადრიანად გამაღვიძა ჩემმა ღრმად მოხუცებულმა პაპამ, მდინარეზე უნდა წავეყვანე. ხუთი წლის თუ ვიქნებოდი მაშინ. როგორც კი ოთახიდან გარეთ გამოვყავი ცხვირი, პირველი რაც დავინახე, ეს იყო ახლადამოსული მზე, ერთიანად ალისფერი. რა უჩვეულოდ დიდი მომეჩვენა მაშინ, საოცრად დიდი და განფენილი. თხელი ნისლი ეხვია ირგვლივ და ეს კიდევ უფრო ადიდებდა ისედაც არაჩვეულებრივად დიდ, ალისფერ ბურთს. მახსოვს, გულში გავივლე, ასეთი დიდი ბურთი ძირს რატომ არ ვარდება-მეთქი.

ახლა, როცა უცხო მზე-გიგანტს შევყურებ, ერთი წამითაც არ მტოვებს იმის შეგრძნება, თითქოს ისევ იმ ბავშვობისდროინდელ ალისფერ მზეს შევყურებ, და ახლა დაწვრილებით ვუკვირდები და ძირისძირობამდე ვსწავლობ იმას, რაც მაშინ, ხუთი წლის ბავშვმა ერთი თვალის გადავლებით დავინახე.

ახლაც მაკვირვებს, რომ ცაზე ასე მშვიდად და დაჯერებულად სუფევს უჩვეულოდ დიდი მზე, მიწიერ მზეზე ბევრად აღმატებული, და აზრადაც არ მოსდის ძირს ჩამოვარდნა. ჩემს ბავშვობაში ამ მხრივ ყველაფერი სხვანაირად იყო: რა ღონივრადაც უნდა ამესროლა მაღლა, მაინც ძირს ვარდებოდა რეზინის დიდი, წითელი ბურთი, ეს კი, გიგანტი მანათობელი მზე, ლაღად ტივტივებს ჰაერში, ჰაერსაც არ ამძიმებს მისი უჩვეულოდ დიდი ზომები.

თუმცაღა ეს გიგანტური ზომები, უჩვეულოდ ფართო გარშემოწერილობა, რითაც უცხო მზემ პირველი ნახვისთანავე მომაჯადოვა, მხოლოდ და მხოლოდ ხილული სიდიდე გახლავთ და მეტი არაფერი. სინამდვილეში მზე-გიგანტი სიდიდით ბევრად ჩამოუვარდება მიწიერ მზეს. ეს კიდევ არაფერი, თვით მზის სისტემის უდიდესი ცთომილი, იუპიტერიც კი აღემატება სიდიდით. მზე-გიგანტი მასით და მოცულობით სატურნს უახლოვდება, მზის სიტემის მეექვსე ცთომილს. ასე რომ, სათამაშო უფრო შეიძლებოდა მისთვის გეწოდებინა, ვიდრე მზე-გიგანტი. მით უმეტეს, მის გარდა ხომ ნამდვილად არსებობდა მზე-გიგანტი, მიწიერ მზეზე ბევრად აღმატებული ვარსკვლავი, ჩვენი სათამაშოს მეწყვილე. მაგრამ იგი შორსაა ჩვენგან. იმდენად შორს, რომ მკრთალი ვარსკვლავივით მოჩანს აქედან. ჩვენც არ ვთვლით მას მზედ, მისთვის არასოდეს არ გვიწოდებია ასეთი ამაყი სახელი, როგორიცაა მზე-გიგანტი.

თანაც რა რბილი, ნაზი ალისფერი შუქით ანათებს ეს უცხო მზე.

თვითონ ბადროს ხომ ერთიანად ალისფერი გადასდის, მისი სხივებიც ოქროსფერ-მოწითალოა. თბილი, რბილი და ლმობიერი შუქი გვეფინება მათგან. როგორც ჩვენი ჭკვიანი ხელსაწყოები ღაღადებენ, მზე-გიგანტის ზედაპირის ტემპერატურა ორიათას გრადუსს არ აღემატება, შეიძლება ამ ლმობიერი სითბოს წყალობითაა მისი გამოსხივება ასეთი ნაზი, მშვიდი და თან ფერადოვანი... შეიძლება ითქვას, რომ აბრეშუმის სხივებს გვიგზავნის და ჰფენს აქაურობას...

თანაც მზე-გიგანტის ეს ალისფერი ბურთი არ გახლავთ წრესავით ზუსტად შემოსაზღვრული. მისი ნაპირები ოდნავ ტალღოვანია და განფენილი. ეს გარემოება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. ჯერ ერთი, რომ ჩვენ ახლო მანძილზე ვიმყოფებით მზე-გიგანტისგან. როგორც ცნობილია, მზე (ანუ ვარსკვლავი) გავარვარებული პლაზმის გუნდას წარმოადგენს, რომელიც გამუდმებული წვის და დუღილის პროცესშია... რომელ ვარსკვლავსაც უნდა შეხედოთ ასეთი ახლო მანძილიდან, არცერთ მათგანს არ ექნება წესიერი წრის ფორმა, მისი ზედაპირი მით

უფრო დატალღული და გადღაბნილი იქნება, რაც უფრო მიუახლოვდებით, დაშორებისას კი პირიქით, სულ უფრო დაუახლოვდება წესიერ ნრეს. ოღონდ ესაა, ძალზე იშვიათად თუ მოგცემენ ვარსკვლავები ასეთ მანძილზე მიახლოების ნებას, რომ მისი ტალღოვანი ზედაპირი დაინახო... (შეუიარაღებელი თვალით დანახული ვარსკვლავი მაქვს მხედველობაში. ცხადი სინამდვილე და არა რაღაც ოპტიკურ მილებში გამოტარებულ-გამოწვლილი).

თანაც ჩვენი ალისფერი ბურთი, ჩვენი მზე-გიგანტი ძალიან მშფოთვარე სიცოცხლით ცხოვრობს, იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მისი წიაღი განსაკუთრებულად ღონიერი მხურვალე ნიაღვრების წყაროა, ამიტომაც მის ზედაპირზე გამუდმებით დაჰქრიან განსაკუთრებულად ძლევამოსილი ცეცხლოვანი გრიგალები. ცეცხლოვანი ტალღები ბობოქრობენ და ეხლებიან ერთმანეთს, მაღლა იტყორცნება გავარვარებული პლაზმის ღრუბლები.

არადა, რა მშვიდი, რა უწყინარი და სათუთი ჩანს აქედან ეს ცეცხლოვანი გრიგალების სამყარო, დამდნარი სანთელივით იღვენთება, მსუბუქი სიოს მიერ წარტაცებული ღრუბელივით თამთამებს, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იცვლის ფორმას. იგი თითქოს აბრეშუმისაა... მეწამული აბრეშუმის ბულული... მისი სხივებიც აბრეშუმივით რბილია და ნაზი.

ეს განუწყვეტელი ცვალებადობა, ეს დატალღული თამთამა ზედაპირი ძალზე აცოცხლებს, სულიერ არსებას ამსგავსებს მზე-გიგანტს. თუმცა ეს სიტყვა, „აცოცხლებს", ალბათ შეუფერებელი გამოთქმა იქნება მისთვის. რა „გაცოცხლება" ესაჭიროება ისედაც ცოცხალ არსებას? მზე-გიგანტი ცოცხალია, იგი ფეთქავს დიდი გულივით, ჩვენ ვხედავთ მის ცეცხლოვან, მხურვალე ამოსუნთქვას, რომლისგანაც სამყაროს სივრცეში ცეცხლოვანი ოხშივარი იფანტება, გოლიათის სუნთქვის მინაგვარად. მაინც ეს მეწამული, რბილი ფერი, რომელიც ერთიანად გადასდის მზე-გიგანტის დატალღულ ბადროს და მის სხივებს... ეს ხომ იგივე ფერია, რა ფერის ნაკადებიც ჩვენს ძარღვებში ჩქეფს, ნამდვილი სიცოცხლის ფერი. მზე-გიგანტი ცოცხალია, და ცოცხალ თბილ სხივებს ჰფენს აქაურობას...

... აქაურობა, ეს გახლავთ მომცრო ცთომილი, ზომით დედამიწაზე ორჯერ უფრო პატარა. იგი, შეიძლება ითქვას, სათამაშო დედამიწაა ჩვენთვის, დედამიწასავით მრავალმხრივია მისი ცოცხალი სამყარო, დედამიწასავით მდიდარია ზღვებით და მდინარეებით, მაგრამ თვით ცთომილის მომცრო ზომებიდან გამომდინარე, ყველაფერი დანარჩენიც შედარებით მომცროა აქ. ამიტომ ასე გვეჩვენება, თითქოს ყველაფერი სათამაშოა ჩვენს ირგვლივ: სათამაშო ზღვები, სათამაშო მთები, სათამაშო ღრუბლები, სათამაშო ცისკიდური... დაე, ნურავის ეხამუშება ეს უკანასკნელი გამოთქმა; ცისკიდური აქ ორჯერ უფრო ახლოა ჩვენთან, ვიდრე დედამიწაზე, ამიტომაც აქ თვით ზეცაც დაგვიახლოვდა. საოცარი სიცხადით ცოცხლდება შორეული ბავშვური რწმენა, რომ საკმარისია ახვიდე მთის მწვერვალზე და ხელით მისწვდები ზეცას, ცხადია, მზე-გიგანტსაც...

მერედა, რა მსუბუქი და ჰაეროვანია ყველაფერი; ეს განსაკუთრებით აქაურ მცენარეებზე ითქმის. მსუბუქი წონა მათ საშუალებას აძლევს, რომ კარგა დიდ სიმაღლეს მიაღწიონ, მაგრამ თუ მათ გადატეხვას მოინდომებ, ადვილად მოგყვებიან ხელთ. წყალმცენარეებს უფრო მოგვაგონებენ ხოლმე, რადგან ნახევრად გამჭვირვალეა მათი შტოები და ყვავილები, ახლა ფორმას აღარ იკითხავთ? ზღაპრული ალის თმებივით არიან ჩაწნულ-ჩაგრეხილები. ყველა მათგანი ჯადოსნურ მცენარედ იქცევა ხოლმე, როცა ჩვენი მზე-გიგანტი დააფრქვევს თავის ოქროსფერ-მეწამულ სხივებს. ნახევრად გამჭვირვალე ფოთლებიო და ყვავილები ათასფერად იწყებენ ციაგს, თუმცა ის ათასფერში ყოველთვის ჭარბობს თბილი და ალერსიანი ფერები.

ყველაზე მომხიბლავი მაინც ზღვაა, სათამაშო ზღვა... ისიც ისეთივე ალერსიანი და ნაზი ჩანს, როგორც სხვა ყველაფერი ამ პანია ცთომილზე. შედარებით ნაკლები სიღრმის და სიმკვრივის გამო უფრო ნათელი გამჭვირვალე ფერი აქვს მიწიერ ზღვასთან შედარებით. ძალზე ნაზი, ღია ცისფერია იგი, გამჭვირვალე წმინდა ცისფერი. რბილი პატარა ტალღები ნელ-ნელა მოლივლივებენ და აუჩქარებლად, ძალზე მშვიდად და მსუბუქად ეშვებიან რბილ სილაზე. ისინი ხომ ორჯერ უფრო მსუბუქნი არიან მიწიერ

ტალღებთან შედარებით. ო, რა თვალშისაცემად იგრძნობა მათში ეს სიმსუბუქე, სწორედ ამიტომ კიდევ უფრო ლაღი და ხალისიანი გეჩვენება ამ ტალღების მიმოქცევა, ვიდრე დედამიწაზე შეგიძლია იხილო. ძალზე უხვი და ჩახუჭუჭებული თეთრი ქაფი, მართლაც ნაქარგივით ავლია ამ საოცრად ლაღ, სათუთ და მშვიდ ტალღებს.

ჩვენი მზე-გიგანტი, ალისფერი აბრეშუმის ბულული, არც ზღვისთვის იშურებს თავისი ალისფერი სხივების კონებს. პირიქით, სწორედ აქ იჩენს თავს მთელი სისრულით მისი წიაღის მთელი საგანძური... ოქროსფერ-მეწამულ ხალიჩას ჰქარგავენ მშვიდად მოლივლივე ზღვის ზედაპირზე...

დიახ, ყოველივე საოცრად მშვენიერი, მომხიბლავი და ლამაზია ამ პაწია ცთომილზე, იმდენად მშვენიერი და ალერსიანი, რომ თითქოს არც დრო გყოფნის და მხედველობაც გეურჩება ყველაფრის აღსაქმელად, მაგრამ მზის ჩასვლა ყველაფერს აღემატება თავისი სიმშვენიერით. მით უმეტეს, თუ ზღვის პირას დგახარ და ისე შეჰყურებ ამ მომხიბლავ სანახაობას. მზე-გიგანტი უშფოთველი სიდინჯით მიცურავს მეწამულ-ოქროსფრად აელვარებულ ცისკიდურზე, მისი უჩვეულოდ ფართო გარშემოწერილობა განსაკუთრებულად დიდებულ იერს სძენს ამ სიდინჯეს. ფერიც უფრო და უფრო ჩაუმუქდა, სანამ ბოლოს მუქ-მეწამულისფრად არ აგიზგიზდა. ცაზე მიმოფანტული მსუბუქი ღრუბლები ცეცხლის ენებივით აელვარდნენ, ხოლო თვით ზღვა მეწამული ფერის მორევს დაემსგავსა. მზე-გიგანტი ნელა ეხება ზღვის ბრჭყვიალა ზოლს... რა საზეიმო ჩანს ეს წამი მეწამული მნათობის დიდი ზომის წყალობით... მისი ზედაპირის არათანაბრობაც კიდევ უფრო თვალშისაცემად გამოჩნდა, იღვენთებიან მეწამული ფერის ცეცხლოვანი ნაპირები, გიგანტურ მედუზასავით თამთამებს, თითქოს რომელიღაც უცნობი ცოცხალი არსება საცეცების რწევით მიიწევს წინ. ზანტად ჩაეშვა კოცონივით აბრიალებულ ზღვაში. ცოტაც და, გიგანტური ალისფერი ბურთი მთლიანად უჩინარდება. მისი წითელი ათინათი კი ისევ შეუნელებლად ელვარებს მსუბუქი ღრუბლებით მოფენილ ცაზე, წყნარად მოლივლივე ზღვაში. ზღვის პირას ქანდაკებებივით მდგარი ადამიანების თვალებში... მზე-გიგანტის ზღვაში ჩასვლა იმდენად დიდებული სანახაობაა, რომ ძალზე ძნელია მისგან თვალის მოწყვეტა. რამდენჯერაც არ უნდა იხილო იგი, სულ ყოველთვის გეჩვენება, რომ ჯერ ამის მსგავსი არაფერი გინახავს, რომ ეს-ესაა აგეხილა თვალი და რაღაც საოცრება, ჯადოსნური სამყაროს კარიბჭე განიხსნა შენს წინაშე... დიახ, მზე-გიგანტის ზღვაში ჩასვლის წუთებში ძალზე მოუცლელნი იყვნენ ჩვენი თვალები... მიუხედავად ამისა, სწორედ ასეთ ხუთებში შევამჩნიეთ და დავინახეთ ჩვენ ერთმანეთი...

მზე-გიგანტის მეწამული ათინათი ელვარებდა იმათ სახეებზე, ცხადია, მეც მათ დღეში ვიქნებოდი... ალბათ, სწორედ ამიტომ მომეჩვენა ყველანი ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსნი. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ისინი სულაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს... ანუ იმაზე მატად არ ჰგავდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი შემთხვევითი მგზავრები შეიძლება დაემგვანონ ერთმანეთს, მატარებლის ერთ კუპეში მოხვედრილნი.

მაგრამ ერთი რამ იყო უცნაური... კუპეში (ან სადმე სხვაგან, ვთქვათ მოსაცდელ დარბაზში) შეხვედრილი მგზავრები ჩვეულებისამებრ ათას საჭირბოროტო საკითხებზე იწყებენ მუსაიფს, თუკი, საერთოდ, გამოუვიდათ საუბარი. უმეტესად საკუთარ ნაჭუჭში იკეტება ყველა, ბლვერით უთვალთვალებენ ერთმანეთს, რომ... ვინ იცის... რა და როგორ... აქ კი, მზე-გიგანტის ალისფერი დაფიონის შემყურეებმა სათამაშო ზღვის პირას, მხოლოდ ისღა ვთქვით, თუ რა დიდებული იყო მზე-გიგანტის ჩასვლა ამ საღამოს; რომ ჯერაც არასოდეს გვენახა ასეთი მომხიბლავი ფერებით აელვარებული დაფიონი... ყოველ საღამოს, ყოველ შეხვედრისას ეს იყო ჩვენი სათქმელი. რაც ერთმანეთისთვის უნდა გაგვეზიარებინა. აღვნიშნავდით ყოველ წვრილმანს, თუ რითი განსხვავდებოდა დღევანდელი მზე-გიგანტის ჩასვლა ადრინდელისგან; გუშინ თუ გახსოვთ, შედარებით ხშირი ნისლი იყო ცაზე, მზე-გიგანტი ბუნდოვნად ჩანდა, დღეს კი, შეხედეთ, ისე მკაფიოდ ჩანს ალისფერი დისკოს ნაპირები, რომ სათითაოდ დაითვლი ყოველ ცეცხლოვან ტალღას, რომლებიც მის ზედაპირზე თარეშობენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დიდებულია, რა მიმზიდველი და ნარმტაცი. რა ბედნიერებაა, რომ ყოველ საღამოს შეგვიძლია მისი ყურება... არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ჩვენს შორის თავისთავად ჩამოყალიბდა, თითქოს უკვე დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს, ამიტომ ახლა არავითარი ცერემონიული მიმართვები არ იყო საჭირო, ოღონდ ერთმანეთს შევხვედროდით და ჩვენი შთაბეჭდილებები გაგვეზიარებინა ერთმანეთისთვის, ეს იყო მთავარი... მზე-გიგანტის საუფლოში ყველაფერს ნათელი ეფინება, ჩვენი შთაბეჭდილებებიც ყოველთვის ძალიან ნათელია... ანკი სხვანაირად როგორ შეიძლება, იქ, სადაც ასეთი დიდი, ალერსიანი მზე ანათებს. მზე მეწამული აბრეშუმის ბულული... სივრცეში ლაღად მოტივტივე... მისი რბილი აბრეშუმის სხივები შემპარავად იჭრება ძარღვებში, ყველა უსიამოვნო განცდაც შეუმჩნევლად არბილებს და აქრობს. ამ მოელვარე მზე-გიგანტის შემყურეებს მთელი სამყარო, ამ პატარა ცთომილის ჩათვლით სულ ერთიანად აბრეშუმისგან მოქსოვილად გვესახება... ანდა თუ სხვა რაიმეში კიდევ შეიძლება ეჭვის შეტანა, მზე-გიგანტს ეს არ ეხება. მზე-გიგანტი მთლიანად აბრეშუმის გახლავთ.

ამ მოალერსე აბრეშუმის სხივებმა ისე დაადნო ყველა ჩვენი საზრუნავი, როგორც გაზაფხულის ძალამოკრებილი მიწიერი მზე ადნობს აქა-იქ შემორჩენილ თოვლსა და ყინულს... არ ვიცი რატომ, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ მზე-გიგანტის ალისფერი სხივების ფოზე ჩვენმა ჩვეულმა საქმიანობამ დაკარგა თავისი წონა და ღირებულება. იგი როგორღაც შეუსაბამოდ, უაზროდ და შეიძლება ითქვას, სასაცილოდაც კი გამოჩნდა. პირდაპირ ვერ აგიწერთ, რა უადგილოდ და უაზროობად მეჩვენებოდა ათასნაირ გამომთვლელ ხელსაწყოებთან ჯახირი და თავსამტვრევის მონაცემების დაფიქსირება შესაბამის ცხრილებში. ძალიან კი ვეცადე, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე ამ შინაგან განცდას. დიდი ჭაპანწყვეტით შევძელი ყველაზე ზოგადი მონაცემებისთვის მომეყარა თავი, რაც ამ პაწია ცთომილს შეეხებოდა: ავიღე ნიადაგის, ჰაერის, მცენარეული საფარის სინჯები და სხვა. როგორც საკუთარ თავს ვატყობდი, ძალზე გამიძნელდებოდა იმ პროგრამის ბოლომდე განხორციელება, რისთვისაც დამტოვეს აქ ერთი წლის ვადით... ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩემს ნასაყვანად უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ერთადერთი, რაც სასაცილოდ და უაზროდ არ მეჩვენებოდა, ეს გახლდათ ყველაზე უბრალო, უმარტივესი საქმიანობა, რასაც ადამიანი გვერდს ვერსად ვერ აუვლის. მაგალითად, უდიდესი ხალისით ვმუშაობდი პატარა ბაღში თუ ბოსტანში, რომელსაც კარგა ხანია ჩაუყარეს საფუძველი ჩემზე ადრე მოსულებმა და ახლა მშვენიერ მოსავალს იძლეოდა. ასე რომ, ახალი ხილი და ბოსტნეული არასოდეს გვაკლდა. ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთებიდან, რომელთაც კომფორტი უნდა შეექმნათ ჩემთვის, ავიღე მხოლოდ პატარა თბური გენერატორი, საჭმელის მოსამზადებლად და ღამით გასათბობად, თუკი სიცივე იქნებოდა. დანარჩენი ნივთები ყველაფერი საიმედოდ შევფუთე და კარავში მოვათავსე. წესით მეც იმ კარავში უნდა მეცხოვრა, მაგრამ ვამჯობინე, პატარა შენობა ამეგო საკუთარი ხელით. უფრო სწორი იქნება, თუ ბუდეს დავარქმევდი. ფოროვანი მსუბუქი ქვებისგან ავაგე პატარა, კოხტა სათავსო, შიგნიდან კი აბრეშუმივით რბილი მცენარეული საფარი მოვფინე. უფრო დიდი შენობა მე არ მჭირდებოდა. დედამიწაზე საგანგებოდ აღნიშნეს, რომ თუ რაიმე დიდი ნაგებობის აგებას შევუდგებოდი, ძალზე სასურველ მოვლენად ჩათვლიდნენ. ამ შემთხვევისთვის საგანგებო ტექნიკაც კი გამომატანეს, რომელიც სრულიად უქმად ელაგა სხვა ნივთებთან ერთად კარავში. არც კი დამიხედავს მათთვის. მე ხომ მზე-გიგანტის გვერდით ვცხოვრობდი, მასთან სულ ახლოს. დიდი შენობის კედლები დამაშორებდა მისგან, ნამცეცა ცთომილის მშვენიერ სამყაროსაც მოვწყდებოდი. ანდა, კიდევ რომ მომენდომებინა დიდი მშენებლობის წამოწყება, როგორ უნდა დამეძლია ჩემში ის ზიზღი, რომელიც ყოველგვარი, ვითომდა დიადი საქმის მიმართ გამიჩნდა? რის გაკეთებას შევძლებდი, როცა დიდი წითელი ბურთის მაღლა ასროლა უფრო ჭკვიანურ და სერიოზულ საქმიანობად მეჩვენებოდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა, ვითომცდა გადაუდებელი საქმე... არ ვიცი რატომ, მაგრამ ასე კი ჩანდა... ბევრი ვიფიქრე ამაზე... ასე მგონია, უცხო მზის სხივებმა

ადამიანის დიდი საქმეების ის მიჩქმალული და ჩრდილოვანი მხარეები გააშუქა, რომელთაც არასდროს ხვდებათ მინიერი მზის შუქი. მიჩქმალული მხარეები კი ვერ გამოიყურებიან მიმზიდველად ცხად შუქზე გამოტანისას. რა გასაკვირია, უარყოფითი განცდა რომ აღძრას მხილველში. მერედა, რამდენგვარია ეს მიჩქმალული მხარეები... სწორედ მხარეები და არა მხარე. არცერთ მათგანს არ დავასახელებ; ყველამ თვითონ წარმოიდგინოს... თანაც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იხვეწება ეს ჩრდილოვანი მხარეები, ენერგიასაც სულ უფრო და უფრო მეტს თხოულობს. სწორედ იმ ენერგიას, რომელსაც არასდროს არ ხვდება მზის შუქი...

ეს ჩემი შეხედულება გახლავთ, რომელსაც არავის არ ვახვევ თავზე, არც არავისთვის გამიზიარებია. ამისთანებზე თავის მტვრევას, რაც ალბათ სრულიად უსარგებლოდ ჩამივლიდა, ისევ ზემოთ აღნიშნული თამაში მირჩევნია, რითაც ხშირად ვერთობით. ერთმანეთს ვეჯიბრებით, თუ რომელი ჩვენგანი აისვრის დიდ ნითელ ბურთს ყველაზე მაღლა... და ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს, როცა ჩემი ასროლილი ბურთი ყველაზე დიდ სიმაღლეს მიაღწევს. მერე ნელ-ნელა, ძალიან ნელა ეშვება დაბლა. პაწია ცთომილზე ხომ მიზიდულობა მცირეა და ბურთს ნაკლები წონა აქვს, ვიდრე დედამიწაზე ექნებოდა. როცა მას შევყურებ, ასე მგონია თვით მზე-გიგანტი ეშვება დაბლა, და საცაა ჩემს გვერდით დაგორდება რბილ ქვიშაზე... რა ძალიან ჰგავს ეს განცდა იმ პირველ გაოცებას, როცა ხუთი წლის ბავშვმა პირველად დავინახე ახლადმოსული მინიერი მზის საოცრად დიდი, ალისფერი ბურთი...

ქარიშხლის ნახვამაც მომიწია... სათამაშო ქარიშხლის... ღამით ქარი ამოვარდა, დილით კი, როცა ჩემი ბუდიდან გამოვძვერი, მშვენიერი სანახაობა გადამეშალა თვალწინ: მთელი ცა თხელი, ნისლისებური ღრუბლებით იყო მოფენილი. მსუბუქი ფარდებივით ირხეოდნენ და ქარით გატაცებულნი, მიჯრით მისდევდნენ ერთმანეთს. ხანდახან ალაგ-ალაგ ბოლქვებად იხვეოდნენ; მაგრამ მალე ისევ იშლებოდნენ, თითქოს ფრთამსუბუქ გედებს თამაში მოსურვებიათო. ასეთივე თამაშს ჰგავდა მსუბუქი წვიმა, რომელიც სულ რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ღრუბლებს [illegible] უზარმაზარ ნითელ ლაქასავით განთხეულიყო მზე-გიგანტი. თხელი ღრუბლები ვერ ფარავდნენ მას, მხოლოდ აბუნდოვანებდნენ და კიდევ უფრო ადიდებდნენ ისედაც უზარმაზარ ბადროს...

ისინიც მალე ვნახე, ჩემსავით გამოსულიყვნენ ქარიშხლის საყურებლად. არცერთ ჩვენგან იმ დღეს აღარ გახსენებია ის ვითომდა საქმიანობა, რასაც ხანდახან გულს ვაყოლებდით, შიმშილიც კი აღარ გვიგრძვნია... მთელი დღე დავეხეტებოდით. ხან ტყეში, ხან ბორცვებზე, ხანაც ზღვის ნაპირას. ძალზე სასიამოვნო იყო ნიავის ქროლვასავის მსუბუქი ქარი, რომელიც ბავშვური სიანცით გვეხლებოდა სხეულზე. იგი ჩვენ გვეთამაშებოდა და სათამაშოდ გვიწვევდა. მთელი სხეულით ვგრძნობდით პაწია ცთომილის ატმოსფეროს რწევას. და ჩვენც რაღაც ბავშვური, მხიარული სიანცე დაგვეუფლა. ფართოდ ვადგამდით ნაბიჯებს, ჩვენი ნაბიჯები აქ ხომ ისედაც მსუბუქი და ფართო იყო ორჯერ შემცირებული წონის წყალობით. ახლა კი, ქარიშხალში სიარულისას, უფრო ნახტომები გამოგვდიოდა, ვიდრე სიარული. კი არ დავდიოდით, დავხტოდით, ანცი, ცელქი ბავშვებივით... რაც შეეხება მზე-გიგანტის ჩასვლას, იგი იმ საღამოს მართლაც ზღაპრული და მომაჯადოებელი იყო...

ყველას ერთად წაგვსკდა სიცილი, როცა ზღვის ნაპირას მივედით. მართლაც ძნელი იყო ღიმილის შეკავება ამ მოთამაშე ზღვის დანახვისას, თუკი შეიძლება ზღვა თამაშობდეს. შედარებით მოზრდილი ტალღები მთელი მონდომებით ცდილობდნენ გამოეხატათ იგივე გააფთრება და ძლიერება, რაც დედამიწაზე გვეხილა აღელვებული ზღვის ჭვრეტისას, მაგრამ მხოლოდ ბავშვური თამაში გამოსდიოდათ. დაიძვრებოდა ნაპირისკენ მოცისფრო-სალათისფერი ტალღა, ჩვეულებრივი ან შედარებით ოდნავ ჩამუქებული, დილის რიხით აიმართებოდა ზევით, მსუბუქი წონა საშუალებას აძლევდა საკმაოდ მაღლა აჭრილიყო ჰაერში, სრულიად ძალდაუტანებლად და ნარნარად აღწევდა უდიდეს სიმაღლეს, მერე კი, ისევ ნელ-ნელა და ნარნარად ეშვებოდა ძირს,

როგორც შენელებულად გადაღებულ კინოკადრში. თეთრი, ხუჭუჭა ქაფი არშიასავით იშლებოდა ჰაერში. ერთ ტალღას მეორე მოჰყვებოდა, რათა იგივე ცელქობა გაემეორებინა. თან გულმოსულად ბუზღუნებდნენ, თითქოს პატარა ბავშვები მთელი მონდომებით ბაძავდნენ მოზრდილ ადამიანებს.

ბევრი ვიცინეთ გაცელქებული ტალღების ჭვრეტის დროს, ოღონდ, როცა მზე-გიგანტი ჩასასვლელად მოემზადა, სიცილი ერთბაშად დაგვავიწყდა, ისეთი ზღაპრული სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ.

ჩამავალმა მზე-გიგანტმა ალისფერი სხივების ნამდვილი ნიაღვარი დააფრქვია ანცად აბორგებულ ზღვას, ღრუბლებით მოფენილი ცის კაბადონიც ერთიანად ალისფრად აგიზგიზდა. ზღვის ზოლი ცისკიდურზე სრულებით არ ჩანდა. შეუძლებელი იყო იმის გარჩევა, სად მთავრდებოდა ზღვა და სად იწყებოდა ცა. ირგვლივ ყველაფერი ერთნაირად მეწამულ-ოქროსფერი იყო. თითქოს კიდევ უფრო მოგვიახლოვდა მზე-გიგანტი, და ახლა კიდით კიდემდე გართხმულიყო ჩვენს წინაშე...

უეცრად ერთ-ერთი ჩვენგანი (არ ვიცი, რომელი იყო...) ადგილს მოსწყდა. იგი ნელ-ნელა გაგვშორდა, ზღვისკენ მიემართებოდა. თანაც, როგორც ყველამ შევამჩნიეთ, ნამდვილი მთვარეულივით ადგამდა ნაბიჯებს. გადააბიჯა ზღვახმელეთის გამყოფ ზოლს, ზღვის ტალღა ფეხებზე გაეტყლაშუნა, მაგრამ არ შეჩერებულა. წყალში მუხლამდე შევიდა. აქ უკვე ტალღა დაეძგერა, ამ დროს ჩვენც გამოვერკვიეთ, მაგრამ არც ის დაბნეულა. მოახერხა ტალღისთვის თავის გამორიდება. მერე ისევ გაიმეორა იგივე. ჩვენ არ გვიკითხავს, საით მიიწევდა... ისედაც მშვენივრად მივხვდით, ყველანი ხომ ერთი გრძნობით ვიყავით შეპყრობილნი. ჰოდა, ამის შემდეგ, ერთიანად მეწამული დაფიონის დროს, ყველანი ერთად მივიწევდით კიდით კიდემდე გართხმული უზარმაზარი მზე-გიგანტისკენ, ჩვენც ვდგამდით ნაბიჯებს, რათა კიდევ უფრო მივახლოებოდით მას. ცხადია, ამ დროს ზღვაში ბანაობა გვიწევდა. ჩვენს ირგვლივ ფერიებივით მსუბუქი, ერთიანად ალისფერი ტალღები ირწეოდნენ. და ასე გვეგონა, ალისფერი სხივების ნიაღვარში ვბანაობდით. ამაზე მშვენიერი ჯერ არაფერი განმეცადა. ზღვა-სათამაშო ყოველთვის ძალიან საამო იყო, მაგრამ იმ ალისფერ ნიაღვარში ჩაყურყუმალავებას არაფერი ეედრებოდა.

ქარიშხლის შემდეგ კი, როცა ისევ წყნარი ამინდი დადგა, კიდევ უფრო ალერსიანი და მახლობელი გვეჩვენა ჩვენი მზე-გიგანტი. რა უწყინარი იყო, რა თბილი და ნაზი. პირდაპირ სანთელივით დნებოდა ცაზე, მისი შემოღვენთილი ნაპირები სწორედ სანთლის დნობას ჰგავდა. გვათბობდა, გვახარებდა, ცოცხლობდა და გვაცოცხლებდა. ჩვენთვის იწვოდა და დნებოდა, ჩვენც მადლიერნი ვიყავით მისი. ანკი როგორ არ უნდა ვყოფილიყავით მზე-გიგანტის მადლიერნი, როცა მან ყოველი დღე დღესასწაულად გვიქცია: თითქოს ეს-ესაა თვალები აგვეხილაო, ისე გვიკვირს და გვიხარია ასეთი დიდი მეწამული ფერის მნათობის დანახვა, რომელიც ასე ახლოა ჩვენთან, ლამის ხელის ერთ გაწვდენაზე... გვიხარია ყოველი დღის გათენება, წვიმის წამოსვლა, ქარის ქროლვა. ეს სრულიად უმნიშვნელო, თითქოსდა არაფრისმთქმელი მოვლენები, რომლებსაც დედამიწაზე ადამიანები თითქოს ვეღარც კი აღიქვამენ. უბრალოდ ისე ღებულობენ, როგორც გარდაუვალ, მოსაწყენ აუცილებლობას. მზე-გიგანტის მოალერსე, ჯადოსნური სხივების ქვეშ თვით ყველაზე უბრალო მოვლენაც კი სასწაულივით მოჩანს. ამ სასწაულების გვერდით კი ძალიან გაფერმკრთალებულად გვეჩვენება ყველა მიწიერი პრობლემა, ყველა „მიზეზი და შედეგი", რაც ასე აწამებს ადამიანის გონებას გაჩენის დღიდან. როგორღაც არხეინად ვეკიდებით მათი, ამ პრობლემების გადაჭრის გზებს, ეს კი სწორედ ისაა, რასაც არავინ არ გაპატიებს, არც მახლობლები, არც საზოგადოება. ბოლოს და ბოლოს, ალბათ არც თვითონ აპატიებ საკუთარ თავს, თუ თავი დააღწიე ამ ალისფერი სხივების ჯადოს...

მაგრამ ერთი მითხარით, რა არის აქ საპატიებელი? რას ვაშავებთ ჩვენ, მიწიერი ადამიანები, „ნამცეცაზე" შემთხვევით მოხვედრილნი... ჩვენ უნაკლოდ ვასრულებთ ყველაფერს, რაც დედამიწამ დაგვავალა. არც იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ ეს „სათამაშო", ალისფერი სხივების ჯადოსნური სამყარო, დედამიწის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცეს

ბევრი სხვა ცთომილივით. ერთადერთი ჩვენი დანაშაული ისაა (თუ ამას შეიძლება დანაშაული ეწოდოს), რომ რაღაც საოცრად გვიხარია მზე-გიგანტის სამყარო. ესაა სამყარო, სადაც მეწამულ-ოქროსფერი, სიცოცხლით სავსე თბილი ფერები ბატონობენ, ხოლო ცა ისე ახლოა, ლამის ერთი ხელის გაწვდენაზე. ახლობელი ცისკიდური საოცრად აახლოებს ყველაფერს. თითქოს ერთ დიდ ეზოში ვცხოვრობდეთ ყველანი. მზე-გიგანტიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს ამ ეზოში, ცოცხალი, თბილი და მოალერსე... იგი მუდამ ჩვენთანაა, სადაც არ უნდა ვიყოთ. გვერდიგვერდ მომყვება, როცა მარტოდ-მარტო დავეხეტები ნამცეცა ცთომილზე. თუმცა ეს გამოთქმა „მარტოდ-მარტო" სრულიად უადგილო მეჩვენება. მზე-გიგანტის მახლობლად მარტო არასოდეს არ იქნები.

ბოლოს მოსახდენი მოხდა...

გათენდა ის დღეც, რომელსაც შეიძლება არც ისე მოუთმენლად ველოდით, მაგრამ ვიცოდით კია, რომ აუცილებლად გათენდებოდა.

პირველად სხვა ფერი დავინახე, რაღაც სრულიად განსხვავებული, უცხო ფერი. არა, დიდხანს კირკიტი და თვალიერება სულაც არ ყოფილა აუცილებელი. მალე მივხვდით, რომ კოსმოსურ ხომალდს შევყურებდით, ჩვენს წასაყვანად მოსულს...

მათ სხვა საქმეც ბევრი ჰქონდათ. პაწია ცთომილიდან ბევრი რამ შეიძლება წაიღო დედამიწაზე, რასაც იქ ძალიან დიდი ფასი ექნება. ძვირფასი მინერალები, საოცარი ყვავილები, ნაყოფი... ამას ყველაფერს თავს მოუყრიან და ჩვენც მიგვიპატიჟებენ...

ეს ყველაფერი კარგი, აქ არაფერი იყო გასაკვირი... მხოლოდ ის მაოცებდა, რატომ დავინახე ჯერ მხოლოდ ფერი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, და რატომ მეუცხოვა იგი ასე ძალიან? მე ხომ უცხო ცის ქვეშ ვიმყოფებოდი, სადაც უცხო მზე ანათებდა. ხომალდი მშობლიური ცთომილის ნაწილი გახლდათ, მისი ღვიძლი შვილი, მაგრამ რატომღაც ისე კი მოხდა, რომ ფერთა ის ტონები, რაც ხომალდის კორპუსმა შექმნა მეწამული სხივების ნიაღვარქვეშ, ძალიან შეუსაბამო და უკარება მომეჩვენა. თუმცა მრავალგვარობა არ აკლდა იმ ფერებს. ამიტომაც ერთგვარად მიმზიდველიც ჩანდა. და მე გიფიქრე, რომ მეტისმეტად მივჩვეოდი უცხო სხივებს და უცხო, თუმცა ძალიან ახლობელ ცას. მეტისმეტად მოვენუსხე მზე-გიგანტის ალისფერი სხივების ჯადოს, რომ თვით მშობლიური ცთომილის ღვიძლი ნაწილიც კი უცხოდ მეჩვენება...

თანაც ამ ფერთა სიჭრელესაც ხომ აქვს თავისი მიმზიდველობა, რაც მიწიერმა ხომალდმა მოიტანა თან ამ ოქროსფერ-მეწამული სხივების სამყაროში. არც ისე ადვილია მასზე უარის თქმა. ბოლოს და ბოლოს, სამყარო ამ ერთი მოალერსე ფერისგან ხომ არ შედგება. მეც ხომ ფერთა იმ სიჭრელის კორიანტელში ვცხოვრობდი ერთ დროს. მისი ყველა უმცირესი ელფერის შეცნობა მომიხდა, სანამ აქამდე მოვაღწევდი. არავითარი უფლება არ გვაქვს, უარი ვთქვათ რომელიმე ფერზე, რაც არ უნდა მკვეთრი და უსიამოვნო გვეჩვენებოდეს იგი. ჩვენ უნდა შევაჩვიოთ თვალი ამ უცხო (ოდესღაც მშობლიურ) ფერებს და ფორმებს. უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენი მხედველობა ამ მეწამულ-ოქროსფერი სხივების ხიბლისგან, რომელმაც ასე შეცვალა და გარდაქმნა იგი, რომ უპირველეს ყოვლისა, ყველგან ფერებს ვამჩნევთ და დავეძებთ, რომ ფერებს ლამის ისე აღვიქვამთ, როგორც ყველაზე უმნიშვნელოვანესს. ყველაზე უმთავრესად სწორედ ეს გვეჩვენება; ცოცხალი, ალერსიანი ფერი.

ჩვენ უკან დასაბრუნებლად ვიწყეთ მზადება.

თავი მოვუყარეთ ყველა იმ ცხრილებს და ანგარიშებს, რაც აქამდე დაგვიგროვდა უცხო (და მახლობელი) ცის ქვეშ და ეკიპაჟს გადავეცით. გარდა ამისა, მინერალების შეგროვებაშიც ვეხმარებოდით. მრავლად დავკრიფეთ იშვიათი სილამაზის ყვავილები... ყველაფერი ეს საკუთარი ხელით მიგვქონდა ხომალდთან, თვითონ ეკიპაჟის წევრები ცხვირსაც არ ჰყოფდნენ გარეთ. ანდა თუ გამოჰყოფდნენ ცხვირს, სულ ახლოს, ხომალდის ირგვლივ გაისეირნ-გამოისეირნებდნენ და ისევ სასწრაფოდ ბრუნდებოდნენ ხომალდში.

ჩვენ, პაწია ცთომილის ან უკვე ლამის ღვიძლი მკვიდრნი, ძალიან შეგვაფიქრიანა ამან. ეკიპაჟისთვის არაფერი გვიკითხავს, ჩვენ თვითონ ვიმსჯელეთ და ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ, რომ

ეკიპაჟის წევრებს ძალიან ეშინოდათ რაღაცის, ჰოდა, რა უნდა ყოფილიყო ეს რაღაცა ამ უწყინარ, მოალერსე სამყაროში, თუ არა სწორედ მზე-გიგანტის უწყინარი ალისფერ-ოქროსფერი სხივები... მათ ეშინოდათ მისი, რადგან იცოდნენ, თუ რა დიდი, რა მომაჯადოებელი მიმზიდველობა გააჩნდათ. თუ ისინი ამ ალისფერ-ოქროსფერი სხივების ნიაღვარში ჩაყურყუმალავების ნებას მისცემდნენ თავიანთ თავს, მაშინ შეიძლება თავი ველარ დაეღწიათ აქაურობისთვის, და მთელი სიცოცხლე მზე-გიგანტის ტყვეებად დარჩენილიყვნენ. დიახ, ამ მხრივ ძალზე საშიშია მზე-გიგანტის უწყინარი, მოალერსე სხივები და ამის შესახებ კარგად იცოდნენ დედამიწაზე. მიუხედავად „ნამცეცას" ასეთი საეჭვო სახელისა, დედამიწა მაინც აგზავნის კოსმონავტებს აქაურობის ასათვისებლად. „ნამცეცა" სამოთხესავით მშვენიერი ბუნების მქონე ცთომილია, მდიდარი გახლავთ ძვირფასი მინერალებით. დედამიწა მოხარული იქნება, თუ ეს პატარა წალკოტიც შეემატება ბევრი სხვა ცთომილივით. მაგრამ აქ მოხვედრილი კოსმონავტები როგორღაც უცნაურად იქცევიან. მათ თითქოს აჯადოებთ ეს ალერსიანი, მეწამული სხივები, რასაც მზე-გიგანტი ჰფენს აქაურობას. ეს ხომ ჩვენც შესანიშნავად ვიცოდით. გაგვაფრთხილეს კიდეც საგანგებოდ, მაგრამ თითქოს აღარ გვახსოვს. მზე-გიგანტის ჯადომ ყოველივე დაგვავიწყა. ამიერიდან, ეტყობა, მკაცრ ღონისძიებებს მიმართავენ, რათა მსგავსი აღარაფერი მოხდეს.

ასეთმა მსჯელობამ და ფიქრებმა ჩვენ კიდევ უფრო ძალიან შეგვაფუცხუნა. გულში მტკიცედ გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა მზე-გიგანტის მეწამულ-ოქროსფრად დაფერილი, ალერსიანი და ნათელი სამყარო. განუწყვეტლივ ვუმეორებდით ერთმანეთს, რომ თუ ახლა ვერ შევძლებდით აქაურობის დატოვებას, შემდეგ მზე-გიგანტის სამუდამო ტყვეებად დავრჩებოდით.

ჩვენი პატარა, მყუდრო ბუდეები არ მოგვიშლია, პირიქით, სუფთად მივალაგ-მოვალაგეთ, კიდევ უფრო გავალამაზეთ, ქორფა მცენარეული ფოთლებით და ყვავილებით. ბაღი და ბოსტანი გავმარგლეთ. არც კარვისთვის გვიხლია ხელი, გამომთვლელი ხელსაწყოების ჩათვლით, თუ ვინმე, ჩვენზე უფრო მტკიცე ხასიათის მქონე მოინდომებს ამ დარჩენას, მყუდრო ბუდე მზად ეყოფა.

ხოლო თუ მას არ დასჯერდება და მაღალი გოდოლის აგებას მოინდომებს, ეს უკვე მისი საქმეა. ამის შესახებ ერთ სიტყვასაც ვერ შევაწევთ ვინმეს, რადგან საამისო გამოცდილება არ გაგვაჩნია.

ამის შემდეგ ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა.

ჩვენც ველოდით.

ბოლოს გაფრენის დღეც დაინიშნა...

და კიდევ, დიდი წითელი ბურთი, რომელსაც ბავშვებივით ვისროდით მაღლა, ხელახლა გავბერეთ. ვინ იცის, იქნებ იმათაც მოეხასიათოთ ის თამაში...

იმ დღეს ქარიშხალი ბობოქრობდა სათამაშო ცთომილზე... მინიატურული, სათამაშო ქარიშხალი.

ეკიპაჟის წევრებმა გვითხრეს, საღამო ხანს გავფრინდებითო. ჩვენც, რაკი დრო საკმაოდ გვქონდა, ზღვისკენ გავწიეთ. გვინდოდა უკანასკნელად გვენახა მზე-გიგანტის ალისფერი დაფიონი.

ო, რა განსხვავებული და გამოცოცხლებული მოგვეჩვენა პატარა სათამაშო ზღვა და მისი ანცი ბორგვა. ტალღები თითქოს ნამდვილი ცოცხალი არსებები იყვნენ, ისინი ხტოდნენ, ცეკვავდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ მოთამაშე ცელქი ბავშვებივით. მთლიანად მთელი ზღვა კი თითქოს მართლა გაცოცხლდა, ისე დუდუნებდა და შრიალებდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ჯერ ვერ გამოეთქვა, საამისოდ ვერ ახერხებდა ბგერების დანაწევრებას...

ალბათ ასე იმიტომ მოგვეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით შევყურებდით, ეს ხომ ბოლო, სულ ბოლო ხილვა იყო მისი...

შემდეგ მზე-გიგანტი მიეახლა მოთამაშე ტალღებს თავისი დინჯი, დიდებული სვლით. მეწამული ნიაღვარი დააფრქვია ქეჩოზე, ალისფერ სხივებში გაეხვია. მოთამაშე ტალღებიც უფრო გამოცოცხლდნენ, სიცელქეს უმატეს. უფრო მაღლა შეისროლეს ალისფრად დაფერილი, თითქოსდა თბილი სისხლძარღვებით დაქსელილი მხარ-მკლავები.

რაც შეეხება მზე-გიგანტს, ის კი ხამდვილად გაცოცხლდა ჩვენს თვალწინ. იგი სუნთქავდა, ნამდვილად სუნთქავდა, ჩვენ ვიხილეთ მისი სიცოცხლისმიერი თრთო-

ლვა, გავიგონეთ მისი გულის ძგერა, მისი შემოღვენთილი ნაპირები შედარებით ბუნდოვნად ჩანდა ალისფერი ნისლით მოფენილ ცაზე, მაგრამ სამაგიეროდ მზე-გიგანტმა უფრო ფართოდ გაშალა მკლავები, უფრო ძლიერად ჩაიკრა გულში თავისი თბილი, უწყინარი სამყარო, სათამაშო ზღვა და ცე... საოცარი სიუხვით დააფრქვია ყველაფერს ალისფერი აბრეშუმის სხივები. აბრეშუმის ალისფერი ბილიკი აჭორტმანდა მოთამაშე ზღვის მკერდზე...

ჩვენც მისკენ გავქანდით, რათა ამ ალისფერი სხივების ნიალვარში ჩაგვეყურყუმალავა...

ასე ახლოს კიდევ უფრო შეიმაღლეს ხმა გაცელქებულმა ტალღებმა, საამო ალისფერ შხეფებთან ერთად ბგერების ნიალვარიც შემოგვაფრქვიეს. ჩვენც, როგორც მიჩვეულები ვიყავით, მაშინვე გადავეშვით ალერსიანი მზე-გიგანტის და ზღვის ნიალში...

როცა თავი ამოვყავეთ ტალღის ქეჩოდან, რაღაც უცხო ხმა შემომესმა. ტყვიის გასროლასავით შემოიჭრა მოთამაშე ზღვის დუდუნ-შრიალში, ერთი წამით ერთმანეთს გავუსწორეთ თვალი. ყველანი მივხვდით, ეს რა ხმაც იყო...

უკან აღარ მოგვიხედავს, რაღა აზრი ჰქონდა...

ალისფერი მზე-გიგანტი ნელ-ნელა ჩამოიღვენთა, იგი თითქოს ჩადნა სათამაშო ზღვის მეწამულ ტალღებში... ჩვენ მისკენ მივისწრაფოდით, ტალღების ალისფერ შხეფებში გახვეულები, ისევ მისკენ...

ახლობელი, ერთი ხელის გაწვდენამდე მოახლოებული ცისკიდურისკენ. თანაც ძალიან ვჩქარობდით, ერთმანეთს ვასწრებდით... სანამ ჯერ კიდევ ენთო მეწამულ-ალისფერი დაფიონი, სანამ არ ჩამქრალიყო მისი უკანასკნელი ჩირაღდანი.

გულო კუბანაველი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემთხვევით

მოთხრობა

ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს, მშვენიერ გუნებაზე მყოფი დალი ქინქლაძე (გარეგნობით განსაცვიფრებლად რომ წააგავდა საკუთარ გვარს), გამოვიდა ა-პუნქტიდან, გახარებული და ფრთაშესხმული გაექანა პირდაპირ ბ-პუნქტისაკენ. ა-პუნქტი ახალი საყვარლის ბინა გახლდათ, ბ — ყოფილის, ხოლო სიხარულის მიზეზი, ახლისაგან სრულიად შემთხვევით მიღებული ინფორმაცია ყოფილის ცოლ-შვილის ბაკურიანში დასასვენებლად გამგზავრების შესახებ.

ასევე შემთხვევით, თუმცა მავანნი ამტკიცებენ, შემთხვევით ამქვეყნად არაფერიც არ ხდებაო, დალი გზად ქეთი დვალაძეს გადაეყარა და ფრიად გაიხარა ამითაც, რადგან ყოფილ მეგობრებს მიზეზთა და მიზეზთა გამო ერთმანეთი დიდი ხანია არ ენახათ. ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვას ძველის გახსენებაც მოჰყვა, ძველის და მხოლოდ კარგის გახსენებას ძველი სითბოც და ქეთიმ, პირველად რატომღაც ძალიან ღირსეულად რომ ეჭირა ნამეგობრალთან თავი, ალალად შესთავაზა, — მდიდარი ნათესავის გასვენებაზე მივდივარ და დრო თუ გაქვს, შენც წამოდი, ქელეხს რესტორანში იხდიან და ხომ წარმოგიდგენია, რა სუფრაც იქნებაო.

დალის ბავშვები მეზობელთან ჰყავდა დატოვებული, წამში გადაიანგარიშა რამდენი დრო დასჭირდებოდა ყოველივე ამას, თან სატრფო გივისთან შევლასაც და სიამოვნებით დათანხმდა მეგობარს. ყოველი შემთხვევისათვის, თუ გივისთან სიამტკბილობას გვიანობამდე შერჩებოდა, ხოლო ამასობაში ქმარიც მასზე ადრე დაბრუნდებოდა შინ, ალიბი მშვენიერი შეიძლებოდა ჰქონოდა, — ახლობლის გასვენება და ქელეხიდან ჭირისუფალთა მიერ მისი არაფრის გულისთვის არგაშვება!

რადგან გასვენებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, ქალებმა მშვიდად მოიოხეს გული ათასგვარი თემით, — მინაში რაც შეიძლება ღრმად ჩადეს უხერხემლო, უგერგილო, ლოთი, უქმური და შინ არაფრის შემტანი ქმრები, თავი რაც შეიძლება მოიწონეს ორ-ორი, ფრთებშესხმული ანგელოზივით ლამაზი და ჭკვიანი შვილით, ინტერესით დაათვალიერეს საქელეხოდ გამოფენის ქურქები, ნახევრადქურქები, პალტოები, ნახევრადპალტოები, ჩექმები, ნახევრადჩექმები... მოიწონეს ვაკის სასაფლაოს მდიდრული პანორამაც, რატომღაც იქვე მიმოიხილეს თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრებაც, რაც შეიძლება ადრე და მალე დასამარება უსურვეს დემოკრატიასაც, მის მესვეურთაც და სასაფლაოდან გამობრუნებულნი გაფაციცებით შეუდგნენ სჯა-ბაასს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება დახვედროდათ საქელეხო სუფრაზე.

თამადა ჯერ არც კი იყო დანიშნული, ქალები გამგელებით რომ ეცნენ საჭმელს. დალის პირდაპირ წითელლოყება, ბუთხუზა კაცი იჯდა, ქეთის პირდაპირ წითელცხვირა, მარჯვენა ხელის შუათითზე ბეჭედმოსვირინგებული საშინლად გამხდარი კაცი; აქაო და ციცაო, ორივე მამაკაცი მწუხარე, საქელეხო სუფრის დასაწყისისათვის შესაფერი სახით აძალებდა ჭამით გართულ ქალებს არაყს. ქალებიც ნაღვლიანი სახით იდებდნენ თავპატიჟს დასაწყისში, ცოტ-ცოტას სვამდნენ, მერე კი ცხვირებთან ერთად ლოყებიც რომ აუჭარხლდათ, მთლად სიცილ-კისკისად იქცნენ.

ლოყაწითელი ბუთხუზა დიდი უხიაკი ვინმე გახლდათ და ქალებს სეტყვასავით აყრიდა ზედიზედ უწმაწურზე უწმაწურ პოლიტიკურ და ყოფა-ცხოვრებით ანეკდოტებს, წითელცხვირა სვირინგოსანი უფრო სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, სულ ორიოდ ანეკდოტს მოყვა და ისიც ისე უმარილოდ და უგერგილოდ, ქალებმა მხოლოდ ზრდილობის გამო რომ გაიცინეს.

საქელეხო უკიდეგანო სუფრას სულ რამდენიმე კაციღა იყო შერჩენილი, როცა ლოყაწითელმა კიდევ ერთხელ ასწია ჭიქა,

ქალებისდა გასაკვირად, ინტერესით იკითხა განსვენებულის გვარ-სახელი, სადაურობა, პროფესია, ასაკი, მიღებული ინფორმაცია მეგობარ წითელცხვირასაც გაუზიარა, გაღიმებულმა დალია და გაფაციცებით შეუდგა საკუთარი და მეგობრის პალტოს შიდა და გარე ჯიბეების ამოვსებას საჭმელ-სასმელით. მცირე ხნის შემდეგ კაცები ურცხვი ღიმილით დაემშვიდობნენ ქალებს, მორცხვი, მწუხარე სახეებით ჩაუარეს კარებში მდგომ მასპინძელ ჭირისუფლებს და სანამ გავიდოდნენ, ზღურბლიდან კიდევ ერთხელ გამოხედეს თანამეინახეთ.

ქალებმა ჯერ ბევრი იცინეს ამაზე, მერე თავების ბრძნული ქანქარით ესეც ისევ პოლიტიკას დაუკავშირეს, საკუთარი მეუღლეების და განსვენებულის კვალდაკვალ ეს უკვე მერამდენედ პრეზიდენტიც ისევ მინაში ჩადეს და როგორც იქნა, ბარბაცით წამოდგნენ.

რესტორნის ფანჯრიდან ჩანდა, რომ უკვე საკმაოდ ბნელოდა ქუჩაში, თეთრი ფანტელები მთვრალი პეპლებივით დაფარფატებდნენ ნეონის შუქზე და დალის უცებ ისე მოუნდა ძველი სატრფოს ნახვა, ცოტა დააკლდა, სირბილით არ დაადგა მისკენ მიმავალ გზას. ქეთი რაღაცას ეთათბირებოდა დაქალს, ხოლო დაქალი გაფაციცებით ცდილობდა გუნებაში ისეთი წინადადების შედგენას, რომლის ხმამაღლა წარმოთქმაც, რაც შეიძლება კულტურულად დააცინცლინებდა მეგობრისთვის ტაქსის ფულს, – ტაქსის გარეშე იგი ვერანაირად ვერ მოახერხებდა ერთდროულად ორი კურდღლის მოკვლას, – მეტიც, შეიძლება თვითონვე გამხდარიყო მეორე, მმაჩის ბიუროთი დაკანონებული კურდღლის სრულიად კანონიერი მსხვერპლი.

ქეთის მშვენივრად ახსოვდა, ოდესღაც ორივე ერთად რომ თხზავდა ხოლმე მსგავს გულისამაჩუყებელ ტყუილებს ფულის საშოვნელად და ამიტომ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე სტკიცა მეგობარს ცივი უარი, ეგ იყო მხოლოდ, რამდენიმე ლარის მაგიერ რამდენიმე თეთრი დაუდო ხელისგულზე, – მეტროთი შინდასაბრუნებლად. სულ არაფერს, მაინც ეს ჯობდა და როცა ქეთისგან მიღებულ თეთრებს ხელისგულზე ითვლიდა, სწორედ მაშინ გაიგონა დალიმ ლამის ზღაპრული ძახილი:

– ვარკეთილში მივდივარ და თუ ვინმე იქით ცხოვრობს, დაეტაფეთ! – ზორბა, ამ [illegible] ადგილებში გულმკერდგაღეღილი მამაკაცი ჭირისუფლებთან ერთად იდგა გასასვლელში და მანქანის გასაღებს თავზემოთ ნატვრის თვალივით აჩხრიალებდა.

– ვაიმე, რა ბედნიერებაა?! ამას წავყვები! – რატომღაც ქეთის ეცა და გიჟივით დაუწყო ორივე ლოყაზე კოცნა დალიმ, – ვაიმე, რა ბედნიერებაა!

– ქალო, შენ გაგიჟდი, თუ ისე დათვერი, ისიც აღარ გახსოვს, ვარკეთილში ცხოვრობ, თუ ნაძალადევში?! – მართლა განცვიფრდა ქეთი.

– დეიდა ცხოვრობს ჩემი ვარკეთილში, თანგადაყოლილია ჩემზე, ავადაა ახლა და დღეს რომ არ ვნახო, არაფრით არ შეიძლება, ეჰ, გაჭირვებას რა ვუთხარი, აქამდეც კი უნდა მენახა, მაგრამ... იმიტომაც გთხოვდი ტაქსის ფულს – სხაპასხუპით მიაყარა დალიმ ქეთის და მეგობარს არცკი დამშვიდობებია, თითქმის იმავე წამს ლამის კისერზე ჩამოეკონწიალა ზორბა მამაკაცს, – ღვთის გულისათვის, მე წამოგყვებით, მე ვცხოვრობ იქით!

– კი ბატონო, სულ ერთია, ოჯახის ნათესავი ვარ, ოჯახის ნათესავი ბრძანდებით თქვენც, და სხვა რა შეგვიძლია, რითი უნდა ვცეთ მიცვალებულის ხსოვნას აბა, პატივი? – ხელები ასწია ზორბამ, – აბა, კარგად იყავით, მაგრად! – ორივე ლოყა დაუკოცნა შაოსან, მართლა მწუხარე ქალს მამაკაცმა და მის გვერდით მდგომ თავჩაქინდრულ ბიჭსაც გადაეხვია, – გაუძელი, თენგო, რას ვიზამთ, ღვთის ნებაა ყველაფერი!

ზორბამ დიდხანს იარა ბუზღუნით და ძუნძულ-ძუნძულით რესტორნის წინ ცხვრის ფარასავით თავმოყრილ მანქანებს შორის, უკან მართლა ქინქლასავით ადევნებული ქალი ერთხელაც არ გახსენებია, ჯერ ერთ შავ მანქანას უჩხიკინა თავისი უამრავი გასაღების ასხმულიდან რიგ-რიგობით თითოეული, მერე მეორე შავ მანქანას, მერე თანამიმდევრულად მესამე შავსაც წიხლი წასცხო იმის სამაგიეროდ, არც მან რომ მოირგო მისი გასაღებებიდან არც ერთი და ბოლოს როგორც იქნა, მეოთხე შავი მანქანის კარი გამოაღო, დალიმ ძლივს მოასწრო მკლავში ჩაბღაუჭება, ის იყო მანქანის დაძვრას რომ აპირებდა და შეშფოთებით ჩაჰკითხა:

— მეე, ბატონო?!

კაცმა უაზროდ მოხედა ქალს, დიდხანს ათვალიერა უხმოდ, გაოცებით, მერე თავი გააქნია, ხელი გადასწია და უკანა კარის შიგნიდან ჩასაკეტი ღილაკი ასწია. ქალმა კარი გამოაღო და გახარებული და გაფაციცებული ნებივრად მიესვენა მანქანის საზურგეს.

მანქანის სალონში ნელ-ნელა დათბა, არაყმაც თავისი ქნა და მანამდე ისედაც რომანტიულ ხასიათზე მყოფი ქალი ოცნების ზღვაში გადაეშვა დაუზოგავად: აი, მივიდა უკვე. დარეკა კარზე, გივი მარტოა... აღებს კარს... მისი განცვიფრებული სახე... ენაჩავარდნილი დგას კარგახანს, ვერ დაუჯერებია, ვერ წარმოუდგენია! რამდენი ხანია არ უნახავს, მართალია თვითონვე კი გამოაგდო ბოლოს, მაგრამ რა? არ ხდება ხოლმე შეყვარებულთა შორის ასეთი რამე? ასე უკეთესია, პირველი ნაბიჯი დიახაც, მას უნდა გადაედგა, დაე, დაინახოს საყვარელმა, რომ დალის ისევ ისე უყვარს იგი, გივის სიხარულის ცრემლით ევსება თვალი, ხელში აჰყავს დალი, მკერდზე იხუტებს... შეჰყავს პირდაპირ საძინებელში... ო, საყვარელო, — რაც შეიძლება ნაზად კვნესის ქალი...

●

ქალი სიცივემ გამოაღვიძა, თვალი არ გაუხელია ხელი ისე გადასწია საბნის წამოსახურად და ისევ ისე ნაზად წაისლუკუნა.

— მცივა, გივი!

გივი არ გამოხმაურებია.

— საყვარელო, დაგეძინა, შენც? შენც გადახდილი გექნება და შენც სიცივით იყინები ალბათ, ოღონდ ვერა გრძნობ... მხეცო, საბნის დარდი გექნებოდა?.. გივი... გივიკო... — საბნისთვის გაწვდილი ხელი რაღაც საშინლად გაყინულ საგანს მოხვდა და ქალი წამსვე გამოაფხიზლა.

— გივი!

გივი არ გამოხმაურებია.

— გივი! — ხელები გიჟივით ააფათურა ქალმა, ასადგომად წამოიწია, მაგრამ თავი ძლიერად აარტყა რაღაცას და ისევ იმ ადგილზე დაეცა, სადაც მანამდე იყო.

— ვაიმე, ღმერთო, რა ხდება ჩემს თავს, სადა ვარ? ჰაერი, ჰაერიც აღარ მყოფნის... — უკუნი სიბნელით მთლად გულგახეთქილმა ქალმა ისევ გიჟივით ააფათურა ხელები ამჯერად უკვე ირგვლივ და როდის-როდის მიხვდა, მსუბუქი მანქანის სალონში, რომ იყო ჩაკეტილი. ჯერ ერთ კარს, დაეგერა შეშინებული, მერე მეორეს, საბედნიეროდ მეორე გაიღო და დალიმ უკუნი სიბნელიდან ისევ უკუნში ამოყო თავი. საშინლად ციოდა.

— ვვვ... — ქალმა ფრთხილად გადადგა ორიოდე ნაბიჯი, შიშისგან ხმა საერთოდ წაერთვა და უცებ თითოეული სანტიმეტრის მოსინჯვას შეუდგა არა მარტო ფეხით, თითქმის გაყინული ხელებითაც კი — რა ხდება ჩემს თავს, სადა ვარ... — ქეთი დვალაძე... ქელეხი... მერე ის დევივით კაცი... გივისთან მივდიოდი... ნუთუ იმ კაცმა, მერე და... სადმე გადამაგდო? — და უცებ ოთხზე მცოცავი ქალი საშინელი ხმაურით დაეჯახა რაღაცას — ვაიმე, ეს რაღაა, რკინის ხმა იყო, თავი, ვაი, თავი! — კედელია თუ...

და ფეხზე წამომდგარმა ქალმა უცებ ისეთი შიშისმომგვრელი ხმა ამოუშვა პირიდან, თვითონვე დაზაფრა საკუთარმა ხმამ.

— მიშველეთ! — ხელის ცეცებით მიხვდა, რკინის კარი რომ იყო და კივილთან ერთად ხელებიც აამუშავა. ისეთი რახარუხი ატყდა, სადაც არ უნდა ყოიფლიყო ჩაკეტილი თუ გადავარდნილი, ცოცხალს კი არა მკვდარსაც გააღვიძებდა და მართლაც, როცა ხელებგადატყაულმა მცირე ხნით შეისვენა, შემოესმა კიდევაც გარედან ხმები.

— ლეოს გარაჟიდანაა, ლეოს გარაჟიდან!

— ჰო, მაგრამ ამ შუაღამის დროს ქალს რაღა უნდა გარაჟში, რა ხდება ერთი, გავგიჟდი კაცი, სახლშია ლეო?

— კი დავინახე რამდენიმე საათის წინ დაბრუნდა, ისეთი მთვრალი იყო, მანქანა რომ შეაყენა, კიდევაც ვიფიქრე, როგორ მოაღწია ნეტა სახლამდე-მეთქი. ნიკა, აირბინე რა დარასელიძეებთან, გააღვიძე!

— გამიღეთ, ღვთის გულისათვის, გამიღეთ... — უკვე ღონემიხდილი აქვითინდა ქალი, — გამიღეთ!.. ისევ მიარახუნა კარზე, ოღონდ ამჯერად სუსტად — გავიყინე...

— რაო? ქალიაო? — გაისმა ვიღაც ქალის შიშისმომგვრელი ხმა ამ დროს გარედან, — მოვდიოდი, უკვე კიბეზე შემხვდა ნიკა, ლეოც გავაღვიძე, თუ არ დაეძინა ისევ იმ გათახსირებულს, მთვ-

რალია ისევ, ძლივს გავაგებინე, რაღაც რომ ხდება აქ. დათო, მომინათე ეგ ფანარი აქეთ!

— ესეც ასეე... — და იმავე წამს ვიღაც დათვივით დედაკაცმა ღია კარიდან ჯერ გარეთ, მერე კი მაღლა ააფრიალა შიშისა და ყინვისაგან მთლად ერთ ციცქნად ქცეული დალი, — შეხედეთ მეზობლებო, შეხედეთ, ხომ ხედავთ, ახლა საკუთარ გარაჟშიც რომ დაიწყო იმ დასამიწებელმა კახპების მოთრევა, ჰა? და მჯობია ხალხო, მეზობლებო, ეს ვითომდაც და ქალი მე?! — ხელი არ გაუშვია , მართლა ქინქლასავით შეატრიალ-შემოატრიალა და მერე თოვლზე დააბერტყა დალი დათვივით ქალმა, — მითხარით ერთი, როდემდე უნდა მირიონ ცხოვრება ამან და ამნაირებმა, ჰა?! ის აღარ იმყოფინე, შენთან რომ დაეთრევა და ახლა გარაჟშიც მოყევი, ხომ?! სახლში რომ არ ვიყო, სახლშიც ამოყვები და ჩემს გარეცხილ-გაუთოებულშიც ურცხვად ჩანვები, ქუჩის ქალო, ხომ?! მოიცა, მოიცა, სადა ხარ ჯერ, ისიც ჩამოეთრიოს!

— უდანაშაულო ვარ ხალხო, უდანაშაულო, არც კი ვიცნობ, — ოთხზე ნამოიწია დალი, მაგრამ დოინჯშემოყრილმა ქალმა წიხლით გადააკოტრიალა უკანვე და იმავე წამს ისევ წასწვდა ქეჩოშიც.

— რაში გჭირდება ცნობა, რაში სჭირდება მაგ საქმეს ცნობა შე გარეწარო! — ერთი ნახეთ, ერთი ნახეთ, არყის სუნად როგორ ყარს ესეც, ისაა და ის ხომ მთლად არყის თავახდილი კასრი გეგონებათ ლოგინზე დადებული, ჩამოვიდეს, ჩამოვიდეს ერთი აქ, ერთმანეთს თუ არ წავაკლა ორივე და ქალი ნუ ვყოფილვარ მაშინ, ქალი!

— კარგი რა, მანანა, კარგი, არ მოკლა ეგ უბედური მართლა!

— უდანაშაულო ვარ ხალხო, უდანაშაულო... დამეძინა და... დამეძინა და...

— მაშ დაგეძინა კიდევაც, არა? ისე მშვიდად და კარგად იგრძენი თავი, დაგეძინა კიდევაც, იმის მაგიერ, რომ მელასავით მაინც გაპარულიყავი, შე...

მეზობლებმა ძლივს გააგდეშინეს ხელიდან მთლად სისხლსა და ტალახში გათქვეფილი ქალი მანანასა და უცებ ყველანი ერთ მხარეს შემოტრიალდნენ.

— ვინაა უდანაშაულო, ვინ?! ფაქტზე არ წავასწარით? არ გატეხა გარაჟი, არ იპარავდა ჩემს მანქანას? — უცებ დაეძგერა დალის სახლიდან ამ ყინვაში ტრუსისამარა გამოსული, ისევ უგონოდ მთვრალი ლეო და ბურთივით აისროლა საწყალი ქალი იმანაც მაღლა, — მაშ რა გინდოდა ჩემს გარაჟთან ამ შუაღამის დროს, ჰა?

— მე, შემთხვევით... ქელეხი...

— ქელეხიც რომ მომინდომა ამ კახპამ?! უქელეხოდ ჩაგდებ მინაში, უქელეხოდ და უკუბოოდ, მაინც სულ შიშვლად გიყვარს, ალბათ, გდება შე ქმრების ქურდო... შე, მართლა მინაში ჩასადებო! აი, შენ კი, შენ კი ნამდვილად გადაგიხდი ქელეხს და თანაც როგორც: სულ დავლურით, სულ დავლურით და დიმპიტაურ-დამპიტაურით, შე უნამუსოვ შენ! ეგ კი გაიქცა, მაგრამ შენ სად გამექცევი, შენ!

— მოიცა ქალო ერთი, ერეკები, რა! მომინათე აქეთ ზურა, ეგ ფანარი, რაიმეს მოპარვა ხომ არ მოასწრო, რაიმე ხომ არ გააყოლა ხელს, მე იმის... ვისია ეს მანქანა?! სადაა ჩემი მანქანა?! სხვისი მომიყვანა და ეს წაიყვანა?! ის წაიყვანა და ეს მოიყვანა?!

ვალერიან ბიბილეიშვილი

ქართული დრამატურგია მეოცე საუკუნის ბოლოს

ლიტერატურული კრიტიკა მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე საყვედურს გამოთქვამდა დრამატურგიის „ჩამორჩენის" გამო. პოლიკარპე კაკაბაძე ღიმილით ამბობდა: „პოლიკარპე კაკაბაძე გყავდეს და ჩამორჩენაზე ილაპარაკო?!"

ადვილი გასარკვევი არ იყო, რისგან ჩამორჩენა იგულისხმებოდა. მაშინდელი სტილის მიხედვით, „ცხოვრებისაგან ჩამორჩენაზე" კეთდებოდა აქცენტი. შეფარდება არათანაზომიერად უნდა ჩაითვალოს. თუ მაინცდამაინც ამ მხრივ გვინდა დავაყენოთ საკითხი, დრამატურგიას ნამდვილად არ ჰქონდა ისეთი მიღწევები, როგორიც მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას და სწორედ მეოცე საკუნეში გაძლიერებულ ქართულ პროზას, რომელიც, კრიტიკის გამოჩენილ წარმომადგენელთა აღიარებით, ოციან წლებში „გაიმართა ქართულ პოეზიასთან თანაბარ, სრულუფლებიან ჟანრად". ასეთ დონეზე დრამატურგიას არ განიხილავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მწერლობას ჰყავდა გამოჩენილი დრამატურგები და მხატვრული ლიტერატურის ფონდში გააჩნდა მათი მაღალხარისხოვანი დრამატურგიული თხზულებები.

განსაკუთრებით მკრთალი გახდა დრამატურგიის ცის კაბადონი შალვა დადიანის და პოლიკარპე კაკაბაძის გარდაცვალების შემდეგ, როცა აღარ იბეჭდებოდა მათი პიესები და აღარ ხორციელდებოდა თეატრალური დადგმები მათ საფუძველზე.

არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ დრამატურგიის მიმართ ახლა უფრო საფუძვლიანად დამკვიდრდა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, თუნდაც ქართული დრამის ტრადიციებთან შეფარდებითაც კი. თუმცა ქართულ დრამატურგიას არ გააჩნდა დიდი ტრადიციები, მაგრამ ჰქონდა ისეთი უახლოესი ორიენტირები, როგორიც იყო „მოკვეთილი" (1894), „თეთნულდი", „ლამარა", „ყვარყვარე თუთაბერი".

საუკუნის ბოლო მეოთხედის დრამატურგიის ახლო გაცნობა ნაწილობრივ ცვლის ამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას. აღმოჩნდა, რომ დრამატურგიული ნაწარმოების ერთგვარი რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, პრობლემათა სისრულითა და სიღრმით, ჟანრობრივი მრავალმხრივობით, სკოლათა, მიმართულებათა ნაირფერობით დღევანდელი დრამატურგია, შეიძლება ითქვას, ეხმაურება მსოფლიო დრამატურგიის იდეურ და ესთეტიკურ პრობლემებს. სასურველია მხოლოდ, რომ ზოგიერთი ნიმუში არ გვხვდებოდეს თითოეული ნაწარმოების სახით, არამედ ავლენდეს ქართველი მწერლების სისტემატურ შემოქმედებით შრომას დრამის სფეროში. და მაინც, იმ ბაზაზე, რა მასალასაც ფლობს დღევანდელი ქართული დრამატურგია, ის უკეთესი რეზონანსის ღირსია. პირველ რიგში აქ, ალბათ, ლიტერატურის კრიტიკოსები სცოდავენ. არის სხვა უფრო სერიოზული მიზეზებიც, რომელთაგან ზოგს თვით დრამის კომპოზიციაში შეიძლება ჰქონდეს საფუძველი, ზოგს კი ქართული თეატრის რეჟისურის მუშაობაში, რასაც ჩვენ მოკლედ, მაგრამ მაინც შევეხებით თავის ადგილას. დრამა სინთეტური ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ნაწილი. მისი წარმატება ბევრად არის დამოკიდებული სპექტაკლის წარმატებაზე, თეატრის საერთო პრობლემებზე.

●

ქართული დრამატურგიის თემატურ მრავალფეროვნებას დიდად შეუწყო ხელი კონტაქტების გაძლიერებამ დასავლურ მწერლობასთან, მწერალთა შემოქმედებითი თავისუფლების გაფართოებამ, რაც საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში უფრო თვალსაჩინო გახდა და ქმედითი ძალით გამოვლინდა.

ცვლილებები, პირველ რიგში, შეეხო ადამიანის კონცეფციას, ხელოვნების საგანს, ასახვის და გამოხატვის ბუნებას, მხატვრული სახის სტრუქტურას და არსს. ადამიანი იდეალის დონიდან „ჩამოქვეითდა" კვლევის ობიქტამდე, ცხადია, ლაპარაკია მხატვრულ კვლევაზე, რაც გაცილებით მეტ შესაძლებლობას აძლევდა მწერალს ადამიანის ბუნების სიღრმეების წვდომისათვის, მისი სურვილების, მიზნებისა და ვნებების გამოსამზეურებლად, მისი ტრაგიკული ყოფის ასახვისათვის; ამ მიზნებისათვის ტრადიციულ საშუალებებთან ერთად გამოეყენებინა ახალ მიმართულებათა შემოქმედებითი სიახლენი და მონაპოვარი.

ქართული დრამატურგიაც მიეახლა ამ დიდ და რთულ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის, როგორც

ტრაგიკული არსების გააზრებასთან. მისი ყოფა-ცხოვრება დრამატიზმით არის აღსავსე.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართულ დრამატურგიაში მოდერნიზმის და პოსტმოდერნიზმის ძირეული პრობლემების ნამოჭრა და გადაწყვეტა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ ხდება ანალოგიის დონეზე. ჯერ ერთი, ამ პერიოდისათვის მოდერნიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება დასავლეთში ამოწურული იყო „ახალ რომანში", „ახალ ახალ რომანში" და „აბსურდის დრამაში". მართალია, კვლავაც აღწევდა მისი გამოძახილი; როგორც ერთ გერმანულ ლექსშია ნათქვამი ვარსკვლავის სხივზე, რომელიც ჩვენამდე აღწევს, თუმცა ვარსკვლავი უკვე გაქრა კარგა ხანია. გავლენა მაინც საგრძნობი იყო. იმის შემდეგაც კი, როცა ლ. ფიდლერმა ფაქტიურად ახალი მიმართულების — პოსტმოდერნიზმის დეკლარაცია გამოაქვეყნა 1969 წელს, 70-იან წლებში ქართველი კრიტიკოსები მოითხოვდნენ ქართულ ლიტერატურაში მოდერნიზმის ხელმეორედ დანერგვას. როგორც კონკრეტული მასალის ანალიზიდან ჩანს, „მშობლიურ ქვეყნებში" ამოწურული მეთოდი ჩვენთან ხელმეორედ შემოჭრისას თავისი კანონიკური ფორმითა და შინაარსით არ აითვისა ქართულმა მწერლობამ. განსაკუთრებით ცხადი გახდა ეს იმ დრამატურგიულ ნაწარმოებებში, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ აქ. დროის ულმობელი და უშედეგო წარმავლობა, ადამიანთა ვნებათაღელვის და ძალისხმევის ამაოება, სიკვდილის „გამოსავალი" და არარაობა, სილამაზისა და მშვენიერების ესთეტიკური იდეალების მახინჯით შეცვლა და გაიდეალება აღარ არის კვლავინდებურად მიმზიდველი. რთული ცხოვრების მძაფრ ჭიდილში საზრისის პოვნა, თვით ცხოვრებაში ღირებულებების აღმოჩენა საზღაური უნდა გახდეს იმ დაძაბული შრომის და ბრძოლის, წინააღმდეგობრივი, ყოველი მხრიდან შემოზღუდული ცხოვრების გამკლავების ცდისათვის, რომელსაც ახორციელებს დღეს ფიზიკურ, ფსიქიკურ, ინტელექტუალურ წინააღმდეგობათა შორის მოქცეული ადამიანი. ყოველ შემთხვევაში, გამოსავალი არ არის ზურგი შეაქციო პრობლემებს და უარყო ცხოვრება, როგორც შენი არსებობის სფერო და ხელოვნების საგანი. მაინც სიმართლის უგულებელყოფა იქნებოდა მოდერნისტული იდეების ზეგავლენის უარყოფა თუნდაც დღევანდელ მხატვრულ იდეებში, როცა უკვე მკვიდრდება ლიტერატურული მიმართულება დიდად განსხვავებული წინამორბედისაგან, მაგრამ მაინც, სავსებულ-დავალებული მისგან. და მაინც, ამ პერიოდს ქართულ დრამატურგიას აქვს კარგად ფორმირებული სახე, რაც შემოქმედების ობიექტად სინამდვილის, ცხოვრების გადაქცევაში გამოიხატა.

ლიტერატურული პროცესის ყველა ის სიახლე და ცვლილებები, რაც ამ პერიოდის დრამატურგიაში გამოვლინდა, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ, ნაწარმოების სტრუქტურის, კომპოზიციის, ქრონოტოპის ახალი ასპექტის თვალსაზრისით, ასევე დამახასიათებელი იყო მეტნაკლებად ლიტერატურის ყველა დარგისა და ჟანრისათვის. ლიტერატურისა და ხელოვნების, ფილოსოფიის სილრმეებში ასე თუ ისე გამოისახა პროცესები, რომელთაც საერთო მამოძრავებელი ძალები ედოთ საფუძვლად.

●

„მოდი ისეთ რაიმეზე ვილაპარაკოთ, რაც მარტო მე და შენ შეგვეხება. ნუთუ არაფერია ასეთი?"

დიალოგში ორი აქტანტი მონაწილეობს, ორი შეყვარებული, დავაზუსტოთ: საყვარლები, შეყუჟულნი „ბუდეში" მეცხრე სართულზე. მათ საუბარში არავინ ერევა, ხელს არავინ უშლით. და მაინც, რაზედაც არ უნდა ილაპარაკონ, უეჭველად ეხება სხვებსაც. პირველ რიგში, უახლოეს ადამიანებს, ოჯახის წევრებს, თანამშრომლებს და ყველას, ყველას, ირიბად თუ პირდაპირ. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და იზოლირებული იყო შენი გრძნობებით, აზრებით, მისწრაფებებით, მიზნებით.

ეს არის XX საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული დრამატურგიის ძირითადი მხატვრული იდეა, რომელიც მეტ-ნაკლები მხატვრული ძალით ხორციელდება თითქმის ყველა ნაწარმოებში. „ღმერთო, რამდენი ვინმეა ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმული". მაკას ეს სიტყვები ძირითადი აზრია არა მხოლოდ თ. ჭილაძის პიესისა „ბუდე მეცხრე სართულზე", არა მხოლოდ მთელი მისი დრამატურგიის, არამედ ამ პერიოდის ყველა პიესის.

არა მარტო პოსტმოდერნისტული ხელოვნების, არამედ პოსტმოდერნისტული მსოფლიოს დევიზია: „ამოავსეთ თხრილები, ორმოები, წაშალეთ საზღვრები" (L. Fidler, Christ und Welt, 1969). მიმდინარეობს გლობალური მსოფლიო მოვლენები, სადაც ადამიანის ბედი, არა მხოლოდ ადამიანის, ხალხების, ერების ბედი არ იქნება იოლი, სადღესასწაულო. თითოეულ კაცს

მოუხდება თავისი უფლებების, საცხოვრებელი არის, ეკოლოგიური პირობების, კლიმატის, საკუთარი არსებობის დაცვა. ამისთვის დიდი არჩევანის უფლებას არ იძლევა დღევანდელი მსოფლიო. ან მყარ საფუძველზე დგომა საკუთარ ხალხთან, ერთიან სახელმწიფოსთან, ან კონფორმიზმი და შეგუება, უარის თქმა „უთვალავ ფერზე". პოსტმოდერნისტული სიჭრელე დიდ გარდაქმნათა წინადღეა. ამ რთულ პირობებში, რა პოზიციაზე დადგება ლიტერატურა და ხელოვნება? არა გვგონია, ამას სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

საჭიროა არა მხოლოდ გაანალიზდეს მხატვრული სახის, აღნიშნულის და აღმნიშვნელის ტექნოლოგია – როგორ, რა საშუალებით ამბობს მწერალი, არამედ ისიც, თუ რას ამბობს ის.

ქართველი კაცის, ერის, სახელმწიფოს ცხოვრებისა და არსებობის განსაკუთრებული პირობების გამო, იქნებ ჩვენ ყველაზე უფრო დიდი სიმწვავით აღვიქვამთ ამ პრობლემებს?

●

ქართული მწერლობა დღეს მრავალი მიზეზის გამო, მეტი რომ არა ვთქვათ, მკრთალად გამოიყურება მაინც.

თანამედროვე პიესების ანალიზმა დაადასტურა, რომ ქართული დრამატურგია ავლენს გარკვეულ პოტენციალს და მიმართულია სინამდვილის პრობლემების დაჟინებული ანალიზისაკენ, ცდილობს გაერკვეს ადამიანის გართულებული ცხოვრების სიღრმისეულ იმპულსებში, მის ინტენციებში, მის ბედში.

ქართულ დრამატურგიაში დღეს მუშაობენ სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა ინტერესების მქონე მწერლები – თ. ჭილაძე, ალ. ჩხაიძე, ლ. თაბუკაშვილი, შ. შამანაძე, ი. სამსონაძე, მ. დოლიძე და სხვა. საიმედოა, რომ ახალგაზრდა ძალები კვლავაც ემატება დრამატურგიას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალები, მათ შორის, მანანა დოიშვილის საინტერესო ცდები „პარადოქსის თეატრის" სფეროში.

„ბუდე მეცხრე სართულზე", რომელიც ჩვენ ახლახან ვახსენეთ, ეკუთვნის თ. ჭილაძეს, ქართული დრამის თვალსაჩინო ოსტატს, მრავალი პიესის ავტორს და მკვეთრად ინდივიდუალიზებულ ხელოვანს, რომელიც გამოირჩევა ადამიანის და სამყაროს საკუთარი ხედვით.

თ. ჭილაძის მხატვრული სამყარო მთლიანია და მწერლის შემოქმედებითი ინტენციები მიმართულია ამ სამყაროს ლირიკული, ეპიკური და დრამატურგიული ფორმების დადგენისაკენ. მხატვრული შემოქმედების პროცესში, ყოველი ახალი თხზულების შექმნისას მწერლის მხატვრული სამყარო, ისე, როგორც ხელოვანის ცნობიერებისგან დამოუკიდებელი სინამდვილე, განიცდის ცვლილებებს და განახლებას. მისი მოღვაწეობა პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის სფეროში, მხატვრული ასპექტების მრავალმხრივობა დიდად აფართოებს მის ხედვით კუთხეებს და მის მხატვრულ სამყაროს უფრო სრულს, სიღრმისეულს და მრავალგანზომილებიანს ხდის. იქნებ ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ მისი შემოქმედების განსხვავებული სფეროები თითქოს მჭიდრო შეხებაშია ერთმანეთთან და შეინიშნება თემატიკის, მხატვრულ სახეთა, პერსონაჟთა „თავისუფალი მოგზაურობა" ჟანრიდან ჟანრში, მხატვრული იდეების სხვადასხვა ასპექტების ნიუანსობრივი მრავალფეროვნება მომიჯნავე და არამომიჯნავე ჟანრებში. ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი იდეებით დატვირთული პიესა, რომელიც თითქოს იკრებს და ასხივებს არა მხოლოდ თ. ჭილაძის დრამატურგიული თხზულებების, არამედ ამ პერიოდის ქართული დრამატურგიის ცენტრალურ იდეას, არის თ. ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე".

„ბუდე მეცხრე სართულზე" დრამატურგიის ტრადიციების ათვისებისა და სიახლის დანერგვის მთლიანობაში წარმოდგენის მაგალითია. პიესა სამსჯავროს, გასამართლების ფორმის ანტიკურ ტრადიციებს ეხმიანება („ოიდიპოს მეფე"), მაგრამ არსებითად ფსიქოლოგიური და, თუ გნებავთ, მსოფლმხედველობრივი, ინტელექტუალური დრამაა.

პიესა იწყება მოვლენათა განვითარების კულმინაციიდან და იქვე იწყება აზრის დაძაბული ძიება, რომელიც თავად მიემართება კულმინაციისაკენ. არაფერი ჯერ აღქმული, ათვისებული და გააზრებული არ არის. მოვლენათა მსვლელობა, შეიძლება ითქვას, თვითდინებით, ვნებების ჭეშმარიტი ჭიდილის გარეშე მიედინება. არც შემდეგ, თანდათანობით „გახსენებული" დეტალები ცვლიან რაიმეს, ვერც შეცვლიან, რადგან, რაც მოხდა, მოხდა. დროის უკან დაბრუნება ან რაიმეს გამოსწორება შეუძლებელია. მაკას ფიქრით, მიმდინარეობს მონანიების პროცესი, რადგან „მონანიებული ცოდვა ცოდვად აღარ ითვლება, მხოლოდ შეცდომად". შეცდომისათვის კი განაჩენი ისეთი მკაცრი აღარ შეიძლება იყოს. ეს მაკას სჭირდება ხელჩასაჭიდად, რომ ფეხქვეშ საყრდენი არ გამოეცალოს, წონასწორობა შეინარჩუნოს და ნამდვილ ტრაგიზმს თავი დააღწიოს. მაგრამ მხურვალე და მშანთავი

აზრი შეუბრალებლად ააშკარავებს ყოველივეს, სრულიად ახალი რაკურსით ხსნის გარდასულ დღეთა სურათებს. აღდგენილი დეტალები, ცნობილთან ერთად, ახალ განათებას აძლევენ თითქოს ჩვეულებრივ წუთებს და ნამებს. პარალელური ჩართული ხაზები (ბესოს და მამის- მამობილის ურთიერთობა) თავისი არსით ამაგნიტებენ მაკა-ბიძინას ხაზს და სინათლეს ფენს, წარმოქმნის ახლადხილულ სიმართლეს, რომელიც თავზარდამცემი გამოდგება მაკასთვის. აქ უკვე აღარ დგას მხოლოდ ზნეობის, დანაშაულის და ცოდვის პრობლემა, რომელიც მას სხვა ადამიანის წინაშე მიუძღვის. ეს კიდევ სხვა საკითხია. აქ მთავარია, რომ მან ბიძინას სახით აღმოაჩინა, არსებითად, სხვა კაცი. მხოლოდ ახლა გახსნა, ამოიცნო და დაინახა ის გაცილებით კეთილი, ნიჭიერი, მაღალი სულის პიროვნება, რომელსაც მთელი ამ ხნის მანძილზე ამაღლებული სიყვარულით უყვარდა ქალი.

მაკას ემოციურმა ლაბილობამ და ინერტულობამ, რაც გადაიქცა მისი მგრძნობელობის და ქალური სიბრძნის მადისკრედიტირებელ მნიშვნელობად, ახლა მთელი ძალით გახადა ცხადი ქალის ცხოვრების გზის ამოვარდნა საუკუნეობრივი წესრიგიდან, ყოფიდან. მისი ცხოვრება გაუფასურდა, სიყვარული „მოპარული" გახდა — დიდი სიყვარულის მარცხი გადაეწნა კულტურული კოდების დესტრუქციას.

●

ეს კულტურული კოდები ჩვენი ბავშვობისდროინდელი პერიოდიდანვე დედის ძუძუსთან ერთად შეიწოვება. კატეგორიულად არ ეთანხმები მაკას — თითქოს „ბავშვობა სიცარიელეა და ლოდინი". ლოდინი დატვირთულია მარადიული ცხოვრების აზრით. ბავშვი არასდროს არ ურიგდება სიკვდილს, ექსისტენციალური „გამოსავალი" მისთვის კატეგორიულად წარმოუდგენელია, მოელის მარადიულ ცოლს (ქმარს), ოჯახს, რომელიც არასდროს არ წარმოიდგინება დედის, მამის, და-ძმის გარეშე („მზე — დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი" — შვილი ჯერ კიდევ არ არის შემოსული ცნობიერებაში). ბავშვი სამუდამო ცხოვრებისათვის „ემზადება" და სწორედ ამიტომ არის მაქსიმალისტი (ბესო — მამობილის მიმართ, მაკა — ბიძინას მიმართ). დედის ან მამის ნაადრევი სიკვდილი სამუდამო ჭრილობას იწვევს ბავშვის გულში, მთელ ფსიქიკაში. ბავშვის „კოსმოსი" ერთობ თავისებურია. მთელი მისი „მარადიული" ცხოვრება ესთეტიზირებულია. მთელი მისი პოეტიკა ელიზეუმის ბურუსიდან გამოდის, ლამაზი, მშვენიერი ოცნებების წრეში ტრიალებს და თავისი ცხოვრების გმირებს ამავე ოცნებებიდან იწვევს (ლოდინი აქ მართლაც სახეზეა).

მაკა ბიძინას თანშეზრდილი იყო, საერთო გზაც ჰქონდათ, ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ზურგჩანთებით მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდათ. იმპულსებით და ინსტინქტებით ცხოვრობდნენ, ასევე შეუღლდნენ, თავსხმა წვიმაში. ცოლ-ქმარი გახდნენ და ბიძინა „ნათესავივით" იყო ქალისათვის, ვერ გახდა მისი ცხოვრების გმირი. ქმარი ქალისათვის იდეალურ პირობებში ყოველთვის პოეტიზებულია, გმირის და ამაღლებულის შარავანდით მოსილი. მხოლოდ ამ დროს აკუთვნებს მას ქალი საკუთარ თავს უკანმოუხედავად.

ზოგჯერ აზრი გიპყრობს, იქნებ დრამატურგის ინტელექტი „წაეხმარა" გმირს აზროვნების ღრმა სივრცეებში შეჭრის, ამაღლების, ცხოვრების სიბრძნის შეგრძნობისა და შეცნობის რთულ გზებზე. მაგრამ XX საუკუნის ცხოვრების დრამატული განვითარება რევოლუციურად ცვლის აზროვნებას, ცხოვრების სიბრძნესთან ზიარების ტემპებს და არსს, რაც იმ დასკვნის საფუძველს უნდა იძლეოდეს, რომ პიესის ავტორს ამ მხრივ მაინცდამაინც არ უნდა დასჭირვებოდა „მასალაზე" ესთეტიკური ძალდატანება. იქნებ ზოგჯერ იმ აზრების ფორმირებაში შეეშველოს, რომლებიც ემპირიულად აღქმული სინამდვილის უშუალო შეგრძნებიდან აღიძვრიან.

მაკას „კოსმოსის" იმპულსები ცხოვრების სინამდვილეში „დაემგზავრა" შეჩვეულ, ჩვეულებრივ კაცს და ვერ აღიძრა ქალის გულში ამაღლებული პოეტური განწყობილება, რომელიც სულს ამღერებს და ტანს ამსუბუქებს, ამავე დროს ლაპარაკის უნარს (თუ საჭიროებას) ართმევს. ამაღლებულის და ჩვეულებრივის შეხვედრა გადაიქცა დრამად. მაგრამ ეს დრამა, რომელიც ქალისა და კაცის განშორებად დაფიქსირდა, ჯერ არ იყო აღვსილი ნამდვილი შინაარსით. მაკა წყალმცენარესავით არსებობდა, უფრო ინერციით ცხოვრობდა ნამდვილ დრამად, იქნებ ტრაგედიადაც განიცადა მაკამ ბიძინას სიკვდილი. ამ დღიდან იწყება, შეიძლება ითქვას, ქალის ცნობიერი ცხოვრება. ფაქტების არა უბრალო აღქმა, არამედ მათი ერთიანი ზოგადი არსის გააზრება. რამდენიმე დღე, სცენაზე კი მხოლოდ ორიოდე საათი, გადაწონის მთელი მისი არსებობის კალენდარულ დროს ინტენსიური, სრული ცხოვრების თვალსაზრისით. ამ მცირე დროის მანძილზე ქალი მიდის ეპიური დროის სიბრძნემდე, სი-

კვდილ-სიცოცხლის აზრის არა მხოლოდ შეცნობამდე, არამედ პიროვნულ შეგრძნობამდე, ფაქტების ეთიკური, კულტურის ცენტრისეული არსით გადააზრებამდე. გმირის ცნობიერების ამ პოზიციიდან საფუძველი ეცლება ყოველგვარ არანამდვილს, მოჩვენებითს, ერზაცს (Erzats), შემცვლელს („ერთხელ ხომ მაინც უნდა ვიყოთ ნამდვილი" – „იულონი" – გ. რჩეულიშვილი). და დრამატურგია ცდილობს ნამდვილის, არსობრივის გადაქცევას ხელოვნების საგნად. მ. დოლიძის ულტრა-პოსტმოდერნისტულ „სტიქიურ უბედურებაშიც" კი სწორედ ნამდვილის, არსებითის განამებული ძიებაა. მგონია, ეს ნიშანდობლივი საყურადღებო სიმპტომია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ დრამატურგიაში (თითქმის ყველა ახალ პიესაში) გამომჟღავნდა მეოცე საუკუნის ბოლოდროინდელ ქართულ აზროვნებაში. ძლიერ დადებითი ფაქტია, რომ ხელოვნება ცდილობს ცხოვრების ღირებულებების არსებითი ნიშნების მიხედვით გააზრებას. ლიტერატურული კრიტიკისათვის, ალბათ, ერთობ ძნელია გადამწყვეტი ვერდიქტის გამოტანა, თუ რამდენად სრულყოფილად შეძლო შესატყვისი დრამატურგიული ფორმების პოვნა მწერლობამ იმ სიღრმისეული ძიებისათვის, რომელიც XX საუკუნის ბოლოს პიესებში აკუმულირდება. ამას ლიტერატურულთან ერთად წმინდა თეატრალური თვალიც სჭირდება. მაგრამ სინამდვილის ხელოვნების საგნად აღიარება, ნამდვილი ღირებულებების, არსებითის ძიება ის საფუძველია, რომელზედაც დრო ნამდვილ წარმატებებს აღმოაცენებს. ერთ-ერთი პირველი, ალბათ თ. ჭილაძის პიესაა „ბუდე მეცხრე სართულზე".

●

ცხოვრება გარდუვალი კანონებით მიედინება და თავისი გავლენის ქვეშ აქცევს ყოველ ინდივიდს, საზოგადოებრივ არსებად, პიროვნებად გარდაქმნის მას. ეს გარდაქმნა ხორციელდება ცხოვრების ფორმებში ჩართვის გზით, რასაც ემპირიული და სიღრმისეული ხასიათი აქვს, ფიზიკური და ფსიქიკური გამოხატულებით. პიესაში, კერძოდ, „ბუდეში..." მომხდარის და შესაძლებლობათა განსჯის პროცესი „ბუნებრივი ადამიანის" ფსიქიკაში ხორციელდება და ნაწარმოებს მთლიანად ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური დრამის ფორმას აძლევს. დრამას წარმოქმნის განსჯისა და გააზრების პროცესი.

სცენის ინტერიერი უკიდურესად განთავისუფლებულია ნივთებისაგან. მხედველობის არეშია მხოლოდ ერთი ტახტი. მოჩანს გარდერობი – ასევე ზღვარამდე შემცირებულია მოქმედნი პირნი, სცენაზეა მხოლოდ ორი აქტანტი და ეს ექსპოზიცია უცვლელი რჩება დრამის ფინალამდე. ყოველივე ეს გამიზნულია მკითხველის (მაყურებლის) ყურადღების კონცენტრაციისაკენ. სცენაზე ექსტენსიური მოქმედება გამორიცხულია: ყველაფერი უკვე მოხდა, მთელი ყურადღება მიმართულია განსჯისაკენ.

კრიტიკაში გამოითქვა აზრი, თ. ჭილაძემ ამ დრამაში „ბუდე...", აგრეთვე პიესაში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" „თითქმის უგულვებელჰყო სიუჟეტი"[1]. საქმე ასე მარტივად არ უნდა იყოს. სიუჟეტი ამ და სხვა პიესებში, სხვა ავტორების ნაწარმოებებშიც არ არის შენარჩუნებული ჩვეული – „ერთი მეორის შემდეგ" – პრინციპის ნიშნით. მაგრამ სურვილის მიხედვით მისი აღდგენა შესაძლებელია უპრობლემოდ, თავიდან ბოლომდე. მთელი სიუჟეტი, ფინალის გარდა, დისკრეტულადაა წარმოდგენილი დიალოგებში და მონოლოგებში, უმცირეს ეპიზოდებადაა დაშლილი და შეუღლებულია კონტინუუმში აზრის ფორმირების, ცნებებისა და ხატის, მხატვრული სახის წარმოქმნის დინამიკის პროცესთან. აქ, საბოლოოდ აღწევს სიმულტანურ მთლიანობას. აქვე გამოიკვეთა დრამის, კერძოდ, პიესის „ბუდეში..." უმთავრესი თავისებურება. მაყურებლის ემოციური დაძაბვა ეკისრება არა ექსტენსიურ სანახაობითობას, არამედ დაფუძნებულია მთლიანად სიტყვაზე, მის სემანტიკურ და ესთეტიკურ ღირებულებაზე. სიტყვის მთელი ძალმოსილებით წარმოდგენა კი მხოლოდ მსახიობზეა დამოკიდებული. ასეთი პიესების საფუძველზე შექმნილი სპექტაკლები, რეჟისორის დიდი და ფაქიზი სამუშაოს მიუხედავად, „მსახიობის სპექტაკლია". სანახაობის ანსამბლური თეატრის საპირისპიროდ აქ „მოქმედება" გადატანილია, როგორც ზემოთ ვთქვით, განსჯის სფეროში. და ამ მხრივ, ისეთი რიგის პიესები, როგორიც არის „ბუდე მეცხრე სართულზე", „არაბეთის სურნელოვანი ბალახები" და ზოგიერთი სხვა, შეიძლება ბრეხტის ეპიურ თეატრთან შედარების საბაბს იძლეოდეს. ერთგვარად ემიჯნება „მოქმედების თეატრს", სცენისა და მაყურებელთა დარბაზის კონტაქტის ემოციურ საწყისებს და აქცენტი მომხდარის გააზრების, ეპიზოდების თხრობითი ნაჯერობის და გონითი აქტივობის პროცესზე გადააქვს.

ემოციებს კი არ მივყავართ აზრის გაღვიძებისაკენ, არამედ წამოჭრილი აზრი

წარმოქმნის ემოციებს, რაც რეგულირდება აქტანტის ხელახლა განცდის უნარით. ამ პროცესში იცვლება მისი წარმოდგენები ცხოვრების არსზე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, ადამიანის ბუნებაზე, მისი ქცევის პიროვნულ მოტივებზე, რაც განსაზღვრავს მთლიანად ადამიანის კონცეფციას, მის რაგვარობას ადამიანთა საზოგადოების მრავალწახნაგოვან მთლიანობაში ისტორიული დროის მანძილზე.

მაკასა და ბესოს ცხარე კამათი-განსჯა ადგილიდან დაძრა ბიძინას „უცნაურმა სიკვდილმა". ამ „საუბრის" იმპლიციტური მიზანი მაკასა და ბესოს ურთიერთობის გარკვევაა — „გვიყვარდა კი მართლა ერთმანეთი?" მაგრამ თვით ეს პრობლემა ბიძინას სიკვდილმა წამოსწია წინა პლანზე. აქ კვლავ და კვლავ მტკიცდება ის გარდუვალი დასკვნა, რომ ადამიანები როგორადაც არ უნდა გამოეყონ „ჩიტების ბაზარს", ეცადონ გამოცალკევებას, საკუთარ ბუდეებში ჩაკეტვას, ისინი, გუნდს ასხლეტილნიც კი, რჩებიან ურღვევ კავშირში ადამიანთა საზოგადოებასთან, რომელიც ისტორიულად მუდმივი ქმედების პროცესში, ბრძოლა-ჭიდილში გამოიმუშავებს თანაცხოვრების დაწერილ და დაუწერელ კანონებს და წესებს; მათ გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა. „თუ მოძრაობის წესებს არ დავიცავთ, კატასტროფა მოხდება": ორივე პერსონაჟი, განსჯასთან ერთად, ხელახლა განიცდიან დროის ორივე შრეს — წარსულსა და აწმყოს. ეს არ არის გარდასული და აწმყო დროის პრეპარირება. აქ ყოველ დეტალს გმირი საკუთარი კანით ეხება და გონება და სული ხელახალ უშუალო იმპულსებს იღებს. აქ დრამატურგი და გმირები შეერთებული ძალებით ცდილობენ ცხოვრების არსის გახსნას, მიისწრაფვიან ჭეშმარიტებასთან შეხებისაკენ. აქეთკენ მოძრაობა სულის ღრმა შრეების გავლით და ღრმა ტკივილებით მიმდინარეობს. დრამატული მუხტი თანდათან ძლიერდება. სრულიად ბუნებრივად იწყება იმ კაცის ადამიანური არსის გააზრებით, ვინც პირველი გამოჩნდა მაკას ცხოვრებაში. ახლა სავსებით ცხადი გახდა, რომ თავიდან მაკამ ვერ ამოიცნო ბიძინას პიროვნება. მისი სიკეთე, რომელიც „მთელ ქვეყანას ეყოფოდა", უნიჭობის დასაფარავად მოგონილ პოზად ჩათვალა. თუმცა, ცხადია, მაკა, მაშინვე რომ სწორად გარკვეულიყო ამ პრობლემებში, სრულიადაც არ ნიშნავდა ბიძინას მიმართ მისი სიყვარულის აუცილებელ დაბადებას. აკი ცხადად ჩანს ბესოსთან დამოკიდებულებაში: სიყვარული, როცა განსჯის საგანი ხდება, ის ან გამქრალია, ან ქრება. ეს გრძნობა გონის გადამწყვეტი ჩართვის გარეშე ჩნდება ან ქრება.

ბესოსა და მაკას დიალოგში მიღებული პირველი მაქსიმაც გონიერულია, მაგრამ არც ჭეშმარიტი და არც განხორციელებადი: „ადამიანი ისეთი უნდა გიყვარდეს, როგორიც არის".

მაგრამ მთელ ისტორიულ მანძილზე, კაცობრიობა, თითოეული ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფები, სახელმწიფოები სწორედ იმისათვის „იღვწოდნენ", დღესაც იმისათვის იბრძვიან, რომ თითოეული ადამიანი, ადამიანთა ჯგუფები, მთელი რეგიონები ისეთებად იქცნენ, როგორც თვითონ სურთ იხილონ: მით უმეტეს, ძნელია ასეთი გონიერი დასკვნების სიყვარულის ფენომენთან შეხამება.

ბიძინას სიკვდილამდე მაკა, შეიძლება ითქვას, იმპულსებით და ინერციით ცხოვრობდა. ერთ ეზოში იზრდებოდნენ, ერთ სკოლაში სწავლობდნენ, სამსახურიც ერთად დაიწყეს, მათი შეუღლებაც იმპულსური და ინსტინქტური იყო. შეიძლება ითქვას, ინდივიდის თავისუფალი ზრდისა და განვითარების, იდეალური პირობები იკვეთება. დრამატურგი პიროვნების ასეთი ცხოვრებისადმი, მისი თავისუფლებისადმი გარკვეულ სიმპატიებს ამჟღავნებს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, როგორ გვიყვებიან მაკას მამის მრავალრიცხოვან, არსებითად პოლიგამიურ, ოჯახზე. იქაც იმპულსური, ინსტინქტური ცხოვრება, ნების თავისუფლება, სრული დამოუკიდებლობა განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებებს.

ახლა მაკას შეუძლია განსაჯოს, რად დაუჯდა ბიძინას მაკას თავისუფლება. ცხადია, აქ სრულიადაც არ არის ლაპარაკი მაკას მხრივ თვითშენირვის აქტზე ან თუნდაც მისი საქციელის ზნეობრივ შეფასებაზე. აქ მთავარია იმის გაგება, თუ როგორ არის გადაწნული პიროვნების თავისუფლება, უფლება, სიყვარული სხვა პიროვნების ასეთივე უფლებებზე, რომ ერთის თავისუფლება მეორის არათუ თავისუფლების, უფლების შეკვეცასაც კი ნიშნავს, რომ ერთის ბედი სხვა მრავალი ადამიანის ბედს უკავშირდება. „ღმერთო, რამდენი ვინმეა ერთმანეთზე ჯაჭვით გადაბმული", — ეს არის ამ დრამის უძირითადესი დასკვნა. ამის გაგების გარეშე დემაგოგია და დეკლარაციული ყბედობაა ლაპარაკი თავისუფლებაზე, სიყვარულზე და პიროვნების უფლებაზე.

●

გაცილებით მცირე მასშტაბებშიც, თუნდაც, რამდენიმე ან ორი ადამიანის ურთიერთობაშიც, დამოკიდებულებათა ასპექტე-

ბის უსასრულო სიხშირე და სირთულე დაძაბულ გონებრივ, ფსიქიკურ მუშაობას მოითხოვს, თუ მიზნად გაიხდი ჭეშმარიტებასთან მიახლებას. მაკას დაკვირვების საგანია ყოველი ჟესტი, ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა წარსულში წარმოთქმული და ახლა ცხოველი ძალით აღდგენილი. სიტყვებს, სინონიმურ სიტყვებსაც, საუბრის ან ნარატივის კონტექსტის მიხედვით, სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭებათ. დიალოგში ბიძინას მაკა ჯერ „მიცვალებულად" მოიხსენიებს, შემდეგ კი ცვლის სიტყვას და შემოაქვს სხვა — „მკვდარი".

რატომ ხდება ეს, ამის გაგება ძნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ ავტორის რემარკას, „მაკა ძალიან მშვიდად ლაპარაკობს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სათქმელი დიდი ხანია მოფიქრებული აქვს. მაგრამ როგორც კი გაჩუმდება, შეეტყობა, როგორი აღელვებულია". მისთვის ახლა დამაკმაყოფილებელი არაა „მიცვალებულის" მორიდებით წარმოსათქმელი სციენტურ-ფილოსოფიური, მისტიკურ-რელიგიური შეფერილობა. მას უნდა წარმოიდგინოს და დაინახოს მთელი სიცხადით. ამ „როლს" უკეთ ასრულებს სიტყვა „მკვდარი", რომელიც ვერ იგუებს გაშუალებას, ბურუსს. აზრის გადმოსაცემად ის ყოველდღიური უშუალობით გვიხატავს სიკვდილ-სიცოცხლის თვალხილულ სურათს და მაქსიმალურად შეგვაგრძნობინებს მომხდარის არსს. მაკას ახლანდელი ფსიქიკური მდგომარეობისათვის ის უფრო მისაღებია. მას ჰაერივით სჭირდება ეს სიცხადე. მხოლოდ წარსულის შეფასებისათვის, საკუთარი მოქმედების ზნეობრივი კვალიფიკაციისათვის კი არა. დრამის მიზანი არ არის ზნეობრივი ნორმების დადგენა. მთავარია, სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ცხოვრების არსის წვდომა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. აქ რამდენიმე ბევრ ახალს აღმოაჩენს არა მარტო საკუთარი თავისთვის. ბიძინას, ბესოს, საკუთარი მამის და ბესოს მამობილის და სხვათა მიმართ, რადგან ცხადი ხდება — მარტო მისი ცხოვრება არ არის თვითკმარი. ის მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ავლენს საკუთარ ბუნებას და მათ გარეშე თვითონაც სხვა იქნებოდა.

ამიტომ უნდა გაერკვეს ისეთ საკითხებში, რომლებიც არა მარტო მას, აგრეთვე სხვებსაც ეხება. რა არის სიყვარული და რისი უფლება აქვს ადამიანს, „სიყვარული და უფლება — აი, კიდევ ერთი გაკვეთილი",

პიროვნების თავისუფლების იდეა მაკასა და ბიძინას ურთიერთობაში, შეიძლება ითქვას, თავისთავად, თვითკონტროლის გარეშეც კი, ხორციელდება. მაკას არსებაში იმპლიციტურად ჩანერგილი თავისუფლება ქალმა პირველი საჭირო იმპულსებისთანავე ერთპიროვნულად, ვინმესთვის, საუბდაც ქმრისთვის ანგარიშგაუწევლად რეალურად განახორციელა და ეს გამანადგურებელი აღმოჩნდა ბიძინას პიროვნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მას, დიდი ხნით, მდგრადი გამძლეობა აღმოაჩნდა. ბიძინას დამოკიდებულება მაკასადმი, მისი სიყვარულისადმი სავსებით „დემოკრატიული" იყო. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ მას ვერავინ დაუშლიდა ჰყვარებოდა მაკა. მაგრამ იყო ერთი პირობა. მისი ადამიანური თავმოყვარეობა მოითხოვდა, მაკას დაენახა, რომ ის ღირსეული, ნიჭიერი კაცი იყო. როცა მას მაკა გაეყარა, „მაპატიეო", ბოდიში მოუხადა ქალს. მთლად ადვილი არ არის იმის გაგება, რისთვისაც იხდის ბოდიშს, მაგრამ ბიძინა პირველი, შეიძლება მაკაზე ადრეც, მიხვდა, რომ ქალი სიყვარულში მარტო მისდამი უსაზღვრო თავდადებას და სიყვარულს არ გულისხმობდა. თვითონ ბიძინა ძლიერ განიცდიდა იმას, რომ ვერაფერი შექმნა ისეთი, მაკას ღირსი რომ გამხდარიყო. ის დიდხანს ატარებდა გულში იმედს, მაგრამ ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე, როგორც კი იმედი ამოიწურა. ბიძინას უკანასკნელი იმედი საკუთარი ბოლო პროექტი იყო, რომელსაც მისი რეაბილიტაცია უნდა მოეხდინა მაკას თვალში. პროექტი არ დაუმტკიცეს.

●

სციენტურ-ფილოსოფიური, ესთეტიკური შტუდიების, ხელოვნების ნაწარმოების უპირველეს მიზანს, ადამიანის არსის გარკვევა შეადგენს, ადამიანის კონცეფციის შემუშავება. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ამოხსნა. როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან სამყარო და ადამიანი, ხელოვნება და სინამდვილე. ძირითადი კითხვაც ესაა — „სამყარო ჩემში თუ მე სამყაროში, ანუ ხელოვნების საგანი". როგორ უნდა დავინახოთ და ავსახოთ ადამიანი? ადამიანი — სამყაროში, თუ სამყარო ადამიანში? ამ ამპლიტუდაში თავსდება ყოველ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ მიმართულებათა სპექტრი.

როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან საზოგადოებრივი ცხოვრება და ინდივიდი, სოციუმი და პიროვნება? მათ შორის მძაფრი წინააღმდეგობა ადრიდანვეა შენიშნული. მაგრამ აქ ოპოზიციის ფიქსირება სრულიადაც არ არის საკმარისი, მთავარია, დავინახოთ ურთიერთზემოქმედება და მაშინ თავისთავად წამოიწევს წინ მათი

განუყოფელი ერთიანობა. საზოგადოებას პიროვნებები ქმნიან, ხოლო პიროვნებებს საზოგადოება. ამასთან, არასდროს არ იხსნება მათ შორის წინააღმდეგობა და ურთიერთშეზღუდვა. სოციუმის და ადამიანის ანთროპოლოგიური კონსტიტუციის დაპირისპირება მარტივი და აშკარა შეცდომაა. სოციალური ანთროპოლოგიურის ისტორიული ფორმირების ფიქსირებაა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში და დაწერილ ან დაუწერელ კანონებში და წესებში. ანთროპოლოგიური პრინციპების მიხედვით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ბიოფსიქოლოგიურ კონსტიტუციას. ყოველივეს ახსნას ამ პოზიციიდან ცდილობენ, სოციალური ცხოვრების გვერდის ავლით. სამაგიეროდ, სოციოლოგები ადამიანის არსებობის ყოველ პრობლემას მხოლოდ სოციუმს უკავშირებენ.

პიესაში „ბუდე მეცხრე სართულზე" ადამიანთა ხასიათების, მიზნების და მიმართებების დაპირისპირებაში სოციუმი ძლივს ილანდება, შეიძლება ითქვას, იმპლიციტურია. მაგრამ დაკვირვებისას ძალდაუტანებლად ირკვევა, რომ მოვლენათა ცენტრში სწორედ ის დგას. ბიძინას პროექტის დაუმტკიცებლობამ ფატალური როლი შეასრულა მის ცხოვრებაში.

ცხოვრების განვითარების წინააღმდეგობრივი ბუნება კეთილისა და ბოროტის, ჯალათისა და მსხვერპლის ურთიერთმიმართების წინასწარგანზრახული ზემოქმედება, რასაკვირველია, ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ხელს უშლის პიროვნების რეალიზაციას სინამდვილის დინამიკურ წინსვლაში. მაგრამ წინააღმდეგობას ყოველთვის არ აქვს პიროვნული დაპირისპირების ხასიათი, არ არის აუცილებლად ვილაცის ბოროტი ნების გამოვლინება. ბიძინას რომ პროექტი არ დაუმტკიცეს, აქ, გადაჭრით უნდა ითქვას, ძნელია ბესოს პირადი დანაშაულის ინკრიმინირება. მაკას პირდაპირი მითითებები ბესოს პირად როლზე, რბილად *რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია. ბიძინას* პროექტი ობიექტური მიზეზების გამო არ დაუმტკიცეს.

ბესო თავის თავსაც კი არ დაუმტკიცებდა ასეთ პროექტს, კონფლიქტი კონკრეტულ პიროვნებებზე არ იყო დამოკიდებული და სინამდვილის ობიექტური განვითარებიდან ამოიზარდა. ის საზოგადოების უძირითადეს და ულრმეს წინააღმდეგობრივ მხარეებს ეხება. მაშინ, როდესაც დიდ ქალაქში ხალხის ნაწილი სარდაფებში ცხოვრობს, ბუნებრივია, შეიზღუდოს პროექტი, რომლის მიხედვით აგებული შენობა „მაროკოს დამთხვეული ქალიშვილის კოშკად" გამოდგებოდა. ასე ზემოქმედებს იდეოლოგია არქიტექტურის ესთეტიკაზე. და შეიძლება დიდ ტალანტს გზას უცობავს ნიჭის გამოვლენასა და შემდგომ განვითარებაში. შედეგად ვიღებთ ხრუშჩოვის ტიპიური პროექტების უსახურ უბნებს ქალაქებში. მაგრამ ხალხს შეუძლია შიგ იცხოვროს. მაკას მამა საკმაოდ დიდი ოჯახით, თვით მაკა. „შენი ბინა ჩვენი პროექტით არ არის აგებული? რას უჩივი შენ ამას?" ეკითხება ბესო. ზეიმობს პროექტების ესთეტიკა — ხალხი უბინაოდ რჩება. ტიპიური პროექტების გამარჯვება უსახურობას ქმნის ქალაქში. ბიძგს აძლევს ბიძინას ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს.

მაგრამ დრამატურგი კარგად იცნობს ცხოვრებას და კარგად იცის, რომ ყველა კაცი ერთნაირად არ რეაგირებს მარცხზე. ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდეს ბიძინას გარეგნულად მშვიდ და წყნარ ცხოვრებას, ჩაიხედოს მისი გულის სიღრმეში. ამასვე აკეთებს მასთან ერთად მაკაც და, ბოლოს და ბოლოს, მიდის საამაყო და ამავე დროს სამწუხარო აზრთან, „რა ვიცოდი, თუ ისევ ვუყვარდი, ამდენი ხნის შემდეგ".

მაკას არსებაში თანდათან ფორმირდება და მტკიცდება სიყვარულის განსხვავებული, ცხოვრების აზრთან ღრმად დაკავშირებული გაგება, დავაზუსტოთ: შეგრძნობა. მაკას მიმართება ამ გრძნობასთან, განსაკუთრებით თავიდან განსჯისაგან სრულიად თავისუფალი, იმპულსური და ინსტინქტურია. შემდეგ თანდათან ისახება წუხილი ამაღლებული სიყვარულის გამო (და აქ შეიძლება შორეული ტრადიციების გახსენებაც: „ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენე, საქმენი საგმირონია", „შენი ქალი არად მინდა"... და უფრო შორეული: პენელოპე).

სიყვარული რომ „ავტონომიური" გრძნობა არ არის და იგი მთლიან პიროვნებასთან, ადამიანის არსების გრძნობა-გონების დაუნაწევრებელ ერთიანობასთან ამყარებს მიმართებას, მის ზნეობრივ და მორალურ სახესთან, ადამიანურ სიამაყესთან, ამას პირველი ბიძინა მიხვდება. ამიტომაც ცდილობს ამაღლდეს მაკას თვალში, თუნდაც ნიჭის, სიკეთის გამოვლინებით. პიესის ფაქტიურ დროში მაკა რთულ დასკვნებს აკეთებს და ადრე ნაგრძნობი, აღქმული და ათვისებული შეგრძნებების მთლიან გააზრებას ახერხებს და ამის გამო, არსებითად, ახალი დასკვნების სახით აყალიბებს თვალსაზრისს სიყვარულის შესახებ, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის, საერთოდ „ბრძნული დინების" პროცესში არსე-

ბობის შესახებ. მთავარი კი ის არის, რომ მაკას ჯერ კიდევ მხოლოდ ფორმირებადი ფილოსოფიური აზრი, რომელიც მარადისობის და ყოველდღიურობის ურთიერთმიმართების ძალიან კონკრეტული, ყოფისეული დეტალების საავსებით ორიგინალური განათებით მხატვრულ სახეებად წარმოუდგება მას, ეხმარება იპოვოს თავისი ადგილი, იგრძნოს თავი „მარადისობის ბრძნული დინების" მონაწილედ.

აქ ჩვენ გვინდა დავინახოთ ლიტერატურისა და ხელოვნების მზადყოფნა, თავი დააღწიოს ნიჰილიზმის პოზიციას სინამდვილის მიმართ, მის ფასეულობათა მიმართ, ცნოს სინამდვილის ონტოლოგიური მნიშვნელობა და ისტორიული არსი, გაემიჯნოს ამ თვალსაზრისით ლიტერატურის იმ ფრთას, რომელშიაც ირრაციონალისტური თეორიების აღიარებასან ერთად ინერგებოდა ხელოვნების ნაწარმოების, როგორც წმინდა შთაგონების, შეუცნობელის, მისტიკურის მხოლოდ ხელოვანის ცნობიერებაზე დამოკიდებული და სინამდვილესთან პრინციპულად გამიჯნული იმანენტური ემანაციის იდეა.

სინამდვილე თავისი უშუალო სახით არასდროს არ შემოდის არც ერთი ტიპის ხელოვნებაში. ასეთი პრიმიტიული შეხედულება მხოლოდ პოლემიკურმა გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ ასახვას ხელოვნების ნაწარმოებში ყოველთვის წინ უსწრებს ასახვა მწერლის ცნობიერებაში. ეს ასახვა, ცხადია, ყოველთვის არ არის სახეობრივი, შეიძლება იყოს მსოფლმხედველობრივი, მეცნიერული ან უშუალო ემპირიული სინამდვილის ათვისების საფუძველზე.

მსოფლმხედველობრივი პოზიცია მხატვრულ ნაწარმოებში თხზულების მთელი სტრუქტურის და არსის მიხედვით მჟღავნდება, უფრო პირდაპირ, შეიძლება პერსონაჟის შეხედულებებშიც გამოიხატოს, გმირის შეგრძნებების, შეგნების, რწმენის სახით შეიძლება წარმოგვიდგეს ისე, როგორც მაკასთან. მაკა, შეიძლება ითქვას, მეცხრე სართულის „ბუდეში", რაღაც უწონადობის მდგომარეობაში შეიგრძნობს თავის თავს. მას სურს რაღაც უფრო სერიოზული, მყარი საყდრენი სულისათვის, ცხოვრებაში. მაკა „სიყვარულის თვალით" ხედავს სამყაროს. ყველაფერი ამ თვალსაზრისით აღიქმება, შეიგრძნობა და შეიცნობა. მაგრამ სიყვარული აღარ არის ყოვლის ჩანმთქმელი ვნება. იგი ცხოვრების სიბრძნეა. ქალიშვილობიდან და ადრეული ქორწინებიდან ის მოწონება, აღტაცება და განცვიფრება იყო, რომელიც ხმას არ აღებინებდა, განსჯის საშუალებას არ აძლევდა. აქ საკმარისი იყო და იქნებ საოცნებოც „სიბნელეში სიყვარული", „მოჯადოებული სიყვარული", რომელიც ახლა მას საავსებით აღარ აკმაყოფილებს და ეჭვსაც კი ნარმოუქმნის: „უყვარდათ კი მათ (მაკას და ბესოს) ერთმანეთი?" კიდევაც რომ ყვარებოდათ, და შეიძლება მართლაც უყვარდათ, ახლა ეს მაკას ვეღარ აკმაყოფილებს. სიყვარულის სხვა გაგება და სიბძრნე დასადგურდა მის გულში და სულში. ისეთი სიყვარული, რომლის მალვა საჭირო აღარ იქნებოდა, იმ წესებსა და კანონებს შეერთვოდა, დაწერილსა თუ უფრო მეტს, დაუწერელს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა კაცობრიობა და საზოგადოების ერთად ცხოვრების ეთიკურ ნორმებად აყალიბებდა, ცხოვრების ბრძნულ დინებაში ჩართული, სიცოცხლის გაგრძელების, ცხოვრების არსებით, მამოძრავებელ, აუცილებელ ინგრედიენტად აღიქმებოდა. მაკას ბიძინას ან ბესოს კუბოსთან „სკამს დაუდგამდა".

ადამიანის ცხოვრება ტრაგიკულია. მას დიდი არჩევანი არ აქვს. ყოველი მხრიდან ავინროებენ „სხვისი თავისუფლებები", „სხვისი უფლებები" და უუფლებო „უფლებები", რომელთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე აღმოჩნდება ყოველთვის. ამის გამოა, რომ ამ „უკანონობით" შეშფოთებული მოაზროვნენი ხშირად უარყოფენ, ან, უფრო ზუსტად, ცდილობენ უარყონ საზოგადოება, სოციუმი, ისტორია და ცდილობენ ინდივიდუალიზმის ნიჟარაში ჩაიკეტონ. მაგრამ საზოგადოება „იძულებითი" და აუცილებლობათა სფეროა, სადაც ინდივიდი პიროვნებად უნდა გარდაიქმნას, ხოლო „ორგანიზებული" ადამიანი გადაშენებას უნდა გადაურჩეს. ამიტომაცაა ადამიანთა საზოგადოება მილიონი წლის განმავლობაში, თავის სამუდამო სამყოფელივით – საყაროსავით, დღემუდამ ახალი ფორმების, ახალი ნორმების შემუშავებაში, რომ „კატასტროფა არ მოხდეს". მაგრამ უზუსტეს სინქრონულ მოძრაობაშიც კი კატასტროფა მაინც ხდება. რომელიმე ასტეროიდი სამას კილომეტრიანი სიფართოვის დიდ ღრმულს ტოვებს პლანეტის გარსზე. არანაკლებ და იქნებ კიდევ უფრო რთული იყოს საზოგადოების ყოფიერება, სადაც „ბუნებრივ", თავიდან აუცილებელ დაჯახებებს თან ერთვის ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფების, ერების, სახელმწიფოების, რეგიონალური გაერთიანებების წინასწარ დაგეგმილი, ბოროტგანზრახული ინვაზიები. ინდივიდთა თავისუფლებანი და უფლებები მუდამ ებჯინებიან და გადაკვეთენ ერთმანეთს, კატასტროფას უქადიან ერთურთს. ეს არის

სფერო, სადაც ადამიანმა უნდა გამოავლინოს ინდივიდუალური თვისებები თვითდამკვიდრებისათვის, ეს არის ინდივიდის პიროვნებად ქცევის სფერო, რომელმაც უნდა შეზღუდოს მაინც ველური ინსტინქტები და ადამიანი წარმართოს გონიერების, სიკეთისა და სიყვარულის გზით, პიროვნების რეალიზაციის შესაძლებელი დიაპაზონით და არა პიროვნებისა და საზოგადოების უგუნური დაპირისპირების გაღვივებით, პიროვნების უფლების ფეტიშიზმით. რადგან, მხოლოდ საზოგადოება, სოციუმია ის სფერო, სადაც ადამიანი შეიძლება გადაურჩეს ურიცხვ მტერს და თავის თავს.

ყველა ექსისტენციალური პრობლემა, რამდენადაც შესაძლებელია, აქ, საზოგადოებაში, სოციუმში უნდა გადაწყდეს, Flux durch Angst აუქმებს რაიმე გადაწყვეტის შესაძლებლობას. მარადისობაში ადამიანი საზოგადოების, სოციუმის გზით მოიპოვებს ადგილს. საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაცია, საკუთარი ადგილი საკუთარი საზრუნავია.

როგორც ზემოთ ვთქვით, „ანთროპოლოგიური პრინციპის მიხედვით ბიოლოგიურის და სოციალურის დაპირისპირება ადამიანურის არსში „პრიმიტიული" ან წინასწარგანზრახული „შეცდომაა". სოციალური ადამიანის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ბუნების დროში დაკრისტალიზებული გამოხატულებაა, მისი შედეგია. ინდივიდუალურის სოციალურისაგან იზოლაცია ნონსენსია, კიდევაც რომ მოხერხდეს ეს, ადამიანი სხვა არსება იქნებოდა. სოციუმში უნდა იპოვოს მან თავისი ადგილი, აქ, ამ დროს, რადგან სხვა მისთვის უკვე აღარ იქნება.

„წრებრუნვა", „მარადიული უკან დაბრუნება" უსასრულობის ცნობიერებისმიერი მიუწვდომლობის შედეგი უნდა იყოს. მარადიულის და წარმავლის ბინარული ოპოზიციის დეკონსტრუქცია იქნებ მართლა დაეხმაროს ცნობიერებას, ერთარსში წარმოიდგინოს მარადიული და წარმავალი, მოშალოს მათ შორის გარდუვალი ოპოზიციური დაპირისპირება, დაინახოს წარმავალში მარადიული. რადგან იქ, მარადიულში მიემართება დღევანდელი, მისი მოძრაობა მხოლოდ „წინ მიმართული და შეუქცევადია" (Vorwärtsbewegen)[2].

მხატვრული ნაწარმოები, ასახვისა და გამოხატვის ბუნების სპეციფიკური თავისებურების გამო, ცხადია, არ ქმნის ფილოსოფიურ სისტემას, მაგრამ ყოველთვის შეიცავს მას იმპლიციტურად, ისე, როგორც ქვის კენჭი, ან თუნდაც დულილამდე გახურებული მაგმის ბლაზმი, მუდმივქმნადი დინამიური სამყაროს კოდს, ან ადამიანის კანის უჯრედი Homo Erectus-ის მთლიან კოდს, რაც კლონირების საფუძველი ხდება. სამყაროს დინამიკის დარად, ცხოვრება თავის დინამიურ განვითარებაში, მუდმივი რელატივიზმის ფონზე, შლის და ქმნის ფორმებს, რომლებიც, სიმყარის პერიოდში, დიდი თუ მცირე დროის განმავლობაში, იღებენ ნორმების სტატუსს. ამ შინაგანი დინამიკის ამოცნობა და მის საფუძველზე ცხოვრების არსის ამოხსნა, ადამიანის უმთავრესი ამოცანა ხდება. აქ მეცნიერების, ფილოსოფიის და ხელოვნების მიზნები ემთხვევა ერთმანეთს და თავიანთი სპეციფიკის მიხედვით ამ მიზანს ემსახურებიან.

ჰეგელისა და ჰაიდეგერის აზრით, „უზენაესი დანიშნულების" ხელოვნება სამყაროს შინაგანი მოძრაობის არსს ასახავდა, ნივთებსა და მოვლენებს ონტოლოგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა – „დიდი ხელოვნება და მისი ქმნილებები დიადნი არიან საკუთარ ისტორიულ არსებობაში და ამიტომ ადამიანის ისტორიულ არსებობაში აღწევენ უმაღლეს დანიშნულებას: ქმნილებაში განხორციელებადი გზით მიაღწიეს ყოფიერების სრულ წვდომას"[3].

თამაზ ჭილაძის დრამის „ბუდე მეცხრე სართულზე" – გმირი მაკა კულტურული კოდის, ეთიკური ნორმების ცხოვრებაში განფენის, ყოფის სიბრძნის შეგრძნებით მიდის ცხოვრების არსის შეცნობისაკენ, ისტორიულ დინებაში ადამიანის ადგილის განსაზღვრისაკენ. მართალია, ჯერჯერობით მან ეს ვერ განახორციელა საკუთარ გზაზე, არც ის ვიცით, ეყოფა თუ არა ძალა მომავლისათვის, მაგრამ, მით უმეტეს, მწვავეა ჭეშმარიტების ხილვა და შეგრძნება, რაც მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძირეულ კოდებს უკავშირდება. კულტურა არა მხოლოდ ადამიანის გარშემო, არამედ მისი ფსიქიკის, ცნობიერების შიგნით იქმნება. დროში ეს კრისტალდება Homo Erectus-იდან Homo Sapiens-მდე.

ადამიანი პატივმოყვარეა და გულის სიღრმეში ჭაბუკობიდანვე „დგება" ყოველ ცალკეულ პიროვნებაზე, საზოგადოებაზე მაღლა. მაგრამ ის ამ საზოგადოების შვილია და კულტურის უღრმეს შრეებში მისი მეტნაკლებ ადეკვატური რეპროდუქციაა, ზნეობრივი და გონებრივი პროდუქტი.

ფუძემდებლური ისტორიული წესრიგი, ფორმები და ნორმები მუდამ იშლება (წაიშლება) და იქმნება (გა-იშლება) არა ტელეოლოგიური სიბრძნის მიხედვით, არამედ მუდამ აქტიური ზემოქმედებით, იქნებ უფრო ზუსტი იყოს, მოქმედებით.

თითქოს ყველაზე შემოუვლელი ტრაგიკული კონფლიქტი ადამიანის სიკვდილია, როცა საკუთარ დროსთან კონტინუუმში ადამიანი აღიქვამს მარადისობის უწყვეტ დინებას.

მაგრამ მილიონობით წლების გამოცდილებით, სიკვდილი, ბოლოს და ბოლოს, არსებობის ნორმებში ჯდება. ადამიანი ვერასდროს შეურიგდება მას. მაგრამ სიკვდილი არ იწყვეტს ტრაგიზმს. ტრაგიზმს იწვევს საზოგადოების მიერ შემუშავებული, ეთიკის ნორმებად ფორმირებული ნორმიდან ამოვარდნა. დრამა, თუმცა, მიახლოებული, მაგრამ სხვა რიგის მოვლენაა, რომელიც არა მხოლოდ დრამატურგიაში, არამედ ყოველ ჟანრში შეიძლება აისახოს. „წინადადება პატარა დრამაა" (ლ. ტენიერი), წერს ერთი ენათმეცნიერი. ტრაგიზმი თუ დრამა ინდივიდის, პიროვნების ფსიქიკაში წარმოიქმნება და ამდენად, ის სუბიექტურად შეიძლება იქნას აღქმული და შეფასებული, მაგრამ დადგენილი ნორმების თვალსაზრისით, მისი აღმაშეფასება მაინც საზოგადოებრივია. ტრაგიზმი და დრამა კულტურის შიგნიდან წარმოქმნილი კატეგორიებია. ამის თვალის გადევნების საშუალებას იძლევა დრამატურგიის მთელი ისტორია უძველესი ტრაგედიებიდან ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ქმნილებებში, ე. წ. „ღერძის დროის" პერიოდიდან მოკიდებული შექსპირამდე და შემდეგ.

მაკა ინტელიგენციის სფეროს განეკუთვნება, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალია, აზროვნების სტილით, კულტურით, ქცევით, მიღებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობით, ნების თავისუფლებით. მაგრამ ინტელექტთან ერთად მის ინტენციებში, აზროვნების წესში, მსოფლაღქმის ნიუანსებში გამოსჭვივის „მხატვრული ელემენტი", როცა მხატვრული ხატით, მეტაფორით აზროვნებს და განსაზღვრავს თავის ადგილს ცხოვრებაში. ვფიქრობ, ეს არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მაკას განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისება.

იქნებ ეს ამ ბოლო დროს მეცნიერებაში საგანგებოდ აღნიშნული მხატვრული აზროვნების კოგნიტიური ბუნების ერთი დამახასიათებელი მაგალითი იყოს. როცა ხატი, მხატვრული სახე, ცნებაზე უფრო ზუსტად, გასაგებად და ხილულად გადმოგვცემს ნააზრევის არსს. „იქ, ბიძინას ცხედართან, მე უნდა ვიჯდე". მაგრამ ამის უფლება არა აქვს მაკას.

ერთი კრიტიული წერილის ავტორი შენიშნავდა, „მაკას და ბესოს დანაშაული მიუძღვით ბიძინას წინაშე"[4], თითქოს ეს ართმევდა მაკას უფლებას. ეს შეიძლება სწორი მითითება იყოს [illegible] უხერხულობას მართლაც [illegible] მაგრამ ეს არ არის მთავარი. განვაგრძოთ მაკას რეპლიკა: „... ღმერთმა დაგიფაროს და შენ რომ რაიმე დაგემართოს, არც იქ დამიდგამენ სკამს" (მიმართავს ბესოს). ე. ი. არც მისი ტირილის უფლება ექნება, რაიმე რომ მოხდეს. ეს **ცოლის** უფლებაა. მაკა კი ერთის ნაცოლარია, მეორის საყვარელი. მისი სიყვარული „**მოპარულია**": „ჩვენ ხომ სიბნელეში გვიყვარს ერთმანეთი". ეს სიტყვები, რომელთაც ერთი გარკვეული მნიშვნელობა აქვთ, სპექტაკლის მსვლელობისას არაა მოულოდნელი, რომ ყველა მაყურებელმა ვერ გაიგოს, როგორც საზოგადოების ცხოვრებაში მაკას ღია ჩართვის, მისი არსებობის ისტორიულ პროცესში გააზრების სურვილი. ქალის იმპულსების ამ სიღრმისეული აზრის აღმოჩენა მისი რეპლიკების ურთიერთშეფარდებითი გადააზრების შედეგი შეიძლება იყოს. მით უმეტეს, მაკა თვითონ „ტროპული" სახეებით წარმოიდგენს ეროვნულ ცხოვრებაში ფესვგადგმულ საუკუნეების მსვლელობაში დაკრისტალებულ ეთიკურ ნორმებს, რომელთა წარმოსახვას პრობლემა ერთბაშად ესთეტიკურ პლანში გადააქვს...

მთელი ისტორიული ცხოვრება, კიდევ მეტიც „მარადისობის დინება ბრძნული"[5] აქ იხილება სიყვარულის, სიკვდილ-სიცოცხლის, ცოლქმრობის უწყვეტი დინების ასპექტში. იძენს უღრმეს ისტორიულ და ესთეტიკურ აზრს და მოითხოვს საკუთარ „ფილოსოფიას".

ძნელია, ყოველივე ეს სპექტაკლის დროის უმცირეს მონაკვეთში სრულად განხორციელდეს მაყურებლის ცნობიერებაში. ცხადია, ამით სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ „ბუდე მეცხრე სართულზე" საკითხავი დრამის (Lesedrama) სტატუსით უნდა იქნას განხილული. ის, რომ სპექტაკლის სხვადასხვა მაყურებელი მას სხვადასხვა დონეზე გაიგებს ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. აქ მხოლოდ ამ პიესის სცენური განხორციელების სიძნელეებზე გვინდოდა გვეთქვა, მის განსაკუთრებული სიფაქიზით ხორცშესხმის საჭიროებაზე, რაც „სანახაობითი სპექტაკლის" კომპეტენციაში ვერ შევა და როლების შესრულებას მხოლოდ დიდი მსახიობები თუ შეძლებენ ღირსეულად.

„ბუდე მეცხრე სართულზე" ერთ-ერთი უღრმესი ნაწარმოებია არა მარტო დრამატურგიაში, არამედ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.

●

თ. ჭილაძე დიდი სიფაქიზით ეპყრობა დრამის სათაურებს, სადაც გამოყოფს ერთ რაიმე ნიშანს, რომელიც, ასე დამოუკიდებლად, განსაკუთრებული სიცხადით არ გამოირჩევა. უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, დამოუკიდებლად თითქმის არაფრის მთქმელია. სწორედ ამიტომ, აზრი უნდა ვეძიოთ ასოცირებად ველში, ხშირად კონტრასტული სახეების შეპირისპირების გზით. თუმცა, სანამ პიესის ბოლოში არ გავალთ, კონცეფტი შეიძლება მთლიანად არც კი გამოიკვეთოს. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება, რომ სათაურში მთელი ნაწარმოების „მითის" ნაწილია ჩასმული, რომელთანაც კონტრასტული ნაწილის შეხება კონტაქტს წარმოქმნის და სავსებით ანათებს პიესის მხატვრულ კონცეფციას. ბუდე მეცხრე სართულზე შეპირისპირებული „მარადისობის ბრძნულ დინებასთან" მთელი სისავსით ამთლიანებს ჩანაფიქრს და „ხილული" მეტაფორების სიცხადით წარმოგვიდგენს მხატვრულ სახეებში გამოხატულ ჭეშმარიტ აზრს. ასევეა ეს პიესებში „ჩიტების ბაზარი", „ნახვის დღე", „სიზმრების ახსნა", „არაბეთის სურნელოვანი ბალახები", „როცა შუქი ქრება" და სხვა.

სხვაგვარად იკითხება სათაური „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის". აქ ავტორი თავიდანვე პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ შევდივართ განსხვავებულ სტილურ არეში და წინა პლანზე წამოიწევს „თამაში", როგორც ესთეტიკური კატეგორია. შეიძლება გვკითხონ, არის კი საჭირო ამის საგანგებო აღნიშვნა, როცა საქმე ეხება ხელოვნებას, კერძოდ კი, დრამატიულ ხელოვნებას?

როგორც ჩანს, არის.

ყველაფერი შეფარდებითია. თუ ამოვალთ იმ პიესის არსიდან, რომელიც ჩვენ ესეს არის გავაანალიზეთ, ალბათ, დავრწმუნდით, რომ არც ერთი პერსონაჟი დრამაში „ბუდე მეცხრე სართულზე" არ „თამაშობს". ბიძინას მიმართ ეს კითხვა რომ საერთოდ არ წამოიჭრება, ეს ცხადია. მაგრამ არც მაკა, არც ბესო არც ერთ ეპიზოდში, არც ერთ მონოლოგში, არც ერთ რეპლიკაში ოდნავადაც არ „თამაშობს".

პირიქით ხდება პიესაში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის". აქ ტოტალური „თამაშია". ყველა „თამაშობს" — ქალი თუ კაცი, ცოლი თუ ქმარი, საყვარელი თუ მეუღლე, ინტერტექსტუალური გმირები თუ „აბორიგენები". ერთადერთი, ვინც არ თამაშობს, ან ყველაზე ნაკლებად თამაშობს, ეს არის ანო.

რეცენზიებში სპექტაკლების შესახებ აღინიშნებოდა, რომ თ. ჭილაძის „მთელი პიესის კონცეპტუალური სუბსტიტუტის რეზონატორი ჰამლეტია". ეს აზრი, ალბათ, დაზუსტებას მოითხოვს. „პიესაში" რომ ინტერტექსტუალური პერსონაჟის სიძრავლეა, „ჰამლეტის" დამდგმელი დასისა და რეჟისორის შემადგენლობით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს თუნდაც პრობლემათა იდენტიფიკაციას ან არქეტიპულ თანხვედრას. ანო სპექტაკლში შემოდის სავსებით მდგრადი, ფორმირებული ცხოვრებისეული კატეგორიებით და იდეებით. მას შეურყვნელი გულმართალი და ჭეშმარიტი წარმოდგენები აქვს ზნეობრივ ფასეულობებზე, თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, პიროვნების უფლებაზე, სიკეთეზე... მას თავიდან არ აწუხებს არავითარი დაეჭვება, მით უმეტეს, უდიდესი ჰამლეტური პრობლემა: „ყოფნა-არყოფნა" — ეს მისთვის არ არის „საკითხავი". შეიძლება უკვე პიესის ფინალში, როცა მოცემულ გარემოში აშკარად საეჭვო ხდება ფასეულობათა არსებითი სიმყარე, მართლაც დაისმის „ყოფნა-არყოფნის" პრობლემა. ფაქტიურად, კიდეც წყდება უარყოფითად. მაგრამ ინტერტექსტის გზით პიესაში დანერგილ მხატვრულ სახეებს სხვა დანიშნულება აქვს და არა „როლის" პრობლემების „ჰამლეტის" პრობლემებთან იდენტიფიცირება. ამ გზით რომ ჩავყვეთ, ორესტემდე მოგვიწევს მისვლა. თუმცა, თუ ლოგიკური ვიქნებით, სწორედ აქეთკენ მიგვანიშნებს პოსტმოდერნი. მაგრამ ასევე ლოგიკურად, ჩვენ უნდა მთლიანად გავიზიაროთ „მთქმელის" აზრი: „კარგით, გვეყოფა, „ჰამლეტი" ჩვენ ვითამაშეთ და წარმატებითაც. სჯობს ჩვენს მკვდარს მივხედოთ".

„როლის..." კონცეფცია შაბლონურად არ იღებს პოსტმოდერნიზმის მხატვრულ იდეებს, რომლებიც „პირველსახეების", „არქეტიპების", „წრებრუნვის და „უკანდაბრუნების" მოდერნისტული ესთეტიკის კონცეფციიდან არის ამოზრდილი. ან, თუ სხვაგვარად ვიტყვით, ამ პრობლემებს წარმოქმნის ან ავითარებს პოსტმოდერნიზმი თანამედროვე ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სციენტურ-ფილოსოფიურ თუ საზოგადოებრივ მეცნიერებაში და პოლიტიკაში. ყველა ამ სოციოლოგიურ, პოლიტიკურ თუ მეცნიერულ იდეებს ხელოვნებაში თავისი ასახვა, ამბივალენტური მხატვრული იდეები მოეპოვება. აქედან პოსტმოდერნიზმისათვის უმთავრესთაგანია „თამაში" და „ირონია", მეორადი კულტურული კოდები.

თუ ზოგადად ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის პოსტმოდერნიზმის შემოღწევის დრო და მასშტაბები, ალბათ, დასაზუსტებელია (მხედველობაში მაქვს ზ.

წერეთლის მონუმენტური კომპოზიცია — სინკრეტები, რომლებიც თავიანთ მონოსტილურობაში შეიცავენ ფიგურატიულ სტილისტურ მრავალფეროვნებას კულტურული კოდების მეორადი რეფლექსურობით და რეცეფტულობით), დრამატურგიაში პოსტმოდერნისტული იდეების შემოტანა თამაზ ჭილაძეს უნდა დაუკავშირდეს, ალბათ, და პირველ რიგში სწორედ პიესას „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის".

რეცენზენტები „თამაშთან" და „ირონიასთან" ერთად ხშირად და სავსებით სამართლიანად ეხებიან „ქრონოტოპის" პრობლემას. მაგრამ აქ აცენტი გადატანილი უნდა იქნას „ქრონოტოპის" სპეციფიკურ მხატვრულ გააზრებაზე, რაც ყურადღების ცენტრში უნდა აქცევდეს დროისა და სივრცის ფუნქციონალურ დატვირთვას. სხვაგვარად „ქრონოტოპს" მხატვრული თვისება არ გააჩნია და ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის სპეციფიკურ როლს ვერ შეასრულებს. მხატვრულ სტრუქტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მოიპოვოს საგანგებო დაშიფვრამ, რომელიც აღნიშნულისა და აღმნიშვნელის ურთიერთობებში მნიშვნელოვნად გარდაიქმნება.

„როლის..." უპირველესი „წმინდა" მხატვრული პრობლემაა დამწყები მსახიობი გოგონასა და ანოს „ინტეგრაცია". ნაწარმოების მთელი მხატვრული „მექანიზმი" ამ ზამბარით მოდის მოქმედებაში. ეს მიმართება რომ მეტად მნიშვნელოვანია პიესის მოტივებისა და მნიშვნელობის ფორმირებისათვის, ამაზე მიუთითებს არაერთნიშნა დამოკიდებულება ჩადგმული სპექტაკლის „რეჟისორისა" და სცენარისტის მხრით, რითაც „გოგონასა" და „ანოს" ურთიერთმიმართების მნიშვნელობა ამბივალენტური ხდება.

ეს ორი აქტანტი, თავიდან თითქოს ცალცალკე შემოსული პიესაში, უპირობოდ „ერთიანდება" და იღებს „ანოს" სახელს. ასე მიდის მთელი პიესა. მაგრამ ყველამ — სცენაზე მოქმედმა პირებმა და მკითხველმა — შინაგანად იცის, რომ ისინი არ გაერთიანებულან, თუნდაც თეატრალური პირობითობის „დახმარების" ძალით. გამოითქვა მოსაზრება, რომ „ტრანსცენდენცია, რომელიც ანომ და მისმა ორეულმა შეძლო, ახასიათებს მას არა როგორც ცოცხალ რეალობას, არამედ როგორც თემას, რომელიც უნდა განახლდეს მომგონებელი ცნობიერების მიერ.[6] ამ აზრის გაზიარება შეიძლებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ სახეს არ აქვს, ან ჯერ კიდევ არ აქვს კონკრეტული ინდივიდუალური გამოხატულება, ის „გოგონას" და „ანოს" ირგვლივ ტრიალებს. სოციოლოგიურად მათი „შეერთება" დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. „მთქმელი: ეს გოგონა ჩვეულებრივ გააკეთოს ის, რასაც გააკეთებდა ანო. ისინი ტოლები არიან, დაახლოებით ერთნაირად აზროვნებენ, ერთნაირად ცხოვრობენ". სახითაც კი გვანან ერთმანეთს, ისიც დაახლოებით. მაგრამ მაინც ორი, სხვადასხვა სახეა. მათ შორის ერთი წელიწადია. ანო ერთი წელია არავის უნახავს. შეიძლება მათი ერთ სახეში გაერთიანება? ეს ორი გამოსახულება გაორებულ, არაბინოკულარული მხედველობის ანაბეჭდს ჰგავს. საჭიროა ძალისხმევა, რომ ორივე თვალი ერთ სახედ გაერთიანებულ გოგონას მიემართოს. მაგრამ ვერც მკითხველი, ვერც „ჩადგმული" თეატრის, ახლა მაყურებლად ქცეული დასი ვერ აღწევს ბინოკულარულ მხედველობას. „გოგონა" და „ანო" მათთვის სხვადასხვა როლში რჩებიან. როგორც „მაყურებელი დასი", ისე, რაც მთავარია, დამდგმელი-„მთქმელი", ენერგიულად ეწინააღმდეგება „გოგონას" მიერ რაიმე დამოუკიდებლობის, „საკუთარი გაგების" გამოვლენას. და, სწორედ ამიტომაც, აქ მთელი რიგი თეატრალური პრობლემებია თავმოყრილი. „გოგონასა" და „ანოს" ერთ სახეში „შეკუმშვა", ანუ ერთ აქტანტად ფორმირება იძლევა შესაძლებლობას, მოქმედება კვლავ განვითარდეს, მოვლენებმა სხვა განვითარება მიიღოს, რაც არავითარ შემთხვევაში არ სურს „მთქმელს" — „რეჟისორს", მისი მიზანია უკვე დასრულებული ამბის განსჯა, ხელახლა წარმოდგენა და განხილვა, ერთხელ კიდევ მოგონება, რადგან „ყველას ერთნაირად სურს ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს ის". აქ „დასი" ამოწმებს და არა ანო თავის განვლილ ცხოვრებას.

ამიტომაც „ექსისტენციის ღიაობის წყალობით ცნობიერების ღია ეთერში გასვლა და იქიდან განვლილი ცხოვრების შეფასება" აქ გამორიცხულია. „გოგონა" არ არის „ანო" და არც შეიძლება მათი იდენტიფიცირება.

რაც შეეხება „თამაშის" პრობლემას, შეიძლება გვეფიქრა, რომ თავისი დამოუკიდებელი ხასიათის და თავისუფალი მოქმედების გამო ანო თამაშობს და არა ნახევარტონებით, მინიშნებებით მოსაუბრე და მოზომილი ნაბიჯების და ფრაზების ხალხი.

მაგრამ ყველაფერი პირიქითაა. ანო არ თამაშობს. ის მოქმედებს თავისი მაღალი ზნეობის, შინაგანი სიკეთის უმაღლესი ბუნებრივი პრინციპების მიხედვით. ეს ყველაზე ნათლად კრიტიკულ სასაზღვრო სიტუაციებში მჟღავნდება კრიზისულ შემთხვევაში. „შემთხვევა", არა ბერძნული რომანის

„შემთხვევითი“ შემთხვევა, არამედ ისეთი შემთხვევა, რომელიც კანონზომიერების გამოხატვის ფორმაა. „ფეხებით, ფეხებით რომ აბრახუნებდნენ!“ ეს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული კანონზომიერების გამოვლენა იყო, თითქოს ხელოვნების წინასწარხედვა? შემდგომი ტრაგიზმის შეგრძნებაა. აი, ასეთი სასაზღვრო სიტუაციები ავლენენ ყველაზე უკეთ ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს. ანოს ყველა საყვედურობს იმის გამო, რომ მან კარები გააღო.

„– ხომ შეეძლოთ შენთვის დაებრალებინათ?“ – ეუბნება მთქმელი.

„ – აბა, კი! რასა ბრძანებთ! (შეცვლილი ხმით) ექიმებმა მითხრეს, კარი რომ არ გაგეღო, მოკვდებოდაო“.

სიცოცხლის გადარჩენის წინაშე ყველა მოტივი უფასურდება. ეს ანოსათვის. და რაც ყველაზე ფასეულია, მასში ეჭვსაც კი არ გაუვლია, რომ ვინმე მას დააბრალებდა.

– აბა, კი, „რასა ბრძანებთ!“ ეს გულუბრყვილო, თითქმის ბავშვური ფრაზა განმაიარაღებელია.

ზოგჯერ ბრძნულ მსჯელობას და ცეცხლოვან მონოლოგებს ერთი წამოცდენილი ფრაზა, ერთი სიტყვაც კი გადაწონის. მასში სიკეთის უანგარო რწმენის უეჭველი გამოხატულება და უკანმოუხედავი დაჯერებულობაა. ეს ბედნიერების უსაზღვრო განცდით აღიქმება და იქნებ თეოდიცეის ნეოპლატონიკურ რწმენამდეც ადვილად მიგვიყვანოს – „ბოროტიმცა რად შეექმნა სიკეთისა შემოქმედსა“.

ანოს პირველქმნილი შეურყვნელი სილრმისეული რწმენაა: „სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი? – ეს გრძნობის და განცდის სიწრფელის, სიწმინდის უეჭველი პირობაა და გამოხატვის ფორმის სიწმინდის დასტური. აქ არ შეიძლება არც თამაში და არც ირონია. და აქ არ შეიძლება რაიმე სახით გამოკრთეს ჰაიზინგას „Homo Ludens“. მოქმედებას მხოლოდ ერთი – წრფელი და სერიოზული გამოხატულება შეიძლება ჰქონდეს და აქ თამაში, როგორი გზითაც არ უნდა გაჩნდეს, არ შეიძლება „ღვთაებრივი“ იყოს.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ როგორმე შესაძლებელი იყოს, ანო გავიგოთ, როგორც ცალსახა და მარტივი პიროვნება, რომელიც ვერ პოულობს საკუთარ ფსიქიკასა და ცნობიერებაში რესურსებს თამაშისათვის. „მითისმქმნელთა“ და „მითისმთქმელთა“ ქალბატონების საზოგადოებას „უმაღლესი კლასის“ მაეტაპირებელი მითებით უმასპინძლდება, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ამუშავებს და აღაგზნებს მათ მითის მოყვარულ ფანტაზიას.

მაგრამ, აქ ლაპარაკია ანოს წრფელ დამოკიდებულებაზე ადამიანებისადმი, რაც ვერ იტანს მათ მიმართ არასერიოზულ, ზერელე, „თამაშა“ დამოკიდებულებას და მთლიანად და სავსებით უბრუნებს დამსახურებულ პასუხს როგორც პიროვნებას, ისე საზოგადოებას. ამ პრობლემის წამოჭრა არა მხოლოდ ასახვა იყო, არამედ თითქოს წინათგრძნობების გამხელა დრამატურგიაში.

მთელი ამ „მოთამაშე“ საზოგადოების დამოკიდებულება ანოს ბედისადმი, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილია, სასხვათაშორისო. ზოგი მათგანი კი აშკარა დანაშაულამდე მიდის, „თამაშ-თამაშ“, ამ წრეში მიღებული წესების დაცვით. ახლა თუ ხელახლა გაითამაშებენ სპექტაკლს, არა ანოს ბედით დაინტერესების გამო, მომხდარის მიზეზის გასარკვევად, არამედ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავიწყებას მისცენ ეს „კომედია“,

ყველაზე დიდი ტრაგიზმიც, ალბათ, აქ იმალება. „გამოცდილი რეჟისორი და თეატრის დირექტორი“ უჩა გამრეკელი, მასთან ერთად თეატრის მთელი დასი „ანოს ისტორიას“ კომედიად აღიქვამს.

თუმცა, ალბათ, არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ ყველაფერი ანოსა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულებებში ნათლად გვაქვს წარმოდგენილი. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება ენიგმატური პრობლემაა უთუოდ და არ არსებობს წინასწარმოცემული მზამზარეული კანონები და წესები პოზიციების გასარკვევად. ანოს არც სურს ჩაულრმავდეს ამ კითხვებს, ის ანგარიშს არ უწევს ტრადიციულ შეხედულებებს. როცა ეუბნებიან „შენი უჩა ბებერია“, „მას ცოლი ჰყავს“, ის ყურებზე ხელს იფარებს, – „არ ვიცი, არ მესმის“. მაშინ რატომ უნდა იყოს ის დარწმუნებული, რომ მას აუცილებლად ანგარიშს გაუწევენ? სხვათა შორის, ეს მას არც აინტერესებს. და ამიტომაც არა გვგონია, ანოს, „ექსისტენციალური ღიაობიდან ეთერში გასულს“, აინტერესებდეს „სიკვდილის შემდეგ შეამოწმოს თავისი განვილი გზა“ და, რომ ამ მხატვრული პრობლემის გარკვევას მიეძღვნა ეს პიესა.

დაბოლოს, როგორ უნდა გავიგოთ დამწყები მსახიობი გოგონას და ანოს იდენტიფიკაციის საკითხი? მარტივად შეიძლებოდა გვეპასუხა, რომ „გოგონა“ და ანო სხვადასხვა პერსონაჟია, მაგრამ პიესის ავტორი ამბივალენტურ დამოკიდებულებას ავლენს ამ პრობლემისადმი და ამ მხრივ თვით შეაქვს თამაშის ელემენტი პიესაში. ჩვენ ვფიქრობთ, სტრუქტურული იგივეობა

გამორიცხულია, ამას განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევენ „მთქმელი" და რეჟისორი უჩა გამრეკელი. შეიძლება ვილაპარაკოთ ფესვებზე, აქ იქნებ ერთგვარი დახმარება გაგვიწიოს პოსტმოდერნისტულმა ტერმინმა – „რიზომა".

და მაინც, „თამაშის" პოსტმოდერნისტული კონცეფცია თანდათან უფრო ძლიერად ავლენს თავს თამაზ ჭილაძის დრამატურგიაში. განსაკუთრებით პიესებში „ნახვის დღე" და „არაბეთის სურნელოვანი ბალახები".

●

„თამაშის" პრობლემის გადაწყვეტას „ნახვის დღეში" თავისებურება ახლავს. აქაც ყველა პერსონაჟი მაქსიმალურად ჩართულია „თამაშის" კარუსელში, მაგრამ მთავარი როლი ენიჭება თვით დრამატურგს.

ცნობილია, რომ მხატვრულ თხზულებაში ხელოვანი აგებს ახალ სინამდვილეს და მისი ქმნილება ემპირიულისაგან ბუნებრივად დისტანცირებულია ყველა ტიპის ხელოვნებაში. მაგრამ „ნახვის დღეში" დრამატურგიული გამომგონებლობა გადამწყვეტ როლს ასრულებს, იმორჩილებს სივრცეს და დროს, სულიერსა და უსულოს, პოეტურ მეტყველებას და ენის უზოგადეს კანონებს – გარდაქმნის მათ ერთიან მხატვრულ სურათად, რომელმაც მოულოდნელად რაკურსებით უნდა გვიჩვენოს სინამდვილე. შეიძლება ასეც ითქვას, უფრო თვალსაჩინოდ.

სტრუქტურების შლა და ნგრევა, დეფორმაცია და ახალ შენაერთთა შექმნა, „აბსურდის თეატრის" კონტურების რეალიზაცია დრამატურგის თვითმიზანი როდია. სინამდვილის დეფორმირებულ ინგრედიენტებში ჭიატებს ჭეშმარიტება, უფრო გამოკვეთილად და ნათლად, ვიდრე რესპექტაბელობის ნილაბაფარებულ სინამდვილეში, კოდირებული და დაშიფრული აზრის ამუშავების აუცილებლობას აიძულებს მკითხველს (მაყურებელს).

თუ სცენის პოეტიკით დავიწყებთ – მოქმედების ადგილი – თბილისის ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლია. „ქრონოტოპიდან" აქ მრავალსახაა „ტოპი". ქრონოლოგიურად მოქმედების დრო არ იცვლება. მაგრამ კალეიდოსკოპურად ინაცვლებს ამ სახლის – დისკრეტული სივრცის „ტოპი" და მისი მნიშვნელობა.

სახლი სიმულანტურ, სურრეალისტურ მთლიანობაში ერთიანდება მთლიან ჩანაფიქრში. მაგრამ ის ბინებად და ოთახებად არის დაყოფილი. თუმცა ამ „ოთახებს" არ აქვთ ერთი მნიშვნელი. ის საცხოვრებელი ოთახიც შეიძლება იყოს, დანტისტის კაბინეტიც, მუზეუმის სადემონსტრაციო სივრცე, მხატვრის სახელოსნო, ციხის კამერა და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ეხსნება მკითხველს ამ სახლის მაცხოვრებელთა ჭეშმარიტი შინაგანი ცხოვრება, მათი არსებობის შინაარსი დიაქრონიული და სინქრონიული გააზრებით.

ამ მიმართების მნიშვნელოვან ინფორმაციას, ან შეიძლება უფრო პირდაპირ ითქვას, მითითებას შეიცავს პიესის სახელწოდება „ნახვის დღე", რომელიც სწორედ სათაურის გარდა არსად არ მოიხსენიება ტექსტში და სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ აზრს მოიპოვებს მთლიანად ნაწარმოებისა და ავტორის პოზიციის გარკვევისათვის პერსონაჟების მიმართ. „ნახვის დღე" ნაწარმოების მითის ნახევარსათაურია და უნდა ვეძებოთ, რის ნახვის დღე? ნახვის დღეს ორი კონკრეტული მისამართი შეიძლება ჰქონდეს, ორი დაწესებულებაა ისეთი, სადაც ნახვის დღეა შემოღებული, ციხე და საავადმყოფო. „ნახვის დღეში" პოტენციური და რეალური დამნაშავეებიც არიან, მაგრამ, მაინც, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ „საავადმყოფო" და არა „ციხე", რომელიც დაავიწროებდა და სხვაგვარ მიმართულებას მისცემდა პიესის მხატვრულ კონცეფციას. ამ სახლის მცხოვრებნი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავეებად. მათი უმთავრესი უბედურება ის არის, რომ ისინი „ნორმიდან ამოვარდნილი" ხალხია, ცხოვრების ჭეშმარიტ საზრისს მოკლებული ადამიანები, რომლებიც იქით მიდიან, საითაც ცხოვრების მდინარე „მიაგორებს" „უთავო", „თავმოჭრილ" მოქალაქეებს.

მწერალი გაბედულად მიმართავს ენობრივ ექსპერიმენტს. საუკუნეებში მეტაფორებად ჩამოყალიბებული ცნებების დაშლა და ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველების ერთეულებად გადაქცევა, ახალი მეტაფორების შექმნა საინტერესო მხატვრულ შედეგებს იძლევა.

ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ფოლკლორულ ნარკვევებში დემნა შენგელაია შენიშნავდა, რომ მეტაფორა არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება, არამედ ჩვეულებრივ სასაუბრო ენაში („წყლის აკრეფა" და სხვა). ამ მიმართულებით ამერიკელი მეცნიერი G. Lakoff დღეს საგანგებო თეორიას ქმნის და მრავალ ნაშრომს აქვეყნებს. ჯ. ლაკოვის ეს აზრი, ალბათ, შეიძლება განგრძობილი იქნას და ამავე რაკურსით მიუდგეს შედარებას, განსაზღვრებას, იდიომას, იგავს და ა. შ. ჩვეულებრივ მიმა-

რთებაში ეს სიტყვები „გაშინაურებულია". ჩვენ არ გვჭირდება მათი არანაირი ანალიზი, გადატანითი მნიშვნელობის გააზრება. მათ ვიღებთ, როგორც კლიშეებს, მზამზარეულ ნიშნებს, რომელთა კომუნიკაციური მნიშვნელობა იმთავითვე ცნობილია და „მექანიკურად" ვიყენებთ მათ, სტრუქტურის წვდომის გარეშე. თ. ჭილაძე შლის ამ ისტორიულ დროში ფორმირებულ სინტაგმებს. მაგალითად, „თავის მოჭრა", „თავის დაკარგვა", „ოჯახის შექმნა", „ცოლის თხოვა" და ა. შ., გვაიძულებს მათ ხელახლა გადააზრებას ახალი აზრობრივი ველის ფორმირების კვალდაკვალ. დრამატურგი ახდენს ამ სიტყვების დემეტაფორიზაციას, ყურადღება გადააქვს მათ პირდაპირ მნიშვნელობაზე, რითაც ამახვილებს მათი არსის ახალ მნიშვნელობას და ქმნის აბსურდის თეატრის ესთეტიკის დამახასიათებელ სახეებს. „უთავო ბიჭი", „თავმოჭრილი კაცი", „უთავო მეცნიერები", „უნივერსიტეტის ეზოში გადაყრილი ჭიპები" („ჭიპმოჭრილი კაცები", „ჭიპი აქვს მიჭრილიო", იტყვიან კაცზე, რომელსაც ვერაფრით ვერ მოაშორებ საშოვარ ადგილს).

თ. ჭილაძეს განსაკუთრებით აინტერესებს „თავის" პრობლემა. დაშტამპულ, კონფორმისტულ გარემოში იქნებ საერთოდ საჭირო არ არის ადამიანის ორგანიზმის ეს ზოგადად ძალიან გამოსადეგი ნაწილი? მექანიკურობამდე გათვლილია ადამიანის (ამ შემთხვევაში ინტელიგენტის) მოქმედების ამპლიტუდა, არე, მიზნები, ამოცანები.

თ. ჭილაძე დიდ დატვირთვას უძებნის ყოველ სიტყვას: „ვასო", „ვასიკო", „გუგული" და სხვ. გუგული ძველებური სახელია და თითქოს იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ პერსონაჟი ტრადიციული, „გუგულივით გოგო" უნდა იყოს. მაგრამ იმასაც ერთი სული აქვს მალე შეაბას ეჟვანი ბეკეკას (თომას), რათა სიამოვნებით „გადააბაროს" მას ბაზარი, სამზარეულო, სკოლა, ორგანულად შეურიგდეს თავისი დროის გარეგან და შინაგან კონფორმისტულ გარემოს, სადაც ადამიანები კარგავენ თავიანთ ბუნებრივ, ნორმალურ არსებობას და ემსგავსებიან ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბინადართ, რომლის მოდელსაც ქმნის სცენის ყოველი აქტი და სურათი მთლიანობაში. „ვასოს" და „ვასიკოს", როგორც არსებით სახელებს, რომლებიც პიესის შინაარსობრივ და იდეოლოგიურ საზრისთან არიან მჭიდრო კავშირში, ხანგრძლივი თავგადასავალი გააჩნიათ. ვასოდან ვასიკომდე პერსონაჟის მთელი ბიოგრაფია და საზოგადოებრივი ცხოვრების არსია გადმოცემული. ქრონოტოპის თვალსაზრისით, რამდენადაც ვიცით, სავსებით ორგანული, მხატვრული გადაწყვეტაა.

პორტრეტის ცვლილება ძველისძველი დრამატურგიული ხერხია და დროის მაფიქსირებელი ხატი. მაგრამ ეს ხატები, როცა ეს აუცილებელი იყო, განფენილი იყო მოქმედებიდან მოქმედებაში, სურათიდან სურათში. „ნახვის დღეში" ორივე პორტრეტი (ცოცხალი მოქმედი პირი) მოცემულია ერთსა და იმავე აქტში ერთსა და იმავე სცენიურ დროს, ერთსა და იმავე სცენისმიერ სივრცეში და ამავე დროს წარმოქმნის კოდირებული დროის შეგრძნებას თუ შეგნებას, რადგან ეს არის სურათები არა მარტო ხატვისათვის, არამედ ანალიზისათვის, განსჯისათვის. ეს არის ხატებით და ნიღბებით აზროვნება. თუმცა ადვილი არ უნდა იყოს იმის შეცნობა, რომ ვასო იგივე ვასიკოა და პირიქით. მხოლოდ ვასო ფიქსირებული დროის აღმნიშვნელია,[1] აწყისისა. დროის „წინსვლის" მაჩვენებელია „ვასიკო". თუმცა, ჩემის აზრით, მკითხველისათვის, კიდევ უფრო მაყურებლისათვის, ადვილი არ უნდა იყოს „ვასოს" და „ვასიკოს" იდენტიფიცირება. მით უმეტეს, რომ თვით იზა, ვასოს (აგრეთვე ვასიკოს) მეუღლე, ვერ ცნობს თავის ქმარს, თუ გავშიფრავთ, აღარც კი აგონდება ვასიკოს ახალგაზრდობა. ბოლოს და ბოლოს, მაინც იზა, ვასოს დახმარებით, აღადგენს ყველაფერს, ვასოს „დაჩიავების" ისტორიას. „მელოტი", „ღიპი" — ეს დროისმიერი აღმნიშვნელებია, „ტოპის" ფიზიკურ გამოხატულებაზე უფრო ძლიერი, თვალით უჩინარი „აღმნიშვნელებია" ვასიკოს სულიერ სამყაროში მისი ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე. ამ ხელოვნური „პროფესორის" ინტელექტის და ზნეობრივი სახის უპირველესი გამომხატველია ნივთომანია.

„ნახვის დღეში" ნივთომანია სრულიადაც არ არის „ჰობი". ჰობიც რომ შევარქვათ, ის ხსნის ადამიანის უძირითადეს მისწრაფებებს, ინტერესთა წრეს, განვითარების დონეს, გონიერების საზღვრებს — თუმცა, თუ ადამიანის იმ მიდრეკილებას რეტროსპექტული რაკურსით შევხედავთ უსაზღვროდ პროლონგირებული „რევოლუციის" გადასახედიდან, მასში შეიძლება უძველესი დროის არქეტიპის იმპლიციტური კოდი აღმოვაჩინოთ, როცა გვარტომობის პერიოდში, პერმანენტული თავდასხმების დროს, იძულებით ლტოლვილს, უპირატესად ქალებს, ცხვირში და ყურში გაჩრილი ოქროსა და ძვირფასი ქვების ნივთები საარსებო წყაროდ გადაქცევიათ. ჩვენს დროშიც ნორმალურ ადამიანებს ნორმალურ დროს

შეძენილი აუცილებელი ნივთები ასევე სიმშილით სიკვდილისაგან თავის გადარჩენის საშუალებად ქცევიათ. ოლონდ ესაა, გაღატაკებულ ხალხს შესყიდვა აღარ შეუძლიათ და ჩვეულებრივი ნივთები არალიკვიდური ხდებიან. ასე რომ, ალბათ, ძველიდან მიღებულ ჩვევებს, უკანასკნელი დროის გადასახედიდან მთლად უკუღმართ ჩვეულებად ვერ ჩავთვლით. მაგრამ ვასიკოს ნივთების შეძენა იდეა-ფიქსად გადაქცევია. გილიოტინის ყიდვა კი აბსურდის თეატრის ნესების დაცვით ჰიპერბოლად და გროტესკად უნდა ჩაითვალოს. ჯერ ერთი, აშკარა ანაქრონიზმია და მოხმარებაც არ იციან. ამასთან „თავის მოსაჭრელად ახლა გილიოტინა აღარ არის საჭირო, უამრავი სხვა საშუალებაა გამოგონილი, რომელთაც ხშირად იყენებენ. განსაკუთრებული მრავალჯერადობით კი ჟურნალისტი ამირანი გამოირჩევა. ბოლოს ვასოს „აღმოჩენაც" ხერხდება და მხოლოდ იმისთვის, რომ „მეორედ მოკლან". იგი გილიოტინის დაუხმარებლად ჭრის თავის პრობლემას. ვასოს „აღმოჩენის" და მისი „მეორედ მოსვლის" სცენების იდეურ არსს კომპოზიციურად პიესის დრამატურგიული გამთლიანების ფუნქციაც აკისრია. თუმცა, ადვილი არ არის გადაჭრით თქმა, რამდენად სრულად ახორციელებს ეს ბოლო ეპიზოდები ამ ამოცანას.

სტილურად, იდეოლოგიურად, ადამიანის კონცეფციის ინტერპრეტაციით (გამოსახულებაში), ცხოვრების რიტმის და არსის თვალსაზრისით „ნახვის დღე" ერთიანი და მთლიანი ნაწარმოებია. ეს ერთი „მაღალსართულიანი სახლი" მსოფლიოს ნაწილია. ამიტომაც ეს ოთახი, ბინა — პალატების სიმულტანური გაერთიანება, მხატვრულად გამართლებულია და ბუნებრივი. პიესაში შეზავებულია საყოველთაო „თამაში", იუმორი, ირონია, ჰიპერბოლა, გროტესკი — ჭეშმარიტი კომიზმი.

●

„ნახვის დღეში" და არა მხოლოდ ამ პიესაში, წარმატებით გამოყენებული დრამატურგიული არსენალი გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ ჩვენს წინაშეა კომედიის ოსტატი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თამაზ ჭილაძეს აკმაყოფილებს ერთ ჟანრში მუშაობა, რა გინდა წარმატებულიც არ უნდა იყოს ის.

დრამატურგს აინტერესებს, ოლდოს ჰაქსლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სრული სიმართლე", ცხოვრება თავის მრავალფეროვან და მრავალსახოვან მდინარებაში, თავისი კომიზმითა და დრამატიზმით, თავისი ტრაგიკული არსით. ჰაქსლი „სრული სიმართლის" დიად მაგალითს გვიჩვენებს „ოდისეის" ანალიზის საფუძველზე, რომელიც ამ სიმართლეს იტევს ეპიკური მრავალფეროვნობა, ერთი თხზულების შიგნით. მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ უპირატესად იცის ამ თვალსაზრისთა დიფერენციაციის მაგალითები. თ. ჭილაძე ქმნის როგორც კომიკურ, ისე დრამატულ ნაწარმოებებს. ბოლო პერიოდში წარმატებული გამოდგა ტრაგედიის შექმნის ცდა. აქვე უნდა ვთქვათ, მკაცრი სადემარკაციო ხაზი შეიძლება არც იყოს გავლებული ამ ჟანრის ნაწარმოებებს შორის. ცხოვრებას მწერალი ხედავს მის მთლიანობაში, ურთიერთმიმართებებში, სადაც შეიძლება ყოველივე გაშიფრული და დახარისხებული არ იყოს. მწერლის საერთო განწყობა, ჩვენი აზრით, მაინც ტრაგიზმით არის აღბეჭდილი, ადამიანის არსებობის და მისი შეგნებული მოქმედებისადმი აშკარად სკეპტიციზმის კვალს ატარებს.

ტრაგიზმის შეგრძნება იმდენად ძლევს მწერლის განწყობილებაში, რომ ზოგჯერ აშკარა კომიზმით გაჟღენთილი ნაწარმოები, რომელიც თითქოს „ჰეფფიენდით" უნდა დაბოლოებულიყო, მაგალითად, „ჩიტების ბაზარი", დასაშვებ, მაგრამ არალოგიკურ ტრაგიკულ დასასრულს პოულობს.

ჭეშმარიტი ტრაგიზმით აღბეჭდილი „არაბეთის სურნელოვანი ბალახები"... მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია და მრავალი მოტივისა და მხატვრული ამოცანის თავშესაყარი.

„თამაშის" ესთეტიკა აქ განვითარებას იღებს და უფრო მრავალფეროვანი და გამომხატველი ხდება. თუმცა, ამჯერად მისი გენეზისი პოსტმოდერნის პოეტიკასთან ნაკლებად უნდა იყოს წილნაყარი, ყოველ შემთხვევაში ირონიას არ ახასიათებს პოსტმოდერნისტული სიმსუბუქე და არასერიოზულობა.

„არაბეთის სურნელოვან ბალახებში" შეინიშნება „თამაშის" ორმაგი კოდირება. მისი პირველი შრე კონვენციურია, ორი აქტანტის სრული თანხმობით და, ერთგვარად, ურთიერთგართობის ფორმით ხასიათდება. სინამდვილეში კი ასრულებს ნაცრის წაყრის მოვალეობას, რათა ნაღვერდალში შეხვეული ვნებების შემთხვევით გამოჩხრეკას და აბობოქრებას ხელი შეუშალოს და ზედ გადაეფაროს. „თამაშის" მეორე შრე იმპულსურია, შემთხვევით შეიძლება ზღვარს გადაცდეს, გაჩაღდეს და რესპექტაბელური საუბარი პირდაპირ დუელში გადაიყვანოს. ეს უფრო ბრძოლაა, ვიდრე „თამაში". მაშინ აქტანტი ნიღაბს იხდის. „რა

დროს როლია!" — პისტოლეტის სასხლეტი-ვით დასცდება გაავებულ მარიამს. მაგრამ გზა ნიღბის ახდამდე პირდაპირი და სწორ-ხაზოვანი არ არის. „თამაშის" მეორე შრე მრავალწახნაგოვანია მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით მიდის და თანდათანობით ამო-ჰყავს ჯურღმულიდან ორივე აქტანტის „შე-უხედავი" სახე. „ამოყვანის" პროცესი ხანგ-რძლივია, თანდათანობით ხორციელდება და მკითხველი ხედავს ერთი აღმნიშვნელის მრავალ მრავლობით აღნიშნულს. ზოგჯერ სავსებით მოულოდნელს.

„პალიმფსესტის" ძველ „გადაშლილ" ტექსტში შეფარული წახნაგი ახალი სხივით შუქდება. აქ არის დიდი ოსტატობა საჭირო, როგორი თანმიმდევრობით, რა ზომით და რა დოზით და შუქ-ჩრდილებით, რა მომენტში ჩართო ყოველივე ეს და გამოი-ტანო მკითხველის (ან მაყურებლის) თვალწინ, რომ მთელი სისავსით და ძალმ-ოსილებით შეაგრძნობინო პერსონაჟის სუ-ლის სიღრმეები, მისი ძნელი ბედი, რთული ცხოვრების გზა, ტრაგიკული განცდა, იძუ-ლებითი თუ საკუთარი ფსიქიკის გახარჯვის ბაზაზე მიღებული ნაბიჯები. მხოლოდ ამ ნაბიჯების, გადაწყვეტილების მიღების თუ უეცარი იმპულსების ნიადაგზე გამ-ოვლენილი ქცევის, მოქმედების გზით შეი-ძლება მივიღოთ პერსონაჟების ფსიქიკის მეტ-ნაკლებად ადეკვატური სურათი. პერსონაჟის ქცევა არის „კარდიოგრამის" კბილანები, რომელთაც უნდა გვიჩვენონ გმირის გულის, გონების — მთელი ფსიქიკის დინამიკური სურათი.

დიალოგების აგების მთელი სირთულის გასათვალისწინებლად აუცილებელია გავი-ხსენოთ, რომ ორივე აქტანტი, განსაკუთრ-ებით მარიამი, გადაფაფრულია თავისი ცხ-ოვრების გზის საიდუმლოს და ცდილობს არ გაამჟღავნოს ის არა თუ სიტყვით, რაიმე ჟესტით თუ ქცევის ნიუანსითაც კი. შედარ-ებით მშვიდად შეუძლია წერა ავტორს „თამა-შის" პირველ შრეებში, სადაც პერსონაჟები „მშვიდად" საუბრობენ, შეთანხმებულ გზას მიჰყვებიან, მხოლოდ ანასტასია თუ ჩაჰკო-რტნის მოსაუბრეს ხანდახან. მაგრამ უკვე დიდი ყურადღებაა საჭირო „თამაშის" მეორე შრეში, სადაც სტილეტის მახვილი წვერი ნამდაუნუმ ჩხვლეტას აყენებს მოპაექრეებ-ს და ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგი-ლებში. სწორედ აქ თამაზ ჭილაძე ზომიერებით და დიდი ტაქტით ადევნებს თვალს თავის გმირებს, მათი სულის მოძ-რაობის არც ერთი ნიუანსი არ გამოეპარე-ბა და ასე აგებს ჭეშმარიტად დიდოსტატურ დიალოგებს, ჭეშმარიტ ტრაგედიულ თხზუ-ლებას რომ დაამშვენებს.

დრამატურგი ყოველთვის ცდილობს ხა-სიათის ანთროპოლოგიური არსი განუყო-ფელი იყოს სოციოლოგიურ, საზოგადო-ებრივი ცხოვრების მდინარეებს [illegible] კვალ-კვალ. ეს არ არის ადვილი საქმე. ხასიათე-ბის ბრძოლის კონტექსტში ბუნებრივად ჩაეწნა საზოგადოებრივი კატალიზმები. „არაბეთის სურნელოვანი ბალახები" ისტორიული რეალიების მიხედვით დაუბრ-კოლებლად შეიძლება „დაემაგროს" ასახული დროის ეპიზოდებს, მაგრამ უმთავ-რესი სიძნელე ხასიათების არსის გახსნის სირთულეშია, ან ხასიათების ბრძოლაში აი-სახოს და გამოიხატოს საზოგადოების გა-ნვითარების ამა თუ იმ პერიოდის ეპოქის არსი. ანასტასიას და მარიამის ადამიანური ხასიათები, მათი ბობოქარი ვნებები იმდენად რელიეფურადაა გამოხატული პიესაში, რომ უეჭველად ფარავს სხვას ყველაფერს და ვერ იტყვი ტრაგედია ეპოქის სრულფას-ოვანი გამოხატვა იყოს.

ორი აქტანტის დიალოგის პასაჟებში თანდათან მჟღავნდება ამ ორი ქალის ყოვლის შთანმთქმელი ვნებათა ჭიდილი და ყოვლისმომცველი ცეცხლით აღსავსე სუ-ლის ჯურღმულები. თითქოს პროტაგონის-ტად მოვლენილი ანასტასია მეორე პლანზე ინაცვლებს და პროსცენიუმზე გარეგნუ-ლად დაჩაგრული და ბედს დამორჩილებული მარიამი გამოდის. წარსუ-ლის ყოველი ფაქტი მათთვისაც კი ახალ განათებას იღებს და ახალი შინაარსით წარ-მოდგება ორივე პერსონაჟის წარსული და ამჟამინდელი ცხოვრება, ნაბიჯ-ნაბიჯ, რეპლიკიდან რეპლიკამდე მჟღავნდება მათი სულის უფსკრულები, ყოველივე ეს ცხოვრების უმკაცრეს სვლებთან კავშირში უნდა იქნას აღქმული. და მაინც ეს ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ტრაგიზმი, ვერც ანასტასიას სიკვდილს აჰყავს პიესა ამ მა-ღალ რეგისტრში. ორივე პერსონაჟის ურთულესი დუელი პიროვნების კრიმინალური ფსიქიკის ენცეფალოგრამად შეიძლება იქნას აღქმული...

მაგრამ ფინალში...

ფინალში ერთბაშად ნათლდება ყოველი-ვე.

„მარიამი: (წამოდგება) დედა!.. დედა, კარგი, გეყოფათ თამაში, სად დამემალეთ?.. დედა! (ტირილგარეული ხმით) ავ-ავ-ავ?.."

ეს „უბრალო", უპასუხო რეპლიკა, პიესის მთელ ტრაგიზმს იტევს, უფრო მეტიც, ნა-მდვილ ტრაგედიად აქცევს მას.

ეს მარიამის ყველა ომზე უფრო მძიმე ომია. „ომზე უარესი — წარღვნა, აპოკალი-ფსი..."

ეს მარტოდ დარჩენილი მარიამია!

„დედა... სადა ხართ; სად მემალებით!.."

მთელი პიესის მანძილზე ისმის ეს მიმართვა: „დედა".

ამ ერთ აღმნიშვნელს მრავალი მნიშვნელობა აქვს: რესპექტაბელობა (რადგან მოითხოვენ: „როგორ მომმართავ!"), ეტიკეტი (ანასტასია მარიამის ქმრის დედაა); ჩვევა, წლების მანძილზე შემუშავებული, დაბოლოს, ნიღაბი. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში სიტყვის ნამდვილი სემანტიკური არსი — „დედა" არ ისმის!

მხოლოდ ფინალში, როცა ანასტასია მოკვდა (გაქრა), როცა მარიამი მარტო დარჩა და მთელი საშინელი სიცხადით წარმოდგა მარტოობის თავზარდამცემი შიში, მაშინ წარმოთქმული — „დედა, ნუ მემალები" — მოიპოვებს ჭეშმარიტ, გულიდან წამოსულ არსს.

მარიამი მართლა გულწრფელად დაეძებს ანასტასიას, ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა ამქვეყნად. მაგრამ, რომელთანაც ერთად ცხოვრება მრავალი წლის განმავლობაში განგებამ მიუსაჯა და ურომლისოდაც მართლა ვეღარ გაძლებს. და, რომ შეიძლებოდეს, მისი პოვნა, გაცოცხლება, გულწრფელად უნდა.

და გულწრფელად უწოდებდა მას „დედას".

და ის იქნებოდა მარტოობის შიშისაგან მხსნელი არსება.

აი აქ, ფინალში, მთელი ძალით შიშვლდება მარიამის ცხოვრების ტრაგიზმი, მისი საბრალო არსებობა.

და იგი მოჩანს, როგორც ადამიანის ზოგადი სახე, რომელსაც გულს უღრღნის „თანამცხოვრები" ადამიანის სიძულვილი. მაგრამ ღმერთმა მიუსაჯა იცხოვროს, იარსებოს ერთად. და აქ ისახება მისი არსებობის პარადოქსი — ეს არის მისი არსებობის უძირო ტრაგიზმი და უსაზღვრო ბედნიერებაც.

აქ ინასკვება „არაბეთის სურნელოვანი ბალახების" მითი უღრმესი სიძულვილის და სიყვარულის შესახებ ადამიანის არსებაში.

თ. ჭილაძე, როგორც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს აზრი, ერთი შეხედვით, თავის ლირიკაშიც კი უაღერსად დინჯი ეპიკური ხედვის შემოქმედია, თუნდაც არაფერი ვთქვათ მის პროზაზე. სინამდვილეში კი მის ეპიურ სიდინჯეში იმპლიციტირებულია ცხოვრების ტრაგიკული შეგრძნება. მე ვერ ვიტყვი, რომ ისეთი გაწონასწორებული ხელოვანი, როგორიც თ. ჭილაძეა, ტრაგიკოსი იყოს. მაგრამ მისი მსოფლშეგრძნება უაღრესად ტრაგიკულია. ის დრამატულად აღიქვამს და განიცდის კაცის ბედს, სკეპტიკურად უყურებს ადამიანის უნარს და სულიერ ძალას. დრამატურგს კარგად ესმის და ათვისებული აქვს მარადისობის ბრძნული დინების არსი, რომლის ეპიკური აუმღვრეველი ხედვა, ალბათ, მხოლოდ უზენაესი შემოქმედის პრეროგატივაა.

ადამიანი კი მარადისობას და თავის დროსაც ხედავს საკუთარი ეპოქის კონტინუუმიდან.

●

ამავე პერიოდში მკითხველის (მაყურებლის) ყურადღებას იმსახურებს ლაშა თაბუკაშვილის პიესები „შენსკენ სავალი გზები", „დარაბებს მიღმა გაზაფხულია", „ათვინიერებენ მიმინოს" და სხვ.

დრამატურგი სინამდვილესთან კონტაქტს ამყარებს უშუალოდ, მაშინვე რთავს ემოციებს და თუ თ. ჭილაძის პიესებში ემოციურის და გონითის ურთიერთმიმართების ვექტორი შეიძლებოდა წარმოგვედგინა გონითისაგან ემოციურისაკენ, აქ პირიქითაა, ემოციურიდან განსჯისაკენ. ადრე ამ მიმართებებს სხვა მნიშვნელობას აძლევდნენ. დღეს კრიტერიუმები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში სტანდარტები არ არსებობს.

პიესა „შენსკენ სავალი გზები" პირველივე სურათიდან, პერსონაჟების პირველივე ნაბიჯიდან გვამცნობს ქუჩიდან, გარედან მომდინარე პრობლემებს, რომლებშიაც მკითხველი (=მაყურებელი) პერსონაჟებთან ერთად ერთვება.

„მარიამი: (აქოშინებული) — მგონი... მგონი დაჭრილი ხართ!

კახა: — არაფერია, გამკაწრა მხოლოდ!"

მაგრამ ეს პასუხი არ არის საკმარისი. აუცილებელია საკუთარი თვალით ნახოს პერსონაჟებმაც და მაყურებელმაც, ნატურით დარწმუნდეს.

„მარიამი: — მაჩვენეთ მკლავი!" გახდის ტყავის კურტაკს. კახას მარცხენა ხელი სისხლში აქვს მოთხვრილი.

მარიამი: (სახეზე იფარებს ხელს) ვაიმე!"

მეორე პიესაში: „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" პრობლემა მკითხველის თვალწინ ფორმირდება.

ცხადია, ეს ამ პიესების არც დადებითი თვისებაა და არც უარყოფითი. ეს მათი თავისებურებაა.

„გარედან" შემოსული პრობლემები, ბოლოს და ბოლოს, პიროვნულად უნდა იქნას გათავისებული, პიროვნების ცნობიერებაში უნდა ჩამოყალიბდეს, მიიღოს გარკვეული ფორმა და შინაარსი. პიესაში „შენსკენ სავალი გზები" რამდენიმე პერსონაჟია, ამდენად, რამდენიმე თვალსაზრისი

სამყაროზე, გარემოზე, ცხოვრებაზე, ადამიანებზე. ისინი მარტონი არიან თავიანთ აზრებთან, შეხედულებებთან და მუდამ განიცდიან სიმარტოვის დამთრგუნველ გრძნობას. მუდამ ცდილობენ ეძიონ სხვა ადამიანებისაკენ „სავალი გზები". ყოველ მათგანს ეს მეტნაკლებად, ან სრულებითაც არ აქვთ გაცნობიერებული. ყველაზე მეტად ამ რთულ და ადამიანისათვის გაუსაძლის მდგომარეობას განიცდის ყველაზე უფროსი მათ შორის მარიამი, რომელსაც ცხოვრების გარკვეული გამოცდილება აქვს.

მარიამის თვალსაზრისი, მისი შეხედულებები, შეიძლება ითქვას ერთგვარ საზომად, ორიენტირად არის დასახული დრამაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მარიამი არამხოლოდ გამუდმებით ფიქრობს ადამიანის ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროებზე, არამედ ცდილობს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის მიხედვით პრაქტიკული გადაწყვეტილებები განახორციელოს, ადამიანურობის, გულითადობის გამოსავლენად თავისი უმცროსი მეგობრების მიმართ. მისი მოქმედება ერთგვარ ამაღლებულ განწყობილებას და რომანტიკულ ელფერს ანიჭებს პიესას და სპექტაკლს.

„გრძნობების აღზრდის" რომანის ანალოგიით „შენსკენ სავალი გზები" შეიძლება „აღზრდის დრამად" დავსახოთ. არა იმიტომ, რომ პიესის ცენტრში ახალგაზრდების ცხოვრებაა მოქცეული – კახას და ირინას არცთუ იოლი ურთიერთდამოკიდებულება. ადამიანის „აღზრდა", მისი გარკვევა სამყაროში, სამყაროს ათვისება და საკუთარი ადგილის ძიება ადამიანურ საზოგადოებაში მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, რაც პიესაში რეალიზდება, პირველ რიგში, სწორედ მარიამის მხატვრულ სახეში.

მარიამის უპირველესი თვისება კეთილის, სიკეთის დანახვის უნარია, ადამიანების გულებისაკენ სავალი გზების ძიებაა. ეს ერთგვარ ლირიულ ტონალობას აძლევს მთელ პიესას და მიუხედავად დასახული ამოცანის უდიდესი სირთულისა, მაინც ერთგვარად ამსუბუქებს ცხოვრების სიძნელეთა აღქმას. დამნაშავეთა სამყაროსთან შეხებისას მარიამი „შემთხვევითობას" და „შეცდომებს" ხედავს. ბოროტის დანახვის კატეგორიული წინააღმდეგია. რელიგიაზე, რელიგიურ გრძნობებზე არსად მინიშნებულიც კი არ არის პიესაში, მაგრამ დრამის მთელი ფილოსოფია დაფუძნებულია ქრისტიანულ მორალზე, ზნეობაზე, რომელიც ქრისტიანული ეთიკის სახით ეროვნული მონაპოვარი გახდა და სწორედ ამ გზით გადავიდა თუნდაც ათეისტის ცნობიერებაში, როგორც საუკუნეობრივი გაგების, თანალმობის, პატიების, შენდობის, დახდობის კატეგორიები სიკეთის „გრძელი არსების" ნეოპლატონიკურ პოსტულატს დაეფუძნა. ქართული ხასიათის გარკვეული ნიშნები, ღრმა რწმენა სიკეთის სუბსტანციურობაში. „ბოროტიმცა რად შეექმნა სიკეთისა შემოქმედსა", რაც თითქოს ხსნის თეოდიცეის პრობლემას, მაგრამ ბინარული ოპოზიციის ხელოვნურ დეკონსტრუქციას იწვევს. ცხოვრებაში არც ისე ადვილი გასარკვევია ბოროტისა კეთილის ურთიერთმიმართება.

კახას გადაწყვეტილება ციხიდან გამოპარული „ძმაკაცის" გამო ირინასთან საქორწინო მოგზაურობის გაუქმების შესახებ, სავსებით გამართლებული გვეჩვენება. ირინას პასუხი ამაზე ორგვარად შეიძლება იქნას გაგებული – ან სიყვარული არ ყოფილა ნამდვილი, ან ისევ „შეცდომა" გამოდის ასპარეზზე. „შეცდომებით" და „შემთხვევებით", რომლებითაც ხშირად ოპერირებს მარიამი, აღსავსეა სამყარო და ადამიანთა ცხოვრება. მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში „შეცდომები" და „შემთხვევები" მხატვრული კანონზომიერების რეალიზება შეიძლება იყოს მხოლოდ და გარკვეული კონოტაციების განსახოვნებას ახდენდეს. ახლა არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებენ, რომ ბუნების, კოსმოსის „შემთხვევები" და „ცდომილებებიც" აგრეთვე კანონზომიერი მოვლენები ყოფილა.

„დარაბებს მიღმა გაზაფხულია" უფროა დაახლოებული „გრძნობათა აღზრდის დრამასთან" და მხატვრული პრობლემა პირდაპირ კარნახობს კვანძის შეკვრის, მოქმედების და სიუჟეტის განვითარების სავარაუდო გზებს. შეიძლება ითქვას, ეს ექსპერიმენტული დრამაა, რომელიც ახალგაზრდების აღზრდის, საბედისწერო შეცდომებისაგან გაფრთხილების და დაცვის ამოცანასაც ასრულებს. დრამატურგი უეჭველად კეთილად განაწყობს დრამისადმი მკითხველს თავისი უშუალობით, მასალასთან მისვლის ბუნებრივობით, კეთილი იუმორით და ახალგაზრდა პერსონაჟების სიცოცხლისადმი სიყვარულის უშრეტი გამოვლინებით, ცოცხლად დაწერილი სცენებით.

პრობლემა აქაც ცხოვრებისეულია, ერთმანეთისაკენ „სავალი გზების" ძიებაა, ერთმანეთისადმი ყურადღების გამოვლინება, ეგოისტური მისწრაფებების მოთოკვა და ადამიანური გრძნობების გაღვივება, ადამიანის ირგვლივ მყოფთა შორის დანა-

ხვის სიბრძნის მიღწევა, სუბსტანციის ხილვა ჩვეულებრივში, წარმავალში, მარადიული ფასეულობის დანახვის ნიჭი ყოველდღიურობაში, სიყვარულის სიბრძნის წვდომა და ბედნიერების განცდის უნარის განვითარება.

„კოკა: მე მაშინაც მიყვარდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი ამას. ვილაცას ველოდი, შენი მოსვლა ვერ შევამჩნიე".

ეს სინანული დაგვიანებულია. ნინიკო სულაც არ კეკლუცობს, თავპატიჟს არ იდებს. უბრალოდ, სიყვარული გაქრა. შვილის გაჩენის მოლოდინში დამფრთხალი, შეშინებული კოკას სახე მას თვალწინ უდგას და ხელს უშლის, მასში საყვარელი კაცი დაინახოს.

აქ შეიძლებოდა პიესა დამთავრებულიყო, მაგრამ ავტორი გრძნობს, რომ ეს არ არის საკმრისი სრულფასოვანი დრამისათვის. ცდილობს, დაძაბულობა გააძლიეროს მელოდრამატული გზით, ჯერ იშვიათი პლასტიკით შექმნილი ახალგაზრდა ლამაზი ბებიის სიკვდილით, მერე კოკას, მისი მეგობრების სერიოზულად დამაფრთხობელი, სამდღიანი გათიშვით და გადაბმული ძილით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ორივე პიესაში, განსაკუთრებით „შენსკენ სავალ გზებში" იგრძნობა რომანტიკული პათოსი, სამართლიანობის ძიების ამაღლებული გრძნობა, იმ დროისათვის დამახასიათებელი პათეტიურობა, ენერგია, სილამაზე, მზე, სიყვარული, იმედიანი ფინალი. არის ინტერტექსტის გამოყენების რამდენიმე მაგალითი.

ლაშა თაბუკაშვილის პიესებში ყველაზე წარმატებულად, ან „გახმაურებულად", იქნებ სამართლიანადაც, ითვლება უფრო გვიან, 90-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილი „რა ვუყოთ, რომ სველია, სველი იასამანი".

ამ პიესის სირთულეს ქმნის, უპირველესად, ჟანრის დიფუზიური კალეიდოსკოპური მრავალფეროვნება რეალისტური დრამიდან არტოს „სისასტიკის თეატრის" ელემენტების გამოყენებამდე. გზადაგზა „ავანგარდისტული", „ანტითეატრის" ხერხებით და მეთოდების გინდა ორგანიულ, გინდა ინტერტექსტუალურ ჩართვამდე. საბოლოო ანგარიშით, იგრძნობა ავტორის მიდრეკილება, ფეტერის გამოყენების ხარჯზე, დრამას ფანტასტიკური ზღაპრის ელფერიც მიეცეს და ერთგვარად სტილურად დაუკავშირდეს შედარებით ადრინდელ პიესას „ათვინიერებენ მიმინოს". ვფიქრობთ, შეიძლებოდა ამ მიმართულებით არ გარჯილიყო დრამატურგი. პიესა მაინც არ იკითხება როგორც ზღაპარი, მხოლოდ სტილური ერთიანობა ირღვევა, მკაცრი, ძნელი სინამდვილე და ჰაერივანი გამონაგონი ცალ-ცალკე რჩება და ვერ ერთიანდება ჟანრულ მთლიანობაში, აქცენტები იკარგება და მძაფრი დრამატიული თხზულება მიდის ვოდევილური ფინალისაკენ.

ვფიქრობთ, აქ დაირღვა სტილის „მასალასთან" შესატყვისობის შემოუვლელი პრინციპი. ამას ჩვენ სხვა ავტორებთანაც შევხვდებით შემდეგ, და ამიტომაც მათ უჭირთ ხშირად დრამატურგიის შიდა სტილური საზღვრების დადგენა, დრამის და კომედიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ კრიტიკამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დრამატურგიის დაჟინებული სწრაფვა გამოვიდეს ჟანრული ჩარჩოებიდან და მეტი თავისუფლება მოიპოვოს ამ მიმართებით. მაგრამ ვფიქრობთ, აქ საკმაოდ ხშირად ირღვევა დრამის სტილური არსი და „სათქმელის" ლოგიკა, ბუნებრივობა და მკითხველზე, მაყურებელზე რეალური ზემოქმედების პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ „იასამანში..." მოქმედება, პერსონაჟები რამდენადმე „ვუალიზებულია", პიესაში მაინც ზედმიწევნით იკითხება „მიმდინარე" სცენიური და წინაისტორია, მოქმედების ადგილი, მოქმედი პირნი და მათი ცხოვრების ტრაგიზმის საფუძველი. უნდა ვთქვათ, ავტორი არც მალავს ამის მიზეზებს. რატომღა დასჭირდა მას ერთგვარი „გაუცხოება", თუ ეს მაინც არ გამოდის? ამის შესახებ ნიას სახესთან დაკავშირებით.

ახლა კი გვინდა ვთქვათ, რომ პიესა რეალისტური დრამის უეჭველ ნიშნებს ატარებს და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რეცენზენტს საფუძველი ჰქონდა სავსებით სამართლიანად გაეხსენებინა დიდი ილიას ცნობილი რეალისტური პრინციპები ხელოვნების ცხოვრების სიღრმეში შეჭრის აუცილებლობაზე, სადაც ის აუცილებლად იპოვის „მარგალიტსა", და „ლექსა და ლაფს".[7] აფხაზეთის ომის მონაწილე ჭაბუკები თვითონ არიან ლექსა და ლაფში ჩაფლული მარგალიტები. ხდება დაუჯერებელი და ამ მარგალიტებს კაროზია უჩნდებათ. შექმნილი სცენიური სიტუაციისა და ცხოვრების სინამდვილის ანალიზი გვარწმუნებს, რომ დრამატურგმა, რეალისტური ხელოვნების ძალით, შექმნა ერთი მართალი ვარიანტი. თუმცა, ჩვენი აზრით, ბევრი სადავო დაგვრჩა პიესის ავტორთან.

თავიდანვე კი ის უნდა შევნიშნოთ, რომ დრამატურგს არა სწორად უსაყვედურებდნენ პიესის ენობრივი ქსოვილის

გამო. სკაბრეზული გამოთქმები, „დაშლილი ენა“ და უხერხული კალამბურები, იქნებ, მართლაც იყოს გათვლილი მაყურებლის გარკვეულ კონტიგენტზე, მაგრამ ეს არ არის მთავარი. საბოლოო ანგარიშით, „იასამანში“ ეს თვითმიზანი არ არის. მან ცხადი უნდა გახადოს აფხაზეთის ომში დაღუპული კახას ბინაში დასადგურებული მეგობრების ამოვარდნა ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან. მთელი ქვეყანა ამოვარდნილია ამ კალაპოტიდან, მაგრამ ახალგაზრდების ეს ჯგუფი მაინც განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: „გიო: ჩვენი თაობა უკიდეგანო ბოზობას შეეწირა!!!“ ვერავითარი ლიტერატურულად დახვეწილი და დავარცხნილი ფრაზა ვერ გამოხატავდა იმას, რაც აქ ითქვა. აღმნიშვნელი უზომო შესაძლებლობებს მოიცავს, აღნიშნულის მრავალმხრივი ვარიაციული სპექტრის უფართოესი დიაპაზონით და მნიშვნელობათა სიმრავლით. ეს რაც შეეხება სემანტიკური არსის გამოხატვის პრობლემას. მაგრამ ესთეტიკური პლანით, უფრო მეტად თუ არა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფორმა და სტილი, გამოთქმის შესატყვისობა. თუმცა, იქნებ აქ არტოსა და ადამოვის „სისასტიკის თეატრის“ ზოგადი სტილური ნიშნების გამოძახილიც დავინახოთ. მით უმეტეს, პიესაში „სისასტიკის თეატრის“ დეტალები ზოგიერთ სხვა ეპიზოდებშიც შეინიშნება. გიო პისტოლეტის ლულას ჩათხრის ერთ ავაზაკს ხორხში – „შენ ყელის მდგომარეობა ვერ გქონია კარგად.“ – „მზრუნველად“ ეუბნება ბოლოს მას.

არტოს, შემდეგ ადრინდელი ადამოვის, „სისასტიკის თეატრის“ მიზანი იყო ქვეცნობიერი ძალების ამოხსნა, მაგიური ძალების ფლობა. ამ თეატრმა უკუაგდო ჩვეულებრივი ენა, რადგან ტრადიციული დიალოგი „აცამტვერებს საიდუმლოს“, ყველაფერი მატერიამდე და ლოგიკამდე დაჰყავს. ყველაფრის გამოხატვა ძალუძს მხოლოდ „მეტაფიზიკურ ენას“, რომელიც ლოგიკისა და სიტყვის ზღვრის მიღმაა. თეატრის ერთ-ერთი მიზანი იყო გათავისუფლება ენის დიქტატისაგან. ეს ცოტა განსხვავებული რიგის ამოცანებიცაა, და საერთოდ, „იასამანის“ ავტორი იქნებ პიესის შექმნის პროცესში საერთოდ არ ფიქრობდა „ავანგარდისტულ“ „ანტითეატრზე“, „სისასტიკის თეატრზე“. მაგრამ არ იქნებოდა მართებული, არ აღგვენიშნა ეს სტილური შეხვედრები, რომლებიც იქნებ მსგავსი სიტუაციის ასახვით თუ გამოხატვით წარმოიქმნებიან. არტოს აზრით: „ჩვენ თავისუფალნი არა ვართ – და შეიძლება თავზე ზეცა დაგვემხოს, თეატრი მოწოდებულია გაგვიმეღავნოს ეს... თეატრის მიზანია გააშიშვლოს არსებობის არამდგრადობა და აჩვენოს ყოფიერების სიცარიელე“. ეს აზრი ზედმიწევნით ახასიათებს, არა მარტო ერთ ბინაში ჩაკეტილი ახალგაზრდების, არამედ მთელი საქართველოს ბედს. განსხვავება აქ იმაშია, რომ „ავანგარდისტული თეატრი“ ბოროტების აბსტრაგირებას ახდენდა და ანთროპოლოგიურ ელფერს აძლევდა მას. „იასამანში“ ეს რეალისტური სტილით, მაგრამ არაერთმნიშვნელოვანი სემანტიკით ხორციელდება კონკრეტულ-ისტორიული წარმომავლობის მხატვრულ სახეებში. გიოს სკაბრეზულ რეპლიკაში მართლაც უკიდეგანო მნიშვნელობათა ფართო წრე იხაზება პიროვნებებიდან იმპერიებამდე. უფრო რთული, გამოუვალი სიტუაციის დახატვა, ალბათ, ძნელია. მაგრამ, ნიშნავს თუ არა გამოუვალი მდგომარეობა ფარხმალის დაყრას? რომ არ ნიშნავს, ეს დრამატურგმაც კარგად უნდა იცოდეს, მაგრამ პიესის არც ერთი გმირი, არათუ არაფერს არ აკეთებს ამ მიმართულებით, არამედ მათ არც რაიმე იდეა, ცოცხალი აზრი გააჩნიათ. რატომღაც არის იმედი, რომ ამის პასუხი საიდანღაც მოვა. მაგრამ საიდან? რეალური არაფერი ჩანს და მაშინ იწყება ირრეალური სამყაროს და მის ბინადართა შეწუხება. სხვათა შორის, რომ „პასუხი მოვა, მოვა სულ მალე!“ – ეს სიტყვებიც „სხვა განზომილებიდან“ მოვლენილ ნიას ეკუთვნის. ალბათ, თვითონ იცის, რა პასუხი მოვა და საიდან ჯერჯერობით კი:

„ბაჩა: როგორია ფხიზელი თვალით ამ ცხოვრების ყურება?“ ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან ილუზიებით თუ შეიძლება თავის დაღწევა. „ბაჩა: შემდეგ მოვა ილუზია, რომ ყველაფერს ეშველება“

მაგრამ როგორ?

„ბაჩა: გამიგია, მორევს არ უნდა შეეჭიდო, მინებდი და ფსკერს რომ იგრძნობ, მძლავრად დაჰკარი ფეხი და სხვა მხარეს ამოყვინთეო...“

რომელ მხარეს? ასეთებიც მრავლად აღმოჩნდნენ!

მაგრამ ბაჩა არა.

„ბაჩა: არა ჩანს ფსკერი, არა ჩანს სხვა მხარე“...

დაგვრჩა თვითირონია.

„აბა, ამას ხომ არ ვიკადრებ:

„მკერდს მაქვს მიყრდნობილი
ქნარი როგორც მინდა...“

ახალი პოეზია:

ნაკოლკები ყელამდე
განდონები ფერადი.

ესეც პირდაპირ ნატურიდანაა. გვყავს ასეთი „რეაქტიული პოეტები"...

და ოგინსკის პოლონეზი: „გამოთხოვება სამშობლოსთან"...

ერთადერთი იმედი სხვა განზომილებიდან შემოღწეული ნიაა: „— ერთი წამით უკან ვართ... რასაც ჩვენ მივაღწიეთ, იმას თქვენც მიაღწევთ, ოღონდ არა სისხლით!" თითქოს გაეროს, ეუთოს, რუსეთს, ამერიკას ახმოვანებდეს ერთად! აფხაზეთი, სამაჩაბლო პოლიტიკური საუბრებით უნდა დაიბრუნოთო. ის კაცი კი, რომელსაც, ალბათ, თანხმობა აქვს ამაზე, არ მოდის „კონსენსუსზე".

და ვართ ასე ათი წელია... ვსაუბრობთ.

მანამდე ნია, ანუ იდუმალებით მოსილი ბეიბისითთერი, ნარკომანობისგან იხსნის ბაჩას, გიოს. აქაც ჭკუის სწავლების და დახმარების გარეშე ფონს ვერ გავედით! იქნებ, მართლაც ასეა საქმე და ჩვენით არაფერი შეგვიძლია. ბავშვების დონეზე ვართ და ბეიბისითთერი პირდაპირ აღმოჩენაა ჩვენთვის. იქნებ მართლა ვერაფერს ხედავს საიმედოს დრამატურგი. მართლაც არ აღმოჩნდა ამჯერად საიმედო ხალხი ჩვენს შორის, მართლაც ყველანი სულგაყიდულები ვართ?

არა, ქართული თავმომწონეობა, თუმცა ინტერტექსტის ფორმით მაინც შემოიჭრება: „ცუდას რად უნდა მტერობა".

და მაინც პასუხს (ხსნას) გარედან მოველით. ამას სხვა განზომილებიდან გვპირდებიან.

ისე კი, ვფიქრობ, სხვა პლანეტებზე, სხვა განზომილებებზე ოცნებას ისა სჯობს, რეალურ საქართველოზე, მის პატრონობაზე, აქ ჩვენს მინაზე ვიოცნებოთ და, რაც მთავარია, რაიმე ვიღონოთ. სანამ, ჯერ კიდევ, რაიმე შეგვრჩა.

თორემ:

„თავი არ დაგვიზოგავს... ვისწავლეთ... ვიშრომეთ... დღეს კი უცხო სხეულებივით ვართ მიჩნეული საკუთარ ქალაქში... და ეს საყვარელი ქალაქიც უცხო გახდა!"

და უცხოთათვის გახდა...

პასუხი არსაიდან არ მოვა, თუ მოვა, ძალიან ცუდი პასუხი იქნება. პასუხი ჩვენ თვითონ უნდა მოვიყვანოთ, ჩვენში უნდა აღმოვაცენოთ.

●

ოთხმოციანი წლების დასაწყისში დრამატურგიას შეემატა ახალგაზრდების ჯგუფი: თამაზ ბაძაღუა, შადიმან შამანაძე, მამუკა დოლიძე და სხვ. მათ კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრე შეიტანეს სინამდვილის პრობლემათა მხატვრულ განსხეულებაში, თანამედროვე ცხოვრების საზრისის ძიებაში — მათ ამოძრავებთ თანამედროვე ცხოვრების აზრის წვდომის დაუოკებელი სურვილი. ამ ამოცანის განხორციელებას ცდილობენ სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მეთოდით, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის მხატვრულ იდეათა რეალიზაციით. ვერ ვიტყვით, რომ ამ ძიებაში ისინი ყოველთვის და ყველაფერში სწორი გზით მიდიან, მაგრამ თავიანთ ამოცანას წყვეტენ მეტნაკლები წარმატებით.

შადიმან შამანაძე თავის პიესაში „ღია შუშაბანდი" ცდილობს, დაამკვიდროს მკაცრი რეალიზმი, უარყოს საუკუნის შუა წლების ქართული დრამატურგიის მიერ ცხოვრების გაიოლებული ხედვა და დადგეს ცხოვრების პირისპირ, პრობლემათა ნამდვილი არსის წარმოჩენის გზით.

დრამატურგმა თავისი პიესის ცენტრში მოაქცია ოჯახი, როგორც ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემის შეუმცდარი ინდიკატორი.

ყველა პიესა, რომლებზედაც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ, და რომელთაც კიდევ განვიხილავთ, ამა თუ იმ კუთხით უეჭველად ეხება ოჯახის პრობლემას. ეს კი რაკურსია, რომელსაც ვერ აცდა მსოფლიო დრამატურგიის თითქმის ვერც ერთი ნიმუში.

პრომისკუიტეტის პერიოდიდან გამოსვლის შემდეგ, ადამიანთა საზოგადოებას არ შეუქმნია არც ერთი ინსტიტუტი, რომელიც სიმყარით და გამძლეობით ოჯახს შეედრებოდეს. დალეწილან უდიდესი იმპერიები, რეგიონალური გაერთიანებები ეროვნული სახელმწიფოები, ეთნიკური ჯგუფები, გვაროვნული და ტომობრივი, კლანური გაერთიანებები, დაშლილან და შეცვლილან საზოგადოებრივი წყობის მაღალგანვითარებული ფორმები. მხოლოდ ადამიანთა საზოგადოების ეს უმცირესი ფორმა, ვარიანტული მრავალსახეობის მიუხედავად, დღევანდლამდე უცვლელია თავისი ძირითადი არსით.

და გასაკვირი როდია, რომ მთელი სამყაროს სტრუქტურირება ოჯახის მოდელის მიხედვით ხდებოდა („მზე — დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი").

მით უფრო საოცარია მისი სიმყარე და გამძლეობა, რამდენადაც ხშირი და ძლიერი იყო შეტევები საზოგადოების ამ უმცირესი ერთეულის წინააღმდეგ.

„ღია შუშაბანდში" ასახულ პერიოდშიც მასირებულ დაწოლას განიცდიდა ოჯახის საფუძვლები. პატრიარქალური ძველი ოჯახი იწელებოდა სივრცეში და დროში, ახალი განშტოებები შემცირებულ ნარმონაქმნებს წარმოშობდა. ისინი კავშირს კარ-

გავდნენ „დიდ“ ოჯახთან და დამოუკიდებლად ერთვოდნენ ახალი ინდუსტრიული ეპოქის მიერ შექმნილ საზოგადოებას. „დიდი“ და „მცირე“ ოჯახის კავშირის უკანასკნელი ძაფები – „ბებია აკვირინეები“ წყდებოდნენ, გადატანითი თუ პირდაპირ მნიშვნელობით. ახალი ოჯახი ზნეობრივ პასუხისმგებლობას კი გრძნობდა უფროსი თაობის წინაშე, მაგრამ სივრცე და დრო დგებოდა მათ შორის. ერთი ბებია „აკვირინე“ მეგისაც ჰყავდა სოფელში („როლი...“ თ. ჭილაძე), მაგრამ იგიც ისე გარდაცვლილა, რომ, არათუ შვილიშვილს, შვილსაც არ უნახავს სიკვდილის წინ (კირილეს). როგორც ჩანს, ეს პრობლემა ამ პერიოდისათვის საერთოა და ყველა დრამატურგი ხედავს მას თითქოს მეგის იმიტომ არ უნახავს ბებია, რომ „ბავშვების მშობლებს არ უყვართ თავიანთი მშობლები“. მაგრამ ეს ასე არ არის. დათიკო კაპანაძე ბოდიშს უხდის ცოლს, რომ ვერ ნახა შვილების ბებია, სოფელში დარჩენილი. დრო და მანძილია შუაში, არც გზის ფული აქვს დათიკოს ამ ბოლო დროს.

„ღია შუშაბანდს“, განსაკუთრებით მის საფუძველზე განხორციელებულ მრავალ სპექტაკლს მდიდარი პრესა ახლდა, რომელშიაც საკმაოდ ფართოდ იყო განხილული პიესისა და მისი დადგმების პრობლემები, როლების ფსიქოლოგიური სიმართლე და ცენტრალურ იდეებთან მიმართება.

მაგრამ არც ერთ წერილაში არ წამოჭრილა იმ ფულის საკითხი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მატერიალური საყრდენია და სხვა ყველაფერზე მხოლოდ მისთან მიმართებაში შეიძლება ლაპარაკი. ეს ფული არ არის რაღაც აუგად მოსახსენებელი, ესთეტიკურობისაგან „დაცლილი“, გავულგარებული „მატერიალისტურობა“. ეს ფული მუშა კაცის ხელფასია, მისი შრომის ანაზღაურება და პიროვნების ცხოვრების რეალიზების საფუძველი. პიესის ყველა კონფლიქტი და ფსიქოლოგიური დაძაბულობა ხომ ფულის უკმარისობით არის გამოწვეული... მშრომელის ყოველდღიური დახარჯული ენერგიის შედეგად მიღებული პროდუქტი სახელმწიფოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს. მშრომელის ნორმალური არსებობა, არა ჰუმანური იდეების, სამართლიანობის, იურიდიული უფლებების და ა. შ., მიხედვით, არამედ სახელმწიფოს არსებობის თვალსაზრისით, გათვალისწინებული უნდა იყოს ეკონომიურ ციკლში: წარმოება, ნეკლეული, მუშახელი. ეროვნული პროდუქტის უმარტივესი რაციონალური (თავი გავანებოთ სამართლიანობას) განაწილების მიხედვით, მუშა, რომლის შრომაც ქმნის ზედმეტ ღირებულებას და ფაქტიურად იტვირთავს მთელი საზოგადოების არსებობას, თუნდაც მინიმალურად, ნორმალურ საზოგადოებაში, თვითონაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თუ ეს ელემენტარული, გინდ დაწერილი, გინდ დაუწერელი კანონები არ ხორციელდება, უბრალო გონივრულობის ან თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით, სახელმწიფო დაჩიავების, გაჩანაგების და განადგურებისაკენ მიდის.

ოჯახი, თითქოს არ არის მთავარი ამბების ეპიცენტრში, მაგრამ უპირველეს დარტყმებს სწორედ ის იღებს, ბორბალი სხვაგან ბრუნავს, ოჯახებს იმპულსებს უგზავნის და აქედან იწყება დათიკოს, გიულის, ყამარის, ამირანის უბედურება. ერთიანდებიან ნადარეიშვილები და, ამა თუ იმ გზით, იწყებენ სახალხო ქონების მითვისებას. სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ეს ძნელი შესამჩნევი აღარ იყო. ოღონდ პიესაში გადატანა გარკვეულ გამბედაობას მოითხოვდა. ეს იყო მთავარი სიმართლე, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგმა მკითხველამდე მიიტანა. ეს ის ძირითადი ორიენტირია, რომლებიც თავის საზღვრებს კარნახობს ხელოვანს და არ აძლევს საშუალებას გადაცდეს ჭეშმარიტების ფარგლებს. თუმცა, ეს მთავარი სიმართლე შეადგენს დრამატურგიული თხზულების ძირითად მხატვრულ ღირებულებას, ის არ იძლევა გარანტიას იმისათვის, რომ მხატვრული სიმართლე ბოლომდე იქნას მიყვანილი. სიუჟეტის განვითარება ხასიათების თავისებურებათა რეალიზაციაა, განსაზღვრული გარკვეული სიტუაციებით. ყოველი გმირი თავის პოზიციას გამოიმუშავებს მოვლენების არსისა და განვითარების მიმართ და გარკვეული კორექტივი შეაქვს სიუჟეტის ძირითად ხაზებში. თითოეული გმირი დამოუკიდებელი პიროვნებაა და თავისებურად რეაგირებს სხვათა მოქმედებაზე. ყოველივე ეს შემოქმედის – დრამატურგის ინდივიდუალურ ხედვაზეც არის დამოკიდებული, ხასიათების სიმართლით ასახვაზე, მათ შერჩევაზე და ფორმირებაზე. აქ მწერლის უსაზღვრო შემოქმედებითი სამყაროა და დიდ შესაძლებლობათა ველი. პატარა როლი არ მიეკუთვნება ავტორის მიერ მრავალ შესაძლებლობათა შორის უფრო მნიშვნელოვანი იდეების შერჩევას. ახალგაზრდა დრამატურგი აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. დასახული მთავარი ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის შესაბამისი, ძირითადიდან, ბუნებრივად გამომდინარე ამოცანა – განშტოებები დასახა.

ოჯახისათვის კრიზისულ სიტუაციაში როგორ ავლენენ თავიანთ თავს მოქმედი პირები?

დრამატურგი ამ გმირებს არ უწოდებს მოქმედ პირებს, არამედ აკონკრეტებს მათ მიმართებებს ოჯახთან. მათ პირობითად „ფუნქციონალური" პერსონაჟები შეიძლება ვუწოდოთ.

დათიკო – მამა, ქმარი, მასპინძელი. თითქოს სამი კაცი იყოს! მაგრამ ავტორს სწორედ ამ სამი მიმართულებით აინტერესებს დათიკოს პიროვნება.

ასევეა გიული: დედა, ცოლი, დიასახლისი.

ამირანი: ვაჟიშვილი, ძმა.

ყამარი:

მაცაცო: ქალიშვილი, და.

მარფა ალექსეევნა – მეზობელი.

მარფა ალექსეევნა ასევე ოჯახის მიმართ დამოკიდებულებაში „განიხილება" „მეზობლის ამპლუაში".

მწერალს აღებული აქვს ზუსტი მიმართულება. ყველაფერი ოჯახთან დამოკიდებულებაში. ადამიანის ფსიქიკას, გონებას, ცნობიერებას მრავალი მიმართება აქვს, შეხება ცხოვრების უთვალავ სფეროსთან. ახლა უპირატესი „კვლევის" საგანი ოჯახია და მასთან მიმართება. თუმცა, აქაც, ოჯახის შიგნითაც ურთიერთდამოკიდებულების სფერო საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივი. მათი დამოკიდებულება უშუალოა, ყოველგვარი „თამაშისა" და ქვეტექსტების გარეშე. მაგრამ, ერთობ დაძაბული და შეიძლება ითქვას მოურიდებელი. გაუთავებელი კონკლაობა შეხლა-შემოხლაში გადადის და სერიოზული კონფლიქტების საშიშროება ყოველ წამს იმუქრება. დედას, ყოველ წუთში „ცეცხლმქრობი უჭირავს ხელში" და არ აძლევს ცეცხლს გაღვივების საშუალებას. თუმცა, დიდი ხნით სიმშვიდის დამყარება მას არ შეუძლია. ყველა ამ კონფლიქტის მიზეზი – უკიდურესი მატერიალური გაჭირვება, ყოველ წამს და ყოველ წუთში წარმოქმნის კონფლიქტურ სიტუაციას. და აქაც ერთადერთი მეხამრიდი დედა – გიულია, რომელიც კაპიკს კაპიკზე „აწებებს" და ოჯახის პრესტიჟის დაცვა მისი უპირველესი მიზანი და საზრუნავია. შეუდარებელი გამომგონებლობით, იშვიათი მომჭირნეობით კიდევ რაღაცას ახერხებს. და მას ძალიან შველის მისი ზნეობრივი სიმაღლე, იშვიათი ტაქტი და ადამიანური სილბილე და მომხიბვლელობა. ყოველივე ეს უკვე პირველივე სურათში კონცენტრირებულადაა განხორციელებული და საოცარი სიზუსტით რეპლიკებში გადანაწილებული, ბუნებრივად რეალიზებული. ეს არის მაღალი კონდიციის „დრამატურგიული ტექსტი.

მაგრამ არც ერთ ციტატს არ მოვიყვან ჩემი სიტყვების დასასაბუთებლად. სიტყვებს, რასაც დედა წარმოთქვამს, ე. ი. აღმნიშვნელებს, აგრეთვე აღნიშნულსა და მნიშვნელობებს, მათ სემანტიკას აგრეთვე მთლიან დასრულებულ ინფორმაციასაც კი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია. ყველაზე საინტერესო აქ მეორადი შრეებია, რომელსაც მეორადი კოდირება წარმოქმნის.

მთავარია ის განწყობა და გრძნობები, რომლებიც მჟღავნდება დედის მიმართებაში, მოქმედებაში ოჯახის ყოველი წევრისა და ოჯახისადმი მთლიანად, თუნდაც მის დამოკიდებულებაში ოჯახის ინსტიტუტისადმი, მის ცდაში შეარიგოს და შეათვისოს ერთმანეთში ყველანი. ის ჭეშმარიტი დედაა, ცოლია და დიასახლისი. შედეგად ვიღებთ უტყუარ, დამაჯერებელ – ტექსტს.

ეს ის ტექსტია, სადაც ქრება ზღვარი სინამდვილესა და მხატვრობას შორის. მაგრამ ინტერპრეტაციის ცდისას მაშინვე თავს წამოყოფს მიმეზისის პრობლემა, ასახვისა და გამოხატვის საზღვრების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვიცით, ყველა შემთხვევაში როგორც ასახვის, ისე გამოხატვის უპირატესი აქცენტით, მთელმა მხატვრულმა ქმნილებამ, ისე, როგორც ყოველმა დეტალმა მწერლის ცნობიერება უნდა განვლოს. აქ განსხვავება „მასალის" ხარისხშია", მის ფორმასა და კონდიციაში. მარადიული არქეტიპები, დადგენილი შინაარსისა და ფორმის გამო ვარიაციის მიუხედავად, გამოიყენება, როგორც კლიშეები. ცხოვრებისეული მასალა კი „კვლევას" და ძიებას მოითხოვს, ავტორის პოზიციის გამოხატვას, არსის შეფასებას და ფორმის, ჟანრის განსაზღვრას, ყოველთვის სიახლის წარმოქმნის საფუძველია. პიესას კომედია აწერია. ტექსტი მართლაც ხშირად იწვევს ღიმილს და სიცილს. მაგრამ ყოველივე ის, რაც სიცილს იწვევს, არ არის კომედიის საკუთრება, თუმცა კომედია თავისი პროთეისტული (ჟან პოლი) ბუნების გამო სრულიადაც არ არის ერთნიშნა.

აქ მივადექით „ღია შუშაბანდის" უძირითადეს პრობლემას, რომელიც დათიკო კაპანაძის სახესთან არის დაკავშირებული. უპირველესი ამ საკითხთაგან ის არის, დასაშვებია თუ არა მისი ცხოვრების და ბედის კომედიის საგნად ქცევა. ჟანრის პრობლემა, კომედია თუ დრამა აქ სრულიადაც არ იყო ადვილი გადასაწყვეტი. მაგრამ კითხვაზე ასეთი პასუხი უნდა გაიცეს: დასაშვებია,

რადგან „ყოველივე ამ ქვეყნად შეიძლება განიხილოთ „სერიოზულად" და „კომიკურად" (ი. ფოლკელტი), შეიძლება თუ პუბლიკა – მკითხველი, მაყურებელი აღზრდილია ისე, რომ სიცილის ცრემლებს შორის ტრაგიკული სახე დაინახოს. მით უმეტეს, კომიზმს მრავალი ხედვა, ნიუანსი და სტილი გააჩნია – იუმორი, ირონია, სატირა, სარკაზმი, გროტესკი. დათიკოს ცხოვრება სასაცილოა თავისი კონტურებით, გამოვლენის ფორმებით და საზარელი თავისი არსით. მე მგონია, ჩვენი საზოგადოება, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბაიბურშიც არ იყო, რა ხდებოდა. ზოგი იქნებ კიდეც ხედავდა, მაგრამ იმის დარდიც არ ჰქონდა, თავისი საკუთარი მიზნებით იყვნენ შეპყრობილი და მაშინაც ვერაფერი გაიგეს, როცა აშკარად და პირდაპირ უთხრეს: „იქნებიან ძალიან მდიდრები, იქნებიან ძალიან ღარიბები". გათვლა ზუსტი გამოდგა, ყველას ეგონა გაღარიბდებოდნენ მეზობლები, თვითონ კი გამდიდრდებოდა.

დათიკოს კომიკურ პერსონაჟად გამოყვანა კიდევ იმით არის გამართლებული, რომ პატიოსნების, სიმართლის დევალვაცია მან პირველმა შენიშნა და კიდეც იწვნია მისი შედეგები საკუთარ ტყავზე, საკუთარ ოჯახზე, რომლის, ბოლოს და ბოლოს, დანგრევის და გაცამტვერების პირას მიყვანა იოლი აღმოჩნდა. დათიკომ ვერაფერი დაუპირისპირა ამას, ვერ ნახა რესურსები თავის ძალებში, საზოგადოებასთან ერთად შებრძოლებოდა ამ დამღუპველ სენს, რომლის დანერგვა აშკარად ინსპირირებული და სუბსიდირებული იყო. იგი, ერთეული მებრძოლის პოზით დაკმაყოფილდა და მარტო დარჩა. ინსტინქტურად ეძებდა ხმის გამცემს, ყოველ უცხოს კალთაზე ეკიდებოდა და სუფრაზე მიათრევდა, შინ თუ გარეთ. ეს ძველებური ქართული ჩვევა მისი ხასიათის მოუცილებელ ნიშნად იყო ჩამოყალიბებული, როგორც აზნაურული საქართველოს მავნე გადმონაშთი. მისი მარცხი სავსებით განპირობებული და ლოგიკური იყო.

დაზუსტებას მოითხოვს მამისა და შვილის არცთუ იოლი დაპირისპირება, რომელიც გაუთავებელ შეხლა-შემოხლას წარმოქმნის. ამ კონფლიქტის ზოგი კრიტიკოსი „მამათა და შვილთა ოდითგანვე დათქმულ მტრობას" მიაწერს, რაც თავიდანვე უნდა უარვყოთ განუსაზღვრელობისა და ბუნდოვანების გამო. ექსპრესიონისტების მიერ თავის დროზე წამოწეული ეს მოტივი სავსებით უაზროა რეალისტური სოციალური დრამისათვის. აგრეთვე არადამაკმაყოფილებელია ზოგადი მითითება, რომ „დრამატურგს სურდა ეჩვენებინა ორი თაობის განსხვავებული [illegible] ადამიანთა შეხედულება [illegible] ოვრებაზე"[8], მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს. კრიტიკოს გ. გაჩეჩილაძეს თავის რეცენზიაში სპექტაკლზე აგრეთვე აღნიშნული აქვს: „რამდენიმე ბუნდოვანი და ნაკლებ მოტივირებული კონფლიქტი მამასა და შვილს შორის"[9].

რეცენზენტები იქნებ გვერდს უვლიდნენ სიმართლის თქმას. პიესაში ზუსტად და ნათლადაა მითითებული მამა-შვილის დაპირისპირების ნამდვილი მიზეზი. „დედა: ... იმ ხუთას მანეთზეა გაგიჟებული, ჩემმა შვილმა მექრთამეების შუაკაცობა როგორ გაბედაო"...[10] მართალი, პატიოსანი კაცი, შევიწროებული და დაწიხლული სხვების მიერ, ველარ იტანს, რომ მექრთამეების შუაკაცი საკუთარ ოჯახში გაუჩნდა. და ეს შემთხვევითი შეცდომა კი არ არის, გარკვეული იდეოლოგიური თვალსაზრისია. „ვაჟიშვილი: (ყვირის) ვინა ხართ? სადა ხართ? ქუჩაში ხართ? ხალხი რას ფიქრობს და რას აკეთებს, ვერ ხედავთ?.. სხვებიც გინდათ თქვენს ჭკუაზე მოაქციოთ (იქვე). ამირანს მოკავშირეც უჩნდება ოჯახში („ქალიშვილი: არაფერი გეშველებათ თქვენ, ასე მათხოვრებივით იყავით და ასე იქნებით ბოლომდე" (იქვე, გვ. 55).

აქ სავსებით ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული იდეოლოგიური პოზიციების სხვადასხვაობა. და თუ ამის შემდეგ, როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი წერს: „კონფლიქტში საგნები და მოვლენები ისეა გაშუქებული, რომ მკითხველის სიმპატიები შვილის მხარეზეა"[11].

ეს პიესის სერიოზული ნაკლია.

როგორ შეიძლება სიმპატიები ამირანის მხარეზე იყოს. მაშინაც კარგად ჩანდა – ეს ის კაცია, ვინც დღეს თავიანთ უფროს მასწავლებლებთან ერთად, დინოზავრებივით გლეჯენ საქართველოს.

„ლია შუშაბანდში" ოჯახის პრობლემა გადაჯაჭვულია სახელმწიფოს, საზოგადოების პრობლემასთან, სხვაგვარად, ეს პრობლემა გაგებული უნდა იქნას, როგორც ადამიანის პრობლემა. როგორ პირობებშიც არის ჩაყენებული ადამიანი, ისეთ მდგომარეობაშია ოჯახი და პირიქით. ეროვნული შემოსავლის არაკონსტიტუციური, ქურდული წესით „დანაწილება" ანუ მითვისება, სახალხო საკუთრების კერძოთა ხელში გადასვლა გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო. სახელმწიფო ქონების დატაცების გამო შრომის რეალური ხელფასი თანდათან დაეცა, რამაც ძირი გამოუთხარა ოჯახის ბიუჯეტს და მისი საფუძველი

შეარყია. დღეს ეს პროცესი უკიდურეს ზღვრამდეა მისული და ქვეყანას განადგურებით ემუქრება. პოლიციის პოლკოვნიკს ც. კიკალიშვილს მოპყავს უამრავი ფაქტი ადამიანის ზნეობრივი, სულიერი დაცემის გამომხატველი და ყოველივე ამას ოჯახის კატასტროფული მდგომარეობით ხსნის, რაც მის შედეგად მიაჩნია. ამავე დროს ისინი თვით არიან ოჯახის დაშლის ხელშემწყობი მიზეზები და კატალიზატორები.

უკვე მაშინ, 60-იანი წლების ბოლოდან ჩანდა, რომ ოჯახის მცირე შემოსავალი დამაკნინებლად მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკაზე, მის საზოგადოებრივ აქტივობაზე და თვითშეგრძნებაზე. განსაკუთრებით ცხადად აისახა ეს ახალგაზრდობის ცხოვრების პერსპექტივაზე, მათი სამუშაო ადგილის და ახალი ოჯახების შექმნის პრობლემებზე.

ადამიანის პიროვნების რეალიზაციის, მისი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩართვის და ამით საკუთარი ღირსების გრძნობის ამაღლების პრობლემა გახდა შადიმან შამანაძის მეორე პიესის — „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში" — თემა. ოთხი, ერთ ბედს ქვეშ მყოფი, მეგობარი ქალიშვილის უიმედო მდგომარეობაზე მეტყველებს მათი „ჰალუცინაციები", შეთხზული „მითები" შეყვარებულებზე, ჭაბუკ საქმროებზე.

ადამიანის არამყარი მდგომარეობა, მყიფე რეალური სამყარო ასპარეზზე იწვევს „ნათელმხილველებს", „მკითხავებს", „მესამე თვალს", ამ პიესაში — „ჰიპნოზიორის" მოლოდინს."

შადიმან შამანაძის პიესებში მწვავე საზოგადოებრივი პრობლემების მაღალმხატვრულმა ასახვამ დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველსა და მაყურებელში.

●

ირ. სამსონაძე თავისი ტრიპტიქისათვის მიმართავს ბიბლიური მითის მოდელს. ეყრდნობა ბიბლიის ფაბულას, როგორც ტექსტს, სტილურ მიმართებას, ინტერტექსტის სხვადასხვა დონეზე. სამი პიესა პირველ რიგში ერთმანეთთან დაკავშირებულია ნოეს, მოსეს და იოანეს ბიბლიური დიაქრონიის თვალსაზრისით. თუმცა, ზოგადად, ფილოსოფიური აზრით დიაქრონიას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან, პიესის ავტორის შეხედულებით, ცხოვრება მუდმივი წრებრუნვაა, უკან დაბრუნება. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა პირობითია, „ერთი მეორის შემდეგ" აქ მხოლოდ გმირების მიმართ არის დაცული. ჯერ ნოე, მერე მოსე და ბოლოს იოანე. ქრონოტოპი მთლიანად ავტორის პრეროგატივაა. რეალიების მიხედვით სამივე პიესის კალენდარული დრო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში თავსდება: სამოქალაქოომარეობიდან გაღატაკებულ ქვეყანაში პროდუქტების იმპორტის დამკვიდრებამდე, როცა იოანე ნათლისმცემელის ფუნქცია დაბალხარისხოვანი უცხოური პროდუქტის რეკლამირებამდე ეშვება.

პიესაში „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" ნოეს ორმაგი კოდირება მხოლოდ იმით კი არ არის განპირობებული, რომ ის შეცვლილ ქრონოტოპში ინერგება — ბიბლიის გმირის „პალიმფსესტური" ანარეკლი საქართველოს თანამედროვე ცხოვრების არეალში ჩნდება, არამედ უფრო მეტად იმით, რომ არსებითად იცვლება მისი მნიშვნელობა, დანიშნულება, როლი, ადგილი და ზნეობრივი სახე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღმნიშვნელი რჩება, მნიშვნელობა იცვლება.

ეს პრობლემა ახალი არ არის. ინტერტექსტი, თუმცა ტერმინი თანამედროვეა, მსოფლიო ლიტერატურის განვითარების პროცესში ადრევე შეინიშნება. სიუჟეტები, გმირები, ამა თუ იმ ზომით, შეაღწევდნენ ხოლმე უმთავრესად მოსაზღვრე ლიტერატურებში. ადრინდელ პერიოდში პერსონაჟი რადიკალურ ცვლილებებს არ განიცდიდა, ჯ. ჯოისის „ულისემდე" და ჟ. ანუის დრამატურგიამდე. ჯოისმა ანტიკური მითოლოგიის გმირი მეოცე საუკუნის ევროპის ფილისტერამდე „ჩამოაქვეითა". აქ ორი თვალსაზრისი შეიძლება განვითარდეს. პირველი ის, რომ მეოცე საუკუნის მწერალმა ასახვის მეთოდი „დაუწუნა" ანტიკურ შემოქმედს, ადამიანის გაზვიადებულ წარმოსახვაში „დაადანაშაულა" ის და თვითონ შექმნა კაცი ისე, როგორც მისი აზრით, ის არის სინამდილეში და როგორც უნდა აისახებოდეს ლიტერატურაში — ლეოპოლდ ბლუმი და მოლი ბლუმი ოდისევსისა და პენელოპეს ნინააღმდეგ. ან კიდევ უფრო რადიკალურ თვალსაზრისს შეიძლება ანვითარებდეს ჯოისი: კაცობრიობა რეგრესის გზით მიემართება, მოლი ბლუმამდე და ლეოპოლდ ბლუმამდე დაჩიავდა ადრინდელი გმირების მოდგმა. ჯოისთან ეს პრობლემა, ჩემი აზრით, მაინც ესთეტიკურ ჭრილში შეიძლება გადაწყდეს ალბათ — მწერლობის თვალსაზრისის შეცვლა დავინახოთ აქ დეგეროიზაციის მიმართულებით.

ი. სამსონაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს ნოეს დამკვიდრებულ მითოლოგიურ სახეს, მის შინაარსსა და მნიშვნელობას, ბიბლიის კონცეფციას ამ მიმართებით. ცნობილია, წარღვნის შემდეგ ნოეს სახლობა გადარჩა. „შექმნათა" წიგნის მეექვსე თავში

ეს ამბავი ასეა მოთხრობილი: „განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა". იახვემ შეინანა კაცის გაჩენა და გადაწყვიტა, „აღვხოცო კაცი, რომელიც შევჰქმენ, პირისაგან ქვეყნისა", – ერთადერთი, ვინც ღმერთის კეთილგანწყობა დაიმსახურა, ეს გახლდათ ნოე, რადგან იყო „კაცი მართალი, სრული ნათესავსა შინა მისსა" (შექმნათა, თავი VI, მუხლ. 5, 6, 7, 8, 9) და სწორედ მას დააკისრა ადამიანთა ჯიშის გადარჩენა.

ი. სამსონაძის „აღდგომაში..." ნოე კი არის სახლობის „პატრიარქი", მაგრამ არავითარი ნიშანი იმისა, რასაც ბიბლიური „სრული" აღნიშნავს, მას არ გააჩნია. „მართალის"„ ნაცვლად იგი მუდამ სხვისი დამონებისაკენ, მოხვეჭისა და გამდიდრებისაკენ მიისწრაფვის, თანმიმდევრულად აღწევს ოჯახის წევრებზე გაბატონებას, და გავლენის სფეროს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე ავრცელებს. ბიბლიის აქსესუარიდან მას პიესაში წყალთან და მტრედებთან მიმართება შემორჩა. ისიც მინიშნების, სიმბოლოს სახით. მტრედებს ქორწილებზე ატარებს და ფულის მოხვეჭის საშუალებად აქცევს. რისთვის დასჭირდა დრამატურგს ბიბლიის ერთი უსათნოესი გმირის ამ ჭრილში დანახვა? არის ამაში რაღაც თავისებური ლოგიკა. მთელი ის ტოტალური ნგრევა და გაპარტახება, რომელიც პიესის დეტალების და რეალიების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, ცხადია, არ იძლევა საშუალებას „პატრიარქი" რამდენადმე ზნეობრივ პიროვნებად დავსახოთ.

პიესაში მოქმედება არ მიმდინარეობს მიზანსწრაფულად და ესეც სავსებით გასაგებია. არ არსებობს რაიმე გაცნობიერებული გზა, არც ვინმე ცდილობს გაიაზროს ის. ყოველი მოქალაქე ინდივიდუალურად „მოქმედებს", რომ გადაურჩეს შიმშილსა და სიკვდილს. ამიტომ ცხოვრება „აღდგომაში..." თვითდინებით მოძრაობს, უწესრიგოდ, ქაოტურად, რაიმე შემუშავებული მიზნის გარეშე. ყველა, ვისაც კი შეუძლია, ცდილობს, გაეცალოს აქაურობას, სადაც ცხოვრება შეუძლებელია, არ არის სამუშაო ადგილი, რაიმე შესატყვისი ანაზღაურება შრომისათვის და ნორმალური ადამიანური არსებობისათვის. ყოველივე ეს გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ზნეობაზე. მდგრად ხასიათს არსებობისათვის ბრძოლაში ისევ ნოე იჩენს. თუმცა, მისი ხერხები და საშუალებები ცხოვრების მკაცრ დინებაში გადარჩენის მისაწევად, ცინიზმსაც არ არის მოკლებული დრამატურგის მხრივ.

კულტურული შრეების გამიჯვნას პიესის ავტორი თუნდაც იმით ცდილობს, რომ განასხვავოს ერთმანეთისაგან ბიბლიური გმირი და თავისი თხზულების პერსონაჟი, რომელსაც ის ახალ დეტალებს უმატებს, რათა ერთმანეთში არ „აგვერიოს". „აღდგომის..." ნოე კოჭლია და მას ზედმეტი სახელიც აქვს – ფეხუცა. ამავე დროს დრამატურგს სურს, მას შეუნარჩუნოს სიცოცხლის დამცველის და დამამკვიდრებლის ერთგვარი ფუნქცია, სიყვარული სიცოცხლისადმი, ადამიანებისადმი. გარშემო მყოფთა ცხოვრებისეული პრობლემების მოწესრიგებაში ნოე ყოველთვის იღებს მონაწილეობას და შველის ადამიანებს საკუთარი შეხედულებების შესაბამისად. ამავე დროს, ყოველ დახმარებას საკუთარი სარგებლიანობის თვალსაზრისით აფასებს.

თვით ადამიანები კი, ცხოვრების რეალიების მიხედვით, თუ დრამატურგის ღრმა რწმენით, სრულიად უსუსურნი არიან კატასტროფული მდგომარეობიდან თავდახსნის რაიმე პროგრამის განხორციელებისათვის, უფრო ზუსტად, თუნდაც ასეთი პროგრამის შემუშავებისათვის. თავის შველის ერთადერთ გზად საზღვარგარეთ გახიზვნა ისახება. ვინც ამას ვერ ახერხებს, რჩება ქაოსის, შიმშილის და სიკვდილის ტყვედ. ტრაგედიის მთელი სიღრმე. კონდენსირებულია გიორგის სიტყვებში: „ – მთელი უბედურება იმაშია, რომ ზუსტად იმ ფუნქციას ვასრულებ, რაც ცხოვრებამ თუ დრომ თავისი რკინის ლოგიკით მომისაჯა – ვხედავდე, ვიტანჯებოდე და არაფრის შეცვლის არც შნო მქონდეს და არც ძალა... ყველას ზუსტად ის ფუნქცია გვაქვს, რაც იმ წარღვნის დროს გადაწყდა". დღევანდელი უბედურება ასოცირებულია ბიბლიურ წარღვნასთან. ეს მუქი ფერები დამთრგუნველად მოქმედებს მკითხველზე და მაყურებელზე. ამას გრძნობს დრამატურგი და ცდილობს, პიესის ბოლოს მაინც იპოვოს რაიმე პათოსის მაგვარი, რაც ერთგვარ იმედის ნაპერწკალს ჩაუსახავდა ისედაც დაზაფრულ მკითხველს. ეს როლი მან დააკისრა მარინეს. თითოეული პერსონაჟი ეძიებს რწმენას, თუნდა რაიმეს მიმართ რწმენას, როგორც დასაყრდენს თავისი სულის გადასარჩენად. მარინე ასეთ რწმენას გრძნობს ძმის – პატიკოს, მამის – გიორგისადმი, ნდობას უცხადებს მათ ადამიანობას, სჯერა მათი. მაგრამ ეს უფრო მარინეს სურვილებია. დედა – ავადმყოფია, მამა სწორედ ურწმუნობის გამოა გალოთებული, პატიკოს კი აქვს წმინდა სული, მაგრამ ის მხოლოდ 17 წლისაა და არავითარი გამოცდილება და ცოდნა არა აქვს, მიხვდეს, საიდან მოდის ეს მოუშორებელი ჭირი და როგორ შეიძლება მისი მოცილება. პატიკოს თავისი სიმა-

რთლის იმედი აქვს, მაგრამ „ამ ზღვაში კი სიმართლით ვერაფერს გახდები, ძლიერიც უნდა იყო". მარინეს სახის ერთგვარი რომანტიზება პიესის ფინალში ვერ არის ლოგიკური.

ხალხს რომ ბელადი და წინამძღოლი სჭირდება, როგორც ჩანს, ეს რწმენა შორეული კულტურული შრეებიდან მომდინარეობს. ქართულ სინამდვილეშიც, შეიძლება იმავე ბიბლიის გზით, ღრმად იყო ჩანერგილი რწმენა ბელადის, გმირის აუცილებლობასა და საჭიროებაზე. ხალხის ცნობიერებამ ჯერაც ვერ დაძლია ეს ღრმად გამჯდარი ილუზია. ხან ერთ, ხან მეორე ლიდერს თუ ცრუ ლიდერს სახავენ მხსნელებად. ბოლო დროს ხალხის ნაწილი მაინც რწმუნდება ამ ეფემერული იდეალის მტკნარ სიცრუეში. ბელადს, თუ იგი ნამდვილი ბელადი არ არის, უფრო დიდი ვნების მოტანა შეუძლია.

დრამატურგმა სცადა, ეჩვენებინა ამ აზრების უნიადაგობა არა მარტო დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის, არამედ ეჭვი შეიტანა წარსულშიაც, ბიბლიურ მითოსშიაც, საიდანაც მან გამოინვია მსოფლიოში კარგად ცნობილი გმირი საკუთარი პიესის ინტერტექსტუალურ ველში ჩასანერგავად. მაგრამ აქ კვლავაც არ უნდა გამოვრიცხოთ იმგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომლის მიხედვით, წარსულის ნამდვილი გმირები დღეისათვის დაჩიავდნენ და მარაზმატიკულ „ბებრებად" იქცნენ. ამდენად, აქ არის შესაძლებლობა, ეს პერსონაჟი განხილულ იქნას, არათუ ორმაგი, არამედ, როგორც სამმაგი კოდირების ობიექტი.

მითიური გმირის ფუნქციას დაბეჩავებულ, დამონებულ და გაღატაკებულ ხალხს აღთქმის ქვეყანისაკენ წარუძღვეს სწორედ ეს გმირი, ბიბლიური ტექსტით ცნობილი მოსე ახორციელებს. მაგრამ ბიბლიური ტექსტის პირდაპირი „ციტირება" არ ხდება ი. სამსონაძის პიესაში „იქ, სადაც ღვარად მოედინება". აქ საქმე გვაქვს თავისებურ „გადაწერასთან", შეიძლება ითქვას, „თავისუფალ გადაწერასთან", სადაც თანამედროვე ავტორი გამოდის ძველი ტექსტის მორჩილებიდან და თავისი სააზროვნო მასალის მიხედვით ქმნის სავსებით ახალ პერსონაჟს, რომელსაც მხოლოდ სახელი შერჩენია ბიბლიური. უმართებულო არ იქნება, გვკითხონ, ხომ შეიძლება ავტორს ბარემ სახელიც შეერქმია სხვა და მორჩენილიყო მთელ ამ წამოწყებას. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ სხვა პიესას მივიღებდით. ახლა, ავტორი კი გამოდის ძველი ტექსტის მორჩილებიდან, მაგრამ მას თავისი იდეების განსახორციელებლად, აუცილებლად სჭირდება ძველი ტექსტის რეზონანსი, მოსეს სახელი და ამ გმირის ისტორიულად ჩამოყალიბებული შარავანდედი, რომელსაც უნდა შეუფარდოს პიესის აქტანტი. რას აკეთებს პიესის მოსე? მისი ფუნქცია იგივე უნდა იყოს, ანდა შედარებადი მითოსურ მოსეს მოქმედებასთან. ის ირჩევს გზას აღთქმული ქვეყნისაკენ და მიჰყავს ებრაელი ხალხი ამ გზით.

პიესაში მოსე აარსებს კაზინოს, რომელმაც ფუნქციათა შეპირისპირებით უნდა იტვირთოს მძიმე და გაუსაძლისი ცხოვრებიდან ქართველი ხალხის გამოყვანის ამოცანა. შეუსაბამობა აშკარაა და ნათელია, კაზინო ვერასდროს ვერ შეასრულებს ამ მისიას, ან უბრალოდ, არც ისახავს ასეთ მიზანს. იგი ინდივიდის გამდიდრების საშუალება შეიძლება გახდეს. არა ხალხის თავდადებული შრომა მინდვრად და ბაღებში, ეროვნული პროდუქტის გასამრავლებლად, არამედ კაზინო, რომელიც ეროვნულ პროდუქტს არაფერს უმატებს, მხოლოდ მოსეს პირად შემოსავალს ამრავლებს, გამოკვეთს აგრეთვე მარაზმით შეპყრობილი „წინამძღოლის" სახეს, რომელმაც წყობის შესატყვისი, მეტყველი „გზა" იპოვნა.

პიესის სამივე მოქმედება კაზინოში მიმდინარეობს. პირველი პიესიდან განსხვავებით ამ მეორეს – „იქ, სადაც ღვარად მოედინება..." – აქვს გარკვეული ინტრიგა, რომელიც, ასე თუ ისე, წარმართავს სიუჟეტს. ხარბი და გაუმაძღარი, ღატაკი და საკმაოდ მდიდარი, ზნეობრივად დაცემული და უსაქმოდ დარჩენილი ხალხი, რომელიც გარს ახვევია კაზინოს, ყველა თავისას ცდილობს. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი მოსეს დანესებულების ხელში ჩაგდების გეგმებს აწყობს. მოქმედებაც, მართალია, დუნედ, ქაოტურად, მაგრამ მაინც ამ პერიპეტიების ირგვლივ ვითარდება. დრამის არსს უფრო სიმბოლოები, ნიშნები, აღმნიშვნელები, ინტერტექსტი და კოდირებული სახეები გვიხსნიან, რომლებიც აგრეთვე გაშიფვრას, წაკითხვას მოელის მკითხველისაგან (=რეჟისორისაგან, მსახიობისაგან, მაყურებლისაგან) იმ კონტექსტში, რომელიც მოსეს არცთუ მარტივი სამყაროს შემოქმედების ნაყოფია. ეს მოსეს „თამაშია", რომელიც უამრავ კომბინაციებს ქმნის ნიშნების, მინიშნებების, სიმბოლოების საშუალებით. არცთუ ადვილი ამოსახსნელია, რის შექმნას ფიქრობდა მოსე, ბუტაფორიაა ეს, მუზეუმი თუ პანთეონი. აქ ყველაფერია იაპონური მარაოდან დაწყებული „მარლბოროს ფირმულ სიგარეტებამდე", ბიუსტები

პროფილში გინდა თუ ანფასში, ფრანგული სკოლა, კლასიციზმი, აფრიკული ნიღაბი, ეგვიპტური ოსირისი, მეფეთა და ღმერთების ბიუსტები. იქნებ სწორედ ისეთი სამყაროს შექმნა უნდოდა მოსეს, რომ ვერ გაიგო, რა ქვეყანაში ცხოვრობ, სად ხარ, ვინა ხარ, „ვისი გორისა ხარ", ადამიანი თუ ექსპონატი. „ამ ბუტაფორიული სამყაროს პრეზიდენტი იყო მოსე" და შენც ისე წარმოგიდგენია თავი, როგორც ამ არეალის ექსპონატი. მთელ „ისტორიას" ქმნიან კოდირებული ნივთები, ინტერტექსტის ველში გამოწვეული შექსპირის, სერვანტესის, შარლ პეროს ქმნილებათა ციტირება. კრუპიე გოგო კარგავს ეპოქის სტილის გრძნობას. „თითქოს აკლდამაში ვიყოთ, როგორც რომეო და ჯულიეტა (ეცინება) რატომ არ მივმართავთ ერთმანეთს, როგორც ისინი. „ჩემო ტკილო სიყვარულო, ჩემო მეუღლევ".

„კრუპიე ბიჭი: ჩვენ ვქინძაობთ...

ეს არ არის სკაბრეზული გამოთქმა. აქ დაჭერილია ზუსტი სტილური ამღნიშვნელი. აღსანიშნი არ შეცვლილა, მაგრამ დიდებული, კეთილშობილი მიმართვის ნაცვლად ჩაერთო ფრივოლური ჟარგონი.

კრუპიე გოგო ზუსტად განსაზღვრავს — „ამ საუკუნის ღირსეული ექსპონატი ხარ". ბიჭს ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თითონაც აქვს ამისი ეჭვი, რომ აქ მოსემ ის ჩართო ამ პოსტმოდერნისტულ კალეიდოსკოპში, როგორც „ექსპონატი". აქ ადამიანებიც ექსპონატები არიან.

მაგრამ აუცილებელია კრუპიე გოგოს აზრი, რომ ბიჭი ამ საუკუნის ღირსეული ექსპონატია, კიდევ ერთი მხრით გაიშიფროს: „ჩვენ ვქინძაობთ" — არა მარტო ჟარგონია, არამედ შეიცავს ირონიას, არასერიოზულ დამოკიდებულებას. და ეს ახასიათებს დროს, ეპოქას, არეალს, რომელმაც წარმოშვა ეს ირონია. პირველ რიგში მიმართულია საკუთარი წრის, ეპოქის, სტილის და კულტურის მიმართ. მაგრამ მას ეს ირონია, როგორც ანარეკლი, გადააქვს შექსპირის ინტერტექსტზე და ქმნის ერთგვარ კრიტიკულ განწყობას ამ ტექსტის სტილისადმი. „ო, ჩემო ტკბილო სიყვარულო, ჩემო მეუღლევ". იქმნება ეჭვი, ისე, როგორც ჯოისმა ანტიოდისეევსის, ანტიპენელოპეს შექმნის გზით, ეჭვის ქვეშ დააყენა ეპოსის დიდებული სტილი. თუ ეს არსად არავის განუცხადებია, ლატენტურად ყოველთვის იგრძნობა „ულისეს" კითხვისას.

ამ სტილური დაპირისპირების მოტივი ერთადერთი არ არის პიესაში „იქ, სადაც მოედინება...", კონფლიქტი სისხლის ღვრამდეც კი მიდის. მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. საქმე ისაა, რომ აქ დაპირისპირება ტოტალურია. ყველა ყველას უპირისპირდება და მას არ აქვს [illegible] საზღვარი, სივრცე უცვლელია [illegible] შეუმშული და შემკვრივებული. ნარსული, აწმყო და მომავალი ერთ სიბრტყეშია, დიაქრონია მოხსნილია, რადგან ცხოვრების არსი არ იცვლება. „ქრისტიანობის და სოციალისტური იდეოლოგიის დასრულების ჟამს ადამიანი ახალ მითოლოგიურ სამყაროს აყალიბებს. მითოსისა და წრებრუნვის მსოფლაღქმის აღორძინება ისტორიული პროგრესის დასასრულს გულისხმობს. თუ ყველაფერი მეორდება, ზედმეტი ხდება ისტორიების წერაც... სამყაროს ცენტრში კვლავ ადამიანი, მისი მითები და ფასეულობანი მოექცა, მაგრამ ისინი დანახულია არა ისტორიული პროგრესის ჭრილში, არამედ მიჩნეულია კაპიტალისტური სამომხმარებლო კულტურის ნაწილად".[12]

ყოველივე ამის მიუხედავად, დრამატურგს მაინც სურს, როგორმე გაარღვიოს წრე. როგორც პირველ პიესაში, ცდილობს, თუნდაც ცირკის ატრაქციონის გამოყენებით, მცირე ხნით მაინც ააგლიჯოს მინას, თავისი გმირები, დააძლევინოს კაზინოს დახუთული სივრცე. მაგრამ აქაც, ისე, როგორც „აღდგომაში..." პერსონაჟების „წინაცხოვრებით" არაფრით არ იყო შემზადებული ეს აღმაფრენა. მირაჟი იფანტება. დასასრული ტრაგიკულია.

„იქნებ არველოდიმ აგვიტაცოს მაღლა..."

მაგრამ არველოდი სუსტი და ავადმყოფი ბავშვია, სიარული უჭირს. სუსტი და უმწეო არველოდის იმედზეღა ვართ?

ის როგორ აგვიტაცებს მაღლა?

... გოგო და ბიჭი გულაღმა წვანან. სცენაზე გაურკვეველი ლანდები შემოეწყობიან. ირგვლივ ჩამწკრივებულ სკამებზე ჩამოსხდებიან. თითქოს მდუმარედ ელოდებიან გოგო-ბიჭის გაღვიძებას.

არ გაიღვიძებენ.

თავთან სანთლები უნთიათ.

ირონია სადღაც იკარგება. ისმის სევდიანი მელოდია.

●

მაგრამ ირონია იღვიძებს ახალი ძალით მესამე პიესაში „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის" და ყოვლისმომცველი ხდება, განსაზღვრავს ამ შოუს სტილურ და სტილისტურ ხასიათს, სინამდვილის აღქმისა და გაგების უძირითადესი პრობლემიდან მისი ფორმალური გადაწყვეტის რადიკალურ და კონკრეტულ პრინციპებამდე და მხატვრულ საშუალებებამდე.

ვფიქრობთ, აქ საჭიროა გავიმეოროთ, მეოცე საუკუნის დასასრულის ქართული დრამატურგიისათვის ცხოვრების სინამდვილის აღქმისა და გაგების განსხვავებული რაკურსების მიუხედავად, გამოუკლებლივ ყველა დრამატურგისათვის, უძირითადეს პრობლემას წარმოადგენს ცხოვრების სინამდვილის ურთულეს ხლართებში გარკვევა, ადამიანის კონცეფციის გაცნობიერება, მისი არსის, დანიშნულების, ცხოვრების პროცესში მისი ადგილის და პოზიციის ამოცნობა. სხვა საკითხია, რამდენად საფუძვლიანად ახერხებენ ამ ამოცანის გადაწყვეტას, მაგრამ დაძაბული, უკიდურესად გართულებული საზოგადოებრივი და პიროვნული ცხოვრების ნერვული მდინარება, უბრალოდ საშუალებას არ აძლევს მწერლობას, განყენებული და მარადიული პრობლემები წამოსწიონ თავიანთი შემოქმედების საგნად. უნდა დავაზუსტოთ, მარადიული პრობლემებისა და გმირებისადმი მიმართებაც სწორედ თანამედროვეობის პრობლემების სიმწვავით არის გამოწვეული.

ამის მაგალითი ი. სამსონაძის ტრიპტიქის ორი პიესის განხილვითაც კარგად ვნახეთ. „ტელეშოუ...“ მესამე პიესა ამავე რაკურსით ვითარდება. მწერალი მეტი გამომგონებლობით რთავს ახალ, მანამდე უჩვეულო დრამატურგიულ საშუალებებს სცენიური მოქმედების განვითარებაში. შეიძლება ითქვას, ის „აპყვა“ ცხოვორების კომიკურ, შარჟულ, ილუზიურ, „მითოსურ“ ფორმებს და გაბედულად წამოსწია ისინი წინა პლანზე. შეიძლება ამან ერთგვარი დამოკიდებულება არ გამოიწვიოს, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღევანდელი საზოგადოების უაღრესად მრავალფეროვანი ფენების ფიქსირება პიესაში აუცილებლად მოითხოვდა სხვადასხვა კატეგორიის მასალის, სხვადასხვა ადამიანური ხასიათების შემოყვანას ტექსტში, გამოსახვით საშუალებების მრავალფეროვნებას. ტექსტურის სიჭრელეს ეთანხმება აგრეთვე პოსტმოდერნისტული თვალსაზრისი ცხოვრებასა და ხელოვნებაზე. მათ შორის ზღვარის პირობითობა ეჭვს აღარ იწვევს. იქნებ ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ თანდათანობით ქრება ინტერესი ხელოვნებისადმი. ცხოვრებაში აბსურდი უფრო მაღალ საფეხურზე იჩენს თავს, ვიდრე დრამატურგიაში თუ ხელოვნების სხვა რომელიმე დარგში. ოღონდ ეგ არის, ცხოვრებას ისეთივე ზედმიწევნიმლობით არ სჭირდება წარსულის ციტირება, როგორც პოსტმოდერნისტული ხელოვნების ნაწარმოებს მსოფლიო ლიტერატურის საერთაშორისო საკუთრებად გადაქცეულ მაღალმხატვრულ ძეგლთა გმირების ჩანერგვისათვის ინტერტექსტუალურ ველში. ცხოვრება მეტ კომფორტულობას, შემოქმედებას ჩენს დროიანელ ელფერით მოსავს ჟამთა მსვლელობაში გამოვლენილ „არქეტიპებს“.

უნდა ითქვას, რომ ირ. სამსონაძე არ ახდენს პირდაპირ ციტირებას ლიტერატურული ნაწარმოებიდან. დრამატურგი ყოველთვის შემოქმედებითად უდგება ცნობლი პერსონაჟების საკუთარ დრამაში ციტირების პრობლემას, ყოველთვის ახლებურად არიან ისინი გააზრებული, ეხება ეს, ვთქვათ, ნოეს, მოსეს თუ იოანეს. ერთადერთი გამონაკლისი აქ დონ კიხოტია, რომელსაც შენარჩუნებული აქვს სიმართლისა და სიკეთისათვის გულმხურვალე მებრძოლის გარეგნული სახე. თუმცა, ის ვერც ახალ პირობებში, რომელიც, უნდა ითქვას, გაცილებით რთული და ენიგმატური აღმოჩნდა, ვერ დაეუფლა შედეგიანი მოქმედების ხერხებს, ვერ ამოიცნო სიკეთისათვის ბრძოლის საიდუმლო, დარჩა მუდმივ დონ კიხოტად. პიესის იოანე იერთებს სამი ბიბლიური იოანეს – წინასწარმეტყველის, მახარობელის და ნათლისმცემლის ფუნქციებს. მისი წინასწარმეტყველება აქ ქუფრი ლანდებივით აწვება ცნობიერებას. „მეშვიდე თასის გადმოღვრა“ დედამიწაზე სიცოცხლის გაქრობას გამოიწვევს. რაც ყველაზე შემაძრწუნებელია, წინასწარ თქმის ახდომის ნიშნები ცხადი ხდება თანდათან. დედამიწა განუწყვეტელ ზანზარს იწყებს, ყველას თვალები ჭაღისაკენ აქვს მიპყრობილი, ჭაში წყალი დაუშრა „მოსახლეობას“, ხალხი ტოტალურად „გაპოლიტიკოსდა“ და ზნეობრივად შეირყვნა.

მახარობელის ამპლუაში იოანე პუბლიკას ამცნობს გენერალური სპონსორის მიერ შემოზიდული უცხოური საქონლის შესახებ და რადგან ეს პროდუქტები ძალიან დაბალი ხარისხისაა, მას „მონათვლაც“ ესაჭიროება. იოანე ხომ ნათლისმცემელიცაა და უხარისხო საქონელს უმაღლესი დონის პროდუქტებად „გარდაქმნის“. თან მუქარასაც დააყოლებს: „... თქვენთვის მითქვამს – შეიძინეთ გენერალური სპონსორის მიერ ჩამოტანილი საქონელი – შეიძინეთ, თორემ!!!“ დონ კიხოტიც სუნამო „ტურბულენსის“ გასაღებით არის დაკავებული. იოანე, ალბათ, პირველია, ვის მიმართაც ირონია სარკაზმში გადადის თავისი მნიშვნელობით, მაგრამ გამოხატვის ფორმებით საკუთარ საზღვრებში რჩება პერსონაჟის გამოხატვის სტილის მეშვეობით. იგი დუნედ და უპათოსოდ მოძრაობს, სულ განმარტოებაზე და სიმყუდროვეზე ფიქრობს. მაგრამ იძულებულია, არსებობი-

სათვის როლი გამოსტყუოს შოუს მესვეურთ. ირონია გამართლებას პოულობს ყოველი პერსონაჟის მიმართ, ხდება პიესის ძირითად გამომსახველობით საშუალებად და ეს ცხოვრების შინაარსისაგან მომდინარეობს. დრამატურგს თავის სურათებისათვის რეალიების ძებნა არ სჭირდება. საკმარისია, მათი ესთეტიკური დამუხტვა და სტრუქტურაში ჩართვა, ან კიდევ, როგორც პოსტმოდერნისტები ამბობენ, – რიზომასთან დაკავშირება. რეალიებს და დეტალებს ცხოვრება ამზადებს ტოტალურად. სრულიადაც არ გვინდა დრამატურგის შემოქმედებითი შრომის უგულებელყოფა, მაგრამ მას აქვს საშუალება, პირდაპირ ბლოკებად გადმოიღოს ტელეშოუს კადრები, ცხოვრების სურათები. ამით ჩვენ გვინდა, გავიმეოროთ მოსაზრება, რომ ზღვარი იშლება არა მხოლოდ ხელოვნების დარგებს შორის, არამედ ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. გვინდა, ვთქვათ კიდევ ერთი ნიშნის გამო, რომელსაც პოსტმოდერნისტები ესეისტიკას უწოდებენ, როგორც მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ ხერხს. მე ვფიქრობ, მეტი საფუძველი გვაქვს ამ ხერხს ძველებურად პუბლიცისტური ჩარევა ვუწოდოთ. ყოველ შემთხვევაში ირ. სამსონაძის ტრიპტიქის მიმართ ის უფრო მართებული იქნება. განსაკუთრებული ძალით პუბლიცისტური ხერხი გამოიყენა დრამატურგმა უკანასკნელ პიესაში „ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის".

სცენარისტის დაკარგვა მრავალმნიშვნელოვანია. ჩვენ აღარ ვიცით, მოვხვდებით თუ არა შემდგომ სცენარში, საერთოდ აღარ ვიცით, საით მივდივართ, ვის როლში გამოვდივართ და ვინ უნდა შექმნან ჩვენგან, ვისაც ყოველი პოლიტიკანი „ჩემო ხალხს" უწოდებს, სინამდვილეში კი „მოსახლეობად" და „ელექტორატად" თვლის. ყველაზე უფრო გამოკვეთილი პუბლიცისტი მთელი სიმძაფრით მიმართავს მაყურებელს (=მკითხველს) ტელეშოუს წამყვანი: „... ჩვენი სცენარისტი კოსმიურ უსასრულობაში გაფრინდა (მაყურებლებს), ხვდებით კი, საერთოდ რა მოხდა? მიგვატოვეს, მიგვაგდეს, მიგვაბითურეს... ვინ იქნება შემდგომი სცენარისტი, იცით? ვიქნებით საერთოდ ამ სცენარში? ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება ახლა კოსმიური უსასრულობის რომელიღაც წერტილში, იქ ირკვევა მათი ურთიერთობები, ჩვენ კი იმდენად უსუსურები ვართ ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებულნი გამომშრალ ხახას ვაბჩენთ და უსასოოდ ვხავით – ილუზია გვწყურია!!! ილუზია გვშია! მოგვეცით ცოტა ილუზია!!! ვკვდებით!!! ესლა შეგვიძლია, სხვა არაფერი!!!... რა უნდათ, რას გვერჩიან... რით ვეღარ მოვიგეთ ამათი გული, რით ვეღარ ჩამოგვაყალიბა თავის ანგელოზად ერთმა ან მეორე მხარემ".

წამყვანის აღშფოთება სავსებით კანონოზომიერია. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ გამოსავალი არ ჩანს. ამავე აზრს იზიარებს დრამის ავტორიც. ის ისევე, როგორც წამყვანი, დარწმუნებულია, რომ „წარღვნის მერე არაფერი არ შეცვლილა". საერთოდ არ არსებობს არავითარი პროგრესი, არავითარი ისტორია. არის წრებრუნვა და უკან დაბრუნება. ეს არა მხოლოდ პოსტმოდერნისტული ხელოვნების, ლიტერატურის ამოსავალი დებულებაა. „პოსტმოდერნი სრულიად ახალ იერსახეს ანიჭებს როგორც ლიტერატურასა და ხელოვნებას, ასევე მთელ თანამედროვე სააზროვნო სისტემას" (Jan Lensen).

●

„სტიქიური უბედურება" მართლაც საუკუნის ბოლოს დაინერა (1998). მამუკა დოლიძე ყოველმხრივ გაბედულად იყენებს თავის ტრაგიკომედიაში პოსტმოდერნის პოეტიკის ყველა კომპონენტს. პირველ რიგში ეს გამოიხატა ხელოვნების სხვადასხვა დარგების „კონსოლიდაციაში" ერთი დრამატურგიული ამოცანის გადასაჭრელად. შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით პიესა პირდაპირ ეხმაურება პოსტმოდერნის პირველი კრიტიკოსის ლ. ფიდლერის დეკლარაციულ მოწოდებას: „ამოავსეთ თხრილები, ნაშალეთ საზღვრები...".[1]

დრამას თავიდანვე ჰქონდა აღებული კურსი ხელოვნების სხვა დარგებთან ინტეგრაციისაკენ, თავიდანვე იყენებდა მხატვრობას, მუსიკას, ცეკვას. სპექტაკლში უკვე ოცდაათიან წლებში იყო გამოყენებული კინოპროექცია. ი. სამსონაძემ პიესაში „იქ, სადაც ღვარად მიედინება..." ფინალში გამოიყენა ცირკის ელემენტები. „სტიქიურ უბედურებაში" ყველაფერი ეს ერთ პიესაშია თავმოყრილი და ერთ მიზანს დამორჩილებული. სხვადასხვა „კონდიციის" ელემენტები პიესაში ბუნებრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამისათვის დრამატურგი იყენებს სიზმარს, როგორც კომპოზიციურ საშუალებას, რითაც ადვილდება თუნდაც აბსურდული სიტუაციის, საერთოდ აბსურდის დრამატურგიულ კონტექსტში შეტანა. გვინდა, ვთქვათ, სტრუქტურულად, დრამატურგიული კომპოზიციის თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგშია.

გართულებები ჟანრისა და სტილის პრობლემებთან დაკავშირებით იწყება. და

ეს არა მხოლოდ მამუკა დოლიძის დრამაში. საერთოდ ქართული დრამატურგია, როცა პოსტმოდერნიზმის პოეტიკას იღებს მხატვრულ სახეთა შექმნის წესად, დაფიქრებას მოითხოვს გამოხატვის ხერხებისა და ხელოვნების საგნის შესატყვისობა, უფრო ზუსტად, გამოხატვის საგნისა და საშუალებების ბუნება, მათ შორის წინაღობის მომენტის წარმოქმნის თვალსაზრისით. შეიძლება „თამაშით", იუმორით, ირონიით ელაპარაკო დღევანდელ მაყურებელს იმ თემაზე, რაც განვითარებულია „სტიქიურ უბედურებაში", ან პიესებში „აღდგომა სასაფლაოზე...", „იქ, სადაც ღვარად მოედინება...", „ტელეშოუ მინისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის"?

დორის ფიოგლი გლობალიზაციას უყურებს ირონიით[14], მე კი შიშით, წუხილით და ღრმა სევდით.

მართალია, „თამაშისადმი" განსაკუთრებული ინტერესი ნიცშეს შემდეგ განვითარდა და ჰაიზინგამ „თამაშის" თეორიას ოცდაათიანი წლების ბოლოს (1938) ფორმირებული ხასიათი მისცა, მაგრამ „თამაშის" ფესვები უძველეს წარსულშია აღმოცენებული. საკულტო რიტუალი, ალბათ, „თამაშის" უძველესი ფორმაა. საქართველოში, რაც ჩვენ ვიცით, წარმართული „ბერიკაობა" და „ყეენობა", ალბათ, საწყისი ფორმებია. მაგრამ ეს ძველი „თამაში" სავსებით სერიოზული თამაში იყო და სავსებით განსხვავებული ჰაიზინგის „Homo Ludens"-ის პროფილისაგან. თამაშის სხვადასხვა ფორმების და შინაარსის რთულ საკითხს აქ ვერ გამოვუდგებით. ძალიან შორს წაგვიყვანდა. პოსტმოდერნისტული თამაშის საფუძველში კულტურის შიგნით მომხდარი ძირეული გადაფასება ძევს და ადამიანის არსის განსხვავებულ ფილოსოფიურ გაგებასთან არის დაკავშირებული, მის ეთიკასთან, მის შეხედულებებთან თავის თავზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე, ადამიანთა საზოგადოებაზე, მათ ცხოვრებაზე, ქცევისა და მოქმედების ნორმებზე და უნორმობაზე, პიროვნების უფლებებზე. ერისა და საზოგადოების უფლებები საერთოდ არ მოიხსენიება. პოსტმოდერნისტული შეხედულებები არსებითად განსხვავდება ექსისტენციური ფილოსოფიის თვალსაზრისისაგან, რომელიც უარყოფს ადამიანის ცხოვრების აზრს, სინამდვილეს საერთოდ, მაგრამ ბუნებრივად, კრიტიკულია მის მიმართ. პოსტმოდერნიზმის არასერიოზულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი განსაზღვრავს ირონია და „თამაში". სინამდვილეს ღებულობს ისე, როგორც ის არის, ყოველგვარი ანალიზის, შესწავლის, პერსპექტივის დასახვის და ისტორიულის გააზრების გარეშე. ყველაფერი ეს ზღვრამდე მიყვანილ [illegible] რამ უკიდურესად რელიეფურად [illegible] ხატული ფუკოიამას „ფილოსოფიური" ნიგნის სათაურში „ისტორიის დასასრული". სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაკანონება იმ საზოგადოებისა, რომელიც უკვე არსებობს, პროგრესი, ისტორია უარყოფილია. ამ თვალსაზრისით ადამიანი თავისუფლდება ისტორიასთან, საზოგადოებასთან სერიოზული დამოკიდებულებისაგან, რაიმე პასუხისმგებლობის გრძნობისაგან და ყველაფერს უყურებს ზერელედ, ირონიით, „თამაშით", „როლებით" (სოლომონის, მაიას, ნელის, სტივენის, რეჟისორის, მურმანის მრავალსახა როლები).

აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „როლის" თამაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც ხელოვნების შეუცილებელი ნიშან-თვისება, მხოლოდ მისი სპეციფიკური თავისებურება. მგონია, სავსებით დასაბუთებულად და სწორად ამტკიცებს იან ლანსეხი, რომ თუ „თამაში" პოსტმოდერნიზმის ერთი, ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა, პოსტმოდერნიზმი არ ისაზღვრება მხოლოდ ხელოვნების ქმნილებებში და თავისი მხატვრული თუ არამხატვრული ინტენციები ცხოვრებაში გადააქვს. ან შეიძლება უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, ცხოვრებიდანაა მოსული მის სტრუქტურებში. მაგრამ რაკი სტრუქტურას, როგორც ტერმინს და ცნებას, პოსტმოდერნიზმი ვერ ეგუება, რადგან სტრუქტურა რაღაც მონესრიგებულს, ლოგიკურს და აზრიანს გულისხმობს[15], შეიძლება ვთქვათ, რომ ფესვები (risoma — ფრ.) პოსტმოდერნიზმს (ხელოვნების პოსტმოდერნიზმს) ცხოვრების პოსტმოდერნიზმში ან ცხოვრებაში აქვს.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, პოსტმოდერნისტული მხატვრული ნაწარმოები რამენაირად „ვალდებული" იყოს ცხოვრების რომელიმე მხარე ასახოს ან თუნდაც გამოხატოს.

პოსტმოდერნიზმი სავსებით ათანაბრებს მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილის რაიმე სახით წარმოსახვას და გამონაგონს, რომელიც არაფრით არ ეყრდნობა სინამდვილის რომელიმე მხარეს. მაგრამ, ვფიქრობ, აქ ვალდებული ვარ, მივმართო მწერლებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, მოვლენების „შუაგულში" ტრიალებენ.

„პოსტმოდერნიზმით" იწყება ხელოვნებისა და შინაარსის ურთიერთობაში ნებისმიერ ერთმნიშვნელობათა მოშლისა და რღვევის ხანა. ამიერიდან მათი ურთიერთდამოკიდებულება „სათამაშო" ხდება. სინამდვილის და გამონაგონის გათანაბრებით

„თამაში" ნაწარმოების შინაარსობრივ რაობათა განუსაზღვრელ სიმრავლეს განაპირობებს, მისი აზრი არანაირად არ არის დაკავშირებული მანამდე არსებულ სინამდვილესთან..."[6]

და აქ პირდაპი მივადექით იმ პრობლემას, რომლის იმგვარად გადაწყვეტის უფლებას, რომ მხატვრული ნაწარმოები არანაირად არ იყოს დაკავშირებული სინამდვილესთან, ვერც ერთ ქართველ მწერალს ვერ მისცემს ვერანაირი „შემოქმედებითი თავისუფლება". ასეთი „თავისუფლება" დღევანდელ პირობებში მის სულს არ შეიძლება, არათუ სასურველად მიაჩნდეს, არამედ რაიმე მიდრეკილებას ამჟღავნებდეს ამ მხრით. მრავალი ქვეყანაა და მრავალი მწერალი, ბევრს, ალბათ, გასაგრთობადაც აქვს საქმე, მაგრამ არა მგონია, დღეს, ქართველი მწერლები „თამაშის" ხასიათზე იყვნენ.

„მე მინდოდა გამერთო მკითხველი. ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ, ვიდრე თვითონ ვერთობოდი"[7]. ასე იწყებს უმბერტო ეკო თავის შენიშვნებს საკუთარ რომანზე „ვარდის სახელი", მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონაც არ დააკმაყოფილა მხატვრული ნაწარმოების ამოცანის ასეთმა განსაზღვრამ და იქვე მოჰყავს, თავს ნებას მივცემ ვთქვა, არცთუ მოხდენილი მაგალითი „რობინზონ კრუზოდან", რითაც უნდა დაემტკიცებინა, რომ გართობა პრობლემებზე უარის თქმას არ ნიშნავს...

მაგრამ ამჟამად უფრო კონკრეტული მაგალითის გამო შევაწუხე უმბერტო ეკო. მისი რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმში ერთი ასეთი ეპიზოდია. ტაძრის ბიბლიოთეკაში წიგნებს ჩაღრმავებულ ოსტატთან შემოვარდება შეგირდი და აცნობებს სისხლისმღვრელი შეტაკებების შესახებ ტაძრის ეზოში და მის შიგნითაც... ოსტატი, მწიგნობარი არავითარ რეაქციას არ გამოხატავს ამ ცნობების გამო... კარგად ვიცი, ეს სცენა მრავლისმეტყველ მიმართებაში შეიძლება იქნას აღქმული და გაგებული, მაგრამ მე მაინც და მაინც ამ რაკურსში მინდა დავინახო: ოსტატი შევადარო ქართველ მწერალს, რომელიც განგებამ გაცილებით მძიმე დღეში ჩააყენა. ნუთუ მას გართობისთვის სცალია ან „თამაშის" გუნებაზეა?

მაგრამ ქართველ მწერალს არც ის სურს, რომ ჩამორჩეს ლიტერატურის ინტერნაციონალურ დონეს. ამავე დროს მათ არ შეუძლიათ არც „მანამდე არსებულ", არც „დღევანდელ" და არც „მომავალ" სინამდვილეზე უარის თქმა და თვალის დახუჭვა. ქვეყნის ბედი, სინამდვილე იმდენად ტრაგიკულია, რომ არც ერთი წუთით არ შეიძლება, გულის სიღრმემდე არ შეძრას, რომელიც გინდათ, მოქალაქე, მით უმეტეს, ხელოვანი. და ამ ცხოვრების სურათებში, „ნიმის თემაზე მოდელირებულ გამონაგონში" არ ეუძლება, არ ჟონავდეს ის დიდი სევდა, რომელსაც წარმოქმნის საკუთარი ქვეყნის მძიმე აწმყო და ბურუსით მოცული მომავალი. ძნელია, მათზე „თამაშით" და „ირონიით" წერა. აქ უეჭველად ისახება გამოსახატავი შინაარსის (ან მასალის) და ფორმის წინააღმდეგობა.

აქ ერთი პრინციპული საკითხიც უნდა წამოიჭრას. ეს ჩვენი ლიტერატურის განვითარების და მისი ისტორიის განსაკუთრებით საყურადღებო პრობლემაა. უცხოურ ლიტერატურასთან ურთიერთობის საკითხებს ჩვენ ძალიან მარტივად ვწყვეტთ. ვეძებთ და ვპოულობთ მხოლოდ მსგავსებას ორი ტექსტის თითქმის მექანიკური შეპირისპირებით, განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას მხატვრულ ფიგურებზე და ვაფიქსირებთ, რა გადმოიღო, გაიმეორა ქართველმა მწერალმა. მაგრამ არაფერს ვამბობთ, რითი განსხვავდება ქართველი ავტორის ესა თუ ის მხარე, რა არის ამ ნაწარმოებში საკუთრივ ქართველი ავტორის, და საბოლოო ჯამში, რა თავისუფლებას იძლევა ესა თუ ის მიმართულება ან სკოლა ქართველი ავტორების ინტერპრეტაციაში.

წინასწარ მუშავდება გარკვეული შეხედულებები უცხოური კრიტიკის გავლენით, ქართული მხატვრული თხზულებების სათანადო შესწავლის გარეშე, ფაქტიურად, ტექსტის იგნორირების ან ცალკეული მხატვრული ფიგურების ფიქსირების გზით კეთდება „ზოგადი" დასკვნები.

ბევრნაწილად ასე გვაქვს ჩვენ შესწავლილი ქართული მოდერნიზმი.

ეს დიდი საკითხია, მაგრამ აქაც არ შეიძლებოდა ორიოდე სიტყვა არ გვეთქვა ამის შესახებ.

ამიტომაც აღვნიშნეთ შესავალშივე, რომ პოსტმოდერნიზმის სტილის გაშუქებისას ქართულ ლიტერატურაში აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის თავისებურებები, რომლებიც მას ახლავს ქართული დრამატურგიის განვითარებისას. ვითარდება ანალოგიით, მაგრამ პირდაპირ არ იმეორებს დასავლურ ნიმუშებს.

„სტიქიური უბედურება" მრავალმხრივ კოდირებული სათაურია როგორც დრამის შინაარსის მიხედვით, სადაც ვითომ ებრძვიან „ხანძარს", „წყალდიდობას", „მიწისძვრას", მაგრამ ნაწარმოების ფოკუსში გაერთიანებულნი, ისინი კოდირებულნი არიან როგორც მეტაფორა, სტიქიური უბედურება, რომლის შეჩერება შეუძლებ-

ელია, რადგან მას ახორციელებს შინაური თუ გარეული, „მშობლიური" თუ უცხოელი, ერი თუ ბერი, ინტელიგენტი, ჩინოვნიკი თუ პარლამენტარი, გაუმაძღარ პლანქტონებს დამსგავსებულნი. არც ერთ მათგანში არ ჩანს ეროვნული ფერი, იღებენ იმ ფერს, რა „საკვებსაც" ნთქავენ. თითქოს ნგრევის, გაპარტახების, მითვისების, დასაკუთრების, ერთეულთა უზომო მომხვეჭველობის, მრავალთა გაღატაკების სხვა ფორმები აღარც კი შეიძლება არსებობდნენ ბუნებაში. თვალები დაბნელებულია, გზას ვერ ხედავენ და მომავალი არც აინტერესებთ.

„მასალასთან" ასეთი რთული მიმართებების მიუხედავად, დრამატურგი მაინც ახერხებს, და საკმაოდ კარგადაც, იუმორისა და ირონიის სტილის სათუთი ქსოვილის დაურღვევლად გამოყენებას, მაგრამ დრამის თემა და მასალა ხშირად შეუპოვარ წინააღმდეგობას ამჟღავნებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა „მშობლიური" და უცხო აგენტები და რეზიდენტები, რომელთა გამოცნობა შეუძლებელია: ვინ ვისი კაცია. მატერიალურ და ზნეობრივ საფუძველს საბოლოოდ ურყევენ ისედაც განადგურებულ ქვეყანას.

საკმაოდ კარგად არის „დამუშავებული" საქართველოში ქაოტურად შექმნილი „საზოგადოებების" წევრთა მრავალსახეობრივი ფაქტურა, მათი წარმომადგენლების კალეიდოსკოპური კავშირები და დამოკიდებულებანი, — მაია, ნელი, სტივენი და სხვანი. მათი ორმაგი კოდირება დაფუძნებულია მათ ზნეობრივ სახეზე, მისწრაფებებზე და ვნებებზე. „ირლანდიელი" სტივენი, რომლის მოვალეობასაც, გზადაგზა, დივერსიების მოწყობასთან ერთად, ქართველთა ფსიქოლოგიის „შესწავლა" შეადგენს, ჩვენთვის არცთუ სახარბიელო დასკვნამდე მიდის: „მზადა ხართ, ერთმანეთი დაჭამოთ". ამ სიტყვებში იქნებ ჭეშმარიტების მარცვალიც იყოს. ამ ქაოტურ ადამიანურ კალეიდოსკოპში არ ჟღერს, არათუ არ ჟღერს, არც იგრძნობა ქართველთა შეკავშირების, ერის გადარჩენის სურვილი. ყველანი განცალკავებულნი, საკუთარი ეგოისტური მიზნებით შეპყრობილნი ჩანან.

ერთადერთი გიორგი, პოეტი და მოაზროვნე, დრამატურგის „დავალებით", მისი კარნახით, რადგან ეს უნდილ, უნებისყოფო გიორგის ხასიათიდან არ გამომდინარეობს, წარმოთქვამს, ბოლოს და ბოლოს, მხურვალე მოწოდებას:

„ — ხალხო! ძმებო! როდემდე ვიდგეთ განზე! როდემდე ვუცქიროთ ადამიანის დადაგვარებას! ხანძარმა მაინც გამოგვიფვიძოს! ამოვთქვათ, დავიყვიროთ გულს ცეცხლივით მოდებული სიტყვა!"

მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია.

და happy end „სტიქიური უბედურებისა" სრულიადაც არ არის დამოკიდებული ამ სიტყვებზე და მოქმედებაზე, რომელიც მათ უნდა გამოეწვიათ.

კეთილი ბოლო უფრო მწერლის ვალდებულებად მოჩანს მკითხველის წინაშე, რომელსაც უიმედობა არ უნდა ჩაუნერგო. ნამდვილად აღსანიშნი ამ თვალსაზრისით ის არის, რომ გიორგი, ბოლოს და ბოლოს, თვით ბედავს და შედის თავის „ოცნების ბაღში". ფოსტალიონი, რომელსაც მიჰყავს ის ოცნების ბაღისაკენ, „გაჭრილი ვაშლივით" ჰგავს გიორგის — ის გიორგის „მეა" — ის გიორგია.

ეს იმედს გვისახავს. მაგრამ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ფინალში იდილიური სურათის ჩვენება. გიორგის შემოქმედებით შრომაში ჩაღრმავება, სამზარეულოდან ქალის ღიღინი, ან მუზის მანიპულაციები „სიზმარი-ცხადის" შესახებ. ვითომ ყველაფერი ეს სიზმარია, „მოგეჩვენა, გენაცვალე"...

რადგან „ცხადი სიზმარზე უარესია".

●

რა შეიძლება ითქვას ორიოდე სიტყვით ქართული დრამატურგიის შემდგომი განვითარების შესახებ?

თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით დასავლურ მწერლობაში ლიტერატურული მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ ძნელია ვინმემ რაიმე წინასწარ განჭვრიტოს. დასავლეთში უკვე დაფიქსირდა „პოსტპოსტმოდერნიზმი". ლონდონის თეატრ „კრიტერიუმში", პიკადილზე, ამერიკული დასის წარმოდგენებში თვით პოსტმოდერნიზმი აქციეს ირონიის საგნად*.

ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი, განსაკუთრებით ჩვენთვის, თუ საით შეიძლება განვითარდეს პოსტმოდერნიზმი. თითქოს მისი მობრუნება წარსულისკენ კარგადაა მოტივირებული ფუკოიამას „ისტორიის დასასრულით", რომელიც, თავის მხრივ, დღევანდელი მსოფლიოს ფილოსოფიურ და, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ბაზაზე წარმოიქმნა. მაგრამ მე მაინც ყოველივე ეს ფრანგული „მოდების ჟურნალის" „ანეგდოტს" მაგონებს, რომელსაც „რადიკალური" უარყოფის შემდეგ, რამდენიმე ათეული

ნიუ-იორკის, ლონდონის თეატრალური დადგმების ანალიზი და პირადი შეხედულებები ამ თეატრების შესახებ მოგვაწოდა თსუ-ს პროფესორმა ნინო ჩიჩუამ

წლის გასულს, გადააბრუნებენ და ყველაფერი თავიდან იწყება. „პოსტმოდერნიზმის" თეორიული არსი, მგონია, მიმართულია „ახალი კრიტიკის" ფუძემდებლური დებულების წინააღმდეგ. გასტონ ბაშლიარის აზრით, „პოეტურ აქტს არა აქვს წარსული". „პოსტმოდერნიზმის" პოეტიკა — თეორია და პრაქტიკა ინტერტექსტზე და კულტურულ კოდებზეა დაფუძნებული. ვინ იცის, კიდევ ახალს რას მოიტანს „Homo Ludens"?

საერთოდ, ხელოვნებას და ლიტერატურას, განსაკუთრებით კი დრამატურგიას და თეატრს, რომელშიაც მძლავრ ნაკადად შეიჭრა შოუს ელემენტი, დიდ კონკურენციას უწევს თვით მისი წარმომქმნელი ცხოვრება. ცხოვრება მართავს ისეთ სპექტაკლებს და ისეთი მასშტაბებით, რომლის მსგავსი დრამატურგიას და „აქტიურ" რეჟისურას არც დაესიზმრებათ. ცხადია, ეს ახალი ამბავი არ არის, შექსპირის დროიდანაა ცნობილი და ხდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, მხოლოდ მასშტაბები გაიზარდა უსაშველოდ. ამ „კონკურენციის" დაძლევა დრამატურგიას და თეატრს, ალბათ, არ შეუძლია და ეს იწვევს უკიდურეს კრიზისულ სიტუაციას მთელი მსოფლიოს ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

წარსულის „თამაშით" და სიცილით „კრიტიკა", ალბათ, საკარისი არ არის რაიმე დიდის და ღირსეულის შესაქმნელად. „ისტორიის დასასრული" თავისთავად გულისხმობს უარის თქმას რაიმე დიად იდეებზე, ურომლისოდაც, წრეში ბრუნვის ფილოსოფიით, რაიმე ისტორიულ (სამომავლო) ფასეულობებზე და ღირებულებებზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. რაც მთავარია, არც ლაპარაკობს ამაზე არავინ.

ზემოთ, როცა „გართობაზე" უმბერტო ეკოს აზრი მოგვყავდა, ის ამბობს, რომ „გართობა" პრობლემებისაგან უარის თქმას არ ნიშნავს. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ მწერალს ესახება, ესაა შიშის დაძლევა. შიშის დაძლევა კი მხოლოდ სიცილით შეიძლება. ეკოს აზრით, ამიტომ იყო, რომ საუკუნეების განმავლობაში წმინდა ეკლესია გულდაგულ მალავდა არისტოტელეს „პოეტიკის" III ნაწილს კომედიაზე, ე. ი. ებრძოდა შიშის დაძლევის იდეას. რადგან ეს ის შიში იყო, რომელიც ღვთის სიყვარულს წარმოშობდა („შიში შეიქმს სიყვარულსა").

სხვათა შორის, აქ არჩევანის გაკეთება ადვილი არ არის, არათუ ლიტერატურის კრიტიკოსისათვის, არამედ დიდ მოაზროვნეთათვის.

შიშის გამომათაყვანებელი არსი ისევე მიუღებელია, როგორც „ერეჯა-შაყირი", ციინიზმამდე მისული სიცილის ყოვლის უარმყოფელი ბუნება.

ადამიანის არსების ტრაგიზმიდან მის კომიზმამდე მრავალსაფეხურიანი სპექტრია და ამ ვრცელ ამპლიტუდაში მრავალგვარი განწყოა თავსდება. Homo Ludens-ის წინა პლანზე წამოწევა, ვფიქრობ, ემსახურება „სამყაროში გატყორცნილი ადამიანის" ტრაგიკული ბედის, ექსისტენციალური შიშის რეტუშირებას.

არა მგონია, ეს საკმარისი აღმოჩნდეს კრიზისის დასაძლევად, რომელიც გუშინ არ დაწყებულა.

„ისიკ-კულის ფორუმის" მეორე სხდომაზე, ვენგენში (შვეიცარია) ფრ. დიურენმატი ამბობდა, „თეატრის აღმავლობა უკვე გავლილია, მაგრამ ის ისევ დაბრუნდება". ამ აზრს იზიარებდა არტურ მილერიც[9].

ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ თეატრთან ერთად აღორძინდება ქართული დრამატურგიაც. თუმცა, მას თავისი საკუთარი პრობელმებიც აქვს, რაც დაკავშირებულია რესპუბლიკის ეკონომიკის კატასტროფულ მდგომარეობასთან და კულტურის ფრონტის ფინანსურ სიღატაკესთან.

დრამატურგიის განვითარების აუცილებელი პირობა გადახდისუნარიან ჟურნალებთან ერთად, და პირველ რიგში, ქართული თეატრის აღორძინებაა. თეატრმაც მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ეროვნული დრამატურგიის მიმართ.

ცნობილია, რომ ეროვნული თეატრი და ეროვნული დრამატურგია ერთი და იგივე არ არის. თეატრს თავისი ამოცანები აქვს და იგი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს ეროვნული დრამატურგიით.

ეს რეალობაა.

თეატრი თავისი რეპერტუარის შესავსებად, ბუნებრივია, მიმართავს უცხოელ ავტორებსაც და მსოფლიო დრამატურგიის კლასიკას, რომელიც საერთაშორისო კუთვნილებად გადაიქცა დიდი ხანია.

მაინც ეროვნული დრამატურგია ეროვნული თეატრის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ცხადია, ჩვენ სიზმარშიაც კი არ შეგვიძლია ვიოცნებოთ პარიზის იმ თეატრზე, რომელიც მხოლოდ ეროვნულ დრამატურგიას ახორციელებს სცენაზე, ასევე ოლდვიკზე და პიკადილზე. მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ეროვნული თეატრი არ არსებობს ეროვნული დრამატურგიის გარეშე.

ზემონახსენებ ფორუმზე ითქვა: „თეატრის დაცემა მთელ მსოფლიოში შეინიშნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თეატრალური ტექნიკის განვითარების დროა და თეატრში აქცენტი შეიცვალა: პიესის გაფორმება და სცენიური გადაწყვეტა უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე მისი შინაგანი აზრი; დირიჟორი ურფო პატივსაცემი გახდა, ვიდრე კომპოზიტორი"[1].

„აქტიური" რეჟისურა, ხანდახან მას, არცთუ უსამართლოდ, „აგრესიულსაც" უნოდებენ, ფაქტიურად, დაეპატრონა თეატრს. მას სახელის მოსახვეჭად, უცხო ქვეყნებში საგასტროლოდ, მის მიერვე გადაკეთებული შექსპირის ტრაგედიები ურჩევნია და ანტიკური ტრაგედიები, ვიდრე საერთაშორისო საპარეზზე უცნობი ეროვნული დრამატურგია.

რას იზამ.

ესეც რეალობაა.

ამას წინათ, ერთ-ერთი ინტერვიუში მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ო. მელვინეთუხუცესი ჩიოდა: „ჩვენს თეატრში მინდოდა დაედგათ „ყვარყვარე თუთაბერი", „დავით აღმაშენებელი", მაგრამ არც ერთ რეჟისორს არ სურს ამ მასალაზე მუშაობა"[2].

არა გვგონია, რომ ეს რეალობა ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ფრუიძე

ეთნოგრაფიული წერილები

გვარიშვილობა, მამულიშვილობა და მკვიდრობა

საქართველოში საგვარეულო გაერთიანებათა წარმოქმნის პროცესი უხსოვარი დროიდანაა დაწყებული და დღესაც შეუქცევადად მიმდინარეობს.

თუკი საყოველთაოდ ცნობილ სქემას გავიმეორებთ, ჩვენს ტერიტორიაზე გაადამიანების ყველა ეპოქაა გამოვლენილი. დმანისის ცნობილმა აღმოჩენებმა მთლიანად შეცვალა ადამიანის წარმოშობისა და გავრცელების რუკა. აქაც აშკარად გამოიკვეთა საქართველოს კუთვნილი მიწა-წყლის უპირატესობა. გაირკვა, რომ ევრაზიაში ყველაზე უძველესი ადამიანი აქ, დმანისში, ბინადრობდა.

ქართველ მეცნიერთა მიერ რელიეფურადაა ასახული დედისეული და მამისეული გვარებისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურა. არქეოლოგიური მონაპოვრების ანალიზის საფუძველზე ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე პატრიარქალური გვარი მესამე ათასწლეულში ჩამოყალიბდა, რამაც კერაში განსახიერებულ ნაყოფიერების კულტში ჰპოვა ასახვა. კერის სადგარები ხარის რქების სტილიზებული გამოსახულებებია, რითაც ხაზგასმულია იმ დროს ხარის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ქართველთა ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების პატრიარქობა. ყველა მონაცემით, ქართველი ერი წარმოშობილი და განვითარებულია საკუთარ ისტორიულ სამშობლოში – საქართველოში, რომელიც ამჟამად, ცნობილი ძნელბედობის გამო, დაფლეთილი და განახევრებულია. თითოეული გვარის და პიროვნების უპირველესი მიზანი უნდა იყოს სამშობლოს გამთლიანება და კეთილდღეობა.

გვარსახელი მთელი სამყაროა. თითოეულ მათგანში ასახულია ერის ყოფაცხოვრების თითქმის ყველა მხარე. ძველი ფუძეგვარებიდან მრავალი ახალი გვარია ნაწარმოები. ჩვენთან არ არსებობს გვარი, რომელსაც თავისი წარმომავლობის შესახებ თქმულება-გადმოცემა არ ჰქონდეს, არ იცოდეს საკუთარი საცხოვრისი, ადგილ-მამული, ადგილის დედა და ფუძის ანგელოზი. ყოველივე ეს საგვარეულო მეხსიერებითაა განპირობებული.

საგვარეულო თქმულება-გადმოცემების და ლეგენდების შეკრება, რაც მეცნიერებმა ნაწილობრივ თუ მოახერხეს, საგვარეულო კავშირების საპატიო ამოცანაა, ამით დადგინდება თითოეული გვარის წარმომავლობა და გავრცელების არეალი, დაზუსტდება საგვარეულო სოფელი და სალოცავი. საგვარეულო კავშირებად ორგანიზებული ბევრი გვარი ამას უკვე ახორციელებს და საკუთარი გვარის ისტორიას მყარ საფუძველს უქმნის. კეთდება აგრეთვე საოჯახო გენეალოგიური ნუსხები, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. ფრიად მისასალმებელია, რომ ამისათვის არსებობს საგანგებო წიგნი, რომლის შევსება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს.

ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ახალი გვარების წარმოშობა სტიქიური პროცესი არასდროს ყოფილა, არამედ ხალხური სამართლით მუდამ განსაზღვრული იყო. გამრავლებული კომლები მამობაზე იყოფოდნენ და პაპისშვილთა-ბაბუისშვილთა პატრონიმულ დასახლებებს ქმნიდნენ, რომლებიც ადგილობრივ ერთი საერთო გვარის ქვეშ, უახლოესი წინაპრის სახელის ან ზედმეტი სახელის მიხედვით ქვეგვარებით იხსენიებოდნენ და იხსენიებიან. ქვეგვარის გაგვარება ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა.

ბუნებრივი გამრავლების გამო, სხვა სოციალური ფაქტორებისა თუ გარეშე მტრის ზეწოლით გვარი ადგილს იცვლიდა, დროსა და სივრცეში მისი განფენა ხდებოდა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და ხშირად საბჭოთა

ხელისუფლების ნლებშიც გვარი თავის პირველ საცხოვრისს, ადგილის დედას, ფუძის ანგელოზს არ ივიწყებდა და დაწესებულ დღეობაზე საკლავით და ზედაშეთი აუცილებლად მიდიოდა. ეს ჩვეულება მეტნაკლებად დღესაც სრულდება. კახეთში, მაგალითად, ბევრ ტრადიციულ გვარს თავისი ზედაშეები ახლაც შენარჩუნებული აქვს.

რაც შეეხება არამკვიდრებს, მოსულთ, ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო ხანებამდე შემოინახა გვარზე მოკიდების, გვარის შვილობის, გვარის გამოთხოვის და მიღების წესი. თუ მოსული სხვადასხვა გარემოებათა გამო თავის სამკვიდრებელში დაბრუნებას ვერ მოახერხებდა და მას სტუმრობა-ამანათობის ვადა გაუვიდოდა, ის ვალდებული იყო ან წასულიყო, ანდა რომელმა გვარმაც შეიფარა და არსებობის საშუალება მისცა, ის გვარი მიეღო. როგორც წესი, მთხოვნელი თავშეფარებული იყო. დაიკვლებოდა ხარი, შესაფერისი რიტუალი შესრულდებოდა და მოსული პირი გვარის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. მას მამულის მოზიარედ გაიხდიდნენ, მიწა-წყლით უზრუნველყოფდნენ, სახლ-კარის და ეზო-კარმიდამოს გამართვაში დაეხმარებოდნენ, დღეობა-სალოცავებში და სასაფლაოზე თავის ადგილს მიუჩენდნენ.

ეს მამაპაპური ჰუმანური ჩვეულება საქართველოს ეთნიკური სიჭრელისგან იცავდა და ფუძეგვარების სიძლიერეს უწყობდა ხელს. ახალ გვარიშვილს ხშირად ბეითალმან მამულზე სვამდნენ და ძველი ჩვეულების თანახმად გადაშენებულ კომლს აღადგენდნენ. შეკედლებაზე ხსოვნა მალე ქრებოდა, მით უმეტეს, თუ გვარი ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო.

ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ე. წ. ინტერნაციონალიზმმა, როცა „მთელი დუნიის პროლეტარები საქართველოში შეერთდნენ", წინაპართა ამ ცოდნა-გამოცდილებას ბოლო მოუღო. მაგრამ საქართველომ თუ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა დაიბრუნა, ეს წესი უნდა აღდგეს, ისევე ძალდაუტანებლად და ცხოვრების კარნახით, როგორც საუკუნეების განმავლობაში სრულდებოდა, სხვათა შორის, ქართულ ტრადიციულ ქალაქებშიც, სადაც „უბანი" და „ეზო" მოქმედი ტერიტორიულ-სოციალური უჯრედი იყო და არის.

დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ქალაქების ქუჩებიც „სამოხიოებადაა" დაყოფილი. სამოხიოს მკვიდრნი საქორწილო და სამგლოვიარო წეს-ჩვეულებების შესრულების დროს ერთმანეთის მხარში დგანან განურჩევლად ეროვნებისა. ტრადიციის ძალა იმდენად დიდია, ვინც ამ დაუწერელ კანონს არ შეასრულებს, იძულებული გახდება საცხოვრებელი სხვაგან ეძებოს. ჟამთა სვლის მეოხებით „აქლემი ყველას ჭიშკართან დაიჩოქებს", ამიტომ ჭირსა თუ ლხინში მარტო არავინ უნდა დარჩეს. ასეთ დროს კარის მეზობლობა გვარიშვილობასა და სახლიშვილობაზე ნაკლები მოვალეობა როდია.

გვარის მიღება ან არმიღება მოსულის სრული უფლებაა და მას ამას არავინ დააძალებს, არც ოდესმე დაუძალებიათ. ხოლო სამეზობლო მოვალეობის შეუსრულებლობა ნებისმიერ კომლს ბოიკოტის მდგომარეობაში აყენებს და მკვიდრად ცხოვრების შესაძლებლობას ძალაუნებურად ართმევს.

საგვარეულო ურთიერთობა სისხლით ნათესაობაზე დამყარებული ერთობაა, სამეზობლო კი ტერიტორიულ პრინციპზე აღმოცენებული დამოკიდებულება წარმოშობილი ცხოვრებისეული აუცილებლობით. სამეზობლო ვალდებულებანი არანაკლებია საგვარეულოზე, ამიტომ უთქვამს ხალხს — „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო". თანაცხოვრების ამ ტრადიციულ სისტემას ყავლი არასდროს გაუვა.

ქართული ცხოვრების წესი და საგვარეულო კავშირები

თითოეულ ერს საკუთარი ცხოვრების წესი აქვს, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და მეურნეობა-საქმიანობით განპირობებული. ცხოვრების წესი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სინთეზია, რომელიც ეროვნული ტრადიციების მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. მაშასადამე, ერის სახეს და თვითმყოფადობას ცხოვრების წესი ქმნის და ყოველი მოძალადე, დამპყრობელი მის დარღვევას,

გადაგვარებას ცდილობს. ამის სამწუხარო მაგალითია საქართველოს მთელი ისტორია.

რუსეთის იმპერიის ორასწლიანმა ბატონობამ, განსაკუთრებით კი საბჭოთა წყობილების სამოცდაათწლიანმა ანომალიამ, ქართული ცხოვრების წესი ფრიად შებღალა და დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ეროვნული ხელისუფლების წინაშე მისი აღდგენის აუცილებლობა მთელი სიმწვავით დადგა (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992, №5, 14 იანვარი, გვ. 3), მაგრამ ქართველი ერისათვის ეს უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო საკითხი დღემდე მიჩქმალულია.

როგორც არ უნდა ვეცადოთ, ამჯერად ეროვნული იდეოლოგიისა და ცნობიერების ჩამოყალიბება, საგვარეულო კავშირების მიზანმიმართული საქმიანობა განწირული ცდა აღმოჩნდება, თუკი ქართული ტრადიციული ცხოვრების წესი მთელი მისი სრულფასოვნებით არ შევიცანით და მისხალ-მისხალ არ აღვადგინეთ, რა თქმა უნდა, თანამედროვე ვითარების შესაბამისად. ყოველივე ამის საფუძველი კი, როგორც პრობლემის მონოგრაფიულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, მიწასთან დამოკიდებულების ურთულესი პრობლემაა. მიწა ქართველი კაცისათვის მხოლოდ საარსებო საშუალება კი არ იყო, არამედ ეროვნული თვითშემეცნების, თვითშეგნების ქვაკუთხედია, ბალავარია. მიწათმოქმედება და ქართველობა შეგნებული მსოფლიოს თვალში იმთავითვე სინონიმები გახდა და ახლა რაც უბედურება გვჭირს, მშობლიურ მიწას რომ მოვწყდით, საკუთარ მამულში ხიზნებად რომ ვიქეცით, სწორედ მისი შედეგია. ეს არის მიწის ავბედითი გაუცხოება.

დამოუკიდებლობის ათწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მიწის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა ჯერჯერობით მიუღწეველია, ხოლო მიმდინარე აგრარული რეფორმა ქართულ ცხოვრების წესს და ისტორიულ სინამდვილეს მთლიანად მოწყვეტილია. ამიტომ მესაკუთრემ მიწა ვერ გაითავისა, მას შინა და გარე ბაზარი წართმეული აქვს. მიწათმოქმედის შრომამ საერთოდ დაკარგა აზრი. ასეთ ვითარებაში მიწების ამოძრავება და ე. წ. „მიწის ბაზრის" ჩამოყალიბების მცდელობა ერის დალუპვის ტოლფასია.

ვიდრე გვიან არ არის, მიწასთან და საადგილმამულო ურთიერთობასთან დაკავშირებული მოქმედება [illegible] ობა კრიტიკულად უნდა გადაისინჯოს, მიღებული შედეგები მეცნიერულად უნდა გაანალიზდეს, რათა თანმიმდევრულად აღდგეს მიწის საკუთრებისა და ფლობის ქართული სისტემა, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე დახვეწილია და ზუსტად შეესაბამება როგორც ქართველი ერის, ისე საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ყოფას. სწორედ ეს მოგვცემს შესაძლებლობას, ეროვნული ცხოვრების წესის აღდგენა გეგმაზომიერად დაიწყოს და უმტკივნეულოდ განხორციელდეს.

ქართველმა ხალხმა თავისი ცხოვრების წესის ძირითადი საფუძვლები ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შეიმუშავა, საუკუნეების მანძილზე მიზანმიმართულად დახვეწა და სრულყოფილი გახადა. აქედან გამომდინარე, ქართული ცხოვრების წესი ქართველთა სარწმუნოებით და იმ აგრარული კალენდრითაა განპირობებული, რომელიც მოცემულ ბუნებრივ გარემოში მეურნეობის, საერთოდ შრომა-საქმიანობის სისტემას აყალიბებს და წარმართავს. კულტურის ეს უდიდესი მონაპოვარი ქრისტიანობამ მთლიანად შეითვისა და შეისისხლხორცა, ამიტომ გახდა იგი ქართველთა უმთავრესი რელიგია.

წელიწადის დროთა მიხედვით საქმის დღეთა და უქმეთა მონაცვლეობა, მარხვა-ხსნილის დაცვა, მტკიცედ რეგლამენტირებული და განსაზღვრული სახალხო-რელიგიური დღესასწაულები, მათი აღნიშვნის სრულქმნილი რიტუალი, სიკვდილ-სიცოცხლის მომწესრიგებელი ყოფითი წეს-ჩვეულებანი (ნიშნობა, ქორწილი, ძეობა-ნათლობა, დაკრძალვა-გლოვის წესი, სანიადაგო და საწესო-საზეიმო კვება, საყოფაცხოვრებო და რელიგიური სუფრები, ტრაპეზები და სტუმარმასპინძლობა და სტუმართმოყვარეობა, უფროს-უმცროსობის წმინდა ადათი, ტრადიციული ზნეობა და ზრდილობა, ქალისადმი მოწიწება და პატივისცემა, სისხლისმიერი და ხელოვნური სანათესაო სისტემები, კოლექტიური შრომა და ურთიერთდახმარება, შრომის ღირსება და ფასი, სანათესაო და სამეზობლო ვალდებულებანი და ა. შ.) ქმნიდნენ და ქმნიან ცხოვრების

ნესის იმ სოციალურ ქსოვილს, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება...

ჩვენ, ქართველებს, არაფერი გვაქვს უცხოეთში საძებარი. თუ საკუთარ ისტორიას და ყოფას ბოლომდე ჩავუკვირდებით, შევიცნობთ და თანამედროვე თვალთახედვის საჭიროებით გავაცნობიერებთ, მაშინ საწადელს მივაღწევთ, კრიზისიდან გამოვალთ და მსოფლიოს ხალხთა თანავარსკვლავედში კუთვნილ ადგილს დავიჭერთ.

ეს კი ილია ჭავჭავაძისეული „სოფლის უზენაესობით" მიიღწევა. როცა ქვეყნის მართვას ქვემოდან ზემოთ შევძლებთ, ყველა მოქალაქეს თავის საცხოვრისის ჭეშმარიტ მესაკუთრედ, ბატონ-პატრონად და მეუფედ გავხდით, ისევე როგორც ეს მართლაც დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში იყო განხორციელებული.

ყველა გვარს საქართველოში თავისი ფუნქცია ჰქონდა და ბევრ მათგანს ხელობა-საქმიანობა გაუგვარდა კიდეც (გავიხსენოთ: მენაბდე, მებუკე, ჩუბინიშვილი, მჭედლიშვილი და ა. შ.). გვარი კუთვნილი მამულის არა მხოლოდ სრულფასოვანი მესაკუთრე იყო, არამედ მის გამოყენებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი. „საკუთრების" ცნებას საზოგადოებრივი აზრიც განსაზღვრავდა. მამულის გატიალებას არავის დაანებებდნენ, პირადი სარგებლობა სახელმწიფო-საზოგადოებრივ სარგებლობასთან იყო შერწყმული. კომლის (ოჯახის) და გვარის სიმდიდრე-სიძლიერე სახელმწიფოს და საერთოდ, ხალხის კეთილდღეობას განაპირობებდა. კანონზომიერებას ქართული ცხოვრების წესი და ფორმულა — „ეგრე არ არის, თაყაო, შენ რომ მამული გაჰყაო", ამყარებდა. ზედმეტად თვითდაჯერებულთა თავგასულობას სოფელი (თემი) მაშინვე ზღუდავდა; როგორც დიდი ილია ბრძანებდა — სოფლის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა, ყველას და ყველაფერს კეთილგონივრულად გაარიგებდა. უკუღმა მოქმედს და მომზირალს ჯერ ოჯახი მოსთხოვდა პასუხს, შემდეგ გვარი და ბოლოს სოფელი. თუ ურჩი ურჩობას არ მოიშლიდა, მისი საბოლოო ხვედრი სოფლისგან მოკვეთა იყო. ვიდრე ბიუროკრატიამ არ იმძლავრა, ეს ტრადიცია თანაბრად მოქმედებდა მთაშიც და ბარშიც. დროთა განმავლობაში ქართული ცხოვრების წესის დაკნინებამ საზოგადოებრივი აზრის ბალანსი და სოფლის უზენაესობა შეამცირა, რასაკვირველია, მხრივ სავალალო შედეგები მოჰყვა.

საცხოვრისიდან გამომდინარე, ბუნებრივ-ეკოლოგიური გარემოს ზეგავლენით გვარები შესაბამის საქმიანობით სპეციალდებოდნენ. იყვნენ და არიან გუთნის დედობაში, მევენახეობაში, მებაღეობა-მებაღჩეობა-მებოსტნეობაში, მესაქონლეობაში, ასევე თიხის, ქვის, ხის, ტყავის, ქსოვილის და ა. შ. დამუშავებაში იმდენად დაოსტატებული გვარები, რომ მათმა ღვაწლმა საუკუნეებს გაუძლო და დღემდე მოვიდა. მაგალითად, კვარაცხელიების მსხვილფეხა, მეწამული ფერის საქონლის ხსოვნა ახლაც ცოცხლობს. ისინი ხომ ზაფხულობით ამომწურავად იყენებდნენ მთელი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ალპურ საძოვრებს, ხოლო ზამთრობით ზღვისპირეთს. ასევე მეცხვარეობაში დასპეციალებული თუშები მთავარ კავკასიონს არ სჯერდებოდნენ და მათ ცხვრის ფარები თრიალეთს, თურქეთისგან მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს იალაღებზე დაუდიოდათ, ზამთრობით კი შირაქს.

საქართველოს ის სოფლები, სადაც მთური ჰავის გამო ვაზი არ ხარობდა, ვენახებს ბარად აშენებდნენ და არანაკლებ მევენახეობა-მეღვინეობას ეწეოდნენ, ვიდრე ბარის მცხოვრებლები. უვენახო გლეხი ხომ საქართველოში ბოგანოდ ითვლეოდა. ერს ბოგანო რომ არ ჰყოლოდა, ამისათვის მთელი გვარი ილვწოდა და შედეგიც შესაფერისი იყო — საქართველოს მთა-ბარის თითოეული სავარგული გამოწვლილვით ათვისებული და მოსავლის მომცემი იყო, ქვეყანა კი ბარაქიანი, მდიდარი და სვებედნიერი გახლდათ. ყველაფერ ამას ქართული ცხოვრების წესი და შრომა-საქმიანობის ეროვნული ტრადიციები განაპირობებდნენ. ილიას რომ დავესესხოთ, გუთნის და ხმლის განუყრელობა ქართულ ეკონომიკურ სასწაულს უზრუნველყოფდა. ამ სასწაულის მომხდენი კი სამშობლოს სიყვარულით და სარწმუნოებით შესისხლხორცებული, კარგად ორგანიზებული გვარები იყო. თუ საგვარეულო კავშირები ამას მიაღწევენ, ვფიქრობთ, ქვეყანას კრიზისიდან თავის დაღწევა აღარ გაუჭირდება...

წმინდა ხეები – საგვარეულო სიმბოლოები

2000 წლის 10 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოსახლეობას ასე მიმართა:

„იწურება XX საუკუნე და ისტორიის კარს აღებს ახალი ათასწლეული. ჩვენ და ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას წილად გვხვდა მონაწილენი ვყოფილიყავით მეტად იშვიათი მოვლენისა, – მოვსწრებოდით არა მარტო საუკუნეთა, არამედ ათასწლეულთა შესაყარს. ბუნებრივია, თითოეული ჩვენგანის წინაშე დგება კითხვა – რა ვაკეთოთ, რით აღვნიშნოთ ეს თარიღი?

ერთ-ერთ საშუალებად მიმაჩნია ხეების დარგვა. ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ბიბლიაში არაერთხელ არის საუბარი ურთხმელის, კედრის, ნაძვის, ფიჭვის, მუხის და სხვა მცენარეთა შესახებ, რომელთაც სხვა ფუნქციური დატვირთვაც აქვთ;

ხეები მგრძნობიარენი არიან. ისინი ჩვენი თვალისათვის ძნელად შესამჩნევ, მაგრამ რეალურად არსებულ სიყვარულს ამჟღავნებდნენ მათ მიმართ, ვინც ზრუნავს, უვლის, პატრონობს მათ. შევნიშნავთ იმასაც, რომ საოცარ ძალას იჩენენ ის ნერგები, რომელნიც დიდი გრძნობითა და სიყვარულით არიან დარგულნი.

დიდი სიხარულიცა და დიდი მწუხარებაც ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. ამ გრძნობის გამოხატვის ერთ-ერთ სიმბოლოდ უნდა იქცეს ხეების დარგვა. ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც ყველაზე ბედნიერი ადამიანები – ახლადდაქორწინებული წყვილები და ახლადდაბადებული ბავშვების მშობლები დარგავენ ხის ნერგებს მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღის აღსანიშნავად.

ასევე ცალკე უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება ხეების დარგვა ჩვენს გარდაცვლილ ახლობელთა სახელზე. ეს ხეები სახელობითი უნდა იყოს და ჩვენგან იმქვეყნად წასულთა ერთგვარ სიმბოლოდ უნდა იქცნენ.

ვფიქრობთ, ასე შეიძლება გავაშენოთ უჩვეულო ტყეები, რადგანაც აქ გახარებული ხეები ლოცვით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულით იქნება დარგული და ამასთან ერთად სიმბოლო ჩვენი უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობებისა.

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხეტყის მოჭრასთან და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, უკვე ბოროტებად და დანაშაულად იქცა საქართველოს მთელი მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა. არავის აქვს უფლება დაუნდობლად გაანადგუროს ბუნება. არავის აქვს უფლება გაანადგუროს ერის სიმდიდრე და ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ტყეების გაჩეხვა უნდა შეჩერდეს!

იმედი მაქვს, რომ საერთო ძალისხმევით, ჩვენი ხელისუფლებისა და სათანადო სტრუქტურების აქტიური ჩარევით მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება.

ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა ამ დიდ და კეთილ საქმეთა აღსასრულებლად.

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
10 ოქტომბერი, 2000 წელი"

საქართველომ ჯერჯერობით ეკოლოგიური კატასტროფა არ იცის. ეს შედეგია იმ ღვთაებრიობისა და უდიდესი ცოდნა-გამოცდილებისა, რომელიც ქართველმა ხალხმა – ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების პატრიარქმა, ათასწლეულთა მანძილზე დააგროვა. უაღრესად რთული, მთიანი რელიეფი განსაკუთრებულ მოვლას და ყურადღებას საჭიროებდა. სწორედ ამიტომ ქართველობამ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ემპირიულად შეიცნო ვერტიკალური ზონალობის თავისებურებანი, ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე ბუნებრივ-კლიმატური ზონების საოცარი მრავალფეროვნება და გარემოს მოვლის, საარსებო საცხოვრისის უმტკივნეულოდ ათვისების მაღალი კულტურა გამოიმუშავა. დროთა განმავლობაში ხალხის ეს გამოცდილება ქურუმულ ცოდნად გარ-

დაისახა და თაობიდან თაობას გადაეცა. XVIII საუკუნის შუა ხანებში გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილება განაზოგადა და საქართველოში ხუთი ბოტანიკურ-სამეურნეო არე გამოჰყო (ნარინჯ-თურინჯის, ბრინჯ-ბამბის, ვენახოვან-ხილიანი, უვენახო-ხილიანი და მთამაღალი-ალპური სათიბ-საძოვრები).

თავის დროზე სულმნათი ივანე ჯავახიშვილი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა მცენარეთა ზონალობის გამოყოფით ევროპულ მეცნიერებას მთელი ასი წლით გაასწრო. ვახუშტის ეს აღმოჩენა ჩვენი წინაპრების რაციონალური საქმიანობის ნაყოფი იყო. ასევე ხალხური დაკვირვებამიგნებიდან აიღო ვახუშტიმ მთისა და ბარის გამყოფ მცენარედ ვაზი. ვერტიკალურ ზონალობაში კულტურულ მცენარეთა განლაგების ძველქართული ცოდნა თანამედროვე მეცნიერების მიღწევებითაა დადასტურებული და განმტკიცებული.

საქართველო ხორბლეულის, ვაზის, ხეხილის, კულტურული მესაქონლეობის ერთ-ერთ უმთავრეს კერადაა აღიარებული. ამ საშვილიშვილო საქმეში მრავალ გვარს გამოუჩენია თავი. მარტო კვარაცხელიების ღვაწლი რად ღირს...

ხუთასზე მეტი ვაზის აბორიგენული ჯიშიდან ბევრი მათგანი გვარის სახელს ატარებს. საქართველოში, როგორც ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაში ძალიან ადრე მოხდა შრომის დანაწილება და მცხოვრებთა დასპეციალება. დღეს ჩვენში 20 ათასზე მეტ ქართულ გვარს ითვლიან, ამათგან თითქმის ყველას აქვს თავისი შთამომავლობითი დასპეციალება-საქმიანობის უტყუარი გადმოცემები. ბევრი კვლავ მამაპაპურ ხელობას მისდევს.

ჩვენი წინაპრები ტყის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. საერთოდ, მცენარეებთან დამოკიდებულება ყოველთვის ღვთაებრივ საქმედ ითვლებოდა და მცენარეთა კულტი მარადჟამს ქართული ტრადიციული სარწმუნოების საფუძველთასაფუძველი იყო. უკვდავების სიმბოლოს — სიცოცხლის ხეს ქართულ ეროვნულ ჩუქურთმებსა და ორნამენტებში საპატიო ადგილი ეჭირა. მისი სტილიზებული თუ რეალისტური გამოსახულებანი მნახველს უდიდეს ესთეტურ სიამოვნებას ანიჭებდა.

ქართველებმა ამ[illegible] ბენ ხის მერქნის თვისებები და მისი მოხმარება-დამუშავების მაღალ კულტურას ფლობდნენ.

ყველა სოფელს თავისი ტყეები გამოყენების თვალსაზრისით ჰქონდა დაყოფილი. წარსულში ტყეს არანაკლებ მოიხმარდნენ, ვიდრე დღეს. უამრავ სარს, ხარდანს, ჭიგოს, ხალახინს და მისთანათ საჭიროებდა საქართველოში ესოდენ განვითარებული მევენახეობა. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ვაზის შესაყელავი და ასახვევი მასალა ხის წკეპლებისა და ქერქისგან მზადდებოდა, მაშინ ნათელია, თუ რა საფრთხე ელოდებოდა განუახლებელ ტყეს. რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველად გათბობისა და საჭმლის დამზადების ერთადერთი საშუალება შეშა იყო, თანაც ჩვენთან, როგორც წესი, ნაგებობათა უმეტესობა ხისგან კეთდებოდა. ასევე ნაირ-ნაირი ჭურჭლეული, ავეჯი, შარაგული (წნული ჭურჭელი), ღობეები, ლასტები და ა. შ. მიუხედავად ასეთი მოთხოვნილებისა, საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ტყეები სიცოცხლისუნარიანი და მოქმედი, გამოსაყენებელი იყო. საქართველოს ისტორიამ არ იცის ტყეების მასობრივი მოსპობა, პირიქით, უღრან ტყეთა მასივებმა დღემდე მოაღწიეს და, სამწუხაროდ, დღეს ისინი ხელაღებით ნადგურდება. ეს უბედურება, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს, ქვეყნის ხელისუფლებამ, ასევე, ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველმა გვარმა და საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითვალისწინოს. უტყეო საქართველო ღვარცოფების და მკვდარი ხრიკოების უდაბნოდ გადაიქცევა.

საქართველოს ტყეებისა და საზოგადოდ, მცენარეული საფარის მარადიულობა მისი მოვლია და გამოყენების იდეალურ შეთანაწყობაში იყო. უპირველეს ყოვლისა, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავს, მცენარის დარგვა და მოვლა დიდი ღვთაებრივი საქმეა. ამას ყოველთვის კეთილმორწმუნენი და მაღალზნეობრივი ადამიანები აკეთებდნენ. გარდაცვლილთა სახელზე ხეების გაშენება და მყნობა, ისევე როგორც გზისპირებზე

წყاროსთვლების აშენება და შემკობა, ხალხურ ჩვეულებად იყო ქცეული და სულის უპირველეს საცხონებელს წარმოადგენდა. რგავდნენ ხეებს თითოეული გარდაცვლილის და გვარის სახელზე. ასე შემოინახა საგვარეულო ტყეები, რაც გვარის ღირსებას გამოხატავდა.

ტრადიციულ ოჯახებში უხსოვარი დროიდან მომდინარეობდა და ახლაც მისაბაძია ასეთი ჩვეულება: კარმიდამოში მოხუცი გამოუყენებელ, მიგდებულ მინაზე ძვირფასმერქნიან ხეებს რგავდა (ურთხმელი – უთხოვარი, ძელქვა, ბზა, ცაცხვი, მუხა, თელა, წაბლი, კოპიტიფანი, ნაძვი, ქართული ფიჭვი, სოჭიჩიხრი, განსაკუთრებით, ვერცხლისფერი სოჭი, ნეკერჩხალი, კედარი, კვიპაროსი და ა. შ.). ასე იქმნებოდა დიდებული კორომები, არა მარტო საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში, არამედ კარმიდამოებშიც მეწყროვან და დახრამულ, სრულიად გამოუყენებელ ნაკვეთებზე. ამ ხეთა დამრგველ-გამშენებელი მის ნერგებთან ერთად ცოცხლობდა, მისი სახელი და მოსაგონარი ხეებთან ერთად იზრდებოდა და საყოველთაო მადლიერებით გვირგვინდებოდა. ამ სტრიქონების ავტორს რაჭა-ლეჩხუმსა, ზემო იმერეთსა და სხვაგანაც ოჯახებში უზარმაზარი ხორმო-ხაპი-საწნახელი უნახავს, რომელიც ტყიდან კი არ მოუტანიათ, არამედ წინაპართა მიერ დარგული, ეზოში მოუჭრიათ და გამოუყენებიათ.

ხატის ტყეებს და საგვარეულო კორომებს ხშირად იქ აშენებდნენ, სადაც ზავები, ღვარცოფები ან წყლის მოვარდნა იყო მოსალოდნელი. მათი ნაშთები აქა-იქ დღესაცაა შემორჩენილი. სამწუხაროდ, ახლად გაშენებას არავინ ფიქრობს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ასეთი ტყიდან ხის მოჭრა მკრეხელობად ითვლებოდა და ტაუბ-ვაშინერსის დარღვევას ვერავინ გაბედავდა. თუ ვინმე ამას ჩაიდენდა, მაშინ სიცოცხლით აგებდა პასუხს. ღმერთის ყოვლისმხილველი თვალი ყველაფერს ხედავდა.

ასევე უხსოვარი დროიდან მოდიოდა მეტად კეთილშობილური ჩვეულება წმინდა ადგილებში წმინდა ხეების დარგვისა. ზემოთ მათი ნაწილი უკვე ჩამოვთვალეთ. ვის არ უნახავს მარტვილის მონასტერთან გასაოცარი ძელქვები – რკინისებური მერქნით, რომელიც ისე მძიმეა, წყალში იძირება, როგორც რკინა და მისგან დამზადებული ნივთები საუკუნეებს უძლებს. ან ურთხელი – წითელი ხე, ხეთა მეფე – მუხა საქართველოს სიმბოლო, მარადიულად მტრების სახით მუმლი რომ ეხვევა და ვერაფერს აკლებს; ან ცაცხვი – მისი ნაზი მერქანი საუკეთესოა ჭურჭლეულის დასამზადებლად, საქართველოში ხის ჭურჭელთა უმრავლესობა, თვით საწნახლებიც კი, ცაცხვისგან იყო დამზადებული. სხვათა შორის, წმინდა საეკლესიო ადგილებში ამ ხეებს გამოყენების თვალსაზრისით არ რგავდნენ, მათ მერქანს იშვიათად საეკლესიო საჭიროებისათვის თუ გამოიყენებდნენ, პირად მოხმარებისთვის კი არავითარ შემთხვევაში. გადაბერებული და წაქცეული ხეების შეშა შესაძლოა საზოგადო საკირეში კირის გამოსაწვავად გამოეყენებინათ, მეტადრე თუ ეკლესიას აშენებდნენ. ამ შეშას ზამთრობით ეკლესიის გასათბობადაც იყენებდნენ. შინ, ოჯახში წკეპლის წაღებაც კი არ შეიძლებოდა – „არ ვარგია", ღმერთი გაწყრებოდა და შეიძლება მიმტანს სიცოცხლით ეგო პასუხი. ყოფილა ასეთი შემთხვევაც: მუშა კაცი, რომელმაც „წმინდანიან ალაგში" წაქცეული წმინდა ხე ამოკაფა, დამორა და იქვე დაასაჟენა, სახლში მივიდა და მძიმედ გახდა ავად. მას ვერანაირმა წამალმა ვერ უშველა. მიზეზს ცოლმა მიაგნო – ქალამანს და ნინდას შუა ერთი პატარა ნაფოტი ჩავარდნილიყო და ის ღუპავდა საწყალს. როგორც კი ნაფოტი უკან მიიტანეს, ავადმყოფი მაშინვე მორჩა. ვითარცა ასეთ ვითარებაში უყვართ თქმა – კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია...

წმინდა ხეების კორომი ეკლესიას და მის გარემოს მეტ დიდებულებას ანიჭებდა და მორწმუნეთა რწმენის განმტკიცებას უწყობდა ხელს. ასევე წესად იყო მამაკაცის საფლავზე მუხის დარგვა, ქალის საფლავზე კი – ცაცხვისა. ეს ჩვეულება, სამეგრელოში, მეტადრე მარტვილის შემოგარენში, ახლაც შემონახულია. როგორც წესი, ახალი მიცვალებულის პატრონი წმინდა ადგილებში, ეკლესია-მონასტრებთან და სალოცავებთან, გზა-შარაზე, წყაროებთან, საჯვარეებთან, სასვენებლებთან, გადასასვლელებთან, ყელთან, მისაქციელთან, საბრუნავთან, საყელავთან და ა. შ. გადაბერებული ხეების ნაცვლად ახალ ნერგებს რგავდნენ, დღეს კი 70 წლის ათეი-

ზმის ზეობამ თაობათა კავშირი დაარღვია და ჩვენი სოფლების ძველ ეკლესიებზე, ერთი პიესის სათაურისა არ იყოს – წმინდა ხეები ზეზეულად კვდებიან, ბევრი მათგანი ძირს ენარცხება და საფლავებს აზიანებს. დადგა ჟამი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოწოდება პრაქტიკულად განვახორციელოთ და თითოეულმა პიროვნებამ, თითოეულმა გვარმა ჩვენი ადგილის დედის საგვარეულო ტაძრები წმინდა ხეების კორომებით შეავამკოთ. ეს ეკლესიის აშენება-აღდგენა-განახლებაზე არანაკლები მადლია. წმინდა ხე ხომ მისი დამრგველის საგვარეულო სიმბოლიკაა.

ქართველი კაცი ტყეს ისე უვლიდა, როგორც ვენახს. ვენახის ირგვლის საბელავები – ნერგები – ჰქონდა გაშენებული და ვენახისთვის საჭირო სარს, ჭიგოს, ასევე ღობის მარგილებს და წნელს იქვე ამზადებდა. საბელავების (ნერგების) კულტურა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ტყეებს დიდ შეღავათს ანიჭებდა. დასანანია, რომ დღეს მამა-პაპათაგან მომდინარე ეს ჩვეულება დავიწყებას ეძლევა.

ჭიგოს, წნელს და ფიჩხს უხვად მოიპოვებდნენ „ნამაშვარ ტყეებში", რომლებიც ვენახების მსგავსად შეღობილი და დაცული იყო (ეძახდნენ – „დაცულსაც"). ყოველ სამ-ხუთ წელიწადში ნამაშვარი ტყე ძირზე იკაფებოდა და ჭიგოდ, წნელად და ფიჩხად მოიხმარებოდა. ასეთი ტყე მიწყივ მოვლილი და უბერებელი გახლდათ. ბუნებრივია, იქ ხის ჯიშებიც გამოყენების თვალსაზრისით ჰქონდათ შერჩეული.

ტყეების უმრავლესობა სასოფლო-სათემო საკუთრებაში იყო და მას სოფელი, თემი იხმარდა და უვლიდა. ტყეთა გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაში ჰქონდათ, ნაწილი ნებაყოფლობითი შენო იჯარით შეძენილი.

დიდი, უღრანი „თეთრი" (ფოთლოვანი) და „შავი" (წიწვოვანი) ტყე ჩვეულებრივ სოფლიდან მოშორებით იყო და ის მეფეს – სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ახლაც ასეა, მაგრამ ახალი კანონმდებლობით ტყის მიზანმიმართული გაჩანაგება წარმოებს. ხალხს, სოფელს ტყეზე ყოველგვარი უფლება წართმეული აქვს და ამ ეროვნული საუნჯით ვიღაც ვიგინდარები ხელაღებით სარგებლობენ და ჯიბეს ისქელებენ. მორების უცხოეთში ჩალის ფასად გატანამ კატასტროფული სახე მიიღო, ამიტომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რისხვა სრულიად კანონზომიერია და ქართული ტყის დასაცავად ქუდზე კაცი უნდა გამოკიდეს. ყველა მოქალაქის ვალია, უწმინდესისა და უნეტარესის მოწოდებას გულმხურვალედ გამოეხმაუროს და ამ ბოროტების წინააღმდეგ რაიმე იღონოს. საგვარეულო კავშირებს ამ მხრივ ბევრი პრაქტიკული საქმის გაკეთება შეუძლიათ. ყველა გვარმა უნდა მოიძიოს თავისი საგვარეულო ტყეები, ნახოს, შეამოწმოს რა მდგომარეობაშია ისინი, დასაცავი დაიცვას და გასაშენებელი გააშენოს. ასევე თბილისთან და საქართველოს ყველა ქალაქთან უნდა შეირჩეს ადგილი, სადაც თითოეული, კარგად ორგანიზებული გვარი თავის ტყეს გააშენებს. პირველი ნერგი მუხა იქნება როგორც საქართველოს, აგრეთვე ფიცის კაცთა მიერ ფიცის შეკვრის მარადიული მოწმე და სიმბოლო.

სწორად წარმართული საგვარეულო მოძრაობის შესაძლებლობანი ამოუწურავია.

ლავრენტი ჯანიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის გაყალბების ნაცადი ბზა

„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს", — წერდა ერთი საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე ცნობილ პუბლიცისტურ წერილში, „ქვათა ლაღადში". ეს სიტყვები გამოწვეული იყო იმით, რომ სომხური საზოგადოების ერთი ნაწილი საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას (დამცრობას) ახდენდა, რათა სომხები ამიერკავკასიაში ყველაზე ხანდაზმულ და ამავე დროს ყველაზე პერსპექტიულ ერად გამოეცხადებინა. სომხურ სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში ამგვარი განწყობილება რუსეთის კავკასიაში გაბატონებისა და ირანისათვის ერევნის სახანოს წართმევის შემდეგ, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. იმ ხანებში გაჩნდა XI ს-ში გაუქმებული სომხური სახელმწიფოებრიობის რუსეთის დახმარებით აღდგენის იმედი, ამიტომ აქტუალობა შეიძინა სომხეთის ისტორიული საზღვრების დაზუსტების საკითხმა. სომხურ საზოგადოებაში წარმოიშვა სურვილი, რომ მომავალი სახელმწიფო განფენილიყო ძვ. წ. აღ. I ს-ში არსებული „დიდი სომხეთის" ტერიტორიაზე და მასში შესულიყო ამიერკავკასიაში სომხებით კომპაქტურად დასახლებული ყველა ადგილი. ამ მიზნით დაიწყეს ასეთი რაიონების სომხური მოსახლეობის აბორიგენობის მტკიცება, იქამდე მივიდნენ, რომ საქართველოს სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში XIX საუკუნის დასაწყისში შემოსული მიგრანტებიც კი ავტოქთონებად გამოაცხადეს.

საქართველოში სომხურ მიგრაციებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ეს პროცესი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (მე-15 ს.), რადგან საქართველო რჩებოდა ერთადერთ ქრისტიანულ პოლიტიკურ ერთეულად ამიერკავკასიაში, რომელიც მფარველობას უწევდა მაჰმადიანთა უღელქვეშ მოქცეულ ქრისტიან სომხებს (საკუთრივ სომხური სახელმწიფო მე-11 საუკუნიდან აღარ არსებობდა). მაჰმადიანთა უღელს გამოქცეულ სომხობას ქართველი მესვეურები მტრის ხშირი შემოსევებით გაუკაცრიელებული საზღვრების დასახლებისა და საქალაქო ცხოვრების აღორძინების საქმეში იყენებდნენ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ხანაში, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან სომეხი მიგრანტების ძლიერი ინტეგრაციის გამო, ამგვარ პროცესებს ქვეყნის ეროვნული შემადგენლობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია. განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა XIX საუკუნეში, რუსეთის გაბატონების შემდეგ, როდესაც ცარისტული ხელისუფლების ძალისხმევით შემოყვანილი მიგრანტების (რუსი სექტანტები, სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა. შ.) მრავალრიცხოვანი ჯგუფები კომპაქტურად დასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში — ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მანამდე ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას გამაჰმადიანებული ქართველები წარმოადგენდნენ, რომელთა დიდი ნაწილი 1828-31 წ.წ. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის დაპყრობის შემდეგ თურქეთში გადასახლდა, მათ სანაცვლოდ კი რუსეთის მთავრობამ თურქეთიდან 30 ათასი სომეხი შემოიყვანა. მიგრანტების ხარჯზე ამ რეგიონში სომხების ხვედრითმა წილმა მკვეთრად მოიმატა.

ასეთი ეთნიკური ცვლილება, ერთის მხრივ, სომხური საზოგადოების ზემოხსენებულ ნაწილს აძლევდა ხელს, მეორე მხრივ, კი რუსულ მმართველობას. მესხეთის ქართველი კათოლიკეებიც (ე. წ. ფრანგები) კი სომხებს მიაწერეს, რათა მათი ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაეზარდათ და მხოლოდ იმავე კათოლიკური გარემოდან გამოსული მოღვაწეების პეტრე ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილისა და სხვათა თავდადებულმა ბრძოლამ გახა-

და შესაძლებელი ამ კონფენსიური ჯგუფის ქართული წიალიდან მოწყვეტის თავიდან აშორება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სოფელი ახალქალაქის რაიონში (ბავრა, კარტიკამი, ხულგუმო, ტურცხი) თურქეთიდან გადმოსული ქართველი კათოლიკეებით იყო დასახლებული. ეს მოსახლეობა მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ინარჩუნებდა ქართულ იერსახეს, საუკუნის ბოლოსათვის კი მთლიანად გასომხდა.

XX საუკუნის საქართველოს ისტორია მდიდარი იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენებით. საქართველომ ორჯერ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, სხვათა შორის იყო ნარმატებული ომი სომხეთთან 1918 წლის შემოდგომა-ზამთარში, რომელმაც ზღვარი დაუდო ქართული მიწების (ლორესა და ჯავახეთის) მიტაცების სურვილს დაშნაკური სომხეთის მხრიდან. 1921 წ. საქართველოში გაბატონებულმა ბოლშევიკებმა ლორეს ოლქი სომხეთს მისცეს, საინგილო – აზერბაიჯანს, ჯიქეთი – რუსეთს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარის გამოკლებით) – თურქეთს. აღსანიშნავია, რომ ქართული მეცნიერების ღირსეული წარმომადგენლები კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც არ დაემორჩილნენ კონიუნქტურას და უარი არ თქვეს ხელისუფლების მიერ გაჩუქებულ ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე და მრავალი გამოკვლევა შექმნეს ამ პრობლემაზე.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და პარალელურად გრძელდებოდა (დღესაც გრძელდება) ისტორიის გაყალბების ნაცადი გზა მეზობელი ქვეყნების მეცნიერთა მიერ. თურქულ-აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ სამეცნიერო წრეებში პოპულარული კონცეფციებით ჩვენი ქვეყნის საზღვრების მიღმა რჩება არა მარტო უკვე მიტაცებული ტერიტორიები, არამედ ამჟამინდელი საქართველოს უმეტესი ნაწილიც (ქვემო ქართლი, სამაჩაბლო, აჭარა, აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი და ა. შ.). ფაქტების არასწორი ინტერპრეტირებისას აუცილებლად წარმოიქმნება ქართველ მეცნიერთა კომპრომეტირების აუცილებლობა, ამიტომ ხშირია ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, ექვთიმე თაყაიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სხვათა დაუსაბუთებელი კრიტიკა და ზოგჯერ აშკარა ცილისწამება. სწორედ ამის ნიმუშია სომეხი მეცნიერ-ისტორიკოლოგის ალექსანდრ კანანიანის ნაშრომი, რომელიც გაზეთმა „კვირის პალიტრამ" გადმოაქართულა სომხეთის რუსულენოვანი გაზეთიდან («Новое время», 5.11.2002). ავტორის მცდელობა, „გახსნას ჯავახეთის ირგვლივ შეკრულ დაპირისპირებათა კვანძი", წინააღმდეგობების შემცველი და ურთიერთგამომრიცხავი დებულებებისაგან შედგება, რომელთა უმეტესობა ყოველგვარ მეცნიერულ არგუმენტაციას არის მოკლებული და რამდენიმე მიზანს ემსახურება: I. ტენცენციურობის და ყალბისმქმნელის სახელი დაუმკვიდროს ქართველ ისტორიკოსთა მთელ პლეადას – ექვთიმე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს და სხვებს; II. სამხრეთ საქართველოს, ქვემო ქართლის და მესხეთის (განსაკუთრებით ისტორიული მესხეთის ნაწილის, ჯავახეთის), სომხური მოსახლეობა ავტოქთონურად გამოაცხადოს. შესაბამისად, სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ ამ ტერიტორიებით შემოფარგლოს, ხოლო ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული აზრი – სომხები პრაქტიკულად მთელ საქართველოზე აცხადებენ პრეტენზიასო, – ივანე ჯავახიშვილისეულ უსაფუძვლო გამონაგონად მიიჩნიოს; III. სომხების ავტოქთონობის დამამტკიცებელი საბუთების არარსებობა ამ ადგილებზე იმით ახსნას, რომ თითქოს სომხური კულტურის ძეგლები მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ქართველი მეცნიერების ხელით განადგურდა.

მსჯელობის დასაწყისშივე ავტორი აღნიშნავს, რომ ჯავახეთი სომხურ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის შესწავლილი და საფუძვლიანი კვლევა არც ჩატარებულა... ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დიდი ყურადღება ეთმობოდა ამ მხარის ყოველმხრივ შესწავლას და კანანიანის აზრით მცირეოდენი, მაგრამ „რაღაც" მეცნიერული ღირებულება ამ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს მაინც გააჩნიათ. ერთი სიტყვით, აღიარებს, რომ საკითხი ჯეროვნად არ ჰქონიათ შესწავლილი, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია წინასწარი აკვიატებით მიკერძოებულობაში

დაედო ბრალი ქართველი მეცნიერებისათვის.

კანანიანის განსაკუთრებული განწმატება გამოუწვევია ნიკო ბერძენიშვილის 1933 წლის მოგზაურობის დღიურს. ნ. ბერძენიშვილს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების ქართული ძეგლებისადმი ვანდალური დამოკიდებულების მრავალი ფაქტი აქვს დაფიქსირებული, რომელთა უარყოფას კანანიანი მაინცდამაინც არ ცდილობს. იგი სხვა კუთხით სვამს საკითხს და მ.ნიშნებას აკეთებს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერის დღიურები მშვენიერი სახელმძღვანელო იქნებოდა НКВД-სათვის პატრიოტულად განწყობილი და განათლებული ჯავახკელების ფიზიკურად განადგურებისათვის. უცნაურად გაგებული პატრიოტიზმი და განათლებულობაა, რომელიც ქართული ისტორიული ძეგლების განადგურებაში მდგომარეობს. ამ დებულების ავტორი კი იქვე, ყოველგვარი საბუთის გარეშე, უნამუსოდ სწამებს ცილს ქართველ მეცნიერებს სომხური ეკლესიებისა და ხაჩკარების განადგურებაში (თუმცა აღნიშნული ხაჩკარები, რომლებიც ლ. დავლიანიძემ აღმოაჩინა, კვლავაც არიან თმოგვის ციხესთან).

XIX-XX ს.ს.-ის სპეციალურ თუ პოპულარულ ლიტერატურაში მრავალჯერაა აღნიშნული, რომ ირანისა და თურქეთის პროვინციიდან შემოსული სომხები ბარბაროსულად ეკიდებოდნენ ქართული კულტურის ძეგლებს და მთლიანად ანადგურებდნენ მათ. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფაქტის შემსწრე დღესაც ბევრია სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაში. ტენდენციურობა რომ არ დაგვწამონ, მოვიტანთ XIX საუკუნის ცნობილი არაქართველი მკვლევარი-მოგზაურის ლ. ზაგურსკის ცნობას, რომელმაც 1872 წ. იმოგზაურა არზრუმის ვილაიეთიდან შემოსული სომხებით ახლადდასახლებულ სამცხე-ჯავახეთში. ზაგურსკი აღნიშნავდა, რომ, საბედნიეროდ, ზარზმის მონასტრის მახლობლად სომეხი მიგრანტები არ ცხოვრობდნენ, რადგან ისინი ჩვეულებრივ ძველ ნაგებობებს შლიდნენ თავიანთი ეკლესიებისა და სახლების ასაგებად (Л. Загурски. «Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г.» Тф. 1873 г. стр. 44). მკვლევარი აღუშფოთებია ჯავახეთის ცნობილი ქართული მონასტრის კუმურდოს მდგომარეობას – კუმურდოს ტაძრის თანამედროვე ისტორია, მეგობარ[illegible]ობს მუსულმანთა ფანატ[illegible] [illegible]ახლებულთა (სომხების – ლ. ჯ.) ვანდალიზმში. გუმბათი უკვე ჩამოინგრა, დასავლეთ მხარეს დაბზარულ ნახევარწრიულ კედელს გადმოსახლებულებმა თავიანთი ეკლესია მიაშენეს. მშენებლობა დაიწყეს სამხრეთ კედელთანაც, სადაც ააგეს ჭუჭყიანი ოთახი, რომელიც სასწავლებლისათვისაა განკუთვნილი. ეკლესიის შიგნით ნაგვისა და ნანგრევი ქვების გროვებია, ფართე კარები ჩახერგილია ქვებით. – წერდა იგი (გვ. 78). ანალოგიურ ცნობებს უხვად იძლევიან XIX-XX საუკუნის უცხოელი თუ ქართველი მკვლევარები: მარი ბროსე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვები.

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს, ქვემო ქართლის და მესხეთის (განსაკუთრებით ისტორიული მესხეთის ნაწილის, ჯავახეთის) სომხური მოსახლეობის ავტოქთონურად გამოცხადებას, როგორც აღვნიშნეთ, ეს თეორია ახალი არ არის და მას მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი მრავალჯერ გასცეს ქართველმა მეცნიერებმა.

აღსანიშნავია, რომ წერილობით წყაროებს და არქეოლოგიურ მასალას ამაგრებს ეთნოგრაფიული მონაცემებიც. სამცხე-ჯავახეთისათვის ისტორიულად დამახასიათებელია სიმბიოზური, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი, მეურნეობა. მესაქონლეობის მძლავრი აღმავლობა, მიწათმოქმედებისა და შინამრეწველობის კერების არსებობა ამ რაიონში დასტურდება ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის ეპოქაში. თურქების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად XVI-XVIII ს.ს. თანდათანობით ისპობოდა ქართული მიწითსარგებლობის წესი და ინერგებოდა ოსმალური თიმარიოტული სისტემა, გამოხატული ე. წ. ახჩურ და თაფუს წესით მიწის ფლობაში. მიწათმფლობელობის ეს წესი კარგად იყო ცნობილი ოსმალეთიდან გადმოსული სომხებისათვის და თითქმის XIX ს.-ის ბოლომდე იქნა შენარჩუნებული. ამის მიუხედავად, მიგრანტებს გაუძნელდათ ახალ ეთნოეკოსისტემას შეგუებოდნენ. მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან ოპტიმალურად მორგებული სამეურნეო ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღები, შრომის წარმოების ხერხები და კულტურულ მცენარეთა ჯიშები უმეტესად უცნობი იყო მათთვის, რაც შრომის შედარებით დაბალ პროდუქტიულობას განაპირობებდა. აღსანიშნავია, რომ თვით პროსომხური ორიენტაციით ცნობილი ავტორი ქ. ვერმიშევიც კი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის (ქართველების — ლ. ჯ.) ყანები არა მარტო უკეთ იყო მოვლილი და უკეთეს მოსავალს იძლეოდა, არამედ მათ მიერ მოწეული ჭირნახული უფრო მაღალი ხარისხიანობით გამოირჩეოდა და სასაქონლო ღირებულებაც მეტი ჰქონდა, ვიდრე სომხებისას.

საველე-ეთნოგრაფიული მასალის და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზით ირკვევა, რომ ჩამოსახლებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სომეხი მიგრანტები იძულებული გახდნენ ნასესხობის გზით გადაელოთ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ტექნიკური უნარ-ჩვევები და შრომის იარაღები. ისინი ჩაებნენ მესხეთის ეთნოგეოგრაფიული გარემოსთვის დამახასიათებელ სამინათმოქმედო და მესაქონლეობის სტრუქტურაში, აითვისეს სოფლის მეურნეობის წარმოების ადგილობრივი ხერხები, ჩაერთნენ უკვე ჩამოყალიბებულ საირიგაციო სისტემაში, გაითავისეს მესხური მესაქონლეობის ტრადიციული მთაბარული ნესი, უკვე არსებული საიალაღო ბაზები და ა. შ.

ზოგიერთი ცნობით, ახლადგადმოსახლებული სომხები მიწათმოქმედების მაღალი კულტურით არ გამოირჩეოდნენ. მიწას მხოლოდ ერთხელ ხნავდნენ და თანვე თესდნენ. თითქმის არ იყენებდნენ ფოცხს, ამიტომ დათესილ ყანაში უზარმაზარი ბელტები და სარეველა ბალახი რჩებოდა, რაც ცუდად მოქმედებდა ნათესზე. პურს მკიდნენ ნამგლით, მიწას ნაკელით არ ანოყიერებდნენ. ანალოგიური სიტუაცია აღწერილი აქვს დიუბუა დე მონპერეს, რომელმაც 1830-იან წლებში იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. როგორც მოგზაური აღნიშნავს, რუსული მთავრობის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, სომეხი მიგრანტების მიწათმოქმედებაში დასაქმება ძალიან გაჭირდა, რადგან „ყველას ხეტიალი და ვაჭრობა სურს, აგრიკულტურის წარმოება კი — არავის". ქ. ვერმიშევის ცნობით, XIX ს.-ის ბოლოსათვის ჩამოსახლებული სომხები ეიძულებული გახდნენ, თავიანთი ტრადიციული სახნავი იარაღი — „არორი", შრომისნარმოების ნაკლები ეფექტურობის გამო, თანდათანობით ადგილობრივი ქართული სახნისით — „ჯილღათი" შეეცვალათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეურნეობის მრავალი საიდუმლო, რომელიც ლოკალური გარემოს საუკუნოვანი დაკვირვების შედეგად იყო შექმნილი, ოსმალეთში გადასახლებულმა მესხებმა გაიყოლეს თან. ნიშანდობლივია თ. ჩიქოვანის მიერ აღწერილი სოფ. ჯიგრაშენის მაგალითი (ნინონმინდის რნი), სადაც უნიკალური ბაქან-ტერასების სისტემა არსებობდა. ტერასები მათ თავზე განლაგებული, კლდეში გამოკვეთილი პატარა წყალსაცავების საშუალებით ირწყვებოდა. ტერასების სარწყავი წყალსაცავები ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკვირვების შედეგად გამომუშავებული პრაქტიკული ცოდნის რეალიზაციის ნიმუშს წარმოადგენდნენ. ისინი წვიმის წყლით ივსებოდნენ მინიატურული წყალშემკრები არხებით, ამ მიზნით გამოიყენებოდა იქვე ახლოს მდებარე ორი წყაროც. ჯიგარაშენში გადმოსახლებულმა სომხებმა ნაწილობრივ აითვისეს მხოლოდ ტერასების ზემო წყება, მოგვიანებით კი, ისიც მიატოვეს და ეს უნიკალური ტერასული სისტემა მთლიანად განადგურდა.

ისტორიის შეცნობის „ახლებური" მეთოდით შეიარაღებული კანანიანი ვერ უარყოფს, რომ „სადავო" ტერიტორიაზე არსებული უნიკალური „დიდი და მდიდრული" (ცნობილი — ლ. ჯ.) მატერიალური კულტურის ძეგლები ქართული სახელმწიფოს მიერაა აგებული, თუმცა რეგიონის სომხურობის დამადასტურებელ ურყევ არგუმენტად მიაჩნია, რომ იქ უბრალო ხალხის ნაგები სომხური ეკლესიებიც მოიპოვება, რომელთაც იგი შუა საუკუნეებით ათარიღებს (თუ სომეხ მეცნიერებს ხელი არ მიუწვდებოდათ საქართველოში სომხური დასახლებების კვლევაზე, ხოლო ქართველები მეტად ტენდენციურები არიან, გაუგებარი ხდება, საიდან მოიტანა ამ ძეგლების სომხურობა, ან როგორ დაათარიღა ისინი). ავტორი სინანულს განიცდის, რომ დაშნაკურმა პარტიამ, ვერ გამოიჩინა პრინციპულობა სომხეთ-საქართველოს

ტერიტორიულ დავაში და მხოლოდ ლორეს ოლქსა და ჯავახეთზე პრეტენზიას დაჯერდა (ამგვარი ლოგიკით ხომ შეეძლოთ პრეტენზია ყველა დასახლებულ პუნქტზე ჰქონოდათ, სადაც სომხური ეკლესია დგას). უფრო ზემოთ კი ამბობს, რომ სომხური პრეტენზიების ჰიპერბოლიზაციას ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა ცდილობს. რომ იტყვიან, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს".

ქართველი მეცნიერების დადანაშაულება XX საუკუნის 30-იან წლებში ასობით სომხური ეკლესიის განადგურებაში, კანანიანის „ბრალდებებიდან" ცალკე შეიძლება გამოიყოს. ამ ხანებში საქართველოსა და მთელი მაშინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მართლაც უამრავი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა და სხვა რელიგიური ხასიათის ნაგებობა დაანგრიეს, რადგან კომუნისტური იდეოლოგია რელიგიას ხალხის ოპიუმად აცხადებდა. მათ შორისაა რამდენიმე ათასი ქართული ეკლესია-მონასტერი, რომელთა ნაწილი სომეხი მიგრანტებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებსაც ამშვენებდა. ქართულ საზოგადოებაში არასოდეს გაჩენილა ეჭვი, რომ ყოველივე ამის უკან სომეხ მეცნიერთა „კვლევის" კვალი ეძებნა, თუმცა ამ ადგილებში ქართულ ძეგლებს კომუნისტურ ეპოქამდე ბევრად ადრე ანადგურებდნენ. ქართული ძეგლებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება მხოლოდ ადგილობრივი სომხების უბირი ნაწილის ნამოქმედარად იყო მიჩნეული. სომხების ამ ნაწილის **პატრიოტულად განწყობილ და განათლებულ ჯავახკელებად** გამოცხადება ბადებს ეჭვს, რომ ამ პროცესებს სწორედ კანანიანის ჯურის ინტელექტუალები მართავდნენ, რათა მთლიანად ნაეშალათ ქართული ეთნიკური ერთეულის ისტორია და სადავოდ გაეხადათ ძირძველი ქართული მიწები. [illegible] ქართული და სამცხე-ჯავახეთი [illegible] ანიანისეული ისტორიის შეცნობის მეთოდიკა კი იმის მცდელობასაც წარმოადგენს, რომ ქართულ საზოგადოებას საბოლოოდ დაავიწყოს კომუნისტების მიერ სომხეთისათვის ძღვნად მირთმეული ქართული ლორე, ბარათაშვილებისა და ორბელიანების საგვარეულო მამული.

„მთელი ერი სომხებისა აქ არაფერ შუაშია", ისევე, როგორც მთელი სომხური ისტორიოგრაფია. თუმცა, ის კი აშკარაა, რომ კანანიანის ჯურის ფსევდო-მეცნიერთა ინსენუაციები ნამდვილად არ უწყობს ხელს არც ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას, არც სომეხი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას. ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართული სამამულო მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, სრულყოფილად გაგრძელდეს წინა თაობის სწავლულთა მიერ აღნიშნული მიმართულებით დაწყებული ფუნდამენტური კვლევა-ძიება. საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების დაფინანსებაზე რომ არაფერი ითქვას, ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ეპოქაში, 40-ლარიანი ხელფასის პირობებში მცხოვრები ქართველი მეცნიერისათვის სპეციალური ლიტერატურაც კი ძნელად მოსაპოვებელია, უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნება. ქართველოლოგიურ მეცნიერებათა დარგები ძლიერი კრიზისის წინაშე დგას, ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ დიდი ილიას სიტყვები, რომლითაც წინამდებარე წერილი იწყება, კიდევ დიდხანს დარჩება ძალაში.

ნათელა ჭრუშაძე

მედეა ჩახავა

როგორც არავინ იცის, როდის ეწვევა ის ბედნიერება, რომელსაც სიყვარული ჰქვია, ისე არავინ იცის, როდის შედგება მსახიობის დაბადება სცენაზე. არა გამოსვლა, არამედ დაბადება ანუ როდის შეხვდება ის იმ ლიტერატურულ გმირს, იმ როლს, რომელიც მისცემს საშუალებას თავის შემოქმედებითი შესაძლებლობები გამოავლინოს.

მედეა ჩახავა ამ მხრივაც გამორჩეულთა შორის აღმოჩნდა — ამ როლს ის შეხვდა მესამე კურსის სტუდენტი თავის პირველსავე წარმოდგენაში. ეს იყო ებრაელი გოგონა **ბლიუმა შაპირო** ა. ბრუშტეინის პიესაში „ცისფერი და ვარდისფერი", რომელიც დადგა მისმა აღმზრდელმა პედაგოგმა, შემდგომ მსოფლიოში სახელგანთქმულმა რეჟისორმა გიორგი ტოვსტონოგოვმა.

ვისაც ეს წარმოდგენა უნახავს, არასოდეს დაავიწყდება შავგვრემანი, თმახუჭუჭა გოგონა, რომელიც დასაჯეს იმისთვის, რომ მისი კულულები არ სწორდება.. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II პორტრეტის ქვეშ იჯდა ის მარტო და ასე უნდა ყოფილიყო მთელი ღამე. გოგონა ცდილობდა მოეთოკა შიში, რომელსაც მოეცვა მთელი მისი არსება. ამისთვის ხმამაღლა იმეორებდა ყველა ლექსს, რომელიც ოდესმე უსწავლია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო — იმპერატორის პორტრეტიდან ორი საოცრად ცივი თვალი უმზერდა მას, არც ერთი წუთით მზერას არ აშორებდა და ამავე დროს ზუსტად ასრულებდა რეჟისორის მიერ მასზე დაკისრებულ დანიშნულებას.

ეს რეჟისორი, კურსის ხელმძღვანელი გ. ტოვსტონოგოვი მაშინ — 1942 წელს — იყო დამწყები ხელოვანი, რომელმაც სამი წლის წინ დაამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი და სადიპლომო სპექტაკლი — ა. ნაიდენოვის „ვანიუშინთა შვილები" — დადგა თავის მშობლიურ ქალაქ თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში. აკაკი ხორავამ კი სწორედ მას მიანდო მის მიერ 1939 წელს განახლებული, არსებითად, ხელახლა დაფუძნებული, რუსთაველის სახელობის უმაღლესი სათეატრო სასწავლებლის პირველი კურსი, სადაც მედეა ჩახავაც იყო ჩარიცხული. საოცარი ინტუიციის მქონე იყო ეს ბუმბერაზი ხელოვანი!

ხომ უნდა გერგოს ის იღბალი, რომ მედეა ჩახავად დაიბადო და მომავალ პროფესიას გ. ტოვსტონოგოვის სკოლაში ეუფლებოდე! სწორედ სკოლაში, რადგან ეს ჩვენი დიდი თანამემამულე (დედით ქართველი) მხოლოდ ნიჭიერი რეჟისორი არ იყო — თეატრალური სკოლის შემქმნელიც იყო. მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა გახდება ამის დასტური.

მისეული თეატრალური მრწამსი იმ დროს უკვე ნათლად იყო ჩამოყალიბებული: სპექტაკლი მყარი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი რწმენის მქონე სცენის ხელოვანთა ერთობლივი შემოქმედებაა. იგი მსგავსია სოლისტების ორკესტრისა, სადაც ყველა საკრავი თავის ფუნქციას მაღალ მხატვრულ დონეზე ასრულებს.

ამ თავის საყრდენ პრინციპს მომავალ ქართველ მსახიობებს ის წლების განმავლობაში აზიარებდა: შემოქმედება ცხოვრებაზე პიროვნების სათქმელში იდებს სათავეს და ვლინდება სახეობრივ. თეატრში მთავარია მსახიობის ხელოვნება. მხოლოდ აზრით გამსჭვალულ განცდას შეუძლია აღძრას მაყურებელში ის სულიერი ტკბობა, ესთეტიკური რომ ეწოდება. ხელოვანის ყურადღების უმთავრესი ობიექტი არის ადამიანი. სპექტაკლში, თეატრალურ ანსამბლში, ყველაფერი ერთმანეთთან უნდა იყოს კავშირში, ერთმანეთს უნდა აელფერებდეს და ნაწარმოების დედააზრს ემსახურებოდეს. მთავარი მიზანი — ადამიანის სულიერი სამყაროს სილრმივი წვდომაა.

უხსნიდა, რომ თეატრი ყვავილები და აპლოდისმენტები კი არაა, შრომაა, დიდი და დაძაბული შრომა, საკუთარი რწმენის მსახურებაა. სინამდვილიდან მოხმობილი კონკრეტული მაგალითებით აზიარებდა ახალგაზრდებს ადამიანის ბუნებრივი ქცევის კანონებს, მათ შორის უმთავრესს: ყველაფერი ცოცხალ ქცევაში, მოქმედებაში ვლინდება. ასევე უნდა იყოს სცენურ ცხოვრებაშიც. მხოლოდ წარმოსახვა საკმარისი არაა — წარმოსახულ ვითარებაში უნდა იმოქმედო ისე, როგორც ნამდვილში.

მოითხოვდა, რომ სცენაზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად იყოს გამართლებული. უნდა იცოდე რატომ და რისთვის წარმოთქვამ მას. რა სურვილი, რა მიზანი ამოძრავებს შენ გმირს მისი ცხოვრების ყოველ მომენტში. რას აკეთებს იგი მთელი პიესის

ან იმ მონაკვეთის განმავლობაში, რომელშიც მონაწილეობ. დაჟინებით მოითხოვდა მსახიობისგან ყველაფრის გააზრებას და შინაგან გამართლებას – მსახიობის ქმნილების სცენური ცხოვრება უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, სწორი, მართებული, შესატყვისი ნაწარმოების დედააზრისა და მისი გმირის შინაგანი ბუნებისა. უნდა მოახერხო ლოგიკურად გააზრებულის შესაფერ ემოციურ ხარისხში აყვანა და იმ განცდის გამოწვევა, რომელიც შენი გმირისთვის ამჟამადაა საჭირო.

მსახიობს უნდა შეეძლოს არა მარტო მისი სცენური გმირის ხასიათის შესატყისად ქცევა და მეტყველება, არამედ შესატვისად დუმილიც – რას ფიქრობს იგი!

გარდა ნიჭისა, პროფესიული დისციპლინის გრძნობაც უნდა ჰქონდეს გამომუშავებული – არავითარი ჭირვეულობა როლზე მუშაობის დროს! „არ შემიძლია" მისთვის არ არსებობდა. ამაზე პასუხი მუდამ ერთი იყო – „არ შემიძლიას დაძლევით!"

თავიდანვე აჩვევდა მომავალ მსახიობს შრომით ნებისყოფას და გამძლეობას, რათა მზად ყოფილიყო თეატრში მომავალი მუშაობის სიძნელეთა გადალახვისთვის.

ბევრი რამ, ამ დიდი ხელოვანის შემოქმედებისათვის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი, რასაც შემდგომ ფართოდ აღნიშნავდა უცხოური პრესაც, აქ, საქართველოში, განსაკუთრებით თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებში გამოვლინდა.

ასეთი სკოლის წყალობით მიაღწიეს ახალგაზრდებმა პირველივე სპექტაკლის მაღალ მხატვრულ დონეს – სწორედ სპექტაკლისა და არა ცალკეულ მხატვრულ სახეთა. „ცისფერისა და ვარდისფერის" მშვენიერება სწორედ ის იყო, რომ მასში ყველაფერი მიზეზობრივ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, სადაც ერთი მეორისთვის არსებობდა. არ მოიძებნებოდა არც ერთი გაუმართლებელი, უმოქმედო წუთი. მოქმედ პირთა ცხოვრებაში არც ერთი სიტყვა, რომელიც მისი მთქმელის შინაგანი მოთხოვნილებით არ ყოფილიყო გამოწვეული. ამიტომ გავდა ასე ნამდვილ ცხოვრებას და ამიტომ იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას.

რა მისცა ახალგაზრდებს ამ პირველმა წარმოდგენამ? – უპირველეს ყოვლისა, სპექტაკლის, როგორც ჰარმონიულად მთლიანი მხატვრული ნაწარმოების, შეგრძნება. გმირის ცხოვრების მთლიანი ხაზის, მისი ადამიანური ბუნებისა და ხასიათის მთლიანობაში აღქმა, გააზრება და გამოვლინება. პიესაში აღწერილი ცხოვრების ატმოსფეროს – ახალგაზრდობაში მებრძოლი სულისკვეთების გაღვიძება. მთავარი სწორედ ეს იყო, მრავალნაირად და [illegible] დაუტანებლად მოწ[illegible] ოთახის ერთი კედელი, შენობის კიბის ნაწილი, მერხი, ყველაფრის თავზე იმპერატორის დიდი პორტრეტი... ეს ყველაფერი ცოცხლობდა და გარკვეულ მნიშვნელობას იძენდა მხოლოდ ადამიანთან, რომელიმე მოქმედ პირთან მიმართებაში. ამიტომაც ყველა მაშინდელი გიმნაზიისთვის ჩვეულებრივი ატრიბუტი – რუსეთის იმპერატორის პორტრეტი, ძალმომრეობის ტლანქ სახედ იქცეოდა, როდესაც მის ქვეშ ოთხად მოკეცილი, შეშინებული, უდანაშაულოდ დასჯილი პატარა ბლიუმა აღმოჩნდებოდა. არავითარი სხვა, თავისთავად ეფექტური დადგმითი ხერხებისათვის გ. ტოვსტონოგოვის ამ პირველ სტუდენტურ წარმოდგენაში არ მიუმართავს.

მაყურებელი მოხიბლული იყო მედეა ჩახავას სცენურ განცდათა სიმართლით, იმ სიწმინდითა და სათნოებით, რომელიც ბლიუმასადმი თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევდა, აყვარებდა მას. შეიძლება ითქვას, რომ მედეა ჩახავას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისებები ამ პირველი როლის განსახიერებით უკვე გამოვლინდა: მშვენიერი გარეგნობა, ხმა საამო, სიტყვა სანიმუშო, ასეთივე პლასტიკა, სათნოება, მთრთოლვარე სული და ქალური ხიბლი. სპექტაკლი „ცისფერი და ვარდისფერი" კი მხატვრულად იმდენად ღირებული აღმოჩნდა, რომ აკაკი ხორავამ იმხანად თბილისში ევაკუაციაში მყოფი რუსული სცენის უდიდესი მოღვაწეებიც კი მოიწვია მის სახილველად. ეს იყო დიდი დღესასწაული – მომავალ ქართველ მსახიობებს ჰყავდათ მაყურებელი, რომელსაც ინატრებდა ყველა ქვეყნის ნებისმიერი დიდი თეატრი!

ჩვენი, იმ წლების თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ცხოვრება, საოცრად დატვირთული იყო საზეიმო განწყობილებით. მიუხედავად იმისა, რომ მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი, იყო შუქშენიღბვა, პურის წიგნაკები, სასადილოში უცვლელი ჰერკულესის ფაფა... სამაგიეროდ, მასწავლებლები?!. მსახიობის ხელოვნება – დ. ალექსიძე და გ. ტოვსტონოგოვი, სასცენო მეტყველება – მ. მრევლიშვილი, ქართული ენა – არნ. ჩიქობავა, შემდეგ – ივ. გიგინეიშვილი, ქართული ლიტერატურა – გრ. კიკნაძე, ფსიქოლოგია – რ. ნათაძე, ქორეოგრაფია – ჯ. ბაგრატიონი, სახვითი ხელოვნება – ვ. ბერიძე, რუსული ენა – რ. მიქელაძე... არა მხოლოდ უმაღლესი რანგის მცოდნენი, არამედ უდიდესი პიროვნებები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლიერეს დადებით მუხტსაც ასხივებდნენ. ეს იყო ორი აკაკის — აკაკი ხორავას და აკაკი ფალავას წყალობა!

რადგან გ. ტოვსტონოგოვს მიაჩნდა, რომ მომავალმა მსახიობმა თეატრალურ სასწავლებელში უკვე უნდა იგრძნოს თავი განსხვავებული ჟანრის დრამატურგიაში, შემდეგ პიესად აირჩია კ. გოლდონის „ჭორიკანა ქალები", ბოლო, სადიპლომო ნამუშევრისთვის კი მძაფრი დრამატიზმით დატვირთული ჯ. პრისტლის პიესა „დრო და კონვეის ოჯახი".

ამ სპექტაკლში მედეა ჩახავამ თექვსმეტი წლის კეროლ კონვეი განასახიერა — გოგონა, რომელსაც უყვარდა ხატვა და ოცნებობდა მხატვარი გამხდარიყო. მაგრამ მომავალი, რომელიც უწინასწარმეტყველა კეროლს დრამატურგმა, ამ ოცნების აღსრულებას არ ჰპირდებოდა, სულ მცირე ხნის სიცოცხლეს აძლევდა საჩუქრად მხოლოდ.

პიესა უჩვეულო აღნაგობისაა: პირველი მოქმედება — კეი კონვეის დაბადების დღე. მეორე მოქმედება — კეის სიზმარი, სადაც ის ხედავს თავისი ოჯახის ყველა წევრს ოცი წლის შემდეგ. მესამე მოქმედება — კეის გამოღვიძება. ფაქტობრივად, მხიარული პირველი მოქმედების გაგრძელება.

ასე რომ, მოქმედ პირთა ცხოვრების მთელი ამბავი რამდენიმე საათში ვითარდება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოქმედ პირებს ორჯერ ეცვლებათ ასაკი. ეს გარემოება ახალგაზრდა მსახიობთა წინაშე მეტად საინტერესო, მაგრამ რთულ ამოცანას აყენებდა.

გ. ტოვსტონოგოვის უმთავრესი მოთხოვნა იყო: პირველი მოქმედება აუცილებლად ძალიან მხიარული უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს მეორე მოქმედება სათანადო ჟღერადობას — ის აუცილებლად ძალიან მძიმე უნდა იყოს, რადგან არც ერთს ბედნიერი მომავალი არ ელოდება და მიეცემა საჭირო ჟღერადობა იმ მხიარულებას, რომელიც მესამე მოქმედებაში გრძელდება — ხომ არავინ იცის, რა მოელით მათ მომავალში! იცის მხოლოდ მაყურებელმა.

ჯ. პრისტლის მიერ არჩეული უჩვეულო დრამატურგიული „სვლა", ცხადია, მრავალი და განსხვავებული ფსიქოლოგიური სირთულის გადალახვას ითხოვდა მოქმედ პირთა განმასახიერებელი მსახიობებისაგან. მათ შორის მედეა ჩახავას კეროლისგანაც. მან გადალახა ყველა სირთულე და შეიძლება ითქვას, თეატრალურ სამყაროში უკვე ცნობილი, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. ეს იყო 1944 წელი.

იქ დახვდა, არსებითად, ორი დიდი მსახიობის — აკაკი ხორავას [illegible] — თეატრი, რადგან ისინი [illegible] ამ თეატრის შემოქმედებით სახეს. მათთვის ამ თეატრის სცენის დიდი სივრცე ჩვეული გარემო იყო, მისი მასშტაბები ბუნებრივი და შესატყვისი ღია პათოსით დატვირთული რომანტიკისა.

მედეა ჩახავა ამნაირი თეატრის მსახიობად არ იყო აღზრდილი. სცენის მასშტაბებმაც დააფრთხო და დარბაზის სივრცემაც. აქ ყველაფერი შეგუებას, შეჩვევას და დაძლევას ითხოვდა. ისიც შეუდგა ამ გზას. ითამაშა რამდენიმე როლი: ასმათი ს. კლდიაშვილის „ირმის ხევში", მაშენკა ა. ოსტროვსკის კომედიაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება", ჯენევრა ლენგდონი ა. დიუსოს და ჯ. გოუს „ღრმა ფესვებში", გაიანე ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში", მაიკო მიხ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილში" და სხვ.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჯენევრა ლენგდონი — ამერიკელი სენატორის ქალიშვილი, რომელმაც ზანგი შეიყვარა და გადაწყვიტა მისი მეუღლე გამხდარიყო. თეთრად მოსილი, გაზაფხულივით ნაზი, წმინდა და ჰაეროვანი მიდიოდა ის მამის სახლიდან მშვიდი ნაბიჯით. ამ სიმშვიდეში იგრძნობოდა სიღრმე მისი სიყვარულისა და მისი სულის სიძლიერე.

გამომსახველ საშუალებათა სისადავეში ისიც იგრძნობოდა, რომ მედეა ჩახავა ამ თეატრის ახლო მომავლის მსახიობია. უკვე 1947 წელია.

ამ დროისათვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი მიხეილ თუმანიშვილი (აგრეთვე გ. ტოვსტონოგოვის კლასი) საცაა დაასრულებს სწავლას და ისიც, მასწავლებლის შემოქმედებით რწმენას ნაზიარები, აკაკი ხორავას ნებითა და სურვილით, რუსთაველის თეატრში იქნება მიწვეული. აქ მას დახვდნენ: მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე, გურამ საღარაძე, რამაზ ჩხიკვაძე... შემოქმედებით ერთმორწმუნენი, ახლო მომავალში ორი დიდი მსახიობის თეატრს ანსამბლის თეატრით რომ შეცვლიან. რუსთაველის თეატრი მტკივნეული სირთულეების წინაშეა.

იულიუს ფუჩიკის გასცენურებული ნაწარმოები „რეპორტაჟი მარყუჟით ყელზე" რუსთაველის თეატრში დაიდგა სათაურით „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!" ეს იყო პირველი სპექტაკლი, სადაც მიხეილ თუმანიშვილმა შეძლო მისთვის ამაღელვებელი სათქმელი მოქმედ პირთა ცხოვრებაში ჩაე-

ქსოვა და ეს ცხოვრება მაყურებლისთვისაც საინტერესო და ამაღელვებელი გაეხადა. ამგვარად, რეჟისორსა, ახალგაზრდა მსახიობთა გუნდსა და მაყურებელს შორის პირველი ნამდვილი შეხვედრა შედგა და რეფორმაც დაიწყო.

მედეა ჩახავა ამ წარმოდგენაში ლიდა პლახას ასახიერებდა – ფაშიზმის მსხვერპლს, სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის წევრ, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, სათნო გოგონას. შემდეგ მ. თუმანიშვილის იმ პერიოდის ყველა დადგმაში იყო დაკავებული. განასახიერა: ამარანტა ჯ. ფლეტჩერის „ესპანელ მღვდელში", კლარა ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში", იამზე კ. ბუაჩიძის კომედიაში „ამბავი სიყვარულისა", ლეილა გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილებში", მირანდოლინა კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში", მელა გ. ნახუცრიშვილის ზღაპარში „ჭინჭრაქა", მარიამი ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვაში" – განსხვავებული ჟანრისა და მხატვრული პირობითობის, მაგრამ ერთი შემოქმედებითი პრინციპის – მთლიანმხატვრული, ანსამბლური ხელოვნების დამამკვიდრებელ სპექტაკლებში, ძალზე განსხვავებული ხასიათის ადამიანები.

მათ შორის საპროგრამო მნიშვნელობისა მაინც იყო ლიდა მატისოვა პ. კოპოუტის დრამაში „როცა ასეთი სიყვარულია" – სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და აუცილებელი ყურადღების შესახებ. და ეს ყოველივე უწყვეტ სახეობრივ ქმედებაში გამოვლენილი. ამ ახალი დრამატული „ორკესტრის" პირველი ვიოლინო იყო მისი მთავარი გმირი – ლიდა მატისოვა – მედეა ჩახავა.

ცხოვრებამ ის მძიმე განსაცდელში ჩააგდო – მისი მიჯნური პეტრი პეტრუსი ცოლიანია. და აი, როგორც ყოველთვის, დიდი, წრფელი გრძნობის გარშემო თავს იყრის ის წვრილმანები, რომლებიც, სამწუხაროდ, ადამიანის ცხოვრებაში საშინელ ძალად იქცევა ხოლმე: გულგრილობა, უსულგულობა, საკუთარი კეთილდღეობის დარღვევის შიში, სიცრუე და ა. შ. და ა. შ. ეს ყველაფერი საბედისწერო რკალივით გარს შემოერტყა ლიდას და გახდა მიზეზი მისი დაღუპვისა.

ეს სპექტაკლი მისი დამდგმელი რეჟისორისთვისაც საპროგრამო იყო, რადგან სწორედ აქ მოხერხდა განსაკუთრებული ძალით წარმოჩენა სრულყოფილი ანსამბლისა, სადაც ყველა კომპონენტი მხატვრულ დონეზე მეტყველებდა სახეობრივ და ემსახურებოდა იმას, რაც ახლა ხდებოდა მოქმედ პირთა ცხოვრებაში. ... პეტრუსი და სტიბორი ... ერად მიმავალი ლიდა მატისოვა შემთხვევით შეეყარნენ ერთმანეთს ვაცლავის მოედანზე ქუჩის გადასასვლელთან. ამ შეხვედრას ისინი არ ელოდნენ. გაოცებულებს უნებლიეთ აღმოხდათ გულის სიღრმიდან ერთმანეთის სახელები. სწორედ ამ დროს შუქნიშანი, რომელიც ქუჩის გადასასვლელზე მოძრაობას აწესრიგებს, წითლად განათდა. ძნელი არ არის, მიხვდე: აქ საფრთხეა, რაღაც საფრთხე. სანამ ამ ავტომატურ შუქნიშანში შემდეგი ფერის დრო მოაღწევდა, ლიდამ უკვე მოასწრო იმის თქმა, რომ პეტრის ჩამოსვლის გამო მან მოსვენება დაკარგა. პეტრის ჰკითხა – „დრო თუ გაქვს?" ლიდამ უპასუხა – „არა...მე უნდა..." – შუქნიშანი მწვანედ განათდა, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა შეიძლება. ლიდაც გადავა, ალბათ, და აღარ არის მგონი საფრთხე? მაგრამ ლიდამ გადასვლა ვერ მოასწრო იმიტომ, რომ პეტრი ისევ ეხვეწებოდა, შევხვდეთ სადმე, საქმეები სწრაფად მოაგვარე, რამდენი გვაქვს მოსაგონებელიო... როდესაც მის დაჟინებულ შეკითხვაზე „მოხვალ?" მან უპასუხა – „არ ვიცი... შეიძლება"... შუქნიშანი ყვითლად განათდა. მაშასადამე, საფრთხე ნახევარ გზაზე შეჩერდა.

არაფერი ამის მსგავსი ავტორს არ უწერია. პიესაში ლიდას და პეტრის ეს შეხვედრა, რემარკის მიხედვით, ხელის ჩამორთმევით მთავრდება. წარმოდგენაში კი შუქნიშნის ყვითლად მოელვარე ნათურით. ჩვენ არ ვიცით, რომელი ფერი აკიაფდება მის შემდეგ. არც ის ვიცით, როგორ მოიქცევა ლიდა – თავისუფლად გაივლის მწვანე ფერის ნიშანზე, თუ არ შეხედავს საფრთხის მაუწყებელ წითელ ნათურას და ქუჩას მაინც გადალახავს?..

მეორე განყოფილებაში, სადაც სტიბორი ლიდას ინსტიტუტის შესასვლელთან ელოდება, დრამატურგს უწერია: „კინოპროექცია. ხმაურიანი ქუჩა ბინდისას. გაოგნებული, თითქმის პარალიზებული ლიდა მექანიკურად მოდის. მისი თვალები უძილო ღამისგან გაწითლებულან და ბრწყინავენ. მექანიკურად ასწია ხელი, საათზე არც კი დაუხედავს. უეცარდ მის წინ სტიბორი აღმოჩნდა. ჩუმად მიესალმნენ ერთმანეთს".

წარმოდგენაში: სიღრმეში პროექციაზე ღამის სიბნელეში ჩაფლული მიძინებული ქალაქის კონტურები, კრამიტით დახურული სახლები, ნისლით შებინდული ფანჯრები. სცენაზე თითქმის სრულიად ბნელა. წვიმს ისე ძლიერ, რომ მისი ხშირი წვეთებისგან

ელექტრობოძზე მიმაგრებული ერთადერთი ნათურა ქანაობს და ოდნავ აშუქებს ლიდას, რომლის წინაშე კვლავ ამოხეთქა სტიბორის ნერვულ აგზნებამდე მისულმა სიყვარულმა. სულ ახლოს სახანძრო მანქანის საყვირის გულის შემზარავი ხმა მოისმა — სადღაც უბედურებაა და შველას ითხოვენ. მარცხნივ კი, თუმც სიბნელეში, მოჩანს მანტიამოსხმული მაღალი კაცი. ის ახლა მასზე დაკისრებული საქმის სწორედ ამ ნაკვეთზე ფიქრობს და სურს ჩასწვდეს სტიბორისა და ლიდას შეხვედრის ნამდვილ მნიშვნელობას. ღამეა, ბნელა, წვიმს. ქალაქმა უკვე მიიძინა ასეთ ავდარში. მას კი არ სძინავს, არ ასვენებს უძლიერესი სურვილი, წმინდა მიზანი — ამოიცნოს ჭეშმარიტება.

ფერთა ამგვარი ჩამუქება, რომელიც გმირთა ცხოვრების ყოველი ცალკეული ნაკვეთის მნიშვნელობის გამაღრმავებელია, მოქმედების ისედაც დინამიკურ განვითარებას ზედმიწევნით ძაბავდა. იმდენად დაძაბული იყო მოქმედება ამ სპექტაკლში და იმდენად იპყრობდა მაყურებლის ყურადღებას, რომ ვერ ამჩნევდი როგორ იცვლება დეკორაცია, როგორ შემოაქვთ და გააქვთ სცენიდან მისი ნაწილები შავად მოსილ სცენის მუშებს. როგორ დგებიან საბრალდებო სკამებიდან ისინი, ვინც შემდეგ სცენაში მონაწილეობს და სასამართლოდან ადვილად და ბუნებრივად რამდენიმე ნუთით წარსულს უბრუნდებიან. მთელი ყურადღება ადამიანის შინა სამყაროზეა გადატანილი, მოქმედების ძირითად ხაზზე.

ძალიან ახლობელი აღმოჩნდა ლიდა მატისოვას შინაბუნება მედეა ჩახავასთვის. ამ სიახლოვემ ამოზიდა მსახიობის სულის სიღრმიდან იქ არსებული გრძნობათა მარაგი და უშურველად მოახმარა საყვარელი გმირის ცხოვრებას. გრძნობათა სიუხვე იყო იმის მიზეზი, რომ მედეა ჩახავას ასე ადვილად, ასე გულწრფელად შეეძლო გადაეხსნა მაყურებლისათვის თავისი გული. ასე გვიამბო მან ლიდას ცხოვრების ამბავი და სამუდამოდ დაიდო ბინა ჩვენ მეხსიერებაში, როგორც სიმბოლო წმინდა, ანგარიშმიუცემელი სიყვარულისა.

ვფიქრობ, ეს სცენური სახე ყველაზე ახლობელი იყო მედეა ჩახავას შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის, რადგან ის ავლენდა ყველა მის მსახიობურ შესაძლებლობას, გარდა ერთისა — მკვეთრად სახასიათო, კომედიური სცენური სახეების შექმნის უნარს.

ამგვარ სახეთა რაოდენობა შედარებით მცირეა, მაგრამ ყოველი მათგანი იმდენად კაშკაშა სცენური ფერადებით იყო დახატული და იმდენად მაღალმხატვრული, რომ უყურადღებოდ მათი დატოვება არ შეიძლება. ესენია: სომეხი ვაჭრის, არუთინ ზიმზიმოვის ფაშფაშა მეუღლე ფეფელა (გ. სუნდუკიანის „პეპო". დადგმა დ. ალექსიძისა), ქურთი მეეზოვე სარე (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია". დადგმა გ. პატარაიასი), კეკლუცი, ჭორიკანა მელა (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა". დადმა მ. თუმანიშვილისა) და ზაბლონა მასწავლებელი (ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". დადგმა რ. სტურუასი) და სხვ.

არაფერი საერთო არ ჰქონდათ მედეა ჩახავას ამ სცენურ ქმნილებებს ერთმანეთთან. ყველა თავგამოდებით იბრძოდა სასურველის მისაღწევად და ყველას, უკლებლივ ყველას, ჰქონდა, მართალია, განსხვავებული, მაგრამ მაინც ქალური ხიბლი. ამ პიროვნული თვისებისგან ვერც ერთი თავისი სცენური გმირი მან ვერ გაანთავისუფლა. ვერც შეძლებდა, რადგან მეტისმეტად ძლიერია მასში ეს იშვიათი უნარი. ისევე, როგორც უნარი სიყვარულისა — მისი ყველაზე დიდი აქტიორული ძალა. გრძნობა, რომელიც ყველაფერის მომცველია და ამიტომ უძლიერესი.

მეორე მსოფლიო ომის ყოველნაირად მძიმე წლებში, როდესაც ქართულ სცენას მედეა ჩახავა მოევლინა, მაყურებელს ძალიან სჭირდებოდა სიყვარული, სათნოება, გულის სითბო და სინაზე... და განა დღეს კი ასე არაა? დღეს არ გვჭირდება სიყვარულისა და იმედის ის ტალღები, სცენიდან რომ დარბაზისკენ მოედინებიან და ჩვენც ამ გრძნობით გვავსებენ?

მედეა ჩახავას პიროვნებაც და შემოქმედებაც მუდამ აღსავსე იყო იმით, რაც მუდამ ყველასთვის სასურველი და აუცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე

ქართული თეატრის რაინდი

გიორგი გეგეჭკორი ქართული თეატრის ნამდვილი ჯენტლმენია. ძნელია დავასახელოთ მეორე მსახიობი, რომელიც ასე გამოირჩევა თავისი ტაქტით, ზრდილობით, მაღალი პროფესიული ეთიკით და შინაგანი არტისტული კულტურით. მის პიროვნებაში ერთმანეთს ერწყმის ნიჭიერება, ოსტატობა და მაღალი ზნეობა.

გ. გეგეჭკორი ყოველი დროისათვის სანიმუშო მსახიობია.

სანიმუშოა განსაკუთრებით ახალი თაობებისათვის. თითქოს უცნაურია, რომ ასეთი გამოცდილების მქონე ხელოვანი თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობას არ ეწევა. რამდენჯერ მოვინვიეთ, რათა თავისი დიდ გამოცდილება გადაეცა სტუდენტებისათვის, მაგრამ უარი გვითხრა, რადგან იგი თავისი თავის მიმართ მაქსიმალისტია. ყველაფერს დიდი მომთხოვნელობით ეკიდება. რუსთაველის თეატრში ჩემი მუშაობის დროს ხშირად გვქონდა გასვლითი წარმოდგენები რაიონებში. არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ ბატონ გოგის დაეგვიანებინოს. სცენაზე მისი გამოსვლები კი ნამდვილად სამაგალითო იყო, ისეთი შთაგონებით ასრულებდა ხოლმე.

გიორგი გეგეჭკორი ყოველთვის რთული გზით მიდიოდა ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც. მრავალი წარმატებისაგან განებივრებულს შეეძლო უფრო მშვიდად და უფრო კომფორტულად ეცხოვრა, მეტად გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი, მაგრამ იგი მუდამ მოკრძალებული იყო, რაც ასე იშვიათია ხელოვანთა შორის!..

ხელოვნებაში დიდი გზა გაიარა ბატონმა გოგიმ. 1944 წელს დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი (დ. ალექსიძის კლასი). რუსთაველის თეატრს დაუკავშირა მთელი ცხოვრება. აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია მისი ჭირისა და ლხინის მონაწილე და მოზიარეა ბატონი გოგი. იგი ყოველთვის მზად ხვდებოდა თეატრის ყოველ ფერისცვალებას.

როცა თეატრში ზეიმობდა ამაღლებული რომანტიკული სტილი, გოგი გეგეჭკორი ნამდვილი ახალი ვარსკვლავი იყო სასცენო ტიტანებს შორის.

ნიკოლოზ ბარათაშვილი...

დონ სეზან დე ბაზანი...

მარტო ამ ორი როლის დასახელებაც კი საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ გ. გეგეჭკორის ტრიუმფალური წარმატებანი. მთელი თაობის ბიოგრაფიაა ეს სახეები. გიორგი გეგეჭკორის ტატო და დონ სეზან დე ბაზანი უმაღლესი არტისტული მგზნებარებით იყო შესრულებული. გიორგი გეგეჭკორი იყო მოძრავი, პლასტიკური, ხალასი იუმორით სავსე დონ სეზარი. დადიოდა მსუბუქად, როგორც სპორტსმენი, გადამდები იყო მისი რიტმი, როცა კი კულისებიდან შემოვიდოდა, თითქოს ყველაფერი იცვლებოდა სცენაზე. შუქივით შემოანათებდა მისი არტისტული ელეგანტურობა, უდიდეს სიხარულს გვანიჭებდა გიორგი გეგეჭკორის ყოველი გამოჩენა. მაშინ უკვე დიდად პოპულარული მსახიობი იყო. ოცდაექვსი წლისამ მისივე ასაკის გენიალური ბარათაშვილის როლი შეასრულა და ერთბაშად ყურადღების ცენტრში მოექცა. რომანტიკულ სულს აზიარა მაყურებელი, უშუალოდ განაცდევინა დიდი პოეტის ტრაგიკული ბედი. მსახიობმა ღრმად ჩაიხედა პოეტის სულში, ეროვნული ტკივილით გამოხატა ბარათაშვილის ზოგადკაცობრიული ფიქრები. განსაკუთრებით დიდი იყო ახალგაზრდობის ლტოლვა ამ სპექტაკლისაკენ. წარმოდგენა უკეთ გამოხატავდა მათ სიყვარულს და მისწრაფებას უსაზღვროებისაკენ...

დიდი იყო წარმატება. ქართულ თეატრში დაიბადა კიდევ ერთი ახალი აქტიორული სახე. მაშინ ახალგაზრდებს გვეგონა, რომ თითქოს ადვილად მოვიდა წარმატება, მსახიობის ნიჭმა ერთი გამოანათა და მხატვრული სახეც გამოიძერწა. ბედმა მალე დამაკავშირა რუსთაველის თეატრთან და მსახიობის შემოქმედების ურთულეს სამყაროს მაზიარა. რა ძნელი გზით მიიღწევა ნამდვილი ხელოვნება, რამდენი უძილო ღამე და რა

სატანჯველი უნდა გაიარო, რომ სრულქმნილებას მიაღწიო.

გიორგი გეგეჭკორმა ასეთი შემოქმედებითი ტანჯვის გზით შექმნა ახალი თეატრალური სამყარო, რომელსაც მისი სახელი ჰქვია. იგი ყველასაგან გამორჩეულია და სრულიად განსაკუთრებული ხიბლი აქვს.

კარგად მახსოვს ის დღეები, როცა გიორგი გეგეჭკორმა ექვთიმე ქათამაძის როლი შეასრულა კიტა ბუაჩიძის პიესაში „ამბავი სიყვარულისა".

სცენაზე ოთარ ლითანიშვილის ახალი, მსუბუქი კონსტრუქციები განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა. მისი სიმბოლური სახე შემოდგომის ფოთოლცვენის ილუზიას ჰგავდა. დეკორაციებში ფოთლები იყო გამოხატული და საოცრად შეესატყვისებოდა გოგი გეგეჭკორის გმირის სულიერ განწყობილებას. მარტოხელა კაცის შინაგანი სევდა იხატებოდა საოცარი სინატიფითა და ლირიზმით. მსახიობი თითქოს შორიდან, იუმორით ჭვრეტდა თავისი გმირის მოქმედებებს. თითქოს მას კარგად ახსოვდა ძველი აღმოსავლური სიბრძნე: შენს თავს შორიდან შეხედე სხვისი თვალით, გაულიმე და უკეთესი გახდები.

შორიდან ულიმოდა თავის გმირს გიორგი გეგეჭკორი.

ამასთანავე რა ახლობელი და ორგანული იყო მისთვის ყველაფერი.

სცენის სიღრმიდან მაყურებლისაკენ მოდიოდა გეგეჭკორის ექვთიმე. გზაზე ფოთლები ცვიოდა. ცას შესცინოდა ქათამაძე, გული უმღეროდა, სიყვარულის დიდი ღმერთი სწვეოდა, ნაგვიანევად მოაკითხა მადლიანმა, მაგრამ ბედს არ ემდუროდა მაინც. მუდამ მოკრძალებული, წესიერი, უპრეტენზიო ექვთიმე გაცოცხლდა სცენაზე. მსახიობმა ამოიკითხა სულის საიდუმლოება, გაიგო ხასიათის ბუნება, ცხოვრების წესი, ფაქიზი იმუორით თითქოს გარედან გახედა გმირს. ამგვარი „გასვლა" ისევ როლის სიღრმეებში წვდომისათვის იყო საჭირო. როგორ ფაქიზად ძერწავს მსახიობი თავის გმირს, არაფერი ზედმეტი აქ არ არის. ლაკონური და მეტყველი ჟესტი, მდიდარი და სახიერი პლასტიკა, რიტმი კი მუდამ ცვალებადი, უწყვეტი, შინაგანი ნაკადებით მდიდარი. ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლე ამოხსნილია ულრმესი ყურადღებით. მსახიობი სცენურ ბისადავეს აღწევს დიდი ტექნიკით, ოსტატური ნაკეთობით ყოველი დეტალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გეგეჭკორმა შექმნა თავისი სრულიად განსხვავებული თეატრალური სამყარო. ეს არის რომანტიკულად ამაღლებული (მაგრამ არა პათეტიკური!) ადამიანის სიყვარულით გამთბარი სამყარო. ამ ახალ მხატვრულ სინამდვილეში ცხოვრობენ მრავალფეროვანი გმირები, რომელიც ერთი ადამიანის სხეულად წარმოიქმნენ. მათ შორის ბევრია გამორჩეული, თეატრის ისტორიაში რომ დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი. აი, თუნდაც, გიორგის სახე რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „მოულოდნელი სტუმარი" (პიესის ავტორი თამაზ ჭილაძე, რეჟისორი თემურ ჩხეიძე).

გიორგი გეგეჭკორის სტილური თავისებურება რეჟისორს ხშირად იმპულსს აძლევს სპექტაკლის ფორმის ძიებაში. საოცრად ზუსტად ერწყმის რეჟისორისა და მსახიობის გადაწყვეტა. გეგეჭკორისეული პლატონ სამანიშვილი სრულიად იდენტური სახეა რ. სტურუას რეჟისორული ინტერპრეტაციისა. ადეკვატურია რეჟისორის ტოტალური სცენური პირობითობა და მსახიობის შესრულების მანერა. თითქოს ყველაფერი საოცრად პირობითია, მაგრამ ასევე საოცრად მართალი და ცხოვრებისეული. გოგი გეგეჭკორი მოგვითხრობს და თან გვიჩვენებს პლატონ სამანიშვილის ოდისეას. აქ ყოველი წინადადება, ყოველი ფრაზა წარმოთქმულია მხატვრული კითხვის ოსტატის მიერ.

დიდია დავით კლდიაშვილის თეატრის ისტორია. მრავალი მსახიობი გამოჩნდა მის სცენაზე. ზოგი დამარცხდა დ. კლდიაშვილის თეატრთან ჭიდილში, ზოგმაც მიაღწია მწვერვალებს. მათ შორის უთუოდ სრულიად განსაკუთრებულია გოგი გეგეჭკორის პლატონ სამანიშვილის სახე. მსახიობმა ზუსტად იგრძნო დავით კლდიაშვილის თეატრის ძალა და სტილური თავისებურება.

გიორგი გეგეჭკორს არასოდეს აკლდა როლები. ამ მხრივ იგი ყოველთვის „განებივრებული" იყო, რადგან მისი მაღალი პროფესიონალიზმი, ოსტატობა და ადამიანური თვისებები ყველა რეჟისორს ხიბლავდა. ყველას სურდა, რომ გეგეჭკორთან ემუშავა. ეს სხვა რამესაც ნიშნავდა. კერძოდ იმას, რომ ჯგუფში, სადაც

ბატონი გოგი იყო, სხვა მსახიობებიც მეტი ინტერესით მუშაობდნენ. ბატონი გიორგი არავის მისცემდა უფლებას არასერიოზულად მოქცეოდა საქმეს. სხვა მსახიობებიც უფრო მორიდებულნი იყვნენ. ახალგაზრდობისათვის კი ნამდვილი სკოლა იყო.

ერთი სტატია არ ეყოფა გიორგი გეგეჭკორის ყველა როლის ჩამოთვლას, ყველა ერთად კი წარმოადგენს რუსთაველის თეატრის ისტორიის მთელ ეპოქას.

ფართოა გიორგი გეგეჭკორის რეპერტუარი თავისი ეროვნული მრავალსახეობით, თემატიკით, პრობლემებით, სატკივარითა და სალხინოთი, მაგრამ უპირველესი სათქმელი მაინც ქართულ მწერლობაზეა დაფუძნებული. როცა იგი წარმოთქვამს ი. ჭავჭავაძის („ჩემო კალამო") სიტყვას, ჩვენ ვგრძნობთ მსახიობის მაღალ მოქალაქეობრივ მისიას. ფაქიზი იუმორი და სადღაც, სულის სიღრმეში დამარხული ტკივილი ცოცხლდება ერთდროულად. გეგეჭკორმა იცის ნამდვილი ქართული სიტყვის ფასი სცენაზე და მისთვის ჩვეული ულრმესი პასუხისმგებლობით წარმოსთქვამს კიდეც. ყოველი სიტყვა მომტანია აზრისა, გამომხატველია გულისთქმისა. მსახიობი თავის საყვარელ მაყურებელთან მიდის გულწრფელად და პირდაპირ მართალი სიტყვით, მწერლის სიტყვით.

ნ. წულეისკირის „ძველი სამრეკლო" თავისი ტკივილით, მსახიობის ბიოგრაფიაში იმავე სიბრტყეზეა, სადაც ილიასა და დავით კლდიაშვილის გმირებია. ჩვენ ვლაპარაკობთ ტრადიციისა და თანამედროვეობის უწყვეტ კავშირზე, მსახიობის შესრულების სტილურ მთლიანობაზე, მოქალაქეობრივი მრწამსისა და ღრმა ჰუმანისტური მსოფლშეგრძნების მარადიულ ღირებულებაზე. გიორგი გეგეჭკორმა გულთან მიიტანა თავისი გმირების სულის ძახილი, გაითავისა იგი და არტისტული სრულქმნილებით გამოხატა.

ბევრია სათქმელი გიორგი გეგეჭკორის მდიდარ შემოქმედებაზე. იგი ერთნაირი სიყვარულითაა თეატრებში, კინოში, ტელეეკრანზე, რადიოში, მისი გმირები ქართულ თეატრს ამდიდრებენ კეთილი და საინტერესო ადამიანებით, უკეთურთა მხილებაც კეთილი საწყისის განდიდებას ემსახურება.

ეროსი მანჯგალაძე და გიორგი გეგეჭკორი ერთად შეუდგნენ რუსთაველის თეატრის განმანახლებელ მოძრაობას, სათავეში ედგნენ ახალი აქტიორული გამომსახველობითი საშუალებების ძიებებს, მათ პრაქტიკულ განხორციელებას, ერთად სწევდნენ ჭაპანს. ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალების შემდეგ ახალი საზრუნავი შეემატაა — ზრუნვა მეგობრის ხსოვნაზე. როგორც ბუნებრივია, რომ მან შემოქმედებითადაც გაგრძელა ის, რასაც ეროსი ფიქრობდა. კინომსახიობთა თეატრში ითამაშა როლი, რომელიც ეროსი მანჯგალაძეს უნდა ეთამაშა. მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა იგი გიორგი გეგეჭკორმა.

გიორგი გეგეჭკორი ბურჯად შეუდგა მთელ არტისტულ თაობას. მისი ყოველი ახალი როლი გამოირჩეოდა თაობის ესთეტიკური პრინციპებისადმი ერთგულებით, ამასთანავე ჯეროვან პატივს მიაგებდა ტრადიციებსაც; რომელთაც არ დაეკარგათ თანადროული ელერადობა. ხშირად სწორედ მის სინთეზში მოიაზრებოდა გეგეჭკორის ძიებანი. განა მისი დონ სეზანი თუ ბარათაშვილი რომანტიკული თეატრალური ესთეტიკის საუკეთესო გამოვლინება არ იყო? ამასთანავე ძიებათა მრავალპლანიან სისტემაში თავისი გამორჩეული ადგილი ეკავათ ყოფით რეალისტურ გმირებს, იქნებოდა ეს ახალგაზრდა მასწავლებელი თუ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. შემოქმედება ხშირად ვერ ეტევა სტილისტურ განსაზღვრულობათა ჩარჩოებში. იგი არღვევს მის სქემებს და ქმნის ერთეულ სინთეზს. მსახიობის ბახვა ფულავა, გაიოზ გადალენდია, მინაგო, ლექსო, ბლაგოი და სხვა გმირები გამოხატავდნენ თეატრის შესაძლებლობათა ფართო სპექტრებს. ყოველ მათგანში ირეკლებოდა ახალიც და ტრადიციულიც, ამ მთლიანობას ქმნიდა მსახიობი, რომელმაც მთელი ცხოვრება რუსთაველის თეატრს დაუკავშირა. თუმცა კინოშიც, ტელევიზიასა და რადიოშიც გაიელვებდა ხოლმე მისი ხალასი ნიჭიერება.

გიორგი გეგეჭკორი არის ინტელიგენტი მსახიობის ტიპი. თეატრში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შინაგანი კულტურა, რომლითაც გამოირჩევა გიორგი გეგეჭკორი, განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს მის ოსტატობას.

გიორგი გეგეჭკორს უმდიდრესი შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მან ბევრი ნახა და განიცადა. მისი გმირების უმრავლესობა დისიდენტები იყვნენ. ისინი იბრძოდნენ სამართლიანობისათვის. ბრძოლა იყო თავგანწირული, განსაკუთრებით საგულისხმოა იმ სახეთა წარმოჩენა, რომლებიც თავის დროზე სოციალურ-პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდნენ. განა ბახვა ფულავა კაპიტალიზმის წინამორბედი არ იყო? საბჭოური სისტემა კი მის უარყოფით გააზრებას მოითხოვდა. ყველაფერი იკრძალებოდა, რაც კერძო საკუთრებასთან, ფულის შოვნასთან ანუ ბიზნესთან იყო დაკავშირებული. მაგრამ გიორგი გეგეჭკორის შესრულებაში კარგად იკითხებოდა ბახვა ფულავას დრამატული ცხოვრების რთული პერიპეტიები. სოფლელი ყმაწვილის დიდ გზა, რომელმაც იგი გახვია კაპიტალისტური წინააღმდეგობების რთულ კონფლიქტებში, მსახიობის მიერ წარმოჩენილი იყო ადამიანური სითბოთი. შემთხვევითი არ არის, რომ საუკუნის ბოლოს, როცა საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და კაპიტალიზმის გზას დაადგა, განსაკუთრებული ჟღერადობა შეიძინა ბახვა ფულავას და მეჯღანუაშვილის თემამ. გიორგი გეგეჭკორმა თავისი ცხოვრების რთულ პერიოდში, როცა თეატრმა მწვავედ ჩაატარა თაობათა მონაცვლეობის პროცესი, სანდრო მრევლიშვილის წარმოდგენაში სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ითამაშა. „ძველ სახლში" ს. მრევლიშვილმა დადგა თავისივე ინსცენირება და მოახდინა ლ. არდაზიანის მოთხრობის ზუსტი ინტერპრირება, სადაც უმთავრესი გიორგი გეგეჭკორის მეჯღანუაშვილი იყო. რეჟისორის მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია აქ ორმხრივ წარმოჩნდა. ერთი მხრივ ნაწარმოების ალეგორიანი გააზრება და მეორე მსახიობისადმი მხარდაჭერა. გ. გეგეჭკორმა არაერთხელ სხვა ფორმითაც გამოხატა მეჯღანუაშვილის სახე.

როდესაც რობერტ სტურუამ „მაკბეტი" დადგა, მიუხედავად მისი გადაწყვეტის სრულიად არაორდინალობისა, გიორგი გეგეჭკორსაც მიუჩინა თავისი ადგილი. გეგეჭკორი კი პირდაპირ ბრწყინავდა მისტიკური „ქაჯების" ჯგუფშიც და საერთოდ მთელ სპექტაკლში. ნამდვილი ფეიერვერკული ზეიმი იყო აქტიორული ოსტატობისა. ყოველი სცენა, ყოველი დეტალი პირდაპირ ოსტატობის სახელმძღვანელო ღირებულებას იძენდა. რა საოცარი სიმსუბუქე, ლაკონიზმი, პლასტიკურობა და არტისტული გახელება იყო მასში...

სამაგალითოა გიორგი გეგეჭკორის ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი გზა. მის ყველა გმირს რომ ერთად მოვუყაროთ თავი და ერთ სოფელსა თუ ქუჩაში დავასახლოთ, ეს იქნება განსხვავებულ ადამიანთა საოცრად საინტერესო სამყარო. მათი გამაერთიანებელი იქნება არა მხოლოდ ერთი მსახიობის ფსიქოფიზიკური აპარატი, მსახიობის სხეული, არამედ შემოქმედის ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელსაც იგი მუდამ იცავდა. გოგი გეგეჭკორს არასოდეს უღალატია ამ მაღალი ზნეობრივი პრინციპებისათვის სცენაზეც და ცხოვრებაშიც.

კამილ სენ-სანსი
ერეკენული
ბლიოთეკა

ერთი კომიკური ოპერის ისტორია

ახალგაზრდა მუსიკოსები ხშირად და არცთუ უსაფუძვლოდ ჩივიან, რთული პროფესია გვაქვსო. ამიტომ სასარგებლო იქნებოდა, ალბათ, გვეცნობებინა, რომ ია-ვარდებით მოფენილი არც მათი წინამორბედების გზა იყო. მათაც ხშირად უწევდათ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, თანაც მას შემდეგ, რაც საუკეთესო წლები პორტში ჩაკეტილებმა გაატარეს. არც გამძვინვარებული თავდასხმები დაკლებიათ, თუმცა, იმ თეატრებისთვისაც, ყველაფერს რომ უარყოფდნენ და გულგრილი საზოგადოებისთვისაც, გაცილებით სასარგებლო იქნებოდა, მათთვის მწვანე გზა მიეცათ.

აი, რას წერდა 1864 წელს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე ჟურნალი ახალგაზრდობის შესახებ:

„ჭეშმარიტი ვალი, ჰუმანურობის ჭეშმარიტი გამოვლინება ის კი არ იქნება, თავზე ხელი გადავუსვათ, არამედ ის, რომ შევაჩქვიფოთ... აქ ხომ მონოდებაზეა საუბარი, მოწოდებას კი არავის დახმარება არ ჭირდება, ღმერთი ეხმარება... აბა, რა აზრი აქვს ახალგაზრდობისათვის მხარდაჭერას, თუკი საზოგადოებას ისინი ჯიუტად არ აინტერესებს? რა თქმა უნდა, რაიმე ოპერის ან ბალეტის ერთი მოქმედება შეიძლება ახალგაზრდებს შეუკვეთო, ამას რა სჯობს! რამდენიმე წლის შემდეგ კი შეიძლება ისევ გაიმეორო ასეთი ექსპერიმენტი, ესაა და ეს! თავად განსაჯეთ, რით იარსებოს თეატრმა, ახალგაზრდებს მეტი ყურადღება რომ დაუთმოს, იმ შემთხვევაშიც კი, ლირიკული თეატრივით დოტაციას რომ იღებდეს? რა ხდება სინამდვილეში? დირექცია აღიარებულ ტალანტებს ეძებს, მათ მოზიდვას გარედან ცდილობს: ბატონ გუნოს, ბატონ ფელისიენ დავითს, ბ-ნ ვიქტორ მასეს. აბა, რა ქნას? ეს ახალგაზრდა კომპოზიტორები კი მაშინვე აკივლდებიან, გვიღალატეს, სირცხვილი და თავისმოჭრაო. თუ თეატრი მოცარტსა და ვებერს შეასრულებს, იგივე კივილი, იგივე ბრალდებები გაისმის! კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ეს ახალგაზრდა გენიალური კომპოზიტორები? ნეტავ რა ჰქვიათ? დაგვისახელონ, ბატონო! მობრძანდნენ პარტერში და „ფიგაროს ქორწინება“ ან „ორფეოსი“ მოისმინონ. დავეხმარებით, ბატონო, მივცემთ შედევრის მოსმენის საშუალებას“.

ის ახალგაზრდა კომპოზიტორები, ასე თავაზიანად რომ ეპატიჟებოდნენ პარტერში, ბიზე, დელიბი, მასნე და ამ სტრიქონების ავტორი გახლდით. მე და მასნე ერთად ვოცნებობდით, ოპერის თეატრისათვის ბალეტი მაინც დაგვეწერა. მასნეს „ვირთხამჭერი“ აინტერესებდა, გერმანული ლეგენდის მიხედვით, მე კი თეოფილ გოტიეს „კლეოპატრას ღამე“ უფრო მიზიდავდა. უარი დიდი პატივით გვტკიცეს და როცა დირექცია, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა და დელიბს ბალეტი შეუკვეთა, ამ საქმის მთლიანად მინდობა მაინც ვერ გაბედა. დელიბს მხოლოდ ერთი აქტი დაუთმეს, მეორე კი ვინმე უნგრელ კომპოზიტორს უნდა დაეწერა. ცდა მაინც ბრწყინვალედ დასრულდა და დელიბს ნება დართეს თავისი ბრწყინვალე „კოპელია“ შეექმნა. ამ ნაწარმოების ღირსებამ და შესანიშნავმა შესრულებამ მას წარმატება მოუტანა, მაგრამ ოპერის შექმნის უფლება ვერა და ვერ მოიპოვა.

მე და ბიზე კარგი მეგობრები ვიყავით და ერთმანეთს დარდებსაც ხშირად ვუზიარებდით: „შენ რა გიჭირს, — მეუბნებოდა ბიზე. — თეატრალურის გარდა, სხვაგვარ მუსიკასაც წერ. მე რა ვქნა, რომ არ გამომდის“. ბოლოს და ბოლოს, ძლიერი პროტექციის წყალობით, როგორც იქნა, დაიდგა მისი მშვენიერი „მარგალიტთა მაძიებლები“ და რა საყოველთაო აღშფოთება, რა ლანძღვა-გინების კორიანტელი გამოიწვია! უარესად ჯოჯოხეთიდან ამომხტარ ეშმაკსაც კი ვერ მიიღებდნენ. მოგვიანებით, „კარმენსაც“ იგივე დღე დაადგა.

მე, რა თქმა უნდა, სხვაგვარ მუსიკასაც ვწერდი, მაგრამ თეატრისაკენ გზას სწორედ ეს მიკეტავდა. სიმფონისტი, ორლანისტი, პიანისტი — აბა, ოპერას როგორღა დავწერდი?! თეატრის არტისტთა თვალში, ყველაზე მეტად სწორედ ის მამცირებდა პიანისტი რომ ვიყავი. ბიზეც შესანიშნავად უკრავდა, მაგრამ იმის შიშით ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო არ დავამძიმოო, სახალხოდ შესრულებას ვერ ბედავდა.

კარვაიოს შევთავაზე ქალბატონი ვიარდოსთვის „მაკბეტს“ დავწერ-მეთქი, მან კი ვერდის „მაკბეტი“ დადგა, თუმცა მამასისხლად დაუჯდა. ეს წამოწყება საშინელი კრახით დასრულდა და კარვაიოს ზარალმა ოცდაათი ათასი ფრანკი შეადგინა.

მეგობრები დამეხმარნენ, რომ ჩემი პიროვნებით ხელოვნების დიდი ქომაგი, მშვენიერი პრინცესა დაინტერესებულიყო. „როგორ? — გაოცდა იგი, — თავისი მდგომარეობა არ მოსწონს? წმინდა მაგდალინელის ეკლესიაში ორლანზე, ჩემს სახლში კი ფორტეპიანოზე უკრავს! ეს აღარ ყოფნის?“ ჰო, არ მყოფნიდა და ამ ზღუდეების მოსახსნელად სკანდალი მოვაწყე. ოცდარვა წლისა რომის პრემიის მოსაპოვებელ კონკურსში ჩავერთე. პრემია, რა თქმა უნდა, არ მომცეს, არ გჭირდებაო, მაგრამ ჟიურის განაჩენიდან მეორე დღესვე ობერმა, რომელსაც ძალიან ვუყვარდი, კარვაიოს ჩემთვის რაიმე ლიბრეტო გამოსთხოვა.

კარვაიომ „ვერცხლის ზანზალაკი" შემომთავაზა, სად წაელო, არ იცოდა. რამდენიმე მუსიკოსს, არცთუ უსაფუძვლოდ, მასზე უკვე ჰქონდა უარი ნათქვამი.

ლიბრეტოს ბევრი ისეთი ლირსება გააჩნდა, რაც მუსიკის შესაქმნელად შთაგაგონებდა, მაგრამ უცილობელი ნაკლოვანებებიც ჰქონდა. მაშინ არსებითი ცვლილებების შეტანა მოვითხოვე და მისი ავტორები, ბარბიე და კარე, მაშინვე დამთანხმდნენ. მაშინ ლუვესიანის გორებში გადავიხვენე და ორ თვეში მაშინდელი ლიბრეტოს ხუთივე აქტისთვის, ძირითად შტრიხებში, მუსიკა მოვხაზე. მაგრამ მთელი ორი წელი გავიდა, სანამ კარვაიო ჩემი მუსიკის მოსმენას ინებებდა.

ბოლოს და ბოლოს, ჩემმა დაჟინებამ მოთმინება დააკარგვინა და მტკიცედ გადაწყვიტა თავიდან მოვეშორებინე. ამისათვის ოჯახში სადილად დამპატიჟა და პარტიტურის მიტანა მთხოვა. სადილის შემდეგ როიალს მივუჯექი. ბატონი კარვაიო როიალის ერთ მხარეს დადგა, ქალბატონი კარვაიო კი მეორე მხარეს. ორივე თავაზიანობითა და მომხიბვლელობით გამოირჩეოდა, თუმცა, ეს თავაზიანობა რას ფარავდა, ჩემთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა.

ვერც კი წარმოიდგენდნენ, რა ელოდათ. მუსიკა ორივეს ჭეშმარიტად უყვარდა და ნელ-ნელა მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. თვალთმაქცური თავაზიანობა ჯერ სერიოზულობით შეიცვალა, ბოლოს კი აღტაცებაში გადაიზარდა. კარვაიომ განაცხადა, ახლავე შევისწავლი თქვენს ნაწარმოებს, ეს შედევრია და დიდ წარმატებას მიაღწევსო. მაგრამ, დაამატა, ამ წარმატების განსამტკიცებლად, მთავარი როლი ქალბატონ კარვაიოს უნდა მივანდოთო.

„ვერცხლის ზანზალაკში" მთავარი როლი მოცეკვავის იყო, მომღერალს კი საკმაოდ უმნიშვნელო ადგილი ეთმობოდა, მაგრამ ამას, აბა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მომღერლის როლი უნდა გაზრდილიყო, ესაა და ეს! ბარბიემ საინტერესო ეპიზოდი მოიფიქრა, რითაც შეიქმნა რომანსი „რა წარმავალია ბედნიერება", მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბარბიე და კარე თავს იმტვრევდნენ და ვერაფერი მოეფიქრებინათ, რადგან გადაუჭრელი პრობლემები თეატრშიც არსებობს.

დირექცია პირველხარისხოვან მოცეკვავეს ეძებდა და მალე იპოვა კიდეც ჯერ კიდევ მშვენიერი და ნიჭიერი არტისტი, რომელიც ისის იყო დიდი ოპერის სცენას ჩამოშორებოდა. პარალელურად დიდი მუშაობა გაჩაღდა, რათა ელენეს როლი ქალბატონი კარვაიოს ღირსების შესაფერისი გამხდარიყო.

ცნობილ დირექტორს აკვიატებული იდეები აწუხებდა. მის თეატრში დადგმული ყველა ნაწარმოები თავის თარგზე უნდა გამოეჭრა. ისეთ ნაწარმოებებსაც კი, რომლებსაც დროისა და წარმატების შარავანდედი მოსავდა, აუცილებლად მისი ჩარევის კვალი უნდა დასტყობოდა და აბა, წარმოიდგინეთ, ახალ ნაწარმოებს რაღას უზამდა. უცებ შეეძლო განეცხადებინა, პიესაში მოქმედების ადგილი და ეპოქა უნდა შეიცვალოსო. ჩვენც კარგა ხანს [illegible] ერ მოცეკვავე მომღერლად [illegible] ინა, ცოლისთვის უნდოდა ესიამოვნებინა, შემდეგ მეორე მოცეკვავე მოითხოვა, რომელიც პირველთან გვერდიგვერდ იცეკვებდა. პიესაში პროლოგისა და ეპილოგის გარდა, მოქმედება ზამთარში მიმდინარეობდა და ამან საშუალება მისცა, სხვადასხვა კომბინაციები მოეფიქრებინა. ერთხელ შემომთავაზა, სცენაზე ველური მხეცები შემოვიყვანოთო, მეორედ, მთელი მუსიკა მოვაშოროთ, მხოლოდ გუნდისა და მოცეკვავის პარტიები დავტოვოთ, დანარჩენი კი დრამატულ დასს მივანდოთო. მოგვიანებით, როცა დიდი ოპერა „ჰამლეტს" დგამდა და ხმა გავარდა, მადმუაზელ ნელსონი წყალქვეშ ეშვებაო, უცებ მოინდომა, ქალბატონი კარვაიო, საბედისწერო ზანზალაკის მოსაძებნად მდინარის ფსკერზე ჩავაყურყუმელავოთო.

ამ უაზრო ფაციფუცში კიდევ ორი წელი გავიდა.

ბოლოს და ბოლოს, ქალბატონმა კარვაიომ ამ ოპერაში მონაწილეობა აღარ მიიღო, ელენეს როლი მშვენიერ მადმუაზელ შრედერს გადასცეს და რეპეტიციებიც დაიწყო. სწორედ ამ დროს, ლირიკულმა თეატრმა ფინანსური კრახი განიცადა და რეპეტიციებიც შეწყდა.

ცოტა ხნის შემდეგ „ზანზალაკით" პერენი დაინტერესდა და მისი დადგმა დიდი ოპერის სცენაზე მოინდომა.

დიდი სცენისთვის ნაწარმოებს გადაკეთება დასჭირდა. უპირველეს ყოვლისა, მუსიკაზე დიალოგი უნდა დაგვედო. ავტორები საქმეს შეუდგნენ. პერენი შეგვპირდა, ელენეს როლზე ქალბატონ კარვაიოს მოვიწვევ, სპირიდონის როლზე კი ბატონ ფორსო; ოლონდო, დაამატა, ტენორის პარტია ისე უნდა გარდაისახოს, რომ კოსტიუმი გამოვუცვალოთ და მადმუაზელ ვერტხეიმბერმა განაგრძოს, მისი მოწვევა მინდა და შესაფერისი როლი არა მაქვსო.

ასეთი გარდასახვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ლიბრეტოს ავტორებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. პერენმაც უკან დაიხია და მაშინვე მივხვდი, რომ ამ ნაწარმოებს არასოდეს დადგამდა.

ამ დროისათვის კომიკური ოპერის დირექტორი დიუ ლოკლი გახდა, და რა დაინახა, რომ მისი ბიძა, პერენი, „ვერცხლის ზანზალაკის" დადგმას აღარ აპირებდა, თავისთვის მოითხოვა. ოპერის ილბლის ახალ შემობრუნებას, ახალი მნიშვნელოვანი სამუშაო მოჰყვა. ეს კი, არც ისე იოლი აღმოჩნდა. ორესტესა და პილადესავით გადაბმული მეგობრები, ბარბიე და კარო, ერთმანეთს წაეჩხუბნენ. რასაც ერთი შემომთავაზებდა, მეორე კატეგორიულად უარყოფდა. ერთი პარიზში ცხოვრობდა, მეორე აგარაკზე და მეც პარიზსა და აგარაკს შორ.ის

წინ და უკან დავქროდი, რათა ეს ძმები-მტრები როგორმე შემერიგებინა. მთელი ზაფხული ასე ვირბინე, რის შედეგადაც ამ ვითომ მტრებმა, როგორც იქნა, საერთო ენა მოძებნეს და ისევ დამეგობრდნენ. ერთი შეხედვით მიზანს მივუახლოვდით, მით უმეტეს, რომ დიუ ლოკლმა იტალიაში თავბრუდამხვევი მოცეკვავე აღმოაჩინა და მის იმედზე იყო. მაგრამ ჰოი, უიღბლობავ! მოცეკვავე კი ერქვა, მაგრამ ცეკვა სულ არ იცოდა!

ამ სეზონში ახალი მოცეკვავის მოძებნა ნამდვილად აღარ მოესწრებოდა და მოთმინება რომ არ დამეკარგა, დიუ ლოკლმა, ლუი გალესთან ერთად „ყვითელი მეფის ასულის" დაწერა შემომთავაზა. ამ თეატრში ჩემი დებიუტი სწორედ ეს აღმოჩნდა. მაშინ უკვე ოცდათხუთმეტი წლის ვიყავი. ამ მოკრძალებულმა და უმანკო ნაწარმოებმა თავდასხმის ნამდვილი ქარაშოტი გამოიწვია. ამ დროისათვის ძალიან სახიფათო კრიტიკოსი, ჟუვენი, წერდა, სრულიად გაუგებარია უვერტიურა რა ტონალობითა და რიტმითაა დაწერილიო. შემდეგ ჭკუის სწავლება მოინდომა და მაცნობა „პუბლიკა კუთხეებისა და ჩრდილების ნაზავიაო", თუმცა მისი პროზა, რა თქმა უნდა, ჩემს მუსიკაზე უფრო გაუგებარი აღმოჩნდა.

ბოლოს და ბოლოს, იტალიიდან ნამდვილი მოცეკვავე მოინვიეს და საცოდავი „ზანზალაკის" შობას ხელს თითქოს აღარაფერი უშლიდა... „შეუძლებელია, – ვფიქრობდი, – რაღაც კატასტროფა მოხდება და ისევ ჩაიშლება".

ომი მოხდა.

როცა ამ უბედურებამაც გადაიარა, მოცეკვავე ისევ მოინვიეს და არტისტებს პარტიები დაურიგეს. მეორე დღეს ბატონმა აშარმა თავისი პარტია უკან დააბრუნა და განაცხადა, ეს დიდი ოპერის მომღერლისთვისაა დაწერილი და კომიკური ოპერის ტენორის ძალებს აღემატება.

ახლა მომღერლის ძებნა დაიწყო. ტენორი კი, მოგეხსენებათ, იშვიათი ფრინველია და ასე იოლად ვერ იპოვნი. არც მოიძებნა. მაშინ დირექტორმა გალესა და გიროს ერთაქტიანი ბალეტი „კობოლდი" შეუკვეთა, რათა მოწვეული მოცეკვავე დაეკავებინა. ბალეტს დიდი წარმატება ხვდა წილად, ჭეშმარიტად ბრწყინვალე მოცეკვავე იყო!

ამის შემდეგ დიუ ლოკლი „ვერცხლის ზანზალაკს" აშკარად გულგრილად ეკიდებოდა; ცოტა ხნის შემდეგ კი, კომიკური ოპერა გაკოტრებულად გამოცხადდა.

ამდენი ტანჯვის მიუხედავად, მაინც ვწერდი „სამსონს", თუმცა, მისი გაგონებაც კი არავის უნდოდა. ბიბლიური სიუჟეტი?!. უგუნური უნდა იყო, რომ ასეთი ავანტიურა გაბედო. საკუთარ სახლში მეორე აქტის მოსმენა მოვაწყვე. რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგეს და „სამსონი" ვერც ვერასოდეს იხილავდა რამპას, რომ არა ლისტი, რომელმაც ისე მთხოვა, დაასრულეო, ერთი ნოტიც არ ჰქონდა მოსმენილი და რომელმაც ის შემდგომ ვაიმარში დადგა. თუმცა, ამის შემდეგაც კი ალანზიემ, ვოკორბეიმ, რიტმა და გაიარმა რიგრიგობით თავს უარი. ამ უკანასკნელმა მაშინვე გაბედა ხელის მოკიდება, როცა დალილას პარტია ბრწყინვალე როზინა ბლოხის შესრულებით მოისმინა.

ახლა „ვერცხლის ზანზალაკს" დავუბრუნდეთ. ჩემი პარტიტურიანად ისევ ბრიყვის როლში აღმოვჩნდი. ამ დროისათვის ვიცენტინიმ ლირიკული ოპერა მკვდრეთით აღადგინა, სეზონი „ჰოლი და ვირჟინით" გახსნა, რითაც ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა და სეზონის დასახურად ასევე ნაცნობი, ძალიან საყვარელი ნაწარმოები მოამზადა. სწორედ ამ პერიოდში ჩემი ფათერაკებით, როგორც იქნა, ნატიფ ხელოვნებათა სამინისტრო დაინტერესდა ლირიკულ თეატრს, ჩემი ნაწარმოების დასადგმელად, პატარა დოტაცია შესთავაზა. თეატრში დაუპატიჟებელი სტუმრის როლში აღმოვჩნდი და ამის შედეგი ძალიან მალე ვინვნიე. ჯერ იყო და მომღერალი ქალი ეძებეს, შემდეგ ტენორი. უამრავი შემსრულებელი გასინჯეს და არც ერთი არ გამოდგა. ბოლოს და ბოლოს, ყველა თვალსაზრისით პირველხარისხოვანი მომღერალი თავად მოვძებნე, მაგრამ რამდენიმედღიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მოგვიანებით, თავად მომღერლისგან შევიტყვე, რომ დირექტორმა ხელშეკრულება მხოლოდ ოთხ სპექტაკლზე შესთავაზა. ესე იგი, თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, ჩემი ოპერა მხოლოდ ოთხჯერ შეესრულებინათ. ბოლოს და ბოლოს, არჩევანი ბატონ ბლუმზე შეჩერდა. ამ ბრწყინვალე ვოკალისტს, ოქროს ხმა ჰქონდა, მაგრამ ყოვლად უვარგისი მსახიობი იყო. თავადვე ალიარა, არც არავითარი სურვილი არა მაქვს მსახიობობის, ჩემი ოცნებაა, სცენაზე ფრაკითა და თეთრი ხელთათმანებით გამოვიდეო. ყოველ დღეს ახალი გაუგებრობა, დავა და უსიამოვნება მოჰქონდა. მუსიკას, ჩემი პროტესტის მიუხედავად, თავის ჭკუაზე ჩეხავდნენ, ყოველი მხრიდან აღშფოთება მესმოდა, ოპერის დამდგმელი კი, ჩემს ყოველად მოკრძალებულ შენიშვნებსაც კი უკიდურესად უკმეხად პასუხობდა. მაინც დავიჩემე, რამდენიმე საკრავმა კულისებში დაუკრას-მეთქი. მაშინ ხარჯების ანაზღაურება მომთხოვეს. პროლოგის ერთ-ერთ მიზანსცენაზე საერთოდ უარი მითხრეს, ვერ განვახორციელებთო, თუმცა „ჰოფმანის ზღაპრებში" ასეთი თავად მინახავს.

ამას გარდა, თეატრს საკმაოდ მცირე ორკესტრი ჰყავდა. ბევრი რეპეტიცია დამჭირდა და უარი არავის უთქვამს, მაგრამ ამითაც ისარგებელს და ხმა დაყარეს, ასეთი მუსიკის შესრულება შეუძლებელიაო. ერთმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ახლაც ცოცხალმა (სახელს არ ვიტყვი) ჟურნალისტმა, ორი გენერალური რეპეტიციის შემდეგ, ისეთი რეცენზიები გამოაცხო, რომ თავიდანვე გასაგები იყო: ჩემს თხზულებას ჩავარდნა არ ასცდებოდა.

უკანასკნელ წუთებში დირექტორი გამოფხიზლდა. უცებ მიხვდა, რომ არასწორი გზით იარა და სპექტაკლს შეეძლო წარმატების მოპოვება. მაშინ Arts et Metiers-ში, თეატრ-ბაღში, სადაც ფეერიები იდგმებოდა, უამრავი, ჯერ კიდევ ვარგისი რეკვიზიტი მოიძებნა და განსაკუთრებული ხარჯების გარეშე, შესანიშნავი წარმოდგენა დადგა. ელენეს როლი კაროლინა სალას მიანდეს. ეს ულამაზესი ქალი და შესანიშნავი მომღერალი, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე იყო, მაგრამ პარტია ქალბატონი კარვაიოს მაღალი, მსუბუქი სოპრანოსთვის იყო დაწერილი და დრამატული სოპრანოსთვის რთული აღმოჩნდა. ამან კიდევ ერთი ჭორი ააგორა, თითქოს, მე სხვადასხვა ხმისთვის მუსიკის წერა არ ვიცოდი. ყველაფრის მიუხედავად „ზანზალაკს" ასე თუ ისე წარმატება მაინც ხვდა წილად, უფრო კარგი შესრულების გამო. ძირითადად ორი ვარსკვლავი ბრწყინავდა: ბატონი მელქისედეკი და ქალბატონი ადელინა თეოდორი, რომელიც დღეს ოპერაში ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ასწავლის.

საბრალო ვიცენტონი! ამ ამბის შემდეგ ჩემთან მისი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა. ჩვენ ურთიერთგაგებისა და ურთიერთსიყვარულისთვის ვიყავით შექმნილნი და საბოლოოდ იგი ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და ერთგული მეგობარი გახდა. მან პირველმა დადგა ლიონის დიდი ოპერის სცენაზე ბალეტი „ჟავოტი", რომელიც ბრიუსელის თეატრმა ლა მონემ შემიკვეთა და შემდეგ აღარ დადგა. იგი ოცნებობდა კომიკური ოპერის დირექტორი გამხდარიყო და „ერთ-ერთ ზანზალაკი" დაედგა. მაგრამ, რას ვზამ, ბედმა სხვაგვარად ინება!

აი, ასეთი მხარდაჭერა ჰქონდა ახალგაზრდა ფრანგულ სკოლას იმპერიის ეპოქაში! ახლა თითქოს გაუმჯობესდა სიტუაცია, მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა. არა ერთი ანალოგის მოძებნა შეიძლება ძველ ხედვასა და ახალ შეფასებებს შორის, როცა ფრანგი მუსიკოსები ისევ ჩივიან, მეტნაკლებად უცხოელ კოლეგებს შეგვაწირესო. დამოკიდებულება კი გახდა უფრო თავაზიანი, მაგრამ არსი არ შეცვლილა.

დავაჯამოთ. ყველამ იცის, რომ თუ ფოლადი არ ჭედე, მჭედელი ვერ გახდები, თუ გულზე ხელები დაიკრიფე, ვერც ნიჭს განავითარებ და ვერც გამოცდილებას შეიძენ. იტალიურ ოპერას ვერასოდეს დაუდგებოდა ოქროს ხანა, როსინის, დონიცეტის, ბელინისა და ვერდს ჩვენი რეჟიმით რომ ეცხოვრათ. მოცარტს ორმოცი წელი რომ ეცადა, სანამ პირველ ოპერას დადგამდა, არც „დონ-ჟუანი" გვექნებოდა და არც „ფიგაროს ქორწინება", იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოცარტი ოცდათხუთმეტიოდე წლის გარდაიცვალა.

იმ ხანგრძლივმა სტაჟირებამ, ბიზესა და დელიბს თავს რომ მოახვიეს, უდავოდ დაგვაკლო რამდენიმე შესანიშნავი თხზულება, რაც დღეს დიდი ოპერისა და კომიკური ოპერის სიამაყე იქნებოდა! ეს კი, ისეთი გამოუსწორებელი უბედურებაა, რომელსაც ვერასოდეს გამოვიტირებთ.

თარგმნა მანანა მიქელაძემ

ნიკოლაი ბერდიაევი

ფილოსოფია და რელიგია[1]

ახალ დროში გაბატონებულ ცნობიერებას ალარ აქვს შემოქმედებითი გაბედულება. დღეს ფიქრობენ რაიმეს შესახებ, წერენ რაიმეს შესახებ, მაგრამ ხომ იყო ისეთი დრო, როცა ფიქრობდნენ და წერდნენ რაიმეს, როცა არსებობდა ის, რასაც ახლა იხსენებენ, რაზეც გამოკვლევებს წერენ. იქნებ ჩვენი ეპოქა იმიტომაა ესოდენ „მეცნიერული", რომ მეცნიერება ლაპარაკობს რაიმეს შესახებ და არა **რაიმეს**, საკუთარს. მეცნიერებაში, კერძოდ, ისტორიაში, იქმნება შესანიშნავი გამოკვლევები რელიგიაზე, მისტიკაზე, მაგალითად, პითაგორაზე ან ნეტარ ავგუსტინეზე. მაგრამ თავად ნეტარი ავგუსტინე არ წარმოადგენდა მეცნიერებას, ის იყო **რაიმე**, იყო ის, ვისზეც იწერება მეცნიერული გამოკვლევები. დღეს იშვიათად თუ გაბედავს ვინმე წეროს ისე, როგორც ძველად წერდნენ, წეროს რაიმე, **წეროს საკუთარი, თავისი, „თავისი" არა როგორც განსაკუთრებული ორიგინალურობა, არამედ როგორც სიცოცხლის უშუალო გამომჟღავნება,** როგორც ის, რასაც ვხვდებით ნეტარი ავგუსტინეს ქმნილებებში, მისტიკოსის ნაწერებში, ძველ ფილოსოფოსთა წიგნებში. ეკლესიის დიდი მასწავლებლები წერდნენ რაიმეს, ნათელყოფდნენ ქრისტიანობის სიცოცხლისეულ საიდუმლოებებს, ახლა კი იმასლა ბედავენ, რომ წერონ ეკლესიის მასწავლებელთა შესახებ, მათ სითამამეზე, თავად კი მოკლებულნი არიან სითამამეს. ახლა წერენ გამოკვლევებს წარსულ მისტიკოსებზე, წარსულ მეტაფიზიკოსებზე, პლატონზე, სკოტ ერიუგენაზე, მაისტერ ეკჰარტზე, იაკობ ბიომეზე და წმინდა ტერეზაზე. მაგრამ სადღაა თავად მისტიკა, თავად მეტაფიზიკა, თავად რელიგიური ცდა? შემართებას უკვე ველარ ვხედავთ. ვინც წერს ეკჰარტის **შესახებ**, ბიომეს **შესახებ**, უეჭველად საპატიო საქმეს აკეთებს. მაგრამ უწესობაა წერო ის, რაც უკვე დაწერილი აქვთ ეკჰარტს ან ბიომეს, წერო **ისე, როგორც** წერდნენ ისინი. ჩვენ მორცხვად ვართ ამოფარებული ისტორიულ გამოკვლევებს **რაიმეს შესახებ**, შიში გვაქვს მეცნიერებისა, რომელიც მოითხოვს ვილაპარაკოთ მხოლოდ **რაიმეს შესახებ**. როცა წარსულისკენ ვიხედებით, ხშირად გვაოცებს წინაპართა შემოქმედებითი შემართება: ისინი ბედავდნენ **ყოფნას**, ჩვენ კი **ყოფნა** არ ძალგვიძს. **ჩვენ ვბედავთ, გამოვამჟღავნოთ მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისი რაიმეზე, მაგრამ ვერ ვბედავთ იმას, რომ ვიყოთ რაიმე.** ჩვენს ეპოქას ღრღნის ავადმყოფური რეფლექსია, მარადიული ეჭვი საკუთარი თავის მიმართ, დაეჭვება იმაში, რომ გვაქვს უფლება ვფლობდეთ ჭეშმარიტებას. **ჩვენს ეპოქას ამდაბლებს რწმენის დონდლოობა**, არჩევანის სისუსტე, ადამიანები ვერ ბედავენ მგზნებარედ და ურყევად შეიყვარონ რაიმე ან ვინმე, ლუღლუღებენ, ყოყმანობენ, ეშინიათ, ფრთხილნი არიან საკუთარი თავისა და მეზობლების მიმართ. ნების გაორება და დასუსტება სპობს შემართების შესაძლებლობას. სულიერი გაუბედაობა მუდამ ახლავს თან ნებისეული არჩევანის სისუსტეს.

ყველა ეს სამწუხარო სიმპტომი **კრიტიკული ეპოქებისთვისაა** დამახასიათებელი. მხოლოდ ორგანულ ეპოქებს ახასიათებთ სითამამე რწმენაში, სიყვარულში, არჩევანში. კრიტიკული ეპოქები უპირატესად – **რაიმეზეა**, ორგანული ეპოქები უპირატესად **რაიმეა**. დიფერენციაციის უცილობელმა პროცესმა შორს შეაღწია და კულტურის ყველა სფეროში ჩნდება მოთხოვნილება ინტეგრირებისა, რომელიც ორგანულ მთლიანობას აღადგენს. ნიცშეს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეპოქისათვის ისაა, რომ მან გაუგონარი სითამამით გადაწყვიტა ეთქვა **რაიმე**, დაარღვია კრიტიკული ეპოქის ეტიკეტი, არად ჩააგდო მეცნიერული საუკუნის წეს-ჩვეულებანი, ის იყო თავად სიცოცხლე, სიცოცხლის სიღრმეთა ხმა და არა **რაღაც სიცოცხლის** შესახებ. ჩვენი ეპოქის განთქმული მეცნიერული კეთილსინდისიერება, მეცნიერული თავმდაბლობა, მეცნიერული თვითშეზღუდვა ერთობ ხშირად საფარველია სისუსტისა, მხდალობისა, რწმენისა და სიყვარულში ნების სისუსტისა, გაუბედაობისა, არჩევანის მიღებისას რომ გვახასიათებს. ძალზე ბევრია გარეგნულად რიგიანი წესი და პირობითობა, შინაგან სიცარიელეს რომ ფარავს. არ არსებობს **რაიმე**, ვითარცა არსება სიცოცხლისა, ამიტომ წესიერ ქცევად ითვლება ლაპარაკი **რაიმეზე**. ნებას და სიყვარულს მოკლებული სკეპტიციზმის სამეფოში, ურწმუნოების ღონემიხდილ სამყაროში დაშვებულია მხოლოდ საყოველთაოდ მისაღები მეცნიერება რაიმეზე. სუბიექტი და ობიექტი ავადმყოფურად გაიპო, **რაიმე**, ე.ი. ნოუმენი გაქრა, დარჩა მხოლოდ **რაიმეზე**, ე. ი. მხოლოდ ფენომენი. როცა ადამიანებს არ გააჩნიათ აბსოლუტური,

---

1. მკითხველს ვთავაზობთ მონაკვეთს ნ. ბერდიაევის თხზულებისა „თავისუფლების ფილოსოფია" (1911). წიგნის ეპიგრაფია პავლე მოციქულის სიტყვები: „თუ რომელიმე თქვენგანს ბრძენად მოაქვს თავი ამ ქვეყნად, შლეგი გახდეს, რათა ბრძენი იყოს იგი. რადგანაც სიბრძნე ამა ქვეყნისა სიშლეგეა ღმერთის წინაშე (1 კორ. 3, 18-19).

ურყევი მრწამსი, მათთვის უფრო ადვილია და უმჯობესია ილაპარაკონ და წერონ რაიმეზე და არა **რაიმე** – ასეთ შემთხვევაში ხომ პასუხისმგებლობა ნაკლებია!

შეიძლება ვინმემ თქვას, ჩვენი ეპოქა ღარიბია გენიოსებითა და ნიჭიერი ხალხით და სწორედ ამიტომაა, რომ დღეს უფრო მეტად **რაიმეზე** ლაპარაკობენ, თავად **რაიმე** კი არ ითქმებაო. იმისათვის, რომ ითქვას რაიმე, აუცილებელია გენიოსი ანდა დიდი შემოქმედებითი ნიჭი, **რაიმეზე** ლაპარაკი ნაკლებ ნიჭიერებსაც შეუძლიათო, განა იპოვით ჩვენს ეპოქაში პლატონებს, ნეტარ ავგუსტინეებს, ეკჰარტებს და მათ მსგავს მოაზროვნეებსო, რას იზამ, საკუთარ თავს ვერ გადაახტებიო.

ჩემი აზრით, ეს ფართოდ გავრცელებული აზრი ძირშივე მცდარია. ჩვენი ეპოქის სენია ნება უნიჭობისა, ნებისეული ზიზღი გენიალობისა და ნიჭიერებისა. ის, რომ ეპოქა უნიჭოა, გენიოსებს მოკლებულია, თავად ამ ეპოქის ბრალია. ეს ადამიანთა ცოდვაა და არა ბრმა შემთხვევითობა, რომელმაც მოაკლო ღვთიური მადლი რომელიმე ეპოქას. ჩვენს ეპოქაში, ისევე როგორც მარადჟამს, ცოტა როდია ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ისინი მცდარი მიმართულებით მიდიან, სულს ღაფავენ უნიჭობის ნების ატმოსფეროში. სწორია ვაინინგერი, როცა ამბობს, რომ გენიალობის საწყისი ყოველ ადამიანშია, რომ ყოველი ადამიანი შეიძლება იყოს გენიალური თავისი ცხოვრების, რომელიღაც დროს. უნდა არსებობდეს **ნება გენიალობისა**, მაგრამ სწორედ რომ ის არსებობს. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ გენიოსებს და ნიჭიერებს, მხოლოდ ნეტარ ავგუსტინეებს, ბიომეებს და პლატონებს როდი ძალუძთ თქვან **რაიმე**. აქ საქმე ეხება ცხოვრების როგორობას, ნოუმენალური ნების მიმართულებას და არა ნიჭიერების ოდენობას, არა მხოლოდ დიად ადამიანებს. დიახ, ცხოვრობდა ნეტარი ავგუსტინე შორეულ წარსულში, ცხოვრობდა, მაგრამ ხომ შესაძლებელია დღესაც არსებობდეს ის ნოუმენალური მიმართულება, რომელიც ჰქონდა ნეტარ ავგუსტინეს, არსებობდეს იგივე როგორობა ცხოვრებისა, მაგრამ უკვე ავგუსტინეს გენიალობის გარეშე. **უკეთესია იყო მესამეხარისხოვანი ავგუსტინე, „რაიმეს" სულისკვეთების რიგითი შემოქმედი, ვიდრე პირველხარისხოვანი გამომხატველი იმ სულისკვეთებისა, რომელიც მიმართულია „რაიმეზე"**. ეს უფლება ან პრივილეგია კი არ არის, არამედ მოვალეობაა. ადამიანის მოვალეობაა იყოს შემართული, ნების შემართებით ის მოიპოვებს სულის მადლიან ძღვენს. როცა ადამიანი არ იქნება მარტოსული, როცა მასში სული დაივანებს, უმალ გაუქმდება ადამიანთა თავმოყვარეობის საამებელი და ამაო კითხვა ნიჭიერების მეტნაკლებობაზე. ადამიანის უფლება კი არა, მოვალეობაა იყოს ჭეშმარიტების უმაღლესი სისრულის მაუწყებელი, ე.ი. მან პირველ ყოვლისა უნდა თქვას რაიმე და არა მხოლოდ რაიმეზე. **შემართებას კი გვანიჭებს მხოლოდ რწმენა**. ხომიაკოვი კარგად ლაპარაკობს თავის უძლიერეს მრწამსზე, თავის შემართებაზე, თავის უზომო [illegible] ამ უფლების, ამ ძალის, ამ ძალაუფლების წყაროა მხოლოდ ის, რომ მაქვს ბედნიერება ვიყო ეკლესიის შვილი. პირადად ჩემი ძალა აქ არაფერ შუაშია. ამას ვამბობ გაბედულად და სიამაყით, რადგან უწესობაა მორჩილად ილაპარაკო იმაზე, რასაც იძლევა ეკლესია". ეკლესია გენიოსად, სულის მფლობელად აქცევს ადამიანს. ყალბი მორჩილება და საკუთარი თავის შეზღუდვა საეკლესიო თვითცნობიერებისა და განცდის სისუსტეა მხოლოდ. ყველაფერი, რასაც ვიტყვი ამ წიგნში, იქნება ცდა იმისა, რომ გაბედულად ვილაპარაკო „**რაიმე**" და არა „**რაიმეზე**", ჩემს გაბედულებას კი ვამართლებ ისე, როგორც მას ხომიაკოვი ამართლებდა; ყოფიერების შემეცნებისას მე არ ვგრძნობ ჩემს თავს ყველასგან მიტოვებულად, ჩემი გნოსეოლოგია კი არ არის მიტოვებულობის გნოსეოლოგია. ამით განისაზღვრება ჩემი შეხედულება ფილოსოფიასა და რელიგიის მიმართებაზე.

●

ყველა აღიარებს, რომ ფილოსოფია ღრმა კრიზისშია, რომ ფილოსოფიური აზრი ჩიხში მოექცა, რომ ფილოსოფია შევიდა ეპიგონობისა და დაცემის ეპოქაში, რომ ფილოსოფიური შემოქმედება იშრიტება. ამავე დროს აღორძინდა ინტერესი ფილოსოფიური პრობლემების მიმართ, ახალი ძალით იგრძნობა მოთხოვნილება იმისა, რომ ფილოსოფიურად გადაისინჯოს მსოფლგანჭვრეტის საფუძვლები, კვლავ ინვევს წუხილს მარადიულ-მეტაფიზიკური. მაგრამ უკვე თითქმის ვერ იპოვით ადამიანებს, რომლებსაც სწამთ ფილოსოფიის ისე, როგორც სწამდათ საბერძნეთში, როგორც სწამდათ გერმანიაში ფილოსოფიის აყვავების დროს. ამ რწმენას საფუძველი ეცლება. ბოლო ადამიანი, ვისაც მართლაც სწამდა ფილოსოფია, იყო ჰეგელი – ეს, ალბათ, ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. ჰეგელის მოძღვრებაში ფილოსოფია საკუთარი თავის გაღმერთებამდე მივიდა; ეს მოძღვრება წარმოადგენს ფილოსოფიურად მოაზროვნე განყენებული გონების ჯერარნახულ ამპარტავნებას.

ჰეგელი იყო უდიდესი და ბოლო წარმომადგენელი გნოსტიკოს-რაციონალისტებისა. ნაცვლად ცოცხალი ღმერთისა, ის თაყვანს სცემს თავის ფილოსოფიურ გნოზისს, თავის განყენებულ გონებას. იმის შემდეგ კი, რაც ჰეგელმა ფილოსოფია კერპად აქცია, ეს კერპი დაამხეს, ფილოსოფია დაეცა, ადამიანის თვითცნობიერების ისტორიაში ის ასე ძლიერ არასდროს დაცემულა. მატერიალიზმი ჰეგელიანელობის ნემეზიდა გახლდათ, ის იყო ღვთის სასჯელი კერპის შექმნისა და თაყვანისცემის

ცოდვისათვის. შემდეგ გავრცელდა პოზიტივიზმი, რომელმაც შეარბილა მატერიალიზმის სიტლანქე, უკიდურესობანი და უაზრობანი. უფრო გვიან ევროპის იმავე კლასიკურ ფილოსოფიურ ქვეყნებში გაისმა მოწოდება – „უკან კანტისაკენ" და ნეოკანტიანელობის სხვადასხვა ფორმით ფილოსოფიური აზრი თითქოს აღორძინდა კიდეც. გერმანელმა კვლავ დაიწყო ფილოსოფოსობა, უსასრულო გნოსეოლოგიური ტრაქტატების წერას მიჰყო ხელი და ამ საქმეში უაღრესად დახელოვნდა; მაგრამ, როგორც ჩანს, ფილოსოფიის პათოსი გაქრა, თანამედროვე ნეოკანტიანელობას უკვე არა აქვს ფილოსოფიური ეროსი; ამ მოძრაობას ღრმად აზის ეპიგონობისა და დაცემის ბეჭედი. ცენტრი დაკარგულია, ყველაფერი დაქუცმაცდა. ზოგიერთი ნეოკანტიანელობიდან ნეოფიხტეანელობისაკენ გადადის. იგრძნობა იმის შესაძლებლობაც, რომ მოძრაობა წავიდეს ნეოჰეგელიანელობის მიმართულებით. მაგრამ ამ გზით მოძრაობისას, ფილოსოფია ვერ მიიწევს წინ შემოქმედებითად, ჩიხიდან გამოსავალს ვერ პოულობს. ნეოფიხტეანელობას და ნეოჰეგელიანელობას ადვილად შეიძლება კვლავ მოჰყვეს ნეომატერიალიზმი და ნეოპოზიტივიზმი და ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ განმეორდეს. ბოლოს და ბოლოს ფილოსოფიური აზრის ყველა შესაძლებელი ტიპი და კომბინაცია უკვე გამოიცადა და გენიალურად გამოიხატა. უკვე თითქმის ვერაფერს ახალს ველარ მოიგონებს კაცი. საჭიროა თავი დავაღწიოთ წრეში მოძრაობას, ამისათვის კი აუცილებელია იმის შეგნება, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ფილოსოფიურ კრიზისთან, – ამგვარი რამ მრავალგზის მომხდარა აზრის ისტორიაში, – არამედ **ფილოსოფიის კრიზისთან**, ე. ი. უაღრესად საეჭვო ხდება რაციონალისტური განყენებული ფილოსოფიის შესაძლებლობა და უფლებამოსილება.

რაშია ამ კრიზისის არსება? მთელმა **უახლესმა** ფილოსოფიამ – **ახალი** ფილოსოფიის საბოლოო შედეგმა – გამოამჟღავნა თავისი საბედისწერო უძლურება – უსუსური აღმოჩნდა შეეცნო ყოფიერება, ეს უკანასკნელი სუბიექტის ყოფიერებასთან დაეკავშირებინა. უფრო მეტიც: ეს ფილოსოფია მივიდა ყოფიერების გაუქმებამდე, მეონიზმამდე, მან შემმეცენებელ სუბიექტს აჩრდილთა სამეფოში მისცა ადგილსამყოფელი. კრიტიკულმა გნოსეოლოგიამ შემეცნების კომპეტენციის შემონმება დაიწყო და დაასკვნა, რომ შემეცნებას არ ძალუძს შემმეცნებელი შეაერთოს შემეცნების ობიექტთან, ყოფიერებასთან. ყოფიერების რეალისტური გრძნობა და ყოფიერებასთან რეალისტური მიმართება დაკარგული სამოთხეა. როგორც ჩანს, ამ სამოთხეში დასაბრუნებელი ფილოსოფიური გზა არ არსებობს. კანტმა შემმეცნებელი სუბიექტი თავისი თავის ამარა დატოვა, მან გენიალურად ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ ეს სუბიექტი მოწყვეტილია ყოფიერებისაგან, სინამდვილისაგან, რეალობისაგან. ხსნას კანტი პრაქტიკულ გონებაში ეძებდა. კრიტიკული გნოსეოლოგია [illegible] ურად უარყოფს შემეცნების [illegible] ერთ-ერთ მიზანს – შემმეცნებლის შეერთებას ყოფიერებასთან. ეს გნოსეოლოგია აშენებს შემეცნებას შესაცნობ ობიექტთან შემმეცნებელი სუბიექტის რეალური, ცოცხალი, შინაგანი მიმართების ფარგლებს გარეთ. უძველესი დროიდან შემმეცნებელ სუბიექტს სურდა ამოეცნო ყოფიერების გამოცანა, ჩანვდომა ყველაზე რეალური სინამდვილის საიდუმლოს. ფილოსოფიური აზრის მწვერვალზე ასვლისას კი შემმეცნებელი სუბიექტის მიზანი გაუქმებული აღმოჩნდა. შემეცნება უკვე აღარ არის ქორწინება, შემმეცნებელს წაართვეს პატარძალი. ჭეშმარიტების საზომს ეძებენ თავად შემმეცნებელი სუბიექტის სფეროში, ამ სუბიექტის მიმართებაში საკუთარ თავთან და არა ყოფიერებასთან. შემეცნება თანამედროვე გნოსეოლოგების ხელში გადაიქცა პარაზიტად, რომელიც თვითკმარია. ასე დასრულდა ყიალი განყენებული აზრის უდაბნოებში, ასე ისჯება განყენებული რაციონალიზმი, რომელიც კარგა ხანია რაც ძალაშია, მაგრამ მხოლოდ ახლა ავლენს თავის შედეგებს. **თანამედროვე ფილოსოფიის დაავადება – საზრდოობის დაავადებაა. დაკარგულია საზრდოობის წყარო და ამიტომ ფილოსოფიური აზრი ღონემიხდილია, არ ძალუძს ჩანვდეს ყოფიერების საიდუმლოს, მიაღწიოს თავისი მარადიული მისწრაფებების მიზანს; ფილოსოფიური აზრის საზრდო ვერ იქნება საკუთარი თავი, ე. ი. ფილოსოფია ვერ იქნება განყენებული, თვითკმარი. მისი საზრდო ვერ იქნება მხოლოდ მეცნიერება.** აღიარება იმისა, რომ ფილოსოფია მეცნიერებაზეა დამოკიდებული, ფილოსოფიის დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. ფილოსოფიის კრიზისიდან თავის დასაღწევად საჭიროა საზრდოს პოვნა, კვლავ გაერთიანება სათავეებთან და ფესვებთან. ხე შემეცნებისა ჭკნება, მას პარაზიტები დასევია. თანამედროვე გნოსეოლოგია ღუპავს შემეცნების ხეს, ამძიმებს მას თავისი პარაზიტული არსებობით. **ახლა რადიკალურია ფილოსოფიის, მისი ამოცანებისა და კომპეტენციის არა გნოსეოლოგიური კრიტიკა, არამედ კრიტიკა რელიგიური, რომელიც ჭეშმარიტად ნინ უსწრებს ყოველგვარ ფილოსოფიურ შემეცნებას და ჭეშმარიტად სათავეში უდგას ამ შემეცნებას.**

ძველად ფილოსოფიის საზრდო რელიგიური იყო. ფილოსოფია, და საერთოდ ყოველგვარი შემეცნება, ცხოვრების ფუნქციას წარმოადგენდა, ცხოვრება კი ორგანულად რელიგიური იყო. ჰერაკლიტესა და პითაგორას ფილოსოფიური სიბრძნე რელიგიით საზრდოობდა, ხალხის ცხოვრებასთან ორგანულ კავშირს ეყრდნობოდა. აი, რატომ იყო სოკრატეს წინარე ფილოსოფიაში ასე ფართოდ წარმოდგენილი ჯანმრთელი

რეალიზმი, საღი პრიმიტივიზმი, იგრძნობოდა მინის სურნელი. იქნებ ღვთაებრივი პლატონის სიბრძნეც იმასთანაა დაკავშირებული, რომ ეს ბრძენი ეზიარა ელევზის მისტერიებს. ეკლესიის მამანი, შუა საუკუნეების მისტიკოსები ნაზიარები იყვნენ ქრისტიანობის საიდუმლოებებს, ფარულ რეალობებს. რელიგიური საიდუმლოებების წვდომის, მათთან ზიარების გარეშე საზრდო არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ცოდნა იფიტება, განყენებული ხდება, კავშირს წყვეტს ცოცხალ ყოფიერებასთან. მთელი ახალი ფილოსოფია, დეკარტით დაწყებული და ნეოკანტიანელობით დამთავრებული, უარყოფს იმას, რომ ცოდნის, გნოზისის მოპოვებისათვის აუცილებელია ამგვარი ზიარება. ამიტომ ფილოსოფიისათვის იკეტება ყოფიერებისა და ცხოვრების საიდუმლოებებთან მისასვლელი გზა.

ფილოსოფია აღარ არის საკრამენტალური, როგორიც იყო ძველად და შუა საუკუნეებში; ის დაქვეითდა, იქცა პოლიტიკურ, უნაყოფო ფილოსოფიად. წმინდა პოლიციური ფილოსოფიის გენიალური ნიმუში კანტმა მოგვცა. პოლიციურ ფილოსოფიას გარკვეული კავშირი აქვს პოლიციურ სახელმწიფოსთან, სეკულარიზებულ საზოგადოებასთან. წმინდა გნოზისიდან ფილოსოფია გადაიქცა განყენებული აზრის პოლიციურ განანესად, დამცველ ორგანოდ, ქალაქთმმართველობად: მას აზრისა და შემეცნების სამეფოში მოქმედების უფლებას თხოვენ. გნოსეოლოგიის ქმედება წმინდა პოლიციურია, ის თავადაც საკუთარ თავს უყურებს როგორც პოლიციურ სამსახურს. მაგრამ პოლიციას არ მოაქვს თავისუფლება, პოლიციის მსგავს გნოსეოლოგიასაც არ შეუძლია თავისუფლების მოტანა. პოლიციური ფილოსოფია პოლიციური სახელმწიფოს მსგავსად, წყდება ცხოვრების ფესვებს. პოლიციური ფილოსოფია აუცილებლობით მოკლებულია რეალიზმს და ყოფიერებას აჩრდილად აქცევს. მხოლოდ საკრამენტალური ფილოსოფია შეიძლება იყოს ცხოვრების ორგანული ფუნქცია, პოლიციური ფილოსოფია არის მექანიკურად მოკვეთილი, განყენებული, მკვდარი ნაწილი. ფილოსოფია მოექცა ჩიხში, მისი კრიზისი გამოიყურება როგორც უსაშველო, სწორედ იმიტომ, რომ ფილოსოფია იქცა მკვდარ, თვითკმარ განყენებულობად, გაწყვიტა კავშირი ყოფიერების საიდუმლობებთან ზიარების ყველა ფორმასთან; ფილოსოფოსი მღვდელმსახურიდან პოლიციელად იქცა. **ყველა ამ ძნელბედობის შემდეგ, განყენებული აზროვნებისა და რაციონალური ცდის უდაბნოებში ხეტიალის შემდეგ, მძიმე პოლიციური სამსახურის შემდეგ ფილოსოფია უნდა დაუბრუნდეს ტაძარს, თავის წმინდა ფუნქციას და იქ იპოვნოს დაკარგული რეალიზმი, კვლავ ეზიაროს ცხოვრების საიდუმლოებებს.** სიმწვავე პრობლემისა, რომლის ნინაშეც ვდგავართ ჩვენ, სულაც არ გამოინატება იმის გარკვევაში, უნდა იყოს თუ არა ფილოსოფია ავტონომიური და თავისუფალი (ცხადია, ის ავტონომიური და თავისუფალი უნდა იყოს). პრობლემაში სიმწვავე შეაქვს შემდეგ საკითხს — თავისუფლად უნდა შეიგნოს თუ არა ავტონომიურმა თავისუფალმა ფილოსოფიამ აუცილებლობა რელიგიური საზრდოობისა, ცდის რელიგიური მთლიანობისა? რელიგიას ძალუძს არსებობა ფილოსოფიის გარეშე, მისი წყაროები აბსოლუტურია და თვითკმარი, მაგრამ ფილოსოფიას არ შეუძლია არსებობა რელიგიის გარეშე, რელიგია ესაჭიროება ფილოსოფიას როგორც საზრდო, როგორც მაცოცხლებელი წყარო. **რელიგია ფილოსოფიის სასიცოცხლოს საფუძველია, რელიგია რეალური ყოფიერებით ასაზრდოებს ფილოსოფიას.** ფილოსოფიას არ შეიძლება ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ ის მოიცავს ყველაფერს, ის ჰეგელის მტკიცების საპირისპიროდ, ვერ აღწევს ყოველადერთობას, ყოველთვის რჩება კერძო და ორგანულად (არა მექანიკურად) დაქვემდებარებულ სფეროდ. გაუგებრობა დაბადა ვლ. სოლოვიოვის მოსაზრებამ — მან მოგვცა საბაბი, გვემტკიცებინა, თითქოს შესაძლებელია ფილოსოფიური უნივერსალური სინთეზი, ყოვლადერთობის მოპოვება ფილოსოფიის საშუალებით. სოლოვიოვის ამ მოსაზრებაში იგრძნობა ჰეგელიანობის ზეგავლენაცა და გნოსტიკური რაციონალიზმისაკენ გადახრაც. ყოვლის მომცველი შეიძლება იყოს მხოლოდ რელიგია და არა ფილოსოფია. უნივერსალური სინთეზი და ყოვლადერთობა მხოლოდ რელიგიის გზით შეიძლება მოვიპოვოთ. ფილოსოფიას შეუძლია იყოს მხოლოდ ორგანული ფუნქცია რელიგიური ცხოვრებისა. პირველ სლავიანოფილებს — კირეევსკის და ხომიაკოვს — ვლ. სოლოვიოვზე უფრო ცხადად ესმოდათ, რომ უნივერსალურ სინთეზს, ყოვლადერთობას მივაღწევთ რელიგიის და არა ფილოსოფიის გზით, მხოლოდ ცხოვრების მთლიანობაში და არა გნოზისში. მათ ეს ესმოდათ, რადგან რაციონალიზმისაგან უფრო თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ რელიგიური სინთეზი შეუძლებელია მოცემული იყოს მხოლოდ ბოლოს, მხოლოდ ანალიზურ-მადიფერენცირებელი პროცესის შედეგად, მხოლოდ მომავალი თაობებისათვის. ეს სინთეზი დასანყისშიც მოცემულია, მოცემულია ყველასთვის, ვინც ცხოვრობდა და ცხოვრობს, მოცემულია როგორც ჭეშმარიტება, რომელსაც ინახავს მსოფლიო ეკლესია, როგორც ძველი სიბრძნე.[1]

---

1. არ შეიძლება უარვყოთ თეოსოფიისა და ოკულტიზმის დამსახურება — მან დააყენა პრობლემა რელიგიის შემეცნებასთან მიმართებისა, ამტკიცებდა რელიგიური წვდომის დიდ მნიშვნელობას სიბრძნისთვის. ძველ ეპოქაში ჩვენ ვხვდებით სიბრძნეს და არა სიცარიელეს, ახლა იწყება რელიგიის რელიგიურად შესწავლა. სიყალბე აქ იწყება მაშინ, როცა მაგიურ ცოდნას რელიგიას მიიჩნევენ.

●

რეალობის პრობლემის, **თავისუფლების** პრობლემის, **პიროვნების** პრობლემის სწორი გადაწყვეტა – აი, ყოველგვარი ფილოსოფიის ჭეშმარიტი გამოცდა, რეალობის თავისუფლების, პიროვნების პრობლემათა გადაწყვეტისას გამოვლენილი უსუსურობა ანდა ამ პრობლემათა ყალბი გადაწყვეტა ავლენს ფილოსოფიური მოძღვრების სუსტ მხარეებს, მის შინაგან იმპოტენციას, მის მიერ არჩეული გზის მცდარობას. **საეჭვოა ის ფილოსოფია, რომლისთვისაც რეალობა, თავისუფლება და პიროვნება მოჩვენებითია.** არ ენდოთ ამ ფილოსოფიას, ეძებეთ სხვა. და აი, თუ ამ გამოცდას ჩავუტარებთ მთელს თანამედროვე ფილოსოფიას, უაღრესად სამწუხარო შედეგებს მივიღებთ. თანამედროვე ფილოსოფია ან უარყოფს რეალობას, თავისუფლებას, პიროვნებას ანდა მათ მოჩვენებად აცხადებს. თანამედროვე ფილოსოფია ძირითადად ილუზიონისტურია, მისი გნოსეოლოგია უარყოფს არა მხოლოდ ყოფიერებასთან მიმართებას, არამედ თავად ყოფიერებასაც, ის ართმევს ადამიანს თავისუფლების თავდაპირველ შეგნებას – შეგნებას ზომასა და საფუძველს მოკლებული თავისუფლებისა, უარყოფს პიროვნების სუბსტანციონალობას და აქუცმაცებს მას. ცხადია, თანამედროვე ფილოსოფია ყოველთვის შეძლებს მოჩვენებითად გადაარჩინოს რეალობა, თავისუფლება და პიროვნება. ამ მიზნის მისაღწევად არსებობს სოფისტიკისა და გნოსეოლოგიური ეკვილიბრისტიკის უამრავი იარაღი. მაგრამ ეს გნოსეოლოგიური ხრიკები ვერავის დაეხმარება – ადამიანს აგდებენ მოჩვენებათა სამეფოში, ართმევენ პიროვნებასაც, თავისუფლებასაც და ყოფიერების რეალობასაც. ამავე დროს, ჩვენ უსამართლონი ვიქნებით, თუ ყველაფერს თანამედროვე ფილოსოფიას დავაბრალებთ – ის წინაპართა ცოდვებისათვის აგებს პასუხს. მთელი ახალი ფილოსოფია გაჰყვა იმ განყენებულ-რაციონალისტურ გზას, რომელიც არ იძლევა ჩვენს მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას. ფილოსოფიურ რაციონალიზმში აისახა სულის ცოდვიანი დაქუცმაცებულობა. რაციონალიზმის საშუალებით ვერ ჩავნვდებით რეალობის, ვერც თავისუფლებისა და ვერც პიროვნების ბუნებას, ეს იდეები და საგნები სავსებით ტრანსცენდენტურნი არიან ყოველგვარი რაციონალისტური ცნობიერების მიმართ, ისინი წარმოადგენენ ირაციონალურ ნაშთს. მართლაც, რაციონალური რეალობა, რაციონალური თავისუფლება, რაციონალური პიროვნება – განყენებული, თვითკმარი აზრის მოჩვენებებია მხოლოდ. XIX საუკუნის დასაწყისის გერმანული იდეალიზმიც კი – ფიხტეს, ჰეგელის და შელინგის იდეალიზმი – მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითად ძლიერი იყო, უძლური აღმოჩნდა გამკლავებოდა ფილოსოფიის ამ საბედისწერო პრობლემებს. ფიხტე და ჰეგელი იდეალისტურად და რაციონალისტურად უარყოფდნენ რეალობას, [illegible] ნებად და ილუზიად თვლიდნენ [illegible] ებს, მათ ონტოლოგიაში ვერ იპოვა თავისი ადგილი კონკრეტულმა პიროვნებამ. ეს ძალზე კარგადაა ცნობილი. ამ პრობლემათა წინაშე უძლური აღმოჩნდა შელინგიც კი, რომელიც ცდილობდა თავი დაეღწია რაციონალისტური იდეალიზმის მოჯადოებული წრისაგან, ყურადღება მიაპყრო კონკრეტულ ყოფიერებას და მისტიკას. არც მისთვის არსებობს ჭეშმარიტი თავისუფლება, ჭეშმარიტი პიროვნება, ჭეშმარიტი რეალობა. ის ჯერ კიდევ პანთეისტური იდეალისტია. პანთეისტურ იდეალიზმშიც კი, როგორც ოკეანეში, ინთქმება პიროვნებაც, თავისუფლებაც და კონკრეტული რეალობაც. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ ბაადერს, მაგრამ მისი გზა თავისებური, მთელი ფილოსოფიისაგან განსხვავებული იყო. გერმანულმა იდეალიზმმა უკიდურესობამდე, აბსურდამდე მიიყვანა იდეალისტური მიმდინარეობა, რომელმაც მოჩვენებად და განყენებულობად გადააქცია რეალობა, თავისუფლება, პიროვნება. ახალი ფილოსოფიის მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ რეალობის, თავისუფლებისა და პიროვნების პრობლემები სწორედ შეიძლება დაისვას და გადაწყდეს მხოლოდ იმათ მიერ, ვინც ქრისტიანულ საიდუმლოებებსაა ნაზიარები, მხოლოდ რწმენის აქტში, რომელშიც მოგვეცემა არა მოჩვენებითი, არამედ ჭეშმარიტი რეალობა და კონკრეტული გნოზისი. მხოლოდ ქრისტიანული მეტაფიზიკა აღიარებს ყოფიერების და ყოფიერებისაკენ მიმავალი გზების რეალობას, წვდება თავისუფლების დიად საიდუმლოებას, იმ თავისუფლებისას, რომელიც არც დანაწევრდება და არც დაიყვანება რაიმეზე. მხოლოდ ეს მეტაფიზიკა აღიარებს მარადიულობაში დავანებული კონკრეტული პიროვნების სუბსტანციას. ყოველივე მოცემულია მხოლოდ ქრისტიანობის მისტიკურ გნოზისში და არსად სხვაგან. ქრისტიანულ გნოზისს მივყავართ ტრანსცენდენტურ რეალიზმთან, კონკრეტულ პერსონალიზმთან და თავისუფლების ფილოსოფიასთან. თავისუფლება, თავისუფლება უპირველეს ყოვლისა – აი, ქრისტიანული ფილოსოფიის სული და გული, აი, რას ვერ იძლევა განყენებული და რაციონალისტური ფილოსოფია.

რა არის რელიგიური ფილოსოფია, ქრისტიანული გნოზისი?

ქრისტიანული ფილოსოფია არ არის „გნოზისი" იმ მნიშვნელობით, რომელსაც დებდა ამ სიტყვაში ვალენტინი, არც „თეოსოფიაა", როგორც ეს სიტყვა ესმის რ. შტაინერს, თუმცა ნამდვილად ის გნოზისიცაა და თ.ოსოფიაც. გნოსტიციზმში შემეცნების გზას ხსნის გზად თვლის. წმინდა გნოსტიკური გზა, გარკვეული აზრით, ლუციფერული გზაა. გნოსტიციზმი გვასნავლის ჭეშმარიტების შემეცნებას და არა ჭეშმარიტების მოპოვებას, გნოსტიციზმი

ქადაგებს შემეცნებაში შემართებას, რომელსაც თან არ ახლავს უარის თქმის საგმირო საქმე. გნოსტიციზმი თავისი არსით — როგორი მისტიკურიც არ უნდა იყოს მისი სამოსელი — რაციონალიზმია. ის არის დახვეწილი, ძნელად გამოსაცნობი რაციონალიზმი. გნოსტიციზმისათვის რელიგია წარმოადგენს ცოდნას — საიდუმლოსა და გაცხადებულს, რაღაც მოძღვრების განდობას. გნოსტიციზმს ოკულტური ცოდნა რელიგია ჰგონია, ამ ცოდნით სურს შეცვალოს რელიგია, მაშინ როდესაც ოკულტური ცოდნა უნდა მივიჩნიოთ ცოდნის ფორმად, გაფართოებულ ცოდნად და არა რელიგიად. გნოსტიკოსის იდეალური ტიპია მოძღვარი, ბრძენი. გნოსტიკოსთა თანახმად, ჭეშმარიტება გაცხადდება ბრძენთათვის და არა ჩვილთათვის. ქრისტიანობის თანახმად, ჭეშმარიტება გაცხადდება ჩვილთათვის და არა ბრძენთათვის და გნოზისი რელიგიური ცხოვრების ნაყოფია. იქმნეთ, ვითარცა ყრმანი და მხოლოდ მაშინ შეხვალთ სასუფეველსა ცათასა. ჭეშმარიტება მოიპოვება ცხოვრებით და საგმირო საქმით, ნების ძალისხმევით და მთლიანი სულით და არა მხოლოდ შემეცნებით. თავად შემეცნება რელიგიური ცხოვრების ფუნქციაა მხოლოდ. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანის იდეალი წმინდანია, და არა **ბრძენი მოძღვარი.** ქრისტიანული გნოზისი მოითხოვს საკუთარი თავის უარყოფის აქტს, გნოსტიკური ამპარტავნების, გონებისეულ შემეცნების მოთხოვნათაგან განდგომას. ქრისტიანული გნოზისი არის გონების მოპოვება ღვთიური სიშლეგით. მასში უკვე აღარ არის კვალი რაციონალიზმისა და ნატურალიზმისა, რომლებიც დახვეწილი ფორმით არსებობენ გნოსტიციზმში. თანამედროვე თეოსოფია გნოსტიციზმის ერთ-ერთი ფორმაა და გნოსტიკურ მოთხოვნათა უნაყოფობა მასში უფრო მეტად კი იჩენს თავს, ვიდრე ძველ, კლასიკურ გნოსტიციზმში. თეოსოფიისთვის რელიგია არის უნივერსალური გნოზისი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა განდობის გზით, ბრძენ მოძღვრებთან სწავლისას. რელიგიური დოგმატები და რელიგიური საიდუმლოებანი თეოსოფიაში უაღრესად გნოსტიკურნი არიან. ბრძენისთვის, განდობილისთვის რელიგიური ცხოვრების ჭეშმარიტებები, რწმენის ჭეშმარიტებები მხოლოდ ცოდნაა. ყველაფერი აიხსნება ისე, როგორც ახსნიდა დახვეწილი ევოლუციური ნატურალიზმი. მხოლოდ „ვულგუსისათვის" არსებობს სასწაულებრივი — სასწაულებრივი ეგზოთერული ცნებაა. სასწაულებრივი არ არსებობს ჭეშმარიტი გნოსტიკოსისა და თეოსოფიის წარმომადგენლისთვის, ეზოთერულ ცოდნას ნაზიარებისათვის. მისთვის ქრისტეს აღდგომაც ბუნებრივი ფაქტია, რომელიც გასაგებია, მაგალითად, თუ დავუშვებთ ეთერის სხეულს.[1] გნოსტიკოსები და თეოსოფიის წარმომადგენლები მეტაფიზიკოსებსა და ფილოსოფოსებთან შედარებით უკეთესად [illegible] ში არიან, რამდენადაც ჭეშმარიტების რელიგიური გაცხადებისათვის განდობას ითხოვენ, მაგრამ ისინიც „ინტელიგენტ-განდგომილებად" უნდა მივიჩნიოთ. ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით, ისინიც მოწყვეტილნი არიან ფესვებს, ცხოვრობენ ინტელექტის ჰიპერტროფიით, არ იძლევიან ნაყოფს. ქრისტიანული რწმენის არსობრივ სიღრმეს თუ ჩავხედავთ, აღმოჩნდება რომ ის გნოზისია, ცოდნაა თვითუარყოფის გზით მავალ განდობილებისა, მაგრამ გნოსტიკური თეოსოფია ვერ აღწევს ამ სიღრმემდე.

ქრისტიანული დოგმატები არ წარმოადგენენ ინტელექტუალურ თეორიებს, მეტაფიზიკურ მოძღვრებებს, ეს დოგმატები ფაქტებია, ხილვებია, ცოცხალი გამოცდილებაა. დოგმატები ლაპარაკობენ განცდილსა და ნანახზე, დოგმატები მისტიკური ბუნების მქონე ფაქტებია. ადამიანთაგან უდიდესმა — პავლე მოციქულმა თავისი განსაცვიფრებელი ძალისა და რეალობის მქონე შეხვედრები და ხილვები გამოხატა ხსნის დოგმატში. კათოლიკური მოდერნიზმის ფილოსოფოსი ლერუა ებრძვის მხოლოდ კათოლიკურ სქოლასტიკას, მხოლოდ ღვთისმეტყველურ ინტელექტუალიზმს, უარყოფს დოგმატების ინტელექტუალურ-თეორიულ ხასიათს. ეკლესია არასოდეს არ აღიარებს ინტელექტუალურ-თეორიულ ხასიათს, ამას აღიარებდა მხოლოდ ღვთისმეტყველური სქოლასტიკა. ფილოსოფიური, ინტელექტუალური, თეორიული ხასიათის მქონე ელემენტს ვერ აღმოაჩენთ საეკლესიო დოგმატებში, მათ იპოვნით გნოსტიკურ მწვალებლობაში, რომელიც მეტ-ნაკლებად რაციონალისტური იყო. ეკლესიის დოგმატები არასოდეს არ იყო რაციონალისტური და ინტელექტუალური, ისინი მხოლოდ მისტიკურ ფაქტებს გამოხატავდნენ, რაციონალისტური და ინტელექტუალისტური იყო მწვალებელთა მოძღვრებანი; დიდი ორიგენეც კი, — რამდენადაც მან გადაუხვია ეკლესიის სამყაროსეულ ჭეშმარიტებას, — ინტელექტუალისტი და რაციონალისტი იყო, ყალბი გნოსტიციზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. არიანელობა სავსებით რაციონალისტურ მოძღვრებას წარმოადგენდა. თითქმის ყველა მწვალებლური მიმდინარეობა უარყოფდა საეკლესიო დოგმატების სიშლეგეს და მისტიკურობას და ცდილობდა ჭეშმარიტება უფრო გონების შესაბამისად და რაციონალურად გამოეხატა. არიანელობა, ცხადია, რა თქმა უნდა, უფრო რაციონალისტურია, ვიდრე საეკლესიო მოძღვრება ქრისტეში ადამიანური და ღვთიური ბუნების ერთიანობის შესახებ. საეკლესიო დოგმატებში ყოველთვის მაქსიმუმია მისტი-

1. ეთერის სხეული — ისეთივე ბუნებისეულია, როგორც ფიზიკური სხეული, აღდგომის სასწაული კი ზებუნებრივია.

კისა, სიშლეგისა, ანტინომიურობისა. მწვალებლობაში ყოველთვის რაციონალიზმია, შესუსტებული ანტინომიურობაა, სიშლეგის შიშია, მოძრაობაა უმცირესი წინაღობის მიმართულებით. საეკლესიო დოგმატების შლეგი მისტიკა არ შეუშინდა ღვთის სამების მტკიცებას, გაბედა ერთი და იმავეზე და ერთი და იმავე დროს ეთქვა – ის **ერთიცაა და სამიცო**. რაციონალისტური მწვალებლობა კი ყოველთვის გაურბოდა სიძნელეებსა და ანტინომიურობას, სიშლეგეს ვერ ბედავდა, ერთის შესახებ ამტკიცებდა **ერთიაო**. მხოლოდ ამ ერთისაგან განსხვავებულის შესახებ – **სამიაო**, დროის ერთ მონაკვეთში ამტკიცებდა – **ეს ერთიაო**, სხვა მონაკვეთში – **ეს სამიაო**. ეკლესიის შლეგი მისტიკა ბედავდა იმის თქმას, ქრისტე სრულყოფილი ღმერთიც იყო და სრულყოფილი ადამიანიცო, ორთავე ბუნება მასში გაერთიანებული იყოო, ადამიანის ნება ქრისტეში ღმერთის ნებად გარდაიქმნებოდაო. რაციონალისტური მწვალებლობა ამტკიცებდა, ქრისტე მხოლოდ ღმერთია, ხოლო ადამიანური ბუნება მასში მოჩვენებითიაო, ანდა იმას, ქრისტე მხოლოდ ადამიანია და მისი ნება მხოლოდ ერთგვაროვანიაო. მწვალებლური ცნობიერება ვერ იტანდა ანტინომიურობას. ჰარნაკის თეორიას, რომლის თანახმადაც დოგმატები წარმოადგენდნენ ქრისტიანობის რაციონალიზაციას, ინტელექტუალიზმს, ბერძნული ფილოსოფიის სანყისთა შეტანას, ეკლესიის მთელი ისტორია უარყოფს. ეს ისტორია გვასწავლის, რომ ყველა დოგმატი იყო მისტიკური და შლეგური, ცდისეული და ადამიანის გონებისათვის ანტინომიური, მწვალებლობა კი იყო რაციონალისტური – ის ადამიანის გონების საშუალებით თავიდან იცილებდა ანტინომიურობას და ადამიანის გამონაგონს წარმოადგენდა. განა ათანასე დიდმა ბერძნული ფილოსოფიის მეშვეობით მოახდინა ქრისტიანობის რაციონალიზაცია? ის თავის სიბრძნეს დაეუფლა იმ განდეგილთა ასკეტური საგმირო საქმეების საშუალებით, რომლებმაც საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მიაგნეს სინათლეს. რელიგიის დოგმატებს არ ესაჭიროება ფილოსოფია, მაგრამ რელიგიის დოგმატები საჭიროა ფილოსოფიისთვის, ასაზრდოებენ ფილოსოფიას, აზიარებენ მას ულრმეს საიდუმლოებებთან.

●

განყენებული ფილოსოფია, რომელიც თვითკმარია, საკუთარი თავიდან იძენს სიბრძნეს, ისპობა. პოზიტივიზმი ერთ-ერთი ფორმაა განყენებული ფილოსოფიის მოსპობისა: ამ მიმდინარეობის თანახმად, ფილოსოფია უნდა დაექვემდებაროს პოზიტიურ მეცნიერებას და მხოლოდ მეცნიერებაში ეძიოს თავისი საზრდო. მისტიციზმი განყენებული ფილოსოფიის მოსპობის მეორე ფორმაა. მისტიციზმის თანახმად, ფილოსოფია უნდა დაემორჩილოს პოზიციურ რელიგიას და ამ უკანასკნელში იპოვოს თავისი საზრდო. პოზიტივიზმი საბოლოოდ ანადგურებს ფილოსოფიას, მისტიციზმი [illegible] ფილოსოფიას, უბრუნებს მას [illegible] მიზანსა და სასიცოცხლო ღირებულებას, ყოფიერებასთან აზიარებს მას. ფილოსოფია გადაიქცევა იმად, რაც იყო ძველად, გახდება წმინდა, კვლავ დაუკავშირდება ცხოვრების საიდუმლოებებს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია უნდა გახდეს თეოლოგიის მსახური – ამას მან დიდი გაჭირვებით დააღწია თავი. **ფილოსოფია არ უნდა იყოს თეოლოგიის მსახური, მაგრამ, ალბათ, არ უნდა არსებობდეს თავად თეოლოგიაც. ფილოსოფია უნდა იყოს რელიგიური ცხოვრების ფუნქცია და არა თეოლოგიის მსახური – აქ განსხვავება ძალზე დიდია. ფილოსოფიას არ შეუძლია იყოს ღვთისმეტყველური აპოლოგეტიკა, მან არც უნდა იკისროს ეს ამოცანა. ის აცხადებს ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს გაცხადება ძალუძს მხოლოდ მაშინ, როცა ნაზიარებია რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებს, იცის ჭეშმარიტების გზა. ფილოსოფია, რომელიც თავის საზრდოს რელიგიურ გამოცდილებაში მოძებნის, არ იქნება სქოლასტიკა – სწორედ ის იქნება ყოველგვარი სქოლასტიკის საპირისპირო რამ. უფრო სწორი იქნებოდა სქოლასტიკა გვეწოდებინა განყენებული ფილოსოფიისა და თანამედროვე გნოსეოლოგიისათვის, რადგან მათ კავშირი გაწყვიტეს ცხოვრების სულთან, დაუპირისპირდნენ ცხოვრებას.** ჩვენ კი გვსურს ფილოსოფია კვლავ გახდეს სისხლსავსე, ვაზიაროთ ის ცხოვრების სულთან, ე. ი. საბოლოოდ გავათავისუფლოთ სქოლასტიკისაგან. თანამედროვე განყენებული გნოსეოლოგიური ფილოსოფიაა სწორედ სეკულარიზაციას დაქვემდებარებული სქოლასტიკური ღვთისმეტყველება. სქოლასტიკური ღვთისმეტყველება ესაა განდგომა რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებისაგან, მისი არსებობა მონმობს იმას, რომ რელიგიური გამოცდილების წყარო დაშრა. ამიტომაა, რომ სქოლასტიკური ღვთისმეტყველება გამოცდილების ადგილს განყენებულ აზროვნებას უთმობს. უნდა ითქვას, რომ დღეს შუა საუკუნეების მოაზროვნეებზე უამრავ ცრუ აზრს გამოთქვამენ. შუა საუკუნეების ფილოსოფია სრულიადაც არ იყო ისეთი უიმედო სქოლასტიკა, როგორადაც ჩვეულებრივ თვლიან. მას მრავალგზის დაუბრუნდებიან. ახლაც ხომ გვანუხებს შუა საუკუნეების პრობლემა ნომინალიზმისა და რეალიზმისა. თანამედროვე გნოსეოლოგთა თხზულებებში გაცილებით მეტია გამოფიტული სქოლასტიკა, ვიდრე შუა საუკუნეების მოაზროვნეთა მოძღვრებებში. უახლოესი დროის გნოსეოლოგია, არსებითად, სქოლასტიკური აპოლოგეტიკა – მეცნიერების აპოლოგეტიკა. ის ისევე არათავისუფალია, როგორც სქოლასტიკური თეოლოგია, მისი თავისუფლება მოჩვენებითია. მაგრამ სქოლასტიკურ-აპოლოგეტიკური მიმა-

რთება მეცნიერებასთან ისევე მავნეა, როგორც სქოლასტიკურ-აპოლოგეტური მიმართება რწმენასთან, რელიგიურმა ფილოსოფიამ უნდა გაიმარჯვოს როგორც გნოსეოლოგიურ სქოლასტიკაზე, ისევე თეოლოგიურ სქოლასტიკაზე, ე.ი. ცხოვრების სულმა უნდა გაიმარჯვოს ყოველგვარ განყენებულ რაციონალიზმზე.

ფილოსოფია, რომელმაც კვლავ მიაგნო თავის სასიცოცხლო რელიგიურ საზრდოს, იქნება სწორედ თავისუფალი ფილოსოფია. ეს იქნება ფილოსოფიის განთავისუფლება და არა დამონება. ფილოსოფიისათვის მისი მიზნისა და ამ მიზანთან მიმავალი გზის დაბრუნება ფილოსოფიის დამონებას როდი ნიშნავს. ჭეშმარიტება თავისუფლებას გვანიჭებს, ჭეშმარიტებისაკენ გზა კი გახსნილია მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებთან ნაზიარებთათვის. ყოფიერებასთან გაერთიანება შეუძლებელია იყოს ფილოსოფიის სამარცხვინო დამონება, ეს გაერთიანება მიზანს უბრუნებს ფილოსოფიას. ფილოსოფიის ყბადაღებულმა „ავტონომიურობამ", ფილოსოფიის ჩაძირვამ საკუთარ თავში, მისმა განყენებულობამ, რაციონალიზმმა, მიგვიყვანა არარსისა და სიცარიელის საშინელებასთან, აჩრდილთა სამეფოსთან. ცხოვრებისაგან და ყოფიერებისაგან მოწყვეტა დამონებაა – ფილოსოფია ემონება აუცილებლობას და ილუზიონიზმს. რელიგიური რწმენა მუდამ განთავისუფლება და ახსნაა. მხოლოდ ეს აზრი აქვს მას. ყველაფერი, რაც უკავშირდება რელიგიურ რწმენას, რაც ამ რწმენაში ეძებს საზრდოს, თავისუფლდება და პოულობს ხსნას. სხვაგვარი რელიგია, რელიგია, რომელსაც არ მოაქვს განთავისუფლება, სიყალბეა და მოტყუება. არსებობს ძალზე ღრმა მიზეზები, რომელთა გამოც ფილოსოფიამ აუცილებლად უნდა ეძიოს საზრდო რელიგიაში, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავის სათავეებს. ინდივიდუალურ გონებას, ინდივიდუალურ ძალისხმევას არ შეუძლია აღმოაჩინოს უნივერსალური ჭეშმარიტება. ინდივიდუალური ცნობიერების უზომო მოთხოვნები ყველგან მარცხდება. თავის თავში ჩაკეტილი, თავის თავთან და თავის „ადამიანურთან" მარტოდ დარჩენილი ადამიანი უძლურია [illegible]. ის ვერ ჩაწვდება ჭეშმარიტებას [illegible] ეს აზრს, ვერ შეიცნობს საგანთა გონებას. კაცობრიობის კულტურის წინსვლას, მსოფლიო ფილოსოფიის განვითარებას მივყავართ იმის შეგნებამდე, რომ სამყაროსეული ჭეშმარიტება ცხადდება მხოლოდ სამყაროსეული ცნობიერების წინაშე, ე. ი. სობორული, საეკლესიო ცნობიერების წინაშე. ფილოსოფია, ე.ი. სამყაროსეული ჭეშმარიტების წვდომა გონებით, არ შეიძლება იყოს არც მხოლოდ ინდივიდუალური და ზეადამიანური, ე.ი. სობორული, ანუ საეკლესიო საქმე. მხოლოდ სამყაროსეულ საკელსიო ცნობიერებისათვის გახდება ნათელი ცხოვრებისა და ყოფიერების საიდუმლოებები, მხოლოდ საეკლესიო გონებასთან ზიარებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტი შემართება, მხოლოდ ესაა გარანტია ყოველგვარი ილუზიონიზმისა და მოჩვენებითობის წინააღმდეგ, მხოლოდ ესაა ჭეშმარიტი რეალიზმი – მისტიკური რეალიზმი. ფილოსოფია უნდა იყოს ღვთისმეტყველური ან კლერიკალური. ფილოსოფია უნდა იყოს საეკლესიო, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია უნდა იყოს თავისუფალი, ის იქნება კიდეც თავისუფალი, როცა გახდება საკლესიო, რადგან მხოლოდ ეკლესიაშია თავისუფლება, განთავისუფლება მონობისა და აუცილებლობისაგან. საეკლესიო ფილოსოფია წარმოადგენს ფილოსოფიას, რომელიც ნაზიარებია მსოფლიო სულის ცხოვრებასთან და ფლობს მსოფლიოს საზრისს – ლოგოსს, რადგან ეკლესია ლოგოსთან შეერთებული მსოფლიოს სულია. განყენებული, რაციონალისტური, „გნოსეოლოგიური" სქოლასტიკური ფილოსოფია კავშირს წყვეტს მსოფლიო სულთან და პკარგავს მასთან მისასვლელ გზებს. მხოლოდ საეკლესიო ფილოსოფია აღადგენს ამ გზებს. მხოლოდ მას ხელეწიფება განსჯა ისეთი პრობლემებისა, როგორებიცაა პრობლემები თავისუფლებისა და ბოროტებისა, პიროვნებისა და მსოფლიო საზრისისა, რეალიზმისა და შემეცნების საქორწინო საიდუმლოებისა.

თარგმნა თამაზ გუაჩიძემ

მაკა ჯოხაძე

„უკანასკნელი თავშესაფარი“

„**ადგილი**“. ასე ჰქვია ფრანგი მწერალი ქალის, **ანი ერნოს** წიგნს, რომელიც გამომცემლობა „**ჯისიაში**“ დაისტამბა და რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით გამოიცა.

ანი ერნოს ვრცელ მოთხრობას „ადგილს“ **ეპიგრაფად** წამძღვარებული აქვს ჟან ჟენეს საკმაოდ მრავლისმთქმელი სიტყვები: „**თავს ნებას ვაძლევ, განვმარტო: წერა უკანასკნელი თავშესაფარია ღალატის ჩადენის შემდეგ.**“

არა, ამ ღალატში არ იგულისხმება ფრანგული რომანებისათვის ეგზომ ნიშანდობლივი ე. წ. ტრადიციული „სამკუთხედი“, ქალის ან მამაკაცის მხრიდან ჩადენილი ღალატის დრამა...

აქ უცნაურ ღალატზეა საუბარი, გაცილებით უფრო ძნელად აღსაწერ და მოსახელთებელ ღალატზე, იმ ღალატზე, რომელიც დისტანციითა და გაუცხოებით მიიღნევა რაღაც ძალიან ახლობელთან, თავდაპირველთან, მშობლიურთან.

პროვინციაში მცხოვრები მამის ავადმყოფობა და შემდეგ სიკვდილი აღმოჩნდება ის უმთავრესი ბიძგი, რომელიც ახალგაზრდა ინტელექტუალ ქალს მთელი სიმნვავით აგრძნობინებს დისტანციით გაჩენილ იმ დიდ სევდას, რომელიც თან სდევს საკუთარ მამასთან გაუცხოებას; მამასთან, რომელიც, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებდა, რომ მამამისივით მიწის მუშად (გლეხად) არ დარჩენილიყო, მამასთან, რომელიც იღვწოდა, რომ პროლეტარის ბედი აეცდინა, კაპიკს კაპიკზე დებდა და კერძო საქმის წამოწყებაზე ოცნებობდა.

ანი ერნოს თხრობა უაღრესად ძუნწი, ექსპრესიული, დინამიური და მომჭირნეა, – რაღაცით ნიკო ლორთქიფანიძის პროზას მოგვაგონებს.

მთავარ პერსონაჟს მამის მსოფლმხედველობა, მისწრაფებები, ცხოვრებისეული კრედო ორიოდე აბზაცში აქვს მოქცეული და გამხელილი: „**მამაჩემის საკითხავ წიგნს „ორი ბავშვის მიერ შემოვლილი საფრანგეთი“ ერქვა. მასში უცნაურ ფრაზებს წააწყდებოდით, როგორიცაა, მაგალითად: „ისწავლე, ყოველთვის ბედნიერი იყო საკუთარი ბედით“. „სიმდიდრის ყველაზე დიდი ბედნიერება ისაა, სხვას რომ უბედურებას უმსუბუქებს“.**

აი, ეს კაცი ჯიუტად, მიზანდასახულად ველოსიპედით თავად დაატარებდა ყოველ დილით საკუთარ გოგონას სკოლაში. ასევე ჯიუტად და მიზანდასახულად განაგრძობდა სკოლის დამთავრების შემდეგ ზრუნვას, რომ ქალიშვილისათვის კარგი განათლება მიეცა. თუმცა თანასოფელელები და სკოლელები 17 წლის ასაკიდან ყველა საკუთარი შრომით ირჩენდა თავს.

და აი უკვე **რესპექტაბელური, ბურჟუაზიული საზოგადოების წევრად ქცეული, კარიერაშემდგარი** ქალიშვილი მამის შესახებ დაწერს: „**შეიძლება მისი ყველაზე დიდი სიამაყე, უფრო კი მისი არსებობის გამართლება იყო, რომ მე იმ საზოგადოებას ვეკუთვნოდი, რომელმაც იგი არაფრად ჩააგდო**“.

პარალელურად ქალი გულწრფელად იგონებს იმ მომენტებსაც, როდესაც მას ბურჟუაზიული საზოგადოების წევრ თანაკურსელებთან ერთად მამა მოულოდნელად შეარცხვენდა, როცა იგი თავისი პროვინციული აქცენტითა თუ მონდომებით ამა თუ იმ სიტყვას ისე ვერ წარმოსთქვამდა... მომავალში კი ეს სირცხვილი ერცხვინება.

ანი ერნოს „ალტერ ეგო“-მ უკვე იცის, რომ ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი სნორედ მშობლიურ ნიაღთან ურთიერთობაა, მშობლებთან ურთიერთობაა, მათი ჭირ-ვარამის, ასაკთან ერთად მოსული ფიზიკური დაძაბუნებისა და შეჭირვებების გაზიარებაა... როცა ნლიდან ნლამდე, ანდა საშობაო არდადეგებიდან არდადეგებამდე მშობლებთან **დამკვირვებლის სტატუსით** კი არა ხარ ჩასული, არამედ მათი ყოფაცხოვრების, მათი ყოფიერების **ყავარჯენი** და დასაყრდენი, მათი მოხუცებულობის შემმსუბუქებელი ხარ.

„ყველას თავისი ცხოვრება აქვს“, – ეს ფორმულა გათიშვისა და ურთიერთგაუცხოების ერთგვარ გამამართლებელ ფორმულად იქცა ცივილიზაციის ჯოჯოხეთური ტემპით გადაღლილი ადამიანებისათვის. ამ **ტემპმა** და ამ **დევიზმა** ადამიანი აბსოლუტურ **ეგოისტად** აქცია.

ანი ერნოს მოთხრობაში ზუსტადაა ნაჩვენები, რომ დისტანცია **მამა-შვილს შორის, ცხოვრების ორ ყაიდას შორის, ორ კლასს შორის, არაბუნებრივი** და **არასწორია...**

მე ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც პირველად ევროპელ ეგზისტენციალისტებს გავეცანით და, კერძოდ, ფრანგ ეგზისტენციალისტებს, ბევრი ჩვენგანი სარტრის, კამიუსა და სხვათა მოთხრობებში ასახულ სრულ გაუცხოებასა და გათიშულობას, როგორც ეგზოტიკურ ხილს ისე უყურებდა. ეს ჩვენთვის უცხო ხილი იყო, – გაუგებარი და მიუღებელი ტენდენცია.

უფრო მეტიც, თვით რუსი მწერლების, რასპუტინის, ასტაფიევის, შუკშინის, ტენდრიაკოვის და სხვათა რომანებსა თუ მოთხრობებში აღწერილი გაუცხოება, ის, რომ ვთქვათ, ციმ-

ბირის რომელიღაც სოფელში გარდაცვლილ დედას ან მამას სამადლოდ მეზობლები მარხავდნენ და შვილები არც კი ჩამოდიოდნენ, ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი, გაუგებარი ჩანდა.

თუმცა სამართალი მოითხოვს ითქვას, რომ იგივე დავით კლდიაშვილის მოთხრობებში უკვე შვილებისაგან მიტოვებული ბერიკაცები გაოგნებულები გასცქეროდნენ შარას.

ზუსტად მიუთითებდა ერთი ფრანგი კრიტიკოსი, რომ ანი ერნოს ეს ცივი ტონი იქნებ ცრემლებს მალავს: **„სინანულის ცრემლებს, რომ სწავლა-განათლებამ ასე დააცილა საყვარელ მამას“.**

მიუხედავად იმისა, რომ ანი ერნოს, ავტორი, მანერა აშკარად ფრანგულია, მკრძნობელობით, დარდით, ინტონაციითა თუ ულერადობით ანი ერნოს მოთხრობა უაღრესად **აქტუალური** და **რაღაცნაირად ქართულიც** კია.

ყოველივე ეს კი მთარგმნელის, ქალბატონი მზია ბაქრაძის დამსახურებაა, რომლის წყალობითაც არა ერთი და ორი უცხოელი ავტორის წიგნი გამხდარა ჩვენთვის ძვირფასი და ახლობელი.

ჯემალ სტეფნაძე

კავკასიისმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენი

ვახტანგ ითონიშვილი, რომლის ნაშრომის ავ-კარგზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა (დაიბადა 1958 წ., გარდაიცვალა 2000 წ.), მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, უდიდესი ღვაწლი დასდო კავკასიელი და ქართველი ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის საქმეს.

ვახტანგ ითონიშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა კვლევის კარგი უნარი. აქვე გამომჟღავნდა, რომ მისი უმთავრესი მოწოდება ისტორიულ-ეთნოგრაფიული საქმიანობა იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას (1981-1983) ვ. ითონიშვილმა დაწერა ნაშრომი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV-XVIII საუკუნეებში", რისთვისაც მას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა. ამის შემდეგ იგი დაუღლელად იკვლევდა ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეთნოლინგვისტიკის საკითხებს, სოციალურ ურთიერთობათა პრობლემებს, ყოფას და კულტურას. მისი მუშაობის შედეგები აისახა გამოცემულ რვა წიგნში (ბევრი გამოსაცემია), აგრეთვე მრავალრიცხოვან საჟურნალო თუ საგაზეთო სტატიებში.

ვ. ითონიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია კავკასიის ისტორიის დღემდე შეუსწავლელი საკითხების კვლევას. ამ რთულ პრობლემებთან შესაჭიდებლად ავტორს ყველაფერი გააჩნდა: კვლევა-ძიების დიდი უნარი, მრავალმხრივი განათლება, შრომისმოყვარეობა, სამშობლოსა და მისი ისტორიის უსაზღვრო სიყვარული, საჭირო წყაროების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, სიახლის ძიებისადმი დაუოკებელი ლტოლვა. სარეცენზიო ნაშრომი „ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან" (რომელიც 2002 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა") აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა მრავალმა მკვლევარმა სცადა. მათი ასეთი დაინტერესება გამოიწვია სხვადასხვა წარმომავლობის ხალხთა სიმრავლემ, მრავალენოვანებამ, მრავალრელიგიურობამ, ხალხური წეს-ჩვეულების და ყოფითი კულტურის თავისებურებამ და სხვა. ვ. ითონიშვილი სწორედ ამ თავისებური „ქვეყნის" შემსწავლელთა რიგებში დგას. თუმცა, როგორც თვითონაც აცხადებს, მის ყურადღებას, განსაკუთრებით კავკასიის ცენტრალური რეგიონი იქცევს (იხ. წიგნის შესავალი, გვ. 5), რომელშიც ის მხოლოდ ჩეჩნეთს, ინგუშეთს, ოსეთს, საქართველოს იმიერკავკასიურ მხარეებს — თუშეთს, პირიქითა ხევსურეთს, ხევს და თრუსოს გულისხმობს.

ავტორს, სათანადო მონაცემების საფუძველზე გააზრებული ცენტრალური კავკასიის მნიშვნელობა ასე ესმის: „აღნიშნული ტერიტორია მასზე გამავალი უმთავრესი ტრანსკავკასიური კომუნიკაციებითურთ (არაგვის გზა, დვალეთის გზა და სხვა) უყოყმანოდ შეიძლება დახასიათდეს ევრაზიის შემდუღაბებელ მეზოზონად, იმიერ და ამიერ კავკასიის რეგიონებისა და მათზე ისტორიულად მიკონებული ჩრდილოური (ნომადური) და სამხრეთული (მაღალგანვითარებული მახლობელი აღმოსავლეთის) ცივილიზაციების შემაკავშირებელ იმ ლოკალურ სივრცედ, რომლის გამორჩეული სტრატეგიული მნიშვნელობა ნიადაგ წარმოადგენდა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ანტურაჟში კავკასიის ოდინდელი და აწინდელი აქტუალობის უზრუნველმყოფელ უმთავრეს ფაქტორს" (წიგნის „შესავალი", გვ. 5-6).

ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული ამ ეთნოგრაფიულად ჭრელი რეგიონის შესწავლის აუცილებლობაც და სიძნელეც. მას შენიშნული აქვს, რომ ცენტრალურ კავკასიაში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესები სპეციალურ ლიტერატურაში ზერელედ ანდა არაობიექტურად არის წარმოდგენილი, ხოლო აღნიშნული რეგიონის ხეობებში მცხოვრებ ხალხთა, ტომთა თუ ეთნოტერიტორიულ ჯგუფთა ოდინდელი ლოკალიზაციის, ადგილმონაცვლეობისა და ეთნიკური ატრიბუციის საკითხების განხილვისას, თავს იჩენს ტენდენციურობა, სქემატიზმი და სხვადასხვა ხასიათის წყაროების თვითნებური გამოყენება. ამის მაგალითად ავტორი იმ გამოკვლევებს თვლის, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის სანახებში სკვითების, სარმატების და ალან-ოსების შემოსვლას და ოსების „სამხრეთის შტოს" ფორმირების საკითხებს ეხება. ვ. ითონიშვილის ჩვენს მიერ სარეცენზიოდ არჩეული გამოკვლევის ძირითადი მიზანდასახულება ცენტრალურ კავკასიაში მიმდინარე ეთნოისტორიული პროცესების არაობიექტური გაშუქების უგვანო პრაქტიკის გაბათილებაა.

ნაშრომი, საერთოდ, თერთმეტი განყოფილებისაგან შედგება და თითოეულ მათგანში განხილული საკითხი ცენტრალური კავკასიის ხალხთა ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. ასე, მაგალითად: I, II და III ნაწილებში განხილულია კავკასიისა და კავკასიელების რაობა, მათი გენეზისი, სემანტიკური გრადაცია და „კავკასიანთა" ეთნიკური ვინაობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხები.

კავკასიასა და კავკასიელებზე მსჯელობისას (წიგნის პირველ თავში) ავტორი ვრცლად საუბრობს სხვადასხვა ეპოქის სწავლულ-

მეცნიერთა თუ მოგზაურთა შრომებში მათზე გამოთქმულ შეხედულებებზე. ამასთან დაკავშირებით იგი აანალიზებს იოჰან ანტონ გიულდენშტედტის, ფ. ბოდენშტედტის, ე. სპენსერის, მ. ლერმონტოვის, ე. მარკოვის, ი. ვინკელმანის, ი. კანტის, ა. დიუმას, ა. ბესტუჟევ-მარლინსკის, დონ კრისტოფორე დე კასტელის და სხვა ცნობილი მოღვაწეების ცნობებს.

ვ. ითონიშვილს მიაჩნია, რომ ეს ავტორები ძირითადად „ობიექტურად ასახავენ აღნიშნული რეგიონის შთამბეჭდავ ტომობრივ სიჭრელეს, რაც დღესაც გვეელინება კავკასიის შესაშური ეთნოკულტურული ჰაბიტუსის ყველაზე უფრო მიმზიდველ შტრიხად" (გვ. 25).

ვ. ითონიშვილი ვრცლად ლაპარაკობს კავკასიის მოსახლეობის ცალკეული ენობრივი ოჯახების (იბერულ-კავკასიური, ინდოევროპული, ალათაური და სემიტურ-ქამიტური) შესახებ. მისი სამართლიანი განცხადებით, „კავკასიელი ხალხის" სახელი უფრო იმ ეთნოსებს მიესადაგება, ვინც თავისი ეთნოგენეტიკური ფესვებით სნორედ კავკასიასთან არის დაკავშირებული და ვისმა ეთნიკურმა არქიტიპმაც დანამდვილებით კავკასიის რეგიონში განიცადა ფორმირება (გვ. 28-29).

ვ. ითონიშვილი სამართლიანად თვლის „კავკასიელ ხალხად" მხოლოდ ე. ნ. იბერიულ-კავკასიურ (ან კავკასიურ) ენათა ოჯახის წევრებს: ქართველებს, აფხაზებს, ადიღეელებს, ჩაჩნებს, ინგუშებს და სხვებს. სულ 17 ეთნოსს (გვ. 29).

წიგნის მეორე თავში შესწავლილია ცნებების „კავკასიის" და „კავკასიელის" გენეზისი და სემანტიკური გრადაცია. ამასთან დაკავშირებით, ავტორი განიხილავს იმ უცხოურ თუ ქართულ წყაროებს, რომლებშიც კავკასიასა თუ კავკასიელების შესახებ არის ლაპარაკი. ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ XI-XII ს.ს.-ის ქართული წერილობითი წყაროების ჩვენებით „კავკასი" ჰპ „კავკასია" ვინრო გაგებით მდ. თერგისა და კავკასიონის ქედის დასავლეთ კიდეს შორის მდებარე იმიერკავკასიის მიწა-წყალს უდრის, ხოლო ფართო გაგებით კი ისტორიული ადიღედან კასპიის ზღვამდე არსებულ იმიერ და ამიერკავკასიის ტერიტორიას (გვ. 45).

ავტორს არ მიაჩნია სწორად „კავკასიის", როგორც გეოგრაფიული ტერმინის მხოლოდ ცენტრალური კავკასიის მთიანეთის აღსანიშნად გამოყენება (გვ. 55).

ამ პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია წიგნის მესამე თავიც — „კავკასიანთა" ეთნიკური ვინაობისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხისათვის.

ავტორი კრიტიკულად აფასებს იმ ავტორთა ნაშრომებს, რომელნიც ტერმინ „კავკასიანთა" ქვეშ მხოლოდ ვაინახურ ტომებს ან კიდევ ოსებს გულისხმობენ. მისი სამართლიანი აზრით, ძველქართული წყაროების ტერმინები „კავკასნი" და „კავკასიანნი", „მთიული" ჰპ „მთეული" კრებითი სახელია და რომელიმე ცალკე აღებულ ეთნოსს არ გულისხმობს (გვ. 89).

ნაშრომის მეოთხე თავში ავტორი საგანგებოდ იკვლევს ცენტრალური კავკასიონის ეთნიკურ გეოგრაფიას. სხვადასხვა ცნობების საფუძველზე მოცემულია სხვადასხვა ტომების თუ ტერიტორიული ჯგუფების განსახლების ხელახალი სურათი, [illegible] ეთნიკური ერთეულის (მაგ. ოსლების [illegible] ბის) ახლებური ლოკალიზაციის ცდა. რაც მთავარია, ავტორი კრიტიკულად იხილავს სტრაბონის „გეოგრაფიის" იმ ნაწილს, სადაც მთიელი იბერები „სკვითებისა" და „სარმატების" მეზობლად და ნათესავებად არიან წარმოდგენილნი.

ოსი მეცნიერები, რომლებიც სკვით-სარმატ-ალანთა და ოსთა საერთო წარმოშობას ქადაგებენ, სტრაბონის გეოგრაფიის ამ ნაწილს მთიელი იბერიელების ჩრდილო ირანული ეთნიკური წრისათვის მისაკუთვნებლად იყენებენ. აქედან კი ასკვნიან, რომ ცენტრალური კავკასიონის ორივე კალთაზე ოსთა წინაპრები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ. ეს დებულება ჩამოყალიბებულია ცხინვალელი ისტორიკოსის ი. გაგლოითის შრომაში (იხ. Ю.С. Гаглойти, «Проблемы этнической истории южных Осетин», 1996 г.).

ვ. ითონიშვილი დაწვრილებით აანალიზებს ეთნონიმ „სკვითს" და „სარმატს", ადგენს ამ ტერმინების შინაარსს სტრაბონის თანამედროვე კავკასიის ეთნიკურ გეოგრაფიასთან მიმართებაში და ასკვნის, რომ სტრაბონის ეს ცნობა ცენტრალურ კავკასიონის მაღალმთიან ზოლში სკვით-სარმატთა ძველთაგანვე განსახლების და შიდა ქართლის მთიანეთში ე. ნ. სამხრეთელ ოსთა წინაპრების ძვ. წ. I ს-ის მიწურულისთვის დამკვიდრების სასარგებლოდ არაფერს ლაპარაკობს (გვ. 121).

წიგნის მეხუთე თავში — ქართული ეთნოსუბტრატი ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ მაკროფერდობზე, — განხილულია ცენტრალური კავკასიონის მაკროფერდობებზე ქართველური მოსახლეობის განსახლების საკითხები. ავტორი სწავლობს აწინდელი ბალყარეთის მიწაზე სვანთა ოდინდელ განსახლებას. იშველიებს რა სხვადასხვა ხასიათის წყაროს, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ კავკასიონის მთავარი ქედი არ წარმოადგენდა ქართველური მოსახლეობის გავრცელების უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნას და კავკასიონის პირიქით კალთებზე ქართველური ელემენტის ინფილტრაცია საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა (გვ. 140).

როგორც ამ თავის დასასრულშია ნათქვამი, ავტორს აღნიშნული პროცესის საგანგებო შესწავლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ნაადრევი გარდაცვალების გამო, სურვილი შეუსრულებელი დარჩა.

წიგნის 141-161 გვერდებზე დაბეჭდილია საგანგებო გამოკვლევა „ჰონთა" ეთნიკური კუთვნილებისა და „ჰონთა ქვეყნის" ლოკალიზაციის საკითხებისათვის. ეს გამოკვლევა ავტორმა ნაიკითხა 1989 წ. 2 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 1991 წელს კი გამოაქვეყნა ჟურნალ „მაცნეში" (იხ. „მაცნე". ისტორიის... სერია, 1991, № 1). რაკი ნაშრომი კავკასიის ისტორიის პრობლემებს განეკუთვნებოდა, ავტორმა იგი სარეცენზიო წიგნშიც შეიტანა.

ვ. ითონიშვილი სამართლიანად არ იზიარებს რუსი მეცნიერის ნ. გ. ვოლკოვას აზრს, რომელიც მან 1973 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში (იხ. «Этнонимы и племенные названия Северного Кавказа». М. 1973, с. 128-130) გამოთქვა.

ნ. გ. ვოლკოვას აზრით, ძველ სომხურ წერილობით წყაროებში არაერთხელ ნახსენები ეთნომიმი „ჰონი" არა ჰუნების, არამედ კავკასიური წარმოშობის ერთი რომელიმე ხალხის ან ხალხთა ჯგუფის აღმნიშვნელი სახელი შეიძლება იყოს. V-VII ს.ს.-ის სომხური წყაროებით ცნობილ „ჰონთა ქვეყანაში" კი დარუბანდის ჩრდილოეთით და დასავლეთით მდებარე დაღესტნის მინა-წყლის გარდა, ვაინახთა მიწა და საქართველოს მთიანეთის მხარეები (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) უნდა იგულისხმებოდეს. ნ. გ. ვოლკოვას აზრით, ამას ადასტურებს პირიქითა ხევსურეთში (მდ. ანდაქის წყლის ხეობაში) ტოპონიმ ხონეს არსებობა. აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში დაცული ცნობა ისტორიულ ხერკის თემში ჰონთა დასახლების არსებობის შესახებ (Н. Г. Волкова, დასახ. ნაშრ. გვ. 128-130).

ვ. ითონიშვილის დასკვნა ნ. გ. ვოლკოვას შეხედულების სრულიად საწინააღმდეგო შინაარსისაა. მას სამართლიანად მიაჩნია, რომ „ჰონი" თურქული მოდგმის აღმნიშვნელი ეთნომიმია, „ჰონთა ქვეყანა" კი დარუბანდის ჩრდილო მინების, ძირითადად კი თანამედროვე დაღესტნის კასპიისპირა დაბლობებია. ამ ეთნონიმს, ხანდახან, ფართო შინაარსიც აქვს, მაგრამ მასში არ შესულა საქართველოს მთიანი მხარეები. დაუშვებელია „ჰონების" გაიგივება დაღესტნელების და ვეინახების წინაპრებთანაც (გვ. 160-161). ეს დასკვნა ეჭვს არ იწვევს.

სარეცენზიო ნაშრომში შეტანილია ოთხი მნიშვნელოვანი ნაშრომი ოსებზე: 1. ოსები (მოკლე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი); 2. ოსების ეთნოევოლუციის საკითხისათვის; 3. სამხრეთ ოსეთი ცენტრალურ საქართველოში? და 4. ოსიანობა.

ამ გამოკვლევათა მოცულობა 83 გვერდია (წიგნის 162-245 გვერდები) და მისი ცალკე გამოცემაც შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ოსები კავკასიაში გვიან მოსულ და შემდეგ გაკავკასიელებულ ხალხად ითვლება.

ოსურ საკითხებზე დაბეჭდილ ნარკვევებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია „ოსიანობა". ოსიანობა — ეს იყო „ლეკიანობის" მაგვარი მოვლენა და ნიშნავდა სხვადასხვა [illegible] ოსეთ[illegible] [illegible] [illegible] [

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125

ეროვნული
ბიბლიოთეკა